რომან როლანი

ქან-კრისტოფი

ტომი
ოთხი

რომან რომლანი

ჟან-კრისტოფი

ტომი პირველი

წიგნი პირველი, მეორე, მესამე

„ნაკადული"
თბილისი
1970

И (Фр)
44—31
Ф 78

I—3—4

ფრანგულიდან თარგმნა

ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲫᲝᲚᲐᲠᲯᲘᲐᲜᲘᲐ

თავისუფალი ადამიანი

ჩვენი საუკუნის დამდეგს დასავლურ რომანში იზრდება ხასოწარკვეთილებას, ეშვეს, დაბნეულობის, წყვდიადის, ადამიანის ჭეშმარიტი ინსტინქტების, სექსუალური საწყისის, ქვეცნობიერის ხვედრითი წონა. რომენ როლანი ამ განწყობილებასა და ინტერესს ჯანსაღ, ოპტიმისტურ სულისკვეთებას უპირისპირებს. მარლ პეგისთან ერთად რომენ როლანის შემოქმედება წარმოადგენს გასული საუკუნის სულისკვეთების რეციდივს.

უფრო შორს კი როლანის თვალთახედვის ფესვები რომანტიზმის წინამორბედის ჟან-ჟაკ რუსოს შემოქმედებაშია საგულვებელი. რუსოს დროს განსაკუთრებული დრამატიზმით ისახება გულისა და გონების ალტერნატივა. ორივე საწყისი ბუნებრივია, დასაბამიდან თან სდევს ლიტერატურულ პროცესს და კრიზისულ ეპოქაში განსაკუთრებული ძალით უპირისპირდება ერთმანეთს. ამან განაპირობა ორი გონივრული საუკუნის, მეჩვიდმეტესა და მეთვრამეტეს, მიერ დაგროვილი რაციონალური პოტენციალის მიმართ რეაქცია და ამავე მეტოქეობამ წარმოშვა სხვა ვითარებაში როლანის ნაწერები.

ვინაიდან ადამიანის ბუნებაში გონებისა და გრძნობების საწყისები განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენენ, მათი გათიშვა, ან ერთისაგან მეორის შთანთქმა „დიდ ქმნილებებში" არასოდეს ხერხდებოდა. ვისაც კი ხელოვნურად უცდია ამის გაკეთება, თავისი ნაწარმოებისათვის სასიკვდილო ჭრილობა მიუყენებია. ამიტომ ჯოლტერისა თუ ანატოლ ფრანსის ნაწერებში ვნებები გონების, სკეფსისისა და ირონიის კალაპოტშია მოქცეული, ხოლო რუსოს, ჰიუგოს ან როლანის შემოქმედებაში თვით გონება მიაქვს ვნებათა აბობოქრებულ ნაკადს.

გულის მიმართულება ხელოვნებაში ყველაზე ახლოს არის ნაკადის სწრაფვასთან, ქარისა თუ ზღვის ღელვასთან. ამით აიხსნება ჩანჩქერებისა და ქარების ხიუსვე რომანტიკოსების ფერწერაში, მატობრიანისეული ზღვის სტიქია, რიუდის მარსელიეზის შეუჩერებელი დინება. ამ სიმბოლოთაგან სამყაროზე ადამიანის ზემოქმედებას, გარემოს გარდაქმნის ძალას, ნებისყოფას, ალბათ, სხვებზე უკეთ ნაკადი გამოხატავს. ამ გარემოებას გამოეხმაურა რომენ როლანი და ნაკადი მისი მსოფლმეგრძნების შემადგენელ ელე-

შენტად იქცა. ნაკადისებურია მწერლის მიერ აღდგენილი ბეთჰოვენის, მიქელანჯელოს, ტოლსტოის ცხოვრება, მ დ ი ნ ა რ ე ჰქვია „მოხიბლულ სულში“ ანეტ რივიერს (და იგი სულიერი განწყობილებით ა რ ი ს კიდეც მდინარე), რაინის მძლავრ გუგუნში იბადება, იბრძვის და კვდება ჟან-ჯრისტოფი.

ბუნების მოდუნებულ უძრაობაში, ველებისა და ბორცკების ზანტ ქაოტურობაში მდინარე, მ ა მ ა-რ ა ი ნ ი იქნება ეს თუ დ ე დ ა-ვ ო ლ გ ა, იკაფავს გზას და არ არსებობს ისეთი შეფერხება, რომელიც მის დინებას დააოკებს. Cutta cavat Lapidem non vi sed saepe cadendo (წვეთი ქვასა ხვრეტს არა ძალით, არამედ ხშირი დაცემით), ამბობდნენ რომაელები. მდინარე კი გზას იკაფავს მუდმივი დინებითაც და ძალითაც. ამიტომაა რაინის პირას შობილი ჟან-კრისტოფი გვარად კრაფტი, ანუ ძ ა ლ ა.

რაინი ჟან-კრისტოფის აკვანია. რაინში წინასწარაა ჩასახული ჟან-კრისტოფის ცხოვრების და პიროვნების არსი. რაინის თავგადასავალი ჟან-კრისტოფის თავგადასავალია და მისი ცხოვრების მუსიკალური თემაც, ნაწარმოების ათივე ნაწილს რომ ახმოვანებს. ჟან-კრისტოფის დაბადებას თან ახლავს წყლის სტიქია, ერთსა და. იმავე დროს წვიმისა და რაინის სახით. მკაფიოდ ისმის რაინის გუგუნი ღამეულ სიჩუმეში. გუნებაცვლადია რაინი — ხან მკიარული, ხანაც შფოთიანი. ჩვილი ჟან-კრისტოფი ჯერ კიდევ ადამიანურ ბგერებს ვერ არჩევს, ფანჯრის იქით კი რაინის ტალღებში მ ო ც ე კ ვ ა ვ ე მ უ ს ი კ ა ჩაესმის. რაინი სიცოცხლეა, რაინი მუსიკაა. რაინი აუხსნელი, მაგრამ ძლიერი ა რ ს ე ბ ა ა თავის ძალამი დარწმუნებული და თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი. ჭაბუკი კრისტოფიც ისურვებს იყოს რაინივით „შეუზღუდველი, თავისუფალი!..“ საფრანგეთში მყოფი კრისტოფისათვის რაინი სამშობლოს განასახიერებს, გერმანული კულტურის ღირსებას. სენის ნაპირებზე ჟან-კრისტოფს Vater Rhein ულანდება. სენა — „ნაცრისფერთვალება მდინარე, ღია მწვანე ფერის კაბაში გამოწყობილი... მოქნილი... გონებამახვილი... მშვენიერი მოსეირნე ქალი“ —საფრანგეთია, ხოლო შორს მიტოვებული რაინის „ყოვლისშემძლე ძალა“ გერმანელი ხალხია. კვლავ რაინის პირას, ამჯერად შვეიცარიის პატარა ქალაქში, დასტირის ჟან-კრისტოფი ოლივიეს სიკვდილს. რაინი აქ ევროპის ხალხთა ერთიანობას ასახიერებს. ჟან-კრისტოფის არსებობის უკანასკნელ წუთებში „მთელი მისი სიცოცხლე მიედინება მის თვალწინ, რაინივით“. ჟან-კრისტოფს ეჩვენება, თითქოს იგი მდინარის აღმა მიაბიჯებს: ეს არის რაინისა და კომპოზიტორის მიერ გავლილი გზის გახსენება, სიცოცხლის უხვ ფიალაში გამოსაცხოვარი ჩახედვა.

რაინი არამცთუ თან სდევს ჟან-კრისტოფის არსებობას, არამედ შეიცავს მას: გადაიშლება ბავშვის დაბადებისას და დასასრულის ჟამს თავისი სხეულით ფარავს მოწყენულ ადამიანს. რაინი მხოლოდ ჟან-კრისტოფის ხასიათსა და მოქმედებას კი არ განაპირობებს, არამედ რ ო მ ა ნ-ნ ა კ ა დ ი ს სახესაც.

ჟან-კრისტოფის ბედის ადამიანისათვის რაინი მუსიკას განასახიერებს. როგორც რაინის ზვირთები იკრებიან პატარა კრისტოფის, გერმანიის პატარა ქალაქის, მთელი გერმანიის, მთელი შეგნებული ევროპის არსებობაში, ასევე ჯადოსნური მუსიკა შეიჭრება ჟან-კრისტოფის ცხოვრებაში, აავსებს მას.

რაინი პირველი ელემენტია რომანში, რომელიც მ ო ლ ო დ ი ნ ს აღბეჭდავს: დიდი, ღირსეული, მოქმედებით სავსე ადამიანური არსებობის მოლოდინს. ამ მოლოდინის თემას რომანის ორკესტრის სხვა ინსტრუმენტებიც ავითარებენ. ნაყოფიერ მუსიკოსს ელოდება თაობიდან თაობამდე კრაფტების ოჯახი, მშობლიური მხარე, გერმანელი ხალხი, რომლის ორი მთავარი მიდრეკილება, თომას მანის თქმით, ფილოსოფია და მუსიკაა.

აზრის ასეთი დედუქციური მსვლელობა აბსტრაქტული იდეიდან (მოლოდინი) მის

კონკრეტულ ხორცშესხმამდე (ჟან-კრისტოფის დაბადება) დამახასიათებელია რომენ როლანისათვის. ამას სხვა მრავალი მაგალითიც ადასტურებს. ჯერ კიდევ 1893 წლის ჩანაფიქრით, რომენ როლანი საერთოდ ხელოვნების მიზანს და კერძოდ თავისი რომანის დანიშნულებას ხედავს კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს ჩვენებაში. როლანის შემოქმედებითი აზრის მსვლელობა აქ ანალოგიურია ზოლას აზრის მსვლელობისა, როდესაც იგი ისახავს „რუგონ-მაკარების" ციკლს, როგორც საზოგადოებაში მიმდინარე ბიოლოგიური და სოციალური პროცესების ილუსტრაციას, და წინასწარ არ იცის, რა სახეს მიიღებს ამა თუ იმ ცალკეული ნაწარმოების ზოგადი სქემა, იდეა. პარიზში ყალბი ადამიანებით გარშემორტყმული ჟან-კრისტოფი დაეძებს და პპოვებს კიდეც ნამდვილ საფრანგეთს. „მოედანზე ბაზრობის" მხილველს, მას სურს ნამდვილი საფრანგეთის ღირსი ადამიანის გაცნობა და შეყვარება. ასეთ ადამიანად მას ოლივიე ჟანენი მოევლინება.

ეს დედუქციური მსვლელობა განაპირობებს რომანის არქიტექტონიკის სხვა თვისებასაც—ს წ ო რ ხ ა ზ ო ვ ნ ე ბ ა ს. ეს სწორხაზოვნება თავს იჩენს „ჟან-კრისტოფის" ფაბულის აგებაშიც, კომპოზიციაშიც, თვით სახეებსა და ხასიათებშიც...

რომენ როლანი არ იზიარებს მეოცე საუკუნის ლიტერატურაში გავრცელებულ კომპოზიციურ სიჯრელეს, თხრობის ამოსავალი წერტილის ცვალებად ადგილს, დროის ცნების აღრევას და სხვა ფორმალურ ძიებას. რომენ როლანი მეთვრამეტე საუკუნის შეილივით თანმიმდევრულად გვიყვება პერსონაჟის თავგადასავალს დაბადებიდან სიკვდილამდე.

განმანათლებლობის საუკუნის მწერალივით, რომენ როლანი კეთილსინდისიერად აღწერს არა მარტო თავისი გმირის ოჯახსა და მისი ცხოვრების გარემოცვას, არამედ მის მორეულ წინაპრებსაც ახასიათებს. ამით როლანს ფ ე ს ვ ე ბ ი ს იდეასთან მივყავართ, იმ აზრთან მივყავართ, რომ ნაყოფიერი ხეხილივით, ადამიანის ნიჭის გაფურჩქვნას მშობლიურ ნიადაგში გაშვებული ღრმა ფესვები განაპირობებს. ამ აზრს მწერალი თანმიმდევრულად ავითარებს თავისი ნაწარმოების მთავარ სახეებში: ამრიგად, კრაფტები—გერმანიის სიღრმიდან ამოსული შტ-არის, ჟანენები— ფრანგული პროვინციის ნიადაგზე აღიზარდნენ. გრაცია ბუონტემპი იტალიის ცამ და მიწამ გამოძერწა.

ამ პერსონაჟთა ფესვებში ჩახედვა იმითაც არის გამოწვეული, რომ ისინი კეთილნი არიან, თორემ მინა დე კერიზის, ოტო დინერის ან ლევი-კერის ფესვები მაინცადამაინც არ ადარდებს ავტორს, მიუხედავად იმისა, რომ მინა და ოტო ისეთივე გერმანელები არიან. როგორც ჟან-კრისტოფი, ლევი-კერი კი ანტუანეტა და ოლივიე ჟანენების სრულუფლებიანი თანამემამულეა. რომენ როლანი თითქოს გვეუბნება: მდაბალი, ბოროტი ადამიანები გადაგვარების გზას ადგანან და ამიტომ ხალხის ცნობიერებაში ჩაქსოვილი ზნეობრივი საწყისები აქ დამახინჯებულიაო.

ფესვების გაშიშვლებას სხვა ფარული აზრიც აქვს. ხსენებული კაცობრიობის ერთიანობის იდეიდან გამომდინარე, რომენ როლანი ბოტანიკოსივით სელექციურ სამუშაოს ატარებს. მას სურს ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ბაღი გააშენოს და ამ ბაღისათვის გულმოდგინედ არჩევს და სწავლობს მთლიანობაში საუკეთესო ნარგავებს: ჟან-კრისტოფს, ანტუანეტას, ოლივიეს, გრაციას. მათი მეგობრობის საფუძველზე იშედოვნებს რომენ როლანი გულგახსნილი ევროპის აშენებას. ამ გაერთიანებული ევროპის სურათს ოი შვეიცარიაში ხედავს.

ე ვ რ ო პ ულ ი დ ე ა ს თავად ჟან-კრისტოფი განასახიერებს: გერმანელი კომპოზიტორი იტალიას ეწვევა და შეიყვარებს მას, მერე შვეიცარიაში პოვებს თავშესაფარს (ისევე, როგორც რომენ როლანი პირველი მსოფლიო ომის წლებში), საფრანგეთში მოღვაწე-

ობს. ჟან-კრისტოფები, რომენ როლანის აზრით, ევროპის და კაცობრიობის გარდაქმნის იმედია.

ჟან-კრისტოფი პოლიფონიური სახეა: კონკრეტული პიროვნება და განმაზოგადებელი სიმბოლო, მასში ერთმანეთს ერწყმის ბეთჰოვენის ბავშვობის პროექცია და როლანის თაობის მისწრაფებანი. როგორც რომენ როლანმა აღიარა, ჟან-კრისტოფი ხან თავის აზრს გამოხატავს, ხანაც—ავტორისას. ასეთი სინთეტური ხასიათის სახეს არ შეიძლებოდა არ აესახა როლანის, როგორც მხატვრისა და მოაზროვნის, სიმპათია-ანტიპათიები. მეორეს მხრივ, ჟან-კრისტოფმა შეისისხლხორცა ევროპული კულტურის მრავალი გამოვლინება. ზოგიერთ მათგანს თვით ავტორი ხაზს უსვამს, ზოგიერთიც ობიექტურად დასტურდება. ყოველივე ეს ანიჭებს ჟან-კრისტოფის სახეს უნივერსალურობას. ჩვენ შევეცდებით ჟან-კრისტოფის სახის შემადგენელი ელემენტების გაშლას; საამისოდ, დავეყრდნობით მისი პიროვნების მთავარ მაჩვენებელს — თავისუფლებას, რაც ავტორმა წიგნის მიძღვნაშიც გამოჰყო: „ყველა ერის თავისუფალ სულებს, რომლებიც იტანჯებიან, იბრძვიან და გაიმარჯვებენ“.

თავისი წიგნით, რომენ როლანი გეზს იღებს არაჩვეულებრივი, პათეტიური პიროვნების ასახვისაკენ. მის შემოქმედებაში ეს ბუნებრივად აგრძელებს „გმირული ბიოგრაფიების“ ხაზს. ამრიგად, როლანი იმთავითვე უპირისპირდება პროზაული არსებობის სამყაროს და ევროპის კულტურულ ტრადიციებში მოახდენს თავის არჩევანს.

ჟან-კრისტოფის პიროვნება ადამიანებთან ურთიერთობაში მტკიცდება. ადამიანებს კი იგი ბავშვობიდანვე უნიღბოდ ხედავს. თავის მდიდარ თანატოლებთან ჩხუბის სცენიდან დაწყებული ივი ომს გამოუცხადებს ადამიანის დამცირებას, უსამართლობას, უმწეობას, უხეშობას, შეზღუდულობას, ეგოიზმს, სილამაზის იგნორირებას,

ეს ერთი მხარეა კრისტოფის გრძნობათა აღზრდისა, მეორე არის ტანჯვა, შრომა, საკუთარი თავის იმედი, საკუთარ ძალებზე დაყრდნობა. ჟან-კრისტოფი სიღარიბეში იზრდება. მას ლუკმა პური ენატრება და მან იცის ფულის ფასი. ამიტომ შეიგნო მან მთელი თავისი არსებით ადამიანის ღირსება, და არასგზით არ დასთმობს მას.

განცდები აკაკებენ ჟან-კრისტოფის პიროვნებას. მძიმეა პატარა ბიჭისთვის სიკვდილის აღმოჩენა. ულმობელია გარემოცვა. კრისტოფისათვის არიადნას გორგალად მუსიკა იქცევა. ჟან-კრისტოფს ყველა საბაბი ჰქონდა, რომ მუსიკა შესძულებოდა: ძველი, გაცვეთილი პიანინო, მშიერ-მწყურვალი და გაყინული ბავშვისთვის იძულებითი დაკვრა. ჟან-კრისტოფს მაინც შეუყვარდა მუსიკა. მან საკუთარ თავზე გამოსცადა რომ ყოველივეს მიუხედავად ბევრი რამის გაკეთება შეიძლება.

ჟან-კრისტოფის როგორც ხელოვანის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელობა აქვს კომპოზიტორ ჰასლერთან შეხვედრებს. პირველად კრისტოფი კომპოზიტორს ბავშვობაში შეხვდა. მაშინ პროვინციულ ქალაქში ზეიმით მიღებული ჰასლერი ბავშვს ღმერთადაც კი ესახება, თუმცა კომპოზიტორის მიერ ნადიმზე წარმოთქმულ სადღეგრძელოში პატარა კრისტოფი არასასიამოვნო, ყალბ ნოტას იგრძნობს.

სიყალბე უფრო მეტად იჩენს თავს ჰასლერთან მეორე შეხვედრაზე, ბერლინში, სადაც ახალგაზრდა ჟან-კრისტოფი მაესტროს სამსჯავროზე წარმოუდგენს თავის ნაწერებს; ეს შეხვედრა გამოაშღავნებს იმ განსხვავებას, რომელიც ნამდვილ ადამიანსა და დამახინჯებული ბუნების ადამიანს შორის არსებობს. მდგომარეობისა და სახელის შარავანდედით მოსილი ჰასლერის წინ ჟან-კრისტოფს იმის შეგრძნება მატებს გაბედულებას, რომ იგი ნამდვილ საქმეს ემსახურება.

ჟან-კრისტოფის ნაწარმოებების ენერგია და სიმშვენიერე რამდენიმე წუთით ჰასლერსაც

გადაეცემა. და თუმცა ჟან-კრისტოფის მუსიკით გატაცებული ჰასლერის მშვენიერი სიშმაგე მხოლოდ რამდენიმე წუთს გასტანს და შემდეგ იგი კვლავ ჩაეფლობა თავის აპათიაში და „საღი გონების" პოციზიციებიდან აძლევს ახალგაზრდა კოლეგას რჩევა-დარიგებას, მაინც კრისტოფისათვის ეს მცირე დროც საკმარისია, რათა თავისი შემოქმედების ჭეშმარიტება ირწმუნოს. ამიერიდან ჟან-კრისტოფი გონივრულად დაადგება დიდი შემოქმედის გზას: რარიგ გულცივად არ უნდა შეხვდეს მსმენელი და ბრბო, ამიერიდან ჟან-კრისტოფი ეჭვის ძნელ წუთებში საკუთარ თავს დაეყრდნობა.

მუსიკის ერთგულება ჟან-კრისტოფის ერთგულების მარაგის მხოლოდ ერთი ნაწილია: დანარჩენს იგი მეგობრობასა და სიყვარულს სწირავს. ჭაბუკის ჩამოყალიბებაში მეგობრობა წინ უსწრებს სიყვარულს, მისთვის მეგობრობა ამ პირველ ეტაპზე (ნაწილობრივ შემდეგაც) აერთიანებს მეგობრობისა და ზოგიერთ სასიყვარულო სიმპტომს. ასე ხდება ოტო დინერთან, რომელიც ჟან-კრისტოფის ეჭვიანობასაც იწვევს. საქმე ისაა, რომ ჟან-კრისტოფი უაღრესად მ თ ლ ი ა ნ ი, მონოლითური პიროვნებაა, იგი დაუცხრომელია ცხოვრებაშიც და მუსიკაშიც.

მაგრამ ოტოსთან ურთიერთობა მალე ქარწყლდება, ვინაიდან ჟან-კრისტოფისათვის მთავარია ნ ა მ დ ვ ი ლ ი სიცოცხლე და არსებობა, ხოლო ოტოსათვის—მოჩვენებითი, გარეგნული, სარტრი იტყოდა, რომ ჟან-კრისტოფი აქტის, მოქმედების კაცია, ხოლო ოტო — მისი სუროგატისა, ე ს ტ ი ს ა. ოტოს რცხვენია გაუთლელი და მოურიდებელი მეგობრის გამო ბიურგერთა წინაშე, ეს კი ჟან-კრისტოფს ძალზე აღიზიანებს და იგი უფრო მოურიდებელი და ენამწარე ხდება.

ჟან-კრისტოფი მეამბოხეა, რემბოს ტიპის შემოქმედი. მას მეტი საქმე არა აქვს, ბურჟუას სიმშვიდეზე იზრუნოს. ამიტომ არაფრად ულირს დათანხმდეს ადასთან ერთად იაროს პროვინციული ქალაქის ქუჩებში, იქაური ჭორიკანების სამსჯავროზე გამოიტანოს მათი ტრფიალება, პატარა ქალაქში ნამდვილი პატარა სკანდალი გამოიწვიოს. ადას მხრიდან კი ეს კვლავ, სხვა ელფერის, მაგრამ მაინც ეესტია, რაც კრისტოფისათვის შინაგანად უცხოა. კრისტოფს ასეთი ბავშვური შექცევისათვის არცა სცალია, ვინაიდან მას ყოველი მხრიდან ნამდვილი ცხოვრება უტევს თავისი ნამდვილი პრობლემებით.

მინა დე კერიხისადმი გაცრუებული სიყვარულის შემდეგ ადა გახსნის კრისტოფში მის ხორციელ საწყისს, მაგრამ ჟან-კრისტოფს არასოდეს არ ძალუძს ხორციელის დონეზე დარჩეს და ამით დაკმაყოფილდეს, შემოიფარგლოს. ამიტომ იგი უკვე პასუხისმგებლობას გრძნობს (ესეც ერთ-ერთი თვისებაა, ბავშვობიდან რომ ჩაუნერგა ცხოვრებამ) და ცდილობს აამაღლოს მათი სიყვარული. ჟან-კრისტოფი ცდილობს დაარწმუნოს თავი, რომ მას უფრო უყვარს ადა, ვიდრე ეს სინამდვილეშია.

მით უფრო მტკივნეულია კრისტოფის დაცემა ამ ნახევრად ხელოვნურად აგებული ტაძრიდან, როდესაც იგი დარწმუნდება, რომ ადასთვის ეს მხოლოდ უზნეო გართობა იყო. კრისტოფის ილუზიების გაქარწყლებაში ბისი ძმა ერნსტიც არასახარბიელო როლს თამაშობს. კრისტოფი ასე ვერ მოიქცეოდა, იგი შინაგანად ზნეობრივია. ამ თვისებას, სხვა მრავალთან ერთად, იგი ნაწილობრივ თავის შრომით აღზრდას უნდა უმადლოდეს, ნაწილობრივ კი — თავის ბუნებას (ლოთი მამა და მოღალატე ძმაც ძმაც ხომ იგივე პირობებში ჩამოყალიბდნენ).

ამრიგად, ჟან-კრისტოფის პიროვნების ძირითადი თვისებების გამოკვეთა ბავშვობაში ხდება და მისი მაგალითი აღფრედ დე ვინის ნათქვამს ამართლებს: „წარმატებულია ის, ვინც შეგნებულ ასაკში ბავშვობის ოცნებებს ახორციელებს".

ბავშვობის მაფორმირებელი როლი სხვა პერსონაჟებისთვისაც უცილობელია. როგო-

რიც ბავშვობაში ხარ, ისეთივე იქნები მოზრდილი, ეუბნება მკითხველს როლანი: თუ ოტომ და მინამ ბავშვობიდანვე უმტყუნეს კრისტოფს, ისინი არც მოწიფულ ასაკში ივარგებენ (გაიხსენეთ მრავალი წლის შემდეგ ჟან-კრისტოფის შეხვედრის სცენები ოტოსთან და მინასთან). პირიქით, ოლივიე ჟანენი და მისი და ანტუანეტა ბავშვობიდანვე ნათელი ადამიანები არიან და ასეთებად დარჩებიან ბოლომდე, თუმცა აქაც ავტორი და-ძმას განასხვავებს: ანტუანეტა უ ს ა ს რ უ ლ ო დ პატიოსანი, მშრომელი და გულითადი ადამიანია, ოლივიეს კი — სუსტი, ნაზი, ფაქიზი და ზოგჯერ მდაბალი _ მიდრეკილებები აწუხებს. ანტუანეტა კრისტოფის მონათესავე სულია, მაგრამ ისიც და ოლივიეც უდროოდ ეცლებიან ხელიდან. ანტუანეტა მოკვდა და თავისი სისპეტაკე გადასცა ჟან-კრისტოფს.

ანტუანეტასა და ოლივიეს სიკვდილის შემდეგ ჟან-კრისტოფი კიდევ ერთ კეთილ მეგობარს დაკარგავს — გრაციას. კრისტოფი კვლავ მარტო რჩება, მაგრამ ეს სიმარტოე მოჩვენებითია: ყველა კეთილი ადამიანი (დედამისი, პაპა და სხვა და სხვა) კრისტოფის არსებობაში შევიდნენ, გაამდიდრეს იგი, კრისტოფად იქცნენ, რათა მისი ხელოვნების წყალობით სიცოცხლეს დაბრუნებოდნენ. აქაა საიდუმლოება იმისა, რომ კრისტოფი ა რ კ ვ დ ე ბ ა.

კრისტოფი-შემოქმედი ერთდროულად ცხოვრებასაც ეკუთვნის და ხელოვნებასაც. ამიტომ ცხოვრებაში ყოველივე ა რ ს ე ბ ი თ ი მას თავის მხარდაჭერას სთავაზობს, რათა რაინის შვილმა, კრაფტების სასოებამ ოლივიეს, ანტუანეტას, გრაციას განუხორციელებელი ოცნებები აღასრულოს. თითქოს ადამიანები თავიანთ სიკეთეს სწირავენ ჟან-კრისტოფს. ჟან-კრისტოფში თავმოყრილი მთელი ეს სიკეთე მას უფლებას აძლევს ბოროტებაზე ამაღლდეს, ვინაიდან ხელოვნების უპირველესი დანიშნულება არა სიძულვილია, არამედ სიკეთე, სილამაზე და ჰარმონია. თავისი ეპოპეის დასასრულს როლანმა უჩვენა მკითხველს მებრძოლი, ძლიერი და თავისუფალი სიკეთე

ჟან-კრისტოფის ამაღლებული და კეთილშობილი სული აახლოვებს მას ჟან ვალჟანთან. ორივე პერსონაჟს, ისევე როგორც ორივე ავტორს, ბევრი რამ აქვთ საერთო. ჟან ვალჟანიც და ჟან-კრისტოფიც ღარიბი ოჯახიდან არიან, ორივე საკუთარ შრომას ეყრდნობა, სიცოცხლის დასასრულს ორივე ქრისტიანულად ურიგდება კაცობრიობას. ორივე მარტოხელაა და სხვისი ბავშვების ბედნიერებაზე ზრუნავს. ორივე ფიზიკურად ძლიერია და კეთილი. ძალისა და სიკეთის გაერთიანება კი პოზიციის სიმტკიცეს მოითხოვს. შემოქმედების და სიკეთის სამსახურისთვის ჟან-კრისტოფს მუდამ იზიდავს ძალა და იგი მას ისეთივე აღფრთოვანებით მიმართავს, როგორც შატობრიანის რენე ამოვარდნილ ქარს: „ო ძალავ! ძალავ! ძალის უბედნიერესო ქუხილო!..“ ვიქტორ ჰიუგო და რომენ როლანი თავისი გმირებით გვიჩვენებენ, რომ სიკეთის, სამართლის და სილამაზის დანერგვას, შესაძლოა, მეტი ძალა სჭირდება, ვიდრე სიბოროტის გავრცელებას. ამ საკითხში როლანის პოზიციის დასადგენად არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მის დაპირისპირებას ნიცშესთან. ხანში შესული ჟან-კრისტოფი თავისი გამოცდილებისა და დაკვირვებიდან გამომდინარე წერს გრაციას: „ზარატუსტრების როლის ოამაში არაჯანსაღია“.

ჟან ვალჟანსა და ჟან-კრისტოფს კიდევ ერთი რამ აახლოვებს. მათი განდგომა პოლიტიკიდან და სოციალური ბრძოლებიდან. თუმცა სოციალური ბრძოლა ერთსაც და მეორესაც ჩაითრევს და ჟან ვალჟანი და ჟან-კრისტოფი სხვადასხვა დროს პარიზის ბარიკადებზე აღმოჩნდებიან. საოცარია მათი მსგავსება: ორივეს მიაჩნია, რომ ეს შეხლა-შემოხლა მათ არ ეხება. ორივეს თითო სუსტი არსება ყავს, ვიზეც უნდა იზრუნონს: ჟან ვალჟანს—მარიუსი, ჟან-კრისტოფს—ოლივიე. ორივეს მიაჩნია, რომ კაცობრიობის წინსვლა ადამიანთა

სულიერი სრულყოფის გზაზეა და არა სოციალურ ბრძოლებში. თუ ჟან-კრისტოფი მაინც ჩაებმება ბრძოლაში და მოწინააღმდეგეს მოკლავს, ეს მხოლოდ მისი ტემპერამენტის ბრალია და იგი პირველი ნაბიჯს თავის აბსურდულ საქციელს.

ამ დაახლოებაში არა ნაკლებ საგულისხმოა ის ენა, რომლითაც ჟან ვალჟანმა და ჟან-კრისტოფმა თავიანთი ავტორები აალაპარაკეს. „ავტორის საკუთარ ჩრდილთან დიალოგში" რომენ როლანი თითქოსდა უჩივის ჟან-კრისტოფს: მეტისმეტად გაბედულ აზრებს გამოთქვამ და ხალხი არ დავიმდურო. მაგრამ სხვანაირი ჟან-კრისტოფი ხომ წარმოუდგენელია: თავისუფალი ადამიანი თავისუფალი ენით ლაპარაკობს და თავის ნათქვამზე პასუხსაც აგებს.

რომენ როლანის სტილს ორი განზომილება ახასიათებს: კონკრეტულ-რეალისტური და სიმბოლურ-განზოგადებული. ამ თვისებითაც რომენ როლანი უახლოვდება „საბრალონის" ან „ოთხმოცდაცამეტის" პროზას. ვიქტორ ჰიუგოსთან შედარებით როლანი თითქოს უფრო თავშეკავებულია ემოციების გადმოცემაში. ჭკუის დარიგებაში, თუმცა ამ უკანასკნელზე უარს არ ამბობს. პირიქით, მორალიზაცია როლანის, ისევე როგორც ვიქტორ ჰიუგოს, ნიჭის ბუნებრივი მიდრეკილებაა ამიტომ აღწერილ ამბებს ყოველთვის გაორკეცებული მნიშვნელობა ენიჭება. მერიმეს ან სტენდალის რეალიზმთან შედარებით ეს სულ სხვა რეალიზმია.

მონტენის ან მონტესკიეს მოზაიკური პროზისაგან განსხვავებით, სადაც სხვადასხვა ლონალობის, მეტნაკლებად ქერმეტიული და თვითმყოფადი ერთეულები ნაწარმოების ერთიან შენობას აგებენ, როლანთან, ისევე როგორც სარტრთან, ვარიაციულ პროზასთან გვაქვს საქმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე მოტივებს მწერალი მრავალჯერ და სხვადასხვა გაშუქებით უბრუნდება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ რომანის პირველ წინადადებაში—„სახლს უკან მდინარის გუგუნი თანდათან მატულობს"—მთელი ნაწარმოების ჩანაფიქრი და შაელობა ირეკლება. ამ წინადადებაშივე წვდები ჟან-კრისტოფის მისწრაფებას სიცოცხლისა და ხელოვნების მწვერვალებისაკენ და უსმენ იმ გუგუნს, შეშოქმედის სულს რომ აავსებს და მუსიკად იქცევა.

ჟან-კრისტოფის თავისუფალი სულის თავგადასავალს რომენ როლანი აღფრთოვანებულ-ბუნდოვანი ფერწერითა და ბგერწერით გადმოგვცემს. რა თქმა უნდა, არც თავისუფლებაა თვითმიზანი, არც მდიდარი მრავალგანზომილებიანი პიროვნება. თავისუფლება პიროვნების ჩამოყალიბება-განმტკიცებას უწყობს ხელს, პიროვნება კი ღრმა, მრავალისმომცველი ბედნიერებისაკენ ილტვის. ჟან-კრისტოფიც დაუცხრომლად ბედნიერებას დაეძებს მთელი თავისი „ძალით, სიხარულით, სიამაყით აღსავსე პატარა არსებით". ამ ბედნიერებას როლანი ხან ღამის წყვდიადში მოცეკვავე სალამანდრით წარმოგვიდგენს, ხან უსაზღვრო ოცნებით, იმედით, სიცილით, გამუდმებული სიმთვრალით, უსახრულობით...

ჟან-კრისტოფის თავისუფლების დასაყრდენად ჩვენ ვახსენეთ მისი უკომპრომისობა. ეს უკომპრომისობა ჯერ კიდევ მაშინ ვლინდება, როდესაც პატარა ჟან-კრისტოფი უსამართლობას აუჯანყდება და სკოლაში სიარულზე უარს იტყვის, ხოლო როდესაც ხას იქ ძალით მიიყვანენ, თავის მოკვლას სცდის. სხვა დროს უკომპრომისობა იფეთქებს ხმამაღალ და გამომწვევ ხარხარში, რითაც ახალგაზრდა ჟან-კრისტოფი ეგებება მამაკაცთა გუნდს, რომელიც ბოხი ხმით გლეხი ეოგონას ნაზ სიმღერას ასრულებს. უკომპრომისობა გამოსჭვივის პარიზში ჩასული ჟან-კრისტოფის მსჯელობებში, იმ პირდაპირობაში, რითაც იგი ყოველგვარი დიპლომატიისა და ფრთხილი აწონ-დაწონის გარეშე უზიარებს თავის აზრს მწერალს, კომპოზიტორს თუ კრიტიკოსს. ამაო აღმოჩნდება იმ პირთა იმედიც, ვინც

ჟან-კრისტოფს უკვებს მუსიკას და პასუხად სამაგიეროს მოელის. ასეთი თამამი და გულუბრყვილო მოქმედებისაგან შედგება ჟან-კრისტოფის ყოველდღიური არსებობა.

ერთ-ერთი ამ სიტუაციათაგანი მსგავსია იმ სიტუაციისა, რომლითაც მოლიერის „მიზანთროპი" იწყება: დამსწრე საზოგადოება და ალესტის მეგობარი ფილენტიც უნიფო ნოლექსეს მის ახლახან შეთხზულ ლექსს უკვებენ. ამაში არავინ ხედავს დანაშაულს. არც რაიმე მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთ ქებას. იმას არ დარდობენ, რომ სიტყვა უფასურდება და სული სიყალბეს ეჩვევა. ჭეშმარიტების დამცველად მხოლოდ მიზანთროპი ალესტი აღიმართება. სიცრუის წინააღმდეგ მიმართულ მის დონ-კიხოტისეულ ჯანყს ვერავინ უგებს და მისი პირდაპირობა ქარის წისქვილთან შერკინებად იქცევა. ალესტისთვის არ არსებობს დიდი და პატარა სიცრუე, დიდი და პატარა ჭეშმარიტება მისთვის არსებობს სიცრუე და ჭეშმარიტება.

ასეთია ჟან-კრისტოფიც. იგი გულუბრყვილოდ მიწასთან ასწორებს დეპუტატ ამილ რუსენთან საუბარში მომღერალ ქალს და მის შეცვლას მოითხოვს, ის კი არ იცის, რაც მთელმა პარიზმა იცის: ეს ქალი რუსენის საყვარელია და ჟან-კრისტოფის ოპერის დადგმას რუსენმა მხოლოდ იმიტომ შეუწყო ხელი, რომ თავისი საყვარლის ახალი პარტია მოესმინა. ასევე დონ-კიხოტისა და ალესტის მემკვიდრედ გამოდის ჟან-კრისტოფი ადასთან სატრფიალო კოლიზიაში. და ბოლოს ჟან-კრისტოფი თვითონ აღიარებს თავის თავში მიზანთროპიისაკენ მიდრეკილებას. ჟაკლინას მოქმედებით გაოგნებული, ჟან-კრისტოფი წერს ოლივიე ჟანენს: „...სხვებთან ერთად ცხოვრებისათვის არა ვარ შექმნილი. არც ის ვიცი, თვით სიცოცხლისათვის თუ ვვარგივარ. მე იმისათვის ვარ შექმნილი, რომ ჩემს კუთხეში დავრჩე და მიყვარდეს ადამიანები — შორიდან, ასე უფრო გონივრულია. როდესაც მათ მეტისმეტად ახლოდან ვხედავ, მიზანთროპი ვხდები"

რარიგ ახლოა ეს სიტყვები ჟან-ჟაკ რუსოს ასჯერ სხვადასხვა ფორმით გამოთქმულ ანალოგიურ აზრთან! ისევე როგორც ჰიუგოსთან, რუსოსთან როლანს დაახლოვების მრავალი პუნქტი გააჩნია. რუსოს და როლანს აახლოვებს ბუნების კულტი, ჯანსაღი და ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის იდეალი, და ბოლოს—ერო სახეში ორი ხელოვნების თანამშრომლობა — ლიტერატურისა და მუსიკის.

„ჟან-კრისტოფის" მრავალი ფრაგმენტი მუსიკისა და რიტორიკის დაახლოვების ცდას წარმოადგენს. ფრანკული პროზის ისტორიაში ჟან-ჟაკ რუსო და რომენ როლანი ინ ტენდენციას წარმოადგენენ, რომლის ბრწყინვალე პარალელია პოეზიაში პოლ ვერლენის შემოქმედება. მუსიკოსის სულის ნატიანენი შეუძლებელი იყო ზუსტი, სკრუპულოზური, ფლობერისეული წერის მანერის დაცვა. ამიტომ რომენ როლანი შეუზღუდავად მისდევს თავის ჰარტისტულ მიდრეკილებებს და აქ თავს გრძნობს საკუთარ სტიქიაში. რომენ როლანი უმთავრესად მიმართავს ფართო ფენებს, ფერწერულ ზოლებს, ნიაღვრებს, ლაქებს, ფერთა შეჯამებას, საღებავების აღრევას, ნიუანსებს, უხვ გაშუქებას და იმპულსიურ ორკესტრირებას. რომენ როლანი კი არ წარმოგვისახავს დეტალებში აღდგენილი სინამდვილის სურათებს, კი არ გვამცნობს ბალზაკისეულ ნივთთა, ენსტოა, სიტყვათა, სახეთა, ნაკვთთა მრავალმნიშვნელოვან ალქიმიას, არამედ გადავყავართ გარკვეული განწყობილების, სულიერი მიდრეკილების, მშვენიერი პოეზიის, ადამიანური გრძნობების, ღირსების, სიდიადის, ჰუმანიზმის, სილამაზის, ოანაგრძნობის და შემოქმედის გაშმაგებული ძიების, აღმოჩენათა თვალწარმტაც სამყაროში, რომელსაც გულით უფრო ვწვდებით, ვიდრე გონებითა და თვალებით.

ცნობილია, რომ ჟან-ჟაკ რუსომ მწარედ უსაყვედურა მოლიერს მისი თეატრის ყველაზე კეთილშობილი ადამიანის —ალესტის—გამასხარავება და მაყურებლის წინაშე მისი სა-

საცილოდ გამოყვანა. ალსესტის სახეში რუსო` იმ პირდაპირობასა და უკომპრომისობას აფასებდა, მან რომ საკუთარი შემოქმედების დევიზად აქცია: „სიცოცხლე მიუძღვენ ჭეშმარიტებას". თუმცა რუსო არასამართლიანია მოლიერის მიმართ, აშკარაა, რომ როლანის მიერ მიზანთროპიის ფილოსოფიური პრობლემის გაშუქება უფრო ახლოა ჟენეველი მეოცნეების სულისკვეთებასთან, ვინაიდან ის გამორიცხავს იუმორისტულ-სატირულ ელემენტს და ადგილს უთმობს ლირიკულ-ჰვრეტით განდიდებას.

ცხადია ისიც, რომ ჟან-კრისტოფის სახე, თუკი იგი ალსესტისეულ ელემენტებს შეიცავს, მათ არ უდრის, არამედ მაღლდება მათზე, ისევე როგორც რაინი შეიცავს კიდევ სხვა ჟან-კრისტოფების შესაძლებლობას. ჟან-კრისტოფი მაღლდება ალსესტზე თ ა ვ ი ს ი დ ა დ ე ბ ი თ ი პროგრამით, შემოქმედებით, ადამიანურობით, მუსიკით. ადამიანთათვის სიხარულის მოტანის აუცილებლობა დაადლევინებს ჟან-კრისტოფს უღირს გარემოცვასთან კონფლიქტს, რომლის წინაშე მხოლოდ ნეგატიური ჯანყით შეპყრობილი ალსესტი უძლურია.

ამოსავალ წერტილში ალსესტისა და ჟან-კრისტოფის კეთილსინდისიერი ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ა თანაბარია. მაგრამ ჟან-კრისტოფის ხასიათის განვითარებაში და ალსესტის უძრაობაში ეს თავდაპირველი პროპორცია ირღვევა ზემოთ მოტანილი მიზეზით. არა მხოლოდ ნგრევის, არამედ აშენების პროცესში ჩაბმული ჟან-კრისტოფი გაცილებით მეტი ნებისყოფის ადამიანი ჩანს, ვიდრე ალსესტი.

ლესინგის სიკვდილი რომ შეიტყო, გოეთეს სინანულით უთქვამს: მისებრ ჭკვიანი ადამიანები გერმანიას სხვაც ჰყოლია, მაგრამ ასეთი ხ ა ს ი ა თ ი აბა სხვას ვის გააჩნიაო? ასეთი დაუცხრომელი ხასიათით ჟან-კრისტოფიც არის დაჯილდოებული. ამ დაახლოებას წიგნობრივ ასოციაციებს მივაწერდით, მისი აღმოჩენის პრიორიტეტის წართმევასთან ერთად რომენ როლანს რომ არ დაედასტურებინა მისი სისწორე: „თქვენს ხელოვნებას ნიჭი კი არ აკლია,—ეუბნებოდა კრისტოფი სილვენ კონს. — არამედ ხასიათი. თქვენ გესაჭიროებათ დიდი კრიტიკოსი, რომელიმე ლესინგი..."

თვითონ ჟან-კრისტოფი თავის ხასიათსა და ნებისყოფას ზნეობრივი დაცემულობის, სიმახინჯის, უგემურობის, ხელოვნებისა და ადამიანის დამდაბლების გამათრახებას ასმარს. ჩვენ არ შევჩერდებით „მოედანზე ბაზრობის" მამხილებელ სატირაზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ აღნაგობით სხვადასხვაგვარი, ანატოლ ფრანსის „პინგვინთა კუნძულის" ირონიული თხრობა და რომენ როლანის სერიოზულად აღშფოთება ერთმანეთს უწყდიან ხელს. ამის ხელშესახები დადასტურებაა ხელოვნებისმცოდნის ორი გროტესკული პორტრეტი, რომლებშიც ანალოგიური ხერხია გამოყენებული და თითქოს ერთსა და იმავე პიროვნებას წარმოადგენს. ანატოლ ფრანსი: „რათა შეევსო მისი დასუსტებული თვალის ჩინი, მისი წაგრძელებული, შესანიშნავი ტაქტით დაჯილდოებული ცხვირი გრძნობად სამყაროს შეისწავლიდა. ამ ორგანოთი ფულჟანს ტაპირი კონტაქტს ამყარებდა ხელოვნებასა და სილამაზესთან. შეიმჩნევა, რომ საფრანგეთში ყველაზე ხშირად, მუსიკალური კრიტიკოსები ყრუნი არიან, ხოლო ხელოვნებათმცოდნენი ბრმანი. ეს მათ შესაძლებლობას აძლევს სათანადოდ ჩაუფიქრდნენ ესთეტიკურ იდეებს". რომენ როლანი: „მეორე იყო მუსიკალური კრიტიკოსი, თეოფილ გუეარი. ამ უკანასკნელს— (ეს უფრო მარტივი იყო)—არც ესმოდა და არც უყვარდა მუსიკა; მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მასზე ელაპარაკა: ვინაიდან მათთვის სულ ერთია, მუსიკაზე რასაც იტყვიან".

სიყალბისა და სიცრუის უკუდებაში ჟან-კრისტოფს მისი ჯ ა ნ ხ ა ღ ი ბ უ ნ ე ბ ა შველის. ჟან-კრისტოფი წმინდაა და ერთგული ადამიანებთან ურთიერთობაში: მეგობრობაშიც, სიყვარულშიც. ჟან-კრისტოფი სიყვარულის სხვადასხვა გრადაციას განიცდის ანა ბრაუნსადმი ხორციელი სიყვარულიდან დაწყებული გრაციო ბუონტემპის პლატონიურ სი-

ყვაოელაბდე, მაგრამ მისთვის მუდამ უცხოა ადიულტერით დატკბობა, სისხლის აღრევისა თუ სხვა პათოლოგიური მიდრეკილებების ანალიზი. ჟან-კრისტოფი მათ უბრალოდ ყურადღების ღირსად არ სცნობს. იგი ძალდაუტანებლად ინახავს თავის ადამიანურობას ჯანსაღ თანასწორობაში. არ იქნებოდა ინტერესს მოკლებული ამ მრავალგზის განმეორებული მოტივის დაპირისპირება ფროიდისტული ფსიქოანალიზის შემოქრასთან დასავლურ ხელოვნებაში. დასახავს რა რამდენიმე სტრიქონში ბ-ნი ლანეეს ქვეცნობიერ დამოკიდებულებას თავისი ქალიშვილისადმი, როლანი იქვე დასძენს: „გულის ამ საიდუმლოებაში არის ჩრდილი და სხივი, რომელთა არცოდნა ჯანსაღია". ამრიგად, რომენ როლანი შეგნებულად იქა სვამს წერტილს, საიდანაც დაიწყებდა თხრობას ჯოისი ან სარტრი.

ამ კონტრასტს აგვირგვინებს „ჟან-კრისტოფის" დაპირისპირება თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსთან". ეს ორი ნაწარმოები თითქოს ერთი მედლის ორ მხარეს ასახავს აქაც და იქაც მუსიკოსის ხვედრია გაშუქებული, შემოქმედებისა და საერთოდ ცხოვრების პრობლემა. ჟან-კრისტოფიც და ადრიან ლევერკიუნიც გერმანელი კომპოზიტორებია, მხოლოდ რამდენიმე ათეული წლით არიან დაშორებულნი, მაგრამ ისინი ანტიპოდები არიან. ჟან-კრისტოფი სიცოცხლის, სიხარულის, გამარჯვების სახეა, ლევერკიუნი — დამლის, ტანჯვის, დამარცხების... დაპირისპირების საქმეს საერთო პოსტულატი გვიადვილებს: ბეთჰოვენი. ჟან-კრისტოფი ბეთჰოვენის ტიპის მოღვაწეა, ადრიან ლევერკიუნი კი ანტიბეთჰოვენია აქედან გამომდინარეობს ყოველივე: ლევერკიუნისთვის — Haetera Esmeralda ჟან-კრისტოფისთვის ანტუანეტა, ანა, გრაცია; ლევერკიუნისთვის—თანასკოლელი ცაიტბლომი, რომელსაც იგი ცივად თქვენობით მიმართავს, ჟან-კრისტოფისთვის — მისი ძმობილი ოლივიე ჟანენი, ლევერკიუნისთვის — შემოქმედებითი მარცხი და საშინელი დასასრული, ჟან-კრისტოფისათვის საერთაშორისო აღიარება, მისი მუსიკის ნაყოფიერი შერწყმა სამყაროსთან, ჟან-კრისტოფების უკვდავება. ლევერკიუნისთვის — ჯოჯოხეთი, ჟან-კრისტოფისთვის — სამოთხე ერთი დამახასიათებელი შტრიხი: ლევერკიუნი ბრბოსაგან განზე დგას, ნაცნობებისათვის ხელის ჩამორთმევას ერიდება ჟან-კრისტოფს მიაჩნია, რომ „ბრბოსათვის ანგარიშის გაწევა ჯანსაღია" და მას სიამოვნებს კეთილი ადამიანის ხელის სითბოიგრძნოს თავის ხელში.

ფაქტიურად, ადრიან ლევერკიუნი ანტიფაუსტური ხასიათია, ჟან-კრისტოფი კი — ფაუსტური. ამას თვითონ რომენ როლანი ამბობს: „სიცოცხლე! მთელი სიცოცხლე! ყველაფერი ნახო და ყველაფერი შეიცნო... ჟან-კრისტოფმა ზურგი მიუბრუნა დოქტორ ვაგნერებს, რომლებიც თავიანთ კოლბებს დასტრიალებენ, რათა, წარმოშვან რომელიმე ჰომუნკულუსი ბოთლში, გაექცა ფრანგულ მუსიკას და სცადა გასცნობოდა პარიზული საზოგადოების ლიტერატურულ წრეებს".

ყოვლისმომცველ ცნობისმოყვარეობასთან ერთად ჟან-კრისტოფმა ფაუსტისაგან ისესხა მისი დაუცხრომელი ბ რ ძ ო ლ ი ს პათოსი. ფაუსტივით, ჟან-კრისტოფიც ყოველდღე საბრძოლველად გადის. კრისტოფისთვის, ისევე როგორც ფაუსტისთვის, თავისუფლების ღირსია მხოლოდ ის, ვინც ბრძოლითა და შრომით მოიპოვებს მას. ოლივიესა და ეკლინას ოჯახური უძნხმობით აღშფოთებული ჟან-კრისტოფი ფიქრობს: „ვინ წაართმევს მათ ხიდიდრეს, ჯანმრთელობას, ყველა ამ შესანიშნავ საბოძვარს, რომელთა ღირსი ისინი არ არიან! ვინ მოაქცევს კვლავ ნამდვილი სიღარიბისა და შრომის უღელქვეშ ამ მონებს, რომლებსაც არ ძალუძთ იყვნენ თავისუფალნი, რომლებსაც საკუთარი თავისუფლება აშინებს!"

საერთოდ გოეთეს სახელის და შემოქმედების შემოჭრა „ჟან-კრისტოფში" გარდაუვალი იყო, თუკი ჟან-კრისტოფი ასახავს ყოველივე საუკეთესოს გერმანულ სულში. გარდა ამისა,

გოეთე შინაგანად აბლობელი შემოქმედია როლანისათვის და მისი სახელი, სახეები და აზრები ხშირად გვხვდება ნაწარმოებში

ჟან-კრისტოფი, ფაუსტური სახე, ძლიერი და გაფურჩქნილი პიროვნება, უაირისპირდება ჰოლ ვალერის ფაუსტის მიერ აღნუსხულ ახალ დროთა ტენდენციას: „ინდივიდუუმი ,,ცდება. იგი რიცხვში იძირება: სხვაობანი ქრება არსებათა გამრავლებასთან ერთად".

ჟან-კრისტოფი ზოგჯერ როლანისთვის ისეთივე საბაბად იქცევა, როგორც ჩაილდ-ჰაროლდი ბაირონისათვის და. რომანტიკოსი პოეტის მსგავსად, როლანიც აქა-იქ საკუთარ თავს აიგივებს თავის გმირთან. რომენ როლანივით ჟან-კრისტოფიც წერილს სწერს ლევ ტოლსტოის; არაიშვიათია წიგნში შემდეგი ტიპის წინადადებები: „კრისტოფი ფიქრობდა, როგორც მუსორგსკი", „კრისტოფი ფიქრობდა, როგორც გოეთე..."

და ბოლოს „ჟან-კრისტოფს" კიდევ ერთი განზომილება თანმიმდევრულად მისდევს თავიდან ბოლომდე: ეს არის დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" ანარეკლი შუქი. ბალზაკმა ისესხა სათაურის მეორე კომპონენტი, როლანმა— პირველი, მკითხველთა მიერ მიმატებული, რათა ღვთაებრივის ეპითეტით განესაზღვრა განუსაზღვრელი — მუსიკა. დანტეს ტერცინებს როლანი ნაწარმოების თითქმის ყველა ნაწილში იშველიებს. ჟან-კრისტოფის ცხოვრების გზა გარკვეულ ანალოგიას წარმოადგენს ფლორენციელის პოემის წრისებრ კომპოზიციასთან მაშინ „ბაზრობას მოედანზე" „ჯოჯოხეთის" როლი აკისრია, „ალმოდებულ მაყლოვანს"—„სალხინობელისა", ხოლო დასკვნით დღეს — „სამოთხესი". ახალ მნიშვნელობას ფიიღებს რომანის უკანასკნელი ნაწილი — როგორც წრისებრი განვითარების ბოლო ფაზა და არა დამამცირებელი, კომპრომისული შერიგება, რომელიც ჟან-კრისტოფის ხასიათს არ უდგება: მან ბრძოლით და თავისი წვლილით დაიმსახურა ეს შესვენება, მაგრამ იგი აღსდგება, თავისუფალი და ძლიერი ახალი ბრძოლებისათვის.

გასტონ ბუაჩიძე

ყველა ერის თავისუფალ სულებს, რომელნიც
იტანჯებიან, იბრძვიან და გაიმარჯვებენ.

Dianzi, nell'alba che precede al giorno
Quando l'anima tua dentro domia
Purg. IX

გარიჟრაჟისა მიწევამდის, ბინდისა პირზე,
როდესაც შენში სული თვლემდა ძილმორეული.
სალხინებელი, IX.

ნაწილი პირველი

Come, quando i vapori umidi e spessi
A diradar cominciansi, lá spera
del sol debilemente entra per essi...

Purg. XVII

როს ნესტიანი, მღვრიე ორთქლი იწყებს
ადგომას,
მერმე ნელ-ნელა იფანტება შემოგარენში,
რა მზისა სფერო შეუყენებს სხივებს
ჩქერალებს...

Sადხინებელი, XVII

სახლს უკან მდინარის გუგუნი თანდათან მატულობს. წვიმა დილიდან უშხაპუნებს ფანჯრებს. კუთხეში გაბზარულ, შეორთქლილ მინას წყლის წვეთები დასდის. მკრთალი დღე იქნება. დახუთულ ოთახში თითქო სიცოცხლე ჩამკვდარა.

ახალშობილი ტოკავს აკვანში. მოხუცმა ხის ქოშები შემოსასვლელთან დატოვა, მაგრამ იატაკი მაინც ჭრაჭუნებს. ბავშვმა წამოიტირა. დედა აკვანზე დაიხარა, რომ დაამშვიდოს ჩვილი. პაპა ხელისცეცებით ანთებს ლამპას, პატარას გაღვიძებისას სიბნელისა არ შეეშინდესო. ალი აშუქებს მოხუცი ქან-მიშელის მწითურ, დაღვრემილ სახეს, ჭაღარა ჯაგარ წვერს და ცოცხალ თვალებს. იგი აკვანთან მიდის. მისი მოსასხამი სველია; დიდ ლურჯ ფლოსტებს იატაკზე მიაფრატუნებს. ახლოს ნუ მოხვალო, ანიშნებს ლუიზა. ლუიზას ქერა, თითქმის თეთრი თმა აქვს და გამხდარი ნაკვთები. კრავივით უმანკო სახეზე ჭორფლი აჩნია. მსხვილ, უფერულ და ოდნავ გაპობილ ტუჩებზე მორცხვი ღიმილი დასთამაშებს. იგი ბავშვს არ აცილებს ძალზე ცისფერ და დაბინდულ, წერტილებივით პატარა, მაგრამ უსაზღვროდ ნაზ თვალებს.

ბავშვი იღვიძებს და ტირის. მღვრიე თვალში შიში ჩადგომია. რა საშინელებაა! — წყვდიადი და ლამპის ელვარე სინათლე; ქაოსიდან ძლივს გამოხსნილი გონება და უცნაური სახეები. ირგვლივ მოფუთფუთე უსაზღვრო მრუმეა. უეცრივ თვალისმომჭრელი სინათლის ჭავლებივით გამოიყოფა მკვეთრი შეგრ-

ძნებები, ტკივილი და მოჩვენებანი. მისკენ დახრილი უზარმაზარი სახეები, დაჟინებით მჭვრეტელი თვალები. ვერ გაუგია. რა ამბავია მის თავს: ყვირილი არ ძალუძს, შიში იპყრობს; პირი და თვალები დაუღია, ძლივსღა სუნთქავს. დიდი, შეშუპებული სახე საწყალობლად და სასაცილოდ ეღმიჭება, სახისა და ხელების მოიისფრო, მოწითალო კანი ყვითელი ლაქებით აჭრელებია.

— ღმერთო! რა მახინჯია! — უცილობელი კილოთი თქვა მოხუცმა.

იგი შებრუნდა და ლამპა მაგიდაზე დადგა. ლუიზამ დატუქსული გოგონას სახე მიიღო. ჟან-მიშელმა ცერად გადახედა და გაიცინა:

— იმას ხომ ვერ გეტყვი, ლამაზია-მეთქი? შენ თვითონ არ დამიჯერებდი. არა უშავს, რა შენი ბრალია, ყველანი ეგეთები არიან.

ბავშვი გამოერკვა იმ გარინდებიდან, ლამპის ალმა და მოხუცის მზერამ რომ ჩააგდო. ტირილი მორთო. შესაძლოა გუმანით იგრძნო დედის წამქეზებელი თვალების ალერსი. დედამ მოხუცისაკენ გაიშვირა ხელები და უთხრა:

— მომეცით ბალღი.

მოხუცმა ჩვეულებისამებრ დარიგება წამოიწყო:

— ბავშვის ტირილს ყურადღება არ უნდა მიაქციო. თავი დაანებე, იტიროს.

აკვანთან მაინც მივიდა, აიყვანა ხელში პატარა და ჩაიბუზღუნა:

— ღმერთო დიდებულო, რა მახინჯია!

ლუიზა ხარბად წაეტანა ბავშვს და მკერდში ჩაიკრა. დარცხვენილი და აღტაცებული ღიმილით დაჰყურებდა პატარას.

— ო, ჩემო საბრალო ბიჭო, — თქვა შეცბუნებულმა ქალმა, — რა უშნო ხარ, რა უშნო და, როგორ მიყვარხარ!

ჟან-მიშელი ცეცხლს მიუბრუნდა და ბუზღუნ-ბუზღუნით შეუკეთა, თუმცა ტუჩებზე ღიმილი მაინც აჩნდა და ეს სულ არ ეთანხმებოდა მის პირქუშ ხერს.

— მაგას ნუ ჯავრობ, ჩემო კარგო, — თქვა მოხუცმა, — გაივლის დრო და შეიცვლება. თანაც ამას რა მნიშვნელობა აქვს. რაც მაგ ბალღს მოეთხოვება, ესაა, კარგი ადამიანი დადგეს.

ბავშვი დედის თბილი მკერდის შეხებამ დაამშვიდა. ისმოდა, როგორ ხარბად სწოვდა ძუძუს. ჟან-მიშელი სკამის საზურგეს მიეყრდნო და საზეიმოდ განაცხადა:

— პატიოსან კაცს არა სჯობია რა!

იგი წუთით შეყოყმანდა, ხომ არ განვავითარო ეს აზრიო, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ გაჯავრებული ხმით იკითხა:

— შენი ქმარი სადაა, რატომ შინ არ არის?

— მგონი თეატრშია, — მორიდებით მიუგო ლუიზამ, — რეპეტიცია აქვს.

— თეატრი დაკეტილია, მე გამოვიარე. ტყუილი უთქვამს.

— ნუ გაკიცხავთ! ცუდად თუ გავიგონე. ალბათ გაკვეთილზე შეყოვნდა.

— აქამდე მაინც უნდა მოსულიყო, — თქვა მოხუცმა უკმაყოფილოდ. მერე თითქოს რაღაცის შერცხვაო, უფრო ხმადაბლა ჰკითხა: — რაო, ისევ ხომ არ სვამს?..

— არა, მამა, არა. — სწრაფად მიუგო ლუიზამ.

მოხუცმა შეხედა. ქალმა თვალი აარიდა.

— ეგ მართალი არაა, ცრუობ.

ლუიზა ჩუმად აქვითინდა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მოხუცმა და ფეხი დაჰკრა კერას. ასტამი ხმაურით ჩამოვარდა. დედა-შვილი შეკრთა.

— მამა, გევედრებით, — უთხრა ლუიზამ, — ბავშვი ისევ ატირდება.

პატარა რამდენსამე წამს ყოყმანობდა ვიტირო თუ ძუძუ ვწოვოო. რადგან ერთსა და იმავე დროს ერთიცა და მეორეც არ შეეძლო — ისევ წოვა ამჯობინა.

ეან-მიშელმა უფრო ყრუ და ფიცხი ხმით განაგრძო:

— რა დავაშავე ისეთი, ღმერთო, რომ ლოთი შვილი მომეცი! მთელი ჩემი ცხოვრება მაგას შევწირე, ჩემთვის ვერაფერს ვიმეტებდი. ღირდა განა? შენ მაინც რატომ ვერ მოაშლევინე ლოთობა? ეგ ხომ შენი საქმეა, დასწყევლოს უფალმა. რატომ კერას ვერ მიაჯაჭვე?

ლუიზა უფრო აქვითინდა.

— ნუ მიწყრებით, ისეც უბედური ვარ! ყველაფერი ვიღონე, რაც კი შემეძლო. რომ იცოდეთ, როგორ მეშინია, როცა მარტო ვარ. სულ მეჩვენება, თითქოს მისი ფეხის ხმა მოისმის; ველი კარის გაღებას და ერთ ფიქრსა და წყვეტებაში ვარ: ღმერთო, რანაირად მოვა-მეთქი. ამ ფიქრმა ავად გამხადა.

ქალი ქვითინისაგან სულს ძლივს ითქვამდა. მოხუცი შეწუხდა, მიუახლოვდა, ათრთოლებულ მხრებზე საბანი გაუსწორა და ალერსით გადაუსვა თავზე უხეში ხელი.

— კარგი, კარგი, ნუ გეშინია, მე აქა ვარ.

ლუიზამ თავი შეიკავა, რათა პატარა არ შეეწუხებინა და გაღიმებაც კი სცადა:

— არაფერი არ უნდა შეთქვა თქვენთვის.

მოხუცმა თავი გააქნია.

— ჩემო საბრალო გოგონა, კარგი საჩუქარი ვერ მოგიძღვენი.

— ეგ ჩემი შეცდომის ბრალია, — თქვა ქალმა, — მასაც ცოლად არ უნდა შეეერთე. ახლა კი ნანობს.

— რას ნანობს?

კარგად იცით; რასაც ნანობს. თქვენც არ გინდოდათ, რომ ცოლად შეეერთე.

— ეგ ოაღა სალაპარაკოა. მართალია, ცოტათი გაბრაზებული ვიყავი საწყენად ნუ მიიღებ და ჩემი შვილისთანა ვაჟკაცს, გამოჩენილ არტისტს, განათლებულ მუსიკოსს — მაგის აღზრდაზე თავი არ დამიზოგავს — შეეძლო უკეთესი ცოლი შეერთო. შენ დაბალ წრეს ეკუთვნოდი, მზითევიც არ გქონდა და მუსიკისაც არაფერი გაგეგებოდა. კრაფტის გვარის კაცს რომ მუსიკის ნიჭს მოკლებული ცოლი შეერთოს, ასეთი შემთხვევა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არ ყოფილა! მაგრამ კარგად იცი, თუმცა რძლად არ მინდოდი, როცა ახლოს გაგიცანი, შეგიყვარე. ერთი სიტყვით, რაკი არჩევანი ერთხელ მოხდა, საჭირო აღარაა ბევრი თავის ტეხა. მოვალეობა კაცმა პირნათლად უნდა აღასრულოს — მორჩა და გათავდა!

მოხუცი კერას მიუბრუნდა და დაჯდა; ერთხანს დუმდა, შემდეგ საზეიმო კილოთი წარმოთქვა, თითქოს აფორიზმს ამბობდა:

— ცხოვრებაში უმთავრესი მოვალეობის აღსრულება არის.

ერთხანს დაელოდა შეპასუხებას, მაგრამ რაკი არც დედა და არც შვილი ხმას არ იღებდა, თვითონაც გაჩუმდა; თუმცა ლაპარაკი კი უნდოდა.

მეტი სიტყვა არ უთქვამთ. ორივენი — ცეცხლის პირას მჯდარი ჟან-მიშელი და ბალიშებზე მიწოლილი ლუიზა — თავიანთ მწუხარე ფიქრებს მისცემოდნენ. ვაჟის ქორწინებაზე ახლახან ნათქვამის მიუხედავად, მოხუცს მწარე ფიქრები აშლოდა. ლუიზაც ამას ფიქრობდა, თავს სდებდა ბრალს, თუმცა სასაყვედურო არა ჰქონდა რა.

ლუიზა შინამოსამსახურედ იდგა ერთ ოჯახში, როცა ცოლად გაჰყვა მელქიორ კრაფტს, ჟან-მიშელის შვილს. ეს ყველას გაუკვირდა, სხვათა უმეტეს თვითონ ლუიზას. კრაფტები ხელმოკლენი იყვნენ, მაგრამ რაინისპირა პატარა ქალაქში, სადაც მოხუცი თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ დასახლებულიყო, პატივისცემით სარგებლობდნენ. ისინი შთამომავლობით მუსიკოსები იყვნენ და მთელ რაინზე, კელნიდან ვიდრე მანჰაიმამდე, სახელი გაეთქვათ. მელქიორი ვიოლინოზე უკრავდა Hof-theater-ში[1], ხოლო ჟან-მიშელი ჰერცოგის სასახლეში ოდესღაც კონცერტებს დირიჟორობდა. მოხუცი მწარედ შეურაცხყო მელქიორის ქორწინებამ. იგი დიდ იმედს ამყარებდა შვილზე: ისეთი დიდებული

[1] კარის თეატრი.

კაცი სურდა გამოეყვანა, როგორიც თვითონ ვერ გახდა. ამ ქორწინებამ დაამსხვრია მისი პატივმოყვარე ზრახვები. ამიტომ პირველად გაშმაგდა, წყევლიდა მელქიორსა და ლუიზას. მაგრამ კეთილი იყო და მიუტევა რძალს, როცა კარგად გაიცნო; მშობლიური გრძნობაც კი გაუჩნდა ლუიზასადმი, რასაც უფრო ხშირად უკმეხი ბუზღუნით გამოხატავდა.

ვერავინ მიხვდა, რამ აიძულა ჟან-მიშელის ვაჟი დაქორწინებულიყო, თვითონ მელქიორს ხომ ყველაზე ნაკლებად ესმოდა ეს. ცხადია, ლუიზას სილამაზეს არ მოუხიბლავს. არაფერი ჰქონდა ქალს მიმზიდველი: პატარა ტანის, ფერმკრთალი და სუსტი იყო: წარმოსადეგი, მაღალი, ლოყაწითელი, ღონიერი, ჭამა-სმის მოყვარული, მხიარული და დოღრიალა მელქიორისა და ჟან-მიშელის მიმართ ქალი თავისებურ კონტრასტს წარმოადგენდა. მათ გვერდით იჩრდილებოდა. ისედაც ვერავინ ამჩნევდა და თვითონაც ცდილობდა მორიდებოდა ხალხის თვალს. მელქიორი რომ დიდბუნებოვანი ყოფილიყო, კაცი იფიქრებდა, სხვათა ბრწყინვალე გარეგნობას ლუიზას გულუბრყვილო სიკეთე ამჯობინაო, მაგრამ მელქიორი ცარიელი პატივმოყვარეობა იყო და ვინ იფიქრებდა, რომ ეგეთი ყაიდის ახალგაზრდა, სანდომიანი გარეგნობის პატრონი (ეს თავადაც იცოდა), მცირე ნიჭითაც ცხებული და თანაც ქარაფშუტა, მოულოდნელად შეირთავდა ღარიბ, უმეცარ და ულამაზო ქალს, თუმცა კი შეეძლო მზითვიანი საცოლე შეერთო და იქნება მდიდარი მოწაფე ქალიშვილისათვისაც შეეყვარებინა თავი (ასეთები ხშირად დაუკვეხნია).–

მელქიორი ერთი იმათგანი გახლდათ, რომლებიც ყოველთვის იმის საწინააღმდეგოს სჩადიან, რასაც სხვები მათგან მოელიან ან რასაც თვითონ მოელიან საკუთარი თავისაგან. განა გამოცდილება აკლიათ? არა. ცხოვრებას გამოუწვრთნია ისინი და ნათქვამია: ერთი გაწვრთნილი ორი გაუწვრთნელის ფასიაო... ისინი ფიქრობენ, ვერაფერი მოგვატყუებს და ჩვენი ხომალდი ზუსტად დანიშნულ ადგილას მიგვყავსო. მაგრამ ცდებიან, რადგან საკუთარ თავს არ იცნობენ. სულიერი გამოფიტულობა ეწვეოთ ხოლმე და საჭეს თავს ანებებენ. თავის ნებაზე მიშვებული საგნები პატრონის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ და ამით ბოროტ სიამოვნებას პოულობენ. უმესაჭეო ხომალდი პირდაპირ წყალქვეშა კლდეებს ეხეთქება — და მელქიორმა მზარეული ქალი შეირთო. თუმცა დაქორწინების დღეს არც მთვრალი ყოფილა და არც სიყვარულისაგან აღტაცებული. სიყვარული აქ არაა სახსენებელი. ეტყობა, გულისა, ცნობისა და გონების გარდა, რაღაც სხვა იდუმალი ძალები განაგებენ ჩვენს ბედისწერას: და ნებისყოფის მიძინების ჟამს მეუფება მათ ეკუთვნით. შეიძლება სწორედ ეს იდუმალი ძალები დაინახა მელქიორმა ამ უბრალო ქალის ნათელ თვალებში,

კდემით რომ უმზერდნენ იმ საღამოს, როცა მდინარის პირას შეხვდა და ლელიანში — ღმერთმა უწყის, რად — სთხოვა, ცოლად გამომყევიო.

დაქორწინდა თუ არა, თავისმა ნამოქმედარმა შეაძრწუნა. ეს ლუიზასათვის არ დაუმალავს. საწყალი ქალი მორჩილად სთხოვდა პატიებას. მელქიორი ავი არ იყო და ადვილად აპატიებდა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ კვლავ სინანული დაეუფლებოდა, როცა მეგობართა შორის იყო ან მდიდარ მოწაფე ქალებთან. ახლა რომ აბუჩად იგდებდნენ და კვლავინდებურად აღარ თრთოდნენ, როცა მელქიორი კლავიშებზე თითებს შეუსწორებდა და ხელს შეახებდა ხოლმე. მაშინ იგი ბრუნდებოდა პირმოქუშული; ლუიზა თვალის მოკვრისთანავე ჩვეულ საყვედურებს კითხულობდა იმის სახეზე. ხან დუქანში შეაგვიანდებოდა, იქ ღვინოში პოულობდა თვითკმაყოფილებასა და სხვათა შეწყნარებას; მაშინ მხიარული სიცილით ბრუნდებოდა შინ, რაც ფარულ სიძულვილსა და გადაკრულად ნათქვამზე მეტად აწუხებდა ლუიზას. იგი ცოტათი თავის თავსაც სთვლიდა დამნაშავედ ქმრის უგუნურ ქცევაში; ოჯახის ქონებასთან ერთად მელქიორი კეთილგონიერების ნატამალსაც ჰკარგავდა; დღითი დღე ჭაობში ეფლობოდა. ამ ხნის კაცმა, რაკი საშუალო ნიკის პატრონია, დაუღალავად უნდა იმუშაოს და წინ წავიდეს. მელქიორი კი დაღმართს დაუყვა — სხვები იჭერდნენ მის ადგილს.

მაგრამ რა ესაქმებოდა ამასთან იმ შეუცნობელ ძალას, რამაც მელქიორი სელისთმიან მოახლესთან დააკავშირა? მან აღასრულა თავისი როლი და პატარა ჟან-კრისტოფმა შემოდგა ფეხი ამ მიწაზე.

ღამე ჩამოწვა. ლუიზას ხმამ გამოარკვია მოხუცი ჟან-მიშელი, რომელიც ბუხართან გაოგნებული იჯდა და გარდასულ თუ აწინდელ დარდს ჩაფიქრებოდა.

— მამა, გვიანაა, — თქვა ალერსიანად ახალგაზრდა ქალმა, — უნდა წახვიდეთ. შორი გზა გაქვთ გასავლელი.

— მელქიორს დავუცდი, — მიუგო მოხუცმა.

— ნუ. გევედრებით, უმჯობესი იქნება, თუ არ დარჩებით.

— რატომ? — მოხუცმა თავი ასწია და ყურადღებით შეხედა რძალს.

ქალმა არ უპასუხა.

მოხუცმა განაგრძო:

— გეშინია? არ გინდა, რომ შემხვდეს?

— დიახ, ეს კარგს არას მოიტანს, ჩხუბი მოგივათ. არ მინდა, გევედრებით, წადით!

მოხუცმა ამოიხვნეშა, ადგა და თქვა:

— კეთილი.

მიუახლოვდა ლუიზას და თავისი უხეში წვერით შუბლზე შეეხო. შემდეგ ჰკითხა, ხომ არაფერი გეირდებაო და ლამპას დაუწია: მოხუცი გასვლისას სკამს დაეჯახა. კიბეზე რომ გამოვიდა, შეჩერდა, წარმოიდგინა, როგორ დაბრუნდებოდა შინ უგონოდ მთვრალი შვილი. თუ არ მივხედე, ამას შეიძლება ათასი უბედურება მოჰყვესო, გაიფიქრა და ფეხი შეანელა.

საწოლში, დედის გვერდით, ისევ ატოკდა ბავშვი. რაღაც შეუცნობელი ტკივილი წამოიზარდა მისი არსების სიღრმიდან. იგი გაუჯიუტდა ტკივილს. ტანი დაგრილა, ხელები მომუჭა, წარბები მოკუმეხნა, მაგრამ აბეზარი, თავისი ძალის მოიმედე ტკივილი თანდათან მატულობდა. პატარამ არ იცოდა, რა იყო ეს და სადამდე გასტანდა. უსაზღვრო და უსასრულო მოეჩვენა და საცოდავად ატირდა. დედა ნაზი ხელებით მოეფერა ტკივილი დაუყუჩდა, მაგრამ ბალღი ისევ ტიროდა: გრძნობდა, ტკივილი კვლავ სადღაც იქვე იყო, ჯერ არ დახსნოდა. მოზრდილს, რაკი ტკივილის წყარო იცის, ტანჯვა უმსუბუქდება: აზრით ჩაკეტავს ხოლმე მას თავისი სხეულის რომელიმე ნაწილში, რომელიც შეიძლება განიკურნოს ან, თუ საჭიროა, მოიკვეთოს. მოზრდილი ტკივილს შემოფარგლავს და თვითონ განზე გადგება. ბალღს არ გააჩნია ეს მატყუარა საშუალება. მისი პირველი შეხვედრა ტკივილთან უფრო ტრაგიკული და რეალურია. იგი ისევე უსაზღვრო ჰგონია, როგორც თავისი არსება; ტკივილი მის გულ-მკერდშია მოკალათებული, მთელ სხეულშია გაბატონებული და ვიდრე სავსებით არ გამოღრღნის, არ მოეშვება.

დედა მკერდში იკრავს პატარას და ეტუტუნება უაზრო, ალერსიან სიტყვებს:

„მორჩა, მეტს ნუ ვიტირებთ, ჩემო ანგელოზო, ჩემო პატარა ოქროს თევზო“...

ბავშვი ხანდახან ხვნეშის, თითქოს ეს საწყალობელი, ფორმასა და შეგნებას მოკლებული პაწაწინა სხეული წინასწარ გრძნობს, რა მწუხარებით აღვსილი ცხოვრება მოელის, და ვერაფერი ამშვიდებს....

უეცრად წმიდა მარტინის ეკლესიის ზარები ამღერდნენ. ნაწვიმარ ჰაერში ისე ყრუდ გაისმოდა ეს გაბმული ხმა, თითქოს ხავსზე მოაბიჯებენო. ბავშვმა სლუკუნი შეწყვიტა. წარმტაცი მუსიკა დედის რძესავით შეიტკბო. ღამე კი ციმციმებდა, ჰაერი ნაზი და თბილი იყო. ტკივილი განქარდა, გულმა გაიცინა, შვების ღიმილი დააჩნდა სახეზე პატარას და ჩაეძინა.

უქმის ძალის მაუწყებელი სამი ზარი მშვიდად რეკდა. ლუიზა ყურს უგდებდა მათ და თავის უბედურ წარსულსა და გვერდით მძინარე საყვარელი ბალღის მომავალზე ფიქრობდა. დაქანცული დიდხანს იწვა ასე სარეცელზე.

ტანი და ხელები ეწვოდა, საბნის ბუმბული მძიმედ აწვა მკერდზე: სიბნელე სულს უხუთავდა, მაგრამ ვერ ბედავდა განძრევას. ბავშვს დაჰყურებდა და სიბნელეშიც კარგად არჩევდა მის ბებრულ ნაკვთებს... ეძინებოდა, გაურკვეველი ზმანებანი დაუფლებოდნენ მის გონებას. მოეჩვენა, თითქოს მელქიორი აღებდა კარს და შეკრთა. ზოგჯერ მდინარის შხუილი ძალას მოიცავდა და ნადირის ღმუილივით მოისმოდა. წვიმის თითებმა რამდენჯერმე ააწკარუნეს ფანჯრის მინები. ზარები ნელ-ნელა მიჩუმდნენ; ლუიზას ბავშვის გვერდით ჩაეძინა.

ამ დროს გათოშილი და გალუმპული მოხუცი ჟან-მიშელი სახლის წინ იდგა და თავისი უკეთური შვილის დაბრუნებას ელოდა. ათასნაირი ფიქრი შემოჯაროდა. ათასი ტრაგიკული ამბავი მოაგონდა, რაც კი მთვრალებს გარდახდენიათ ხოლმე. ამაღამ რა დააძინებდა, თუ შინ მოსულ შვილს თავისი თვალით არ იხილავდა. ზარების ჟღერა უძლიერებდა წუხილს. აგონდებოდა გაცრუებული იმედი, ფიქრობდა იმაზე, რამაც აიძულა ამ წვიმაში აქ მდგარიყო, და სირცხვილისაგან ტიროდა.

დღეთა ვეება ტალღა ნელ-ნელა იშლება. დღე და ღამე ერთიმეორეს ენაცვლება უვრცესი ზღვის მოქცევისა და მიქცევის მსგავსად. კვირეები და თვეები იწურებიან და იწყებიან ისევ; და დღეთა რიგი მიედინება, ვითარცა დღე ერთი.

ეს ერთი დღე უსაზღვრო და ჩუმია, და მხოლოდ ბნელისა და ნათლის თანაბარ რიტმს, თავის აკვანში მთვლემარე არსების სიცოცხლის, მისი გარდუვალი, მტანჯველი და სასიხარულო მოთხოვნილებების რიტმს აღნიშნავს. ეს მოთხოვნილებანი დღე-ღამესავით ენაცვლებიან ერთმანეთს და ისე ჩანს, თითქოს თვითონ წარმოქმნეს დღეც და ღამეც.

სიცოცხლის ქანქარა მძიმედ მოძრაობს. პატარა მთლად ამ ნელ მოძრაობას დაუპყრია. დანარჩენი მხოლოდ სიზმარია და სიზმრის ნაფლეთები, მოფუთფუთე, უფორმო მტვერი, სიცილის ანდა შეძრწუნების გამომწვევი თავპრუდამხვევი ქარბუქი. ხმები და მანჭია მოჩვენებანი, ტკივილი და შიში, სიცილი და სიზმრები... დღეცა და ღამეც ერთი გაბმული სიზმარია. მხოლოდ სიზმრები... — და ამ ქაოსში მოსიყვარულე და მომღიმარი თვალების შუქი და, სიხარულის ტალღა, დედის სხეულიდან და რძით სავსე ძუძუებიდან რომ ეღვრება მის ტანს. უგროვდება უზარმაზარი და შეუგნებელი ძალა, მთელი ბობოქარი ოკეანე, რომელსაც ევიწროება ბავშვის ტანის პატარა საკანი. აქ ვინც ჩაიხედავს, დაინახავს სანახევროდ წყვდიადში ჩაფლულ რამდენიმე ქვეყანას, შენივთულ ნისლსა და შექმნის პროცესში მყოფ სამყაროს... მის არსებას საზღვარი არ აქვს. იგი არის ყოველივე, რაც კი არსებობს...

თვეები გადის... სიცოცხლის მდინარეს აქა-იქ დააჩნდა მოგონებათა კუნ-

ძულები. პირველად პატარა ადგილები, წყალს ძლივსღა აცილებული კლდეები გამოჩნდა. განთიადის ბინდბუნდში მათ ირგვლივ წყლის მდორე ზედაპირია გაშლილი. შემდგომ ახალმა, მზით მოვარაყებულმა კუნძულებმა იჩინეს თავი.

სულის უფსკრულიდან უცხადესი სახეები ამოტივტივდა. უსაზღვრო და უცვლელი დღის ფონზე გამოიკვეთა მხიარული და ნაღვლიანი დღეების გაბნეული მწკრივი. მაგრამ ჯაჭვის რგოლები წამდაუწუმ წყდება და მოგონებანი კვირეებისა და თვეების ხანგამოშვებით უკავშირდებიან ერთმანეთს...

მდინარე... ზარები... რაც თავი ახსოვს, წარსულის ყოველ წამს ეს მახლობელი და მჟღერი ხმები უმღერდნენ მას...

ღამეა. პატარა ძილ-ღვიძილშია... ფანჯარაში მკრთალი სინათლე მოჩანს... მდინარე დუდუნებს. სიჩუმეში მისი ხმა ძლიერდება, იგი მეფობს არსებათა ზედა, ხან უნანავებს მათ ძილს და თავისი ტალღების ჩქრიალზე თავადაც იძინებს თითქოს; ხანაც ჯავრობს, გაცოფებული მხეცივით ღმუის. შმაგი ხავილი თანდათან წყდება: ახლა ის არის უზომოდ ტკბილი, ვერცხლივით მჟღერი და ეჟვნებივით წკრიალა, ბავშვის სიცილის მსგავსი ჩქრიალი, უნაზესი ხმების სიმღერა, მროკავი ჰანგი. ღრმა, მშობლიური ხმა, არასოდეს რომ არ იძინებს! იგი უნანავებს ბავშვს, როგორც საუკუნეთა განმავლობაში დაბადებიდან სიკვდილამდე უნანავებდა გარდასულ თაობებს. იგი ერთვის ბავშვის ფიქრს, აღავსებს მის სიზმრებს და მოსასხამივით ეხვევა თვისი ნარნარა მელოდიებით; შემოეხვევა მაშინაც, როცა რაინის ნაპირას მთვლემარე პატარა სასაფლაოზე იქნება დამარხული...

ზარები... ირიჟრაჟა!

ერთმანეთს გაბმით უხმობენ ნაღვლიანი, ალერსიანი და მშვიდი ზარები. მათი მდორე ხმის გაგონება და კრისტოფს უმალვე ზმანებანი აეშლებიან. თვალწინ დაუდგება წარსული სურვილები, იმედები, განსვენებულთა გამოგლოვება. მოგონებათა საუკუნეები ჟღერს ამ მუსიკაში. რამდენი გლოვა, რამდენი დღესასწაული! — და როდესაც ოთახში მათ უსმენს, ეჩვენება, თითქოს მსუბუქ ჰაერში მოლივლივე ხმოვანი ზვირთების მდინარებას, ლაღ ფრინველებსა და ქარის თბილ ქროლვას ხედავდეს. ლურჯი ზეცის კუთხე უღიმის ფანჯრიდან. ფარდებში მზის სხივი ატანს და მის ლოგინს ეფინება. ბავშვის სამეფო ნათდება. ფრიადი დაძაბვის ფასად იწყებს იგი მახლობელი მცირე სამყაროს შეცნობასა და სახელდებას, რათა ხელთ იგდოს იგი. აი, ამ მაგიდაზე პურსა ჭამენ; განჯინაში სათამაშოდ იმალება. რომბებისდარად მოგებულ იატაკზე დაფორთხავს; შპალერზე გამოხატული სხივები სასაცილო ან საშინელ ზღაპრებს უთხრობენ; ლაქლაქა კედლის საათი მხოლოდ მისთვის გასაგებ სიტყვებს ამბობს ენის ბორძიკით. რამდენი ნივთია ამ ოთახში! ჯერ ყველას არ იცნობს.

ყოველდღე გამოდის ამ სამყაროს გამოსაკვლევად. ის მას ეკუთვნის—ყველაფერი მისია...—არაფერია უფასო, ყველაფერი მნიშვნელოვანია — კაციცა და ბუზიც: ყველაფერი ერთგვარად ცოცხლობს: კატაც, ცეცხლიც, მაგიდაც, მზის სხივებში მოცეკვავე მტვერიც. ოთახი მთელი ქვეყანაა, ერთი დღე მთელი ცხოვრებაა. როგორ გაერკვევი ამ უსაზღვრო სივრცეში? სამყარო ესოდენ ვრცელია! დაიკარგები. მის ირგვლივ განუწყვეტელ კორიანტელს ქმნის... დაიღალა. თვალები ეხუჭება, ჩაეძინა... ტკბილი, ღრმა ძილი უეცრად იპყრობს — ხან დედის კალთაში ეწვევა, ხან მაგიდის ქვეშ, სადაც ასე უყვარს დამალვა!.. ყველაფერი კარგია. ის კმაყოფილია.

ეს პირველი დღეები ხმაურობს მის მოგონებაში. ხმაურობს, როგორც პურის ყანა თუ ქარის მიერ დარწეული ტყე, ღრუბელთა დიდმა ჩრდილებმა რომ გადაუარეს თავზე.

ჩრდილები გარბიან, მზე ტყეში იჭრება. კრისტოფი დღის ლაბირინთში თავის ბილიკს ეძებს.

დილაა... მშობლებს სძინავთ. კრისტოფი თავის პატარა საწოლში გულაღმა წევს და ჭერზე აცეკვებულ სინათლის ზოლებს უმზერს. ეს არის უსასრულო შესაქცევარი. ანაზდად ხმამაღალი, ბავშვური, მსმენელთა გამხარებელი სიცილი გაისმის. დედა იხრება მისკენ და ეუბნება: „რა მოგვიდა, პაწაწა გიჟო?“ მაშინ ის უფრო ლამაზად იცინის; ალბათ იმიტომ უმატებს სიცილს, რომ ესმენენ. დედა მკაცრ იერს იღებს და ტუჩზე თითის მიდებით ანიშნებს — მამა არ გააღვიძოო; მაგრამ მისი დაღლილი თვალები უღიმიან პატარას. დედა-შვილი ეჩურჩულება ერთმანეთს... უცებ მამის მრისხანე ბუზღუნი გაისმის. ორივე შეკრთება. დედა დამნაშავე გოგონასავით პატარას სწრაფად შეაქცევს ზურგს და თავს მოიმძინარებს; კრისტოფი საბანში იმალება, სუნთქვას იკრავს... სამარისებური სიჩუმეა...

რამდენიმე წუთის შემდეგ პატარა სახე ისევ იჭვრიტება საბნიდან. სახურავზე ფლუგერი ჭრაჭუნებს. წყლის მილში წვეთები ხმაურობენ. ეკლესიაში ზარებს რეკენ. როდესაც ზენა ქარი დაუბერავს, აქაურ ზარებს მდინარის გაღმა სოფლების ზარები ეხმაურება. სუროიან კედელზე ბეღურების გუნდი გამაყრუებლად ყივყივებს და მათ ყივილში, როგორც ბავშვების თამაშობისას, სამი თუ ოთხი სხვებზე მეტად გამყივანი ხმა გამოირჩევა. საკვამურზე მტრედი ღუღუნებს. ბავშვი აჰყვა ამ ხმათა ლივლივს. იგი ღიღინებს, ჯერ სულ ჩუმად, შემდეგ ხმამაღლა, ვიდრე მამა არ აყვირდა: „ეგ ვირი კიდევ არ დადუმებულა? დაიცა, მოვალ და ყურს აგიწევ!“ მაშინ კრისტოფი ისევ იმალება საბნის ქვეშ

და არ იცის — იტიროს თუ იცინოს. ეშინია და თავს დამცირებულად გრძნობს: ამავე დროს ვირთან შედარება აცინებს. ბაძავს ვირის ხმას; ამჯერად სცემენ: ცრემლად იღვრება. აბა ასეთი რა ჩაიდინა? როგორ უნდა იმოძრაოს, იცინოს. განძრევას უკრძალავენ. სანამდე უნდა იძინონ, როდისღა ადგებიან?

ერთ დღეს ვერ მოითმინა. ქუჩიდან მოესმა რაღაც ძალზე საინტერესო ხმა — ძაღლისა თუ კატის, ვერ გაარჩია. ჩამოცურდა საწოლიდან და შიშველი ფეხებით უშნოდ წაცუნცულდა იატაკის ფილებზე — კიბეზე გასვლა და გახედვა სურდა. მაგრამ კარი დაკეტილი დაუხვდა. სკამზე შედგა, რათა კარი გაეღო, სკამი გადაუბრუნდა, გადმოვარდა, დაშავდა და ღრიალი მორთო. მაგრად გატყიპეს. მას მუდამ სცემენ!..

/

კრისტოფი ტაძარშია პაპასთან ერთად. მოწყენილია. თავს კარგად ვერ გრძნობს. განძრევა აკრძალული აქვს. ხალხი ერთად ამბობს რაღაც მისთვის გაუგებარ სიტყვებს; შემდეგ ერთადვე ჩუმდებიან. ყველას საზეიმო და მკაცრი იერი ადევს სახეზე. ეს არ არის მათი ჩვეულებრივი გამომეტყველება. შემკრთალი ბავშვი ათვალიერებს მათ. მეზობელს, ბებერ ლინას, მის გვერდით რომ ზის, ბოროტი იერი დაჰფენია სახეზე. ამ წუთებში ბიჭი პაპასაც კი ვერ ცნობს. ოდნავ ეშინია კიდეც. შემდეგ ეჩვევა და ცდილობს როგორმე გაერთოს. ტოკავს, კისერს იღრეცს ჭერის დასანახად, იმანჭება, პაპას ტანსაცმელს ქაჩავს, სელის სკამს ათვალიერებს და ცდილობს თითით გახვრიტოს. ყურს უგდებს ჩიტების ჟივილს. ამთქნარებს.

ბგერათა უეცარი ჩანჩქერი: ორღანო უკრავს, ტანში ერჟოლამ დაუარა. თავი უკან მოიბრუნა, ნიკაპი სკამის საზურგეზე დააყრდნო და გაიტრუნა. ამ ხმებისა ვერაფერი გაუგია, მათი ენა არ ესმის: ვეღარ ერკვევა ამ ბრწყინვალებასა და ქარიშხალში. მაგრამ გრძნობს, რომ ეს მშვენიერია. თითქოს მთელი საათი არც მჯდარა მაგარ სკამზე ამ მოსაწყენ, ძველ სასახლეში; თითქოს ჰაერში დაეკიდა ჩიტივით; და როდესაც ბგერათა მდინარემ ტაძარი ერთი ბოლოდან მეორემდე გადალეკა, თაღები აავსო და კედლებზე აფარფატდა, კრისტოფიც აიტაცა ტალღამ, ფრთები გამოასხა და სივრცეში გაანავარდა. თავისუფალია. ბედნიერი და ელვარებს ცხრათვალა მზე... ჩაეძინა.

პაპა უკმაყოფილოა. ბიჭს ცუდად უჭირავს თავი წირვაზე.

ის შინაა, იატაკზე ზის და ფეხები ხელებში მოუმწყვდევია. გადაუწყვეტია, რომ ჭილობი გემია, ხოლო იატაკი ზღვა; დაიხრჩობა, თუ ხალიჩიდან გადავა.

უკვირს და, ცოტა არ იყოს, ბრაზობს კიდეც, ოთახში სიარულისას რატომ სხვებიც ჩემსავით არ აქცევენო ამას ყურადღებას. დედას კალთაზე ეჭიდება: „ხომ ხედავ — აქ წყალია! ხიდზე უნდა გაიარო“. — ხიდი არის ზოლების წყება წითელ რომბთა შორის — დედა არც კი უსმენს. კრისტოფი შეურაცხყოფილია იმ დრამატურგიით, რომელმაც შეამჩნია, რომ მაყურებლები საუბრობენ მისი პიესის მიმდინარეობისას.

წუთის შემდეგ ეს აღარ ახსოვს. იატაკი უკვე აღარ წარმოადგენს ზღვას. ბიჭი პირქვე დამხობილა, ნიკაპი ცივ ფილებზე აქვს დაყრდნობილი და თავისაკენ შეთხზულ სიმღერას მღერის; ცერს წუწნის, ნერწყვი ჩამოსდის. ფილათა შორის გარჩენილი ხვრელის ჭვრეტითაა გართული. რომბების ხაზები იმანჭებიან სახეთა მსგავსად. ძლივს შესამჩნევი ღრუ იზრდება და მთებით შემოზღუდულ ველად იქცევა. სპილოსოდენა ყურბელა გარბის. ამ დროს მეხიც რომ გავარდნილიყო, ბავშვი ვერ გაიგონებდა.

მისთვის არავის სცალია. მასაც არვინ სჭირდება. შეუძლია ხალიჩა-გემებისა და ფანტასტიკური ცხოველებით დასახლებული იატაკის ხვრელების გარეშეც იოლად გავიდეს. თავისი სხეულიც აკმაყოფილებს. გართობის დაუშრეტელი წყაროა იგი. საათობით შეჰყურებს თითებს და მხიარულად იცინის; თითოეულს განსხვავებული სახე აქვს და ზოგ მის ნაცნობ პიროვნებას წააგავს. ბიჭი ალაპარაკებს მათ, აცეცებს ანდა აჩხუბებს. ხოლო სხეულის დანარჩენი ნაწილები?.. ბავშვი ისევ ათვალიერებს საკუთარ ტანს. რა საოცარი რამეებია, ზოგი რამ მეტისმეტად უცნაურია. ცნობისმოყვარეობა არ ასვენებს კრისტოფს.

სასტიკად სჯიან, როდესაც ამ საქმით გართულს წაასწრებენ.

ხანდახან, როცა დედა მისკენ ზურგშექცეული დგას, იგი სახლიდან იპარება. პირველად მისდევდნენ და იქერდნენ. შემდეგ შეეჩვიენ და მარტოკას იმ პირობით უშვებდნენ, თუ შინიდან შორს არ წავიდოდა. მათი სახლი ქალაქის განაპირას დგას; იქვე მინდვრები იწყება. სანამ ფანჯრიდან ხედავენ — შეუჩერებლად, მოკლე ნაბიჯითა და აუჩქარებლად მიდის, დროდადრო ცალ ფეხზე მიხტის, მაგრამ როგორც კი მოსახვევს გასცდება და ჯაგებს მიეფარება, უცბად იცვლება. შეჩერდება, თითებს პირში ჩაიყოფს და ფიქრობს, რომელი ზღაპარი ვუამბო დღეს ჩემს თავსო. უამრავი ზღაპარი იცის. თუმცა ისინი ერთმანეთს ჰგვანან და ყოველი მათგანი სამი ან ოთხი სტრიქონი თუ იქნება მხოლოდ. რომელი აირჩიოს? ჩვეულებრივ, გუშინ დაწყებულ ზღაპარს განაგრძობს ან არადა, მცირეოდენი ცვლილებებით. თავიდან იწყებს. მაგრამ თვით

იოტისოდენა რამეც კი, თუნდაც შემთხვევით გაგონილი სიტყვა, საკმარისია მისი ოცნების ახალ ბილიკზე გადასაყვანად.

ყოველი შემთხვევა ეხმარება. ვერ წარმოიდგენთ, რამდენ რამეს შეიცავს ხის უბრალო ჯოხი. ასეთი ჯოხები უამრავი ეყარა წნული ღობის გაყოლებით (და თუ ვერ იპოვიდა, მოამტვრევდა ხოლმე). ეს იყო ჯადოსნური კვერთხი. გრძელი და სწორი ჯოხი შუბად ან, თუ ინებებდა, ხმლად იქცეოდა: საკმაო იყო მისი მოქნევა, რომ ჯარები მოდენილიყვნენ. კრისტოფი იყო მხედართმთავარი. წინ მიუძღოდა ჯარს, მაგალითს უჩვენებდა და ფერდობებზე მიჰქონდა იერიში. თუ წკეპლა მოქნილი იყო, მათრახად გადაიქცეოდა ხოლმე. კრისტოფი შეჯდებოდა ცხენზე და უფსკრულებზე დააქანებდა.

ზოგჯერ ისეც მომხდარა, ცხენი წაიფორხილებდა. მხედარი ორმოში აღმოჩნდებოდა და შემკრთალი ათვალიერებდა თავის დასვრილ ხელებსა და დაკაწრულ მუხლებს. თუ ჯოხი მოკლე იყო, კრისტოფი დირიჟორი გახდებოდა. ერთსა და იმავე დროს დირიჟორიც იყო და ორკესტრიც: დირიჟორობდა და მღეროდა, შემდეგ თავს უკრავდა ბუჩქებს, რომელნიც ქარის ყოველ შემობერვაზე მწვანე თავებს ხრიდნენ.

კრისტოფი ჯადოსანიც იყო. დაობოტებდა მინდორში, ზეცას შეჰყურებდა და ხელებს იქნევდა. ღრუბლებს უბრძანებდა, მარჯვნივ გაცურდითო. მაგრამ ისინი მარცხნივ მიემართებოდნენ. მაშინ ლანძღავდა მათ და ბრძანებას უმეორებდა: გულის ფანცქალით უმზერდა ზეცას, იქნებ ღრუბლის ერთი მცირე ფთილა მაინც დამემორჩილოსო. მაგრამ ღრუბლები წყნარად მიზოზინობდნენ მარცხნივ. კრისტოფი დაობაკუნებდა ფეხს, დაემუქრებოდა თავისი კვერთხით და მრისხანედ უბრძანებდა, მარცხნივ წასულიყვნენ. ამჯერად ისინი საკუთარი ემორჩილებოდნენ. კრისტოფი ბედნიერი იყო და თავის ძლევამოსილებით ამაყობდა. შეეხებოდა ყვავილებს, უბრძანებდა, ოქროს ეტლებად გადაიქეცით. როგორც ზღაპრებში გამიგონიაო; და თუმცა არასოდეს მომხდარა ეს. დარწმუნებული იყო, ცოტასაც თუ მოვითმენ, სურვილი ამიხდებაო. დაეძებდა კუტკალიას, რათა რაშად ექცია. ფრთხილად შეეხებოდა ზურგზე კვერთხით. შეულოცავდა. მწერი თავდახსნას ცდილობდა. ბიჭი გზას უკეტავდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჯადოქრის როლი ავიწყდებოდა, მიწაზე გაწვებოდა და კუტკალიას უყურებდა; საწყალი მწერის ზურგზე გადაბრუნებით ერთობოდა და მხიარულად იცინოდა იმის ფართხალზე.

ერთხელ მოიფიქრა და თავის ჯადოსნურ კვერთხზე ძველი ზონარი გამოაბა; დიდრაჯული გამომეტყველებით გადაისროლა მდინარეში და ელოდა, თევზი როდის წამოეგებაო. კარგად იცოდა, თევზები უანკესო და უსატყუარო ზონარს არ წამოეგებიან. მაგრამ ფიქრობდა, იქნებ ჩემთვის ერთხელ მაინც უღალატონ

ჩვეულებასო. და ისე დიდი იყო რწმენა, რომ მათრახით თევზაობდა ქუჩაში, წყალსაწრეტი მილის ფირფიტის ნაპრალში: დროდადრო დიდი მღელვარებით ამოსწევდა ხოლმე მათრახს, როდესაც თოკი დამძიმებული მოეჩვენებოდა და ფიქრობდა, პაპაჩემის ნაამბობი ერთი ზღაპრისა არ იყოს, განძი ამომაქვსო..

გართობის დროს იდუმალი ოცნება და სრული თავდავიწყება იპყრობდა ხშირად. რაც გარს ერტყა, ყველაფერი ქრებოდა მაშინ და აღარ იცოდა, რას აკეთებდა, აღარც თავი ახსოვდა. ეს ყველაფერი მხოლოდ ერთ წამს და ისიც მოულოდნელად ემართებოდა: სიარულისა თუ კიბეზე ასვლისას ანაზდად სიცარიელეში ვარდებოდა, თითქოს ფიქრის ძაფი უწყდებოდა. როდესაც გონს მოეგებოდა, ისევ ჩაბნელებულ კიბეზე იდგა. კიბის ორი საფეხური აუვლია მხოლოდ და ისე ეგონა, მთელი ცხოვრება განვლეო.

ხშირად, საღამოობით, პაპას სასეირნოდ დაჰყავდა; ხელჩაკიდებული მიცუნცულებდა მოხუცის გვერდით. ისინი მიწის სუნით გაჯერებულ ხნულთა შორის მიმავალი ბილიკით მიემართებოდნენ. ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინობელები. გზაზე გვერდელად დამსხდარი უზარმაზარი ყვავები შორიდანვე ამჩნევდნენ მოშავალთ და მძიმედ აფრინდებოდნენ ხოლმე მათი მიახლოებისას.

პაპა ჩაახველებდა. კრისტოფმა კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ეს. მოხუცს ეუბნებოდა ეწადა რაიმე ამბავი წამოეწყო. მაგრამ სურდა, ბავშვი შეხვეწებოდა. კრისტოფიც არ აყოვნებდა. მათ ერთმანეთისა ესმოდათ. მოხუცს უზომოდ უყვარდა თავისი შვილიშვილი და როცა შეატყო, ყურადღებიანი მსმენელიაო, გაიხარა. ჟან-მიშელს თავისი ცხოვრების ეპიზოდებისა ან ძველი თუ ახალი დროის დიდებულ ადამიანთა ამბების მოყოლა უყვარდა. მაშინ მისი ხმა ზვიადი და მღელვარე ხდებოდა, თუმცა ცდილობდა არ დაემჩნია, ბავშვური სიამოვნებისაგან თრთოდა. იგრძნობოდა, რომ აღტაცებით უსმენდა თავის თავს, საუბედუროდ, სიტყვები არა ჰყოფნიდა. თითქოს უნდა შეჩვეოდა კიდეც ამ ნაკლს. რადგან როცა კი მშვენიერ ტყველების სურვილი მოუვლიდა, ყოველთვის გრძნობდა მას, მაგრამ უმალვე ავიწყდებოდა ეს გარემოება და ყოველთვის ცდილობდა ენამზიანი ყოფილიყო.

იგი მოუთხრობდა რეგულუსისა და არმინიუსის ამბავს, ლიუტოვის მსროლელთა. კოერნერისა და იმ ფრიდრიხ შტაბსის ამბავს, რომელსაც იმპერატორ ნაპოლეონის მოკვლა უნდოდა. სახე უბრწყინავდა, როცა გმირობის მაგალითები მოჰყავდა: ისტორიულ სიტყვებს ისეთი საზეიმო კილოთი წარმოთქვამდა ხოლმე, რომ შეუძლებელი იყო მათი გარკვევა. დიდ ხელოვნებად მიაჩნდა წარმტაცი ადგილის გაჭიანურება: ჩერდებოდა, ვითომ სული მეხუთებაო,

ცხვირს ისოცავდა და გულში ზეიმობდა, როცა პატარა მოუთმენლობისაგან ათრთოლებული ხმით შეეკითხებოდა: „პაპა, შემდეგ რა მოხდა?"

როდესაც წამოიზარდა, კრისტოფმა გაუგო პაპას ეშმაკობა. განგებ გულგრილად დაიჭერდა თავს, თითქოს მოთხრობის დასასრული არ აინტერესებდა. ეს სწყინდა საწყალ მოხუცს. მაგრამ პატარობისას ბავშვი სავსებით მთხრობელის ტყვე იყო. სისხლი უჩქროლდებოდა არ იცოდა, რას ეხებოდა თხრობა, არც ის წარმოედგინა, სად და როდის ჩაედინათ ეს გმირობანი. იცნობდა თუ არა პაპა პირადად არმინიუსს და (ღმერთმა უწყის, რატომ ფიქრობდა ამას) თვითონ კრისტოფს ტაძარში ხომ არ უნახავს რეგულუსი გასულ კვირას. საგმირო საქმეთა თხრობისას ბავშვსა და მოხუცს გული სიამაყით ევსებოდათ. თითქოს თვითონ ყოფილიყვნენ ამ საქმეთა ჩამდენნი, რადგან პაპაც ბავშვი იყო და შვილიშვილიც.

უფრო ნაკლებ მოსწონდა კრისტოფს, როცა ამაღელვებელ ადგილას პაპა ამბავს შეწყვეტდა და ზნეობრივ შეგონებას მიმართავდა, ამ შეგონებებს საფუძვლად ედო კეთილი, მაგრამ გაცვეთილი აზრები, როგორიცაა, მაგალითად: „ჩათრევას ჩაყოლა სჯობს". „პატიოსნება სიცოცხლეზე ძვირფასია", ან „უკეთესია კეთილი იყო, ვიდრე ბოროტი". ოღონდ პაპა აზრს ასე მარტივად არ გამოთქვამდა და ერთობ აბუნდოვანებდა. მას ნორჩი მსმენელის კრიტიკისა არ ეშინოდა და თავის ჩვეულებრივ მაღალფარდოვანებას მიმართავდა: ერთი და იმავე სიტყვების განმეორებას არ ერიდებოდა, წინადადებებს არ აბოლოებდა და როდესაც თავისსავე მსჯელობაში აერეოდა გზა-კვალი, ამბობდა, რაც თავში მოუვიდოდა, ოღონდ დაფანტული აზრები როგორმე ერთმანეთზე გადაება, რათა სიტყვებისათვის მეტი ძალა მიეცა, ტყუილუბრალოდ შლიდა ხელებს. პატარა ბიჭი ღრმა პატივისცემით უსმენდა და ფიქრობდა, პაპაჩემი ძალზე მჭევრმეტყველი, მაგრამ ცოტათი მოსაწყენი ადამიანიაო.

ერთსაც და მეორესაც უყვარდა ევროპის დამპყრობელი კორსიკელის ლეგენდარული ამბის ხშირად გახსენება. პაპას ახსოვდა ის. ცოტას გაწყდა. ნაპოლეონის საწინააღმდეგო ერთ ისტორიულ ბრძოლაში არ მიიღო მონაწილეობა. მაგრამ პაპამ მტრის სიდიადის აღიარება იცოდა. ხშირად უთქვამს: ცალ ხელს მოვიჭრიდი, ოღონდ ასეთი კაცი რაინის აქეთ მხარეს დაბადებულიყოო. განგებამ სხვაგვარად ინება. ჟან-მიშელი თაყვანს სცემდა და ებრძოდა მას — ყოველ შემთხვევაში, კინაღამ შეებრძოლა. ნაპოლეონი ათი ლიეს მოშორებით იმყოფებოდა, როდესაც ჩვენი რაზმი მის შესახვედრად გაემართაო. მაგრამ ტყეში თავზარი დაგვეცა. ჯარისკაცები გარბოდნენ და ყვირობდნენ: ღალატი. ამაოდ ვცდილობდი გაქცეულთა შეჩერებას, — ამბობდა პაპა, — ამაოდ ვემუდარებოდი თვალცრემლიანი. მეც გამიტაცა ტალღამ და მეორე

ღღეს ბრძოლის ველიდან საოცრად შორს აღმოვჩნდით. ბრძოლის ველს იმ ადგილს ეძახდა, საიდანაც თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა. მაგრამ კრისტოფი მოუთმენლად სთხოვდა საყვარელი გმირის თავგადასავლის მოთხრობას: ნაპოლეონის მთელ ევროპაზე გაჯირითებით აღტაცებული იყო. ეზმანებოდა აურაცხელი ხალხის წინ ამხედრებული იმპერატორი, ვისი ერთი თითის დაქნევაც საკმაო იყო, რომ ეს ხალხი ქარიშხალივით დაძგერებოდა მტერს და უკუექცია. ეს იყო ჯადოსნური ზღაპარი. პაპა ცოტათი აჭარბებდა — ნაპოლეონს ესპანეთსაც ამარცხებინებდა და მისთვის საძულველ ინგლისსაც.

ისეც მომხდარა, რომ მოხუცი კრაფტი აღფრთოვანებულ თხრობაში თავისი გმირის მიმართ მძულვარების წამოძახილებსაც ჩაურთავდა. პატრიოტული სულისკვეთება დაეუფლებოდა — უფრო ხშირად მაშინ, როცა იმპერატორის დამარცხებას იგონებდა და არა იენის ბრძოლას. ის ჩერდებოდა, რათა მუშტით დამუქრებოდა მდინარეს, ზიზღით გაეფურთხებინა და მაღალფარდოვანი ლანძღვა წარმოეთქვა — უშვერ ლანძღვას არ კადრულობდა. ბოროტმოქმედს, მძვინვარე მხეცსა და უზნეო ადამიანს უწოდებდა ნაპოლეონს. თუ პაპის მიზანი ბავშვის სულში სამართლიანობის გრძნობის აღძვრა იყო, უნდა ითქვას, რომ ვერ აღწევდა ამას. „თუ ისეთი დიდებული კაცი, როგორიცაა ნაპოლეონი, უზნეო იყო, მაშ, ზნეობა დიდი რამ არ ყოფილა, მთავარია. დიდი ადამიანი გახდე“, — შეეძლო დაესკვნა ბავშვურ ლოგიკას. მაგრამ მოხუცებული მის გვერდით მოფუსფუსე ბავშვის აზრებისა შეცნობისაგან შორს იყო.

მერე ორივე დადუმდებოდა და ორივე ამ დიდებულ ამბებზე ფიქრობდა. შინ მისვლამდე ხმა-კრინტს არ ამოიღებდნენ თუ პაპას სასეირნოდ გამოსული კეთილშობილი კლიენტთაგანი არ შემოეყრებოდა. მაშინ ის ჩერდებოდა, მდაბლად სალამს აძლევდა და პირმოთნეობას აფრქვევდა. ბავშვს სახეზე სიწითლე გადაჰკრავდა, თუმცა არ იცოდა, რატომ. პაპას ღრმად ჰქონდა გამჯდარი ძალის მქონეთა, „აღმატებულ“ პირთა პატივისცემა და შეიძლება სწორედ იმიტომ უყვარდა ის გმირები, რომელთა ამბავსაც ბავშვს მოუთხრობდა, რაკი ისინი სხვებზე მეტად აღზევებულ ადამიანებად მიაჩნდა.

როდესაც ძალიან ცხელოდა, მოხუცი კრაფტი ხის ძირში ჩამოჯდებოდა ხოლმე და მაშინვე ჩათვლემდა. კრისტოფი მის წინ ქვების ყორეზე, სამანის ხიმინჯზე ან სხვა მაღალ, უცნაურ და უხერხულ ადგილზე მოთავსდებოდა, პატარა ფეხებს აქნევდა, მღეროდა და ოცნებობდა. ანდა გულაღმა წამოწვებოდა და ღრუბელთა სრბოლას უმზერდა. ზოგი ხარს ჰგავდა, ზოგი დევს, ქუდს, დედაბერს, ზოგი უვრცესი პეიზაჟის სახეს მიიღებდა. კრისტოფი ხმადაბლა ესაუბრებოდა მათ: თვალს ადევნებდა პატარა ღრუბელს, დიდი ღრუბელი შთან-

თქმას რომ უპირებდა. ეშინოდა შავი, სწრაფი და მოლურჯო ღრუბლებისა. ეგონა, ამათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთო ცხოვრებაში. უკვირდა, რატომ პაპა და დედა ყურადღებას არ აქცევენო. რა საშინელი ძალის პატრონები არიან, თუ მოისურვებენ, დიდ უბედურებას მოახდენენ, საბედნიეროდ ეს კეთილი და, ცოტა არ იყოს, სასაცილო ღრუბლები შეუჩერებლივ მიცურავენ ცაზე. ბოლოს მეტისმეტი ჭვრეტისაგან ბავშვს თავბრუ ესხმოდა და ხელ-ფეხს იქნევდა, მიწას ებღაუჭებოდა, თითქოს ეშინოდა, ცაზე არ დავარდნილიყო. ქუთუთოებს ახამხამებდა, ძილი ეპარებოდა... სიჩუმე... ფოთლები ნაზად კრთიან და თრთიან მზეზე, მსუბუქი ორთქლი დანარნარებს ჰაერში, ბუზები მძიმედ ფრინავენ და ორღანოსავით ზუზუნებენ. სიცხით დამთვრალი კუტკალიები მძაფრი მხიარულებით ტკრციალებენ. ყველაფერი გაყუჩებულა. ხეების კამარათა ქვეშ მწვანე ხეკაკუნათა ჯადოსნური მოძახილის ხმა მოდის. შორით, მინდვრიდან ისმის, როგორ უჯავრდება გლეხი ხარებს. ცხენის ნალები წკარუნობს თეთრ გზაზე. კრისტოფს თვალები ელულება. მის ახლოს ორნატზე გადებულ გამხმარ წკირზე ჭიანჭველა მიღოღავს. ბავშვს ჩათვლიმა. საუკუნეებმა გადაიარა. იგი იღვიძებს. ჭიანჭველას კი ჯერ კიდევ არ გაუვლია პატარა ტოტი.

ხანდახან პაპას ძალიან დიდხანს ეძინა. სახე გაუშეშდებოდა, ისედაც გრძელი ცხვირი უფრო უგრძელდებოდა. ტუჩები გაეპობოდა. კრისტოფი შეშფოთებით უმზერდა და ეშინოდა შეეხედა პაპას სახისათვის, რომელიც თანდათან საზარელი ხდებოდა. ხმამაღლა ამღერდებოდა, რათა პაპა გაეღვიძებინა, ან დიდი ხმაურით ჩამოხტებოდა ყორიდან. ერთხელ — ფიჭვის წიწვები ესროლა სახეში, ხოლო გამოღვიძებულ პაპას უთხრა — ხიდან ჩამოვარდაო. მოხუცმა დაიჯერა. ამან ძალზე გაამხიარულა კრისტოფი, მაგრამ თავისდა საუბედუროდ ამ ორინის გამეორება მოინდომა და სწორედ იმ წამს, როცა ხელი ასწია, დაინახა, პაპას თვალები ღია ჰქონდა და მას უყურებდა. კრისტოფის საქმე ცუდად შეტრიალდა, მოხუცი მკაცრი იყო და ასეთ ხუმრობას ვერ იტანდა. ერთ კვირაზე მეტი ხანი პაპა-შვილიშვილი ხმას არ სცემდა ერთმანეთს.

რაც უფრო ცუდი იყო გზა, კრისტოფს მით უფრო მოსწონდა იგი. ყოველი ქვის მდებარეობას აზრი ჰქონდა, ყოველ კენჭს იცნობდა. ურმის თვლის ნაკვალევი ტაუნუსის მასივზე არანაკლები გეოგრაფიული მნიშვნელობის მქონედ მიაჩნდა. სახლის ირგვლივ ორ კილომეტრზე მდებარე ყველა ბორცვისა და ტაფობის რუკას ატარებდა გონებაში. ამიტომ როდესაც ნაკვალევის წყობაში რაიმე ცვლილება შეჰქონდა, მუშათა რაზმის მეთაურ ინჟინერზე არა ნაკლებ მნიშვნელოვან პირად სთვლიდა თავს, ხოლო როდესაც ფეხისგულით ქელავდა გამხმარ ბელტს და მის მივრვე ამოთხრილ ღრუს ავსებდა, ფიქრობდა, დღე ამაოდ არ დამიკარგავსო.

ხანდახან შარაგზაზე ორთვალაში მჯდომარე გლეხი შემოეყრებოდათ. პაპა გლეხს გამოემცნაურებოდა, ისინი ორთვალაზე სხდებოდნენ, ეს იყო ზეციური ნეტარება. ცხენი სწრაფად გარბოდა და კრისტოფი მხიარულად იცინოდა, თუ გზად სხვა მოსეირნეები არ შემოხვდებოდნენ; თუკი შემოხვდებოდნენ, მაშინ კრისტოფი მედიდურსა და ხალისიან სახეს იღებდა ეტლით სეირნობას დაჩეეული კაცივით. მისი გული სიამაყით იყო აღსავსე. პაპა და გლეხი საუბრობდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ მას. პაპის მუხლებს შორის უხერხულად ჩაჯდომილი კრისტოფი სრულ ბედნიერებას განიცდიდა. ხმამაღლა ლაპარაკობდა და პასუხს არ მოითხოვდა. აღტაცებით შეჰყურებდა ცხენის ყურებს. რა საოცარი არსებანი იყვნენ ეს ყურები! იხრებოდნენ ყოველმხრივ, მარჯვნივ და მარცხნივ, ზე აღიმართებოდნენ, გვერდზე ეცემოდნენ და უკან ისე სასაცილოდ მიიდრიკებოდნენ, რომ ბავშვი ხარხარებდა. ჩქმეტდა პაპას — შეხედეო. ბაგრამ პაპას ეს არ აინტერესებდა, იშორებდა კრისტოფს და ეუბნებოდა — თავი დამანებეო. კრისტოფი დაფიქრდებოდა. ეგონა — დიდები ძლიერნი, ყოვლისმცოდნენი არიან და არაფერი აკვირვებთო. და ცდილობდა დიდი ყოფილიყო — ცნობისმოყვარეობას ფარავდა და თავი ისე ეჭირა, ვითომ ყველაფრისადმი გულგრილია. ჩაჩუმდებოდა. ორთვალას რახრახი რულსა ჰგვრიდა. ცხენის ეჟვნები ცეკვავდნენ. დინ, დინ, დინ, დინ. მუსიკა იბადებოდა ჰაერში, ფუტკრის გუნდივით ეხვეოდა ზანზალაკების ვერცხლისებურ წკრიალს. ეჟვნები მხიარულად ირხეოდნენ ეტლის რიტმზე. ეს იყო სიმღერათა დაუშრეტელი წყარო. ერთი მეორეს მოსდევდა. კრისტოფი ფიქრობდა, რა საუცხოო სიმღერებიაო. ერთი მათგანი ისე მშვენიერი ეჩვენა, რომ მოუნდა, ნეტავ პაპამ მოისმინოსო. ხმამაღლა იმღერა. ყურადღება არ მიაქციეს. ხელმეორედ წამოიწყო — ერთი ტონით მაღლა, შემდეგ კიდევ ერთხელ წამოიწყო, უკვე ძალიან ხმამაღლა, ვიდრე მოხუცმა ჟან-მიშელმა მრისხანედ არ უთხრა: „ბოლოს და ბოლოს გაჩუმდები თუ არა! რა ბუკივით ღრიალებ!“ ბავშვს სუნთქვა შეეკრა, ძალზე გაწითლდა და შეურაცხყოფილი გაჩუმდა. ზიზღით დასაჯა ორი ტლანქი ჩერჩეტი, რომელთაც არ ესმოდათ, რომ მისი სიმღერა დიდებული იყო, ცათა გამხსნელი! ეს რა უშნოები არიან, ერთი კვირაა, წვერი არ მოუპარსავთ, ან რა საშინელი სუნი ასდით, — ფიქრობდა კრისტოფი.

ნუგეში ცხენის ჩრდილის თვალიერებაში პოვა. ესეც საოცარი სანახაობა იყო. ეს სავსებით შავი ცხოველი თითქოს გვერდზე დაწოლილი გარბოდა გზაზე. საღამოთი, შინ დაბრუნებისას, იგი მინდვრის ერთ ნაწილს ფარავდა; ზვინი თუ შემოხვდებოდათ, თავი მაღლა ავარდებოდა, და ისევ თავის ადგილას ბრუნდებოდა, როცა გაივლიდნენ. ჩიჩვირი გამსკდარი ბუშტივით გაეშვირა, ყურები სანთლებივით დიდი და წვეტიანი უჩანდა: ეს მართლა ჩრდილი იყო

თუ რაღაც არსება? ვერ გაბედავდა მის თავზე გავლას და გადაქელვას, როგორც პაპის ჩრდილს უშვებოდა ხოლმე. დიდად აფიქრებდა ხეების ჩრდილებიც, მზის ჩასვლის ჟამს აქეთ-იქით ქსელავდნენ გზას და ჰგვანდნენ მწუხარე და სასაცილო მოჩვენებებს, რომლებიც თითქოს ამბობდნენ: „ნუღარ წახვალთ ამას იქით“, ჭრიალა ღერძი და ცხენის ჩლიქებიც იმეორებდნენ: „ამას იქით!“

პაპა და მეეტლე ჭიანურივით გაბამდნენ ლაყბობას. ხშირად ხმას უმაღლებდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აქაურ საქმეებს და შელახულ უფლებებზე ლაპარაკობდნენ. ბავშვი ოცნებიდან თავს დაიხსნიდა და შეშინებული უყურებდა მათ. ეგონა, ერთმანეთზე რიან გაბრაზებულნიო და ეშინოდა, ბუშტი-კრივამდე არ მისულიყო საქმე. ნამდვილად კი მაშინ ისინი საერთო მძულვარებით იყვნენ გაერთიანებულნი. უმეტეს წილად არც სიძულვილი და არც სხვა ვნებანი არ აღელვებდათ. უძნიშვნელო საგანთა გამო საუბრობდნენ და მთელი ხმით გაჰყვიროდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ყვირილი სიამოვნებდათ, როგორც ეს უბრალო ხალხს სჩვევია ხოლმე. მაგრამ კრისტოფს მათი საუბარი არ გაეგებოდა. მხოლოდ ხმის ჭექა ესმოდა. სახის ნაკვთის მანჭვას ხედავდა და მწუხარებით ფიქრობდა: „რა ბოროტი იერი აქვთ! ნამდვილად ერთმანეთი სძულთ. როგორ აბრიალებს თვალებს! პირს როგორ აღებს! გაბრაზებულმა სულ დამიდორბლა სახე. ღმერთო! ნამდვილად მოკლავს პაპას...“

ორთვალა გაჩერდებოდა. გლეხი იტყოდა: „აი, კიდეც მოხვედით“. ორი სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებული მტერი ხელს ართმევდა ერთმანეთს: პირველად პაპა ჩამოვიდოდა. გლეხი პატარა ბიჭს მიაწვდიდა მას. მერე ცხენს მათრახს გადაჰკრავდა. ორთვალა გზას განაგრძობდა. პაპა-შვილიშვილი დაბურულ ბილიკზე იდგა, რაინის პირას. მზე ეშვებოდა მინდვრებს იქით. ბილიკი მდინარის გვერდით მიიკლაკნებოდა. სქელი და რბილი ბალახი შრიალებდა ფეხქვეშ. თხმელები მდინარეზე გადახრილიყვნენ და სანახევროდ წყალში იყვნენ ჩაძირული. მუმლი რიალებდა ჰაერში. უხმაუროდ მოცურავდა ნელი, მაგრამ ძალუმი მდინარეებით გატაცებული ნავი. ტალღები ბუტბუტით ელამუნებოდნენ ტირიფის ტოტებს. იდგა ნაზი და მკრთალი სინათლე, ჰაერი გრილი იყო, მდინარე — მოვერცხლილი. პაპა და შვილიშვილი ჭრიჭინების სიმღერის თანხლებით ბრუნდებოდნენ შინ. ზღურბლიდან დედის ძვირფასი სახე უღიმოდა მათ.

უტკბილესი მოგონებანი, კეთილი სახეები — მთელი სიცოცხლე ჩვენთან არიან, გვეხმარებიან მელოდიის დარად!.. მომავალი მოგზაურობანი, დიდი ქალაქები, მღელვარე ზღვები და საყვარელი ნაკვთები არ აღიბეჭდება სულში ისეთი უცთომელი სიზუსტით, როგორც ბავშვობის დროს სეირნობა ანდა უბ-

რალო კუთხე ბაღისა, მინას მიკრული უსაქმო ბავშვის პატარა პირით დაორო-ქლილი ფანჯრის მიღმა რომ ჩანს ყოველდღე...

ახლა საღამოა, სახლი ჩაუკეტიათ, კრისტოფი შინ არის. სახლი... თავშესა-ფარი ყველა საშინელებისაგან: ლანდებისა, ღამისა, შიშისა და უცნობი ნივთე-ბისაგან. მტერი ზღურბლს ვეღარ გადმოაბიჯებს... ცეცხლი ანთია. შამფურზე წამოგებული ქარვისფერი, მსუქანი ბატი ნელა ტრიალებს. ოთახში შებრაწუ-ლი ხორცის სასიამოვნო სუნი დგას. რა გემრიელია შემწვარი ბატი, რა გემრიე-ლი კანი აქვს. ჭამის ნეტარება, განუზომელი ბედნიერება, რელიგიური აღ-ფრთოვანება, თრთოლა სიხარულისა! ბავშვის სხეულს სითბო, დაღლილობა და მშობლიური ხმები ეუფლებიან.. საკვების მონელება ბავშვს ექსტაზსა ჰგვრის — სახეებს, ლანდებს, ლამპის შუქფარს, შავ ბუხარში მოცეკვავე ცე-ცხლის ენებს და ნაპერწკლების წვიმას სასიხარულო და ჯადოსნური იერი აძევს. კრისტოფი ლოყით ეკვრის თავის თეფშს, რათა უფრო დატკბეს ამ ბედ-ნიერებით...

იგი თავის თბილ ლოგინშია. აქ როგორ მოხვდა? დაღლილობამ უწია. ხმების ბუბუნი ოთახში და განვლილ დღეს ნანახი სახეები ირევა მის გონებაში. მამა ვიოლინოს იღებს: ნაზი და მკაფიო ბგერები ჩივილს მოჰყვებიან. მაგრამ უზენაესი ბედნიერება ისაა, როდესაც დედა მოდის, ხელში იყვანს მთვლემა-რე კრისტოფს და ზედ დახრილი, მისი თხოვნით, ჩუმად უმღერის გაუგებარ ძველ სიმღერას. მამას აზრით, ეს სიმღერა სულელურია, კრისტოფს კი არა-სოდეს მოსწყინდება იგი. სულგანაბული უსმენს, სურს იტიროს, იცინოს; გუ-ლი უთამაშებს, აღარ იცის, სადაა: სინაზე ეუფლება, პატარა მკლავებს ყელზე აჭდობს დედას და ეხვევა, რაც ძალი და ღონე აქვს. დედა სიცილით ეუბნება:

— გინდა დამახრჩო?

იგი უფრო ძლიერ უჭერს მკლავებს. ო, როგორ უყვარს! როგორ უყვარს ყველა! ყოველი კაცი. ყოველი საგანი! ყველა კარგია, ყველა... იგი იძინებს. ბუხარში ჭრიჭინა ჭრიჭინებს. პაპის ნაამბობის გმირული სახეები დაბორიალე-ბენ უტკბეს ღამეში... იმათ უნდა მიბაძოს!.. ჰო, გახდება გმირი!.. უკვე გმირია... აჰ! რა კარგია სიცოცხლე!..

სიხარულისა, ძალისა და სიამაყის რა ბარაქაა ამ პატარა არსებაში! რა სი-უხვეა ენერგიისა! სულის შემხუთავ წრებრუნვაში ჩათრეული მისი ტანი და მისი გონება მუდამ მოძრაობს. პატარა სალამანდრას მსგავსად ცეკვავს მა-რადღე ცეცხლში. აღტაცებას ვერა რა უქრობს და ყოველი წვრილმანი მის აღ-ტაცებას იწვევს. მხურვალე ოცნება, წყარო მჩქეფარე, დაუშრეტელი იმედის

საუნჯე, სიცილი, სიმღერა და ზარხოში გამუდმებული. ცხოვრება ჯერ ვერ ჩაუქერია, ყოველთვის ხელიდან უსხლტება; უსაზღვრობაში დაცურავს. რა ბედნიერია! ბედნიერი ყოფისათვის არის შექმნილი! მთელი არსებით სწამს ბედნიერება და მთელი თავისი მცირე ძალებით მიისწრაფის მისკენ!..

ცხოვრება მალე ასწავლის ჭკუას.

ნაწილი მეოთხე

L' alba vinceva l' ora mattutina
Che fuggia innanzi sì che di lontano
Conobbi il tremolar della marina
Purg I

უკვე ცისკარმა წინ გაიგდო რიჟრაჟის ჟამი,
ილტვოდა მრუმე პირისაგან სინათლისასა,
მე მყის შევნიშნე შორეულის ზღვისა ცახცახი.

სალხინებელი. I

ეკრაფტები წარმოშობით ანტვერპენიდან იყვნენ. მოხუცმა ჟან-მიშელმა დატოვა ის მხარე ერთი საშინელი ჩხუბის შემდეგ. შესლა-შემოხლა მას ხშირად მოსდიოდა, რადგან ჭაბუკობისას დიდი ჩხუბისთავი იყო. ამჯერად ამას სამწუხარო შედეგი მოჰყვა ნახევარი საუკუნის წინათ იგი წამოვიდა და დაესახლა ერთ პატარა საპერკოგო ქალაქში, რომლის დაბალი ბორცვის ფერდობებზე სართულებად დაწყობილი წითელი, წვეტიანი სახურავები და ჩრდილოვანი ბალები Vater Rhein[1]-ის ღია-მწვანე თვალებში თავიანთი ანარეკლის მზერით ტკბებიან. შესანიშნავი მუსიკოსი მალე დააფასეს ამ ქვეყანაში. სადაც ყველა მუსიკის მოყვარულია. ქორწინების შემდეგ საბოლოოდ დამკვიდრა �ქ. ორმოცი წლის ასაკს გადაცილებულმა ჟან-მიშელმა ცოლად შეირთო კლარა სარტორიუსი, ქალიშვილი ჰერცოგის კაპელმაისტერისა. სიმამრმა თავისი თანაგრძნობა ჟან-მიშელს გადასცა. კლარა გულკეთილი გერმანელი ქალი იყო და ორი რამ უყვარდა გატაცებით: სამზარეულო და მუსიკა. კლარა ისევე აღმერთებდა ქმარს, როგორც მანამდე მამას. ჟან-მიშელსაც არა ნაკლებ უყვარდა ბეეულლე. ისინი თხუთმეტ წელიწადს შეხმატკბილებულნი ცხოვრობდნენ. ოთხი შვილი შეეძინათ. შემდეგ კლარა გარდაიცვალა. ჟან-მიშელმა გამოიტირა გი და ხუთი თვის შემდეგ ოტილია შულცი შეირთო. ოტილია ოცი წლის, ლოყებღაჟღაჟა, მაგარი აგებულების და მხიარული ქალიშვილი იყო. მასაც

---

[1] Vater Rhein — მამა რაინი. ასე უწოდებდნენ გერმანელები თავიანთ საყვარელ მდინარეს.

სწორედ ის თვისებები გააჩნდა, რაიც კლარას ამკობდა, და ჟან-მიშელსაც პირველი ცოლივით უყვარდა იგი. რვა წლის ცოლქმრობის შემდეგ ისიც გარდაიცვალა და მეუღლეს შვიდი შვილი დაუტოვა. ჟან-მიშელს სულ თერთმეტი შვილი ჰყავდა, რომელთაგან ერთიღა შერჩა. თუმცა ძლიერ უყვარდა თავისი შვილები, ამდენმა უბედურებამ მაინც ვერ მოტეხა მისი მაგარი სხეული და ვერ შეუცვალა კარგი გუნება. ყველაზე მძიმე ოტილიას სიკვდილი იყო, რაც ამ სამი წლის წინ მოხდა. ჟან-მიშელი უკვე იმ ასაკისა იყო, რომელსაც ძნელია ცხოვრების ხელმეორედ აგება და ახალი კერის დაფუძნება. მაგრამ უბედურებამ დიდი ხნით ვერ მოტეხა იგი და მოხუცმა ისევ აღიდგინა ზნეობრივი წონასწორობა.

გულჩვილი კაცი იყო, მაგრამ სიჯანსაღე ყველაფერს სჭარბობდა მის არსებაში. წუხილის მიმართ ფიზიკურ ზიზღსა გრძნობდა და მხიარულებას, მოუხეშავ ფლამანდურ მხიარულებას, უზომო და ბავშვურ სიცილს ესწრაფვოდა. რაც უნდა მწუხარე ყოფილიყო, საჭმელ-სასმელს ვერ დაიკლებდა და მუსიკასაც არ ანებებდა თავს. მისი დირიჟორობის დროს სასახლის ორკესტრმა სახელიც კი გაითქვა რაინის მხარეში, სადაც ჟან-მიშელის ათლეტური აღნაგობა და სიფიცხე ყველას პირზე ეკერა. მიუხედავად ცდისა, იგი თავის გრძნობებს ვერ იოკებდა, თუმცა ეს შმაგი კაცი ფრიად მორიდებული იყო და თავის შერცხვენისა ეშინოდა, დეკორუმი უყვარდა და საზოგადოებრივ აზრს დიდად აფასებდა. მაგრამ ზოგჯერ სისხლი აუდუღდებოდა და თავში აუვარდებოდა. უეცარი გახელება იპყრობდა არა მხოლოდ რეპეტიციაზე. არამედ კონცერტის მიმდინარეობის დროსაც კი. ერთხელ ჰერცოგის თვალწინ გაშმაგებულმა გადაისროლა ჯოხი, ფეხი დააბაკუნა და მძვინვარებისაგან ენადაბმულმა გამოლანძღა ერთი მუსიკოსი. ჰერცოგს ეს ართობდა ხოლმე, მაგრამ გალანძღული არტისტები სიძულვილს ისევევდნენ გულში. წუთის შემდეგ ამაოდ ცდილობდა შერცხვენილი ჟან-მიშელი გადაჭარბებული პირმოთნეობით გაებათილებინა თავისი უდიერი საქციელი — პირველი შემთხვევისთანავე უფრო მეტად შმაგდებოდა. გულფიცხობა ხნოვანებასთან ერთად მოემატა და ბოლოს და ბოლოს მისი მდგომარეობა საეჭვმანო გახდა. ეს თავადაც იგრძნო და ერთხელ, როდესაც მისმა სიბრაზემ კინაღამ მთელი ორკესტრის გაფიცვა გამოიწვია. სამსახურიდან გადადგომის თხოვნა შეიტანა. იმედი ჰქონდა, რომ მის დამსახურებას გაითვალისწინებდნენ, თხოვნის დაკმაყოფილება გაუძნელდებოდათ და შეეევედრებოდნენ — დარჩითო; ასე არ მომხდარა. სიამაყის გამო თხოვნა უკან აღარ წაიღო. დანაღვლიანებული წამოვიდა. შემდეგ ხშირად აყვედრიდა ადამიანებს უმადურობას.

ამ დროიდან არ იცოდა, დღეები რით ამოევსო. სამოცდაათ წელს გადაებიჯებინა. მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგად იყო. ახალი საქმე გაიჩინა — დილიდან საღამომდე დარბოდა ქალაქში, გაკვეთილებს აძლევდა: კამათობდა, ლაქლაქებდა,

ყველაფერში ერეოდა. უნიჭო კაცი არ იყო და მუსიკალური ინსტრუმენტების შეკეთებას მიჰყო ხელი. იგონებდა, ცდიდა, აუმჯობესებდა, მუსიკასაც თხზავდა, უკეთ — ცდილობდა შეეთხზა. ოდესღაც დაეწერა Messa Solemnis[1] და სულ იმაზე ლაპარაკობდა. ეს თხზულება ოჯახის სიამაყე იყო. მას იმდენი შრომა შეალია, რომ კინაღამ დამბლა დაეცა. ცდილობდა თავი დაერწმუნებინა, რომ ეს გენიალური თხზულება იყო, მაგრამ ძალიან კარგად უწყოდა, რა ცარიელი გონებითაც წერდა მას და ვერ ბედავდა ხელნაწერში ჩახედვას, რადგან იმ ფრაზებში, რომლებიც თავისი ეგონა, ცნობდა ნებისყოფის დაძაბვითა და წვალებით შეკოწიწებულ ნაწყვეტებს სხვა ავტორთა. ეს სევდას ჰგვრიდა; ანაღვლიანებდა. სანდახან, ღვთაებრივი მელოდიები ეწვეოდნენ. ათრთოლებული მივარდებოდა მაგიდას, შთაგონებამ შემიპყრორო, ეგონა. მაგრამ კალამს აიღებდა ხელში თუ არა, ისევ მარტოობასა და სიჩუმეს გრძნობდა. რამდენს არ ცდილობდა აღედგინა გამქრალი ბგერები, მხოლოდ მენდელსონის ან ბრამსის ნაცნობი მელოდიები აგონდებოდა.

„არსებობენ,—ამბობს ჟორჟ სანდი, — უბედური გენიოსები, ისინი თავს ვერ ავლენენ და თავიანთი ნააზრევი საფლავში ჩააქვთ განუცხადებლად. ამის დასტურად გამოგვადგება დიდებულ მუნჯთა და ენაბრგვილთა ამ ვრცელი ოჯახის ერთ-ერთი წევრი ჟოფრუა სენტ-ილენი". ჟან-მიშელიც ამ ოჯახს ეკუთვნოდა. თავის თავი ვერ გამოხატა ვერც მუსიკითა და ვერც სიტყვით, მაგრამ ჯერაც ვერ შეგუებოდა ამ ამბავს. მას ხომ ძალიან უყვარდა ლაპარაკი და წერა, ისე უნდოდა დიდი მუსიკოსი და მჭევრმეტყველი ორატორი ყოფილიყო! ეს იყო მისი იდუმალი სევდა; სხვებს არ უმჟღავნებდა ამას, თავის თავსაც არ უტყდებოდა, ცდილობდა ამაზე არ ეფიქრა, მაგრამ უნებლიეთ ფიქრობდა და ეს სულს უწამლავდა.

საწყალი მოხუცი! ვერ ახერხებდა ბუნებრივი ყოფილიყო. სიკეთისა და სიძლიერის რამდენი მარცვალი გაჩნდა, მაგრამ მათ აღმოცენება არ ეწერა. ხელოვნების ღირსებისა და ცხოვრების ზნეობრივი ღირებულების ღრმა რწმენა ჰქონდა, მაგრამ ამას ყოყლოჩინობითა და სასაცილო ქცევით ავლენდა; რაოდენი კეთილშობილური სიამაყე ჰქონდა და ცხოვრებაში აღმატებულთ თითქმის მონურად სცემდა თაყვანს; დამოუკიდებლობას ესწრაფოდა და განუზომელ მორჩილებას იჩენდა; ძლიერი გონება და ცრურწმენანი, გმირული ვნება, ჭეშმარიტი სითამამე და უზომო რიდი ახასიათებდა ერთსა და იმავე დროს! შუა გზაზე შეჩერებული ადამიანი იყო.

---

[1] საზეიმო მესა.

ჟან-მიშელმა ვაჟზე გადაიტანა პატივმოყვარული ზრახვანი. თავდაპირველად მელქიორი უმართლებდა იმედს. ბავშვობიდანვე მუსიკის დიდი ნიჭი დაჰყვა; საოცრად უადვილდებოდა სწავლა და ადრე დახელოვნდა კიდეც ვიოლინოს დაკვრაში, რის გამოც კარგა ხანი სასახლის კონცერტების საყვარელი კერპი იყო. ასევე შშვენივრად უკრავდა ფორტეპიანოსა და სხვა ინსტრუმენტებზე. იგი იყო მეევრმეტყველი, მოხდენილი, ისეთი გარეგნობის პატრონი, რასაც გერმანიაში კლასიკური სილამაზის ნიმუშად სთვლიან: ჰქონდა ფართო და არაფრის გამომხატველი შუბლი, დიდი, სწორი ნაკვთები და ხუჭუჭა წვერი. ერთი სიტყვით, რაინის სანაპიროთა იუპიტერი გახლდათ. მოხუცი ჟან-მიშელ ტკბებოდა თავისი ვაჟის წარმატებებით. იგი აღტაცებული იყო მისი ვირტუოზული დაკვრით, მით უფრო, რომ თავად ვერც ერთ ინსტრუმენტზე ვერ უკრავდა კარგად. მელქიორს არასოდეს არ გასჭირვებია თავისი ნააზრევის გადმოცემა. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ არ აზროვნებდა. ეს არც ადარდებდა. მას ჰქონდა სული საშუალო მსახიობისა და ხმის მოდულაციებზე უფრო ზრუნავდა, ვინემ იმაზე, რასაც ხმა გამოხატავს, თან მოუსვენრად, თავმომწონედ ადევნებდა თვალყურს საზოგადოებას — აბა, რა შთაბეჭდილებას ვახდენო.

ყველაზე უფრო საყურადღებო ის იყო, მიუხედავად გარეგნული მხარის და სოციალურ პირობითობათა პატივისცემისა, ჟან-მიშელივით მასაც ახასიათებდა რაღაც აწყვეტილი, მოულოდნელი ქარაფშუტობა. აკი ამიტომაც ხალხი ამბობდა: ყველა კრაფტი ცოტას მოისულელებსო. ამ აზრს პირველად ზიანი არ მოჰქონდა მისთვის. უცნაურობას გენიალობის ნიშნად უთვლიდნენ, რადგან კეთილგონიერ ადამიანებს ჰგონიათ, ხელოვანი არ შეიძლება კეთილგონიერი იყოსო. მაგრამ მალე მელქიორის უცნაურობის მიზეზი გამოირკვა: ეს მიზეზი ღვინო აღმოჩნდა. ნიცშე ამბობს, ბახუსი მუსიკის ღმერთი არისო. მელქიორიც ინსტინქტურად ამ აზრისა იყო. მაგრამ მისმა ღვთაებამ დიდი უმადურობა გამოიჩინა: არათუ არ შეუვსო ნაკლული ჭკუა, ისიც წაართვა, რაც ებადა. სულელური ქორწინების შემდეგ (ეს ქორწინება სისულელე იყო მაღალი საზოგადოების და, მაშასადამე, მელქიორის აზრითაც) იგი უფრო დაეცა. მუსიკას თავი მიანება და თავის უპირატესობაში აგრერიგად დარწმუნებული მალე სხვებზე უმდარესი აღმოჩნდა. სხვა დიდოსტატები გამოჩნდნენ და საზოგადოებამ ისინი შეიყვარა. ამან გაამწარა მელქიორი, მაგრამ გამოფხიზლების ნაცვლად მხნეობის უკანასკნელი ნატამალიც კი დაკარგა. ჯავრს იმით იყრიდა, რომ დუქნის თანამეინახეთა წინაშე აგინებდა მეტოქეებს. სულელური ამპარტავნობის გამო იმედოვნებდა—სასახლის კაპელმაისტერის თანამდებობაზე მამის შემდეგ მე დამნიშნავენო. სხვა დანიშნეს. თავი დევნილად ჩათვალა და აუღიარებელი გენიოსის პოზა მიიღო. მოხუცი კრაფტისადმი პატივისცემის წყალობით ორკეს-

ტრში პირველი ვიოლინოს ადგილი დაუტოვეს. მაგრამ გაკვეთილები თანდათან დაკარგა. ეს უბედურება მეტად საგრძნობი იყო მელქიორის თავმოყვარეობისათვის, განსაკუთრებით კი — ვისისათვის. მას შემდეგ, რაც ბედმა ზურგი შეაქცია, ოჯახის სახსრები ძლიერ შემცირდა. ძველი კეთილდღეობა თანდათან სიღარიბემ შეცვალა. რაც დრო გადიოდა, ოჯახს უფრო მეტად უჭირდა. მელქიორს არ სურდა შეემჩნია ეს. ერთი გროშითაც არ შეუმცირებია ჩაცმა-გარეობის ხარჯები.

ავი კაცი არ ყოფილა, მაგრამ არც მთლად კეთილი იყო. იქნებ ეს უარესიცაა. სუსტი ხასიათის, სიმტკიცეს და ზნეობრივ ძალას მოკლებული ადამიანი გახლდათ. თუმცა თავის თავს კარგ მამად, შვილად, მეუღლედ და ადამიანად ივლიდა და შეიძლება ასეთიც ყოფილიყო; ამისათვის გულჩვილობა და ზერელე სიკეთე რომ იყოს საკმარისი და ის ცხოველური სიყვარული, რითაც მხოლოდ თავისიანები უყვართ, როგორც ნაწილი საკუთარი არსებისა. არც ეს შეიძლება ითქვას, დიდი ეგოისტი იყოო — საამისოდ ერთობ სუსტი პიროვნება გახლდათ. იგი არარაობა იყო. არარაობანი ცხოვრებაში საზარელნი არიან: ისინი ჰაერში აგდებული სიმძიმესავით ძირს მოექანებიან. უცილობლად უნდა დაენარცხონ მიწას და თან ჩამოიყოლონ ახლობლები.

•

იმ დროისათვის, როცა ოჯახს სიღარიბე მიეძალა, კრისტოფი ბიმოდენა იყო, უკვე ესმოდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ.

იგი დედისერთა არ ყოფილა. მელქიორს სულაც არ ადარდებდა თავისი სათამაშოების ბედი და კრაფტების ოჯახში ყოველ წელს ბავშვი ჩნდებოდა. ორი ადრევე გარდაეცვალათ. კიდევ ორი ჰყავდათ, სამი წლისა და ოთხის. როდესაც ლუიზა იძულებული იყო შინიდან გასულიყო, ბალღებს კრისტოფს ანდობდა. კრისტოფი ახლა ექვსი წლისა იყო.

უმძიმდა ბავშვების თვალყური: ნაშუადღევს მინდვრად ვეღარ გარბოდა, მაგრამ ეამაყებოდა, რომ მოზრდილად თვლიდნენ და გულმოდგინედ ასრულებდა დავალებას. როგორც შეეძლო, ისე ართობდა პატარებს. თავის სათამაშოებს აძლევდა. ისე ელაპარაკებოდა, როგორც დედამ იცოდა ტიკტიკი ჩვილთან ჩანრიგრიგობით ხელში აიყვანდა პატარებს. ესეც დიდებისაგან ესწავლა. სიმძიმისაგან წელში იხრებოდა, კბილს კბილზე აჭერდა და მთელი ძალ-ღონით იკრავდა მკერდში პატარა ძმას, რომ ხელიდან არ გავარდნოდა. პატარებს სულ ხელით ტარება უნდოდათ და როცა დაღლილი კრისტოფი ვეღარ უსრულებდა სურვილს, საზარელ ღრიალს ატეხდნენ. უჭირდა კრისტოფს. ხშირად გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებოდა. ბავშვები ჩაისვრებოდნენ და კრისტოფმა არ იცო-

და. რა ექნა. აქ დედის ხელი იყო საჭირო. ძმები ბოროტად იყენებდნენ მის გულკეთილობას. ხანდახან მათი გალახვა მოუნდებოდა. მაგრამ გაიფიქრებდა: პატარები არიან და არაფერი გაეგებათო, და დიდსულოვნად იტანდა ჩქმეტას, წიხლს და წვალებას, ერნსტი ტყუილუბრალოდ ღრიალებდა. ფეხებს აბაკუნებდა და სიბრაზისაგან იატაკზე გორავდა. იგი ნერვიული ბავშვი იყო და ლუიზა არიგებდა კრისტოფს — ნუ ეწინააღმდეგებიო. ხოლო რუდოლფი მაიმუნივით ცბიერი იყო. როგორც კი კრისტოფი ერნსტს აიყვანდა ხელში, დროს იხელთებდა და უფროსი ძმის ზურგს უკან ყოველგვარ სისაძაგლეს სჩადიოდა: სათამაშოებს ამტვრევდა, წყალს ღვრიდა, ტანსაცმელს ითხუპნიდა, განჯინაში იქექებოდა და თეფშებს ძირს ყრიდა.

შინ მობრუნებული ლუიზა რომ ამ არეულობას დაინახავდა, მადლობის ნაცვლად სახედანაღვლიანებული ეუბნებოდა კრისტოფს:

— ეჰ, ჩემო საბრალო ბიჭო, რა მოუხერხებელი ხარ.

კრისტოფი შეურაცხყოფილი იყო და გული ეწვოდა.

ლუიზა შემთხვევას არ უშვებდა. ცოტაოდენი ფული ეშოვნა ქორწილებისა და ნათლობების გადამხდელთ მზარეულად უდგებოდა მელქიორმა ვითომ არაფერი იცოდა. ლუიზას მუშაობის წინააღმდეგი არ იყო, ოღონდ მას არ გაეგო და თავმოყვარეობა არ შელახვოდა. პატარა კრისტოფი ჯერ კარგად არ იცნობდა ცხოვრების სიძნელეებს. მშობლების გარდა მას არავინ ზღუდავდა და ისინიც ძალიან არ უშლიდნენ ხელს. თავის ნებაზე იზრდებოდა. სხვა არა უნდოდა — მალე დიდი გამხდარიყო და სურვილისამებრ მოქცეულიყო. ვერც კი წარმოედგინა, რომ ადამიანს ყოველ ნაბიჯზე ეღობება დაბრკოლება. მით უფრო არასოდეს მოსვლია აზრად, ჩემი მშობლები სავსებით თავისუფალნი არ არიანო. იმ დღეს, როდესაც პირველად დაინახა, რომ ადამიანთა შორის არიან მბრძანებლები და მორჩილნი და რომ მისიანები პირველთ არ ეკუთვნოდნენ. მთელი მისი არსება აღშფოთდა: ეს იყო მისი ცხოვრების პირველი კრიზისი

ერთხელ, დილით დედამ ჩააცვა ყველაზე სუფთა სამოსი. ძველი ნაჩუქარი ტანსაცმელი, რაც ლუიზას თავისი სიმარჯვისა და გულმოდგინეობის მეოხებით ვარგისად ექცია. თვითონ სამუშაოდ წავიდა და კრისტოფს დაუბარა, იმ სახლში მოდი, სადაც ვმუშაობო. ბიჭი ასეც მოიქცა. სახლში მარტოკას შესვლა შეეშინდა. წინკართან ლაქია დაყიალობდა; ბიჭი შეაჩერა და მფარველურ კილოზე ჰკითხა — რისთვის მოსულხარო? გაწითლებულმა კრისტოფმა დედის დარიგებისამებრ წაილუღლუღა, ქალბატონი კრაფტის სანახავად ვარ მოსულიო.

— ქალბატონი კრაფტი? რა გესაქმება ქალბატონ კრაფტთან? — მსახურმა

სიტყვა „ქალბატონის“ თქმისას დამცინავად აუმაღლა ხმას, — დედაა შენი? ამ კიბეს აჰყევი. ლუიზა სამზარეულოშია, კორიდორის ბოლოს.

კრისტოფი იქით გაემართა, კიდევ უფრო გაწითლდა. შერცხვა, რომ მის დედას შინაურულად ლუიზას ეძახდნენ. დამცირებული იყო. საყვარელ მდინარეზე გაქცევა მოუნდა, იქ, სადაც ბუჩქების ჩრდილში ზღაპრებს უამბობდა საკუთარ თავს.

სამზარეულოში სხვა მსახურთა შორის მოხვდა; ისინი ხმამაღალი შეძახილებით შეეგებნენ. დედა ღუმელთან იდგა და ნაზი, ოდნავ შემკრთალი ულიმოდა. კრისტოფი დედისკენ გაიქცა და მისი კაბის კალთაში ჩარგო სახე. დედას თეთრი წინსაფარი ეკეთა და ხელში ხის კოვზი ეკავა. ნიკაპი აუწია კრისტოფს, რათა მისი სახე დაენახათ და მოსთხოვა, იქ მყოფთ მისალმებოდა და ხელი ჩამოერთმია. ამან კიდევ უფრო შეაშფოთა კრისტოფი; გაჯიუტდა, კედლისაკენ შებრუნდა და თავი მკლავებით დაიფარა. მაგრამ თანდათან გათამამდა და თითებს შორის გამოიჭყიტა მოციმციმე და მხიარულმა პატარა თვალმა. როგორც კი მისკენ მიიხედავდნენ, თვალი იმალებოდა. ბავშვი მალულად ათვალიერებდა ოთახში მყოფთ. დედამისს უცნაური და საქმიანი იერი ჰქონდა. ერთი ქვაბიდან მეორესთან შიდიოდა, სინჯავდა საჭმელს, თავის აზრს გამოთქვამდა და დარწმუნებული კილოთი ამბობდა, რა როგორ მომზადებულიყო, ხოლო უბრალო მზარეულები პატივისცემით უსმენდნენ. ბავშვს გული სიამაყით აევსო იმის დანახვაზე, თუ როგორ აფასებდნენ დედამისს, რა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ის ამ დიდებულ, ოქროსა და სპილენძის ბრწყინვალე ნივთებით მორთულ გაკრიალებულ სამზარეულოში.

უცებ საუბარი შეწყდა. კარი გაიღო. აბრეშუმის კაბის შრიალით შემოვიდა ქალი და ეკვიანი მზერით მიმოიხედა ირგვლივ. ახალგაზრდა აღარ იყო უკვე და მაინც ღია ფერის ფართო სახელოებიანი კაბა ეცვა; შლეიფი ხელში ეჭირა, რათა არაფერს მიკარებოდა. ღუმელთან მაინც მივიდა, ქვაბებს დახედა და საჭმელი გასინჯა კიდეც. ხელის ოდნავ აწევაზეც კი მკლავი ნიდაყვამდე უშიშვლდებოდა. კრისტოფმა გაიფიქრა, ეს ულამაზო საქციელია და ქალი უზრდელიაო. რა უკმეხად და მკაცრად ელაპარაკებოდა დედას! რა თავმდაბლად პასუხობდა დედა! კრისტოფი განცვიფრებული იყო. კუთხეში მიიყუჟა, რათა ვერ შეემჩნიათ. მაგრამ ამან ვერ უშველა. ქალმა იკითხა — ეს პატარა ბიჭი ვინ არისო. ლუიზამ ბავშვს ხელი მოჰკიდა და წარუდგინა. დედას ბავშვის ხელები ეჭირა, რათა სახის დაფარვა არ დაენებებინა მისთვის. კრისტოფს სურდა ხელები გამოეგლიჯა და გაქცეულიყო, მაგრამ ალღოთი იგრძნო, ამჯერად წინააღმდეგობა არ უნდა გაეწია. ქალმა ბავშვის შეძრწუნებულ სახეს დახედა და პირველად ტკბილად დედობრივად გაუღიმა, მაგრამ მაშინვე წინანდელი მფარველური იერი მიიღო

და ბავშვს ჰკითხა, როგორ იქცევი და ეკლესიაში თუ დადიხარო. კრისტოფს პასუხი არ გაუცია. ქალმა ბიჭი შეათვალიერა და იკითხა, ტანსაცმელი როგორ აიგასო. ლუიზამ უთხრა, თითქოს ამის ტანზე იყოსო შეკერილი. მერე კურტაკზე მოსწია, რათა ნაკეცები გაესწორებინა. კრისტოფს ყვირილი უნდოდა: ტანისამოსი უჭერდა და თავს მოხერხებულად ვერ გრძნობდა შიგ. არც ის ესმოდა, დედა ამ ქალბატონს რისთვის უხდიდა მადლობას.

ქალმა ხელი ჩასჭიდა ბავშვს და უთხრა — ჩემს შვილებთან უნდა წაგიყვანოო. კრისტოფმა სასოწარკვეთილად შეხედა დედას, მაგრამ იგი დიასახლისს ისე თავაზიანად უღიმოდა, რომ ბავშვი მიხვდა—იმედი ამაოა და დასაკლავი ცხვარივით გაჰყვა თავის წინამძღოლს.

ისინი ბაღში გავიდნენ, სადაც სკამზე ორი ბავშვი იჯდა — თითქმის კრისტოფის ხნის ბიჭი და გოგო. ეტყობა, ბავშვები ერთმანეთს გაბუტვოდნენ — ორივე გაჯავრებული იყო და ზურგშექცევით ისხდნენ: კრისტოფის მოსვლამ გაახალისა პატარები. ახალმოსულს მიუახლოვდნენ, რათა დაეთვალიერებინათ. ქალი წავიდა და გაშეშებული კრისტოფი ბავშვებთან დატოვა ხეივანში. ბიჭი თავის აწევას ვერ ბედავდა. გოგო და ბიჭიც რამდენიმე ნაბიჯზე უძრავად იდგნენ, თავით ფეხამდე ათვალიერებდნენ მას, ერთმანეთს მუჯლუგუნსა ჰკრავდნენ და დასცინოდნენ. ბოლოს გადაწყვიტეს დალაპარაკებოდნენ და შეეკითხნენ: ვინ ხარ, საიდან მოდი და მამაშენი რას აკეთებსო. გაქვავებულმა კრისტოფმა არ უპასუხა: იგი მეტისმეტად შემკრთალი იყო, თვალებზე ცრემლი ადგა. განსაკუთრებით აფრთხობდა პატარა გოგო, რომელსაც ქერა ნაწნავები და შიშველი წვივები ჰქონდა და მოკლე კაბა ეცვა.

ბავშვები თამაშით გაერთნენ. კრისტოფი ოდნავ დამშვიდდა. უეცრად პატარა ბურჟუა მის წინ შედგა, მის ტანსაცმელს შეეხო და წამოიძახა:

— ეს ჩემია!

კრისტოფმა ვერ გაიგო, რატომ იჩემებს ეს ბავშვი ჩემს ტანსაცმელსო და უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ჩემია, ჩემი, — თქვა ბიჭმა, — ეს ჩემი ძველი ლურჯი კურტაკია. აი, აგერ ლაქა აჩნია.

ანიშნა კიდეც, სადაც იყო ლაქა. შემდეგ კრისტოფის ფეხები დაათვალიერა და ჰკითხა — ეს დაკერებული ფეხსაცმელები სად გიშოვნიაო? კრისტოფი აილეწა. გოგონა აიმრიზა და კრისტოფის გასაგონად ძმას წასჩურჩულა — ეს პატარა მათხოვარი არისო. კრისტოფს მეტყველების უნარი დაუბრუნდა. გადაწყვიტა უარეყო ეს შეურაცხმყოფელი აზრი და ყრუდ წაილუღლუღა, მელქიორ კრაფტის შვილი ვარ და მზარეული ლუიზა ჩემი დედაოო. იგი ფიქრობდა, მზარეულის წოდება ისევე ღირსეულია, როგორც ყოველი სხვა და მართალიც

იყო. მაგრამ ორი პატარა ბავშვი, თუმც დაინტერესდა ამით, მისდამი მეტი პატივისცემით არ გამსჭვალულა. პირიქით, მფარველის კილოთი დაუწყეს ლაპარაკი. შეეკითხნენ: რა უნდა გამოხვიდე, მზარეული თუ მეეტლეო? კრისტოფი ისევ გაჩუმდა. გულში ყინული ჩაუდგა.

კრისტოფის სიჩუმემ გააგულისა პატარა ბატონკაცები. უცებ მათ ბავშვური, უმიზეზო და მძაფრი ანტიპათია იგრძნეს პაწია გლახას მიმართ და მის საწვალებლად რაიმე შესაქცევარის მოგონება მოინდომეს. გოგონა განსაკუთრებით სასტიკი იყო. მან შენიშნა, რომ კრისტოფს ტანსაცმელი უჭერდა და სირბილი გაუჭირდებოდა დაბალი სკამებისაგან ბარიერი მოაწყვეს და კრისტოფს ძისი გადალახვა შესთავაზეს. უბედურმა ბიჭმა ვერ გაბედა ეთქვა, ტანსაცმელი ხტომას მიშლისო. ძალა მოიკრიბა, გაექანა და მიწაზე გაიშხლართა. ბავშვებმა ხარხარი ატეხეს. კრისტოფმა ისევ სცადა ბედი, ცრემლმორეულმა ძალღონე დაძაბა და ამჯერად გადახტომა მოახერხა. ამან არ დააკმაყოფილა მისი ჯალათები. ბავშვებმა დაასკვნეს, ბარიერი საკმაოდ მაღალი არ იყო; მათ აამაღლეს იგი, ვიდრე მართლა სახიფათო არ გახადეს. კრისტოფმა სცადა აღშფოთებულიყო და განაცხადა — არ გადავხტებიო. მაშინ პატარა გოგომ მხდალი უწოდა და თქვა — ეშინიაო. ამისი ატანა კრისტოფს აღარ შეეძლო. თუმცა დარწმუნებული იყო, დაეცემოდა, მაინც გადახტა. გადახტა და დაეცა. ფეხები რაღაცას წამოჰკრა და გადმოანგრია. ხელები დაეკაწრა. კინაღამ თავი გაიტეხა. ამ უბედურების დასაგვირგვინებლად მუხლებზე და სხვაგანაც ტანსაცმელი შემოეხა; სირცხვილით იწვოდა; ესმოდა — ორი ბავშვი მხიარულად ცეკვავდა მის ირგვლივ. საშინლად იტანჯებოდა. გრძნობდა, აბუჩად იგდებდნენ და ეჯავრებოდათ. რისთვის? რისთვის? ნეტავი მომკვდარიყო: არაფერი შეედრება იმ მძაფრ მწუხარებას, რასაც ბავშვი განიცდის, როდესაც პირველად სხვების ბოროტებას შეიცნობს. მაშინ ბალღს ჰგონია, მთელი ქვეყანა მას დევნის და არაფერი დაიფარავს, არაფერი!.. კრისტოფი შეეცადა ამდგარიყო: პატარა ბურჟუამ უბიძგა და ის კვლავ დაეცა. გოგო ფეხებს ურტყამდა. ისევ სცადა წამოდგომა; ისინი მივარდნენ, ზურგზე შეასხდნენ და პირ-სახე მიწაში ჩაარგვევინეს. მაშინ კი გაშმაგდა. ეს უკვე ნამეტანი იყო. ხელები ეწვოდა, ლამაზი ტანსაცმელი დაეხა — ეს უბედურებას მოასწავებდა! თავს დატეხილმა სირცხვილმა, ჯავრმა, უსამართლობის გამო აღშფოთებამ გიჟივით გაამძვინვარა. მუხლებსა და ხელებზე წამოიწია, ძაღლივით შეიბერტყა ზურგი და მწვალებლები ძირს გადმოყარა; და რადგან მათ ისევ შემოუტიეს, თავდახრილი გაექანა მათკენ, გოგონას სილა გააწნა, ხოლო ბიჭს მუშტი უთავაზა და ყვავილნარში გადააგდო.

ატყდა ღრიალი. ბავშვებმა ყურისწამღები კივილით სახლს შეაფარეს თავი. გაისმა კარების ჯახუნი და მრისხანე ხმა. ქალმა სწრაფად მოირბინა, რამდე-

ნადაც შლეიფი აძლევდა ნებას. კრისტოფი ხედავდა, როგორ ახლოვდებოდა ქალი, არც ცდილობდა გაქცეულიყო, თავისი ნამოქმედარით შეშინებული იყო: ეს ხომ გაუგონარი თავხედობაა და დანაშული; მაგრამ არაფერს ნანობდა. ელოდა. იცოდა, არაფერი უშველიდა. მით უკეთესი. ბავშვს სასოწარკვეთა დაეუფლა.

ქალი ეცა მას. ბავშვმა იგრძნო, რომ სცემდნენ. ესმოდა მძვინვარე ხმით წარმოთქმული სიტყვების ნიაღვარი, მაგრამ ვერაფერს არჩევდა. პატარა მტრებიც დაბრუნებულიყვნენ მისი შერცხვენის საყურებლად და ხმამაღლა ჭყიპინებდნენ. მსახურებიც აქ იყვნენ. ხმები ერთმანეთში ირეოდა. რათა მთლად დაეჩაგრათ, ლუიზას უხმეს. ისიც მოვიდა და დაცვის მაგივრად მანაც ცემა დაუწყო. არც არაფერი უკითხავს, ისე დაუწყო ცემა. პატიება ითხოვეო — უბრძანა, გაშმაგებულმა კრისტოფმა უარი თქვა. ლუიზამ უფრო ძლიერ შეაჯანჯღარა და მიათრია ქალბატონთან და ბავშვებთან, რომ მათ წინ მუხლებზე დაეჩოქებინა, მაგრამ ბიჭმა ფეხები ააფართხუნა, დაიღმუვლა და ხელზე უკბინა დედას. ბოლოს გაიქცა.

იგი შინისაკენ წამოვიდა გულგახურებული, სიბრაზისა და ცემისაგან სახე ეწვოდა. ცდილობდა, ამაზე არ ეფიქრა და ფეხს აუჩქარა, არ უნდოდა ქუჩაში ეტირა. უნდოდა მალე შინ დაბრუნებულიყო, რათა შესაძლებლობა მისცემოდა ცრემლით ენუგეშებინა თავი. კრიჭა შეეკრა, მოწოლილი სისხლისაგან თავი უსკდებოდა.

ბოლოს თავის სახლს მიაღწია. ძველ, შავ კიბეზე აირბინა და დაქანცული მივარდა თავის ჩვეულებრივ თავშესაფარს, მდინარეზე გადამდგარი სარკმლის ნიშას. ცრემლი ღვარად სდიოდა. როცა ქვითინის პირველმა შეტევამ ცოტათი გაუარა, ისევ ატირდა. რადგანაც სურდა გაშმაგებით ეტირა, თავი დაეტანჯა, თითქოს ამით სხვებსაც უხდიდა სამაგიეროს. შემდეგ გაიფიქრა, მამა მალე დაბრუნდება, დედა ყველაფერს უამბობს და ჩემი უბედურება ჯერ არ დასრულებულაო. გადაწყვიტა გაქცეულიყო სადმე და არასოდეს არ დაბრუნებულიყო.

სწორედ იმ დროს, როცა კიბეზე ჩამოდიოდა, შინდაბრუნებულ მამას შეეჩეხა.

— აქ რას აკეთებ, აბეზარო? სად მიხვალ? — ჰკითხა მელქიორმა.

ბავშვმა არ უპასუხა.

— გეტყობა, რაღაც გიეშმაკნია, რა ჩაიდინე?

კრისტოფი ჯიუტად დუმდა.

— რა ჩაიდინე? — გაუმეორა მელქიორმა. — მიპასუხებ თუ არა?

ბავშვმა ტირილი მორთო, ხოლო მელქიორი აყვირდა. თანდათან ხმას უმატა, ვიდრე კიბეზე ამომავალი ლუიზას სწრაფი ნაბიჯები არ მოისმა. ის შემოვიდა;

ჯერაც არ დამშვიდებულიყო. ბავშვს საყვედურები უთხრა და ცემა დაუწყო, როგორც კი გაიგო რა მოხდა. და შეიძლება უფრო ადრეც, მას მელქიორიც შეუერთდა. ისე ურტყამდა ბიჭს, რომ ხარს წააქცევდა. ორივენი ყვიროდნენ. ბავშვი ბღაოდა. ბოლოს ერთმანეთს წაეკიდნენ. ძელქიორი სცემდა შვილს და ამავე დროს ამბობდა — ბავშვი მართალია, აი, რა მოსდევს იმ ხალხის სამსახურს, რომელთაც ჰგონიათ, ყველაფრის ნება გვაქვს, რაკი ფული გვიშოვნია ლუიზაც ეტყაპუნებდა კრისტოფს და ქმარს უყვიროდა უხეში ხარ, ბავშვს ნუ ეხები, უკვე დაასახიჩრეო. მართლაც, კრისტოფს ცხვირიდან ცოტა სისხლი სდიოდა, მაგრამ იგი ამაზე არ ფიქრობდა. თუმცა დედა სისხლს სწმენდდა სველი ტილოთი, მისი მადლიერი არ იყო, რადგან ლუიზა ისევ ტუქსავდა. შემდეგ კრისტოფი ბნელ საკუჭნაოში ჩაკეტეს და უვახშმოდ დატოვეს

ესმოდა, როგორ ჩხუბობდა დედ-მამა, არ იცოდა, რომელი უფრო სძულდა; ეგონა — დედა უფრო მძულსო, რადგან ასეთ სიავეს მისგან არ მოელოდა. ერთბაშად დაატყდა თავს მთელი დღის უბედურება, ყველაფერი, რაც განიცადა — ბავშვების, იმ ქალბატონის და მშობლების უსამართლობა და მისი აგრერიგად საამაყო დედ-მამის დამდაბლება ბოროტი და საძაგელი ადამიანების წინაშე, პირველად შეიცნო თავისიანების სულმდაბლობა და შეზიზღდა ისინი. ყველაფერი გამოეცალა: თავისიანებით აღტაცებაც, მშობელთა რელიგიური პატივისცემაც, ცხოვრების ნდობაც, გულუბრყვილო მოთხოვნილება სხვათა სიყვარულისა და ბრმა, მაგრამ უზომო ზნეობრივი რწმენაც. ეს იყო სრული განადგურება. უხეშმა ძალამ გაქელა. მისგან ვერაფრით დაიცავდა თავს. სული შეუგუბდა. ეგონა, ვკვდებიო. მაგრამ ფარ-ხმალის დაყრა არ უნდოდა. ხელებს. ფეხებს და თავს კედელს ახლიდა, ბღაოდა, იგრიხებოდა; ბოლოს რაღაცას დაეჯახა და ძირს დაეცა.

მშობლები მოვარდნენ და ხელში აიყვანეს. ახლა ორივე ეფერებოდა. დედამ ტანთ გახადა, საწოლთან მიიყვანა, სასთუმალთან მიუჯდა და არც მოშორებია, ვიდრე ბავშვი არ დამშვიდდა. მაგრამ კრისტოფს გული არ მობრუნებია, არაფერი არ უპატიებია მისთვის; თავი მოიმძინარა, დედაძ არ მაკოცოსო. ბოროტი, მხდალი ქალი! შვილი ვერ დაიცვა, შეეშინდა! ბიჭმა არ იცოდა, როგორ უჭირდა დედამისს ცხოვრება, შვილების რჩენა და როგორ იტანჯებოდა იმის გამო, რომ იძულებული იყო შვილის საწინააღმდეგოდ ემოქმედა.

მას შემდეგ, რაც უკანასკნელ წვეთამდე ამოიწურა ბავშვური ცრემლების უძირო საწყაული, კრისტოფმა მცირე ნუგეში იგრძნო, დაღლილი იყო. მაგრამ ნერვები ძალზე დაჭიმული ჰქონდა და დაძინება არ შეეძლო. ახლახან განცდილის სახეები იწყებდნენ ფარფატს ბურანში. წარმოუდგა პატარა გოგო, მისი ბოელვარე თვალები და ამაყად აპრეხილი ცხვირი, მხრებზე გადმოშლილი თმა,

შიშველი წვივები და ბავშვური, თავმომწონე ლაპარაკი. შეკრთა, ეგონა ისევ მისი ხმა მომესმაო. მოიგონა, რა უგუნურად მოექცა გოგონა და მისდამი დაუცხრომელი სიძულვილი იგრძნო. ვერ ეპატიებინა მისთვის დამცირება და ძალიან უნდოდა, თვითონაც დაემცირებინა იგი, აეტირებინა. ამის საშუალებებს ეძიებდა და ვერაფერი გამონახა. ნაკლებ საგულვებელი იყო, რომ გოგონა ოდესმე დაინტერესდებოდა კრისტოფით. მაგრამ თავის სანუგეშებლად კრისტოფმა ყველაფერი ისე წარმოიდგინა, როგორც თვითონ სურდა — თითქოს ძალზე ძლიერი და დიდებული პირი გამხდარა და ამავე დროს გოგონას უყვარს იგი. და მან თავის თავს უამბო ერთი დაუჯერებელი ამბავთაგანი, რაიც ბოლოს და ბოლოს სინამდვილეზე უფრო ნამდვილი ეჩვენა.

წარმოიდგინა, თითქოს გოგონას მისი სიყვარული ჰკლავდა, მაგრამ კრისტოფი არად აგდებდა მას. როცა მისი სახლის წინ გაივლიდა, გოგონა ფარდებს უკან იმალებოდა და უჭვრეტდა. კრისტოფმა იცოდა, მას უმზერდნენ. მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა და მხიარულად ლაპარაკობდა, ტოვებდა კიდეც აქაურობას და შორეულ მხარეს მიემგზავრებოდა, რათა გოგონას დარდი გაასკეცებოდა. ის დიად საქმეებს სჩადიოდა. აქ თავის ამბავში პაპამისის ნაამბობის რჩეული ნაწყვეტები ჩაურთო. გოგონა ამ ხნის განმავლობაში სევდით დაავადმყოფდებოდა დედამისი. ამპარტავანი ქალი, მოვიდოდა კრისტოფთან და შეეხვეწებოდა: „ჩემი საბრალო გოგონა კვდება, გევედრები. ჩამოდი“. ბრუნდებოდა. გოგონა ლოგინად ჩავარდნილიყო; სახე შემკრთალი და გამხდარი ჰქონდა: მკლავებს უწვდიდა: ლაპარაკი არ შეეძლო, მხოლოდ მისი ხელები ეჭირა და ატირებული კოცნიდა. მაშინ კრისტოფი სიკეთითა და საოცარი სინაზით აღსავსე თვალებით უყურებდა, ეუბნებოდა—განიკურნეო და სიყვარულის ნებას აძლევდა. მოთხრობის ამ ადგილს რომ მოაღწია, სიამოვნების გასახანგრძლივებლად რამდენჯერმე გაიმეორა ჟესტები და სიტყვები. ამასობაში ღილი მიეპარა. ნუგეშით დამშვიდებულმა ჩაიძინა.

როცა თვალები გაახილა, უკვე დღე იყო. მაგრამ ეს დღე გუშინდელი დილის უზრუნველობით არ ბრწყინავდა. რადაც შეიცვალა სამყაროში. კრისტოფმა შეიცნო უსამართლობა.

სულ უფრო და უფრო გაუჭირდათ. ამ დროს იყო, სანახევროდ მშივრები რჩებოდნენ. კრისტოფივით ვერავინ ამჩნევდა ამას. მამა ვერაფერს ხედავდა. ის საქმელს პირველი მიირთმევდა და ყოველთვის ნაყრდებოდა. ხმამაღლა ლაპარაკობდა, მხიარულად იცინოდა თავისსავე ნათქვამზე და ვერ ამჩნევდა ცოლის მზერას. ლუიზა ძალით იღიმებოდა და უყურებდა, როგორ გადაჰქონდა მას საჭ-

ელი. ლანგარი სანახევროდ ცარიელდებოდა. ლუიზა პატარებს გადაუღებდა ხოლმე საჭმელს: თითოეულს ორ-ორ კარტოფილს; როდესაც კრისტოფის ჯერი დადგებოდა, ხშირად სამ კარტოფილზე მეტი აღარ რჩებოდა. დედასაც არ გადაეღო ჯერ. კრისტოფმა ეს წინასწარ იცოდა, ითვლიდა, ვიდრე მისი ჯერი მოატანდა. მაშინ მხნეობას მოიკრეფდა და ხალისიანი იერით ამბობდა:

— მხოლოდ ერთი, დედიკო.

დედა ოდნავ შეშფოთდებოდა ხოლმე.

— ორი, სხვებსაც ორი შეხვდა.

— არა, გეხვეწები, მარტო ერთი.

— არა გშია?

— ძალიან არა მშია.

დედაც ერთ ცალს იღებდა თავისთვის. ისინი გულმოდგინედ იფცქვნიდნენ კარტოფილს, ძალზე წვრილად ჭრიდნენ და ცდილობდნენ. რაც შეიძლება, ნელა ეჭამათ. დედა თვალყურს ადევნებდა მას. როცა კრისტოფი ერთ კარტოფილს გაათავებდა, ეტყოდა:

— აჰა, აიღე ესეც.

— არა, დედიკო.

— ავად ხომ არა ხარ?

— არა, ავად არა ვარ, მაგრამ საკმაოდ ვჭამე.

მოხდებოდა ხოლმე, რომ მამა გაჯიუტებას უსაყვედურებდა და უკანასკნელ კარტოფილს თავისთვის გადაიღებდა. მაგრამ ახლა აღარ ენდობოდა მამას და თავის თეფშზე გადაიღებდა კარტოფილს. პატარა გაუმაძღარი ერნსტისათვის. იგი ხომ თავიდანვე შეფარვით უყურებდა უფროს ძმას, ბოლოს კი ეტყოდა:

— მაგას ხომ არ შეჭამ?. მე მომეცი, კრისტოფ.

.აჰ, როგორ ეჯავრებოდა კრისტოფს მამა, რადგან ის შვილებზე არ ფიქრობდა და ეჭვადაც არ მოსდიოდა, რომ მათ წილს მიირთმევდა. კრისტოფი ისე დამშეული იყო, რომ გულში სიძულვილი უდუღდა და უნდოდა მამამისისათვის ყველაფერი ეთქვა, მაგრამ სიამაყის გამო ფიქრობდა, ამის უფლება არ მაქვს, სანამ ცხოვრების სახსარს თავად არ მოვიპოვებო. მართალია, მამა პურს ართმევდა, მაგრამ პური მისივე შეძენილი იყო. კრისტოფი კი არაფრის მაქნისია, ყველას კისერზე აწევს; ახლა ლაპარაკის ნება არა აქვს. მოვა დრო და ალაპარაკდება, — თუ გაძლო იქამდე. ოჰ! მანამდე შიმშილი მოკლავს.

ასეთი სასტიკი მარხულობა სხვა ბავშვს ისე არ შეაწუხებდა, როგორც კრისტოფს. მისი საღი კუჭი საჭმელს თხოულობდა. ხანდახან კანკალებდა, თავი ტკიოდა, მკერდში სიცარიელესა გრძნობდა, თითქოს რაღაც ნახვრეტი ამოუბურღესო, მაგრამ არ წუწუნებდა; ატყობდა, დედა თვალს ადევნებდა

და ცდილობდა გარეგნულად გულგრილი ყოფილიყო. ლუიზა გულის ტკივილით ამჩნევდა, რომ მისი პატარა ბიჭი საჭმელს იკლებდა, რათა სხვებს მეტი შეხვედროდა; ეს აზრი სულ თან სდევდა, თუმცა ქალი ცდილობდა თავიდან მოეშორებინა: ვერ ბედავდა შეემოწმებინა; ვერ ბედავდა კრისტოფისათვის პირდაპირ ეკითხა — ეს მართალია თუ არაო! რადგან. მართალიც რომ გამომდგარიყო, რას უშველიდა. თვითონ პატარაობიდანვე იყო შეჩვეული გაჭირვებას. რის მაქნისია ჩივილი, როცა საშველი მაინც არ არის? იმას ვეღარ ხვდებოდა, რომ რაკი თვითონ სუსტი ჯანმრთელობის პატრონი იყო, მცირე მოთხოვნილება ჰქონდა, ბავშვი უფრო მეტად იტანჯებოდა. ლუიზა არაფერს ეუბნებოდა პირმშოს. მაგრამ ზოგჯერ, როცა პატარები ქუჩაში თამაშობდნენ, ხოლო მელქიორი თავის საქმეებზე იყო წასული, სთხოვდა უფროს ვაჟს—დარჩი და ცოტა მომეშველეო. ერთხელ კრისტოფს გორგალი დაეჭირა, დედა ძაფს ახვევდა. ანაზდად ქალმა ყველაფერი გადაყარა და აღგზნებით მიიზიდა შვილი; კალთაში ჩაისვა, თუმცა ბიჭი უკვე საკმაოდ დამძიმებული იყო, და მკერდში ჩაიკრა. კრისტოფიც ყელზე შემოეჭდო დედას. ცრემლებს ღვრიდნენ და ასე კოცნიდნენ ერთმანეთს.

— ჩემო საწყალო, პატარა ბიჭუნავ!..

— დედიკო, ძვირფასო დედიკო!..

მეტი არაფერი უთქვამთ, მაგრამ ერთმანეთს გაუგეს.

კრისტოფი საკმაოდ დიდხანს ვერ ამჩნევდა, რომ მამამისი ლოთობდა. მელქიორი, თავდაპირველად მაინც. გარკვეულ საზღვარს არ გადადიოდა. უხეში სიმთვრალე არ იცოდა, შეზარხოშებული მხოლოდ მეტისმეტად მხიარული იყო, სისულელეებს ამბობდა, საათობით მღეროდა ყურისწამღებად, მაგიდაზე აბრახუნებდა. ზოგჯერ ლუიზასთან და ბავშვებთან ცეკვას მოისურვებდა. კრისტოფი ამჩნევდა მწუხარებას დედის სახეზე. დედა განზე გადგებოდა, ხელსაქმეზე დახრიდა თავს, მზერას აარიდებდა მთვრალ ქმარს და ნაზად ცდილობდა გაეჩუმებინა, როდესაც ისეთ უხამსობას ლაპარაკობდა, რაც სიწითლეს ჰგვრიდა ქალს. კრისტოფს ეს არ ესმოდა. ისე ესწრაფოდა სიხალისეს, რომ ჯთვრალი მამის შინ მოსვლა მისთვის თითქმის დღესასწაულს წარმოადგენდა. შინ მოწყენილობა სუფევდა; ეს სიგიჟე ნაღველს უქარვებდა. მელქიორის სასაცილო მოძრაობა და სულელური ხუმრობა გულიანად აცინებდა. მასთან ერთად მღეროდა და ცეკვავდა და ძალიან არ მოსწონდა, რომ დედა ბრაზიანი ხმით უბრძანებდა, გაჩერდიო. რატომ უნდა ყოფილიყო ეს ცუდი, თუკი მამა ამას სჩადიოდა? ბავშვებს ფხიზელი დაკვირვების უნარი აქვთ, ყველაფერს ამჩნევენ, და ამიტომ

კრისტოფიც ამჩნევდა, რომ მელქიორის ქცევა ზოგჯერ არ ეთანხმებოდა ნა-მართლიანობის ბავშვურად მტკიცე ინსტინქტს, მაგრამ მაინც აღტაცებული იყო მამით. ეს ისეთი ძლიერი წადილია ბავშვისა! ეს, უეჭველად, საკუთარი თავისადმი მარადიული სიყვარულის გამოვლინებაა. როდესაც ბავშვი გრძნობს, რომ სურვილების ასრულება და თავისი მედიდურობის დაკმაყოფილება აღარ ძალუძს — მშობლებზე ოცნებობს, ხოლო ცხოვრებისაგან დამარცხებული ხანში შესული კაცი — შვილებზე. მიმძლავრებულნი ფიქრობენ, რომ სხვანი ასრულებენ ან აასრულებენ მათ ნაოცნებარს. ამ ამაყ განდგომაში დამათრობელი სიტკბოებითა და ძლიერებით თავს იჩენს სიყვარული და ეგოიზმი. კრისტოფი ბევრს მიუტევებდა მამას. ცდილობდა თავისი თაყვანისცემა გაემართლებინა. აღტაცებული იყო მელქიორის ტანადობითა და ძლიერი მკლავებით, ხმით, სიცილითა და მხიარულებით. სიამაყით ივსებოდა, როდესაც მამის ვირტუოზული ნიჯის ხოტბა ესმოდა, ანდა როცა თვითონ მელქიორი გადაჭარბებით უამბობდა მიღებულ ქებას. ბავშვს სჯეროდა მისი ტრაბახი და მამა გენიოსი, პაპის ნაამბობის ერთ-ერთი გმირი ეგონა.

ერთ საღამოს, დაახლოებით შვიდ საათზე, ის მარტო იყო შინ. უმცროსი ძმები ჟან-მიშელთან ერთად სასეირნოდ წასულიყვნენ, ლუიზა მდინარეზე სარეცხსა რეცხდა. გაიღო კარი და მელქიორი შემოვარდა. მას ქუდი არ ეხურა, ტანისამოსი გაეღებინა. შემოსვლისას რაღაცნაირად შეთამაშდა და მაგიდის გვერდით სკამზე დაენარცხა. კრისტოფმა სიცილი დაიწყო, ეგონა, ეს მამის ჩვეულებრივი ოინიაო და მასთან მივიდა. მაგრამ ახლოს დანახულმა სიცილის სურვილი გაუქრო. მელქიორი ხელებჩამოყრილი იჯდა, თვალებს ახამხამებდა და უაზროდ იყურებოდა. სახე წამოჭარხლოდა, ტუჩები გახსნოდა და დროდადრო უგუნურად კრიახობდა. კრისტოფი განცვიფრდა. ჯერ ეგონა — ხუმრობსო, მაგრამ, როცა დაინახა, რომ არ იძვროდა, შიშმა შეიპყრო.

— მამა, მამა! — შეჰყვირა მან.

მელქიორი ისევ ქათამივით კრიახობდა. კრისტოფი სასოწარკვეთილი ჩააფრინდა მკლავში და მთელი ძალით შეანჯღრია:

— მამა, მამიკო, მითხარი რამე! გეეედრები!

მელქიორს ტანი დონდლოდ შეერყა და კინაღამ დაეცა. თავი კრისტოფისაკენ დახარა, შეხედა შვილს და მრისხანედ ამოილუღლუღა რაღაც. როდესაც ბავშვის მზერა მის მღვრიე თვალებს შეხვდა, გიჟური შიში დაეუფლა კრისტოფს. ოთახის მეორე ბოლოში გაიქცა, საწოლის წინ მუხლებზე დაეცა და სახე ზეწარში ჩარგო. დიდხანს იყვნენ ასე. მელქიორი მძიმედ ირხეოდა სკამზე და ღრიჭებოდა. კრისტოფს ყურები დაეხშო, რათა მისი სიცილი არ გაეგონა, და კანკალებდა. რაც მას მოსდიოდა, ენით გამოუთქმელი იყო: საშინელ ძრწო-

ლას, შიშსა და მწუხარებას გრძნობდა. თითქოს ძვირფასი და საპატიო ვინმე მოუკვდაო.

არავინ შემოდიოდა. მარტო იუვნეხ ღამდებოდა. კრისტოფს თანდათან უფრო შეეშინდა. უნებლიეთ ესმოდა ყველაფერი და გული ეკუმშებოდა. ყურში ჩაესმოდა საშინელი და უცნაური ხმა. სიჩუმე მას უფრო შესაზარს ხდიდა. ბორძიკა კედლის საათი თითქოს უაზრო ლუღლუღის ტაქტს აჰყოლოდა. კრისტოფმა ვეღარ შეძლო მეტის ატანა: გაქცევა მოუნდა. მაგრამ ამისათვის მამის გვერდით უნდა გაევლო. ააცახცახა, როცა გაიფიქრა, რომ მამის თვალები უნდა ეხილა კვლავ. ეგონა, მოვკვდებიო. შეეცადა ფორთხვით მისულიყო კარამდე სულს არ ითქვამდა. აქეთ-იქით არ იყურებოდა და მელქიორის ოდნავ განძრევაზეც კი ჩერდებოდა. მაგიდის ქვეშ ხედავდა მის ფეხებს. მთვრალს ერთი ფეხი უთრთოდა. კრისტოფმა კარს მიაღწია, მოუხერხებლად დაეწვა სახელურს, მაგრამ მღელვარების გამო ხელი გაუშვა. კარი ხმაურით მიიკეტა. მელქიორი მოტრიალდა, წონასწორობა დაკარგა და სკამიანად იატაკს დაენარცხა. თავზარდაცემულ კრისტოფს საძრაობა წაერთვა, კედელზე მიკრულმა მამას მიაშტერა თვალი და მშველელთ უხმო.

იატაკზე დანარცხებამ ოდნავ გამოაფხიზლა მელქიორი. ლანძღვა-გინება დაიწყო, მუშტი ურტყა სკამს. ეს რა მიქენითო: ამაოდ შეეცადა წამომდგარიყო. შემდეგ მაგიდას მიეყრდნო ზურგით და თავი შეიმაგრა, სურდა გაერკვია. სად იმყოფებოდა. ატირებული კრისტოფი დაინახა და დაუძახა. კრისტოფს გაქცევა ეწადა, მაგრამ ადგილიდან დაძვრა არ შეეძლო. მელქიორმა ისევ უხმო და რად განაც ბიჭი არ მიდიოდა, გულმოსულმა შეუკურთხა. ბოლოს კრისტოფი მიუახლოვდა, მთელი ტანი უკანკალებდა. მელქიორმა მიიზიდა თავისკენ და მუხლებზე დაისვა ჯერ ყურები აუწია და შემდეგ ენის ბორძიკით დაუწყო ჩაგონება. შვილები დედ-მამას პატივს-უნდა სცემდნენო. მერე გუნება უცებ შეეცვალა. კრისტოფი ზე აისროლა. სისულელეებს ჩმახავდა და სიცილით კვდებოდა. უეცრად სევდიანმა აზრებმა დარიეს ხელი, ბავშვი და თავისი თავი შეებრალა, ხვევნით კინაღამ არ დაახრჩო ბიჭი, კოცნიდა, ცრემლს აფრქვევდა, ბოლოს ჩვილივით დაარწია De Profundis[1]-ის ღიღინით. კრისტოფი არ განძრეულა თავის დასახსნელად. ძრწოლას შეეპყრო. მამის მკერდზე მიკრული საზიზღარი კოცნითა და ცრემლებით დასველებულ სახეზე მთვრალის ღვინით გაჟღენთილ სუნთქვასა და ბოყინს გრძნობდა და სიძულვილით აღარ იცოდა. რა ექნა. დაყვირება უნდოდა, მაგრამ ყელიდან ხმა არ ამოდიოდა. ეგონა, უკვე მთელი საუკუნე გავიდა, რაც ასე ვარო. ბოლოს კარი გაიღო და ლუიზა შემოვიდა სარეცხის კალა-

---

[1] სინანულის ფსალმუნი, რომელსაც გალობენ მიცვალებულთათვის.

თით ხელში. ქალმა შეჰყვირა, კალათი ხელიდან გააგდო, კრისტოფს მივარდა და მოულოდნელი სიშმაგით ხელიდან გამოგლიჯა მელქიორს.

— შე უკეთურო ლოთო! — შესძახა მან.

კრისტოფს ეგონა, მამა დედას ახლავე მოკლავსო, მაგრამ მელქიორი ისე გააოცა ცოლის შემოტევამ, რომ არაფერი თქვა და ტირილი დაიწყო. იატაკზე დაგორდა, თავს დგამს ახლიდა და ამბობდა: მართალი ხარ, ლოთი ვარ და ჩემიანებს ვაუბედურებ, საცოდავ ბავშვებს ვაღატაკებ, ნეტა მოვკვდებოდეო. ლუიზამ ზიზღით შეაქცია ზურგი, კრისტოფი მეორე ოთახში გაიყვანა და ცდილობდა დაემშვიდებინა. ბავშვი ისევ ცახცახებდა და დედის კითხვებზე არ პასუხობდა. შემდეგ ქვითინი წასკდა. ლუიზამ მოჰბანა პირი, მოეხვია; ნაზად ეჩურჩულებოდა და ტიროდა მასთან ერთად. ბოლოს ორივენი დამშვიდდნენ. დედამ დაიჩოქა და ბიჭიც დაიჩოქა გვერდით. ლოცულობდნენ, რომ ღმერთს განეკურნა მამა საზიზღარი ჩვეულებისაგან და მელქიორი წინანდებურად კეთილი და კარგი გამხდარიყო. ლუიზამ ლოგინში ჩააწვინა ბავშვი. კრისტოფს უნდოდა დედა საწოლთან მჯდარიყო და მისი ხელი სჭეროდა. კარგა ხანი სიცხიანი კრისტოფის სასთუმალთან იჯდა ლუიზა. გალეშილი მელქიორი იატაკზე ხვრინავდა.

სკოლაში მასწავლებლებს არ უყვარდათ კრისტოფი. გაკვეთილებს არ სწავლობდა. მთელი დრო ჭერზე ბუზებს ათვალიერებდა და მეზობლად მსხდომთ ბუშტებს ურტყამდა, რათა ისინი მერხიდან გადაეგდო. მუდამ სიცილი ისმოდა იმ მერხიდან, სადაც კრისტოფი იჯდა. ერთხელ კრისტოფი თვითონ გადააგდეს მერხიდან. მასწავლებელი მიეჭრა და ყოვლად მოურიდებლად ახსენა ერთი კარგად ცნობილი პირი და ბიჭს უთხრა, როგორც ჩანს, იმას გინდა მიბაძოო. ყველამ გადაიხარხარა, ხოლო ზოგიერთმა გადაკრული სიტყვის ნათელი და ენერგიული კომენტარებით განმარტება იკისრა. სირცხვილისაგან გაწითლებული კრისტოფი წამოდგა და სამელნე მთელი ძალ-ღონით ესროლა თავში პირველ მათგანს. მასწავლებელი ეცა ბიჭს და ცემა დაუწყო. გალახეს, დააჩოქეს და უშველებელი სავარჯიშო მიუსაჯეს.

შინ გაფითრებული, გაშმაგებული და ხმაჩაკმენდილი დაბრუნდა. ცივად განაცხადა, სკოლაში აღარ წავალო. მის ნათქვამს ყურადღება არ მიაქციეს. მეორე დღეს, დილით, როცა დედამ დაუძახა — წასვლის დროაო, მშვიდად უპასუხა — ხომ გითხარი, სკოლაში აღარ წავალ-მეთქი. ლუიზა ეხვეწა, უყვირა, დაეშუქრა — არა გამოვიდა რა. კრისტოფი თავის კუთხეში იჯდა ჯიუტად კოპებშეკრული. მელქიორმა ცემა დაუწყო, ბიჭი ატირდა, მაგრამ პასუხად მაინც სულ არას გაიძახოდა. სთხოვეს, ის მაინც ეთქვა, რატომ არ წავიდოდა. კრისტოფმა პირი მოკუნა. არაფრის თქმა არ უნდოდა. მელქიორმა ხელით წაათრია სკოლაში და მასწავლებელს ჩააბარა. თავის მერხზე დაბრუნებულმა კრისტოფმა ყველაფერი

დაამტვრია, რაც კი ხელში მოხვდა: სამელნე, კალამი. დახია თავისი რვეული და წიგნი — ამას სხვების დასანახად აკეთებდა. თან გამომწვევად უმზერდა მასწავლებელს. ის ბნელ ოთახში ჩაკეტეს. რამდენიმე წუთის შემდეგ მასწავლებელმა შეასწრო—ცხვირსახოცი ყელზე მოეხვია და ორივე ბოლოს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ექაჩებოდა; ცდილობდა, თავი დაეხრჩო.

იძულებული გახდნენ დაეთხოვათ.

კრისტოფი ჯანსაღი იყო. მამისა და პაპისაგან ძლიერი აღნაგობა გამოჰყვა. ოჯახში ნებივრობა წესად არ ჰქონდათ. არასოდეს არ წუწუნებდნენ, ავად იყვნენ თუ კარგად. არაფერს შეეძლო შეეცვალა კრაფტების, მამისა და შვილის, ჩვეულებანი. ისინი შინიდან გადიოდნენ, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, ზამთარი თუ ზაფხული, საათობით იდგნენ წვიმასა და მზეში, ზოგჯერ თავშიშველნი და დაუდევრობისა თუ ბაქიობის გამო ღილებგახსნილნი რამდენიმე ლიეს დაუღალავად გაივლიდნენ და ზიზღნარევი სიბრალულით უმზერდნენ საწყალ ლუიზას, რომელიც ხმას არ იღებდა, მაგრამ ფერმიხდილი, ფეხებგასიებული და გულამოვარდნილი იძულებული იყო შეესვენა. კრისტოფი თითქმის იზიარებდა მათ ზიზღს დედისადმი: არ ესმოდა, როგორ შეიძლებოდა კაცი ავად ყოფილიყო. როცა დაეცემოდა, რაიმე დაუშავდებოდა ან დაიწვავდა, — არ ტიროდა, მხოლოდ მტრულად განწყობილ საგანს გაურისხდებოდა. მამისა და პატარა ამხანაგების—ქუჩის ანცების — უხეშობამ საფუძვლიანად გამოაწრთო; ცემისა არ ეშინოდა და არა ერთხელ მოსულა შინ ცხვირდასისხლიანებული და შუბლზე კოპდასმული. ერთხელ თითქმის სულშეხუთული გამოათრიეს გაშმაგებული ჩხუბიდან, როცა მოწინააღმდეგეს ქვეშ მოექცია იგი, გამძვინვარებით არტყმევინებდა თავს ქვაფენილზე. კრისტოფის აზრით, ეს ბუნებრივი იყო და მზად იყო თავადაც ასე მოქცეოდა სხვებს.

მაგრამ მაინც უამრავი რამისა ეშინოდა. ერთხანს არაფერი ტანჯავდა ისე, როგორც ეს გამუდმებული შიში, თუმცა ამის შესახებ სხვებმა არაფერი იცოდნენ (იგი ძალზე თავმოყვარე იყო). ორი თუ სამი წლის განმავლობაში ეს შიში ავადმყოფობასავით აწამებდა.

ეშინოდა ჩრდილში მიმალული იდუმალი ბოროტი ძალებისა, სიცოცხლეს რომ ჩასაფრებოდნენ, ეშინოდა მოფუსფუსე ურჩხულებისა, ესოდენ ნაცნობი რომაა ბავშვის გონებისთვის და ყველაფერს უკავშირებს, რასაც ხედავს. ეს არის, ალბათ, აწ გამქრალი ფაუნის უკანასკნელი ნარჩენები. დაბადების წინადღის მოჩვენებანი, საზარელი სიზმარი დედის მუცელში, ჩანასახის გაღვიძება მატერიის წიაღში.

ეშინოდა სხვენის კარისა. ეს კარი კიბეზე გამოდიოდა და თითქმის ყოველთვის ნახევრად გაღებული იყო. როცა მის წინ გაივლიდა ხოლმე, საკუთარი გულისცემა ესმოდა; გავარდებოდა და უკანმოუხედავად გადახტებოდა. ეგონა, კარს უკან ვიღაც თუ რაღაც იდგა. როცა დაკეტილი იყო, მკაფიოდ ესმოდა, კარს იქით რაღაც მოძრაობდა. ეს გასაკვირველი არ იყო, იქ ხომ ვირთხები დარბოდნენ, მაგრამ კრისტოფს ძვლებგამოჩრილი, ხორცდაფლეთილი, ცხენისთავიანი, თვალდაჭყეტილი და რაღაც გაურკვეველი ნაკვთების მქონე საზარელი არსება წარმოედგინა. არ უნდოდა ამაზე ეფიქრა, მაგრამ უნებლიეთ ფიქრობდა. ათრთოლებული ხელით ამოწმებდა — საგდული კარგად არის თუ არა ჩარაზულიო. მიუხედავად ამისა, ათჯერ მოიხედავდა ხოლმე კიბეზე ჩასვლისას.

ღამით შინიდან გასვლა ეშინოდა. ხანდახან პაპასთან დაყოვნდებოდა ან საღამო ჟამს რაიმე დავალებით გაგზავნიდნენ იქ. მოხუცი კრაფტი ქალაქგარეთ ცხოვრობდა, ულ ბოლო სახლში კელნის გზაზე. მის სახლსა და ქალაქის პირველ განათებულ ფანჯრებს შორის ორასი თუ სამასი ნაბიჯი იყო და ეს მანძილი სამგზის უფრო ვრძელი ეჩვენებოდა კრისტოფს. გზის მოსახვევში რამდენიმე წამს არაფერი ჩანდა. დაბინდებისას მინდვრები უკაცრიელი იყო. მიწას შავი ფერი ედებოდა, ხოლო ცას — ავისმომასწავებელი ბაცი ფერი. გზის ორივე მხარეს ბუჩქნარი გასდევდა. როცა ამ ბუჩქნარს გასცდებოდა და გორაკზე ავიდოდა, კრისტოფი ჰორიზონტზე მოყვითალო ელვარებას გაარჩევდა. მაგრამ ის არ აშუქებდა, სიბნელეზე მეტად შემაშფოთებელი იყო და ბნელს თითქოს უფრო მუქსა ხდიდა. ღრუბლები თითქმის მიწის პირამდე ჩამოდიოდნენ. ჩირგვები უზარმაზარი ხდებოდნენ და ირწეოდნენ, გამხმარი ხეები უცნაურ ბებრებს ემსგავსებოდნენ. გზის პირი თეთრ სუდარასავით კრთოდა. ლანდი იძროდა. თხრილებში ჭინკები ისხდნენ, ბალახში — ალები, ჰაერში საშინელი არსებანი დაფრინავდნენ, იქიდან მწერების გულისგამგმირავი ბზუილი მოისმოდა. კრისტოფი ყოველ წამს გულის ფანცქალით მოელოდა ბუნების რაიმე შემზარავ უცნაურობას: გარბოდა და შიშით კანკალებდა.

როდესაც პაპის ოთახში სინათლეს დაინახავდა, მშვიდდებოდა. მაგრამ საუბედუროდ, ხშირად მოხუცი კრაფტი შინ არ ხვდებოდა. მაშინ უფრო შეშინდებოდა. ეს მინდორში მიკარგული სახლი დღისითაც აკრთობდა ბავშვს. როცა პაპა აქვე იყო, შიში ავიწყდებოდა, მაგრამ ხანდახან არც კი გააფრთხილებდა შვილიშვილს, ისე წავიდოდა სადღაც. კრისტოფი ჯერ ვერ ამჩნევდა ამას. ოთახში ისეთი სიწყნარე იდგა. ირგვლივ ყოველი ნივთი ხომ ძალზე ნაცნობია. აი თეთრი ხის დიდი საწოლი. სასთუმალთან, თაროზე — სქელი ბიბლია, ბუხრის თავზე — ხელოვნური ყვავილები, ორი ქალისა და თერთმეტი ბავშვის ფოტო-

სურათებთან ერთად, — მოხუცს ყოველ მათგანზე მიეწერა დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები. კედლებზე ჩარჩოში ჩასმული ციტატები საღვთო წერილიდან და მოცარტისა და ბეთჰოვენის ცუდი ქრომოლითოგრაფიებია. ერთ კუთხეში — პატარა პიანინო, მეორეში — ჩელო, თაროებზე არეულ-დარეული წიგნები, კედელზე ჩამოკიდებული ჩიბუხები და ფანჯრის რაფებზე — ნემსიჭვერას ქოთნები. თითქოს მეგობრები ერტყა გარს. მეზობელი ოთახიდან წინ და უკან მოსიარულე მოხუცის ფეხის ხმა მოისმოდა. პაპა რანდავდა და ლურსმნებს აჭედებდა, ლაპარაკობდა. თავისთავს სულელს უწოდებდა ანდა მოუხეშავი ხმით ქორალების ნაწყვეტებს, სენტიმენტალურ Lieder[1]-ებს, საბრძოლო მარშებსა და სუფრულ სიმღერებს მღეროდა. კრისტოფი თავს უშიშრად გრძნობდა; ფანჯრის წინ დიდ სავარძელში იჯდა და მუხლებზე წიგნი ედო, თავდახრილი სურათების ჭვრეტაში იყო შთანთქმული. დღე იწურებოდა; თვალები ემღვრეოდა. ბოლოს ვეღარაფერს ხედავდა და ბუნდოვანი ოცნება იპყრობდა. საბარგულის თვლები რახრახებდა შორს, გზაზე. მინდორში ბღაოდა ძროხა. დაღლილი და რულმორეული მწუხრის ზარები რეკდენ. უცნაური სურვილი და ბუნდოვანი წინათგრძნობა იღვიძებდნენ მეოცნებე ბავშვის გულში.

ანაზდად გაურკვეველი მოუსვენრობით შეპყრობილი კრისტოფი გამოფხიზლდებოდა. თვალებს ზეასწევდა: ღამეა. მიაყურებდა: მყუდროებაა. პაპა წასულა. კრისტოფს გააჟრჟოლებდა. ფანჯარაში იყურებოდა, იქნებ თვალი მოეკრა მისთვის. გზა უკაცრიელი იყო; ნივთები საშინელ იერს იღებდნენ. ღმერთო, ვაიფუ ის მოვიდეს! ვინ? ვერ გიპასუხებდათ. საზარელი რაღაც!.. კარი ცუდად იკეტებოდა. ხის კიბე ჭრაჭუნებდა, თითქოს ვიღაც ამოდიოდა. ბავშვი წამოხტებოდა, სავარძელს, ორ სკამსა და მაგიდას კუთხეში მიათრევდა და თავს მოიზღუდავდა; სავარძელს კედელზე მიაყრდნობდა, მარცხნივ და მარჯვნივ თითო-თითო სკამს, ხოლო წინ მაგიდას მოათავსებდა. შუაში ორმაგ კიბეს ჩადგამდა და ზედა საფეხურზე მოიკალათებდა თავისი წიგნით (სავინცობოდ, იქნება ალაა შემოარტყანო, კიდევ რამდენიმე წიგნს აიტანდა). ამოიხვნეშებდა და თავისი ბავშვური წარმოსახვით გადაწყვეტდა, რომ მტერი ვერასგზით ვერ გადმოლახავდა თავდაცვის ხაზს, ამისი ნება არა ჰქონდა.

მაგრამ ხანდახან წიგნიდან მოევლინებოდა მტერი. პაპის მიერ შემთხვევით შეძენილ ძველ წიგნთა შორის ზოგიერთი დასურათებული იყო. ნახატები ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდნენ ბავშვზე. იზიდავდნენ და აშინებდნენ. ისინი ფანტასტიკურ ხილვებსა და წმინდა ანტუანის ცდუნებებს გამოხატავდნენ. ჩიტების ჩონჩხები ბილწავდნენ სურას, გაფატრულ ბაყაყებში მატლებივით იძროდა

---

[1] სიმღერა (გერმ.).

უამრავი კვერცხი. მოკვეთილი თავები ცხოველთა ფეხებზე დაყრდნობილიყვნენ. გავები საყვირს უკრავდნენ, ხოლო დიდ ზეწრებში გახვეული საოჯახო ნივთები და ცხოველთა გვამები დედაბრებივით აკანტურებდნენ თავს და მძიმედ შიაბიჯებდნენ. კრისტოფს ეზიზღებოდა, მაგრამ ზიზღი იზიდავდა მათკენ. დიდხანს უმზერდა და დროდადრო. შეფარვით მიმოიხედავდა იმის გასაგებად, რა იძვრის ფარდის ნაკეცებშიო. უფრო ეზიზღებოდა გატყავებული კაცის სურათი, რომელიც ანატომიის წიგნში იყო მოთავსებული. ყოველი ფურცლის გადაშლაზე კრთოდა, როცა წიგნის იმ ადგილს მიუახლოვდებოდა, სადაც ეს კაცი ეხატა. უფორმო და ჭრელი მხატვრობა უცნაურად მოქმედებდა ბიჭზე. ბავშვის გონებისათვის დამახასიათებელი შემოქმედების უნარით ავსებდა სცენის ღატაკურ დეკორაციას. განსხვავებას ვერ პოულობდა თავის შეთითხნილსა და სინამდვილეს შორის. ღამით, სიზმარში უფრო აღელვებდა ფანტაზიის ნაყოფი, ვიდრე დღისით — ხილული ცოცხალი სახეები.

ეშინოდა დაძინებისა. რამდენიმე წელი კოშმარები უწამლავდა სიზმრებს: თითქოს სარდაფში დახეტიალობდა და ხედავდა სამერცხლურში შემომავალ გატყავებულ და დამანჭულ კაცს. ხანაც თითქოს მარტო იყო ოთახში და კორიდორიდან ნაბიჯები მოისმოდა. კარს მივარდებოდა ჩასაკეტად და სწორედ მაშინ, როცა სახელურს მისწვდებოდა, გარედანაც დაეჭიდებოდა კარს ვიღაც; გასაღების გადატრიალება არ შეეძლო, ძალა არა ჰყოფნიდა. მშველელთ უხმობდა. კარგად იცოდა, იქიდან ვისაც უნდოდა შემოსვლა. ხანაც თითქოს ის თავისიანებს შორის იყო, უეცრად მათ სახე ეცვლებოდათ და გიჟურად იქცეოდნენ. ან ის მშვიდად კითხულობდა და გრძნობდა, რომ მის ირგვლივ იმყოფებოდა რაღაც უჩინარი არსი. გაქცევა უნდოდა და დაბმული იყო. ყვირილი უნდოდა, პირდახშული იყო. რაღაც საზიზღარი ეხვია და უჭერდა ყელზე. დახუთული და კბილებაკაწკაწებული ილვიძებდა და გაღვიძების შემდეგაც დიდხანს კანკალებდა, ვერ მშვიდდებოდა.

ოთახი, სადაც კრისტოფსა და მის ძმებს ეძინათ, უკარო და უსარკმლო იყო. შემოსასვლელთან ჩამოკიდებული ძველი ფარდაგიღა ჰყოფდა მას მშობლების ოთახისაგან. დახშული ჰაერი სულს უხუთავდა კრისტოფს. ძმები ფეხებს ურტყამდნენ. თავი უხურდა; ის შეეპყრო მკრთალ ჰალუცინაციებს, რომლებშიც წინა დღის უსაზღვროდ გაზრდილი პატარა მწუხარებანი მეორდებოდნენ. ეს იყო ნამდვილი ნერვიული დაძაბულობა, კოშმარს რომ აღარაფერი უკლდა. ამ დროს უმცირესი წაბიძგებაც კი ტანჯვას ჰგვრიდა. იატაკის ჭრაჭუნი აძრწუნებდა. მამის ხვრინვა ფანტასტიკურად ძლიერდებოდა. უკვე ადამიანის სუნთქვას აღარ ჰგავდა. ეს საზარელი ხმა აშინებდა, ეგონა, იქ რაღაც ცხოველი წევსო. ღამე გულზე აწვა; არასოდეს არ გათენდება და მუდამ ღამე იქნება.

თვეები გავიდა, რაც ასე ვწევარო. კრისტოფი ოდნავ წამოიწევდა ლოგინზე, წამოჯდებოდა და პერანგის სახელოთი იწმენდდა ოფლით დაცვარულ სახეს. ხანდახან როდოლფს წაუბიძგებდა, რათა გაეღვიძებინა, მაგრამ ბიჭი ძილ-ღვიძილში რაღაცას წაიდუდუნებდა, საბანს მოიხვევდა და ისევ მაგრად ჩაიძინებდა.

ასეთ წუხილსა და ძრწოლაში იყო, ვიდრე მკრთალი ზოლი არ გამოჩნდებოდა ფარდის ქვეშ შორეული გარიჟრაჟის ეს მკრთალი ნათელი უმალვე დაამშვიდებდა. კრისტოფი მაშინ გრძნობდა ოთახში სინათლის შემოჭვრეტას, როდესაც ვერავინ გაარჩევდა მას ბნელისაგან. მაშინვე გაუვლიდა ძრწოლა, სისხლი დაუმშვიდდებოდა, როგორც მდინარე, ადიდების შემდეგ თავის კალაპოტს რომ უბრუნდება; თანაბარი სითბო დაუვლიდა მთელ სხეულში და უძილობისაგან ამომწვარი თვალები ეხუჭებოდა.

საღამოობით წუხილით ელოდა ძილის დროს. კოშმარების შიშით აღთქმასა დებდა — ძილს არ დამორჩილებოდა, მთელი ღამე ეფხიზლა. მაგრამ დაღლილობას თავისი გაჰქონდა და როცა არ მოელოდა, სწორედ მაშინ გამოეცხადებოდნენ ის საშინელი არსებანი.

საზარელი ღამე! რარიგად ტკბილია ღამე ბავშვთა უმრავლესობისათვის და რა საშინელია ზოგიერთი მათგანისათვის!.. კრისტოფს ეშინოდა დაძინებისა, ეშინოდა უძილობისაც. ძილსა თუ ღვიძილში გარს შემოერტყმოდნენ საზარელი არსებანი, მოჩვენებანი მისი გონებისა, ავი სულები — მკვიდრნი ბავშვობის გარიჟრაჟისა და ავადმყოფობის ავბედითი მწუხრისა.

მაგრამ ეს წარმოსახვითი შიში მალე უნდა გამქრალიყო უდიდესი შეძრწუნების წინაშე. ეს იყო შეძრწუნება მღრღნელი. სიბრძნე ამაოდ ცდილობს მის დავიწყებას და უარყოფას; ეს იყო სიკვდილის შიში.

ერთხელ, განჯინის ქექვისას, კრისტოფს ხელში მოხვდა უცნობი ნივთები. ბავშვის კაბა და ზოლიანი ქუდი. გახარებულმა მიუტანა ისინი დედას, მაგრამ ლუიზა გაღიმების ნაცვლად გაუჯავრდა და უბრძანა, თავის ადგილას დაედო. კრისტოფმა მაშინვე არ აასრულა დედის ნათქვამი, ჰკითხა: რატომო? დედამ პასუხის გაუცემლად ხელიდან გამოგლიჯა ნივთები და თაროზე დამალა, სადაც კრისტოფი ვერ მიწვდებოდა. ძალზე დაინტერესებულმა ბავშვმა შეკითხვებით საქმე გაუჭირა დედას. ბოლოს ლუიზამ უთხრა, ეს ნივთები შენს დაბადებამდე გარდაცვლილი პატარა ძმისაა. კრისტოფი გაოცდა, არასოდეს გაეგონა ამ ძმის ამბავი. ერთ წუთს დუმდა და შემდეგ შეეცადა კიდევ გაეგო რამე. დედა ჩაფიქრებული ჩანდა და ბავშვს უთხრა: ძამიკოს შენსავით კრისტოფი ერქვა, მაგრამ უფრო დამჯერი იყოო. ბავშვი კიდევ შეეკითხა, მაგრამ დედას პასუხის გაცემა

არ უნდოდა, მხოლოდ უთხრა, — ის ახლა ცაშია და ჩვენთვის ლოცულობს. მეტი სიტყვა ვერ დააცდენინა. დედამ უბრძანა, გაჩუმებულიყო და მუშაობა ეცლია მისთვის. მართლაც, თითქოს კერვაში გაერთო; შეწუხებული სახე ჰქონდა და თვალებს ზევით არ სწევდა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გაიხედა იმ კუთხისაკენ, სადაც გაბუტული კრისტოფი იდგა, გაუღიმა და ხმადაბლა უთხრა — გადი გარეთ, ითამაშეო.

ამ საუბარმა ძალზე ააღელვა კრისტოფი. მაშ, ყოფილა ბავშვი, პატარა ბიჭი, მისი სახელი რქმევია, თითქმის მისი მსგავსი ყოფილა და მომკვდარა! მან კარგად არც იცოდა, რა იყო სიკვდილი: ალბათ რაღაც საშინელება. არასოდეს არ ულაპარაკიათ იმ სხვა კრისტოფის შესახებ. ის დავიწყებას მიეცა მასაც დაივიწყებენ, თუ მოკვდა? ეს აზრი აწვალებდა საღამო ჟამსაც, როცა მთელ ოჯახთან ერთად მაგიდას უჯდა და უყურებდა, როგორ იცინოდნენ და საუბრობდნენ ყველანი უმნიშვნელო საგნების შესახებ. მაშ, ისიც რომ მოკვდეს, ასევე იმხიარულებენ! ო, არ ეგონა, თუ დედას თავისი პატარა ბიჭიკოს სიკვდილის შემდეგ სიცილი შეეძლებოდა. შესძულდა ყველა. სურდა თავისი სიკვდილი წინასწარ გამოეტირა. ამავე დროს უნდოდა ათასი რამე ეკითხა, მაგრამ ვერ ბედავდა. ახსოვდა, როგორ დატუქსა დედამ და გააჩუმა. ბოლოს თავი ვერ შეიკავა და დაძინებისას საკოცნელად მოსულ ლუიზას ჰკითხა:

— დედიკო, ის ჩემს ლოგინში წვებოდა?

საცოდავი ქალი შეთრთოლდა და განგებ გულგრილად შეეკითხა:

— ვინ?

— პატარა ბიჭი... რომ მოკვდა, — ხმადაბლა თქვა კრისტოფმა.

დედამ გულში ჩაიკრა.

— გაჩუმდი, გაჩუმდი! — უთხრა შვილს.

ქალს ხმა უთრთოდა, ხოლო მის მკერდზე თავმიყრდნობილ კრისტოფს დედის გულის ცემა ესმოდა. ცოტა ხანს დუმდნენ. შემდეგ დედამ თქვა:

— ნურასოდეს ნუ ვილაპარაკებთ ამაზე, გენაცვალე, იძინე მშვიდად... ეს მისი საწოლი არაა.

დედა მოეხვია. კრისტოფს მოეჩვენა, დედას ღაწვი სველი აქვსო. უნდოდა ხმამღვილად სცოდნოდა ყველაფერი. ეს მისთვის ნუგეში იქნებოდა. მაგრამ, ერთი წუთის შემდეგ. როდესაც მეორე ოთახიდან ლუიზას წყნარი, ჩვეულებრივი ლაპარაკი შემოესმა, ისევ დაეჭვდა. რომელი იყო წრფელი, ახლანდელი თუ ამასწინანდელი? დიდხანს ტრიალებდა და პასუხს ვერ პოულობდა. უნდოდა დედა დარდიანი ყოფილიყო. მართალია, დედის დაღვრემილობა დაამწუხრებდა, მაგრამ ეს მაინც უკეთესი იქნებოდა! მარტოობას ნაკლებ იგრძნობდა! კრისტოფს ჩაეძინა და მეორე დღეს უკვე აღარ უფიქრია ამაზე.

რამდენიმე კვირის შემდეგ ერთი ყმაწვილი, ვისთანაც კრისტოფი ქუჩაში თამაშობდა, ჩვეულებრივ დროს არ მოვიდა. ვიღაცამ თქვა — ავად არისო. ბავშვები მალე შეეჩვივნენ მის არყოფნას. მიზეზი გაიგეს და ეს სავსებით მარტივი რამ იყო. ერთ საღამოს კრისტოფი ადრე დაწვა. პატარა ოთახიდან, სადაც მისი საწოლი იდგა, მშობლების ოთახში სინათლეს ხედავდა. კარზე დააკაკუნეს. მეზობლის ქალი მოვიდა. კრისტოფი ყურადღებით არ უსმენდა, ჩვეულებისამებრ ზღაპარს უამბობდა თავის თავს. საუბრის ყოველი სიტყვა არ აღწევდა მის ცნობიერებას. ანაზდად შემოესმა მეზობლის ქალის ნათქვამი: „მოკვდა". სისხლი შეუჩერდა, მიხვდა, ვისაც შეეხებოდა ეს. სუნთქვაშეკრული უსმენდა. მშობლები ოხრავდნენ. მელქიორმა ხმამაღლა დაუძახა:

— კრისტოფ, გვსმის? საცოდავი ფრიცი მომკვდარა!

კრისტოფმა ძალა დაატანა თავს და წყნარად მიუგო:

— დიახ, მამა.

თავს ისე გრძნობდა, თითქოს მკერდში მარწუხებს უჭერენო.

მელქიორმა გამოაჯავრა:

— „დიახ, მამა!" სულ ეგ არის შენი სათქმელი? არ გაწუხებს ეს?

ლუიზას უკეთ ესმოდა შვილისა და მელქიორს უთხრა:

— ჩუ! აცალე ძილი.

უფრო ნელი ხმით განაგრძეს ლაპარაკი. მაგრამ კრისტოფმა ყურთასმენა დაძაბა და შეიტყო წვრილმანებიც: ავადმყოფობა, ტიფოზური ცხელება, ციები, აბაზანები, ბოდვა, მშობლების მწუხარება. სუნთქვა შეეკრა, ყელზე რაღაც გორგალი მოებჯინა, აცახცახდა. ეს საშინელება თავში ჩაეჭდო. განსაკუთრებით დაამახსოვრდა, ეს ავადმყოფობა გადამდებიაო. მაშ, ისიც შეიძლებოდა მომკვდარიყო. ტანში შეაჟრჟოლა. მოაგონდა, რომ უკანასკნელი შეხვედრისას ხელი ჩაბმოართვა ფრიცს, ხოლო დღეს მის სახლთან გაიარა. მაგრამ ხმა არ ამოუღია, რათა იძულებული არ გამხდარიყო ელაპარაკა. მეზობლის წასვლის შემდეგ მამა შეეკითხა: „კრისტოფ, გძინავს?" ბიჭს ხმა არ ამოუღია. გაიგონა, როგორ უთხრა მელქიორმა ლუიზას:

— ამ ბავშვს გული არა აქვს!

ლუიზამ ხმა არ გასცა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ უჩუმრად ასწია ფარდაგი და პატარა საწოლს დახედა. კრისტოფმა ძლივს მოასწრო თვალის დახუჭვა. განგებ ისე სუნთქავდა, როგორც მძინარე ძმები სუნთქავდნენ. ლუიზა ფეხაკრეფით განშორდა. როგორ უნდოდა შეეჩერებინა დედა! როგორ უნდოდა ეთქვა მისთვის, მეშინიაო, ეთხოვა, მიშველე ან დამამშვიდეო მაინც! მაგრამ ეშინოდა, დასცინებდნენ და ლაჩრად ჩასთვლიდნენ. ისიც იცოდა, რასაც ეტყოდნენ, არას არგებდა. და საათობით იწვა ასე სევდით აღსილი, გრძნობდა,

როგორ ეუფლებოდა ავადმყოფობა თავის ტკივილი და გულის ტკივილი და შეშფოთებული ფიქრობდა: „გათავდა: ავადა ვარ, მალე მოვკვდები, მოვკვდები!“ ერთხელ საწოლზე წამოიმართა და ხმადაბლა დაუძახა დედას, მაგრამ ეძინათ და ვეღარ გაბედა მათი გაღვიძება.

ამ დროიდან მისი ბავშვობა სიკვდილის ფიქრმა მოწამლა. უმიზეზოდ უეცარი ნერვიული ხუთვა და ჭვალი ემართებოდა. ამ ტკივილების გამო ფანტაზია უცხოველდებოდა და ყოველი ტკივილი წარმოუდგებოდა მომაკვდინებელ მხეცად, რომელიც სიცოცხლეს ართმევდა. რამდენჯერ გადაირანა სულთა ბრძოლა ორიოდე ნაბიჯზე მჯდომარე დედის გვერდით. დედა ვერაფერს ატყობდა რადგან კრისტოფს, სიმხდალის მიუხედავად, შეეძლო გულში ჩაემარხა შიში. უცნაური აღრევა იყო გრძნობათა: სიამაყე ნებას არ აძლევდა სხვებისათვის დახმარება ეთხოვა, რცხვენოდა, რომ ეშინოდა, მახლობელთა შეწუხებას ერიდებოდა. მაგრამ განუწყვეტლივ ფიქრობდა: „ახლა კი ავადა ვარ, მძიმე ავადმყოფი ვარ, ანგინა მეწყება...“ შემთხვევით დაეხსომებინა სიტყვა „ანგინა“, „ღმერთო! ახლა ნუ!..“

კრისტოფი მორწმუნე ბიჭი იყო. ხალისით იჯერებდა დედის ნათქვამს, რომ სიკვდილის შემდეგ სული ღმერთს მიხვდება და თუ ღვთისმოსავია, სამოთხეში აღმოჩნდება. მაგრამ ამგვარი მოგზაურობა უფრო აშინებდა; ვიდრე იზიდავდა. დედა ეტყოდა, ზოგიერთ ბავშვს ღმერთი მოწყალედ მოევლინება და უტანჯველად მოიხმობსო თავისთან. კრისტოფს არა შურდა ამ ბავშვებისა. დაძინებისას თრთოდა, ვაითუ ღმერთს ჩემ მიმართაც ასეთმა ჟინმა მოუაროსო. საშინელება იქნება. ანაზდად იგრძნო, რომ თბილ ლოგინს მოგლიჯეს, სიცარიელეში გაიტაცეს და ღმერთის წინაშე დააყენეს. ღმერთი უზარმაზარ მზედ წარმოედგინა, ის ჭექა-ქუხილის ხმით ლაპარაკობდა, რა შემზარავი იქნება! ამოგწვავს თვალებსა დ ყურებს, მთელ სულს! ვინ იცის, იქნებ დაგსაჯოს კიდეც... თანაც ეს არ აგარიდებს ყველა სხვა საშინელებას. ამ საშინელებათა შესახებ ბევრი არაფერი იცოდა. მაგრამ შეეძლო მიმხვდარიყო სხვათა საუბრიდან: შენს სხეულს ყუთში ჩაჭედენ. მარტოდმარტო იქნები ორმოში, მიკარგული იმ საზიზღარ სასაფლაოზე, სადაც სალოცავად დაჰყავთ... ღმერთო! ღმერთო! რა საშინელებაა სიკვდილი!..

მაგრამ სიცოცხლე არ უხაროდა მშიერს, ლოთი მამის შემხედვარეს, ცემით შეწუხებულს, სხვა ბავშვების სიავით დატანჯულსა და მოზრდილთა სიბრალულით შეურაცხყოფილს. არავის, დედასაც კი, არ ესმოდა მისი. ყველა ამცირებდა, არავის უყვარდა, სრულიად მარტო იყო, არად აგდებდნენ! დიახ; მაგრამ სწორედ ამიტომ სურდა ეცოცხლა. არაფერი შეუძლია მას, ჯერ თითქოს შორსაა მიზნიდან, ლაგამამოდებული, შებოჭილი და დამბლადაცემულია; ვერ წარმოედგინა, რას მოინდომებდა და რა გახდებოდა ის. მაგრამ დარწმუნებული

იყო, ეს ძალა ებადა; ეს ძალა შფოთავდა და ბობოქრობდა. ხვალ, ხვალ როგორ ამოიყრის ჯავრს. გაშმაგებით სურდა ეცოცხლა. რათა შური ეძია ყველა სიავისა და უსამართლობისათვის, რათა დაესაჯა ყველა ბორიტი და დიადი საქმეები მოემოქმედნა! „ოჰ, ნეტა ვიცოცხლებდე მხოლოდ...“ (ის ცოტათი ჩაფიქრდებოდა)... მხოლოდ თვრამეტ წელიწადს!“—ზოგჯერ ოცდაერთ წლამდეც მიდიოდა. ეს იყო უკიდურესი საზღვარი. ეგონა, ეს ეყოფოდა მსოფლიოს დასაპყრობად. ფიქრობდა თავის საყვარელ გმირებზე, ნაპოლეონსა და უფრო შორეულ, მაგრამ უსაყვარლეს ალექსანდრე დიდზე. ნამდვილად მიბაძავს მათ, თუ კიდევ იცოცხლებს მხოლოდ თორმეტ... ათ წელიწადს. არ ებრალებოდა ის, ვინც ოცდაათი წლისა გარდაიცვალა. ისინი მოხუცები იყვნენ, მათი ბრალია. თუ ცხოვრება უხეიროდ განვლეს. მაგრამ რა უბედურებაა ახლა სიკვდილი. რა უბედურებაა ბალღობისას მოკვდე და ხალხის მახსოვრობაში დარჩე მუდამ პატარა, ყველასაგან დატუქსულ ბიჭად. კრისტოფი გაშმაგებით ტიროდა, თითქოს უკვე მომკვდარიყო.

სიკვდილის სევდამ გაუმწარა ბავშვობის წლები. ამ ტანჯვას მხოლოდ ცხოვრების ზიზღი და ცხოვრების მწუხარება უმსუბუქებდა.

სულშეშხუთავი ღამის მძიმე წყვდიადში, უფრო და უფრო რომ იკუპრებოდა მის ირგვლივ, ბნელ სივრცეთა წიაღში ჩაკარგული ვარსკვლავის მსგავსად გამოუბრწყინდა ნათელი, მთელი მისი სიცოცხლის გამშუქებელი: ეს იყო ღვთაებრივი მუსიკა...

პაპამ შვილიშვილებს აჩუქა ძველი პიანინო. ეს პიანინო ჟან-მიშელს კლიენტმა დაუტოვა — თავიდან მომაშორეო. პაპამ ცოდნა და მოთმინება არ დაიშურა და პიანინო შეაკეთა. საჩუქარი დიდი სიხარულით არ მიუღიათ. ლუიზა ფიქრობდა — ოთახი ისედაც პატარაა და მისი გამოტენა არ შეიძლებაო. ხოლო ძელქიორმა თქვა, — მამაჩემს მაინცდამაინც თავი არ გამოუდვია: ეს პიანინო შეშადდა გამოდგებაო. მხოლოდ პატარა კრისტოფი გაახარა რატომღაც ახალმოვიდამ. „ათას ერთ ღამესავით“ საოცარი ზღაპრებით სავსე ჯადოსნურ ყუთად ძვიჩნია იგი; პაპა ხანდახან უკითხავდა რამდენიმე გვერდს ამ წიგნიდან და ორივენი აღტაცებულნი რჩებოდნენ. მამამ კლავიატურის გასასინჯად დაუკრა. კრისტოფს მოესმა არპეჯიოების პატარა წვიმა, თავსხმის შემდეგ ტყეში რომ დაუბერავს თბილი ქარი, სველ ტოტებს რომ შეანძრევს და წვეთებს ჩამოიბერტყავს, იმის მსგავსი. მან ტაში დაუკრა და შესძახა: „კიდევ!“ მაგრამ მელქიორმა ზიზღით დახურა პიანინო და თქვა — არაფრად ვარგაო. კრისტოფმა დაჟინება ვერ გაბედა. ინსტრუმენტის ირგვლივ მოუსვენრად დაწრიალებდა და როგორც ჟი

ზურგს შეაქცევდნენ, სახურავს ასწევდა და ფრთხილად შეეხებოდა კლავიშს, თითქოს უზარმაზარი მწერის მწვანე ბაკანს არხევდა თითით. უნდოდა შიგ ჩაშეყვდეული ცხოველი გამოეშვა; სიჩქარის გამო ზოგჯერ ძლიერ ურტყამდა თითს და დედა უყვიროდა: „წყნარად ვერ გაჩერდები? ყველაფერს უნდა შეეხო!"... ანდა დახურვისას ხელს დაიწეწკავდა, საცოდავად დაიმანჭებოდა და ნატკენ თითს პირში ჩაიდებდა.

ახლა უდიდესი სიხარულია კრისტოფისათვის, როცა დედას გარეთ აქვს საქმეა, ან ქალაქში უნდა გავიდეს. უსმენს, როგორ ჩადის კიბეზე იგი: აი, უკვე ქუჩიდან ისმის ნაბიჯების ხმა; შორდება. მარტოა. პიანინოს აღებს, სკამს ნელთრევს და ჯდება. მხრები კლავიატურის სიმაღლეზე აქვს. ეს საკმაოა მისი ნებადილის აღსასრულებლად. რატომ უცდის განმარტოებას? არავინ უშლის დაკრას, თუ ძალიან დიდ ხმაურს არ ატეხს. მაგრამ სხვებისა რცხვენია, ვერ ბედავს. ამასთანავე ოჯახში საუბრობენ, მოძრაობენ: ეს სიამოვნებას უნელებს. ბევრად უკეთესია, როცა მარტოდმარტო არის!.. კრისტოფი ხმაგაკმენდილია, რათა უფრო მეტი სიჩუმე დადგეს და თანაც ცოტათი აღელვებულია, თითქოს ზარბაზნიდან უნდა გაისროლოს. კლავიშზე თითის დაჭერისას გული უფრთხიალებს. ზოგჯერ სანახევროდ ჩაწეული კლავიშიდან აიღებს ხელს და მეორეს დააჭერს. ვინ იცის, რა ხმას გამოსცემს ერთი ან მეორე? უეცრად გაისმის ბგერა: ზოგი ღრმაა, ზოგი—მკვეთრი, ზოგიც—წკრიალა, სხვა — მოგუგუნე. ბავშვი დიდხანს უსმენს, სათითაოდ როგორ ყუჩდებიან და ქრებიან ეს ბგერები: ზარებივით ქანაობენ, თითქოს მინდორში იდგე და ქარი ხან გაახლოებდეს, ხან გაშორებდეს მათ ხმას: შემდეგ, თუ ყურთასმენას დაძაბავ, ერთმანეთში არეული და მწერებივით მორიალე განსხვავებული ბგერები მოგესმება შორით. ისინი თითქოს მოგიწოდებენ, გიზიდავენ შორს... შორს... უფრო და უფრო შორს. იდუმალ თავშესაფარში, იქ იძირებიან ხმები... აჰა, გაქრენ!.. არა! ღუღუნებენ ისევ... ფრთების მცირე შერხევა... რა საოცარია ყოველივე ეს! თითქოს სულებიაო, მაგრამ რა მორჩილი სულები არიან, რა უდრტვინველად სხედან ბელ ყუთში. ჰოი, საკვირველებავ!

ყველაზე მშვენიერი ისაა, როცა ორ კლავიშს ერთად დააჭერს თითებს. ბუსტად არასოდეს იცი, რა გამოვა. ზოგჯერ ორი სული ურთიერთის მტერია; ისინი ბრაზობენ, ჩხუბობენ, სძულთ ერთმანეთი და ჯავრით ზუზუნებენ. კრისტოფს ძალიან მოსწონს. ასე ჰგონია. შებოჭილი დევებიაო. ისინი ბორკილებს ღრღნიან და ციხის კედლებს ეხეთქებიან. იმედი აქვთ დაანგრევენ ციხეს და გარეთ გამოვარდებიან, როგორც სოლომონის ბეჭდით დაბეჭდილ არაბულ კოლოფებში ჩამწყვდეული ჯინები. სხვა ხმანი თითქო გეალერსებიან, ცდილობენ თავის ნებაზე დაგიყოლიონ, მაგრამ გრძნობ, რომ საკბენად მზად არიან, არ და-

ᲩᲘᲜᲓᲝᲑᲔᲜ. ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲐᲗ: ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲦᲔᲚᲕᲔᲑᲔᲜ. ᲐᲦᲔᲚᲕᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲬᲘᲗᲚᲓᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ. — ᲐᲠᲘᲐᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲮᲛᲔᲑᲘᲪ: ᲥᲔᲙᲚᲣᲪᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲖᲘ ᲑᲖᲔᲠᲔᲑᲘ ᲔᲙᲝᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲙᲚᲐᲕᲔᲑᲘ ᲫᲝᲮᲕᲔᲕᲜᲘᲡᲐᲡ. ᲔᲡᲔᲜᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲣᲚᲔᲑᲘᲐ, ᲛᲐᲗ ᲛᲦᲘᲛᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲐᲚᲐ ᲡᲐᲮᲔ ᲐᲥᲕᲗ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤᲡᲐᲪ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲘᲡᲘᲜᲘ; ᲑᲘᲭᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲖᲔ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲔᲑᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲗ ᲣᲡᲛᲔᲜᲡ. ᲓᲐ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲛᲐᲗ. ᲛᲘᲡᲘ ᲫᲕᲘᲠᲝᲕᲐᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲖᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ.

ᲐᲡᲔ ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲡ ᲑᲖᲔᲠᲐᲗᲐ ᲭᲐᲚᲐᲙᲨᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲣᲐᲛᲠᲐᲕ ᲨᲔᲣᲪᲜᲝᲑᲔᲚ ᲫᲐᲚᲐᲡᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ. ᲔᲡ ᲫᲐᲚᲜᲘ ᲣᲗᲕᲐᲚᲗᲕᲐᲚᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ, ᲗᲘᲗᲥᲝ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲤᲔᲠᲝᲜ ᲐᲜ ᲘᲥᲜᲔᲑ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲗᲐᲜᲗᲥᲛᲐ ᲡᲬᲐᲓᲘᲐᲗ.

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲔᲚᲥᲘᲝᲠᲛᲐ ᲛᲘᲣᲡᲬᲠᲝ. ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤᲘ ᲨᲘᲨᲘᲗ ᲨᲔᲮᲢᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲐᲤᲘ ᲮᲛᲘᲡ ᲭᲐᲒᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ. ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲓ ᲗᲕᲚᲘᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲓᲐᲘᲤᲐᲠᲐ ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲚᲐ ᲐᲔᲪᲘᲚᲔᲑᲘᲜᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲛᲔᲚᲥᲘᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲯᲐᲕᲠᲔᲑᲘᲐ: ᲙᲐᲠᲒ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲗᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲪᲘᲜᲝᲓᲐ.

— ᲛᲐᲨ ᲔᲡ ᲒᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲑᲘᲭᲘᲙᲝ? — ᲨᲔᲔᲙᲘᲗᲮᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲣᲗᲐᲗᲣᲜᲐ ᲗᲐᲕᲖᲔ. — ᲒᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐᲙᲕᲠᲐ?

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ? ᲐᲦᲢᲐᲪᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲘᲩᲣᲠᲩᲣᲚᲐ—ᲭᲝᲠ. ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲝᲡ ᲛᲘᲣᲡᲮᲓᲜᲔᲜ. ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤᲘ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲝᲕᲐᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲬᲐᲛᲝᲡᲙᲣᲞᲣᲚᲘ: ᲓᲘᲓᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲣᲡᲛᲘᲜᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲡ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲘᲢᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲑᲝᲑᲣᲑᲣᲜᲔ ᲡᲣᲚᲔᲑᲡ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲥᲕᲐ, ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ, ᲗᲘᲗᲝᲗ ᲛᲐᲠᲪᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘᲪ ᲗᲘᲗᲝᲗ ᲑᲖᲔᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ. ᲒᲐᲝᲪᲓᲐ, ᲛᲐᲡ ᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲓᲒᲘᲜᲐ: ᲐᲚᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲠᲩᲛᲝᲔᲓᲐᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠ ᲖᲦᲐᲠᲔᲑᲨᲘ. ᲐᲠ ᲛᲝᲔᲬᲝᲜᲐ, ᲛᲔᲚᲥᲘᲝᲠᲘ ᲓᲐᲣᲠᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲗ. ᲠᲝᲪᲐ ᲛᲔᲚᲥᲘᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲜᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ; ᲒᲣᲚᲪᲘᲕᲘᲗ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲘᲗᲝᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ. ᲛᲐᲘᲜᲪ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤᲘ ᲛᲐᲗᲝᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲔᲠᲐᲠᲧᲘᲘᲡ ᲨᲔᲪᲜᲝᲑᲘᲗ. ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡ ᲒᲐᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲛᲘᲔᲑᲡ ᲐᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲬᲙᲠᲘᲕᲔᲑᲣᲚ ᲖᲐᲜᲒᲗᲐ ᲠᲐᲖᲛᲔᲑᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ. ᲒᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲗᲗ ᲨᲔᲐᲛᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲡ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲖᲐᲜᲒᲡ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕᲐᲪ ᲛᲔᲤᲔ ᲐᲜ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲙᲚᲐᲕᲘᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲝᲚᲝᲓᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔᲛᲓᲔ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲨᲚᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲠᲗᲝᲑᲓᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲛᲬᲙᲠᲘᲕᲔᲑᲘ ᲐᲔᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲘᲜᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲑᲐᲚᲦᲣᲠᲘ ᲘᲧᲝ: ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲞᲝᲣᲚᲝᲑᲓᲐ ᲛᲝᲛᲯᲐᲓᲝᲔᲑᲔᲚ ᲭᲐᲚᲐᲙᲡ. ᲛᲝᲬᲧᲔᲜᲐᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲯᲘᲗᲐᲓ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲓᲐ ᲛᲐᲛᲐ-ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲗᲝᲛᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲝᲪᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲔᲚᲥᲘᲝᲠᲘ ᲓᲐᲦᲚᲐᲡ ᲐᲠᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲐ, ᲔᲠᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔᲡ ᲐᲗᲯᲔᲠ ᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲜᲔᲑᲓᲐ. ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲔᲮᲡᲜᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘ: ᲛᲐᲨ, ᲛᲐ-

მას ვუყვარვარ? რა კეთილია! ბავშვი მადლიერებით აღსავსე გულით მეცადინეობდა.

ნაკლებ მორჩილი იქნებოდა, რომ ცოდნოდა, რა აზრები უტრიალებდა თავში მის მასწავლებელს.

ამ დღიდან მელქიორს კრისტოფი ერთ მეზობელთან დაჰყავდა, ვის სახლშიც კვირაში სამჯერ კამერული მუსიკის საღამოები ეწყობოდა. მელქიორი პირველ ვიოლინოს უკრავდა, ჟან-მიშელი — ჩელოს. კიდევ ორი მონაწილე იყო. — ერთი ბანკის მოხელე, მეორე—შილერშტრასელი მოხუცი მესაათე. ხანდახან ერთი ფარმაცევტიც უერთდებოდა მათ და ფლეიტა მოჰქონდა. ხუთ საათზე იკრიბებოდნენ და ცხრამდე რჩებოდნენ იქ. ყოველი პიესის შესრულების შემდეგ ლუდს მიირთმევდნენ. მეზობლები გადიოდნენ და შემოდიოდნენ, ხმისამოუღებლად უსმენდნენ კედელთან დამდგარნი, თავს აკანტურებდნენ, ტაქტზე ფეხებს ამოძრავებდნენ და ოთახს თამბაქოს კვამლით ავსებდნენ. ფურცელი ფურცელს მისდევდა, ნაწყვეტი — ნაწყვეტს: შემსრულებელნი არ იღლებოდნენ. არავინ არ ლაპარაკობდა, ყურადღება დაეძაბათ და დროდადრო სიამოვნებისაგან ხვნეშოდნენ შუბლმოჭმუხვნილნი, მაგრამ არა თუ პიესის კარგად შესრულების, არამედ მისი შეგრძნობის უნარსაც კი მოკლებულნი იყვნენ. არც მაინცადამაინც ზუსტად უკრავდნენ და არც ტაქტს იცავდნენ. მაგრამ გზას არაოდეს არ გადასცდებოდნენ და აღნიშნულ ნიუანსებს ერთგულად ასრულებდნენ. მათ გააჩნდათ ის მუსიკალური სიმსუბუქე, რომელიც ცოტა რამით, საშუალო ხმით კმაყოფილდება, ასე ხშირია ეს სიმსუბუქე მსოფლიოში ყველაზე მუსიკალურ ერად მიჩნეულ ხალხში.

კრისტოფს განზე ეჭირა თავი, მისთვის მიჩნეულ, აჩემებულ კუთხეში, პიანინოს უკან იყო. იქ მას ვერავინ შეაწუხებდა, თუ დაოთხილი არ შეძვრებოდა. იქ, სანახევროდ ბნელოდა, ხოლო ადგილი სწორედ იმდენი იყო, რომ იატაკზე მოკრუნჩხული დატეულიყო. თამბაქოს ბოლი და მტვერი თვალებსა და ყელში ჩასდიოდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა: თურქულად ფეხმორთხმული ბავშვი დიდრაჯულად უსმენდა და პატარა, დასვრილი თითებით პიანინოს საფარის ნაჩვრეტებს აგანიერებდა. მას არ მოსწონდა ყველაფერი, რასაც უკრავდნენ—მაგრამ არც ერთი არ იყო მოსაწყენი მისთვის; თავის აზრის ჩამოყალიბებას არასდროს არ ცდილობდა: ფიქრობდა — ჯერ ძალზე პატარა ვარ და არა მესმის რაო. ხან რულსა ჰგვრიდა მუსიკა, ხან აფხიზლებდა. მაგრამ ყოველთვის სასიამოვნო იყო. შეგნებული არ ჰქონდა, რომ კარგი მუსიკა თითქმის ყოველთვის აგზნებდა. დარწმუნებული იყო, არავინ უყურებდა და მთელ სახეს მანჭავდა,

ცხვირს აპრეხდა, კბილებს აღრჭენდა, ენას გამოყოფდა, თვალებს ხან ბრაზიან იერს აძლევდა, ხან მიბნედავდა. გამომწვევად და გულადად აქნევდა ხელებსა და ფეხებს, სურდა ეარა, ებრძოლა, მტვრად ექცია ყოველივე. ისე ბორგავდა, რომ ბოლოს ვინმე გადაიხრებოდა პიანინოზე და უყვირებდა: „გაგიჟდი, ბიჭო? დაანებებ თუ არა თავს პიანინოს?! ხელი გაუშვი! ყურებს აგიწევ!“ — ეს აკრთობდა და აბრაზებდა. რად უმღვრევდნენ სიამოვნებას? ის ცუდს არას სჩადიოდა. ყოველთვის უნდა გაამწარონ! მამაც ავიწროებს. უსაყვედურებენ — ხმაურობ და მუსიკა არ გიყვარსო. ბოლოს თავადაც იჯერებდა ამას. ერთი და იგივე კონცერტების დაკვრით გართული მოხელეები გაოცდებოდნენ, ვინმეს რომ ეთქვა, მთელი-ამ საზოგადოებიდან მუსიკას ჭეშმარიტად მხოლოდ პატარა ბიჭუნა გრძნობსო.

თუ უნდა წყნარად იყოს, რად უკრავენ მოძრაობის აღმძვრელ მუსიკას? ამ ხმებში მოისმის ცხენის ჭენება, ხმლების ჩხარუნი, საბრძოლო ყიჟინა და საზეიმო მედიდურობა. დამკვრელებს კი უნდათ კრისტოფმა მათსავით აკანტუროს თავი და ფეხი ტაქტს ააყოლოს! თუ ასეა, დაუკრან უშფოთველი და ოცნების გამომწვევი, ანდა ლაქლაქა, უსიტყვოდ მეტყველი მუსიკა. მაგალითად, გოლდმარკის პიესა. ამ პიესაზე აღტაცებული მოხუცი მესაათე ესაა ღიმილით ამბობდა: „ლამაზია, უხორკლო, თავით ბოლომდე მომრგვალებული...“ როცა ასეთ მუსიკას უკრავდნენ, კრისტოფი მშვიდად იჯდა, თვლემდა, არც კი ამჩნევდა, რას უკრავდნენ, ბოლოს აღარც უსმენდა; მაგრამ კმაყოფილი იყო, სხეული შეთენთოდა და ოცნებობდა.

მისი ოცნება თანმიმდევრული არ იყო, არც თავი ჰქონდა, არც ბოლო. დროდადროლა წარმოუდგებოდა გარკვეული სახე: დედა ღვეზელს ამზადებს და დანით იწმენდს ცომიან თითებს; წინადღით ნანახი წყლის ვირთაგვა, მდინარეში რომ მიცურავდა; მათრახი, ტირიფის წკეპლისაგან რომ უნდოდა გაეკეთებინა. ღმერთმა უწყის, რად აგონდებოდა ესენი! მაგრამ უფრო ხშირად არაფერს არ ხედავდა და უამრავ რასმე გრძნობდა. რაღაც ისეთი დაეუფლებოდა, რასაც ენით ვერ გამოთქვამ და არცაა საჭირო, ისედაც ყველაფერი გასაგებია. მაგრამ ამ სევდაში არა იყო რა მტანჯავი, ცხოვრებაში შემთხვეული მწუხარების მსგავსი; ისინი მამის სილებსა და რაიმე შეურაცხყოფასავით მახინჯნი და დამამცირებელნი არ იყვნენ და მშვიდი მელანქოლიით უვსებდნენ სულს. იყო სიხარულის ნიაღვრების მფრქეველი ნათელი გრძნობებიც. კრისტოფი ფიქრობდა: „ჰო, ასე... ასე ვიზამ ამიერიდან“. არ იცოდა, რა იყო ასე, არც ის—რად ამბობდა ამას: მაგრამ გრძნობდა, რომ უნდა ეთქვა და ეს დღესავით ნათელი იყო. ესმოდა შხუილი ზღვისა, რომელიც ახლოს იყო, მხოლოდ დიუმების კედელიღა ყოფდა მათ. კრისტოფს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა იმაზე, რა იყო ეს

ზღვა და რა უნდოდა მისგან. მაგრამ დარწმუნებული იყო, ის ზღუდეს გადმოლახავდა და მაშინ!.. მაშინ ეს იქნებოდა კარგი, კრისტოფი იქნებოდა სავსეობით ბედნიერი. როგორც კი შემოესმოდა ეს ძალუმი ხმა, ყველა დარდი და დამცირება გაუქრებოდა, ძალა ეძლეოდა; წუხილი რჩებოდა, მაგრამ ის არ იყო არც საშარცხვინო და არც შეურაცხმყოფელი.

ძალიან ხშირად სწორედ საშუალო ღირსების მუსიკა ათრობდა ასე. ამ მუსიკის ავტორები ხელნამცეცა ადამიანები იყვნენ. ისინი არაფერზე ფიქრობდნენ, გარდა იმისა, რომ ფული მოეხვეჭათ და ილუზიით ამოევსოთ თავიანთი ცარიელი ცხოვრება. ცნობილი ფორმულების მიხედვით აწყობდნენ ნოტებს ანდა ორიგინალობისათვის აძლევდნენ ფორმულებს. მაგრამ ბგერებს, ჩერჩეტთა ხელშიც კი, ისეთი სიცოცხლის ძალა აქვთ, რომ შეუძლიათ ქარიშხალი ააბობქრონ გულუბრყვილო სულში. შესაძლოა რეგვენთა მიერ შთაგონებული ოცნება უფრო იდუმალი და თავისუფალიც კი იყოს, ვიდრე კარნახი მბრძანებელი, ძლევამოსილი გონების. უაზრო მოძრაობა და უშინაარსო ლაყბობა არ უშლის სულს თავისი თავის ჭვრეტას.

ასე იჯდა თავდავიწყებული და სხვების მიერ დავიწყებული ბავშვი პიანინოს უკან, ვიდრე უცებ არ იგრძნო ჭიანჭველების ხიჭინი ფეხებში, მაშინ მოაგონდა, რომ ის იყო პატარა, ბინძურფრჩხილებიანი ბიჭი, დაბუჟებული ფეხები ხელში ეჭირა და ცხვირს კედელს უხახუნებდა.

იმ დღეს, როდესაც ფეხაკრეფით შემოსულმა მელქიორმა ბავშვისათვის მეტად მაღალ პიანინოსთან დამჯდარი კრისტოფი დაინახა, ბრწყინვალე აზრმა გაუელვა: „პატარა ფენომენი!.. აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე!.. რა ბედნიერებაა ოჯახისათვის!..“ მართალია, იგი ფიქრობდა, ეს ყმაწვილი დედამისივით ხეპრე გამოვაო, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა. აი ეს კი იქნებოდა ბედის წყალობა! გერმანიას მოივლიან, იქნებ საზღვარგარეთაც წავიდნენ. რა მხიარული ცხოვრება იქნება, და ამასთანავე „კეთილშობილურიც“. მელქიორი მუდამ ფარულ კეთილშობილებას ეძებდა თავის საქციელში და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ იშვიათად თუ ვერ პოულობდა მას.

ვახშმის შემდეგ, როგორც კი უკანასკნელი ლუკმა გადაყლაპა, რწმენაგანმტკიცებულმა მელქიორმა ისევ დასვა ბავშვი პიანინოსთან და გაკვეთილი გაამეორებინა. სანამ კრისტოფს დაღლილობისაგან თვალები არ დაეხუჭა. მეორე დღეს სამჯერ ამეცადინა, მესამე დღესაც! აქედან მოყოლებული ყოველდღე ასწავლიდა. კრისტოფი მალე მოიქანცა, გაკვეთილები მობეზრდა. ბოლოს თავი ვერ შეიკავა და შეეცადა აღშფოთებულიყო. რა აზრი აქვს ამ ვარჯიშს? რაც შე-

იძლება სწრაფად უნდა ერბინა კლავიშებზე, უნდა მოემარჯვებინა ცერი ანდა არათითი. არათითი უშნოდ ეკვროდა მეზობელ ორ თითს. ბავშვი ბრაზობდა. აქ მშვენიერი არა იყო რა. ბოლო მოეღო ჯადოსნურ ზმანებას და ერთი წუთით გახსნილ ოცნებათა სამყაროს მომხიბვლელ იდუმალებას... მშრალი და მონოტონური გამები და სავარჯიშონი ერთიმეორეს მოსდევდნენ ისევე უაზრონი და იქნებ უფრო უაზრონიც, როგორიც სუფრის გარშემო გამართული საუბარი. მუდამ რომ საშმელს და მხოლოდ საშმელს დასტრიალებს თავს. ბავშვმა გაკვეთილებზე გულისყურს უკლო. მკაცრად დატუქსეს. ბიჭი არ გამოსწორდა. გალახეს, უფრო მეტად გაჯიუტდა. საბოლოოდ იმან შეაძულა დაკვრა, რომ ერთ საღამოს მეორე ოთახიდან ყური მოჰკრა მელქიორის საუბარს. თურმე ამგვარად იმიტომ ტანჯავენ, იმიტომ აიძულებენ ყოველდღიურად ამოძრაოს სპილოს ძვლის კლავიშები, რომ საზოგადოებისათვის გაწვრთნილი ცხოველივით ეჩვენებინათ! იმდენი დროც აღარ ჰქონდა, რომ საყვარელ მდინარესა სწვეოდა. რისთვის აწვალებენ ასე? კრისტოფი აღშფოთდა. მისი სიამაყე და თავისუფლება შეურაცხყვეს. გადაწყვიტა, ამიერიდან ან სულ არ დავუკრავ, ან ისე ცუდად დავუკრავ, რომ მამაჩემს თავის გეგმებზე ხელი ავაღებინოო. ეს ბავშვს ძვირი დაუჯდებოდა, მაგრამ დამოუკიდებლობის გადარჩენა იყო საჭირო.

შემდგომი გაკვეთილებიდან განზრახვის ასრულებას შეუდგა. დიდი მონდომებით ცდილობდა კლავიში შეშლოდა და ყველა მითითება არ აესრულებინა. მელქიორმა უყვირა. შემდეგ აღრიალდა. ატყდა ცემა-ტყეპა. მელქიორს ერთი დიდი სახაზავი ჰქონდა და ყოველ ყალბ ნოტზე ბავშვს თითებზე ურტყამდა. ამასთანავე საშინლად ჩაჰყვიროდა ყურში. კრისტოფი ტკივილისაგან იმანჯებოდა, ტუჩებს იკვნეტდა. რომ არ ეტირა და სტოიკურად განაგრძობდა ახხაბაჩხად დაკვრას. ხან მოიბუზებოდა, გრძნობდა — აი, ახლა დამარტყამენო მაგრამ მალე შეამჩნია, რომ მისი სისტემა უვარგისი გამოდგა. მელქიორი მასავით კერპი იყო და დაიფიცა, ფეხსაც ვერ მოიცვლი, ვინემ სწორად არ დაუკრავ. თუნდა საამისოდ ორი დღე და ღამე დაგჭირდესო. კრისტოფი მეტისმეტი გულმოდგინებით უკრავდა არაზუსტად და მელქიორი მზაკვრობას მიუხვდა, ხედავდა, პატარა ხელი ყოველთვის მძიმედ ეშვებოდა საჭირო კლავიშის გვერდით აშკარად განზრახ, სახაზავის დარტყმა გაორკეცდა. კრისტოფს თითები დაებლაგვა. საწყალობლად, უხმოდ ტიროდა, ქშინავდა, ქვითინებდა და ცრემლებს ყლაპავდა. მიხვდა, ასე ვერას გახდებოდა და ერთობ უაზრო გადაწყვეტილება მიიღო. შეჩერდა და თუმცა წინასწარ იგრძნო, რა უბედურება მოჰყვებოდა მის გამბედაობას, მაინც თქვა:

— მამა, არ მინდა დაკვრა.

მელქიორს სული შეეხუთა.

— რაო! რაო!.. — შეჰყვირა მან.

ხელი კინაღამ მოსტეხა. ისე შეანჯღრია. კრისტოფი უფრო აცახცახდა და დარტყმებისაგან თავის დასაფარავად იდაყვი ასწია.

— არ მინდა დაკვრა. ჯერ ერთი, არ მსურს მცემდნენ და შემდეგ... კელარ დაასრულა. საშინელმა გარტყმამ სუნთქვა შეუკრა. მელქიორი აღრიალდა:

— აჰ, არ გსურს გცემდნენ! არ გსურს?..

სეტყვასავით დაუშინა. კრისტოფი ქვითინებდა და გაჰყვიროდა:

— და შემდეგ... 'არ მიყვარს მუსიკა! არ მიყვარს!

სკამიდან ჩამოცურდა. მელქიორმა უხეშად დასვა ისევ, კლავიატურაზე მიუყენა და დაუყვირა:

— დაუკრავ!

კრისტოფი აკივლდა:

— აოა! არა! არ დავუკრავ!

მელქიორი იძულებული გახდა დაეთმო. კართან მიათრია, უთხრა, მთელ დღეს, მთელ თვეს არ გაქმეკ. თუ უკლებლივ ყველა სავარჯიშოს არ დაუკრავო. მერე კინწისკვრით გარეთ გააგდო და კარი მიუჯახუნა.

კრისტოფი კიბეზე აღმოჩნდა. ბნელ და ბინძურ, გამოხრულ საფეხურებიან კიბეზე მინაჩამტვრეულ საშერცხლურიდან სინესტე მოეონავდა. კრისტოფი ჭუჭყიან საფეხურზე ჩამოჯდა. ბრაზისა და მღელვარებისაგან გული უცემდა. ხმაღაბლა ლანძღავდა მამას:

— ჩერჩეტი, აი რა ხარ! მხეცი... უხეში... ბრიყვი! გაუთლელი! მძულხარ, მძულხარ... ოჰ! მინდა მოკვდე, მოკვდე.

მკერდი ებერებოდა, სასოწარკვეთით უმზერდა მოლიპულ კიბეს, გატეხილი ფანჯრის ზევით ქარისაგან შეტოკებულ აბლაბუდას. თავს უთვისტომოდ, უბედურებაში ჩაკარგულად გრძნობდა. მოაჯირის რიკულებს შორის სიცარიელეს გახედა... ძირს რომ გადავარდეს?.. თუ ფანჯრიდან უმჯობესია?.. ჰო, თავი მოიკლას მათ დასასჯელად! როგორ ინანებენ! აჰა, კიბეზე ჩაგორდა. მაღლა სწრაფად აღებენ კარს. შეწუხებულნი შეჰყვირებენ: „გადავარდა! გადავარდა!“ ჩამოირბენენ კიბეზე. მამა და დედა ტირილით მივარდებიან მის სხეულს. დედა აქვითინდება: „შენი ბრალია! შენ მომიკალი შვილი!“ მამა ხელებს გააქნევს, მუხლებზე დაეცემა, თავს მოაჯირს შეახლის და შესძახებს: „არამზადა ვარ, არამზადა!“ ამის წარმოდგენამ დაუცხრო წუხილი. მზად იყო შეებრალებინა მოტირალნი, მაგრამ შემდეგ გაიფიქრა: მაგათზე ახიაო. კმაყოფილი იყო შურისძიებით.

ეს ამბავი დაასრულა და ისევ კიბის თავზე, სიბნელეში აღმოჩნდა. ერთხელ კიდევ გადაიხედა დაბლა და უკვე აღარ მოესურვა გადავარდნილიყო. ოდნავ

შეთრთოლდა კიდეც და მოშორდა კიდეს. შეეშინდა, არ გადაკვარდეო. თავი პატიმრად ჩათვლა. იფიქრა გალიაში სამუდამოდ ჩამწყვდეული ჩიტივით ვარ და თუ კისერს არ მოვიტეხ. აქედან თავს ვერ დავაღწევო. იტირა, იტირა; თვალებს პატარა, ჭუჭყიანი ხელებით ისვ ისრესდა, რომ უცბად დაითხუპნა. ტიროდა და გარემომცველ საგნებს ათვალიერებდა. ამან გაართო. ერთი წუთით კვნესა შეწყვიტა, რათა ქსელზე შერხეული ობობა დაეთვალიერებინა. შემდეგ ისევ აკვნესდა, მაგრამ ნაკლები სასოწარკვეთით. თავის ქვითინს ყურს უგდებდა, ინგარიშმიუცემლად განაგრძობდა ზუზუნს და კარგად აღარც ესმოდა. ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა, ფრთხილად მიეყრდნო კედელს და ცერად შეხედა ობობას. ის ობობა თანაც აინტერესებდა. თანაც ეზიზღებოდა.

ქვევით, სულ ახლოს რაინი მიედინებოდა. კიბის სარკმელი მდინარეზე იყო გადაკიდებული და თითქოს ცაში ქანაობდა. კრისტოფი ყოველთვის, როცა კი ბაჯბაჯით ჩამოივლიდა საფეხურებს, თვალდაკვირვებით მიაჩერდებოდა მდინარეს. მაგრამ არასოდეს არ ენახა ისეთი. როგორც დღეს. დარდი გრძნობას უ წვავებს ადამიანს. თითქოს ყველაფერი უკეთ აღებეჭდა თვალებში, მას შემდეგ, რაც კი ცრემლებმა გადაურეცხეს მოგონებათა მიმქრალი ნაკვალევი. მდინარე ბავშვს ცოცხალ არსებად ეჩვენა. უცნაურ. მაგრამ ყველა მისთვის ცნობილ არსებებზე განუზომლად უფრო ძლიერ არსებად! კრისტოფი გადაიხარა. რათა უკეთ დაენახა! ტუჩებით მიეკრა მინას და ცხვირი მიაჭყლიტა. საით მიდის იგი? რა სურს მას? ისეთი იერი ადევს, თითქოს თვითონვე ამოურჩევია თავისი გზა და არაფერი შეაჩერებს. დღისა და ღამის რომელი საათიც უნდა იყოს, წვიმა იქნება თუ დარი, სიხარული თუ სევდა სახლში, ის დინებას არ შეწყვეტს. მისთვის სულ ერთია, წუხილი არ იცის და საკუთარი ძლიერებით ტკბება. რა ბედნიერებაა, მდინარეს ჰგავდე, იდინო მდელოთა და ტირიფის ტოტთა შორის, მოციმციმე ქვიშასა და შხრიალა სილაზე და არაფერზე ზრუნავდე, არაფერი გავიწროვებდეს. თავისუფალი იყო!..

ბავშვი ხარბად უჭვრეტდა და უსმენდა. ისე ეგონა, მდინარეს მივყავარ და შორეულ ქვეყნებს დამატარებსო. როცა თვალს ხუჭავდა, ხედავდა ფერებს: ცისფერს, მწვანეს, ყვითელსა და წითელს, დიდ მოძრავ ჩრდილებსა და მზის ელვარებას... მერე გამოინაკვთა სანახავი. აჰა. ვრცელი ველი, ლერწმები, ქორფა ბალახისა და პიტნის სურნელით გაჟღენთილი ნიავით დარხეული სამკალი. ყვავილები ყოველი მხრიდან: ღიღილოები, ყაყაჩოები, იები, რა კარგია! რა საამური ჰაერია! რა კარგი იქნება სქელსა და ლბილ მდელოზე გაწოლა!.. კრისტოფი გრძნობს სიხარულსა და გაბრუებულია, როგორც დღესასწაულზე, როცა მამა დიდ ჭიქაში ერთ სათითურ ღვინოს უსხამს... — მდინარე მოედინება... სანახაობა იცვლება... ახლა ხეები გადახრილან წყალზე. დაკუწწუწებული ფოთლები

პატარა ხელებივით სველდებიან, ირხევიან და ტრიალებენ ზვირთებში. ტყეში ჩაფლული სოფელი მდინარეში თავისი ანარეკლის მზერით ტკბება. კვიპაროსები და საფლავის ჯვრები მოჩანს თეთრი კედლის გადაღმა; კედელს მდინარე ლოკავს... შემდეგ კლდეებია, ხეობა: ფერდობებზე ვენახებია, ნაძვნარი და კოშკთა ნანგრევები... და ისევ ველი, პურის ყანები, ჩიტები და მზე...

დიდი მდინარე განაგრძობს თავის გზას, მოედინება ელვარე, ერთი აზრივით უწყვეტელი და თითქმის უჭავლო. კრისტოფი აღარ უყურებს. თვალებს ხუჭავს, რათა უკეთ ისმინოს. ეს გამუდმებული შხუილი პირთამდე ავსებს და თავბრუს ახვევს. სამარადისო და მბრძანებელმა სიზმარმა შთანთქა. ტალღების დუდუნში მძაფრი რიტმები ისწრაფიან ფიცხი მხიარულებით და ამ რიტმებზე, როგორც ვაზი ჭიგოზე, იზრდება მუსიკა: ვერცხლის კლავიშთა არპეჯიოები, მწუხარე ვიოლინოები, გლუვბგერიანი ხავერდოვანი სალამურები... სანახები გამქრალა, მდინარე გამქრალა. უცხო, ნაზი და ბუნდოვანი ჰაერი თრთის, კრისტოფს მღელვარებისაგან გული უცახცახებს. რა არის ეს, ახლა რომ ხედავს? ოჰ! მომხიბლავი სანახაობა!..—წაბლისფერკულულებიანი, მიბნედილი და დამცინავი გოგონა ეძახის... ფერმკრთალი და ცისფერთვალა ყმაწვილი სევდიანად მიჩერებია... სხვა გაღიმება, სხვა თვალები, — ცნობისმოყვარე და გამომწვევი თვალები, ზოგს ძაღლის კეთილი გამომეტყველება აქვს, ზოგს — მბრძანებლური და ზოგსაც — ტანჯული. და აი სახე ფერმკრთალი, შავთმიანი, ტუჩებმოკუმული ქალისა. მისი თვალები ისე მიშტერებიან კრისტოფს, რომ ტკივილს გრძნობს... აი ის კი ყველაზე ძვირფასია, ნათელი, მტრედისფერი თვალები, ულიმის, ოდნავ გაპობილ ბაგესა და ელვარე კბილთა რიგს ხედავს... ეჰ! მშვენიერი, მოწყალე და მოყვარული ღიმილი! სინაზით უდნობს გულს! რა კარგია, რა საყვარელი! კიდევ! გამიღიმე კიდევ! ნუ წახვალ!.. ეჰა! გაქრა! მაგრამ გულში გამოუთქმელი სიტკბო დატოვა. აღარ არის ტკივილი, აღარ არის წუხილი, გაქრა ყოველი... მხოლოდ მსუბუქი სიზმარია, მშვიდი მუსიკა, მზის სხივებში რომ დაფარფატებს, როგორც მუმლი ზაფხულის დარიან დღეებში.. რა იყო ეს? ეს რა სახეებმა აღავსეს ბავშვი ღრმა მღელვარებით? არასოდეს უნახავს და მაინც იცნობს მათ: გაახსენდნენ. საიდან მოვიდნენ? არსის რომელი ბნელი უფსკრულიდან? ეს იყო... თუ ეს მომავალში იქნება?

ახლა კი ყველაფერი გაუჩინარდა, ყველაფერი გადნა უკანასკნელად შორით, ნისლის ფარდის მიღმა, მაღლიდან, სადაც შენ დაფარფატებ, კიდევ ერთხელ გამოჩნდება ადიდებული. მინდვრებზე გაფენილი, მდორე, თითქმის უძრავი მდინარე. ხოლო უფრო შორს, დასალიერზე, ფოლადისფერი სინათლის მსგავსად, ნარნარი სივრცე, მოცახცახე ტალღათა ხაზი—ზღვა. მდინარე მისკენ მიისწრაფის. ზღვაც მოიწევს თითქოსდა იზიდავს მდინარეს. საცაა შეერწყმი-

ან ერთმანეთს... მუსიკა გრიალებს, ლამაზი საცეკვაო რიტმები ტრიალებენ თავაწყვეტილნი: ყველაფერს მოედება მათი საზეიმო ქარბუქი... თავისუფალი სული სივრცეს აპობს, როგორც მზით მთვრალი მერცხალი, მძაფრი ჭყივილით რომ სერავს ზეცას... სიხარული! სიხარული! სხვა არარაა! ო! უსასრულო ბედნიერებაა!..

გამოხდა ჟამი. დაღამდა. კიბეზე სიბნელე ჩამოწვა. წვიმის წვეთები მდინარის კაბაზე რგოლებს ხატავენ და ტალღებს ცეკვით მიაქვთ ისინი... ხანდახან ხის ტოტი, ქერქის შავი ნაგლეჯი ჩაივლიდა უხმაუროდ. მომაკვდინებელი ობობა გამძღარიყო და ბნელ კუთხეში მიმალულიყო. მოთხუპნული, ფერგამკრთალი, ბედნიერებით სახეგაბრწყინებული პატარა კრისტოფი ისევ სარკმლის რაფაზე იწვა. ეძინა.

ნაწილი მესამე

Et la faccia del sol nascere ombrata...

Purg XXX

მზე თვალს გაახელს დაბინდული ნისლის ქუდებით

სალხინებელი, XXX

კრისტოფი იძულებული გახდა ქედი მოეხარა. მიუხედავად მედგარი და გმირული წინააღმდეგობისა ცემამ გონს მოიყვანა. ყოველ დილასა და საღამოს, მთელი სამი საათი კრისტოფი სატანჯველ ინსტრუმენტს უჯდა, დაძაბულობისა და მოწყენისაგან იკრუნჩხებოდა, ლოყებსა და ცხვირზე მსხვილი ცრემლი ჩამოსდიოდა და თეთრსა და შავ კლავიშებს ხშირად წითელი, გათოშილი პატარა ხელებით ახმიანებდა. ემუქრებოდა სახაზავი — ყოველ ყალბ ნოტზე ურტყამდნენ — და მასწავლებლის მრისხანე ყვირილი დარტყმაზე მეტად ეჯავრებოდა. ეგონა, მუსიკა მეზიზღებაო, მაგრამ მაინც გულმოდგინეობდა და ეს მხოლოდ მელქიორის შიშით არ აიხსნებოდა. პაპის დამარწმუნებელმა სიტყვებმა დიდი გავლენა მოახდინეს კრისტოფზე. შვილიშვილის ცრემლის შემხედვარე მოხუცმა ჩვეულებისამებრ დიდრაჯულად განაცხადა, ღირს მცირე ტანჯვა უმშვენიერესი და უკეთილშობილესი ხელოვნების გამო, რაკი ის ადამიანთათვის ნუგეშისა და დიდების მომნიჭებელია. კრისტოფი პაპის მადლიერი იყო, რადგან ჟანმიშელი ისე ელაპარაკებოდა, როგორც მოზრდილს. იდუმალად გულზე მოხვდა მისი გულუბრყვილო რჩევა: ეს კრისტოფის ბავშვურ სტოიციზმსა და ახლად ჩასახულ ამპარტავნებას შეეგუა.

მაგრამ ყველა არგუმენტზე მეტად კრისტოფი მუსიკით იყო მოჯადოებული, ამ გრძნობამ სამუდამოდ მიაჯაჭვა საძულველ ხელოვნებას და ყველა ამბოხი მუსიკის წინააღმდეგ ამაო გახადა.

ქალაქში, გერმანული ჩვეულების თანახმად, არსებობდა თეატრი: იდგმებოდა ოპერები, კომიკური ოპერები, ოპერეტები, დრამები, კომედიები და ვოდევილები, იდგმებოდა ყველაფერი, რისი დადგმაც შეიძლება — ყველა ჟანრისა და სტილის ნაწარმოები. წარმოდგენები კვირაში სამჯერ იმართებოდა, საღამოს ექვსი საათიდან ცხრამდე. მოხუცი ჟან-მიშელი არც ერთს არ აკლდებოდა და ყველა ერთნაირად აინტერესებდა. ერთხელ შვილიშვილიც წაიყვანა. რამდენიმე დღით ადრე დაწვრილებით მოუთხრო პიესის შინაარსი. კრისტოფმა ვერა გაიგო რა, მაგრამ დაიმახსოვრა, რომ რაღაც საშინელება უნდა მომხდარიყო და თუმცა ძალიან ეშინოდა, მაინც უნდოდა პიესა ენახა. იცოდა, ქარტეხილი უნდა ამოვარდნილიყო და ძრწოდა — მეხი არ დამეცესო. იცოდა, ბრძოლა უნდა ატეხილიყო და არ სჯეროდა. თუ არ მოკლავდნენ. წინადღით ლოგაში, ნამდვილი მწუხარება განიცადა. წარმოდგენის დღეს თითქმის სურდა კიდეც, რომ პაპას ხელი შეშლოდა და არ მოსულიყო. მაგრამ როცა დრო მოახლოვდა და პაპას შეაგვიანდა, შეწუხდა და ყოველ წამს ფანჯარაში იყურებოდა. ბოლოს მოხუცი მოვიდა და ერთად გაემართნენ თეატრისკენ. ბავშვს გული უბტოდა. მღელვარებისაგან ენა გაუშრა და ხმის ამოღება არ შეეძლო.

ისინი მივიდნენ იმ იდუმალებით მოცულ შენობასთან, რომლის შესახებაც ხშირად ლაპარაკობდნენ შინაურები. ჟან-მიშელი კართან ნაცნობებს შეხვდა. ბიჭს თავისი პაპისათვის ჩაეჭიდა ხელი, რადგან ეშინოდა არ დავიკარგოო და არ ესმოდა — როგორ შეეძლო ახლა პაპას მშვიდი საუბარი და სიცილი.

ჟან-მიშელი თავის ჩვეულებრივ ადგილზე დაჯდა. პირველ რიგში, ორკესტრის წინ. მოაჯირს დაეყრდნო და მაშინვე დაუსრულებელი საუბარი გააბა კონტრაბასისტთან. აქ თავის წრეში იყო. აქ უსმენდნენ, მის ავტორიტეტს ანგარიშს უწევდნენ. ამით სარგებლობდა, შეიძლება ითქვას, ბოროტადაც იყენებდა მუსიკოსების ნდობას. კრისტოფს არაფრის მოსმენა არ შეეძლო. აშფოთებდა სპექტაკლის მოლოდინი და ჯადოსნური დარბაზი: საშინლად აკრთობდა ხალხის სიმრავლე. თავის შებრუნებას ვერ ბედავდა, ეგონა—ყველა მე მიყურებსო. მუხლებს შორის სრესდა თავის პატარა ქუდს და თვალდაჭყეტილი მიჩერებოდა ჯადოსნურ ფარდას.

ბოლოს სამჯერ დააკაკუნეს. პაპამ ცხვირი მოიხოცა, ჯიბიდან ლიბრეტო ამოიღო. ამ ლიბრეტოს ყოველთვის ისე გულმოდგინედ ადევნებდა თვალს, რომ ხანდახან სცენაზე ყურებაც ავიწყდებოდა. ორკესტრმა დაკვრა დაიწყო. პირველი აკორდებისთანავე კრისტოფი დამშვიდდა. ბგერათა სამყაროში იგი შინაურულად გრძნობდა თავს. ამ წუთიდან მოყოლებული რა უცნაურიც უნდა ყოფილიყო სანახაობა, ყველაფერი ბუნებრივი მოეჩვენებოდა.

ფარდა აიხადა. გამოჩნდა მუყაოს ხეები და ასეთივე არარეალური არსებანი. პატარა ბიჭი აღტაცებისაგან პირდაღებული უმზერდა, მაგრამ არ გაოცებულა. თუმცა მოქმედება მიმდინარეობდა ფანტასტიკურ აღმოსავლეთში და აღმოსავლეთზე კი კრისტოფს არავითარი წარმოდგენა არ შეიძლებოდა ჰქონოდა ნაწარმოები უაზრობის ხლართს წარმოადგენდა და შეუძლებელი იყო გარკვევა. კრისტოფიც ვერას არკვევდა: ყველაფერი აურ-დაურია, ერთი მოქმედი პირი მეორე ეგონა, პაპას სახელოზე ექაჩებოდა, სულელურ კითხვებს აძლევდა და ამით ამტკიცებდა, რომ არა ესმოდა რა. მაგრამ არათუ არ მოსწყენია, არაბედ ფრიად დაინტერესებულიც ჩანდა. სულელური არად მიიჩნია და თვით შეკოწიწა რომანი, რასაც წარმოდგენასთან არავითარი კავშირი არა ჰქონია. ყოველ წუთს პიესა არღვევდა მის ოცნებას და კრისტოფს ისევ უნდა გადაეკეთებინა რომანი. მაგრამ ბავშვს ეს არ აკრთობდა.; სცენაზე მოძრავ არსებათა შორის, სხვადასხვა ხმაზე რომ იძახდნენ რაღაცას, უკვე ამოერჩია საყურადღებონი და ათრთოლებული ადევნებდა თვალყურს მათ. განსაკუთრებით მოხიბლა შეუჯნის, ოქროსფერდალალებიანმა, ნამეტნავად დიდთვალა და ფეხშიშველა ლამაზმა ქალმა. წარმოდგენის საოცარი არარეალობა არ აცბუნებდა. თუმცა მისი ბავშვური, მახვილი თვალი ზოგ რამეს ამჩნევდა, მაინც არად მიიჩნევდა აჩონჩხილი მამაკაცების სასაცილო სიმახინჯეს, გუნდის უშნო მომღერლებს, ორ ოიგად დაწყობილთ, არად მიიჩნევდა სულელურ ხელისქნევას, ღრიალისაგან ხისხლმოწოლილ სახეებს, გაბურძგვნილ პარიკებს, ტენორის მაღალ ქუსლებსა და სხვადასხვა ფერის ფანქრებით პირმოთხუპნული მისი სატრფოს გრიმს, ოოქროს კრისტოფი შეყვარებულია და ვნება საყვარლის ნამდვილი სახის დანახვის საშუალებას არ აძლევს... ბავშვისათვის დამახასიათებელი საოცარი ძალა ილუზიისა ანელებდა და ასხვაფერებდა რეალურ შთაბეჭდილებას.

ამ სასწაულის მოქმედი მუსიკა იყო. იგი ბუნდოვან შარავანდედს ადგამდა სიგნებს და ყველაფერი კარგი, კეთილშობილური და სასურველი ხდებოდა. სიყვარულის უზომო ნდომას აღუძრავდა სულს და ამავე დროს სატრფიალო ზმანებებს სთავაზობდა ყოველი მხრიდან მის მიერვე გამოწვეული წყურვილის დასაკმაყოფილებლად. პატარა კრისტოფი მღელვარებისაგან დაბნეულიყო. იყო შემაცბუნებელი სიტყვები, ჟესტები და მელოდიები: თავის აწევას ვერ ბედავდა, აღარ იცოდა, კარგი იყო ეს თუ ცუდი; ხან წითლდებოდა და ხანაც ფერი მისდიოდა. ხანდახან შუბლი ოფლით ენამებოდა და შიშით თრთოდა, ვაითუ ხალხმა მღელვარება შემამჩნიოსო. როდესაც საქმე მიდგა გარდაუვალ კატასტროფამდე, რაიც შეყვარებულებს ოპერის მეოთხე მოქმედებაში დაატყდებოდათ ხოლმე თავს, რათა ტენორსა და პრიმადონას ყურისწამღები კივილის სა-

ბაბი მისცემოდათ, ბავშვი ეგონა, სული ‘ეს ‘ეუთ‘ ‘ ‘

საოვარ დაიწერ რასმეო, მაგრამ შთაგონება ღალატობდა ყოველთვის. მართალია, საღამოდეში ეწყო მის მიერ შეთხზული ერთი თუ ორი მოქმედება, მაგრამ დიდი წარმოდგენისა არ იყო მათ ღირსებაზე და არასოდეს სხვათა სამსჯავროზე არ გაუტანია.

მეტი სიტყვა არ უთქვამთ, ვიდრე შინ დაბრუნდებოდნენ. არც ერთსა და არც მეორეს არ დასძინებია. მოხუცი ნაწყენი იყო. თავის სანუგეშებლად ბიბლიის კითხვა დაიწყო. კრისტოფი განელილ საღამოზე ფიქრობდა თავის ლოგინში, იგონებდა უმცირეს წვრილმანებს და ფეხშიშველი ქალი ელანდებოდა. როცა მიერულებოდა, რომელიმე მელოდია ისე მკაფიოდ შემოესმოდა, თითქოს ორკესტრი იქვე ყოფილიყო შეკრთებოდა, მუსიკით გაოგნებული თავს წამოწევდა ბალიშიდან და გაიფიქრებდა: „როდესმე მეც დავწერ ასეთს. ოჰ! შევძლებ კი. ოდესმე?“

ამ დღიდან მხოლოდ ერთი სურვილი ებადა: ისევ წასულიყო თეატრში; და მით უფრო გულმოდგინედ მუშაობდა, რომ თეატრში წაყვანით აჯილდოებდნენ ხოლმე. მხოლოდ ამაზე ოცნებობდა. კვირის პირველი დღეები წარსულ წარმოდგენაზე ფიქრობდა, მერე — მომავალ სპექტაკლზე. ეშინოდა, წარმოდგენის დღეს ავად არ გამხდარიყო და ხშირად შიშისაგან სამი თუ ოთხი ავადმყოფობის ნიშნებსა გრძნობდა. თეატრში წასვლის დღეს საჭმელს პირს ვერ აკარებდა. ცოდელი სულივით შფოთავდა, წამდაუწუმ გარბოდა საათის სანახავად და ფიქრობდა — საღამო არასოდეს დადგებაო. ბოლოს ვეღარ მოითმენდა, სალაროს გაღებამდე ერთი საათით ადრე გამოდიოდა შინიდან — ვაითუ ადგილი ვერ ვიშოვოთო. და რადგანაც პირველი შედიოდა უკაცრიელ დარბაზში, წუხდა: პაპას ეამბნა, რამდენჯერმე საკმაო საზოგადოება არ შეკრებილიყო, მსახიობებს გადაეწყვიტათ არ ეთამაშნათ და ბილეთების ფული დაებრუნებიათ. კრისტოფი თვალს ადევნებდა შემოსულებს, ითვლიდა მათ და ფიქრობდა: „ოცდასამი, ოცდაოთხი. ოცდახუთი... ოჰ, ცოტაა... როდის შეგროვდებიან!“ — და როდესაც დაინახავდა, რომ დარბაზში ვინმე მნიშვნელოვანი პირი შემოვიდოდა, გულს მოეშვებოდა და თავს ეუბნებოდა: „ამის გაბრუნებას ვერ გაბედავენ, მისთვის, უეჭველია, ითამაშებენ“,—მაგრამ დარწმუნებული მაინც არ იყო. მხოლოდ მაშინღა მშვიდდებოდა, როდესაც მუსიკოსები გამოვიდოდნენ. ეჭვი მაინც ულრღნიდა გულს. ვაითუ როცა ფარდა აიხდება, სპექტაკლის გადადება გამოაცხადონ. როგორც ერთ საღამოს მოხდაო. ფოცხვერის ვიწრო თვალებით უკვრეტდა კონტრაბასის პიუპიტრს — ნოტების რვეულს მოსალოდნელი ნაწარმოების სათაური აწერია თუ არაო. და, თუმცა კარგად გაერჩია, წუთის შემდეგ ისევ გადახედავდა. რათა დარწმუნებულიყო — ხომ არ შევმცდარვარო. დირიჟორი ჯერ არ გამოსულა. ნამდვილად ავადაა... ფარდის იქით მოძრაობენ, ლა-

ბარაკი და ჩქარი ნაბიჯების ხმა მოისმის. რაღაც მოულოდნელი უბედური შემთხვევა თუა?.. სიჩუმე მყარდება ისევ... დირიჟორი თავის ადგილზეა. თითქოს ყველაფერი მზადაა... არ იწყებენ? რა მოხდა? — კრისტოფი მოუთმენლობისაგან იწვის. ბოლოს გაისმის სიგნალი. ბავშვის გულს ბაგაბუგი გააქვს. ორკესტრი შესავალს უკრავს. და რამდენიმე საათის განმავლობაში კრისტოფი ნეტარებს; ნეტარებას მხოლოდ ის აზრიღა უმღვრევდა, რომ ეს ჩქარა გათავდებოდა...

რაადგილიმე ხნის შემდეგ ერთმა ამბავმა კიდევ უფრო აღაგზნო კრისტოფის გონება. ცნობილი გახდა, ჩამოდიოდა ფრანც-მარია ჰასლერი, ავტორი პირველი ოპერისა, ასე ღრმად რომ იმოქმედა კრისტოფზე. ჰასლერს უნდა ედირიჟორა თავისი ნაწარმოებების კონცერტზე. ქალაქი მღელვარებამ შეიპყრო. ახალგაზრდა კომპოზიტორის გამო დიდი კამათი იყო ატეხილი მთელ გერმანიაში და ნახევარი თვე მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდნენ. როცა ჩამოვიდა, უარესი ამბავი ატყდა. მელქიორისა და ჟან-მიშელის მეგობრები წამდაუწუმ შემოდიოდნენ ახალი ამბების გასაგებად და მოჰქონდათ უცნაური ამბები მუსიკოსის ჩვეულებათა და თავისებური ქცევის შესახებ. ბავშვი უდიდესი ყურადღებით უსმენდა ცათ. აღაფრთოვანებდა ის აზრი, რომ დიადი ადამიანი აქ იყო, ქალაქში, რომ ის ამავე ჰაერით სუნთქავდა და ამავე ქვაფენილებს თელავდა, კრისტოფი მისი ხილვის იმედითღა ცოცხლობდა.

ჰასლერმა ჰერცოგის სტუმართმოყვარეობით ისარგებლა და სასახლეში დაბინავდა. თეატრში რეპეტიციებზე დაიარებოდა. კრისტოფს არ უშვებდნენ რეპეტიციებზე. კომპოზიტორი მეტისმეტად დონდლო იყო და ყოველთვის ჰერცოგის ეტლით დადიოდა. კრისტოფს მისი დანახვის ძალზე მცირე შესაძლებლობა ჰქონდა. მხოლოდ ერთხელ მოახერხა დაენახა ეტლის სიღრმეში ბეწვის ბურქი, თუმცა საათობით იდგა ქუჩაზე და ყოველმხრივ მუჯლუგუნებს აჩიგებდა, რათა ჯერ დაეპყრო და მერე შეენარჩუნებინა ადგილი მოცლილთა პირველ რიგში. თავს იმით იმშვიდებდა, რომ ნახევარი დღე სასახლის სარკმლებს უთვალთვალებდა (კომპოზიტორის ფანჯრები ვილაცამ უჩვენა). მაგრამ უფრო ხშირად მხოლოდ დარაბებს ხედავდა, რადგან ჰასლერი გვიან დგებოდა და ფანჯრები თითქმის მთელი დილა დახურული ჰქონდა. ამის გამო კარგად ინფორმირებული პირები ლაპარაკობდნენ, რომ ჰასლერი დღის სინათლეს ვერ იტანს და სულ სიბნელეში ცხოვრობსო.

ბოლოს კრისტოფს საშუალება მიეცა თავის გმირს მიახლოვებოდა. ეს მოხდა კონცერტზე. მთელი ქალაქი აქ იყო. ჰერცოგსა და კარისკაცებს დიდი, გვირგვინით შემკული სამეფო ლოჟა ეჭირათ. გვირგვინი ორ მსხვილფეხა და ლოყებგამობერილ ანგელოსს ეკავა ჰაერში. თეატრი საზეიმოდ გამოიყურებოდა.

სცენა მუხის რტოებითა და აყვავებული დაფნებით იყო მორთული. ყველა ისე თუ ისე გამოჩენილმა მუსიკოსმა ღირსების საქმედ ჩათვალა კონცერტში მონაწილეობა მიეღო. მელქიორი თავი[illegible] ღ[illegible] კ[illegible], ხოლო ჟან-მიშელი გუნდს დირიჟორობდა.

ჰასლერის გამოჩენისას ტაშის გრიალი ატყდა. ქალები დგებოდნენ, რათა უკეთ დაეხახათ. კრისტოფი თვალებით ჭამდა მას. ჰასლერს ახალგაზრდული და დახვეწილი სახე ჰქონდა, თუმცა ოდნავ შეშუპებული და მოთენთილი; საფეთქლებზე თმა გასცვენოდა; თხემზე ქერა თმაში ნაადრევი მელოტი შეჭპარვოდა; ცისფერი თვალების მზერა დაბინდული ჩანდა; პატარა ქერა ულვაშები ჰქონდა და მოძრავი ტუჩები. იგი მაღალი იყო, საგრამ თავი ცუდად ეჭირა — არა დარცხვენის, არამედ დაღლილობისა და მოწყენილობის გამო. დირიჟორობდა. მუსიკის ტაქტზე მთელი თავისი დიდი ტანის ყინიანი რხევით, ხან ნაზი და ხანაც მძაფრი ჟესტებით. ეტყობოდა, საოცრად ნერვიული იყო და მისი მუსიკაც ზუსტად ასახავდა ამას. [illegible] მთრთოლარე სიცოცხლემ აამოძრავა ჩვეულებრივ გულგრილი ორკესტრი. კრისტოფს სუნთქვა შეეკრა. მიუხედავად იმისა, რომ ეშინოდა—ყურადღება რ მივიქციოო, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა; წრიალებდა, დგებოდა და მუსიკა ისე მძაფრად და მოულოდნელად აღელვებდა, რომ მეზობლების სამწუხაროდ ოავსა და ხელებს იქნევდა; [illegible]ირგვლივ მსხდომნი თავს იცავდნენ, როგორც შეეძლოთ, ესეცაა, მთელი საზოგადოება აღფრთოვანებული იყო უფრო ჰასლერის სახელით. ვიდრე მისი ნაწარმოებებით. ბოლოს ტაშისა და ყვირილის გრიგალი ატყდა, რასაც ორკესტრის საყვირებმაც შეუერთეს თავიანთი ხმა — გერმანული ჩვეულებისამებრ, გამარჯვებულის მისასალმებლად. კრისტოფი სიამაყით თრთოდა, თითქოს ეს პატივი მისთვის მიეგოთ. ბავშვური კმაყოფილებით გაბრწყინებული ჰასლერის სახის ხილვით ხარობდა. ქალები კომპოზიტორს ყვავილებს ესროდნენ, კაცები ქუდებს აქნევდნენ; ხალხი სცენას ძალავრდა. ყველას უნდოდა ხელი ჩამოერთმია კომპოზიტორისათვის. კრისტოფმა დაინახა, რომ ერთმა აღტაცებულმა ქალმა ხელზე აკოცა მას, ხოლო მეორემ ფარულად აიღო ცხვირსახოცი, ჰასლერს რომ თავისი პიუპიტრის კიდეზე დაეტოვებინა. კრისტოფსაც მოუნდა ესტრადასთან მისულიყო, თუმცა არ იცოდა რატომ! ჰასლერის პირისპირ რომ აღმოჩენილიყო, მაშინვე გაიქცეოდა მღელვარებისა და შეკრთომისაგან. მაინც ყოჩივით მთელი ძალ-ღონით ურტყამდა თავს ფეხებსა და კაბებს და ჰასლერისაკენ მიიწევდა. მაგრამ ძალზე პატარა იყო და სცენამდე ვერ მიაღწია.

საბედნიეროდ კონცერტის შემდეგ პაპა მივიდა მასთან. მუსიკოსებს ჰასლერის პატივსაცემად სერენადის შესრულება გადაეწყვიტათ. პაპამ ბიჭიც წაიყვანა. ბნელოდა. ჩირაღდნები აანთეს. ორკესტრის ყველა მუსიკოსი აქ იყო,

ლაპარაკობდნენ მხოლოდ ახლახან მოსმენილ საოცარ ნაწარმოებთა შესახებ. ბოლოს სასალონისთან მიკიდხეს და უჩუმრად მოეწყვეტა კომპოზიტორის ფანჯრების ქვეშ. იდუმალების ატმოსფერო შეიქმნა, თუმცა მთელმა ქვეყანამ, და სხვებთან ერთად ჰასლერმაც, კარგად იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო. ღამის სიმყუდროვეში ჰასლერის განთქმულ ნაწარმოებთა ნაწყვეტების დაკვრა დაიწყეს. კომპოზიტორი ჰერცოგთან ერთად გადმოდგა ფანჯარაზე: მუსიკოსებმა მათდა პატივსაცემად ვაშა შესძახეს. ორივე მიესალმა მუსიკოსებს. მსახური მოვიდა და ჰერცოგის დავალებით სასახლეში მიიწვია მუსიკოსები. გაიარეს დარბაზები, რომელთა კედლები შიშველი, მუზარადიანი კაცებით იყო მოხატული; მათ მოწითალო ფერი გადაჰკრავდა და გამომწვევად იდგნენ; მაღლა ზეცა ვეება, გაბერილი ღრუბლებით იყო დაფარული. აქვე იდგნენ ფურცლოვანი რკინის წინსაფრებიანი მამაკაცები და ქალები. სტუმრები ისეთ რბილ ხალიჩაზე მრაბიჯებდნენ, რომ თავიანთი ნაბიჯების ხმა არ ესმოდათ. შემდეგ შევიდნენ ერთ დღესავით განათებულ დარბაზში, სადაც სასმელებითა და ჩინებული საჭმელებით დატვირთული სუფრები იდგა.

ჰერცოგიც აქ იყო, მაგრამ კრისტოფს ის არ დაუნახავს. მხოლოდ ჰასლერს უმზერდა. ჰასლერი შეეგება მუსიკოსებს და მადლობა გადაუხადა: ის სიტყვებს ეძებდა, ერთ წინადადებაზე მთლად შეფერხდა და უხეში ხუმრობით იხსნა თავი. ყველას გაეცინა. შემდეგ ვახშმობას შეუდგნენ. ჰასლერმა ოთხი თუ ხუთი მუსიკოსი მოისვა გვერდით. კრისტოფის პაპას განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრო და რამდენიმე ალერსიანი სიტყვა უთხრა. მოიგონა, რომ ყან-მიშელი იყო პირველი მისი ნაწარმოებების შემსრულებელთა შორის: უთხრა — ხშირად მომისმენია თქვენი ქება ერთი მეგობრისაგან, თქვენი ყოფილი მოწაფისაგანო. პაპამ უღრმესი მადლობა მოახსენა და ისეთი გადაჭარბებული ხოტბით უპასუხა, რომ პატარას შერცხვა, თუმცა ჰასლერს თაყვანსა სცემდა. მაგრამ ჰასლერს ეამა ეს და ბუნებრივად ჩათვალა. ბოლოს მლიქვნელობაში თავგზააბნეულმა პაპამ ხელი წაავლო კრისტოფს და ჰასლერს წარუდგინა. ჰასლერმა გაუღიმა კრისტოფს და დაბნეულად მოუთათუნ თავზე: ხოლო როცა გაიგო, რომ პატარას უყვარდა მისი მუსიკა და რაღაცენიმე ღამე არ უძინია მისი ნახვის მოლოდინში, ხელში აყვანა და მეგობრულად დაუწყო საუბარი. სიამოვნებისაგან გაწითლებული და უეცარი მღელვარებისაგან ენაჩავარდნილი კრისტოფი ვერ ბედავდა კომპოზიტორისათვის შეეხედა. ჰასლერმა ნიკაპი დაუჭირა და აიძულა თავი აეწია. კრისტოფმა გაბედა: ჰასლერს კეთილი და მოცინარი თვალები ჰქონდა; და მანაც გაიცინა. შემდეგ ძვირფასი დიდი ადამიანის მკლავებში ისეთი ბედნიერება, ისეთი საკვირველი ბედნიერება იგრძნო, რომ ტირილი აუვარდა. ამ გულუბრყვილო სიყვარულმა ააღელვა ჰასლერი; უფრო დაუტკბა ბავშვს,

აკოცა და მშობლიური სინაზით მოეპყრო. სასაცილო სიტყვებს ეუბნებოდა და ულოტინებდა, რათა გაეცინებინა. კრისტოფმა თავი ვერ შეიკავა და თვალცრემლიანმა გაიღიმა. მალე სრულიად შეეჩვია და დაუმორცხვებლად უპასუხებდა ჰასლერს. შემდეგ, თითქოს ჰასლერი მისი ძველი მეგობარი ყოფილიყოს, გაუმხილა იავისი განზრახვა: როგორ სურდა ჰასლერის მსგავსი მუსიკოსი ყოფილიყო. ჰასლერივით შეეთხზა მშვენიერი ნაწარმოებები, დიდებული ადამიანი გამხდარიყო. მუდამ მორცხვი ბავშვი სავსებით გაენდო, არ ესმოდა, რას ამბობდა, აღფრთოვანებული იყო. ჰასლერი იცინოდა მის ტიტინზე. ბოლოს უთხრა:

— როცა გაიზრდები და ყოჩაღი მუსიკოსი გახდები, ჩამოდი ჩემთან ბერლინში. დაგეხმარები.

კრისტოფი ისე იყო აღტაცებული, რომ პასუხი ვერ მიუგო. ჰასლერი ჩაეკითხა:

— არ გინდა?

კრისტოფმა რამდენჯერმე მაგრად დააქნია თავი, რათა დაემტკიცებინა — როგორ არ მინდაო.

— მაშ, შევთანხმდით?

კრისტოფმა ისევ დაუქნია თავი.

— მაკოცე მაინც!

ბავშვმა ყელზე მოხვია ხელები და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოუჭირა.

— ფუი, როგორ დამსვარე! თავი დამანებე! ცხვირი მოიხოცე!

ჰასლერმა გაიცინა და თვითონ მოხოცა ცხვირი დარცხვენილ და ბედნიერ ბავშვს. ძირს ჩამოსვა, შემდეგ ხელი ჩასჭიდა, მაგიდასთან მიიყვანა, ნამცხვრებით აუვსო ჯიბეები და გამოეთხოვა:

— ნახვამდის! გახსოვდეს, რაც დამპირდი.

კრისტოფი აღფრთოვანებული იყო: ლანარჩენი სამყარო აღარ არსებობდა მისთვის. აღარ ახსოვდა, რაც იმ საღამოს მოხდა შემდეგ. სიყვარულით ადევნებდა თვალს ჰასლერის სახის თამაშსა და ტანის მიმოხრას. მისმა ერთმა სიტყვამ განაცვიფრა. ჰასლერს ჭიქა ეჭირა, ლაპარაკობდა; უეცრად სახე მოეჭმუხნა და თქვა:

— ასეთი დღეების სიხარულმა არ უნდა დაგვავიწყოს მტრები. კაცმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს თავისი მტერი. იმათი ნება რომ იყოს, რა ხანია გაგვეელავდნენ. არც ჩვენ დავინდობთ მათ. ამიტომ ვამბობ, რომ არიან ადამიანები, რომელთა სადღეგრძელოს... ჩვენ არ ვსვამთ!

ყველამ ტაში დაუკრა და გაიცინა და ისევ კარგ გუნებაზე დადგა. მაგრამ კრისტოფი შეცბა. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი თავის კერპს ერთი წამითაც კი არ გაამტყუნებდა რაიმეში, მაინც არ მოეწონა, რომ იგი ცუდ რამეებზე ფიქრობდა ასეთ ნათელ და საზეიმო საღამოს. მაგრამ შეცბუნებამ მალე გაუარა, მალე განქარდა სიხარულისა და იმ ერთი სათითური შამპანურის გამო, პაპის თასიდან რომ მოწრუპა.

შინ მიმავალი პაპა განუწყვეტლივ ლაპარაკობდა: ჰასლერის შექებამ აღაგზნო. გაიძახოდა, ჰასლერი გენიოსია და ასეთები საუკუნეში ერთხელ იბადებიანო. კრისტოფი ჩუმად მიდიოდა, სიხარულს აღტაცება დაუფლებოდა. მან აკოცა, მას ხელში ეჭირა! რა კეთილია ის, რა დიადია!

„აჰ! — ფიქრობდა კრისტოფი თავის პატარა საწოლში და ბალიშს ვნებიანად იხუტებდა, — მოვკვდებოდი, თავს დავდებდი მისთვის!“

ერთ საღამოს პატარა ქალაქის ზეცაზე გადაიქროლა ბრწყინვალე მეტეორმა. ამან კრისტოფის გონებაზე გადამჭრელი გავლენა მოახდინა. მთელი ბავშვობა ეს ამბავი ცოცხალ ნიმუშად ედგა თვალწინ. მისი მიბაძვით ექვსი წლის პატარა კაცმა გადაწყვიტა მუსიკა დაეწერა. მართალი რომ ვთქვათ, უკვე დიდი ხანია თხზავდა, თუმცა თვითონ არ იცოდა ეს, ქმნიდა ისე, რომ თავად არაფერი გაეგებოდა.

მუსიკალური სულის ადამიანისათვის ყველაფერი მუსიკას შეიცავს. ყველაფერი, რაც თრთის, იძვრის და ღელავს, ცახცახებს, — ზაფხულის მზიანი დღეები და ქარიანი ღამეები, სინათლის ღვარი, მნათობთა ელვარება, ქარიშხალი და ჩიტთა ჟღურტული, მწერთა ბზუილი, ხეთა რწევა, საყვარელი და საძულველი ხმები, შინაურთა ხმაური კერასთან, ჭრიალა კარი და სისხლი, ღამის სიჩუმეში რომ ბერავს ძარღვებს, — ყველაფერი, რაც არის, მუსიკაა: მხოლოდ უნდა გესმოდეს, რომ იგი არსებობს. ეს მუსიკა ჟღერდა კრისტოფის გულში. ყველაფერი, რასაც ხედავდა და რასაც გრძნობდა — მუსიკად გარდაქმნებოდა ხოლმე. მოზუზუნე ფუტკრებით სავსე სკასა ჰგავდა ის, მაგრამ ვერავინ ამჩნევდა ამას, თვითონაც ყველაზე ნაკლებ.

როგორც ყოველი ბავშვი, ისიც განუწყვეტლივ მღეროდა. მთელი დღე, ყოველგვარი საქმიანობისას: ეზოში მირბოდა ასკინკილა, თუ პაპასთან იატაკზე ეგდო და ხელებში თავჩარგული რომელიმე წიგნის სურათების თვალიერებით იყო გართული, თუ პატარა სკამზე იჯდა სამზარეულოს უბნელეს კუთხეში და უსაგნოდ ოცნებობდა ბინდბუნდში, მარად ისმოდა მისი პატარა ნაღარის — გაბერილი ლოყების მონოტონური ღუღუნი ანდა ტუჩების ფრუ-

ტუნი. ეს საათობით გრძელდებოდა და არ წყინდებოდა. დედა ჯერ ყურადღებას არ აქცევდა, შემდეგ უეცრად უყვირებდა გაბრაზებული.

როდესაც თვლემით დაიღლებოდა, მოძრაობისა და ხმაურის სურვილი ეპყრობოდა. მაშინ იგონებდა მუსიკას და ყურთასმენის წამღებად გაჰყვიროდა. ყოველი საბაბის გამოთხზავდა სიმღერებს: ჰქონდა ჰანგი დილისა, როდესაც იხ-ვევით ჭყუმპალაობდა დიდ ტაშტში, ჰქონდა ჰანგი იმ დროისათვის, როცა სკამზე ჯდებოდა საძულველი პიანინოს წინ, — ხოლო განსაკუთრებით იმ მომენტისათვის, როდესაც ადგებოდა ხოლმე (ეს უკანასკნელი ბევრად უფრო ხალისიანი იყო, ვიდრე პირველი), ჰქონდა ჰანგი იმ შემთხვევისათვის, როცა დედა წვნიანს გამოიტანდა სუფრაზე. ის წინ მიუძღოდა ლუიზას და საყვირს აყვირებდა. თავისთვის უკრავდა ტრიუმფალურ მარშებს, როდესაც სასადილოდან საწოლ ოთახში გადიოდა ზეიმით. ხანდახან თავის ორ ძმას ამალად იახლებდა და სამივენი მწყობრად და ზვიადად მიაბიჯებდნენ ერთმანეთის მიყოლებით. თითოეულს თავისი მარში ჰქონდა, მაგრამ კრისტოფი უმშვენიერეს მარშს თავისთვის ინარჩუნებდა და ფიქრობდა, მერგება კიდეცო. ყოველი ჰანგი განსაზღვრული შემთხვევისათვის იყო ნაკარაუდევი. კრისტოფს არასოდეს არ მოსვლია აზრად მათი აღრევა. სხვა შეცდებოდა, მაგრამ თვითონ უკიდურესი სიზუსტით არჩევდა ნიუანსებს.

ერთ დღეს პაპის ოთახში დარბოდა, ქუსლებს ატყაპუნებდა, თავი უკან გადაეგდო, მუცელი წინ წამოეწია და დაუსრულებლივ ტრიალებდა, ტრიალებდა თავბრუდახვევამდე, თან ერთ-ერთ თავის ქმნილებას ასრულებდა. ამ დროს მოხუცი წვერს იპარსავდა, შეჩერდა, სახეგახაპნულმა შეხედა და ჰკითხა:

— რას მღერი, ბიჭო?

კრისტოფმა მიუგო, არ ვიციო.

— გაიმეორე, — უთხრა ჟან-მიშელმა.

კრისტოფი შეეცადა, მაგრამ ვერასგზით ვერ მოიგონა. პაპის ყურადღებით გაამაყებულს სურდა თავისი მშვენიერი ხმით თავი მოეწონებინა და თავისებურად ოპერის რომელიღაც არია იმღერა. მაგრამ ეს არ იყო ის, რაც მოხუცს უნდოდა. ჟან-მიშელი დადუმდა, თითქოს აღარ აინტერესებდა მეტად, მაგრამ ოთახის კარი ნახევრად ღია დატოვა, სანამ ბიჭი მეზობელ ოთახში მარტო ერთობოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ირგვლივ დაწყობილი სკამების წრეში კრისტოფი მუსიკალური კომედიის წარმოდგენით იყო გატაცებული. ეს ნაწარმოები მის თეატრალურ მოგონებათა ნაწყვეტებისაგან შედგებოდა. მეტად სერიოზულად

ცეკვავდა მენუეტის ჰანგზე. როგორც ენახა, და თავს უკრავდა მაგიდის ზემოთ ჩამოკიდებულ ბეთჰოვენის სურათს როდესაც ცალ ფეხზე შემოტრიალდა, ღრიჭო კარებში დაინახა პაპის თავი, პაპა მას უყურებდა. ბავშვმა გაიფიქრა — მოხუცი დამცინისო, ძალზე შერცხვა და უცებ შედგა, ფანჯრისაკენ გაიქცა და მინას მიეკრო, თითქოს რაღაც საინტერესოს ჭვრეტაში იყო გართული. მაგრამ მოხუცს არაფერი უთქვამს, მივიდა მასთან და აკოცა. კრისტოფმა დაინახა, რომ ის კმაყოფილი იყო. ბიჭის პატარა თავმოყვარეობამ ყურად იღო ეს; საკმაოდ მგრძნობიარე იყო და შეამჩნია, რომ სათანადოდ შეაფასეს. მაგრამ ზუსტად არ იცოდა, რა უფრო მოსწონდა პაპას: მისი დრამატურგიული ტალანტი თუ მუსიკის, სიმღერის ან ცეკვის ნიჭი. რაკი თვითონ ყველაზე მეტად საკუთარი ცეკვა მოსწონდა, ეგონა, პაპაც ამ აზრისა იყო.

ერთი კვირის შემდეგ, როცა ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა, პაპამ იდუმალი იერით ამცნო, რაღაც უნდა გაჩვენოო. მან გამოაღო საწერი მაგიდის უჯრა, ნოტების რვეული ამოიღო, პიანინოს პიუპიტრზე დადო და ბავშვს უთხრა — დაუკარიო. ძალზე დაინტერესებულმა კრისტოფმა ავად თუ კარგად გაარჩია ნოტები. რვეული ხელით იყო დაწერილი. მოხუცს საგანგებოდ მსხვილად დაეწერა, სათაური კულულგრეხილებით შეემკო ერთი წუთის შემდეგ მოხუცმა, რომელიც კრისტოფის გვერდით იჯდა და ფურცლავდა ნოტების რვეულს, ჰკითხა: რა მუსიკა არისო? კრისტოფს, დაკვრით გართულს, ვერ შეემჩნია, რას უკრავდა და უპასუხა: — არ ვიციო.

— აბა დააკვირდი, ვერ იცნობ?

დიახ, ახსოვს, მაგრამ არ იცის, სად მოუსმენია.

პაპას გაეცინა:

— მოიგონე.

კრისტოფმა თავი გააქნია.

— არ ვიცი.

მართალი რომ ითქვას, მკრთალმა სინათლემ გაუშუქა გონება, ეგონა, რომ ეს ჰანგები... მაგრამ არა! ვერ ბედავდა... არ უნდოდა მოეგონებინა:

— არ ვიცი, პაპა.

ბავშვი გაწითლდა.

— ეჰ, პატარა სულელო, ვერ ხედავ, რომ ეს შენი სიმღერებია?

კრისტოფი უკვე დარწმუნებული იყო, მაგრამ როცა მოხუცის ნათქვამი გაიგონა, გული მაინც გადაუბრუნდა:

— ო! პაპა!..

სახეგაბრწყინებულმა მოხუცმა რვეული გადაუშალა:

— აი — „არია“. ამას იატაკზე გაწოლილი მღეროდი სამშაბათს. „მარში“. ეს ისაა, მე რომ ვითხარი წინა კვირას, გაიმეორე-მეთქი და ვერ მოიგონე. „მენუეტი“. ამას ჩემი სავარძლის წინ ცეკვავდი... შეხედე.

ყდაზე საგანგებოდ გამოყვანილი გოთური ასოებით ეწერა:

ჟან-კრისტოფ კრაფტი. „სიამენი ბავშვობისა“: არია, მენუეტი, ვალსი, OP.1.

კრისტოფს თვალი აუჭრელდა. საკუთარი სახელის, უმშვენიერესი სათაურის, უზარმაზარი რვეულის. მისი თხზულების ხილვა!.. ბავშვი ალუღლუღდა: — ოჰ, პაპა! პაპა!..

მოხუცმა მიიზიდა ბავშვი. კრისტოფი მუხლებზე შეახტა და თავი ჟან-მიშელის მკერდში ჩარგო. სიხარულისაგან გაწითლდა. მასზე უფრო ბედნიერი მოხუცი ცდილობდა გულგრილად ელაპარაკა, რადგან გრძნობდა — აღელდებოდა:

— ცხადია, აკომპანიმენტი და სიმღერის შესაფერი ჰარმონიები დავუმატე. და კიდევ... — (ჩაახველა) — კიდვე მენუეტს ტრიო დავურთე, რადგანაც... რადგან ასეა მიღებული. და შემდეგ... და ბოლოს, ვფიქრობ ეს ცუდი არაა.

მან დაუკრა. კრისტოფი გააამაყა პაპის თანამშრომლობამ.

— მაშ, პაპა, შენი სახელიც უნდა დააწერო ამას.

— არა ღირს. საჭირო არაა, ეს ვინმემ იცოდეს შენ გარდა. მხოლოდ (აქ ხმა აუკანკალდა)—როცა მე აღარ ვიქნები, ეს მოგაგონებს მოხუც პაპას; ხომ არ ეამივიწყებ?

საბრალო მოხუცს არ გაუმხელია, რომ უმანკო ცთუნებას ვერ გაუძლო და ბავშვის თხზულებაში ერთი თავის ბედკრული მელოდიათაგანი შეიტანა. გული უგრძნობდა, რომ ეს ნაწარმოები მასზე დიდხანს იცოცხლებდა, მაგრამ მისი სურვილი ამ წარმოსახვით დიდებაში წილის დადებისა, თავმდაბლური და გულისამაჩუყებელი იყო. რათა სავსებით არ მომკვდარიყო, კმაროდა, ანონიმურად დაეტოვებინა თავისი ნააზრევის წილი. გულაჩუყებულმა კრისტოფმა სახე დაუკოცნა. მოხუცმაც თმაზე აკოცა შვილიშვილს.

— ხომ მომიგონებ? როცა დიდი ხელოვანი, დიდი მუსიკოსი გახდები, ოჯახის, ხელოვნებისა და სამშობლოს სადიდებლად, როცა სახელს გაითქვამ, ხომ მოიგონებ, რომ შენმა ბებერმა პაპამ პირველად გამოგიცნო და მომავალი გიწინასწარმეტყველა?

პაპას თვალებზე ცრემლი მოადგა, როცა თავის თავს მოუსმინა. არ უნდოდა სისუსტე გაემჟღავნებინა, ხველა აუვარდა, დაღვრემილი იერი მიიღო, ფრთხილად შეინახა ხელნაწერი და გაუშვა ბავშვი.

. კრისტოფი სიხარულით გაბრუებული დაბრუნდა შინ. ქვები ცეკვავდნენ მის ირგელივ. შინაურთა შეხვედრამ ცოტათი გამოაფხიზლა. გაყოყოჩებულმა მათ იცა საჩქაროდ უამბო თავისი მუსიკალური ღვაწლის შესახებ, რომ შეუყვარეს. დედამ მასხარად აიგდო. მელქიორმა განაცხადა — მოხუცმა მთლად აურია, ბავშვის გაბრიყვებას ის ერჩია, თავისათვის მოეგლო. რაც შეეხება კრისტოფს, უფრო ასიამოვნებს მამას, თუ ამ სისულელეებს თავს დაანებებს, ახლავე პიანინოს მიუჯდება და ოთხი საათი სავარჯიშოებს მოანდომებსო. ჯერ დაკვრა შეისწავლე საოანადოდ, შემოქმედებისათვის დრო შემდეგაც გექნება, როცა უკეთესს ვერაფერს ნახავ გასაკეთებელსო.

ამ სიტყვების გამო კაცი იფიქრებდა, თითქოს მელქიორს ბავშვის ნაადრევი, ანაშრომი მედიდურობისგან დაცვა ნდომებოდეს: არა, მალე საწინააღმდეგოს მტკიცება მოუხდა... თვითონ არასოდეს არავითარი მუსიკალური აზრი არ მოსვლია თავში, იოტისოდენა მოთხოვნილებასაც არ გრძნობდა ამისა და ვირტუოზული შესრულებით გატაცებული კომპოზიციას მეორეხარისხოვნად თვლიდა, აფიქრებინებდა, მას მხოლოდ შემსრულებლის ხელოვნება ანიჭებს ღირებულებასო. დიახაც გულზე ხვდებოდა ჰასლერისდარი დიდი კომპოზიტორების მიერ აღძრული აღფრთოვანება. ამ ოვაციებსაც ისეთსავე პატივს სცემდა, როგორც საერთოდ ყოველგვარ წარმატებას და იდუმალად მცირე შურსაც გრძნობდა, ეგონა, ეს ტაში მე წამართვესო.

მაგრამ მან გამოცდილებით იცოდა, რომ დიდი შემსრულებლების წარმატება არა ნაკლებ ხმაურიანია და ამასთანავე უფრო პირადი და ნაყოფიერი, სასიამოვნო და სასიქადულო შედეგების თვალსაზრისით. ის ერთი შეხედვით თითქო ღრმა პატივისცემით ეპყრობოდა დიდ კომპოზიტორთა გენიას.

მაგრამ ამასთანავე სიამოვნებდა მოყოლა სასაცილო ანეკდოტებისა, რომლებიც კომპოზიტორთა გონიერებისა და ზნე-ჩვეულებათა შესახებ სამწუხარო აზრსა ქმნიდნენ. ვირტუოზს ხელოვნების კიბის უმაღლეს საფეხურზე აყენებდა: რადგანაც, ამბობდა ის, კარგადაა ცნობილი, რომ ენა სხეულის უკეთილშობილესი ნაწილიაო. რა იქნებოდა აზროვნება უსიტყვებოდ? რა იქნებოდა მუსიკა შემსრულებლის გარეშე?

რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი მელქიორის მიერ კრისტოფის დატუქსვისა, ამას უსარგებლოდ არ ჩაუელია და პაპის ქვებით გაბრუებული ბავშვი გონს მოვიდა. მაგრამ დატუქსვა საკმაო არ აღმოჩნდა. კრისტოფმა დაასკვნა, პაპაჩემი მამაჩემზე უფრო ჭკვიანიაო და უდრტვინველად მიუჯდა პიანინოს, არა მორჩილების გამო, იმიტომ, რათა ნებაზე ეოცნება, როგორც ჩვეულებრივ იქცეოდა ხოლმე—ყოველთვის ოცნებობდა, როდესაც მისი თითები ანგარიშმიუცემლად

ლარბოდნენ კლავიატურაზე. ამ დაუსრულებელ სავარჯიშოთა დაკვრისას შინაგანი ხმა მედიდურად უმეორებდა: „კომპოზიტორი ვარ, დიდი კომპოზიტორი“.

ამ დღიდან, ესაო და კომპოზიტორი ვარო — თხზვას შეუდგა. ჯერ წერა არც კი იცოდა, მერვედ და მეთექვსმეტედ ნოტებს ბღაჯნიდა ოჯახის საანგარიშო დავთრიდან ამოგლეჯილ ფურცლებზე. თავისი ნააზრევის შესაგნებლად და ჩასაწერად იმდენი წვალება სჭირდებოდა, რომ ტვინი ეყინებოდა. მაინც ჯიუტობდა და მელოდიებს აკოწიწებდა. ბუნებით მუსიკალური იყო და რაღაცას აღწევდა, თუმცა ეს შეკოწიწებული მუსიკა არაფერს გამოხატავდა. ზეიმით მიჰქონდა ნახელავი პაპასთან, ჟან-მიშელი სიხარულისაგან ტიროდა (მოხუცებულს უკანასკნელ ხანებში ადვილად ერეოდა ცრემლი) და ეუბნებოდა — საუცხოოაო.

შეიძლება მთლად გზას აცდენილიყო ბავშვი. საბედნიეროდ, კეთილგონიერებამ და ერთი ადამიანის გავლენამ გადაარჩინა. ეს კაცი არც ცდილა რაიმე გავლენა მოეხდინა ვინმეზე და ხალხის თვალში სრულიადაც არ წარმოადგენდა კეთილგონიერების ნიმუშს. ეს გახლდათ ლუიზას ძმა.

იგი ლუიზასავით დაბალი, გამხდარი, სუსტი და ოდნავ წელში მოხრილი იყო. ზუსტად არავინ უწყოდა მისი ასაკი. ორმოცზე მეტისა არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ორმოცდაათი წლისას და მეტი ხნისასაც ჰგავდა. პატარა, დალმეჭილი, ვარდისფერი სახე ჰქონდა და კეთილი, ძალზე მკრთალი ცისფერი თვალები, ოდნავ შემჭკნარი თაგვისყურას ყვავილების მსგავსი. გამკრავი ქარის შიშით ყველებრივ ქუდს არ იშორებდა, მაგრამ თუკი ქუდს მოიხდიდა, კრისტოფისა და მისი ძმების გამამხიარულებელი პატარა, ვარდისფერი და კონუსის მსგავსი სავსებით მოტვლეპილი თავი გამოუჩნდებოდა. ბავშვები შემთხვევას არ უშვებდნენ და მელქიორის უშნო მასხრობით წაქეზებულნი აღიზიანებდნენ ბიძას. ეკითხებოდნენ — თმა რა უყავიო და ემუქრებოდნენ, თავში წაგიტყაპუნებთო. ის კი პირველი გაიცინებდა და მოთმინებით იტანდა მათ საქციელს. ის მოხეტიალე მეწვრილმანე იყო. სოფელ-სოფელ დადიოდა ზურგზე უზარმაზარი ტომრით. ამ ტომარაში ყველაფერი ეწყო: სანელებელი, საწერი მოწყობილობა, შაქარლამა, ცხვირსახოცები, ხილაბანდები, ფეხსაცმელები, კონსერვის კოლოფები, ალმანახები, სიმღერები და იაფფასიანი წამლები. რამდენჯერმე სცადეს, საღმე დაემკვიდრებინათ. უყიდეს საქონელი, დაუქირავეს დუქანი თუ საგალანტერიო მაღაზია. ვერ ისვენებდა: ერთ მშვენიერ ღამეს ადგებოდა, კლიტეს კარის ზღურბლთან დატოვებდა და ზურგზე ტომარამოკიდებული გზას გაუდგებოდა. თვეობით დაიკარგებოდა ხოლმე. შემდეგ ისევ გამოჩნდებოდა. ერთ მშვენიერ საღამოს მორიდებული კაკუნი შემოესმებოდათ, კარი ოდნავ გაიღე-

ბოლო და პატარა, თავაზიანად ქუდმოხდილი მელოტი თავი გამოჩნდებოდა — კეთილი თვალები და მორიდებული ღიმილი. „საღამო მშვიდობისა“, იტყოდა. შემოსასვლელთან ფეხსაცმელს გაიწმენდდა, უფროსიდან დაწყებული ყველას ხელს ჩამოართმევდა და ოთახის კუთხეში მიჯდებოდა. იქ ჩიბუხს გააბოლებდა და ქედმოდრეკილი მშვიდად იტანდა დაცინვას. ორივეს კრაფტს, მამასა და შვილს ეთაგდათ იგი და ქირდავდნენ. ეს მახინჯი ადამიანი სასაცილო ეჩვენებოდათ ერცხვინებოდათ მოხეტიალე მეწვრილმანე. აგრძნობინებდნენ კიდეც ამას, მაგრამ იგი თითქოს ვერას ამჩნევდა და მათდამი ღრმა პატივისცემას იჩენდა. ეს ფარ-ხმალს აყრევინებდა მქირდავებს, განსაკუთრებით მოხუცს, რომელსაც ერთობ გულს უჩუყებდა ყოველგვარი პატივისცემა. ისინი ტლანქი ოხუნჯობით კმაყოფილდებოდნენ, მაგრამ ეს ოხუნჯობა ისეთი იყო, ხშირად ლუიზას სახეზე წამოაჭარხლებდა. კრაფტების უპირატესობის წინაშე უდრტვინველად ქედის მოხრას ჩვეულ ლუიზას ეკვიც არ ეპარებოდა, რომ მისი ქმარი და მამამთილი მართალნი არ იყვნენ. მაგრამ მას ნაზად უყვარდა ძმა და ისიც უსიტყვოდ ეთაყვანებოდა დას. მთელი ოჯახიდან მხოლოდ ორნიღა დარჩენილიყვნენ, ორივე ცხოვრებას მოედრიკა და თავმდაბალი გაეხადა. თანაგრძნობა და იდუმალი საერთო ტანჯვა აკავშირებდა მათ სევდიანი და ნაზი სიყვარულით. „ბრგე, დოღრიალა, უხეში ცხოვრებისათვის, მხიარული ცხოვრებისათვის საფუძვლიანად ნაკერ კრაფტთა შორის ამ სუსტ და კეთილ, ასე ვთქვათ, სიცოცხლის გარეთ დარჩენილ თუ სადღაც გვერდით მიჩურთულ ორ არსებას ერთმანეთისა უთქმელად ესმოდა და ერთმანეთი ებრალებოდათ.

კრისტოფმა ულმობელი ბავშვური სიმსუბუქით გაიზიარა მამისა და პაპის ზიზღი პატარა მეწვრილმანისადმი. ძალიან ართობდა ბიძა. ართობდა, რომ გულს უწყალებდა და აღიზიანებდა. ბიძა მუდამ უდრტვინველად იტანდა ამას. კრისტოფს შეუგნებლად მაინც უყვარდა იგი. უყვარდა, როგორც მორჩილი სათამაშო. უყვარდა იმიტომაც, რომ მისგან ყოველთვის რაიმეს გამოელოდა ტკბილეულს, ხახატსა თუ არაკს. პატარა კაცის დაბრუნება უხაროდათ ბავშვებს. ყოველთვის რამე მოულოდნელ საჩუქარს მოუტანდა ხოლმე მათ. სიღარიბის მიუხედავად თვითეულისათვის საჩუქრის ფულს პოულობდა და არასოდეს დავიწყებია ოჯახის რომელიმე წევრის დაბადების დღე. საზეიმო დღეს ზუსტად გამოცხადდებოდა და ჯიბიდან საგულდაგულოდ ამორჩეულ საამო ნობათს ამოიღებდა. ამას ისე შეეჩვივნენ — ძლივსღა უხდიდნენ მადლობას: საჩუქარი ბუნებრივი ჩანდა და თითქოს მირთმევის სიამოვნება საკმარისი იყო მის სანაზღაურად. ღამით, როცა კრისტოფს არ ეძინა და გასული დღის ამბებს იგონებდა, ხანდახან დაასკვნიდა, ძია ძალზე კეთილიაო, და საწყალი კაცისადმი მადლიერების გრძნობით აღივსებოდა, მაგრამ დღისით არ ამჟღავნებდა ამას, რადგან

სხვას არას ფიქრობდა, როგორ აეგდო საცინლად. თუმცა ესეცაა, ჯერ ძალზე პატარა იყო, სიკეთე სათანადოდ დაეფასებინა: ძია გოტფრიდი კი სიკეთის ცოცხალი მაგალითი იყო.

ერთ საღამოს მელქიორი სადღაც სხვაგან ვახშმობდა. გოტფრიდი მარტო იყო ქვედა ოთახში, ხოლო ლუიზა პატარებს აძინებდა. ძია გარეთ გავიდა და სახლიდან რამდენიმე ნაბიჯზე, მდინარის პირას ჩამოჯდა. უსაქმური კრისტოფიც გაედევნა და ჩვეულებისამებრ ლეკვივით ეთამაშა, სანამ არ აქოშინდა. შემდეგ ძიას ფერხთით მოლზე გაგორდა და პირქვე დაწოლილმა ცხვირი ბალახში ჩარგო. როცა სული მოითქვა, სახუმარო სიტყვებს დაუწყო ძებნა; მოიგონა, ხმამაღლა წამოიძახა და სიცილით გაიგუდა; სახე ისევ ბალახში ჰქონდა ჩარგული. პასუხი არ იყო: სიჩუმით გაკვირვებულმა თავი წამოსწია და ნათქვამის გამეორება უნდოდა. მილეული დღის უკანასკნელი გამონაკრთომის გაშუქებულ და ოქროვან ნისლში გახვეულ გოტფრიდის სახეს შეავლო თვალი. სიტყვა ყელში გაეხირა. თვალებმილულული და ბაგეგახსნილი გოტფრიდი იღიმებოდა. მის ლმობიერ პირისახეს გამოუთქმელი სიდინჯე ეფინა. იდაყვებზე დაყრდნობილი კრისტოფი თვალს არ აშორებდა ძიას. ბინდდებოდა, გოტფრიდის სახე ნელ-ნელა სიბნელეში ჩაიძირა. სიჩუმე გამეფდა. კრისტოფიც შეიპყრო გოტფრიდის სახეზე აღბეჭდილმა იდუმალმა გრძნობებმა. გაშეშდა. მიწას ბინდი ეფინა, ცა ნათელი იყო: ვარსკვლავები იბადებოდნენ. მდინარის პაწია ზვირთები აწყდებოდნენ ნაპირს. ბავშვი გაშტერდა, ბალახის ლერწებს ღეჭდა, ვერ ხედავდა კი მათ. ჭრიჭინა ჭრიჭინებდა იქვე. თითქოს ეძინებოდა... უეცრად სიბნელეში გოტფრიდი ამღერდა. იგი სუსტი, მოგუდული ხმით მღეროდა. ოც ნაბიჯზე ვეღარც გაიგონებდით. მაგრამ ამაღელვებლად გულწრფელი იყო ეს სიმღერა. თითქოს ხმამაღლა ფიქრობდა და ამ მუსიკის ფონზე, როგორც გამჭვირვალე წყალში, იმის გულს ფსკერამდე წაიკითხავდით. კრისტოფს არასოდეს მოესმინა ამგვარი სიმღერა. ნელი, მარტივი, ბავშვური, მძიმე, ნაღვლიანი, ოდნავ ერთფეროვნად და აუჩქარებლად მოედინებოდა, ხანგრძლივი პაუზების შემდეგ ისევ აღიძვროდა, დასრულება არ ეწერა და სიბნელეში იკარგებოდა, თითქოს შორიდან მოსულიყო და შორსვე წასულიყო. მისი სიმშვიდე მღელვარებით იყო აღსავსე. გარეგანი სიმშვიდის ქვეშ საუკუნეობრივ სევდას ეძინა. კრისტოფს სუნთქვა შეეკრა, განძრევას ვერ ბედავდა და მღელვარებისაგან აკანკალა. როდესაც სიმღერა დასრულდა, გოტფრიდთან მიცოცდა და დაუძახა:

— ძია!..

გოტფრიდმა პასუხი არ გასცა.

— ძია! — გაიმეორა ბავშვმა და ხელები და ნიკაპი გოტფრიდის მუხლებზე დააყრდნო.

— ჩემო პატარავ...
— ეს რა იყო, ძია! მითხარი! რას მღეროდი?
— არ ვიცი.
— მითხარი, რა იყო?
— აბა, რა ვიცი, სიმღერა იყო.
— შენი სიმღერა?
— არა, რათა ჩემი! რამ გაფიქრებინა!.. ეს ძველი სიმღერაა.
— ვინ შეთხზა?
— კაცმა არ უწყის...
— როდის?
— არავინ იცის...
— როცა შენ პატარა იყავი?
— ვიდრე მე გავჩნდებოდი, ვიდრე მამაჩემი, პაპაჩემი, პაპის მამა და პაპა გაჩნდებოდნენ... ეს სიმღერა ყოველთვის იყო
— რა უცნაურობაა! ჯერ არავის უთქვამს ეგ ჩემთვის.
ცოტა ხანს ჩაფიქრდა.
— ძია, სხვა სიმღერებიც იცი?
— ჰო.
— მიმღერე.
— რატომ გიმღერო? ერთიც კმარა. როცა გემღერება, როცა საჭიროა, მაშინ უნდა იმღერო. გასართობად მღერა არ შეიძლება.
— მაგრამ მუსიკას ხომ თხზავენ?
— ეს მუსიკა არაა...
ბავშვი ჩაფიქრდა. კარგად ვერ გაიგო, რა უთხრა ძიამ, მაგრამ განმარტება არ მოუთხოვია. მართლაც ეს არ იყო მუსიკა, ჩვეულებრივი მუსიკის მსგავსი შემდეგ კვლავ ჰკითხა:
— ძია, შენ არ შეგითხზავს?
— რა?
— სიმღერები!
— სიმღერები? ოჰ! როგორ უნდა შემეთხზა! სად გაგონილა სიმღერის შეთხზვა.
ბავშვმა დაიჟინა:
— ერთხელ ხომ ეს სიმღერაც შეთხზა ვიღაცამ?
გოტფრიდმა ჯიუტად გააქნია თავი:
— არა, ყოველთვის იყო.

ბავშვი არა ცხრებოდა:

— არ შეიძლება კაი სხვა, ახალი სიმღერების შეთხზვა?

— რად უნდა შეითხზას? ყოველი შემთხვევისათვის ორის თითო სიმღერა. როდესაც მხიარული ხარ ანდა ნაღვლიანი, როდესაც დაიღლები ან სახლ-კარს შოიგონებ. როცა თავი გძულს, სულმდაბალი და ცოდვილი თავი, მატლის მსგავსი, ან როცა გეტირება ხალხის უკეთური მოპყრობის გამო, ანდა როდესაც გული გელბენს, ირგვლივ სიკეთეა და უმზერ ზეცას და მაღლით გიღიმის სახიერი ღმერთი... ყოველი შემთხვევისათვის არსებობს სიმღერა. რისთვისღა შემეთხზა ახალი?

ბიჭს პაპის დარიგებანი და თავისი ჭრელი ოცნებები გაახსენდა და უთხრა:

— რათა დიდი კაცი გამხდარიყავი!

გოტფრიდმა ჩუმად ჩაიცინა. ცოტათი შეურაცხყოფილმა კრისტოფმა ჰკითხა:

— რაზე იცინი?

გოტფრიდმა თქვა:

— ისე გამეცინა! არ ღირს ჩემზე ლაპარაკი.

თავზე ხელი მოუთათუნა ბავშვს და ჰკითხა:

— შენ გინდა დიდი კაცი გახდე?

— მაშ, — მედიდურად მიუგო კრისტოფმა.

ეგონა გოტფრიდი შეაქებდა, მაგრამ ძიამ ჰკითხა:

— რად გინდა?

კრისტოფი შეცბა, ჩაფიქრდა და თქვა:

— რათა ლამაზი სიმღერები შევთხზა.

გოტფრიდმა ისევ გაიღიმა და უთხრა:

— შენ გინდა სიმღერები შეთხზა, რათა დიდი კაცი გახდე და დიდი კაცი გახდე, რათა სიმღერები შეთხზა. საკუთარი კუდის დაჭერის მოწადინე ძაღლსა ვგავხარ.

კრისტოფს ძალზე ეწყინა. ყოველთვის თვითონ იგდებდა მასხრად გოტფრიდს და ახლა ძია დასცინოდა მას. სხვა დროს ამას არ მოითმენდა. ამასთანავე არასოდეს უფიქრია, რომ გოტფრიდს შეეძლო მსჯელობით დაემარცხებინა იგი. საპასუხოდ რაიმე საბუთიანი ან უტიფარი სიტყვა მოიძია და ვერაფერი მოიფიქრა. გოტფრიდი განაგრძობდა:

— აქედან კობლენცამდე რაც გზაა, იმ სიგრძეც რომ გაიზარდო, ერთ სიმღერასაც ვერ შეთხზავ.

კრისტოფი აღშფოთდა:

— თუ მოვინდომე!..

— რაც უფრო ინდომებ, მით უფრო ვერ შეთხზავ. სიმღერის შესათხზავად თვით უნდა ჰგავდე სიმღერას. ყური დაუგდე...

სავსე, ბრწყინვალე მთვარე ამოვიდა ველების იქით. მიწასა და სარკის მსგავს წყალს ვერცხლისფერი ნისლი დალივლივებდა. ყიყინებდნენ ბაყაყები და მინდვრებიდან მოისმოდა ჯოჯოების მელოდიური, ტკბილი გალობა. ჭრიჭინათა მძაფრი ტრემოლო ვარსკვლავთა ციმციმს ეხმიანებოდა თითქოს. ქარი ჩუმად არხევდა მურყნის ტოტებს. მდინარისპირა გორაკებიდან ბულბულის კრიმანჭული ჩამოდიოდა.

— რა საჭიროა სიმღერა? — ამოიხვნეშა გოტფრიდმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ (გაუგებარი იყო თავის თავს ელაპარაკებოდა თუ კრისტოფს). — განა უკეთესად არ მღერიან ისინი, ვიდრე შენ შეგიძლია შეთხზა?

კრისტოფს მრავალჯერ მოესმინა ღამეული ხმები, მაგრამ არასოდეს ასე არ დაეგდო ყური. მართლაც რა საჭიროა სიმღერა? სინაზითა და ნაღველით აევსო გული. მოუნდა ჩახვეოდა მინდვრებს, მდინარეს, ცასა და საყვარელ ვარსკვლავებს. ძია გოტფრიდის სიყვარულით აღივსო. იგი ახლა ყველაზე უკეთეს, უმკვიანეს და ულამაზეს კაცად ეჩვენებოდა. აგონდებოდა, რა ცუდად ეპყრობოდა უწინ. ეგონა, ძია ჯის გამო იყო ნაღვლიანი. სინდისის ქენჯნა იგრძნო. უნდოდა ეყვირა: „ნუ დარდობ, ავი აღარ ვიქნები! შემინდე! ძალიან მიყვარხარ!“ მაგრამ ვერ ბედავდა. ერთბაშად გოტფრიდს ჩაეხვია, მაგრამ სიტყვები ყელში გაეხირა და ამასღა იმეორებდა: „ძალიან მიყვარხარ! ძალიან!“ და აღგზნებული ეხვეოდა. გაოცებული და აღელვებული გოტფრიდი ლუღლუღებდა: „რაო? რაო?“ და გულში იკრავდა ბავშვს. შემდეგ ადგა, ხელი ჩასჭიდა მას და თქვა: შინ დაბრუნების დროაო. კრისტოფი დაღონებული დაბრუნდა, ძიამ ვერ გამიგოო — ეგონა. მაგრამ სახლში შესვლისას გოტფრიდმა უთხრა: „ერთ საღამოს, თუ გინდა, კიდევ წავიდეთ ღმერთის მუსიკის მოსასმენად და მეც გიმღერებ სხვა სიმღერებს“. და როდესაც მადლიერებით აღსავსე კრისტოფმა აკოცა და ღამე მშვიდობისა უსურვა, ბიჭმა იცოდა, ძიამ გაუგო.

ამ დღიდან მოკიდებული, საღამოობით, ხშირად სეირნობდნენ ერთად. ისინი უჩუმრად მიაბიჯებდნენ მდინარის გაყოლებით, ანდა მინდორ-მინდორ. გოტფრიდი ნება-ნება ეწეოდა ჩიბუხს, ხოლო სიბნელით შეშინებულ კრისტოფს ხელი ჩაეკიდა მისთვის. მდელოზე სხდებოდნენ და რამდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ გოტფრიდი ელაპარაკებოდა ვარსკვლავებსა და ღრუბლებზე. ასწავლიდა მიწისა, ჰაერისა და წყლის სუნთქვას; წყვდიადში მოფუთფუთე მფრინავთა, მხოხავთა, მხტომთა და მცურავთა პატარა სამყაროს სიმღერებისა, მოძა-

ხილებისა და ხმების, ავდრისა და დარის მომასწავებელი ნიშნების, ღამის სიმფონიის, აურაცხელი საკრავების გარჩევას. ხანდახან გოტფრიდი მღეროდა ნაღვლიან ან მხიარულ სიმღერას—ყოველთვის იმ პირველი სიმღერის მსგავსს და, ყოველთვის ერთგვარად აღელვებდა მისი მოსმენა კრისტოფს. ძია ერთ სიმღერაზე მეტს არასოდეს მღეროდა. კრისტოფმა შეამჩნია. როცა სთხოვდა იმღერეო, უხალისოდ მღეროდა. თავად უნდა ამღერებულიყო, თავად უნდა მოსურვებოდა. ხშირად მდუმარე კრისტოფს დიდხანს უხდებოდა ცდა. და როდესაც გაიფიქრებდა, ამ საღამოს არ იმღერებსო, სწორედ მაშინ წამოიწყებდა გოტფრიდი.

ერთ საღამოს კრისტოფმა დაასკვნა, გოტფრიდი არ იმღერებსო და გადაწყვიტა განსახილველად წარედგინა თავისი ერთი საამაყო ნაწარმოებთაგანი, რომელსაც უზომო შრომა შეალია. უნდოდა ეჩვენებინა, რა ხელოვანიც იყო. გოტფრიდმა წყნარად მოუსმინა, შემდეგ თქვა:

— რა მახინჯია, ჩემო საწყალო კრისტოფ!

კრისტოფმა შეურაცხყოფისაგან ხმა ვერ ამოიღო. გოტფრიდმა გულისტკივილით განაგრძო:

— რად დაწერე ეს? ასე უშნო! ხომ არავის დაუძალებია?

ბრაზით გაწითლებულმა კრისტოფმა სიტყვა შეუბრუნა:

— პაპაჩემს ეს მუსიკა ძალიან მოსწონს!

— ა! — აუშფოთებლად თქვა გოტფრიდმა, — რაკი პაპამ ეგრე თქვა, ალბათ მართალია. ის ძალზე განათლებული კაცია. მუსიკა ესმის. მე კი არ მესმის.

და წუთის შემდეგ დაუმატა:

— მაგრამ შენი მუსიკა მახინჯი მგონია.

მან წყნარად შეავლო თვალი კრისტოფს, დაინახა მისი ნაწყენი სახე, გაუღიმა და თქვა:

— სხვა ნაწარმოებები გაქვს? შეიძლება სხვები უფრო მომეწონოს.

კრისტოფმა იფიქრა, სხვა ნაწარმოებებმა იქნებ მართლა გაუქარვონ პირველის შთაბეჭდილებაო და ყველა უმღერა. გოტფრიდმა ხმა არ ამოიღო დაცალა კრისტოფს დასრულება, შემდეგ თავი გააქნია და ღრმა რწმენით თქვა:

— რა სიმახინჯეა!

კრისტოფმა ცრემლნარევი ხმით წამოიძახა:

— კი მაგრამ, რატომ გგონია ასე ცუდი?

გოტფრიდმა უმწიკვლო თვალებით შეხედა:

— რატომ?.. არ ვიცი... დაიცა, ეს უშნოა... ჯერ ერთი, იმიტომ, რომ უაზროა... უაზროა, არაფერს ამბობს... აი, როცა ამას წერდი, არაფერი გქონია საუთქმელი. რისთვის დაწერე?

— არ ვიცი, — საწყალობელი ხმით მიუგო კრისტოფმა, — მინდოდა ლამაზი ნაწარმოები დამეწერა.

— ეჰა! ისე დაგიწერია. იმიტომ დაგიწერია, რომ დიდი მუსიკოსი შეიქნე და გადიდებდნენ. ამპარტავნობას შეუპყრიხარ და სიცრუე შემოგპარვია. დაისაჯე: მუსიკაში სიცრუე და ამპარტავნობა ყოველთვის ისჯება. მუსიკა მოკრძალებული და წრფელი უნდა იყოს. თუ ასეთი არ იქნა, რა არის უღმერთობა. მკრეხელობა უფლის წინაშე, ღმერთმა ხომ მშვენიერი სიმღერები გვიბოძა სიმართლისა და პატიოსნების გამოსათქმელად.

მან შეამჩნია ბავშვის დაღონება და უნდოდა ეკოცნა, მაგრამ გაბრაზებულმა კრისტოფმა ზურგი შეაქცია; რამდენიმე დღეს ებუტებოდა. სძულდა გოტფრიდი. მაგრამ რამდენიც უნდა ეთქვა „ვირია, არა იცის რა. პაპაჩემი უფრო ჭკვიანია, იმას მოსწონს ჩემი მუსიკა“, გულის სიღრმეში გრძნობდა. ძია მართალი იყო. გოტფრიდის სიტყვები ღრმად ჩაებეჭდა გულში: თავისი სიცრუისა რცხვენოდა.

მართალია, გულისტკივილი კარგა ხანს გაჰყვა, მაგრამ მუსიკის წერის დროს ყოველთვის აგონდებოდა ძია და ხშირად ხევდა დაწერილს, ერცხვინებოდა იმისა, რასაც გოტფრიდი იფიქრებდა ამაზე. როდესაც შემდეგზე გადაეიდოდა და დაწერდა არცთუ მთლად გულწრფელ ნაწარმოებს, გულმოდგინედ უმალავდა მას. თრთოდა მისი მსჯავრის წინაშე, და ბედნიერად გრძნობდა თავს, როდესაც მისი ნაწარმოების შესახებ გოტფრიდი უბრალოდ იტყოდა: „ეს ძალიან ცუდი არაა. მომწონს“.

ხანდახან, ჯავრის ამოსაყრელად, თვალთმაქცურად მოატყუებდა ხოლმე და დიდ ხელოვანთა ნაწარმოებებს თავისად გაასაღებდა და უხაროდა, როდესაც გოტფრიდი დაიწუნებდა მათ. მაგრამ გოტფრიდს ეს არ აწუხებდა. გულიხად იცინოდა, როდესაც უყურებდა, როგორ ხტუნავდა სიხარულისაგან კრისტოფი და როგორ უკრავდა ტაშს. ყოველთვის თავის ჩვეულებრივ არგუმენტს იშველიებდა: „შესაძლოა კარგადაა დაწერილი, მაგრამ არაფრის მთქმელია“. იგი თავს არიდებდა საშინაო კონცერტებს. რაც უნდა კარგი ყოფილიყო ნაწარმოები, მთქნარებას მოჰყვებოდა და მოწყენილობისაგან გამოჩერჩეტებულის იერი დაედებოდა. მალე ვეღარ მოითმენდა და უჩუმრად გაიპარებოდა. ამბობდა:

— იცი რა, ბიჭიკო, რასაც შინ წერ, მუსიკა არაა. შენი დაწერილი მუსიკა

იგივეა, რაც მზის შუქი ოთახში. მუსიკა გარეთაა. სადაც ღვთის მომადლებულ სუფთა და აკერფას ჰაერსა სუნთქავ.

ის მუდამ ღმერთზე ლაპარაკობდა. ძალზე მორწმუნე იყო და ამით განსხვავდებოდა მამა-შვილ კრაფტთაგან. ესენი თავისუფალ მოაზროვნეებად თვლიდნენ თავს, თუმცა ყოველი შემთხვევისათვის, პარასკეობით სახსნილოს არა ჭამდნენ.

მოულოდნელად, არავინ უწყის რატომ, მელქიორმა აზრი შეიცვალა. არათუ მოიწონა ის, რომ პაპას კრისტოფის შთაგონების შედეგები შეეკრიბა, არამედ ამ უკანასკნელის გასაკვირველად, რამდენიმე საღამო მისი ხელნაწერის ორი თუ სამი ასლის გადაწერას მოანდომა. ყოველ შეკითხვაზე გაბღენძილი პასუხობდა — ვნახოთო... ან ღიმილით ისრესდა ხელებს, სახუმაროდ თავში წაჰკრავდა ბავშვს ანდა მხიარულად პანღურს ამოჰკრავდა. კრისტოფს ეზიზღებოდა ამგვარი ფამილარობა. მაგრამ ხედავდა, მამა კმაყოფილი იყო, არ იცოდა კი რატომ.

შემდეგ მელქიორსა და პაპას შორის იდუმალი თათბირი გაიმართა. ერთ საღამოს ძალზე გაკვირვებულმა კრისტოფმა შეიტყო, თურმე მას „სიამენი ბავშვობისა" მისი უმაღლესობის ჰერცოგ ლეოპოლდისათვის მიუძღვნია. მელქიორმა წინასწარ შეიტყო ჰერცოგის აზრი. ჰერცოგმა თავაზიანად აგრძნობინა — თანახმა ვარო. ამის შემდეგ მოზეიმე მელქიორმა განაცხადა — წუთის დაუკარგავად საჭიროა: პირველი — ჰერცოგის სახელზე ოფიციალური მიძღვნის შედგენა, მეორე — ნაშრომის დაბეჭდვა, მესამე — კონცერტის მოწყობა ამ ნაწარმოებთა შესასრულებლად.

მელქიორმა და ჟან-მიშელმა დიდხანს ითათბირეს. ორი თუ სამი საღამო ცხარედ კამათობდნენ. ხელის შეშლა აკრძალული იყო. მელქიორი წერდა, შლიდა, შლიდა, წერდა. მოხუცი ლექსივით რაღაცას ამბობდა ხმამაღლა, ხანდახან ჯავრობდნენ და მაგიდაზე აბრახუნებდნენ ხელებს, როდესაც რომელიმე საჭირო სიტყვას ვერ მიაგნებდნენ.

შემდეგ კრისტოფს დაუძახეს. მაგიდასთან დასვეს, თითებში კალმისტარი შეაჩეჩეს. მარჯვნივ მამა ამოუდგა, მარცხნივ პაპა. პაპამ კარნახი დაუწყო. კრისტოფს არაფერი ესმოდა — წარმოუდგენლად უჭირდა ყოველი, სიტყვის დაწერა, მელქიორი ყურში ჩაჰყვიროდა, ხოლო მოხუცი ისეთი ამაღლებული ტონით კითხულობდა, რომ მისი ხმის ჟღერით შეშფოთებულ კრისტოფს აზრი სრულიად არ ესმოდა. მოხუცი არა ნაკლებ ღელავდა. ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, ოთახში ბოლთასა სცემდა, უნებლიე მიმიკით გამოხატავდა ტექსტს.

ყოველ წამს მოდიოდა და დახედავდა ფურცელს. მისკენ დახრილი ორი უზარმაზარი თავით დაშინებული კრისტოფი ენას ჰყოფდა გარეთ, კალამს ხელში ვერ იჭერდა. თვალები ემღვრეოდა, ზედმეტ ფეხს აბამდა ასოებს და ბღაჯნიდა ნაწერს. მელქიორი უყვიროდა, ჟან-მიშელი ბორგავდა. ხელმეორედ აწერინებდნენ—ისევ და ისევ; ეგონათ, ბოლოს მივაღწიეთო მიზანს და სწორედ ამ დროს სუფთა ფურცელზე მელნის წვეთი დაეცემოდა: მაშინ ყურებს უწევდნენ. ბავშვი ცრემლად იღვრებოდა, მაგრამ ტირილსაც უკრძალავდნენ, რომ ქაღალდი არ დაესვარა: კარნახი თავიდან იწყებოდა: „კრისტოფს ეგონა, ეს ამბავი სიკვდილამდე გაგრძელდებაო.

ბოლოს დაასრულეს და ბუხარზე მიყრდნობილმა ჟან-მიშელმა სიამოვნებისაგან ათრთოლებული ხმით გადაიკითხა ნაწერი. მელქიორი სკამზე გადაწოლილიყო, ჭერს შეჰყურებდა, ნიკაპს აცანცარებდა და დიდ მცოდნესავით კვერს უკრავდა ქვემოთ მოყვანილი მიძღვნის სტილს:

„ფ რ ი ა დ ღ ი რ ს ე უ ლ ო და უ მ ო წ ყ ა ლ ე ს ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ვ! ოთხი წლის ასაკიდან მუსიკა გახდა უპირველესი საგანი ჩემი სიყმაწვილის საქმიანობათა შორის. მაშინვე, რაც კი გავეცანი კეთილშობილ მუზას, რომელმაც სული ჩემი ანკარა ჰარმონიებით წააქეზა, მე შევიყვარე იგი და მგონი მანაც შემიყვარა მე. ახლა ჩემი ცხოვრების მეექვსე წელიწადს მივაღწიე. კარგახანია, რაც შთაგონების წუთებში ჩემი მუზა ჩამჩურჩულებს: „გაბედე! გაბედე და შენი სულის ჰანგები დაწერე!“ „ექვსი წლისა ვარ, — ვფიქრობდი მე,— როგორ გავბედო? რას იტყვიან ჩემზე ხელოვნებაში განსწავლულნი?“ ვყოყმანობდი, ვთრთოდი. მაგრამ მუზას ასე სურდა... და დავემორჩილე. დავწერე.

ჰ ო ი ყ ო ვ ლ ა დ მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ვ!

მაბადია განა საკმარისი გამბედაობა, რათა შენი ტახტის საფეხურებზე დაგიფინო ჩემი შემოქმედების ნაყოფნი?.. მაბადია განა გამბედაობა ვიმედოვნო, რომ შენ უავგუსტოესი მოწყალებით მიიპყრობ მას მშობლიურ მზერას?

ო, დიახ! მეცნიერებანი და ხელოვნებანი მარად ჰპოვებდნენ შენი სახით ბრძენ მეცენატსა და დიდსულოვან მეოხს. და ნიჭი იფურჩქნება შენი წმიდა მფარველობის ქვეშ.

ამ ღრმა და შეურყეველი რწმენით აღსავსე ვბედავ და ამ ბალღური ნაცოდვილარით გიახლოვდები. შიიღე ისინი, როგორც ჩემი პატივისცემის უმანკო ხარკი და ღირს ჰყავი.

ოჰ, თქვენო ბრწყინვალეებავ,

კეთილმოსურნედ გადააავლეთ თვალი მათ და ნორჩს ავტორსაც. რომელიც თქვენს ფერხთით იხრება ღრმა თაყვანისცემით!

ფრიად მაღალღირსეული ბრწყინვალების ერთგული და მორჩილი მსახური.

ჟან-კრისტოფ კრაფტი.

კრისტოფმა ვერა გაიგო რა, ძალზე გაბარებული იყო, რომ თავი დაანებეს და იმის შიშით—ხელმეორედ არ დამაწყებინონ წერაო, შინიდან გაიქცა. არაფერს ფიქრობდა თავისი დაწერილი ქაღალდის შესახებ და სულაც არ აგონდებოდა ის. მოხუცმა ერთხელ რომ გაათავა კითხვა, გემოს ჩასატანებლად თავიდან წაიკითხა. ძელქიორმა და მან შესანიშნავ თხზულებად აღიარეს ეს მიძღვნა. ასევე იფიქრა ჰერცოგმა, ვისაც ეს უსტარი, კრისტოფის წერილი მუსიკალური ნაწარმოებების ნუსხასთან ერთად მიართვეს. მან მოწყალედ ინება ეთქვა, ერთიცა და მეორეც მომხიბლავიაო, კონცერტის მოწყობის ნება დართო, ბრძანა, ძელქიორის განკარგულებაში გადაეცათ მუსიკალური აკადემიის დარბაზი და ნება დართო ყრმა არტისტი გამოსვლის დღეს წარედგინათ მისთვის.

მელქიორი სასწრაფოდ შეუდგა კონცერტის მოწყობას. კარის მუსიკოსთა კავშირის დახმარება უზრუნველყო და რადგანაც პირველი ცდის წარმატებამ განდიდების აზრები აღუძრა, „ბავშვობის სიამეთა“ მდიდრული გამოცემა წამოიწყო. უნდოდა ყდაზე გამოსახული ყოფილიყო პიანინოსთან მჯდარი კრისტოფი, ხოლო გვერდით თვითონ — ვიოლინოთი. ეს აზრი ვერ განახორციელა—არა სიძვირის (მელქიორი ხარჯს არ ერიდებოდა), არამედ დროის უქონლობის გამო. დაკმაყოფილდა ალეგორიული კომპოზიციით, რაზედაც სხივთამფრქვევი ქნარის ირგვლივ აკვანი, საყვირი, დოლი და ხის ცხენი იყო გამოსახული სატიტულო ფურცელზე გრძელი მიძღვნა იყო მოთავსებული, ჰერცოგის სახელი უზარმაზარი ასოებით ეწერა და აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ „ბატონი ჟან-კრისტოფი ექვსი წლისაა“. სინამდვილეში კი შვიდ-ნახევარი წლისა იყო. გრავიურა ძალიან ძვირი დაჯდა. ფულის გადასახდელად პაპას თავისი ძველი, მეთვრამეტე საუკუნის სკივრის გაყიდვა მოუხდა. სკივრი ამოკვეთილი სახეებით იყო შემკული და მოხუცს არასგზით არ უნდოდა გაეყიდა, მიუხედავად ანტიკვარ ვორმსერის მრავალი თხოვნისა. მაგრამ მელქიორს ეშვი არ ეპარებოდა, რომ ხელმოწერა გადაჭარბებით აანაზღაურებდა დაბეჭდვის ხარჯებს.

მას სხვა საკითხი აფიქრებდა: რა კოსტიუმი უნდა ჩაეცვა კონცერტზე კრისტოფს. ამის თაობაზე საოჯახო თათბირი გაიმართა. მელქიორს სურდა პა-

ტარას მოკლე სამოსი სცმოდა და წვივები შიშველი ჰქონოდა ოთხ- წლის ბალღივით. მაგრამ კრისტოფი თავისი ასაკისათვის საკმაოდ მოზრდილი იყო და არავინ მოტყუვღებოდა. მაშინ მელქიორს დიდებული იდეა დაებადა. გადაწყვიტა ბავშვი ფრაკით და თეთრი ყელსახვევით დაემშვენებინა. ამაოდ ეკამათებოდა კეთილი ლუიზა —საწყალი ბავშვი სასაცილო გინდათ გახადოთო. მელქიორი სწორედ ამ მოულოდნელი ჩაცმულობით გამოწვეულ მხიარულებაზე ამყარებდა იმედს. ასე დაადგინეს და მკერავი მოიწვიეს პატარა კაცის ტანსაცმლის ზომის ასაღებად. აგრეთვე ნატიფი თეთრეული და ლაკის ტუფლები იყო საჭირო. ყველაფერი ძალიან ძვირი ღირდა. კრისტოფი ახალ სამოსელში უხერხულად გრძნობდა თავს. რათა შეჩვეოდა, რამდენჯერმე დააკვრევინეს ამ ტანსაცმელში გამოწყობილ ბავშვს. მთელ თვეს პიანინოს უჯდა. თავის დაკვრასაც ასწავლიდნენ. ერთი წუთიც არა ჰქონდა თავისუფალი. შმაგდებოდა. მაგრამ წინააღმდეგობის გაწევას ვერა ბედავდა; ფიქრობდა, ბრწყინვალე წარმატება მელისო. ამაყობდა და კრთოდა; ელოლიავებოდნენ. ეშინოდათ, არ გაცივდესო, ყელსახვევით უფუთნიდნენ ყელს. ფეხსაცმელს უთბობდნენ, ნესტიანი არ იყოსო, ხოლო სადილად საუკეთესოს მიართმევდნენ ხოლმე.

ბოლოს დიადი დღე გათენდა. ტუალეტს პარიკმახერი ხელმძღვანელობდა. მან უჯიათი თმა დაუხუჭუჭა კრისტოფს და მანამდე არ მოეშვა, ვიდრე საწმისს არ დაამსგავსა. მთელმა ოჯახმა საუცხოოდ მორთულად მიიჩნია კრისტოფი. მელქიორმა ყოველი მხრიდან დაათვალიერა ბავშვი, ხელი შუბლზე მიირტყა. გაიქცა, უზარმაზარი ყვავილი მოიტანა და ბალღს ფრაკის ღილკილოში დაუმაგრა. მხოლოდ ლუიზამ რომ დაათვალიერა, ხელები ცისკენ აღაპყრო და ნაღვლიანად წამოიძახა, მაიმუნს დაგიმგვანებიათო. ამან სასტიკად შეაწუხა კრისტოფი. თავად არ იცოდა, დაერცხვინა თუ ეამაყა თავისი სასაცილო ტანსამოსით. გუმანი ეუბნებოდა, აქ რაღაც სამარცხვინოაო. ეს უფრო მეტად კონცერტზე იგრძნო. ამ სამახსოვრო დღეს კრისტოფის ყველაზე ძლიერი გრძნობა სირცხვილი იყო.

კონცერტი ის-ის იყო უნდა დაეწყოთ. ნახევარი დარბაზი ცარიელი იყო. ჰერცოგი არ მოსულა. როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ერთმა გულითადმა და კარგად ინფორმირებულმა მეგობარმა შეატყობინა: სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, სასახლეში საბჭოს სხდომაა და ჰერცოგი ვერ მოვაო. თავზარდაცემული მელქიორი ვერ ისვენებდა. დარბაზში დაწრიალებდა და ფანჯარაში იყურებოდა. მოხუცი ჟან-მიშელიც შფოთავდა თავისი შვილიშვილის გამო და

თავს აბეზრებდა მას დარიგებებით. კრისტოფს თავისიანების მღელვარება გადაეცა. თავისი ნაწარმოებებისათვის არა ღელავდა, მხოლოდ ის აკრთობდა, რომ საზოგადოებას უნდა მისალმებოდა, და, რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, მით უფრო წუხდა.

უნდა დაეწყოთ: საზოგადოება მოუთმენლობას იჩენდა. სასახლის მუსიკოსთა კავშირის ორკესტრმა „კორიოლანოსის" უვერტიურის დაკვრა დაიწყო. ბავშვი არც კორიოლანოსსა და არც ბეთჰოვენს არ იცნობდა. თუმცა ხშირად მოესმინა ბეთჰოვენის ნაწარმოებები, მათი ავტორი ვინ იყო, არც იცოდა. არც მოსმენილი ნაწარმოებების სახელწოდების გასაგებად შეწუხებულა ოდესმე, თავის მოგონილ სახელებს არქმევდა, მათ სიუჟეტზე პატარა ზღაპრებსა და პეიზაჟებს ქმნიდა. ჩვეულებრივ სამ კატეგორიად ყოფდა მათ: ცეცხლისა, მიწისა და წყლისა, ათასი სხვადასხვა ნიუანსით. მოცარტს წყლის კატეგორიას აკუთვნებდა: იგი იყო კორდი მდინარის ნაპირას, გამჭვირვალე ნისლი, წყალს რომ ეფინება, გაზაფხულის უეცარი წვიმა ან ცისარტყელა. ბეთჰოვენი ცეცხლი იყო: ხან ცამდე ასული უზარმაზარი ხანძარი, ხანაც ალმოდებული ტყე, ელვით დასერილი, საზარელი და მძიმე ღრუბელი, ხანაც მთრთოლარე სინათლით აღვსილი ზეცა, სადაც გულის ჩქროლით ჭვრეტენ ვარსკვლავს, სექტემბრის მშვენიერ ღამეში რომ მისრიალებს და ნელა ქრება. ამ გმირული სულის ძალუმმა აგზნებამ ახლაც აანთო კრისტოფი. ცეცხლის ნიაღვარმა შეიპყრო. დანარჩენი სამყარო გაქრა. რად სჭირდებოდა ყოველივე ეს? თავგზადაკარგული მელქიორი, შეშფოთებული ჟან-მიშელი, მოფუსფუსე ადამიანები, საზოგადოება, ჰერცოგი — რად სჭირდებოდა ესენი კრისტოფს? რა აკავშირებდა მათთან? ეს დაუცხრომელი ვნება კი იზიდავდა. აქოშინებული, თვალცრემლიანი, ფეხებდაბუჟებული, თავიდან ტერფამდე დაჭიმული მიჰყვებოდა მას. სისხლი მძიმედ უფეთქავდა, მთელი სხეულით თრთოდა... ასე დაძაბული იდგა დეკორაციის უკან მიმალული ბავშვი. უეცრად გულმა რეჩხი უყო: ორკესტრი ნახევარტაქტზე ერთბაშად შედგა და წუთიერი სიჩუმის შემდეგ საყვირების და დაფდაფების გამაყრუებელი გრიალით დაუკრა ოფიციალური მედიდურობით აღსავსე სამხედრო მარში. ერთი მუსიკიდან მეორეზე გადასვლა ისე უხეში იყო, რომ კრისტოფმა კბილები დაახრჭიალა, ბრაზით დააბაკუნა ფეხები და მუჭით დაემუქრა კედელს: მაგრამ მელქიორმა გაიხარა: ჰერცოგი შემოვიდა და ორკესტრი ეროვნული ჰიმნით მიესალმა მას. ხოლო ჟან-მიშელმა აკანკალებული ხმით უკანასკნელი დარიგება მისცა შვილიშვილს.

უვერტიურა თავიდან დაუკრეს. შემდეგ კრისტოფის ჯერი დადგა. მელქიორმა მოხერხებულად შეადგინა პროგრამა, ისე რომ შვილის ოსტატობასთან ერთად თავისიც გამოეჩინა: მათ ერთად უნდა დაეკრათ მოცარტის სონატა ფორ-

ტეპიანოსა და ვიოლინოსათვის. ეფექტის თანდათან გასაძლიერებლად გადაწყვეტილი იყო ჯერ მარტო კრისტოფი გამოსულიყო. იგი სცენაზე გასასვლელთან მიიყვანეს, მიუთითეს ესტრადის წინა მხარეს მდგარ როიალზე, უკანასკნელად აუხსნეს, რა უნდა ექნა და კულისებიდან უბიძგეს.

კრისტოფი თეატრს მიჩვეული იყო და დიდ შიშს არა გრძნობდა. მაგრამ როდესაც ესტრადაზე აღმოჩნდა რამდენიმე ასი თვალის წინაშე, ანაზდად ისე შეეშინდა, რომ უნებლიეთ უკან დაიწია. კიდეც შებრუნდა კულისებისაკენ. მაგრამ იქ მამა დაინახა, მან თვალები დაუბრიალა და დაემუქრა. გზა უნდა განეგრძო. მაყურებლებმა ის უკვე შეამჩნიეს. რაც უფრო მოიწევდა წინ, ცნობისმოყვარეობის ღრიანცელი მატულობდა და მალე სიცილად იქცა. სიცილი თანდათან მთელ დარბაზს მოედო. მელქიორი არ შემკრთალა; ყმაწვილის სასაცილო საძოსელით გამოწვეულმა ეფექტმა მოლოდინს გადააჭარბა მთელი დარბაზი ხარხარებდა, როდესაც ხედავდა გრძელთმიან, ბოშასავით შავგვრემან და ჯენტლმენივით საღამოს კოსტიუმში გამოწყობილ ბიჭს, სცენაზე რომ მიცუნცულებდა. უკეთ რომ დაენახათ, ფეხზე დგებოდნენ. ეს საერთო მხიარულება თუმცა ბოროტი არ იყო, უფრო გამბედავ ვირტუოზსაც დააბნევდა. ხმაურით, მაყურებელთა მზერით, მასზე მიმართული ლორნეტებით შეშინებული კრისტოფი იმასღა ფიქრობდა — რაც შეიძლება ჩქარა მისულიყო როიალთან, რომელიც ზღვაში აღმართულ კუნძულად ეჩვენებოდა. აქეთ-იქით აღარ მიუხედავს თავჩაღუნულ ბიჭს. აჩქარებული ნაბიჯით გადაჭრა სცენა და შუა ადგილას მისვლისას წესისამებრ საზოგადოებისათვის თავის დაკვრის ნაცვლად ზურგი შეაქცია დარბაზს და პირდაპირ როიალისაკენ გაემართა. სკამი ძალზე მაღალი იყო და მამის დაუხმარებლად ვერ დაჯდებოდა, მაგრამ არ დაუცადა და მუხლებით აფოფხდა. ამან მაყურებელთა მხიარულება გააძლიერა. მაგრამ ახლა კრისტოფი გადარჩენილად თვლიდა თავს, როიალის წინ არავისი არ ეშინოდა.

ბოლოს მელქიორიც გამოვიდა. საზოგადოებამ ისიც კარგად მიიღო, მასაც საკმაოდ გულთბილი ტაშით შეხვდნენ. სონატა დაიწყეს. პატარამ შეუშფოთებელი სიმშვიდით დაუკრა. ყურადღების დაძაბვისაგან ტუჩები მოეკუმა, კლავიშებს დაშტერებოდა. ხმების გაძლიერებასთან ერთად უფრო და უფრო კარგად გრძნობდა თავს; თითქოს მეგობართა შორის იყო. მოწონების ჩურჩული მის ყურამდეც აღწევდა. სიამაყე იგრძნო, როდესაც გაიფიქრა, მე რომ მომისმინონ, ყველანი ჩუმად არიან და ყველას მოსწონს ჩემი დაკვრაო. მაგრამ როგორც კი დაამთავრა, ისევ შეეშინდა. ტაშისცემა უფრო სირცხვილსა ჰგვრიდა, ვიდრე სიხარულს. სირცხვილი გაუორკეცდა, როდესაც მელქიორმა ხელი ჩასჭიდა, რამპასთან მიიყვანა და უთხრა — საზოგადოებას თავი დაუკარიო. კრისტოფი

დაემორჩილა და უხერხულად მოიხარა; თავი დამცირებულად იგრძნო, თითქოს საბაცილო და საზიზღარი რამ ჩაიდინა.

ისევ როიალთან დასვეს და მან „სიამენი ბავშვობისა“ დაუკრა. მსმენელები გაშმაგდნენ. ყოველი ნაწყვეტის შემდეგ აღტაცებულნი ყვიროდნენ და განმეორება მოითხოვეს. კრისტოფი ამაყობდა, როდესაც ამ გამარჯვებას ხედავდა და ამავე დროს თითქმის წყინდა კიდეც ეს მოწონება, რადგან ბრძანებას წაგავდა. ბოლოს მთელი დარბაზი წამოდგა და ტაში დასცხო. ჰერცოგმა მისცა ხალხს ნიშანი. მაგრამ ახლა კრისტოფი მარტო იყო სცენაზე და თავისი სკამიდან ადგომას ვერ ბედავდა. ტაში გაძლიერდა. მთლად გაწითლებული და შემკრთალი ბავშვი უფრო და უფრო ხრიდა თავს და დაჟინებით იყურებოდა დარბაზის საწინააღმდეგო მხარეს. მელქიორი გამოვიდა, ხელში აიყვანა და უთხრა — დარბაზს კოცნა გაუგზავნეო, თან ჰერცოგის ლოჟაზე მიუთითა. კრისტოფმა წაუყრუა. მელქიორმა ხელი მოუჭირა და ხმადაბლა დაემუქრა. მაშინ მან გულგრილად შეასრულა მოთხოვნა; არავის არ უყურებდა, თვალები დაეხარა, უკანაცქერებოდა და უბედურად გრძნობდა თავს. იტანჯებოდა, არ იცოდა კი, რის გამო იტანჯებოდა. მისი თავმოყვარეობა. არ მოსწონდა აქ შეკრებილი ხალხი. უკრან ტაში, რამდენიც სურდეთ; ვერ ეპატიებინა მათთვის სიცილი, ვერ ეპატიებინა, რომ მისი დამცირებით ერთობოდნენ, ვერ ეპატიებინა, რომ ხედავდნენ მის უხერხულ პოზასა და კოცნის გაგზავნას. მათი ტაშიც შეურაცხყოფდა; და როდესაც მელქიორმა ძირს ჩამოსვა, კულისებისაკენ გაიქცა. ერთმა ქალმა ეგონა პატარა კონა ესროლა. კრისტოფს სახეში მოხვდა იგი. ბავშვი პანიკამ შეეპყრო და გაიქცა. გზაზე სკამი წააქცია. რაც უფრო გარბოდა, მით უფრო იცინოდნენ, და რაც უფრო იცინოდნენ, მით უფრო გარბოდა.

ბოლოს ხალხით გაჭედილ სცენიდან გასასვლელს მიაღწია, თაეურით გაიკვლია გზა და ფოიეს სიღრმეში დასამალად გაიქცა. პაპა გახარებული იყო და ლოცავდა. ორკესტრის მუსიკოსები ხარხარებდნენ და ულოცავდნენ ბავშვს. კრისტოფი კი თვალს არიდებდა მათ და ხელს არ ართმევდა. ყურდაცქვეტილი მელქიორი განუწყვეტელ ტაშს უსმენდა და კრისტოფის სცენაზე გაყვანა უნდოდა. მაგრამ ბავშვი გაშმაგებით ამბობდა უარს, პაპის სერთუკს ჩასჭიდებოდა და წიხლს ურტყამდა ყველას. ვინც კი მიუახლოვდებოდა. ბოლოს ქვითინი აუვარდა. იძულებულნი გახდნენ თავი დაენებებინათ.

სწორედ ამ დროს შემოვიდა ოფიცერი და თქვა — ჰერცოგი თავის ლოჟაში იწვევს არტისტებსო. როგორ ეჩვენებინათ ასეთ მდგომარეობაში მყოფი ბავშვი? გაბრაზებული მელქიორი იგინებოდა, ხოლო მისი გაცხარების შემყურე კრისტოფი ტირილს უმატებდა. ცრემლთა ღვარის შესაჩერებლად პაპა ერთ გირვანქა შოკოლადს დაჰპირდა — ოღონდ გაჩერდიო. კრისტოფი მსუნაგი იყო,

მაშინვე შეწყვიტა. ტირილი, ცრემლი გადაყლაპა და წაჰყვა მათ. ოღონდ წინასწარ დააფიცა, რომ მოულოდნელად სცენაზე არ გაიყვანდნენ.

საჰერცოგო ლოჟის სალონში პიჯაკში გამოწყობილ დაბალ, ღაჟღაჟა და ოდნავ ღიპიან კაცს წარუდგინეს, რომელსაც ფინიის პირისახე, აწკეპილი ულვაში, მოკლე წვეტიანი წვერი ჰქონდა. ამ კაცმა შინაურულად და, ცოტა არ იყოს, ტლანქად მიმართა კრისტოფს, გათქვეირული ხელები ლოყებზე მრუთათუნა და უწოდა მოცარტი Pedivivus[1]. ეს ჰერცოგი იყო. შემდეგ ჰერცოგის მეუღლის, ქალიშვილისა და ამალის ხელში გადავიდა, მაგრამ თავის აწევას ვერა ბედავდა და ამ ბრწყინვალე შეკრებულობიდან მხოლოდ კაბებისა და მუნდირების ქვევითა ნაწილი დაიმახსოვრა. ჰერცოგის ახალგაზრდა ასულის მუხლებზე დამჯდარი განძრევასა და ამოსუნთქვას ვერ ბედავდა. ჰერცოგის ასული რაღაცას ეკითხებოდა, მელქიორი აძლევდა პირმოთნე და ბრტყელ-ბრტყელ პასუხს. მაგრამ ჰერცოგის ასული არ უსმენდა მას და ბავშვს ჩაციებოდა. კრისტოფი გრძნობდა, უფრო და უფრო წითლდებოდა. ეგონა, ყველა ამჩნევს ჩემს სიწითლესო, უნდოდა აეხსნა ამის მიზეზი და ღრმა ამოოხვრით თქვა:

— იმიტომ ვარ ასეთი წითელი, რომ მცხელა.

ქალიშვილმა გაიცინა. მაგრამ კრისტოფს არ სწყენია ეს, როგორც ახლახან მაყურებელთა სიცილი სწყინდა. ეს სიცილი საამო იყო. თანაც ჰერცოგის ასულმა აკოცა. არც ეს იყო საწყენი.

ამ დროს კორიდორში, ლოჟის კართან, სახეგაბრწყინებული და დარცხვენილი პაპა დაინახა. პაპას დიახაც სურდა შემოსულიყო და რამე ეთქვა, მაგრამ ვერ ბედავდა, რადგან არავინ ელაპარაკებოდა. იგი შორიდან ტკბებოდა შვილიშვილის დიდებით. კრისტოფი აღივსო სინაზითა და დაუძლეველი ნდომით — საწყალი მოხუცისათვისაც მართებული მიეგოთ და დაეფასებინათ. ენა ამოიდგა, წამოიწია და თავის ახალ მეგობარს ყურში ჩაუფუჩუნა:

— ერთი საიდუმლო უნდა გითხრათ.

ჰერცოგის ასულმა გაიცინა და ჰკითხა:

— რა საიდუმლო?

— გახსოვთ. — განაგრძო კრისტოფმა, — ლამაზი ტრიო ჩემს მენუეტში. მე რომ დავუკარი?.. კარგად გახსოვთ?.. (ძალზე ხმადაბლა დაიღიღინა)... აი ეს პაპამ შეთხზა, ჩემი არაა. სხვა ყველაფერი ჩემია. მაგრამ ეს ყველაზე ლამაზია... ის პაპამ დაწერა. პაპას არ სურს ვინმემ იცოდეს ეს. თქვენ არავის ეტყვით?.. (პაპაზე მიუთითა): აი, ჩემი პაპა. ძალიან მიყვარს. ძალზე კეთილია.

---

[1] გაცოცხლებული (ლათ.).

აქ ჰერცოგის ასულმა გაიცინა, შესძახა — რა საყვარელი ხარო, დაკოცნა და, კრისტოფისა და ჟან-მიშელის სამწუხაროდ, ყველას გაუმეღავნა საიდუმლოება. ყველამ გაიზიარა მისი მხიარულება. ჰერცოგმა მიულოცა სავსებით შეშფოთებულ მოხუცს, რომელიც ამაოდ ცდილობდა რაიმე ეთქვა და ბრალდებულივით ლუღლუღებდა. კრისტოფს მეტი სიტყვა არ უთქვამს ჰერცოგის ასულისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქალიშვილი ეთამაშებოდა. იგი დამუნჯდა და მოიღუშა: სიტყვის გატეხის გამო შესძაგდა. ამ მუხთლობამ გაუფუჭა წარმოდგენა დიდკაცებზე. ისე აღშფოთებული იყო, რომ არ ესმოდა, რას ელაპარაკებოდნენ. არც ის გაუგონია, რომ ჰერცოგმა ღიმილით კარის პიანისტად Hof Musicus-ად დანიშნა.

კრისტოფი თავისიანებთან ერთად გამოვიდა ჰერცოგის ლოჟიდან. თეატრის ვულუარებსა და ქუჩაზეც კი გარს ეხვეოდნენ, აქებდნენ და კოცნიდნენ — რაც ძალიან ეჯავრებოდა კრისტოფს. საერთოდ სძულდა მტლაშამტლუში და ვერ იტანდა. რომ სხვები თავიანთ ნებაზე ექცეოდნენ.

ბოლოს შინ მოვიდნენ. კარიც არ მიეხურათ ჯერ, რომ მელქიორმა „პატარა იდიოტი" უწოდა ტრიოს ავტორის გამეღავნებისათვის. ბავშვი ქებისა და არა საყვედურის ღირს საქციელად თვლიდა-ამას, აღშფოთდა და თამამად შეეკამათა მამას. მელქიორი გაჯავრდა და უთხრა — გცემდი, ცუდად რომ დაგეკრაო, მაგრამ მაინც შენი სისულელით კონცერტის შთაბეჭდილება გააფუჭეო. კრისტოფს სამართლიანობის გრძნობა ღრმად ჰქონდა გამჯდარი: გაიბუტა და კუთხეში მიიყუჟა. შეეზიზღა მამაც, ჰერცოგის ასულიც, მთელი ქვეყანა. მეზობლები მოსულიყვნენ მშობლებისათვის მისალოცად და მხიარულობდნენ. თითქოს მშობლებს დაეკრათ კონცერტზე. თითქოს მათი ნივთი ყოფილიყო კრისტოფი. ბიჭი დიდად შეურაცხყოფილი იყო.

ამასობაში სასახლის მსახურმა ჰერცოგის საჩუქარი მოიტანა: ლამაზი ოქროს საათი და ჰერცოგის ასულის მიერ გამოგზავნილი ტკბილეულით სავსე კოლოფი. ორივე საჩუქარი ფრიად ესიამოვნა კრისტოფს. ერთი მეორეზე უფრო მოსწონდა. მაგრამ ისე ცუდ გუნებაზე იყო, რომ არ უნდოდა გაემხილა ეს, და ისევ იბუტებოდა, ცერად გაჰყურებდა ტკბილეულს და ფიქრობდა — მიეღო თუ არა ძღვენი იმ ადამიანისაგან, ვინც ასეთი პირუმტკიცობა გამოიჩინა. ბოლოს გადაწყვიტა, საჩუქარი შეიძლება მივიღოო. ამ დროს მამამ უბრძანა უმალვე მიჯდომოდა მაგიდას და მისი კარნახით მადლობის ბარათი დაეწერა. ეს მეტისმეტი იყო! მთელი დღის ნერვიულობისა, თუ იმის გამო, რომ მელქიორს სურდა ბავშვს წერილი ამ მლიქვნელური სიტყვებით დაეწყო: „მსახური და მუსიკოსი Knecht und Musikus — თქვენი ბრწყინვალებისაო." კრისტოფს ინსტინქტურად შერცხვა და ცრემლი წასკდა. მეტი ვერ დააწერინეს.

შსახური დამცინავი გამომეტყველებით იცდიდა. მელქიორს მოუხდა წერილის დამთავრება. იგი ამან კიდევ უფრო გააბრაზა. უბედურება იმით დაგვირგვინდა, რომ ბავშვს ხელიდან გაუვარდა საათი და გაუტყდა: სასტიკად გალანძღეს. მელქიორმა შეჰყვირა — უდესერტოდ დაგტოვებო. კრისტოფმა ბრაზით მიუგო: არც მინდა თქვენი დესერტიო. ლუიზამ ახალი სასჯელი მოიგონა, ტკბილეულის კოლოფს წაგართმევო. გაშმაგებულმა კრისტოფმა შესძახა, მაგისი უფლება არ გაქვს, კოლოფი მხოლოდ მე მეკუთვნის და სხვას არავისო. ხელიდან გამოგლიჯა დედას, ძირს დააგდო და ფეხით გათელა. გალახეს, თავის ოთახში გაიყვანეს, ტანთ გახადეს და დააწვინეს.

საღამოს ესმოდა, როგორ მიირთმევდნენ მშობლები თავიანთ მეგობრებთან ერთად დიდებულ ვახშამს, კონცერტის აღსანიშნავად რომ მოამზადეს. კინაღამ გაბრაზებისაგან მოკვდა ამ უსამართლობის შემხედვარე. ისინი ხმამაღლა იცინოდნენ და ჭიქებს აწკარუნებდნენ. სტუმრებს უთხრეს, ყმაწვილი დაღლილიაო და არავინ შეწუხებულა მისთვის. მხოლოდ ვახშმის შემდეგ, როდესაც სტუმრები შინ წასასვლელად მოემზადნენ, ოთახში ვიღაც შემოვიდა ფეხაკრეფით. ეს ჟან-მიშელი იყო. იგი დაიხარა მის საწოლზე, გრძნობიერად აკოცა და თქვა, „ჩემო კარგო კრისტოფ!..“ შემდეგ ჯიბეებში გადამალული სასუსნავი მიაჩეჩა ბიჭს და თითქოს შერცხვაო, უსიტყვოდ გაიპარა.

ამან გული მოულბო კრისტოფს. მაგრამ მთელი დღის მღელვარებით ისე დაღლილიყო, რომ პაპას მოტანილი ტკბილეულის შეჭმის თავი აღარა ჰქონდა. დაღლილობამ გატეხა და თითქმის მაშინვე ჩაეძინა.

ძილში შფოთავდა. თითქო მთელ სხეულში ელექტრონის ნაკადი უვლიდა და ცახცახებდა. გიჟური მუსიკა ჩაესმოდა. ღამით გამოეღვიძა. კონცერტზე მოსმენილი ბეთჰოვენის უვერტიურა ედგა ყურებში. მუსიკა გუგუნებდა და თავისი სუნთქვით ავსებდა ოთახს. კრისტოფი საწოლში წამოჯდა და თვალები მოიფშვნიტა, ხომ არ მძინავსო. არა, არ ეძინა. იცნო ეს მძაფრი ყივილი, გაშბაგებული ყეფა; ესმოდა ფეთქვა ამ მძვინვარე გულისა, მკერდიდან ამოხტომა რომ უნდოდა, ესმოდა ამ სისხლის ჩქროლა და სახეზე გრძნობდა ამ ქარიშხლის ფრთას. იგი ეხეთქებოდა მძვინვარებით და უეცრივ ჩერდებოდა ვიღაცის ჰერკულესისებური მძლავრი ნებისყოფით გატეხილი. ეს ბუმბერაზი სული შეიჭრა მის სულში, გააფართოვა იგი და კრისტოფი ბუმბერაზს დაამსგავსა. ის დაბიჯებდა დედამიწაზე, მთა იყო და გრიგალი ხმიანობდა მის სულში. მძვინვარების გრიგალი! ტკივილის გრიგალი!.. ო! რა მწვავეა! მაგრამ არაფერია, გრძნობს, რომ უსაზღვროდ ძლიერია! დაე იტანჯოს! იტანჯოს! აჰ! რა კარგია ძლიერება! რა კარგია ტანჯვა, როცა ძლიერი ხარ!

ბიჭმა გაიცინა. სიცილი გახმიანდა ღამის სიჩუმეში. მამას გაეღვიძა და წამოიძახა:

— ვინ არის?

დედამ წასჩურჩულა:

— ჩუ! ბავშვი სიზმარშია.

სამივე დადუმდა. დუმილმა დაისადგურა ირგვლივ. მუსიკა გაქრა. ისმოდა მხოლოდ როგორ სუნთქავდნენ ოთახში მძინარენი — ერთმანეთის ჭირ-ვარამის უნებლიე მოზიარენი, მგზავრნი ერთი მყიფე ნავისა, თავბრუდამხვევი ძალა რომ მიაცურებს ბნელში.

ᏥᏅᏍᏓ
ᏍᏗᏅᏍᏗ

ნაწილი პირველი

ჟან-მიშელის სიკვდილი

რამდენიმე წელი გადის. კრისტოფს თერთმეტი წელი უსრულდება. იგი აგრძელებს მუსიკის სწავლას. ჰარმონიას წმიდა მარტინის ეკლესიის ორღანისტი ფლორიან ჰოლცერი ასწავლის. ჰოლცერი პაპას მეგობარია და ფრიად განსწავლული კაცი. იგი ბავშვს ჩასჩიჩინებს, ის აკორდები და აკორდთა წყებანი, რაიც კრისტოფს ყველაზე უფრო უყვარს, რაიც ისე ტკბილად ელამუნება მის ყურსა და გულს და უერუანტელოდ ვერ მოუსმენია, ცუდია და აკოძალული. და როდესაც ბავშვი ეკითხება—რატომ, ამასღა პასუხობს — წესის მიხედვით დაუშვებელიაო. კრისტოფი ურჩია და ამის გამო კიდევ უფრო მოსწონს აკრძალული აკორდები. უხარია, როცა დიდი და ყველას სათაყვანებელი კომპოზიტორების თხზულებებში იპოვის ასეთ ჰარმონიებს და პაპას ან თავის მასწავლებელს უჩვენებს ხოლმე. პაპა ეუბნება, დიდ მუსიკოსებს კარგად გამოუდით, ბეთჰოვენსა და ბახს ყველაფრის ნება აქვსო, უფრო უჯიათი მასწავლებელი კი ბრაზდება და ენამწარედ ამბობს, ეს მათი საუკეთესო ქმნილებათაგანი როდიაო.

კრისტოფს უბილეთოდ უშვებენ კონცერტებსა და წარმოდგენებზე. თანდათან ყველა ინსტრუმენტზე დაკვრას სწავლობს. უკვე საკმაოდ კარგად უკრავს ვიოლინოზე და მამამისმა მოინდომა მისთვის ორკესტრში ეშოვა ადგილი. ბავშვი ისე მშვენივრად ასრულებდა თავის პარტიას, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ოფიციალურად მიანიჭეს „სასახლის მუსიკოსთა კავშირის“ მეორე ვიოლინოზე დამკვრელის წოდება. ასე დაიწყო მან თავის რჩენა. ეს დროული იყო, რადგან ოჯახის საქმე უფრო და უფრო უარესდებოდა, მელქიორი უფრო ბრაზიანი ხდებოდა, ხოლო პაპა ძლიერ მოხუცდა.

კრისტოფი კარგად ხედავდა ოჯახის ვაგლახ მდგომარეობას. უკვე პატარა მამაკაცის სერიოზული და მზრუნველობით აღბეჭდილი იერი ედო. ვაჟკაცურად ასრულებდა სამუშაოს, თუმცა სრულიადაც არ აინტერესებდა იგი.

საღამოობით დაღლილობისა და მოწყენილობისაგან თვლემდა ორკესტრში თეატრი უწინდებურად აღარ აღელვებდა. წინათ პატარაობისას, — მას აქეთ ოთხი წელი გავიდა,—მისი უზენაესი ნატვრა იყო, ის ადგილი დაეჭირა, რაც ახლა უკავია. ახლა კი უმეტესი წილი შესრულებული მუსიკისა აღარ მოსწონდა. გულის სიღრმეში სულელურად მიაჩნდა. მაგრამ თავისი მსჯავრის გამოთქმას ვერ ბედავდა ჯერ. როდესაც შემთხვევით კარგ მუსიკას დაუკრავდნენ. შემსრულებელთა გულგრილობით იყო აღშფოთებული. უსაყვარლესი ნაწარმოებიც კი ბოლოს ემსგავსებოდა მის გვერდით მსხდარ კოლეგებს ეს კოლეგები როგორც კი ფარდა ეშვებოდა და დაკვრას შეწყვეტდნენ, ოფლის წმენდითა და ღიმილით უამბობდნენ ერთმანეთს თავიანთ პატარა ამბებს, თითქოს ტანვარჯიშის გაკვეთილი დაემთავრებინოთ. კრისტოფმა ახლოს იხილა თავისი ადრინდელი სატრფოც — ფეხშიშველა და ქერათმიანი მომღერალი. ის ჩუმად ხვდებოდა მას ანტრაქტებზე ბუფეტში. ქალმა იცოდა, ბავშვს უყვარდა და ხალისით ჰკოცნიდა, მაგრამ კრისტოფს არავითარ სიამოვნებას არ ანიჭებდა ეს: ეჯავრებოდა მისი ფერ-უმარილისა, სუნისა, უზარმაზარი მკლავებისა და გაუმაძღრობის გამო.

ჰერცოგი არ ივიწყებდა, თავის პიანისტს. თუმცა უმნიშვნელო კუთვნილ გასამრჯელოს დროზე არ უხდიდნენ — ყოველთვის მოთხოვნა იყო საჭირო. დროდადრო, თუ ჰერცოგს წარჩინებული სტუმრები ეწვეოდნენ ანდა უბრალოდ თუ მათს ბრწყინვალებებს მისი მოსმენა მოუნდებოდათ, კრისტოფს ბრძანება მოსდიოდა, სასახლეში გამოცხადებულიყო. თითქმის ყოველთვის საღამოობით იწვევდნენ, როდესაც კრისტოფს მარტო ყოფნა უნდოდა. ბავშვი იძულებული იყო ყველაფერი დაეტოვებინა და სასწრაფოდ წასულიყო. ხანდახან მისაღებ ოთახში აცდევინებდნენ, ჯერ სადილობა არ დაუმთავრებიათო. შეჩვეული მსახურები შინაურულად ესაუბრებოდნენ. შემდეგ სარკეებითა და სინათლით აღვსილ სალონში შეჰყავდათ, სადაც გაბღენძილი პიროვნებანი შეურაცხმყოფელი ცნობისმოყვარეობით აშტერდებოდნენ. მათ ბრწყინვალებათა ხელის დასაკოცნად ძალზე გაპრიალებული ოთახი უნდა გადაეჭრა. რაც იზრდებოდა, უფრო და უფრო უგერგილო ხდებოდა, თავი სასაცილო ეგონა და შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს.

შემდეგ როიალს მიუჯდებოდა, ამ ჩერჩეტებისათვის უნდა დაეკრა; ხანდახან ირგვლივ მსხდომარეთა გულცივობა ისე შეუხუთავდა სულს, რომ მზად იყო დაკვრა შეეწყვიტა. ჰაერი არ ყოფნიდა, იხრჩობოდა. როდესაც დაამთავრებდა, ულოცავდნენ, ქათინაურებით გულს უწყალებდნენ. ფიქრობდა, ისე მიყურებენ, როგორც ჰერცოგის სამხეცის იშვიათ ცხოველს და ქება უფრო პატრონს ეხება, ვინემ მეო. შეურაცხყოფილი იყო, ავადმყოფურად მგრძნო-

ბიარე ხდებოდა და მით უფრო იტანჯებოდა, რომ წყენა გულში უნდა ჩაეკლა. ყველგან შეურაცხყოფა ელანდებოდა: თუ ოთახის კუთხეში იცინოდნენ, ეგონა — მე დამცინიანო, ჩემს ქცევას ტანსაცმელსა თუ აღნაგობას იგდებენო მასხარად. ყველაფერი შეურაცხყოფდა. ელაპარაკებოდნენ თუ არა, მაინც შეურაცხყოფილად თვლიდა თავს: ტკბილეულს თუ შეაძლევდნენ ბავშვივით, ესეც შეურაცხყოფდა. განსაკუთრებით ის ამცირებდა, ჰერცოგი ზოგჯერ ქედმაღლური მოურიდებლობით ხელში ოქროს ფულს თუ ჩაუდებდა და გაუშვებდა. ტანჯავდა სიღარიბე, ტანჯავდა ის, რომ ღატაკად თვლიდნენ. ერთ საღამოს, შინ დაბრუნებისას, ნაჩუქარი ოქრო ისე ემწვავა, რომ რომელიღაც სარდაფის სარკმელში შეაგდო, მაგრამ წუთის შემდეგ რას არ ჩაიდენდა, ოღონდ დაებრუნებინა, რადგან რამდენიმე თვე იყო, ყასბის ვალი ემართათ.

მშობლები ვერ ამჩნევდნენ კრისტოფის ტანჯვას. ისინი ჰერცოგის მფარველობით აღტაცებულნი იყვნენ. კეთილი ლუიზა სასახლეში, დიდებულთა საზოგადოებაში გატარებულ საღამოებზე უკეთესს ვერაფერს ინატრებდა თავისი ვაჟისათვის. მელქიორი გამუდმებით ტრაბახობდა თავის მეგობრებთან ყველაზე ბედნიერი პაპა იყო. მართალია, ჟან-მიშელი დამოუკიდებლობას, ამა ქვეყნის ბატონთა არად ჩაგდებას ჩემულობდა, მაგრამ გულუბრყვილოდ სცემდა თაყვანს ფულს, ძალას, პატივს, სოციალურ უპირატესობას და ძალზე ამაყობდა თავისი შვილიშვილის აღმატებულ პირებთან სიახლოვით; უხაროდა, თითქოს კრისტოფის დიდებაში იმასაც ედო წილი და თუმცა ცდილობდა გულგრილად ეჩვენებინა თავი, სახე უბრწყინავდა. იმ საღამოს, როდესაც კრისტოფი სასახლეში მიდიოდა. მოხუცი ჟან-მიშელი რაიმეს მოიმიზეზებდა და ლუიზასთან რჩებოდა, შვილიშვილის დაბრუნებას ბავშვური მოუთმენლობით ელოდა. და როცა კრისტოფი კარს შემოაღებდა, გულგრილად ჰკითხავდა რამეს:

— აბა, როგორ ჩაიარა საღამომ?

ანდა გულთბილად და შემპარავად იტყოდა:

— ახლა ჩვენი კრისტოფი ახალ ამბავს გვეტყვის.

ან თავის მოსაქონად რაიმე ეშმაკურ ქათინაურს შეაგებებდა:

— სასახლის ფავორიტს გაუმარჯოს!

მაგრამ გაღიზიანებული და პირმოღუშული კრისტოფი მხოლოდ საღამო ეშვიდობისაო, მიუგებდა მშრალად და კუთხეში მიიყუჟებოდა გაბუტული. ძოხუცი აუხირდებოდა. უფრო ამკარად ჩაეკითხებოდა. ბავშვი ჰოს ან არას პასუხობდა მხოლოდ. სხვებიც ჩაერეოდნენ, წვრილმანებს კითხულობდნენ. კრისტოფი უფრო და უფრო ეშმუხნებოდა. სიტყვას ძლივს გლეჯდნენ პირიდან, ვიდრე გაჯავრებული ჟან-მიშელი ლანძღვას არ დაუწყებდა. კრისტოფი,

უკმეხად მიუგებდა და ბოლოს წაიჩხუბებდნენ. მოხუცი კარს გაიჯახუნებდა და წავიდოდა. ასე უშხამავდა სიხარულს კრისტოფი ამ საწყალ ხალხს, რომელსაც არ ესმოდა, რად იყო ის ცუდ გუნებაზე. მათი ბრალი ხომ არ იყო, რომ მონური სული ჰქონდათ და არც წარმოედგინათ თუ სხვაგვარად შეიძლებოდა მოქცეულიყვნენ.

კრისტოფი გულჩახვეული ხდებოდა. შინაურებს არ აყვედრიდა, მაგრამ გრძნობდა, უფსკრული იყო მათ შორის. უეჭველად აზვიადებდა. მიუხედავად სხვადასხვაგვარი აზროვნებისა, შესაძლებელი იყო თავისი გაეგებინებინა მათთვის, თუ გულახდილად გამოუტყდებოდა. მაგრამ ყველამ იცის, რა ძნელია სრული გულახდილობა ბავშვსა და მშობლებს შორის, თუნდაც მათ უნაზესი სიყვარული აკავშირებდეს, რადგან ერთი მხრივ, პატივისცემა ხდის შეუძლებელს აღსარებას; მეორე მხრივ კი მცდარი აზრი — თითქოს ასაკი და გამოცდილება უპირატესობას ანიჭებდეს ვინმეს — ხელს უშლის მშობლებს შესაფერი სერიოზულობით მოეპყრონ ბავშვის გრძნობებს, თუმცა ეს გრძნობები არა ნაკლებ საინტერესოა, კინემ მოზრდილისა და თითქმის ყოველთვის უფრო გულწრფელია.

მათ სახლში თავმოყრილი საზოგადოება და შინ გამართული მასლაათი უფრო მეტად აშორებდა თავისიანებს.

მათთან დადიოდნენ მელქიორის მეგობრები, უმეტეს წილად ორკესტრის მუსიკოსები. ღვინის მოყვარულნი, უცოლშვილონი. ისინი ცუდი ადამიანები არ იყვნენ, მაგრამ გულგრილობის იერი დაჰკრავდათ. მათი სიცილისა და ნაბიჯებისაგან სახლი ირყეოდა. მუსიკა უყვარდათ, მაგრამ აღმაშფოთებელი უგუნურებით ლაპარაკობდნენ მასზე. მათი ენთუზიაზმის აშკარა სიტლანქე გულს უკლავდა გრძნობაფაქიზ ბავშვს. როდესაც ასე აქებდნენ რომელიმე მის საყვარელ ნაწარმოებს, ეგონა, თითქოს მას შეურაცხყოფდნენ, დაიძაბებოდა, გაფითრდებოდა, ცივ იერს მიიღებდა, თითქოს მუსიკა არ აინტერესებდა. შესძულდებოდა, რომ შეძლებოდა. მელქიორი ამბობდა:

— ამ ვაჟბატონს გული არა აქვს. არაფერსა გრძნობს. ვერ გამიგია, ვის დაემსგავსა.

ხანდახან ისინი მღეროდნენ გერმანულ სიმღერებს. ეს იყო ოთხხმიანი, ოთხტერფიანი, ერთფეროვანი, მძიმე, სულელურად ზვიადი და მუსიკალურად უხამსი სიმღერები. მაშინ კრისტოფი უშორეს ოთახში გარბოდა და მარტოდმარტო ანთხევდა ლანძღვას.

პაპასაც ჰყავდა თავისი მეგობრები: ორღანისტი, მეშპალერე, მესაათე და კონტრაბასზე დამკვრელი, — ენაჭარტალა მოხუცები, მუდამ რომ ერთსა და იმავე ხუმრობას იმეორებდნენ და ხელოვნების, პოლიტიკისა და საგვარეუ-

ლოთა გენეალოგიის შესახებ კამათობდნენ უსასრულოდ. არა იმის გამო, რომ ეს საკითხები აინტერესებდათ, არამედ ლაყბობის მოყვარულნი იყვნენ.

რაც შეეხება ლუიზას, იგი დაახლოებული იყო მხოლოდ ორიოდე მეზობლის ქალთან. იძათგან იგებდა უბნის ჭორებს. ძალზე იშვიათად რომელიმე „კეთილი ქალბატონი" შემოუვლიდა ლუიზას. ვიზიტის მიზანი ქველმოქმედება იყო, ვითომ სტუმარს აინტერესებდა ლუიზას შვილების რელიგიური აღზრდა, სინამდვილეში წვეულების მოწყობაში დამეხმარეო, სთხოვდა.

ყველაზე მეტად ძია თეოდორი ეჯავრებოდა კრისტოფს. თეოდორი პაპას გერი იყო, ჟან-მიშელის პირველი ცოლის, დიდედა კლარას შვილი. იგი მონაწილე იყო ერთი სავაჭრო დაწესებულებისა. ეს დაწესებულება აფრიკასა და შორეულ აღმოსავლეთში აწარმოებდა საქმეებს. თეოდორი ტიპიური წარმომადგენელი იყო იმ ახალი სტილის გერმანელებისა, რომლებიც ზიზღით დასცინოდნენ თავისი ერის ძველებურ იდეალიზმს და გამარჯვებით მთვრალნი ძალისა და წარმატების კულტს აღიარებდნენ. ეს კი ცხადყოფდა, რომ ეს მათთვის ახალი ხილი იყო. მაგრამ, რადგანაც ძნელია ხალხს უეცრად შეეცვალოს საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ხასიათი, დევნილი იდეალიზმი ყოველ წამს გამოსჭვივოდა თეოდორის საუბარსა. ქცევასა, მორალურ ჩვევებსა და ცხოვრების ყოველ წვრილმანზე გოეთეს ციტირებაში. ეს იყო სინდისისა და ანგარების უცნაური აღრევა, უცნაური ძალდატანება გერმანიის ძველი ბურჟუაზიის პატიოსნების პრინციპებისა და თანამედროვე მაღაზიის კონდოტიერების ციხიზმის შესათანხმებლად: ნარევი, რასაც პირმოთნეობის საკმაოდ საზიზღარი სუნი ასდიოდა. თეოდორის მსგავსი ხალხი ცდილობდა გერმანიის ძლიერება, სიხარბე და ანგარება ყოველგვარი უფლების, სამართლიანობისა და ჭეშმარიტების სიმბოლოდ გამოეცხადებინა.

კრისტოფს საშინლად მოსდიოდა გული. არ შეეძლო განესაჯა — მართალი იყო თუ არა ბიძამისი, მაგრამ ეზიზღებოდა იგი, მტრად მიიჩნევდა. არც პაპას უყვარდა თეოდორი და მისი თეორიებიც აღშფოთებდა, მაგრამ თეოდორი ადვილად ამარცხებდა მას კამათში და მოხუცის დიდსულოვან გულუბრყვილობას სასაცილოდ იგდებდა. ბოლოს ჟან-მიშელს თავისი გულკეთილობისა შერცხვებოდა და რაფა ეჩვენებინა, რომ არც ისე ჩამორჩენილი იყო, როგორც ეგონათ, თეოდორივით იწყებდა ლაპარაკს. ამას სიყალბის ელფერი დაჰკრავდა და თვითონაც გრძნობდა თუმცა, როგორადაც უნდა ეფიქრა, თეოდორს პატივს სცემდა პრაქტიკული სიმარჯვისათვის, და მით უფრო შურდა გერისა, რომ თავად სავსებით მოკლებული იყო ამ უნარს. ნატრობდა, მის რომელიმე შვილიშვილს მსგავსი მდგომარეობა ღირსებოდა. ეს იყო მელქიორის წადილიც, განზრახული ჰქონდა რუდოლფი ბიძის კვალზე გაეშვა.

ყველა ცდილობდა მდიდარი ნათესაკის გული მოეგო, რადგანაც მომავალში სარგებლობას გამოელოდნენ მისგან. ამას გრძნობდა თეოდორი და ბატონივით ეჭირა თავი, ყველაფერში ერეოდა, ყველაფერზე თავის აზრს გამოთქვამდა ხოლმე და არც ცდილობდა დაეფარა უკიდურესი ზიზღი ხელოვნებისა და ხელოვანთა მიმართ; პირიქით, უფრო ხაზგასმით ააშკარავებდა, რათა შეურაცხყოფა მიეყენებინა თავისი ნათესავებისათვის და ხან ერთსა და ხან მეორეს ბოროტად დასცინოდა: ისინი კი ლაჩრულად უღიმოდნენ.

განსაკუთრებით კრისტოფს ჩააცივდა თეოდორი. კრისტოფი მოუთმენელი იყო. ხმას არ იღებდა. კბილებს აღრჭიალებდა. მისი ყრუ მძვინვარება ართობდა ძიას. მაგრამ ერთხელ, სადილობისას, თეოდორმა მეტისმეტად შეაწუხა ბავშვი და გაშმაგებულმა კრისტოფმა სახეში შეაფურთხა. ეს ისეთი საშინელი და ჯაუგონარი შეურაცხყოფა იყო, რომ ძიას გაოცებისაგან ენა ჩაუვარდა, შემდეგ ქეტყველების უნარი დაუბრუნდა და გინების ნიაღვარი გადმოანთხია. თავისი აქციელით შეძრწუნებული კრისტოფი სკამზე გაქვავდა და ვერც კი გრძნობდა მუშტებს, სეტყვასავით რომ დააყარეს. მაგრამ როდესაც ბიძამისის წინ დასაჩოქებლად წაათრიეს, გაძალიანდა, ხელი ჰკრა დედას და შინიდან გაიქცა. არ გაჩერებულა, ვიდრე სუნთქვა არ შეუგუბდა. შორიდან ძახილი ესმოდა, ფიქრობდა—უმჯობესი ხომ არაა წყალში გადავვარდე, რაკი მტრის გადაგდება არ შეიძლიაო. ღამე მინდორში შეაატარა. გარიჟრაჟზე მიუკაკუნა პაპის სახლს. მოხუცი კრისტოფის დაკარგვით ისე შეწუხებულიყო, რომ თვალი არ მოეხუჭა და ძალა არ ეყო გაჯავრებოდა; შინ წაიყვანა. იქაც არაფერი უთქვამთ, ხვდავდნენ — მეტისმეტად აღგზნებული იყო ბავშვი. უნდა გაფრთხილებოდნენ. საღამოს სასახლეში უკრავდა. მაგრამ მელქიორი რამდენიმე კვირა გულს უწყალებდა უმისამართო ჩივილი, რომ უღირს არსებათათვის წვალობს და ამაოდ იძლევა უმწიკვლო ცხოვრებისა და კარგი ქცევის მაგალითებს. ხოლო ძია თეოდორი ქუჩაში შეხვედრისას თვალს არიდებდა და ცხვირს დაუფარავი ზიზღით იბზეკდა.

რაკი სიყვარულს ვერ ნახულობდა, ცდილობდა იშვიათად ყოფილიყო შინ. იტანჯებოდა იმის გამო, რომ გამუდმებით აიძულებდნენ უამრავი რამისა და ვინმესათვის ეცა პატივი, ხოლო შეკამათების ნებას არ რთავდნენ. კრისტოფს კი პატივისცემის ფხა არ გააჩნდა. რაც უფრო ცდილობდნენ მოერჯულებინათ და პატარა გერმანელ ბურჟუად ექციათ, მით უფრო წყუროდა ბიჭს თავისუფლება. ორკესტრსა და სასახლეში გატარებული მოსაწყენი, მძიმე, მომაკვდინებელი საათების შემდეგ სიამოვნებდა ბალახში კვიცივით კუნტრუში, ახალი შარვლით ფერდობის მოლზე სრიალი ანდა უბნის ანცებთან ქვის სროლა. და თუ ხშირად არ სჩადიოდა ამას, არა ცემისა და საყვედურების ში-

შით, არამედ იმიტომ, რომ ამხანაგები არა ჰყავდა, სხვა ბავშვებთან გაერთპირებას ვერ ახერხებდა. არც ქუჩის ბიჭებს უყვარდათ მასთან თამაში, რადგან იგი ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა თამაშს და გამეტებით ურტყამდა თავის ტოლებს. კრისტოფიც შეეჩვია მარტოობას, თავისი ასაკის ბავშვებისაგან განზე დგომას. ერცხვინებოდა, რომ კარგად ვერ თამაშობდა და ვერ ბედავდა გარეულიყო ბავშვებში თავს ისე აჩვენებდა, თითქოს არ აინტერესებდა, თუმცა სურვილით იწვოდა, — ნეტავი სათამაშოდ მიმიწვიონო; მაგრამ არ ეძახდნენ და დანაღვლიანებული, გულგრილი გამომეტყველებით შორდებოდა მათ.

როდესაც ძია გოტფრიდი ჩამოვიდოდა, მასთან ერთად ხეტიალით ინუგეშებდა თავს. სულ უფრო და უფრო უმეგობრდებოდა. მოსწონდა მისი დამოუკიდებელი ხასიათი. ახლა კარგად ესმოდა, რად სიამოვნებდა გოტფრიდს სხვადასხვა ქვეყანაში თავისუფლად ხეტიალი. ხშირად საღამოობით უმიზნოდ, უგზოუკვლოდ მიაბიჯებდნენ ერთად მინდვრებში. გოტფრიდს დრო ავიწყდებოდა, გვიან ბრუნდებოდნენ და ამის გამო უჯავრდებოდნენ ხოლმე. რარიგ სასიხარულო იყო გაპარვა ღამით, როცა ყველას ეძინა. გოტფრიდს ესმოდა, ეს ცუდი იყო, მაგრამ კრისტოფი ეხვეწებოდა და თვითონაც ვერ უძლებდა ცდუნებას. შუაღამისას მოვიდოდა და დათქმისამებრ დაუსტვენდა. კრისტოფი ჩაცმული იწვა, ლოგინიდან ჩამოცურდებოდა, ფეხსაცმელს ხელში აიღებდა და სუნთქვაშეკრული, ველურის სიფრთხილით გაცოცდებოდა სამზარეულოს ფანჯრისაკენ. ეს ფანჯარა ქუჩაში გადიოდა. მაგიდაზე შედგებოდა, მეორე მხრიდან გოტფრიდი შეაგებებდა მხრებს და მოწაფეებივით ბედნიერნი გაეშურებოდნენ სასეირნოდ.

ზოგჯერ გოტფრიდის მეგობარს, მეთევზე იერემიას ეწვეოდნენ და ნავით დასეირნობდნენ მთვარის შუქზე. ნიჩბებიდან პატარა არპეჯიოებივით ქრომატულ გამებად ცვივოდა წვეთები. მდინარის ზედაპირზე რძისფერი ნისლი თრთოდა. ვარსკვლავები კიაფობდნენ. მამლები ერთი ნაპირიდან მეორეზე გასძახოდნენ ერთმანეთს, ხოლო მაღალი ციდან მთვარის სინათლით მოტყუებულ და მიწიდან ავარდნილ ტოროლას ჭიკჭიკი შემოესმოდათ ზოგჯერ, ყუჩდებოდნენ. გოტფრიდი ხმადაბლა დაიღიღინებდა. იერემია უამბობდა უცნაურ ამბებს ცხოველთა ცხოვრებიდან, იდუმალი ხმით ლაპარაკობდა და ამის გამო კიდევ უფრო საოცარი იყო ნაამბობი. მთვარე ტყეს მოეფარებოდა. გორაკთა ჩრდილი გადმოწვებოდა. ცა და წყალი ჩაბნელდებოდა. მდინარე მდორედ მილივლივებდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ნავი სიბნელეში მისრიალებდა. იძვროდა კი? მიცურავდა კი? თუ უძრავი იდგა?.. აბრეშუმივით შრიალებდა ლელი. ნაპირს უხმაუროდ მიადკეებოდნენ, ჩამოვიდოდნენ და ფეხით ბრუნდებოდნენ

შინ. გარიჟრაჟზეღა მიაღწევდნენ სახლს. მდინარის ნაპირს მიჰყვებოდნენ. ვერცხლისფერი, ჯეჯილივით მწვანე და ძვირფასი თვალივით ლურჯი თევზები დასრიალებდნენ წყალში განთიადის პირველ სხივებზე. თევზთა ქარავნები დაფუთფუთობდნენ, გადასროლილ პურის ნამცეცებს ხარბად ეცემოდნენ, ძირს მიჰყვებოდნენ, სპირალურად დასტრიალებდნენ ირგვლივ; შემდეგ სინათლის სხივივით ქრებოდნენ ერთბაშად. მდინარეს მსუბუქი ვარდისფერი და ისფერი გადაეკვროდა. ჩიტები იღვიძებდნენ. მაშინ ისინი ფეხს აუჩქარებდნენ. კრისტოფი ისეთივე სიფრთხილით შედიოდა დახუთულ ოთახში, როგორც გამოდიოდა, ლოგინში წვებოდა ძილმორეული და მინდვრების სურნელებით გაჟღენთილი მაშინვე ჩაიძინებდა.

ყველაფერი კარგად იყო და ვერავინ ვერას შეამჩნევდა, რომ ერნსტს. უმცროს ძმას, არ დაესმინა, კრისტოფი შინიდან იპარებაო. ამ დღიდან ღამით სეირნობა აუკრძალეს. თვალყურს ადევნებდნენ. მაინც ვერ აკავებდნენ. პატარა მეწვრილმანესა და მის მეგობრებს ყოველგვარ საზოგადოებაზე მაღლა აყენებდა კრისტოფი. შინაურები აღშფოთებულნი იყვნენ. მელქიორი ეუბნებოდა, მდაბიური გემოვნება გაქვსო. მოხუცი ჟან-მიშელი ეპვიანობდა კრისტოფსა და გოტფრიდის მეგობრობის გამო და ბავშვს აგონებდა, ვულგარულ საზოგადოებაში ტრიალი სიმდაბლეა, მაშინ როდესაც დიდკაცების მახლობელი და მსახური ხარო. ყველა ფიქრობდა, კრისტოფმა თავისი თავის ყადრი არ იცისო.

მიუხედავად გაჭირვებისა, რასაც მელქიორის უგუნურებისა და სიზარმაცის გამო განიცდიდნენ, ცხოვრება კიდევ გასაძლისი იყო, სანამ ჟან-მიშელი ჰყავდათ. მხოლოდ მასღა ჰქონდა მცირეოდენი გავლენა თავის ვაჟზე, იგიც აკავებდა ცოტათი, თორემ მელქიორი თავის ბიწიერებას გადაჰყვებოდა საკვლებით. საყოველთაო პატივისცემა, რითაც ჟან-მიშელი სარგებლობდა, ავიწყებინებდა ხალხს მისი ლოთი შვილის საქციელს. მოხუცებული ცოტაოდენი ფულითაც ეხმარებოდა ოჯახს. გარდა უმნიშვნელო პენსიისა, რომელსაც მას აძლევდნენ როგორც ყოფილ დირიჟორს, მცირე თანხას მუსიკის გაკვეთილებითა და პიანინოს აწყობით შოულობდა და უმეტეს ნაწილს რძალს აძლევდა, რადგანაც მის გაჭირვებას კარგად ხედავდა, თუმცა ლუიზა ცდილობდა დაეშალა ეს მამამთილისათვის. ლუიზა წუხდა, ფიქრობდა, ჩვენ გამო ბევრ რამეს იკლებსო, მით უფრო, რომ მოხუცი ხელგაშლილ ცხოვრებას იყო დაჩვეული და მეტი მოთხოვნილება ჰქონდა. ზოგჯერ ესეც არ იყო საკმაო და გადაუდებელი ვალის გადასახდელად მოხუცი ჟან-მიშელი იძულებული ხდებოდა ფარუ-

ლად გაეყიდა ავეჯი ან წიგნები. მელქიორმა იცოდა. მამამისი ფულს აძლევდა ლუიზას და ხშირად ამ ფულში წილს დაიდებდა, მიუხედავად ლუიზას წინააღმდეგობისა. როდესაც მოხუცი ამას შეიტყობდა (არა ლუიზასაგან — იმან თავის ჭირ-ვარამის დამალვა იცოდა — არამედ რომელიმე შვილიშვილისაგან), საშინლად ბრაზდებოდა და შვილს გააფთრებით ეჩხუბებოდა. ორივე საოცრად ფიცხი იყო და მაშინვე ლანძღვა-გინებასა და მუქარაზე გადადიოდნენ. გეგონებოდათ, ეს-ესაა გაარტყამენ ერთმანეთსო. მაგრამ სიბრაზეშიაც კ· გადაულახავი რიდი აკავებდა მელქიორს და, რაც უნდა მთვრალი ყოფილიყო, ბოლოს ქედს მოიდრეკდა მამის წინაშე. თავჩაქინდრული უსმენდა დამაცირებელ ლანძღვასა და ყვედრების ნიაღვარს. მაგრამ როგორც კი შემოხვევა მიეცემოდა, მელქიორი ძველებურად იქცეოდა. მომავალზე ჩაფიქრებულ ჟან-მიშელს მძიმე სადარდებელი დაუფლებოდა.

— საწყალო ბავშვებო, — ეუბნებოდა ლუიზას, — რა მოგივათ, მე რომ არ გეყოლებით! საბედნიეროდ, — დაურთავდა და ქრისტოფს მოეფერებოდა, — მანამდე გავძლებ, ვიდრე ეს თქვენ რჩენას შეძლებდეს.

მაგრამ ანგარიში შეეშალა. მისი ცხოვრების გზა დასასრულს მიუახლოკდა. ვერავინ იფიქრებდა ამას. ჭარმაგად გამოიყურებოდა. ოთხმოც წელს გადაცილებულს თმა არ გათხელებოდა — ალაგ-ალაგ ჭაღარა ფაფარი ამშვენებდა, ხოლო სქელი წვერი მხოლოდ სანახევროდ გათეთრებოდა. ათიოდე კბილიღა შერჩენოდა, მაგრამ შესანიშნავად ხმარობდა მათ. ისე ჭამდა, შეხედვა გესიამოვნებოდათ. კარგი მადა ჰქონდა. და თუმცა მელქიორს უსაყვედურებდა — რაღ სვამო. თავადაც ბევრსა სვამდა. ყველას მოზელის თეთრ ღვინოს ამჯობინებდა. ღვინო იქნებოდა, ლუდი თუ სიდრი — ღვთის მიერ ბოძებულს ყველაფერს ეტანებოდა, თუმცა მისი ზომა იმოდენა იყო, რომ მის სასმისში უფრო სუსტი გონება უცილობლად ჩაიხრჩობოდა. მგლის მუხლი ჰქონდა, არწივის თვალი, დაუცხრომელი იყო. შვიდ საათზე დგებოდა და გულმოდგინედ მოირთვებოდა — გარეგნობაზე ფრიად ზრუნავდა, თავის თავს დიდად სცემდა პატივს, მარტო ცხოვრობდა და თვითონ იკეთებდა ყველაფერს. თავის საქმეებში სხვის ჩარევას ვერ იტანდა თავად ალაგებდა ოთახს, იმზადებდა ყავას, იკერებდა ღილებს, ტანსაცმელს, პერანგისამარა დადიოდა მთელ სახლში, განუწყვეტლივ ღიღინებდა თავისი მეღერი ბანით და სიმღერას თეატრალურ ჟესტებს აყოლებდა. შემდეგ შინიდან გავიდოდა. რაგვარი დარიც უნდა ყოფილიყო, თავის საქმეებზე მიდიოდა და არც ერთი არ ავიწყდებოდა: ხანდახან იგვიანებდა: ხშირად შეხვდებოდით საღმე ქუჩაში ვინმე ნაცნობთან მოკამათეს ან გახუმრებულს რომელიმე მეზობლის ქალთან, ვის გარეგნობასაც მისი ყურადღება მიექცია. ერთნაირად უყვარდა ლამაზი, ქორფა ქალიშვილები და ძველი

მეგობრებიც. ასე ერთობოდა, არ დარდობდა, ვაითუ დამაგვიანდესო, მაგრამ სადილზე არასოდეს აგვიანდებოდა სადილობდა, სადაც მოახელთებდა, ზოგჯერ ძალად აპატიჟებინებდა თავს. შებინდებისას ბრუნდებოდა შინ, შვილიშვილებთან კარგა ხნის თამაშის შემდეგ. დაწვებოდა, ძილის წინ თავის ძველ ბიბლიას კითხულობდა და ღამითაც დგებოდა (გაბმით ერთი ან ორი საათი ეძინა მხოლოდ), თავის ბიბლიოთეკიდან რომელიმე ისტორიულ, თეოლოგიურ, ლიტერატურულ თუ სამეცნიერო წიგნს წამოავლებდა ხელს. პირველსავე მოხვედრილ ადგილს კითხულობდა — არას დაგიდევდათ, საინტერესო იყო თუ მოსაწყენი, გასაგები იყო თუ გაუგებარი, ოღონდ ერთ სიტყვასაც არა ტოვებდა, ვიდრე ძილი არ შეიპყრობდა ისევ. კვირაობით წირვაზე დადიოდა, ბავშვებს დასეირნებდა. ბირთვს თამაშობდა. არასოდეს არ ავადმყოფობდა, თუ არ გავიხსენებთ ნიკრისის ქარებისაგან ფეხის თითების ტკივილს. ეს ღამღამობით, ბიბლიის კითხვისას, თავბედს აწყევლინებდა. თითქოს ას წლამდე უნდა. მიეღწია და თვითონაც ამის იმედი ჰქონდა. როდესაც უწინასწარმეტყველებდნენ, ასი წლისა თუ გარდაიცვლებიეთო, ერთი სახელოვანი მოხუცივით ფიქრობდა — განგების სიკეთის განსაზღვრა არ იქნებაო. მოხუცებულობას იმითღა შეატყობდით, რომ უფრო ადვილად ერეოდა ცრემლი და დღითი დღე უფრო ფიცხი ხდებოდა. მცირე უსიამოვნებაც გააშმაგებდა, მწითური სახე და მოკლე კისერი წამოეჭარხლებოდა, აბუყბუყდებოდა და სულშეხუთული იძულებული იყო დაჩუმებულიყო. ოჯახის ექიმი, ძველი მეგობარი, აფრთხილებდა, თავს მიხედე, სიბრაზესა და უზომო ჭამას უკეთო. მაგრამ ბებრული სიკერპისა და ბაქიობის გამო უფრო ნაკლებ უფრთხილდებოდა თავს: დასცინოდა მედიცინასა და ექიმებს. თავი ისე ეჭირა, თითქოს არად აგდებდა სიკვდილს და სიტყვას არ ზოგავდა იმის დასამტკიცებლად. რომ სრულებითაც არ ეშინოდა მისი.

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს ნასვამი და ნაპაექრევი მოხუცი შინ დაბრუნდა და ბაღში რაღაცას აკეთებდა: მიწის ჩიჩქნა უყვარდა. თავშიშველი, კამათით გაღიზიანებული ფიცხად თოხნიდა მზვარეში. კრისტოფი თალარქვეშ იჯდა წიგნით ხელში, მაგრამ არ კითხულობდა: ოცნებობდა, ჭრიჭინობელათა რულისმომგვრელ ზუზუნს უსმენდა და უგულისყურო ად ეენებდა თვალყურს პაპას. მოხუცი მისკენ ზურგშექცევით იდგა, დახრილიყო და სარეველა ბალახებს გლეჯდა. უეცრად წამოიმართა, ხელები ჰაერში გაასავსავა და ძირს დაეცა გულდაღმა. კრისტოფს ჯერ გაცინება უნდოდა, მაგრამ მოხუცი არ იძვროლა. მაშინ დაუძახა, მასთან მიირბინა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეანჯღრია. შიშმა შეიპყრო. ჩაიმუხლა და შეეცადა მიწიდან აეწია პაპის უზარმაზარი თავი. თავი ისე მძიმე იყო და ბიუს ხელები ისე უთრთოდა, რომ ძლივსღა შეანძრია. მაგრამ როდესაც გადმოკარკლული, ჩასისხლიანებული თვალები დაინახა, შეძრ-

წუნდა, თავი ხელიდან გააგდო და შემზარავად შეჰყვირა. წამოხტა, გაიქცა და გარეთ გავარდა. ყვიროდა და ქვითინებდა. გზაზე უცნობმა გამვლელმა შეაჩერა. კრისტოფს ხმის ამოღება არ შეეძლო, მხოლოდ სახლზე მიუთითა. კაცი შეავიდა, კრისტოფი უკან გაჰყვა მას. მეზობლებსაც გაეგონათ ბიჭის ყვირილი და მოვარდნენ. ბაღი ხალხით აივსო. ყვავილები გადაქელეს, მოხუცის ირგვლივ შეგროვდნენ, წრიალებდნენ, ყვიროდნენ. ორმა თუ სამმა კაცმა ასწია სხეული. კრისტოფი შესასვლელთან იდგა კედლისაკენ მიბრუნებული და სახე მკლავებით დაეფარა, პაპისათვის ვერ შეეხედა, ეშინოდა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და როდესაც პაპა მის ახლოს გაატარეს, მოხუცის უძრავ, მორჩილ სხეულს შეხედა. ხელები მიწაზე მისთრევდა, თავი ყოველ ნაბიჯზე ქანაობდა, სახე წამოსიებებოდა, დასისხლიანებოდა, ტალახით დასვროდა, პირი დაეღო და საშინელი თვალები ჰქონდა. კრისტოფმა ისევ დაიღრიალა და გაიქცა. თავის სახლამდე არ შეჩერებულა, თითქოს ვიღაც მოსდევდა. საზარელი ყვირილით შევარდა სამზარეულოში. ლუიზა მწვანილს არჩევდა. ბავშვი დედას მივარდა და სასოწარკვეთილი მოეხვია. სახე ქვითინისაგან ეკრუნჩხებოდა და ლაპარაკი უჭირდა. მაგრამ პირველი სიტყვის გაგონებისთანავე ლუიზა მიხვდა, გაფითრდა, მწვანილი ხელიდან დასცვივდა და უსიტყვოდ გავარდა შინიდან.

კრისტოფი მარტო დარჩა, პარადასთან მიიყუჟა და ცრემლსა ღვრიდა. იქვე ძმები თამაშობდნენ. მან კარგად არც იცოდა რა მოხდა და პაპა კი არ
და, იმ საშინელ სახეზე ფიქრობდა, ახლახან რომ ნახა. ეშინოდა — არ მაიძულონ და ისევ იქ არ წამიყვანონ, ის არ მანახონო.

მართლაც, საღამოს. როცა მთელი დღის ანცობით დაღლილმა პატარებმა წუწუნი ატეხეს — მოგეწყინდა და გვშიაო, სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა ლუიზა, მათ ხელი ჩასჭიდა და პაპასთან წაიყვანა. დედა ძალზე სწრაფად მიდიოდა და ერნსტმა და რუდოლფმა ჩვეულებისამებრ ბუზღუნი დაიწყეს, მაგრამ ლუიზამ ისე უბრძანა, დაჩუმდითო, ხმა ჩაიკმიდეს: ბავშვები ინსტინქტურმა შიშმა შეიპყრო: შესვლისას ტირილი მორთეს. ჯერ სავსებით არ დაბნელებულიყო, დაისის უკანასკნელი სხივები უცნაურად ანათებდა სახლს, კარის რაზას, ნახევრად ბნელ წინა ოთახში კედელზე დაკიდებულ ვიოლინოს. პაპას ოთახში სანთელი ენთო. მოპარპალე ალი ებრძოდა მიმქრალი ღღის სინათლეს, ამიტომაც ოთახში ჩამოწოლილი ბინდბუნდი უფრო სულისშემსუთველი იყო. ფანჯარასთან მიმჯდარი მელქიორი ხმამაღლა ქვითინებდა. საწოლზე გადახრილი ექიმი ეარპვდა პაპას. კრისტოფს საშინლად აუძგერდა გული. ლუიზამ საწოლის ფეხთან დააჩოქა ბავშვები. კრისტოფმა გაბედა და აიხედა. იგი ნაშუადღევს ნანახის შემდეგ ისეთ საშინელებას ელოდა, რომ თვალი შეავლო თუ არა პაპას, თითქმის დამშვიდდა. ჟან-მიშელი უძრავად იწვა და თითქოს ეძინა. ერთ წამს ბავშვმა

იფიქრა. პაპა მორჩენილაო, მაგრამ როცა მისი შეგუბული სუნთქვა შეესმა და კარგად დააკვირდა მის შესივებულ და დაცემისას დაჟეჟილ, ფართო იისფერი ლაქებით დაფარულ სახეს, მიხვდა — სიკვდილი მოახლოვებიაო და კანკალმა აიტანა: დედასთან ერთად ხმამაღლა ლოცულობდა პაპის მორჩენისათვის და გულის სიღრმეში ღმერთს ევედრებოდა — თუ არ განიკურნება, მალე მოკვდესო. აძრწუნებდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

დაცემის შემდეგ მოხუცი გონს აღარ მოსულა. მხოლოდ ერთხელ მოვიდა ვონს და მიხვდა, რა დღე ადგა. ეს საზარელი წუთი იყო. მღვდელი იქვე იდგა და სულთმობრძავის ლოცვას კითხულობდა. მოხუცი ბალიშზე წამოსწიეს, მან ძძიმედ ახილა თვალები, რომლებიც თითქმის აღარ ემორჩილებოდნენ, ამოიხვნეშა, გამოიხედა, უაზროდ შეავლო თვალი ოთახში მყოფთ, სანთელს და უცბად პირი დააღო; გამოუთქმელი ძრწოლა დაეტყო სახეზე.

— მაშ... — ამოიბლუკუნა მან, — მაშ, ვკვდები.

მისმა საშინელმა ხმამ გული გაუგმირა კრისტოფს და სამუდამოდ დაამახსოვრდა იგი. მოხუცს მეტი არაფერი უთქვამს, პატარა ბავშვივით ასლუკუნდა. შემდეგ გაშეშდა, სუნთქვა უფრო გაუძნელდა, აკვნესდა, ხელები აამოძრავა, თითქოს სიკვდილის ძილს ებრძვისო. სანახევროდ გონდაკარგულმა ერთხელ ამოიგმინა.

— დედა!

ო, რა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ამან ბავშვზე. მოხუცი კაცი ლუღლუღით, მწუხარედ უხმობდა დედას (კრისტოფიც ასე მოიქცეოდა), დედას, უკანასკნელ და ამაო იმედს, დედას, რომელიც არასოდეს მოჰგონებია აქამდე და ინსტინქტურად დაუძახა უდიდესი შეძრწუნების ჟამს! თითქოს დამშვიდდა ერთი წუთით, გონების გამონაკრთომი დაეტყო. მძიმე, ამღვრეული თვალებით მიაჩერდა შიშით გათანგულ ბავშვს. შეეცადა გაეღიმა და რაღაც ეთქვა. ლუიზამ ხელი მოჰკიდა კრისტოფს და საწოლს მიუახლოვდა ჟან-მიშელმა ტუჩები აიცმაცუნა და სცადა თავზე ხელი მოეთათუნებინა, მაგრამ მაშინვე გონება დაკარგა.

ბავშვები მეორე ოთახში გაიყვანეს, მათთვის არ ეცალათ. თავზარდაცემული კრისტოფი კარის ღრიჭოდან ბალიშზე გადასვენებულ სახეს უყურებდა. მოხუცი გალურჯდა, თითქოს ვიღაც ყელში სწვდა და აშთობსო. თანდათან გაქვავდა, არარაობას ბიერთო. საზიზღარი ხრიწინი — წყლის ზედაპირზე აბუყბუყებული ბუშტების ხმის მსგავსი; სიცოცხლეს ჩაჭიდებული სხეულის უკანასკნელი ვაბრძოლება, როცა სული წასულია უკვე. ბოლოს თავი ჩამოუცურდა ბალიშიდან. მიწყდა ყოველივე.

მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ ქვითინსა, ლოცვასა და სიკვდილით

გამოწვეულ არეულობაში ლუიზამ თვალი მოჰკრა გაფითრებულ, თვალებგადმოკარკლულ, ტუჩებდაღმეჭილ ბავშვს. კრისტოფი მოკრუნჩხული ჩასჭიდებოდა კარის სახელურს. დედა მისკენ გაიქცა. ბავშვს გული შეუღონდა მის მკერდზე. დედამ წაიყვანა. კრისტოფი თავის ლოგინში გამოფხიზლდა. შიშისაგან ატირდა, როცა წუთით მიატოვეს და ისევ წაუვიდა გული. მთელი ღამე და მეორე დღეს აბაბანებდა. ბოლოს დამშვიდდა და ღამე ღრმად ჩაიძინა, შუადღემდე ეძინა. ეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც დადიოდა ოთახში, თითქოს დედა იხრებოდა მისკენ და ეხვეოდა, ეგონა, ზარების ნაზი და შორეული რეკვა მესმისო. მაგრამ განძრევა არ უნდოდა, ძილ-ღვიძილში იყო.

როდესაც თვალი გაახილა, საწოლთან ჩამომჯდარი ძია გოტფრიდი დაინახა. კრისტოფი მოთენთილი იყო და არაფერი ახსოვდა. შემდეგ მოაგონდა და ტირილი აუვარდა. გოტფრიდი წამოდგა და მოეხვია.

— კარგი, ჩემო პატარავ, კარგი! — უთხრა ნაზად.

— აჰ, ძია, ძია! — ზლუქუნებდა ბავშვი და ეკვროდა მას.

— იტირე, — უთხრა გოტფრიდმა, — იტირე!

თვითონაც ტიროდა.

როცა ოდნავ მოეფონა გულს, კრისტოფმა თვალები ამოიწმინდა და გოტფრიდს შეხედა. გოტფრიდი მიხვდა, რაღაც უნდა მკითხოსო.

— ნუ, — თქვა მან და თითი ტუჩებზე მიიდო,—ლაპარაკი არაა საჭირო. ტირილი კარგია, ლაპარაკი არ ვარგა.

ბავშვი ისევ აპირებდა რაღაცის კითხვას.

— არ გიშველის.

— მხოლოდ ერთსა გკითხავ, ერთს!..

— რას?

კრისტოფი შეყოყმანდა.

— ბიძია, სადაა იგი ახლა?

გოტფრიდმა მიუგო:

— ღმერთთანაა, ჩემო ბიჭიკო.

მაგრამ ეს არ უკითხავს კრისტოფს.

— არა, ვერ გამიგე; სადაა იგი თვითონ?

(უნდოდა ეკითხა — სადაა მისი სხეულიო).

შემდეგ მთრთოლარე ხმით დასძინა:

— ისევ შინაა?

— ამ დილით დაასაფლავეს, — უპასუხა გოტფრიდმა, — ზარების ხმა არ გაგიგონია?

კრისტოფი დაწყნარდა. შემდეგ გაიფიქრა, რომ ვერასოდეს იხილავდა პაპას და ისევ მწარედ ატირდა.

— ჩემო საბრალო ბიჭუნა! — გაიმეორა გოტფრიდმა და თანაგრძნობით შეხედა ყმაწვილს.

კრისტოფს უნდოდა ბიძას ენუგეშებინა, მაგრამ გოტფრიდს არც უცდია, იცოდა, ამაო იქნებოდა.

— ძია გოტფრიდ, — ჰკითხა ბავშვმა, — შენ კი არ გეშინია ამისა. (როგორ უნდოდა, რომ გოტფრიდს არ შინებოდა და ბიჭის შიში გაებათილებინა).

მაგრამ გოტფრიდი ჩაფიქრდა.

— ჩუ! — თქვა ათრთოლებული ხმით. — როგორ არ უნდა მეშინოდეს, — განაგრძო წუთის შემდეგ. — მაგრამ რას იზამ? ასეა. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ.

კრისტოფმა აღშფოთებით გააქნია თავი.

— რას ვიზამთ, ჩემო ბიჭიკო, — გაიმეორა გოტფრიდმა, — ასე ინება ღმერთმა. უფლის ნებას ვერვინ გადავა.

— მე მძაგს იგი! — წამოიძახა მძულვარებით კრისტოფმა და მუშტით დაეცუქრა ზეცას.

განცვიფრებულმა გოტფრიდმა ჩააჩუმა. კრისტოფს თავადაც შეეშინდა თავისი ნათქვამისა და გოტფრიდთან ერთად ლოცვა დაიწყო, მაგრამ მკერდი უშფოთავდა და როდესაც მორჩილების სიტყვებს იმეორებდა, გულის სიღრმეში მხოლოდ მძაფრ აღშფოთებასა და ზიზღსა გრძნობდა სიკვდილის გამჩენის — ამ საძაგელი და საზარელი არსების მიმართ.

დღეთა და წვიმიან ღამეთა რიგმა ვადაიარა ახლად გათხრილ მიწაზე, სადაც საბრალო, მიტოვებული ჟან-მიშელი იწვა. თავდაპირველად - მელქიორმა ბევრი იტირა, იქვითინა, მაგრამ ერთი კვირაც არ გასულიყო. რომ კრისტოფმა გაიგონა მისი გულიანი სიცილი. როდესაც მასთან განსვენებულის სახელს ახსენებდნენ, სახე ჩამოუგრძელდებოდა და მკმუნვარე იერი მიეცემოდა, მაგრამ წუთის შემდეგ გაცხარებულ ლაპარაკსა და ხელების ქნევას მოჰყვებოდა ისევ. გულწრფელად შეწუხებული იყო, მაგრამ მწუხარებას თავს ვერ უდებდა.

ბედის მორჩილი ლუიზა ამ უბედურებასაც ისე შეხვდა, როგორც სხვას. თავის ყოველდღიურ ლოცვებს ერთიც მიუმატა, ყოველდღე დადიოდა სასაფლაოზე და საფლავზე ზრუნავდა, თითქოს ესეც მისი საქმიანობის ნაწილი იყო.

გოტფრიდი გულისამაჩუყებლად უვლიდა მიწის პატარა ნაჭერს, სადაც მოხუცს ეძინა. ყოველ ჩამოსვლისას რაიმეს ჩამოიტანდა. თავის გაკეთებულ

ჯვარს ან ჟან-მიშელის საყვარელ ყვავილებს. არასოდეს არ ივიწყებდა საფლავს. და ფარულად ამკობდა მას.

ლუიზას ზანდახან კრისტოფიც დაჰყავდა სასაფლაოზე. კრისტოფს ეზიზღებოდა სასაფლაო, ჟრუანტელს ჰგვრიდა ყვავილებით და ხეებით შემოსილი მიწა და მძიმე სუნი, მზისკენ რომ ადიოდა ახმაურებული კვიპაროსების სუნთქვასთან აღრეული. მაგრამ ვერ ბედავდა ზიზღის გამომჟღავნებას. სულმდაბლობად და მკრეხელობად მიაჩნდა ეს. ძალზე უბედური იყო. პაპის სიკვდილზე განუწყვეტლივ ფიქრობდა. თუმცა კარგა ხანია იცოდა, რა იყო სიკვდილი, კარგა ხანია ფიქრობდა სიკვდილზე და ეშინოდა, მაგრამ არასოდეს არ ენახა. ვინც პირველად იხილავს სიკვდილს, შეიგნებს, რომ მანამდე არა სცოდნია რა არც სიკვდილისა და არც სიცოცხლისა; ყველაფერი ერთბაშად გამოიცვალა. გონება აქ ვერაფერს გიშველის. თუ კაცს ეგონა, ვცოცხლობ, ცხოვრების გამოცდილება მაქვსო, დაინახავს, რომ არა სცოდნია რა, რომ თვალებზე გონების მიერ მოქსოვილი ილუზიის ფარდა ეფარა და სინამდვილის საშინელ სახეს უმალავდა. არაფერია საერთო ტანჯვის იდეასა და სისხლდაცლილ, ტანჯულ არსებას შორის; არაფერია საერთო სიკვდილის იდეასა და მომაკვდავი, სულთმობრძავი ადამიანის კრუნჩხვას შორის. ადამიანის ენა და სიბრძნე ტაკიმასხარობაა დამაბრმავებელი სინამდვილის და პირქუში სანახაობის, ტალახისა და სისხლისაგან შედგენილი არსების წინაშე, რომელიც სასოწარკვეთით ამაოდ ეჭიდება სიცოცხლეს, მაგრამ დღითი დღე ნელ-ნელა იხრწნება.

დღითა და ღამით ამაზე ფიქრობდა კრისტოფი. სულთმობრძავის სახე არ შორდებოდა, მოესმოდა საშინელი სუნთქვა, ყოველღამ ესიზმრებოდა პაპა მთელი ბუნება შეიცვალა თითქოს. თითქოს მას ყინულოვანი ნისლი შეეხო ყოველი მხრიდან, საითაც უნდა მიბრუნებულიყო, ბრმა და უძლეველი მხეცის სუნთქვასა გრძნობდა. რომ ამ ზარდამცემი და მმუსრავი ძალის ხელთ იყო და არაფერი შეეძლო. მაგრამ ეს გრძნობა კი არ ქენჯნიდა, არამედ აღშფოთებითა და მძულვარებით აგზნებდა. არ ემორჩილებოდა, თავდაღუნული უტევდა შეუცნობელს და თუმცა, ვინ იცის, მერამდენედ, შუბლით ეხეთქებოდა გაუვალ კედელს და რწმუნდებოდა, უძლური ვარო. მაინც არ იშლიდა და ებრძოდა ტანჯვას. ამიერიდან მისი ცხოვრება წარმოადგენდა განუწყვეტელ ბრძოლას ბედისწერასთან. მას არ შეეძლო დამორჩილება.

ცხოვრების სიმკაცრემ ამ აკვიატებულ აზრებს ჩამოაცილა მისი ყურადღება. გაღატაკებისაგან ჟან-მიშელი იფარავდა ოჯახს. იგი გარდაიცვალა თუ

არა, კრაფტებს დახმარების წყარო დაეშრიტათ და სიღატაკე შემოვიდა ოჯახში.

მელქიორიც უწყობდა ხელს ამას. არათუ მუშაობას უმატა, სრულიად მიეცა ბიწიერებას, როგორც კი შემზღუდველი ზედამხედველობისაგან განთავისუფლდა. თითქმის ყოველ საღამოს მთვრალი მოდიოდა. ჯამაგირი შინ არ მოჰქონდა. გაკვეთილები დაკარგა. ერთხელ გალეშილი გამოცხადებულიყო ერთ მოწაფესთან და ამის შემდეგ ყველა სახლის კარი დაიკეტა მისთვის. ორკესტრში მამამისის ხსოვნას სცემდნენ პატივს და უთმენდნენ. ლუიზა თრთოდა — ვაითუ დაითხოვონო. უკვე რამდენჯერმე სერიოზულად გააფრთხილეს — რადგან არა ერთხელ წარმოდგენის დამთავრებისას გამოცხადდა სამუშაოზე. ერთიორჯერ სულ დაავიწყდა მისვლა. რასაც იგონებდა მთვრალი, როცა რაიმე სისულელის თქმის ან ჩადენის დაუძლეველი სურვილი შეიპყრობდა. ერთ საღამოს ვაგნერის „ვალკირიების“ რომელიღაც მოქმედების მიმდინარეობისას თავისი დიდი სავიოლინო კონცერტის დაკვრა მოესურვა. ძლივს გადაათქმევინეს ორკესტრანტებმა. ზოგჯერ, შუა სპექტაკლის დროს, სცენაზე თუ მის გონებაში მოლასლასე სასაცილო სახეები ახარხარებდნენ. ამხანაგების გასართობი გახდა და ბევრს უთმენდნენ, რადგან სასაცილო იყო. მაგრამ ამგვარ შეწყნარებას დაუნდობლობა სჯობდა. კრისტოფი სირცხვილით კვდებოდა.

ახლა ბავშვი პირველ ვიოლინოზე უკრავდა. ცდილობდა თვალყური არ მოეცილებინა მამისათვის, თუ საჭირო იყო, ენაცვლებოდა, აიძულებდა დაჩუმებულიყო, როდესაც მელქიორს გულახდილობის სურვილი მოუვლიდა. ეს ადვილი არ იყო, სჯობდა ყურადღება არ მიექციათ მისთვის, რადგან მთვრალი თქვენშინავდა — მიყურებენო, — იმანჭებოდა და ლაპარაკს მოჰყვებოდა. ბავშვი კრისტოფი თვალს აარიდებდა და შიშით ილეოდა — რაიმე უცნაურობა არ ჩაიდინოსო. ცდილობდა საქმისათვის მიეცა თავი, მაგრამ უნებლიეთ ესმოდა მელქიორის ლაყბობა და ირგვლივ მსხდომთა ხითხითი. ტირილს აღარაფერი უკლდა. კეთილი მუსიკოსები ამჩნევდნენ ამას და ებრალებოდათ, ძალულად იცინოდნენ და მელქიორზე ლაპარაკს ერიდებოდნენ კრისტოფთან. მაგრამ კრისტოფი ატყობდა, იცოდა — გავიდოდა თუ არა, ისევ დაუწყებდნენ დაცინვას, იცოდა — მელქიორს მთელი ქალაქი დასცინოდა, ეს არ შეეძლო დაეშალა მათთვის და იტანჯებოდა. წარმოდგენის შემდეგ მამა შინ მიჰყავდა, ხელს მკლავში გაუყრიდა, მოთმინებით უსმენდა მის ყბედობას და ცდილობდა, მელქიორს ბორძიკი არ დატყობოდა. მაგრამ ვის აუხვევდა თვალს? იშვიათადღა ახერხებდა მელქიორის შინ მიყვანას. ქუჩის მოსახვევში მელქიორი განუცხადებდა, მეგობრებთან გადაუდებელი პაემანი მაქვს დანიშნულიო და ვერავითარი საბუთი ვერ გადაათქმევინებდა იქ წასვლას. უფრო გონივრული

იყო. ძალიან არ ჩაცივებოდა, თუ არ უნდოდა გამოეწვია მამის ხმამაღალი წყევლა-კრულვა. მაშინ ხომ მეზობლებიც მოაწყდებოდნენ ფახჯრებს.

მელქიორის მთელი შემოსავალი ასე იხარჯებოდა. თავისი ჯამაგირიც არ ყოფხიდა სასმელად და ცოლისა და შვილის ტანჯვა-წვალებით ნაშოვნ ფულსაც ხარჯავდა. ლუიზა ტიროდა, მაგრამ წინააღმდეგობას ვერ უბედავდა. მას შემდეგ, რაც ქმარმა მკაცრად განუცხადა, ამ სახლში შენ არა გეკუთვნის რა, ერთი გახვრეტილი გროშიც არ მოგიტანია, ტიტველ-შიშველი მოგიყვანეო. კრისტოფმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა. მელქიორმა გალახა, უსაქციელო ბიჭი უწოდა და ფული წაგლიჯა. ბავშვი თორმეტ-ცამეტი წლისა იყო, საკმაოდ ღონიერი და მამას წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ჯერ აშკარა ამბოხებას ვერ ბედავდა მამის წინააღმდეგ, რათა მისთვის კიდევ არ მიეყენებინათ ამგვარი შეურაცხყოფა, თავს აძარცვინებდა. მას და ლუიზას ერთადერთი საშუალებაღა გააჩნდათ — ფული დაემალათ. მაგრამ მელქიორი საოცარი მიხვედრილობით აგნებდა ფულს, როდესაც ისინი შინ არ იყვნენ.

მალე ესეც აღარ ეყო და მამის დანატოვარი ქონების გაყიდვას შეუდგა. კრისტოფი გულისტკივილით უყურებდა, როგორ გაიყიდა ძვირფასი სამახსოვრო ნივთები: წიგნები, საწოლი, დგამი, მუსიკოსთა პორტრეტები. არ შეეძლო ხმა ამოეღო. მაგრამ ერთხელ, როდესაც მელქიორი გამეტებით დაეჯახა პაპის ნაჩუქარ ძველ პიანინოს, გაცოფებულმა შეიგინა, მუხლი მოისრისა და თქვა, საძრაობა არ არის და სახლი ამ ძველმანისაგან უნდა გავათავისუფლოო, კრისტოფმა ყვირილი ატეხა. მას შემდეგ, რაც გაყიდეს პაპის სახლი, საყვარელი სახლი, სადაც თავისი ბალღობის საუკეთესო დრო გაატარა კრისტოფმა, ავეჯი აქ გადმოიტანეს და მართლაც პირთამდე აივსო ოთახები. მართალია, ძველი პიანინო იაფფასიანი იყო, ჟღრიალებდა და კრისტოფი კარგა ხანია აღარ უკრავდა, ვინაიდან ახალი, ჰერცოგის გულუხვობის წყალობით შეძენილი მშვენიერი პიანინო ჰქონდა, მაგრამ სიძველისა და უმაქნისობის მიუხედავად, ის პიანინო კრისტოფის მეგობარი იყო: მან გადაუშალა ბავშვს მუსიკის უსაზღვრო ქვეყანა. ამ ყვითელმა, ხმარებისაგან გაპრიალებულმა კლავიშებმა გაუხსნა ბგერათა სამეფო და მისი კანონები. პაპა მთელი თვეები აკოწიწებდა მას შვილიშვილისათვის და ამაყობდა თავისი ნამუშევრით. ძველი პიანინო წმიდა ნივთი იყო და კრისტოფი აღშფოთდა, მისი გაყიდვის უფლება არა გაქვთო. მელქიორმა უბრძანა, ხმა ჩაიკმიდეო. კრისტოფმა ხმას აუწია, პიანინო ჩემია და ხელი არავინ ახლოსო. მძიმე სასჯელს მოელოდა ამისათვის, მაგრამ მელქიორმა მხოლოდ ბორტი ღიმილით შეხედა და გაჩუმდა.

მეორე დღეს კრისტოფს არაფერი ახსოვდა. შინ დაღლილი დაბრუნდა, საკმაოდ კარგ გუნებაზე იყო. ძმების ცნობისმოყვარე მზერამ შეაშფოთა. თავს

კატუნებდნენ. თითქოს კითხვით იყვნენ გართულნი, მაგრამ თვალს არ აცილებდნენ. მის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდნენ და როდესაც კრისტოფი თავს მათკენ მიაბრუნებდა, ისევ წიგნში ჩაიხედავდნენ. კრისტოფს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მათ რაღაც საძაგელი ორნი ჩაედინათ. მაგრამ ამას დაჩვეული იყო და არ აღელვებულა, გადაწყვიტა — როცა საქმის ვითარებას გამოარკვევდა, ჩვეულებისამებრ, მაგრად გაეტყიპა ძმები; უკადრისად მიიჩნია ამისათვის ყურადღების მიქცევა და მამას გაესაუბრა. მელქიორი ბუხრის პირას იჯდა და მოჩვენებითი ინტერესით ეკითხებოდა გასული დღის ამბებს. საუბრისას კრისტოფმა შეამჩნია, რომ მელქიორმა მალულად ჩაუკრა თვალი პატარებს. გულმა რეჩხი უყო. თავის ოთახში გაიქცა... პიანინო აღარსად იყო! სასოწარკვეთილებით შეპყვირა. მეორე ოთახიდან ძმების შეკავებული სიცილი მოესმა. სისხლი სახეში მოაწვა, უკანვე გამოიქცა და დაიღრიალა:

— სადაა ჩემი პიანინო?

მელქიორმა თავი აწია, უწყინარი და უგუნური გამომეტყველება მიეღო. ამან აახარხარა ბავშვები. თვითონაც ვერ შეიკავა თავი, როცა კრისტოფის საცოდავი სახე დაინახა და შებრუნდა, სიცილი წასკდა. კრისტოფი გაშმაგდა, გაოფთრებული ეცა მამას. სავარძელში გადაწოლილმა მელქიორმა თავის მორიდება ვერ მოასწრო, ბავშვი კისერში ჩააფრინდა და უყვირა:

— ქურდო!

ყოველივე ელვის სისწრაფით მოხდა. მელქიორი შეირხა და გაშმაგებით ჩაჭიდებული კრისტოფი იატაკზე დაანარცხა. ბავშვმა ბუხრის ძგიდეს დაჭერა თავი. შუბლგაჩეხილი კრისტოფი უმალვე წამოდგა და ჩახლეჩილი ხმით გაიმეორა:

— ქურდო! ქურდო! გვძარცვავ დედას და მე!.. ქურდო, პაპაც არ დაინდე!

მელქიორი წამოდგა და მუშტი მოუქნია კრისტოფს. ბავშვი უშიშრად უყურებდა მძულვარებით აღსილი თვალებით და სიბრაზისაგან თრთოდა. მელქიორიც აცახცახდა, დაჯდა და სახე ხელებით დაიფარა. პატარებმა ყურისწამღები წივილით უშველეს თავს. ხმაურს სიჩუმე მოჰყვა. მელქიორმა რაღაც ამოილუღლუღა კედელს აკრული კრისტოფი თვალს არ აცილებდა, კბილები უკაწკაწებდა და მთელი ტანით თრთოდა. მელქიორმა მონანიება დაიწყო:

— ქურდი ვარ, ქურდი! გავძარცვე ოჯახი. შვილებს ვეზიზღები: ნეტავი მოვკვდებოდე!

როდესაც წუწუნი შეწყვიტა, კრისტოფი ადგილიდან არ განძრეულა და მკაცრად შეეკითხა:

— სადაა პიანინო?

— ვორმსერთანაა, — მიუგო მელქიორმა ისე, რომ მისთვის თვალი არ გაუსწორებია

კრისტოფმა ნაბიჯი წადგა და თქვა:

— ფული!

განადგურებულმა მელქიორმა ჯიბიდან ფული ამოიღო და შვილს გადასცა. კრისტოფი კარისაკენ გაემართა. მელქიორმა დაუძახა:

— კრისტოფ!

კრისტოფი შედგა. მელქიორმა მთრთოლვარე ხმით უთხრა:

— ჩემო პატარა კრისტოფ!.. ნუ შემიზიზღებ!

კრისტოფი ყელზე მოეხვია და აკოცა.

— მამიკო, ძვირფასო! არ მეზიზღები, არა! მე ისე უბედური ვარ!

ხმამაღლა ტიროდნენ. მელქიორი ამბობდა:

— ჩემი ბრალი არაა. მე ხომ ბოროტი არა ვარ. ასე არ არის, კრისტოფ? ცუდი ხომ არა ვარ?

აღთქმა დადო, ამიერიდან აღარ დავლეეო. კრისტოფმა უნდოდ გააქნია თავი. მელქიორი გამოტყდა, არ შემიძლია თავის შეკავება, როცა ფული მაქვსო. კრისტოფი დაფიქრდა და თქვა:

— იცი რა, მამა, აჯობებდა...

დაჩუმდა.

— რა?

— მე მრცხვენია...

— რისი გრცხვენია? — გულუბრყვილოდ შეეკითხა მელქიორი.

— შენი საქციელის გამო.

მელქიორი დაიღმიჭა და თქვა:

— ეგ არაფერია.

კრისტოფმა განუმარტა, რომ აჯობებდა, მთელი შემოსავალი, მელქიორის ჯამაგირიც, ჩაებარებინათ ვინმესთვის. ის ყოველღდე ან ყოველკვირეულად მისცემდა მელქიორს საჭირო თანხას. მელქიორი მონანიების გუნებაზე იყო — არც სავსებით ფხიზელი გახლდათ — და ამ წინადადებას სიხარულით დაეთანხმა: თქვა, ახლავე უნდა დავწერო განცხადება ჰერცოგის სახელზე, რომ ჩემი ჯამაგირი შენ მოგცენო. კრისტოფმა უარი უთხრა, მამის დამცირებისა ერცხვინებოდა; მაგრამ თავგანწირვის წყურვილით შეპყრობილმა მელქიორმა თავისი გაიტანა და ქაღალდი დაწერა. თავადაც აღტაცებული იყო თავისი დიდბუნებოვანებით. კრისტოფმა განცხადების წაღებაზე უარი თქვა. ამ დროს შემოსულმა ლუიზამაც, როცა გაიგო, რაც მოხდა, თქვა, მოწყალების თხოვნა მირჩევნია ქმრის ასეთ დამცირებასო და დაუმატა, შენი მჯერა, დარ-

წმუნებული ვარ, ჩვენი სიყვარულის გულისათვის გამოსწორდებიო. ყველაფერი საერთო სიამტკბილობით დასრულდა. მაგიდაზე დავიწყებული განცხადება კარადის ქვეშ შესრიალდა და დაიკარგა.

რამდენიმე დღის შემდეგ ლუიზამ ოთახის დალაგებისას იპოვა იგი. და რადგანაც მელქიორის ახალი უსაქციელობით იყო გულნატკენი, დახევის ნაცვლად შეინახა. მელქიორს ყოველივე დავიწყებოდა. ლუიზამ ტანჯვა-წვალების მიუხედავად, რამდენიმე თვე შეინახა განცხადება, არ გამოუყენებია, მაგრამ ერთ დღეს მელქიორმა კიდევ სცემა კრისტოფს და ფული წაართვა; ლუიზამ თავი ვერ შეიკავა, ატირებულ კრისტოფთან მარტოდ დარჩენილმა ამოიღო განცხადება, მისცა ბიჭს და უთხრა.

— წადი!

კრისტოფი კიდევ ყოყმანობდა, მაგრამ მიხვდა, საბოლოო გაღატაკებისაგან თავისდასახსნელად და შემორჩენილი მცირე ქონების გადასარჩენად სხვა საშუალება არ იყო და სასახლისაკენ გაემართა. ოცი წუთის საკალს ერთი საათი მოანდომა. სირცხვილით იწვოდა. უკანასკნელი წლების მწუხარებითა და ჰარტოობით გაძლიერებული სიამაყე ეჩაგრებოდა, როცა გაიფიქრებდა, რომ საკაროდ უნდა ეღიარებინა მამის ბიწიერება. უცნაური და თანაც ბუნებრივი არათანამიმდევრობაა: გრძნობდა, ყველამ იცოდა ეს და მაინც ცდილობდა დაეშალა. თითქო არაფერი იცოდა: უფრო თავს ააკუწვინებდა. ვიდრე მამას გაამჟღავნებდა. და ახლა თავისით მიდიოდა!.. რამდენჯერმე კინაღამ დაბრუნდა, ორ-სამგზის შემოიარა ქალაქი, სასახლეს მიუახლოვდებოდა თუ არა, ისევ გამობრუნდებოდა. მაგრამ საქმე მარტო მას ხომ არ ეხებოდა. დედისა და ძმებისათვის სჩადიოდა ამას. რაკი მამა ოჯახის მოღალატე გახდა, უფროს შვილს უნდა დაეჭირა მისი ადგილი და დედას მიშველებოდა. მეტი ყოყმანი და ამპარტავნობა აღარ შეიძლებოდა: ფიალა ბოლომდე უნდა შეესვა. კრისტოფი სასახლეში შევიდა. კიბიდან კინაღამ გამოიქცა. ერთ საფეხურზე მუხლთ მოეკვეთა. რამდენიმე წუთს კიბის ბაქანზე იდგა კარის სახელურზე ხელჩავლებული, ვიდრე ვიღაცის გამოსვლამ არ აიძულა შესულიყო.

ბიუროში ყველა იცნობდა. მან განაცხადა, თეატრების გამგესთან, მის აღმატებულება ბარონ ფონ ჰამერ-ლანგბახთან მაქვს საქმეო. ერთმა ახალგაზრდა, მსუქანმა, ლოყაწითელმა და მელოტმა მოხელემ, რომელსაც თეთრი ჟილეტი ეცვა და ყვავილებიანი ყელსახვევი ეკეთა, შინაურულად ჩამოართვა ხელი და გუშინდელ ოპერაზე გაუმართა ლაპარაკი. კრისტოფმა თავისი თხოვნა გაუმეორა. მოხელემ უპასუხა, ახლა მისი აღმატებულება დაკავებულია, მაგრამ თუ თხოვნა გაქვს წარსადგენი, გამატანე, ხელმოსაწერ ქაღალდებ-

თან ერთად შეეუტანო. კრისტოფმა განცხადება გადასცა. მოხელემ თვალი გადაავლო და გაოცებისაგან წამოიძახა:

— აჰ! თურმე რა ყოფილა!.. — შემდეგ განაგრძო მბიარულად: — მშვენიერი აზრია! აქამდე უნდა მოეფიქრებინა! თავის სიცოცხლეში უკეთესი არა უქნია რა იმ უკეთურ ლოთს! რომელმა ეშმაკმა დაიყოლია?!

უცბად შეჩერდა. კრისტოფმა ხელიდან გამოჰგლიჯა ქაღალდი და სიბრაზისაგან გაფითრებულმა შესძახა:

— მე თქვენ გიკრძალავთ!.. მე თქვენ გიკრძალავთ ჩემს შეურაცხყოფას!

მოხელე განცვიფრდა.

— კი მაგრამ, ძვირფასო კრისტოფ, — შეეცადა შეპასუხებოდა ყმაწვილს, — სრულიადაც არ მინდოდა შენი შეურაცხყოფა... მე გითხარი ის, რასაც მთელი ქვეყანა ფიქრობს. შენც ამასვე არ ფიქრობ?

— არა! — გაცხარებით წამოიძახა კრისტოფმა.

— როგორ? შენ არ იცი, განა? არ იცი, რომ სვამს?

— ტყუილია! — თქვა კრისტოფმა და ფეხი დააბაკუნა.

მოხელემ მხრები აიჩეჩა.

— მაშ რატომ დაწერა ეს განცხადება?

— იმიტომ, რომ... — დაიწყო კრისტოფმა, არ იცოდა, რა ეთქვა, — იმიტომ რომ, როცა ყოველთვიურად ჩემი გასამრჯელოს მისაღებად მოვდივარ, მამაჩემის ჯამაგირსაც ავიღებ. რად უნდა შევწუხდეთ ორივენი... მამას ბევრი საქმე აქვს...

თავისი ნათქვამის უაზრობამ გააწითლა. მოხელემ დამცინავი თანაგრძნობით შეხედა. კრისტოფს ქაღალდი დაეჭმუჭნა და წასვლა უნდოდა. მოხელე წამოდგა და მკლავზე მოჰკიდა ხელი:

— ერთი წუთით დაიცადე, — უთხრა მან, — ახლავე მოვაგვარებ ყველაფერს.

ის დირექტორის კაბინეტში შევიდა. კრისტოფი უცდიდა. სხვა მოხელეები თვალს არ აშორებდნენ. სისხლი უდუღდა. არ იცოდა, რას შვრებოდა და რა უნდა მომხდარიყო, რა უნდა ექნა. გადაწყვიტა პასუხის მიღებამდე წავალო და წამოსადგომად იყო მზად, როდესაც კარი გაიღო:

— მისი აღმატებულება გთხოვს, — უთხრა დაუზარელმა მოხელემ.

კრისტოფი იძულებული გახდა შესულიყო.

მისმა აღმატებულებამ, ბარონმა ფონ ჰამერ-ლანგბახმა, პატარა, ულვაშა და ნიკაპგაპარსულმა მოხუცმა, ოქროს სათვალის ზემოდან გადმოხედა კრისტოფს — წერა არ შეუწყვეტია და მის უხერხულ მისალმებაზე თავიც არ დაუქნევია.

— რას თხოულობთ, ბატონო კრაფტ? — ჰკითხა მან ცოტა ხნის შემდეგ.

— თქვენო აღმატებულებავ, — სწრაფად მიუგო კრისტოფმა, — გთხოვთ, ნაპატიოთ. გადავიფიქრე. აღარაფერს აღარ გთხოვთ.

მოხუცებულს გადაწყვეტილების უეცარი შეცვლის მიზეზი არ გამოუკითხავს. მან ყურადღებით შეხედა კრისტოფს, ჩაახველა და უთხრა:

— ინებეთ და მომაწოდეთ, ბატონო კრაფტ, ქაღალდი, ხელში რომ გიჭირავთ!

კრისტოფმა ახლაღა შეამჩნია, რომ მოხუცს მზერა მიეპყრო დაჭმუჭვნილი განცხადებისათვის.

— ეს არაფერია, თქვენო აღმატებულებავ, — წაილუღლუღა მან. — ახლა საჭირო აღარაა.

— მომაწოდეთ, გთხოვთ, — წყნარად გაიმეორა მოხუცმა, თითქოს არ გაეგონოს ყმაწვილის ნათქვამი.

კრისტოფმა უნებლიეთ გაუწოდა დაჭმუჭვნილი ფურცელი და ბლუკუნი დაიწყო, თან ხელი ჰქონდა გაწვდილი განცხადების გამოსართმევად. მისმა აღმატებულებამ გულმოდგინედ გაასწორა ქაღალდი, წაიკითხა, კრისტოფს ახედა, ლუღლუღი აცალა, შემდეგ თვალების ეშმაკური ციმციმით უთხრა:

— ძალიან კარგი, ბატონო კრაფტ. თხოვნა შეწყნარებულია.

ხელით ანიშნა, გადიო და ისევ წერას შეუდგა.

შეწუხებული კრისტოფი გარეთ გავიდა.

— ნუ გამიჯავრდები, კრისტოფ! — უთხრა გულთბილად მოხელემ, როდესაც ყმაწვილმა გვერდით ჩაუარა. კრისტოფმა ხელი ჩამოართვა, მაგრამ თვალი ვერ გაუსწორა. სასახლიდან გამოვიდა თუ არა, იგრძნო სირცხვილით ვიწვიო. მოაგონდა, რაც ახლახან უთხრეს; შეურაცხმყოფელი ირონია დაინახა მისი პატივისმცემელი ხალხის თანაგრძნობაში. შინ დაბრუნდა და ლუიზას შეკითხვაზე გაღიზიანებულმა ძალისძალით მიუგო ორიოდე სიტყვა, თითქოს მომხდარის გამო უწყრებოდა. სინდისი ქენჯნიდა მამის გახსენებისას. უნდოდა ყველაფერი გამეჟღავნებინა მისფვის და პატიება ეთხოვა. მელქიორი შინ არ იყო. კრისტოფს თვალი არ მოუხუჭავს, შუაღამემდე ელოდა. რაც უფრო მეტს ფიქრობდა მამაზე, მით უფრო იტანჯებოდა. აღმერთებდა მამას, სუსტ, უბედურ და ცოლშვილისაგან განწირულ კაცად ჰყავდა წარმოდგენილი. როდესაც კიბიდან მისი ნაბიჯები შემოესმა, ლოგინიდან წამოხტა მისაგებებლად და მოსახვევნად, მაგრამ მელქიორი ისე საზიზღრად იყო გალეშილი, რომ კრისტოფი ვერ მიეკარა, დაბრუნდა, დაწვა და მწარედ დასცინა თავის ილუზიებს.

რამდენიმე დღის შემდეგ მელქიორმა შეიტყო ეს ამბავი და საშინლად გაბრაზდა. კრისტოფის ვედრების მიუხედავად, სასახლეში წავიდა საჩხუბრად.

მაგრამ ქედმოდრეკილი დაბრუნდა; სიტყვა არ დაუძრავს იქ მომხდარის შესახებ. სასახლეში ძალიან ცუდად მიიღეს, უთხრეს, ჯამაგირს შენი შვილის დამსახურებისა და პატივისცემის გამო გაძლევთ და თუ კიდევ შენი ცუდი ქცევა გავიგეთ, სავსებით მოგიხსნითო. კრისტოფი ძალზე გაკვირვებული და კმაყოფილი იყო — მამამისი თანდათან ურიგდებოდა თავის მდგომარეობას და ტრაბახობდა კიდეც — ჩემი ნებით გავიღე „მსხვერპლიო“.

ეს სრულიადაც არ უშლიდა ხელს ყველგან ეწუწუნა, ცოლმა და შვილებმა გამატყავეს, მთელი ჩემი სიცოცხლე მათთვის ვშრომობდი და ახლა ყოველივეს მოკლებული ვარო. ცდილობდა შვილისათვის ფული დაეცინცლა ალერსითა და ათასგვარი ხრიკებით. ეს აცინებდა კრისტოფს, თუმცა სასაცილო არა სჭირდა რა. თავი კი მტკიცედ ეჭირა და მელქიორიც არ ჩააცივდებოდა ხოლმე. უცნაურ კრთომასა გრძნობდა ამ თოთხმეტი წლის ბავშვის მკაცრი თვალების შემხედვარე. ჯავრს ცუდი საქციელით იყრიდა. დუქანში წავიდოდა, სვამდა და ტკბებოდა რამდენიც სურდა, ფულს არ გადაიხდიდა და აცხადებდა, ჩემს ვალს შვილი გადაიხდისო. კრისტოფს აყალმაყალის ეშინოდა და ფულს იხდიდა. ის და ლუიზა წელებზე ფეხს იდგამდნენ მისი ვალის გასასტუმრებლად. მას შემდეგ, რაც ჯამაგირი არ ეძლეოდა, მელქიორმა გული აიყარა სამსახურზე და ისე-იშვიათად ცხადდებოდა თეატრში, რომ კრისტოფის მუდარის მიუხედავად გამოაგდეს. მამის, ძმებისა და მთელი ოჯახის რჩენა ბავშვს დააწვა კისერზე.

ამრიგად, თოთხმეტი წლის კრისტოფი ოჯახის უფროსი გახდა.

მან გაბედულად იკისრა ეს მძიმე ტვირთი. სიამაყე ნებას არ აძლევდა, სხვათა მოწყალება მიეღო. დაიფიცა, საქმეს მარტო გაუძღვებიო. ბავშვობიდანვე იტანჯებოდა იმის გამო, რომ დედა თხოულობდა და დამამცირებელ მოწყალებაზე უარს არ ამბობდა. ეშინოდა კიდეც, როდესაც კეთილი ლუიზა წინ ზეიმით მოიტანდა რომელიმე მისი მფარველი ქალისაგან მიღებულ საჩუქარს. დედა აქ ცუდს ამას ხედავდა და ხარობდა, რომ ნაშოვნი ფულის მეოხებით კრისტოფს ცოტათი შეუმსუბუქდებოდა ტვირთი, ხოლო ოჯახის ღარიბულ ვახშამს ერთი კერძი მიემატებოდა. მაგრამ კრისტოფი მოიღუშებოდა, მთელ საღამოს ხმას არ ამოიღებდა და ამგვარად მოპოვებულ საჭმელს არ გაეკარებოდა. ამის მიზეზსაც არ იტყოდა. ლუიზა წუხდა. უშნოდ ჩააცივდებოდა ვაჟიშვილს — შეჭამეო. კრისტოფი გაჯიუტდებოდა. ბოლოს ლუიზაც გაჯავრდებოდა და საწყენ სიტყვებს ეტყოდა, კრისტოფიც ასევე მიუგებდა, ხელსა-

ხოცს მაგიდაზე დააგდებდა და გავიდოდა. მამამისი მხრებს იჩეჩდა და ჯოდა-ბზიკას უწოდებდა. ძმები დასცინოდნენ და მის კერძს შეექცეოდნენ

მაინც ცხოვრების სახსრის გამოძებნა იყო საჭირო. ჯამაგირი, რასაც ორ-კესტრში მუშაობისათვის აძლევდნენ, საკმაო არ იყო. გაკვეთილები იშოვა. მემუსიკის ნიჭმა, კარგმა სახელმა და განსაკუთრებით ჰერცოგის მფარველობამ მრავალი კლიენტი მოუპოვა მდიდარი ბურჟუაზიის წრიდან. ყოველ დილით, ცხრა საათიდან, ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა იგი ქალიშვილებს. ისინი შეტწილად კრისტოფზე უფროსნი იყვნენ, კეკლუცობით აკრთობდნენ და უმს-გავსო დაკვრით აბრაზებდნენ. მათ მუსიკისა არა გაეგებოდათ რა. სამაგიეროდ საუცხოოდ ჰქონდათ განვითარებული სასაცილოს დანახვის გრძნობა. მათ დამ-ცინავ მზერას კრისტოფის არც ერთი უხერხული საქციელი არ გამოეპარებო-და. ეს წამება იყო. გოგონების გვერდით სკამის კიდეზე ჩამომჯდარი, გაწითლე-ბული და ზვიადი კრისტოფი ბრაზით იხრჩობოდა და განძრევას ვერ ბედავდა, თავი ფრთხილად ეჭირა, სისულელე არ წამომცდესო; საკუთარი ხმისა ეშინო-და, სიტყვა ყელში ეხირებოდა, ცდილობდა მკაცრი გამომეტყველება მიეღო და გრძნობდა, ცალი თვალით უმზერდნენ, კრთოდა, შენიშვნის მიცემისას იბ-ნეოდა, ეშინოდა, სასაცილო არ გავხდეო, ნამდვილად უკვე სასაცილო იყო. შეურაცხყოფას აყენებდა მოწაფეებს. მოსწავლე ქალები თავს არ აჩაგვრინებ-დნენ. ისინი შემთხვევას არ უშვებდნენ, რომ შეეცბუნებინათ რაღაცნაირი მზე-ჯითა თუ ნამეტნავად გულუბრყვილო კითხვებით. ანდა მცირედ სამსახურს სთხოვდნენ — მაგალითად, სავარძელზე დარჩენილი ნივთი მომიტანეთო. ეს უფრო უმძიმდა კრისტოფს. მთელი ოთახი უნდა გაევლო, ხოლო ვერაგი თვა-ლები ზვერავდნენ მის სულ უმცირეს უშნო მოძრაობას, მოუქნელ ფეხებსა და მოუდრეკელ მკლავებს, შეშფოთებით შებოჭილ სხეულს.

გაკვეთილებიდან თეატრში უნდა გაქცეულიყო რეპეტიციაზე. ხშირად სა-უზმის დროც არა ჰქონდა, ჯიბით ჰიქონდა პურისა და ძეხვის ნაჭერი და შეს-ვენებაზე ჭამდა. ზოგჯერ დირიჟორ ტობიას ფაიფერს ენაცვლებოდა. ფაიფერი კეთილი თვალით უყურებდა და დროდადრო, ორკესტრის რეპეტიციებზე, დი-რიჟორობას ავალებდა. საკუთარი მუსიკალური განათლების გაგრძელებაც ხომ იყო საჭირო! დღის ბოლოს კიდევ ჰქონდა გაკვეთილები, — წარმოდგენის და-წყებამდე. ხშირად, საღამოობით, სპექტაკლის შემდეგ, სასახლეში გამოიძახებ-დნენ ხოლმე და ერთი ან ორი საათი უნდა დაეკრა. ჰერცოგის მეუღლე მუსიკის ცოდნედ თვლიდა თავს და მუსიკა უყვარდა, მაგრამ კარგსა და ცუდ მუსიკას ვერ არჩევდა. ის კრისტოფისათვის ახირებულ პროგრამებს ადგენდა, სადაც ერთმანეთში იყო არეული უხამსი რაფსოდიები და საუკეთესო ნაწარმოებები.

ყველაზე უფრო კრისტოფის იმპროვიზაცია სიამოვნებდა და საზიზღარ სენტიმენტალურ თემებს აძლევდა.

დაქანცული, ხელებგახურებული, თავატკივებული და დამშეული კრისტოფი შუაღამისას. გამოდიოდა სასახლიდან. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. გარეთ კი თოვდა ან ცივი ნისლი იდგა. ქალაქის ნახევარზე მეტი უნდა გაევლო, რათა შინ დაბრუნებულიყო. ფეხით მიდიოდა, კბილები უკაწკაწებდა, ეძინებოდა და ეტირებოდა, ამასთანავე ცდილობდა წუმპეში არ ამოეთხვარა თავისი ერთადერთი საგარეო სამოსელი.

ბრუნდებოდა თავის ოთახში, სადაც ძმებთან ერთად ეძინა. ამ ცხოვრებისაგან გამოწვეული ზიზღი და სასოწარკვეთა, სულიერი ობლობის გრძნობა არასოდეს ტანჯავდა ისე, როგორც ამ საძაგელ, დახუთულ ოთახში, სადაც შეეძლო შეემსუბუქებინა სიღატაკის უღელი. ტანთ ძლივს იხდიდა. საბედნიეროდ, თავს ბალიშზე დადებდა თუ არა, მაშინვე ჩაიძინებდა ღრმა ძილით და ტანჯვა ავიწყდებოდა.

მაგრამ ზაფხულობით, გარიჟრაჟზე, ხოლო ზამთრობით უფრო ადრე უნდა ამდგარიყო, თავისთვის უნდა ემუშავა. ეს იყო ერთადერთი თავისუფალი დრო. ხუთიდან რვა საათამდე თავის თავს ეკუთვნოდა. ამ დროის ნაწილი შეკვეთების შესრულებაზე უნდა დაეხარჯა: „კარის მუსიკოსის“ ტიტული და ჰერცოგის მფარველობა ავალდებულებდა ოფიციალური თხზულებანი დაეწერა კარის დღესასწაულებისათვის.

ამგვარად, სიცოცხლისა და სიხარულის წყაროც კი მოწამლული ჰქონდა. ოცნებაც არ გააჩნდა თავისუფალი. მაგრამ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, სულს ნაკლები საბაბი აქვს მოძრაობისა. რაც უფრო მაგრად უჭერდა კრისტოფს ყოველდღიური ზრუნვისა და საქმიანობის ბორკილი, მით უფრო გრძნობდა დამოუკიდებლობას მისი ამბოხებული გული. უზრუნველი ცხოვრება რომ ჰქონდა, უეჭველად მიენდობოდა დროის შემთხვევით დინებას. რაკი ღღეში თითო-ოროლა საათიღა ჰქონდა თავისუფალი, მთელი ძალით წინ ისწრაფოდა, როგორც კლდეთა შორის ჩაჭედილი ნიაღვარი. ისე არაფერი წვრთნის ხელოვანს, როგორც გარკვეულ ჩარჩოში მოთავსების აუცილებლობა. ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ სიღატაკე არა მარტო აზროვნების მოძღვარია, არამედ სტილისაც; იგი გვასწავლის როგორც გონების, ისე სხეულის დაოკებას. როდესაც დრო გამოთვლილია, ხოლო სიტყვა გამოზომილი, ზედმეტს არ ლაპარაკობენ და მხოლოდ არსებითზე ფიქრს ეჩვევიან. ამრიგად, როცა კაცს ერთი ცხოვრებისათვის დრო არ ყოფნის, ის ორმაგად ცხოვრობს.

ასე წარიმართა კრისტოფის ცხოვრებაც. უღელში გაბმულმა შეიგნო თავისუფლების ფასი და არ კარგავდა ძვირფას წუთებს ამაო სიტყვათა და საქმე-

თათვის. კრისტოფს უნდოდა ბლომად და ბუნდოვნად ეწერა, თავისი მართალი აზროვნების ყველა ჟინი დაეკმაყოფილებინა, მაგრამ იძულებული იყო აუცილებლობისათვის ანგარიში გაეწია — რაც შეიძლება მეტი ეფიქრა, მეტი გაეკეთებინა და ამაზე რაც შეიძლება ნაკლები დრო დაეხარჯა: არაფერს, არც მასწავლებელთა ჩაგონებას, არც დიდებულ ქმნილებათა მაგალითს არ მოუხდენია ასეთი გავლენა მის არტისტულ და. მორალურ განვითარებაზე. ხასიათის ჩამოყალიბების ამ ასაკში იგი დაეჩვია მუსიკის ზუსტ ენად აღიარებას და ყოველ ნოტში აზრის ძიებას, ამავე დროს შეიძულა არაფრის მთქმელი კომპოზიტორები.

მაინც კრისტოფის თხზულებანი ვერ გამოხატავდნენ სრულად მის სულსა და გულს, რადგან ჯერ თავისი თავი არ ჰქონდა შეცნობილი. იგი თავს ეძიებდა შეძენილ თვისებათა შორის, რასაც აღზრდა ბავშვს მეორე ბუნებად მოუვლენს ხოლმე. კრისტოფი თავის ჭეშმარიტ „მეს“ გუმანით გრძნობდა მხოლოდ: ჯერ ყრმობის ენებანი უნდა განეცადა, ეს ნასესხები სამოსისაგან გაანთავისუფლებდა მის პიროვნებას, ისევე, როგორც მეხის პირველი გავარდნა გაწმენდს ხოლმე ზეცას ბნელი ღრუბლებისაგან. გაუგებარი, ძალუმი წინაგრძნობანი ფუთფუთობდნენ მის სულში უცხო რემინისცენციებთან ერთად, რომელთაგანაც თავი ვერ დაეღწია. ეს სიყალბე აბრაზებდა. სევდა იპყრობდა, როცა ხედავდა, რამდენად ჩამოუვარდებოდა მისი ნაწერი მის ჩანაფიქრს. თავის თავში ეპვი ეპარებოდა და გული ეწვოდა. მაგრამ უგუნური დამარცხების შემდეგაც ფარ-ხმალს არ ჰყრიდა. გაშმაგებით ცდილობდა უკეთ ეწერა. დაასრულებდა თუ არა, ამჩნევდა, დაწერილი არად ვარგოდა, ხევდა და წვავდა. ყველაზე სამარცხვინო, ყველაზე საშუალო ოფიციალური ქმნილებანი: კონცერტი — „მეფური ორბი“ — ჰერცოგის დაბადების დღისათვის დაწერილი და კანტატა „პალადას ქორწინება“ — ჰერცოგის ასულ ადელაიდას დაქორწინების ჯამო შეთხზული. შენახული იყო და მათი მოსპობა არ შეეძლო: ეს ნაწარმოებნი მდიდრულად იყო გამოცემული და საშვილიშვილოდ ინახავდნენ კრისტოფის უნიათობას: ამის გაფიქრებაზე კრისტოფი თავს დამცირებულად გრძნობდა და ტიროდა.

სიშმაგის წლები! სულმოუთქმელი, შეუსვენებელი ცხოვრება. არაფერი ჰქონდა ისეთი, რაც შემაძრწუნებელი შრომისაგან დასვენებას მიანიჭებდა, არც მეგობრები ჰყავდა. საიდან უნდა ჰყოლოდა მეგობარი? ნაშუადღევს, როდესაც სხვა ბავშვები ერთობიან, შუბლშეჭმუხვნილი პატარა კრისტოფი თავის პიუპიტრს უზის თეატრის მტვერიან და ჩაბნელებულ დარბაზში. საღამოობით, როდესაც სხვა ბავშვებს სძინავთ, ის ისევ სკამზე ზის და დაღლილობისაგან იკრუნჩხება.

ძმებთანაც კი არ იყო ახლო. უმცროსი, თორმეტი წლის ერნსტი, უსაქმური, ბიწიერი და ურცხვი ბიჭი იყო, თავისსავე მსგავს არამზადებში ატარებდა დროს და თავის წრეში არა მარტო სამწუხარო საქციელი შეითვისა, არამედ საშარცხვინო ჩვევებიც. ერთ დღეს კრისტოფმა ძმის უსაქციელობა აღმოაჩინა და შეძრწუნდა. მეორე ძმა, ძია თეოდორის საყვარელი რუდოლფი, ვაჭრობას გაჰყვა. იგი მშვიდი, ჩუმი და გულჩათხრობილი ბიჭი იყო; კრისტოფს ზევიდან დაჰყურებდა და ბუნებრივად მიაჩნდა მისი ნაშოვნი ლუკმა ეჭამა. იგი იმავე აზრისა იყო კრისტოფზე. რაც ძია თეოდორი და მელქიორი და ხალისით იმეორებდა მათ სასაცილო ნალაქლაქარს. არც ერთ ძმას არ უყვარდა მუსიკა. რუდოლფი ბიძამისს ბაძავდა და მუსიკოსები მეჯავრებაო, ამბობდა. კრისტოფი სერიოზულად ასრულებდა ოჯახის უფროსის როლს და მისი ზედამხედველობითა და ტუქსვით შევიწროებული ძმები შეეცადნენ აღშფოთებულიყვნენ, მაგრამ კრისტოფს მაგარი მუშტი ჰქონდა და თავისი სიმართლის შეგნება უმაგრებდა ზურგს. ამიტომაც ალაგმა უმცროსები. მაინც თვითნებურად ექცეოდნენ; ბოროტად იყენებდნენ მის ნდობას, მახეს უგებდნენ და ისიც ყოველთვის ებმოდა ხაფანგში: ფულს ცინცლავდნენ,. უსირცხვილოდ ცრუობდნენ და ზურგს უკან დასცინოდნენ. კეთილი კრისტოფის მოტყუება ადვილი იყო. ისე უნდოდა ადამიანებს ჰყვარებოდა, რომ ერთი გულითადი სიტყვა კმაროდა, რათა ყოველივე სიავე დაევიწყებინა. მცირედი სიყვარულისათვის ყველაფერს აპატიებდა მათ. მაგრამ ნდობა შეერყა, როცა ერთხელ გაიგონა, როგორ დასცინოდნენ მის გულუბრყვილობას, მას შემდეგ, რაც პირმოთნე ალერსის სცენა მოუწყვეს. ამ სცენამ ისე ააღელვა და ააცრემლა კრისტოფი, რომ ძმებმა ჰერცოგის ნაჩუქარი ოქროს საათი დასტყუეს. კრისტოფს არ უყვარდა ძმები და მაინც აბრიყვებინებდა თავს სიყვარულისა და რწმენისადმი დაუძლეველი მიდრეკილებისა გამო. თავადაც იცოდა ეს, თავის თავზე ბრაზობდა და ძმებსა სცემდა, როდესაც გაიგებდა, რომ გააცურეს. და ამის შემდეგ ისევ ეგებოდა ძმების ანკესზე.

კიდევ უფრო მწარე ტანჯვა ელოდა. პირმოთნე მეზობლებისაგან შეიტყო, რომ მამამისი ავად იხსენიებდა. მელქიორი ჯერ ამაყობდა ვაჟიშვილის წარმატებით, შემდეგ სამარცხვინო სისუსტე გამოიჩინა და შურით აღივსო. ცდილობდა რითიმე დაემცირებინა შვილის ღვაწლი. ეს სამწუხარო სიბრიყვე იყო, ადამიანს მხოლოდ მხრები უნდა აეჩეჩა და შესძაგებოდა იგი: გაბრაზებაც არ შეიძლებოდა — მელქიორს შეგნებული არც ჰქონდა რას სჩადიოდა, გაბოროტებული იყო თავისი დამცირებით. კრისტოფი დუმდა, ეშინოდა — რომ აელაპარაკდე, ვაითუ გადავაჭარბოო, მაგრამ გული დაკოდილი ჰქონდა.

წუხდა, როცა ოჯახი ლამპის შუქით განათებულ, ჭუჭყიან სუფრას მოუსხდებოდა სავახშმოდ, აწუხებდა ამ საძაგელ, საცოდავ და მაინც საყვარელ არსებათა უაზრო ბაასი და ყბების კაბუნი. მარტო კეთილი დედა უყვარდა, ვაგრამ ლუიზა მასავით მთელი დღე წელებზე ფეხს იდგამდა და საღამოს დაქახცული იყო, თითქმის არ ლაპარაკობდა და ვახშმობის შემდეგ სკამზე ჩაეძინებოდა ხოლმე წინდების ამოკემსვისას. ისე კეთილი იყო, რომ განურჩევლად, თანაბრად უყვარდა ქმარი და სამივე ვაჟი: არც დედა იყო კრისტოფის გულითადი მეგობარი.

კრისტოფი მთლად განაპირდა. მთელი დღეები ხმას არ იღებდა და სიშმაგით ასრულებდა თავის ერთფეროვან და დამქანცველ საქმეს. ასეთი ცხოვრება საშიშია ბავშვის ასაკისათვის, როდესაც ფრიად მგრძნობიარე ორგანიზმი დამღუპველ ავადმყოფობას წინააღმდეგობას ვერ უწევს და შეიძლება სამუდამოდ დამახინჯდეს. კრისტოფს ჯანმრთელობა ძალიან შეერყა. მშობლებისაგან მაგარი აგებულება, ჯანსაღი და უნაკლო სხეული გამოჰყვა, მაგრამ თუ ასეთ მძლავრ სხეულს გადაჭარბებული დაქანცულობა და ნაადრევი სევდა ვატეხავს, მას ადვილად დაეუფლება ავადმყოფობა. ბავშვს ძალზე ადრე გამოაჩნდა ნერვიული აშლილობა. პატარაობისას მისდიოდა გული, ემართებოდა კრუნჩხვები, აღებინებდა, როცა რაიმეს დაუშლიდნენ. როცა შვიდი-რვა წლისა გახდა, მისი პირველი კონცერტების დროიდან, — ძილი გაუკრთა, — ძილში ლაპარაკობდა, ყვიროდა, იცინოდა და ტიროდა. და ეს ავადმყოფური მიდრეკილებანი ყოველთვის უახლდებოდა, როდესაც რაიმე შეაწუხებდა. შემდეგ თავის სასტიკი ტკივილები დაეწყო, ხან მკვალივით დაუვლიდა კეფასა და საფეთქლებში, ხან ტყვიის მუზარადივით აჭერდა რაღაც, თვალებიც ტკიოდა. ხანდახან თითქოს ნემსებს უყრიანო გუგებში, თვალთ უბნელდებოდა და ვერ კითხულობდა, რამდენიმე წუთით უნდა შეჩერებულიყო. საკვების ნაკლებობამ, მავნე და უწესრიგო ჭამამ დაუზიანა მაგარი კუჭი. შიგნეულობა ეწვოდა, მუცლის აშლილობამ გატანჯა. მაგრამ არაფერი არ აწუხებდა ისე, როგორც გული, რომელიც ერთობ უწესრიგოდ უძგერდა, ხან ძალუმად ხტოდა მკერდში, გეგონებოდათ — გასკდებაო, ხან ძლივსღა ცემდა, თითქოს ეს-ესაა უნდა გაჩერდესო. ღამღამობით ბავშვს ტემპერატურის ძლიერი ცვალებადობა ჰქონდა — ხან შეახურებდა, ხანაც ანემიურ მდგომარეობაში ვარდებოდა, იწვოდა, სიცივისაგან ცახცახებდა, წუხდა, ყელი უშრებოდა, თითქოს ბურთი ჰქონდა გაჩრილი და სუნთქვას უშლიდა. ბუნებრივია, რომ შიშობდა. ვერ გაებედა თავისიანებისათვის ეთქვა, რასაც განიცდიდა, მაგრამ ისეთი ყურადღებით უკვირდებოდა თავს, რომ სატკივარი უორკეცდებოდა, ან ახალ რაიმე ავადმყოფობას წარმოიდგენდა ხოლმე. ერთი მეორეზე გამოიძია

ყველა მისთვის ცნობილი სნეულება. ეშინოდა, არ დავბრმავდეო; თუ სიარულისას თავბრუ დაეხვეოდა, ეგონა, უცბად მკვდარი დავეცემიო. გამუდმებული შიში აკვიატებოდა, ჩაგრავდა და ილაჯს უწყვეტდა, ვაითუ შუაგზაზე გამაჩეროს სიკვდილმა, უდროოდ მომკლასო. აჰ! თუ სიკვდილი უწერია, ახლა ნუ, სანამ გამარჯვება არ მოუპოვებია, ნუ მოკვდება!..

გამარჯვება.. ეს აკვიატებული აზრია, მუდამ ქენჯნის, ესაა, რომ ზურგს უმაგრებს და კრისტოფი ცხოვრების ამ აშმორებულ ჭაობს, დაღლილობასა და ზიზღს უძლებს. ყრუ და ძალუმი წინათგრძნობა თავისი მომავლისა, აწმყოსიც!.. აწმყოსი? ახლა ავადმყოფი, ნერვიული ბავშვია, ვიოლინოზე უკრავს ორკესტრში და მდარე კონცერტებსა თხზავს. ეგ მხოლოდ გარე საბურველია, ისიც დროებითი. სხვაა მისი ნამდვილი არსი. არავითარი კავშირი არაა მის ღრმა არსსა და ამ გარეგნულ საფარველს შორის. ეს თავადაც კარგად იცის. სარკეში ჩახედვისას თავს ვეღარა ცნობს. ეს ფართო და წითელი სახე, ეს წინ წამოწეული წარბები, ვიწრო, ჩაცვენილი თვალები, მოკლე და მსხვილი, ფართონესტოებიანი ცხვირი, ეს ტლანქი ყბები და ტუჩები გაბუტული ადამიანისა, ეს მახინჯი და მდაბიური ნიღაბი ეუცხოება. ვერც თავის თხზულებებში ცნობს თავის თავს. იგი კარგად სჯის, იცის, რომ არარაობას წარმოადგენს ახლა და რაც შეუთხზავს. ისიც არარაა, მაინც მტკიცედ სჯერა, რაც იქნება და რასაც დაწერს. ხანდახან თავს უსაყვედურებს — თავმოყვარეობა მატყუებსო და თავს იმცირებს, მწარეზე შეურაცხყოფს. მაგრამ რწმენა მტკიცეა და ვერაფერი შეარყევს. რასაც უნდა აკეთებდეს და ფიქრობდეს, არც ერთი მისი მოქმედება, აზრი ან თხზულება არ შეიცავს, არ გამოხატავს მას, მან იცის, იდუმალად გრძნობს, რომ უფრო დიდია, ის არაა, რაც ახლა არის, არამედ ის, რაც ხ ვ ა ლ ი ქ ნ ე ბ ა... ი ქ ნ ე ბ ა! ეს რწმენა ანთებს, ამ სინათლით თვრება! აჰ! ოღონდ დღეანდელი დ ღ ე არ შეაყენებდეს ამ შუა გზაზე! ოღონდ არ გაახლართებოდეს თვალთმაქცურ, დღეანდელი დღის მიერ დაგებულ მახეში.

ასე მიჰყვება ნავით დღეთა მდინარებას. აქეთ-იქით არ იცქირება, საჭესთან დგას გაუნძრევლად და დაძაბული, დაჟინებული მზერით გასცქერის გზას, თავშესაფარს, დანახულ ნავსაყუდელს. ორკესტრში მოლაყბე მუსიკოსთა შორის, სუფრაზე — თავისიანებსა თუ სასახლეში, როდესაც უკრავს ისე, რომ არც ფიქრობს, რას ასრულებს ამ კეთილშობილი ტიკინების გასართობად, — იგი ცოცხლობს ამ სათუო მომავლით. თუმცა შეიძლება ერთმა ნამცეცმაც კი სამუდამოდ დაანგრიოს ეს მომავალი — ეგ არაფერი! კრისტოფი მაინც ამით ცოცხლობს.

იგი მარტოა მანსარდის ოთახში და თავის ძველ პიანინოს უზის. ბინდდება. დღის მომაკვდავი სინათლე ეფინება ნოტების რვეულს. კრისტოფი თვალებს

ძალას ატანს და კითხულობს. ვიდრე მთლად ჩაქრება დღის ნათელი გარდასულ დ-ად სულთა სინაზე ეღვრება ამ მუნჯი ფურცლებიდან და სიყვარული ეუფ-ლება. თვალები ცრემლით ევსება. ეჩვენება, თითქოს უძვირფასესი არსება იდ-გეს მის უკან. თითქოს მისი სუნთქვა ლოყაზე ელამუნებოდეს. თითქოს მისი ხე-ლები ეს-ესაა უნდა შემოეკიდოს მხრებზე. კრისტოფი თრთის და უკან იხედება. გრძნობს, დარწმუნებულია, რომ მარტო არ არის. რომელიღაც მოყვარული და საყვარელი სული არის აქ. მასთან. წუხს იმის გამო, რომ არ შეუძლია აღიქვას ეს სული, მაგრამ ამ ექსტაზში აღრეული წუხილის ჩრდილსაც იდუმალი სიტ-კბილება ახლავს. თვით გულისწუხილიც გასხივოსნებულია. კრისტოფი ფიქრობს თავის საყვარელ მასწავლებელთა, გარდაცვლილ გენიოსთა შესახებ. იმათ მოუკამიათ თავისი ჟამი, მაგრამ მათი სული მუსიკაში ახალ აღორძინებას განი-ცდის. გული სიყვარულით ეკსება და ოცნებობს ზეკაცურ ბედნიერებაზე, რაც უეჭველად რგებიათ მის დიდებულ მეგობრებს, — რადგან მათი ბედნიერების მცირედი ანარეკლიც კი ახლაც ეგზომ მწველია. ოცნებობს გახდეს მათი მსგავ-სი, თავადაც გამოასხივოს ეს სიყვარული, რომლის რამდენიმე დაკარგული სხი-ვი ღვთაებრივი ღიმილით უნათებს ბედკრულ სიცოცხლეს; თავადაც გახდეს ღმერთი, სიხარულის კერა, მზე სიცოცხლისა!..

ვაი, რომ, თუ ოდესმე რომელიმე მისთვის საყვარელი გმირის თანასწორი გახდა, თუ ოდესმე მოიპოვა ეს სხივმოსილი ბედნიერება, იმ დღეს დარწმუნდე-ბა, რა ამაო ყოფილა მისი ოცნება...

ნაწილი მეოთხე

ოთო

ერთ კვირა დღეს კრისტოფი მუსიკოსთა კავშირმა მიიწვია სადილად ქალაქგარეთ, ტობიას ფაიფერის პატარა ვილაში. ეს ვილა ქალაქიდან ერთი საათის სავალზე მდებარეობდა. კრისტოფი გემით გაემგზავრა. გემბანზე იგი ჩამოჯდა ერთი მისი კბილა ყმაწვილის გვერდით. ყმაწვილმა დაუზარებლად დაუთმო ადგილი. კრისტოფს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. მაგრამ წუთის შემდეგ შეამჩნია, რომ მეზობელი უთვალთვალებდა და თვითონაც დააცქერდა. ყმაწვილი ქერა იყო, მრგვალი და წითელი ლოყები ჰქონდა, თმა გვერდზე კოხტად გადაეყო, ტუჩს ზემოთ ბუსუსების ჩრდილი ეტყობოდა. დიდი ბალღის მიამიტი სახე ჰქონდა მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდა ჯენტლმენს დამგვანებოდა. გადაჭარბებული გულმოდგინებით იყო ჩაცმული: ფლანელის კოსტიუმი, ღია ფერის ხელთათმანი, თეთრი ფეხსაცმელი, მკრთალი ცისფერი ყელსახვევი ჰქონდა გამონასკვული, ხელში პატარა ჯოხი ეჭირა. იგი შეფარვით უყურებდა კრისტოფს თავის მოუბრუნებლად, კისერი ქათამივით წაეგრძელებინა. როცა კრისტოფმაც შეხედა, ყურთამდე გაწითლდა, ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, საქმიანი იერი მიიღო და თავი ისე დაიჭირა, თითქოს კითხვითაა დაინტერესებულიო. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც კრისტოფს ქუდი დაუვარდა, სწრაფად წამოხტა ასაღებად. ესოდენი თავაზიანობით გაოცებულმა კრისტოფმა ისევ შეხედა ყმაწვილს და ისიც ისევ წამოწითლდა. კრისტოფმა ცივად უთხრა მადლობა, რადგან არ უყვარდა ამგვარი პირმოთნეობა და ვერ იტანდა მის საქმეებში სხვების ჩარევას. მაინც ესიამოვნა.

მალე დაავიწყდა ყმაწვილი. მისი ყურადღება პეიზაჟმა მიიპყრო. დიდი ხანია ქალაქს არ გასცილებოდა და ახლა ხარბად ეგებებოდა ქარის ქროლვას, ტკბებოდა გემზე ტალღების ტყლაშუნის ხმით, ფართოდ გაშლილი მდინარითა და სანაპიროთა ცვალებადი სანახებით: რუხი და სწორი ფერდობებით, სანახევროდ წყალში ჩაძირული ტირიფის ხეებით, გოთური კოშკებითა და ქარ-

ხნების შავად აბოლებული მილების გვირგვინით შემკული დაბებით, ოქროსფერი ვენახებითა და ზღაპრული წარაფებით. იგი ხმამაღლა გამოთქვამდა აღტაცებას და მისმა მეზობელმა მორიდებით უამბო ისტორიული წარსული ამ მშვენივრად რესტავრირებული და სუროთი შემოსილი ნანგრევებისა. ამას ისე ამბობდა, თითქოს თავის თავს უკითხავდა ლექციას. კრისტოფი დაინტერესდა, ჩაჰკითხა. ყმაწვილმა ხალისით უპასუხა, ბედნიერი იყო, რომ თავისი ცოდნის გამოჩენა შეეძლო; და ყოველთვის, როდესაც კრისტოფს მიმართავდა, „ბატონ სასახლის მუსიკოსს“ უწოდებდა მას.

— განა თქვენ მიცნობთ? — შეეკითხა კრისტოფი.

— ოჰ! დიახ! — მიუგო ყმაწვილმა გულუბრყვილო აღტაცებით, რაც კრისტოფს ფრიად გაუხარდა.

ყმაწვილები ერთმანეთს გამოელაპარაკნენ. უცნობს თურმე ხშირად უნახავს კრისტოფი კონცერტებზე. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა ყველაფერს, რაც კრისტოფზე ეამბნათ. ყმაწვილს კრისტოფისათვის პირდაპირ არ უთქვამს ეს, მაგრამ კრისტოფი მიხვდა და ესიამოვნა. დაჩვეული არ იყო, მასთან ამგვარი მღელვარებითა და პატივისცემით ელაპარაკათ. გამოჰკითხა თანამგზავრს ამ ადგილების ისტორია. ყმაწვილმა მთელი თავისი ახლად შეძენილი ცოდნა გადმოალაგა. კრისტოფი აღაფრთოვანა მისმა განსწავლულობამ. მაგრამ ეს მათი საუბრის საბაბი იყო მხოლოდ. მხოლოდ ერთმანეთის გაცნობა უნდოდათ. ვერ ბედავდნენ გულწრფელი ლაპარაკის დაწყებას, შორიდან უვლიდნენ უხეირო შეკითხვებით. ბოლოს შეგულიანდნენ და კრისტოფმა შეიტყო, რომ მის ახალ მეგობარს „ბატონი ოტო დინერი“ რქმევია და ქალაქის ერთი მდიდარი ვაჭრის შვილი ყოფილა. რა თქმა უნდა, საერთო ნაცნობებიც გამოაჩნდათ და თანდათან ენა ამოიდგეს. გაცხოველებით საუბრობდნენ, როდესაც ხოპალდი მიადგა დაბას, სადაც კრისტოფი უნდა ჩამოსულიყო. ოტოც აქ ჩამოვიოდა. ამ დამთხვევამ გააოცა ისინი. კრისტოფმა ოტოს შესთავაზა — სადილობამდე ცოტა გავისეირნოთო. ისინი მინდვრებისაკენ გაეშურნენ. კრისტოფმა შინაურულად გაუყარა მკლავში ხელი ოტოს და თავისი გეგმები გააცნო, თითქოს დაბადებიდანვე მეგობრები ყოფილიყვნენ. კრისტოფი იმდენ ხანს იყო მოკლებული თავისი ასაკის ბავშვებს, რომ გამოუთქმელ სიხარულს ჰგვრიდა ამ ნაცნაურ და ზრდილობიან ყმაწვილთან ყოფნა.

დრო გადიოდა, კრისტოფი ვერ ამჩნევდა ამას. ახალგაზრდა მუსიკოსის ნდობით გაამაყებული დინერი ვერ ბედავდა შეენიშნა, რომ სადილობის ჟამმა დარეკა უკვე. ბოლოს თავი მოვალედ ჩათვალა გაეხსენებინა ეს. მაგრამ კრისტოფმა, რომელიც ის იყო ტყიან გორაკს შედგომოდა, მიუგო—ჯერ მწვერვალზე ავიდეთო. როდესაც მაღლა ავიდნენ, მდელოზე წამოწვა, თითქოს ეწადა

მთელი დღე აქ გაეტარებინა. თხუთმეტი წუთის შემდეგ დინერმა, რაკი შეატყო, რომ მისი ახალი ნაცნობი აქედან ფეხის მოცვლას არ აპირებდა, მორიდებით შეაპარა სიტყვა.

— თქვენი სადილი?

მიწაზე გულაღმა გაშლილ-ართულ კრისტოფს ხელები თავქვეშ ჰქონდა ამოდებული. მან მშვიდად მიუგო:

— ეშმაკსაც წაუღია!

ოტოს შეხედა და მისი შეძრწუნებული სახე რომ დაინახა, სიცილი დაიწყო.

— აქ ძალიან კარგია: იქ არ წავალ. დე მიცადონ!

შემდეგ წამოიწია:

— თქვენ გეჩქარებათ? არა, ხომ? იცით, რა? წაიდეთ და ერთად ვისადილოთ: მე ვიცი აქ ერთი დუქანი.

დინერი შეეცადა უარი ეთქვა, არა იმის გამო, რომ ვინმე უცდიდა, არამედ იმიტომ, რომ საერთოდ უმძიმდა რაიმეს უცბად გადაწყვეტა. იგი წინდახედული იყო და ჯერ უნდა შემზადებულიყო ამ გადაწყვეტილების მისაღებად. მაგრამ კრისტოფი ისეთ კილოზე შეეკითხა, რომ უარის თქმა შეუძლებელი იყო და ისიც დაჰყვა. ისევ საუბარი განაგრძეს.

დუქანში სიფიცხე გაუნელდათ. ორივე იმაზე ფიქრობდა, როგორ მოეხერხებინა და ფული თვითონ გადაეხადა. ორივე საკუთარი ღირსების საქმედ თვლიდა ამას: დინერი იმიტომ, რომ მდიდარი იყო, ხოლო კრისტოფი თავისი სიღარიბის გამო. ამაზე სიტყვა არ თქმულა, მაგრამ დინერი შეეცადა თავისი უფლება განემტკიცებინა და ავტორიტეტულად ალაპარაკდა კერძის შეკვეთისას. კრისტოფი განზრახვას მიუხვდა და იმით აჯობა, რომ უფრო ძვირფასი კერძები შეუკვეთა. მას უნდა ეჩვენებინა, სხვებზე ნაკლები არა ვარო, და როდესაც დინერი ისევ შეეცადა ღვინის არჩევანი მაინც ეკისრა, კრისტოფმა გამანადგურებლად გადახედა და მოატანინა ყველაზე ძვირფასი ღვინო.

ბოლოს, მდიდრულად გაწყობილ სუფრას რომ მოუსხდნენ, უეცრად შეცბუნდნენ. სალაპარაკო გამოელიათ, აზიზად ჭამდნენ, ერთმანეთს ერიდებოდნენ და თავს უხერხულად გრძნობდნენ. ანაზდად შენიშნეს, რომ ურთიერთისათვის უცხონი იყვნენ და ერთმანეთს უთვალთვალებდნენ. ამაოდ ცდილობდნენ გამოეცოცხლებიათ საუბარი — მაშინვე ჩუმდებოდნენ. პირველი ნახევარი საათი მომაკვდინებლად მოსაწყენი იყო. საბედნიეროდ სმა-ჭამამ გამოაცოცხლა ისინი და ერთმანეთისადმი ნდობით განიმსჭვალნენ, მეტადრე ამგვარ ნადიმს შეუჩვეველი კრისტოფი აჭიკჭიკდა: თავისი გაჭირვებული ცხოვრების ამბავი მოუთხრო ოტოს. ოტომაც სძლია თავდაჭერილობას და აღიარა — არც

მე ვარ ბედნიერი, სუსტი და მორიდებული ვარ და. ჩემი ამხანაგები ბოროტად იყენებენო ამას, დამცინიან. ვერ უპატიებიათ. რომ მათი უხეში ქცევა არ მომწონს და ავ ოინებს მიწყობენო. კრისტოფმა ხელები მოკუმშა და თქვა, შავ დღეს დავაყენებ მათ, თუ ჩემი თანდასწრებით ჩაიდენენ მაგასო. ოტოს ვერც შინაურებმა გაუგეს თურმე. კრისტოფს კარგად ესმოდა ეს და მათ გული მოეღალა საერთო უბედურებამ. დინერის მშობლებს უნდოდათ თავიანთი ვაჟი ვაჟარი გამოსულიყო, მამის საქმის გამგრძელებელი. მაგრამ თვითონ მას სურდა პოეტი გამხდარიყო. და გავხდები კიდეც. თუნდაც შილერივით შინიდან გაქცევა და სიღატაკეში ცხოვრება მომიხდესო. (მამის უზარმაზარი ქონება ბოლოს ხომ მაინც მას ერგება)!.. ღაწვებშეფაკლული ოტო გამოტყდა, რომ უკვე დაწერილი ჰქონდა ლექსები მწუხარებით აღსავსე ცხოვრების გამო, მაგრამ, მიუხედავად კრისტოფის ხვეწნისა, წაკითხვა ვერ გაბედა. ბოლოს მაინც წაიკითხა ბღელვარებისაგან ალუღლუღებული ხმით ორი თუ სამი ლექსი. კრისტოფს ძალიან მოეწონა ლექსები. მათ საერთო გეგმები დააწყვეს: მომავალში ერთად იმუშავებენ. დაწერენ დრამებს, სიმღერების ციკლს. ერთმანეთით აღტაცებულნი იყვნენ. გარდა მუსიკალური რეპუტაციისა, კრისტოფის ძლიერება და მტკიცე თავდაჭერა პატივისცემას უნერგავდა ოტოს, ხოლო კრისტოფი მოხიბლა ოტოს სხნატიფემ და ზრდილობამ — ყველაფერი ფარდობითია ამ ქვეყანაზე — და აგრეთვე ოტოს ღრმა ცოდნამ. რაც ეგზომ აკლდა და წყუროდა კრისტოფს.

დანაყრებულნი მაგიდაზე ნიდაყვდაყრდნობილნი ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს უსმენდნენ და ნაზად უმზერდნენ. შესაღამოვდა. წასვლის დრო დადგა. ოტო უკანასკნელად შეეცადა ანგარიშს დაუფლებოდა, მაგრამ კრისტოფმა ადგილზე გააქანავა მრისხანე, იმედწარმკვეთი გამოხედვით. კრისტოფს მხოლოდ ის აწუხებდა — უფრო მეტი არ მოეთხოვათ, ვიდრე ჰქონდა; სიამოვნებით დათმობდა საათსა და ყველაფერს, რაც ებადა, ოღონდ ოტოს არაფერი შეეტყო. მაგრამ ეს არ დასჭირვებია, მხოლოდ თითქმის მთელი თვის ხელფასის გაღება მოუხდა.

გორაკიდან ჩამოვიდნენ. საღამოს ჩრდილები ეფინებოდა ნაძვნარს, კენწეროები ჯერ კიდევ ვარდისფერ სინათლეში ცურავდნენ, მძიმედ ირწეოდნენ და ყრუდ შარიშურობდნენ. იისფერი წიწვების ნოხი ნაბიჯის ხმას ანელებდა. ორივენი დუმდნენ. კრისტოფი გრძნობდა, როგორ მოეცვა მისი გული უცნაურ და ტკბილ მღელვარებას; ბედნიერი იყო, ლაპარაკი უნდოდა, გული ტკბილად ეყუმშებოდა. იგი ერთი წუთით შედგა, ოტოც შეჩერდა. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ მაღლა, მზის სხივებში რიალებდნენ და დაბზუოდნენ ბუზები.

ხმელი ტოტი ჩამოვარდა. კრისტოფმა ხელი დაუჭირა ოტოს და მთრთოლარე ხმით ჰკითხა:

— გინდათ, ჩემი მეგობარი იყოთ?

ოტომ წაილუღლუღა:

— ჰო.

მათ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. გული უთრთოდათ. ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებდნენ.

წუთის შემდეგ ისევ გზას გაუდგნენ. რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს და სიტყვა არ დაუძრავთ, სანამ ტყის პირს არ მიაღწიეს, ეშინოდათ თავიანთი თავისა და თავიანთი იდუმალი მღელვარებისა. სწრაფად მიაბიჯებდნენ და არ შეჩერებულან, სანამ ხეების ჩრდილიდან გავიდოდნენ. აქ კი დამშვიდდნენ და ისევ ჩასჩიდეს ხელი ერთმანეთს. აღტაცებულნი იყვნენ სიფრიფანა საღამოთი და დროდადრო ესიტყვებოდნენ ერთმანეთს.

გემბანზე ბინდბუნდში მიმსხდარნი ამაოდ ცდილობდნენ უმნიშვნელო რამეებზე ესაუბრათ, ნათქვამს ყურს არ უგდებდნენ, ბედნიერებით იყვნენ დაღლილნი, არც ლაპარაკი უნდოდათ, არც ხელის გაწოდება, არც შეხედვა — რაკი ერთიმეორის პირისპირ ისხდნენ.

ჩამოსვლის წინ შეთანხმდნენ, შემდეგ კვირა დღეს ისევ შეხვედრილნენ. კრისტოფმა შინამდე მიაცილა ოტო. გაზის სანათურის სინათლეზე მორცხვად გაუღიმეს ერთმანეთს და მღელვარებით წაილუღლუღეს „ნახვამდის“. განშორებამ დაამშვიდა ისინი, ისე დაღლილიყვნენ რამდენიმე საათის დაძაბულობითა და იმ წვალებით, რაც სიჩუმის დამრღვევი რამდენიმე სიტყვის წარმოთქმას სჭირდებოდა.

კრისტოფი მარტო დაბრუნდა. გული უმღეროდა. „მეგობარი მყავს! მეგობარი მყავს!“ ვერაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა. სხვაზე არაფერზე ფიქრობდა.

ძილისაგან თვალი ეხუჭებოდა და შინ მისვლისთანავე დაიძინა. მაგრამ ორჯერ თუ სამჯერ გააღვიძა აკვიატებულმა აზრმა: „მეგობარი მყავსო“, — იმეორებდა და ისევ იძინებდა.

მეორე დილით ეგონა, ყველაფერი სიზმარი იყო. სინამდვილის დასამტკიცებლად წინანდელი დღის უმცირესი წვრილმანებიც კი მოიგონა. ამასვე სჩადიოდა გაკვეთილებზეც. ნაშუადღევს, რეპეტიციაზე, ისე ვაერთო თავისი საფიქრალით, რომ გამოსვლისას არც კი ახსოვდა, რა დაუკრა.

შინ დაბრუნებულს წერილი ელოდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, ვისგან იქნებოდა გამოგზავნილი. თავის ოთახში გაიქცა და ჩაიკეტა. წერილი ღია ცისფერ ქაღალდზე იყო დაწერილი გულმოდგინე, მოგრძო, გაუბედავად გამოყვანილი ასოებით:

„ძვირფასო ბატონო კრისტოფ, ნება მაქვს თუ არა დავწერო „ძალზე პატივცემულო მეგობარო?"

მე ბევრსა ვფიქრობ ჩვენი გუშინდელი გადაწყვეტილების შესახებ და უსაზღვროდ გმადლობთ თქვენი გულკეთილობისათვის. მე მეტად მადლიერი ვარ თქვენი მოქცევისა, სიტყვებისა, მომხიბლავი სეირნობისა და ჩინებული სადილისათვის! მხოლოდ ერთი რამ მწყინს: ის, რომ თქვენ იმოდენა ფული დახარჯეთ. რა შესანიშნავი დღე იყო! განა განგების ხელი არ ერია ამ საოცარ შეხვედრაში? მე მგონია, რომ თავად ბედისწერას სურდა ჩვენი შეკავშირება. როგორ მიხარია, რომ კვირას ისევ გნახავთ! ვიმედოვნებ, უსიამოვნება არ მოუყენებია თქვენთვის ბატონი სასახლის ორკესტრის დირიჟორის გაწბილებას. მე ძალიან მეწყინებოდა, თუ ჩემი მიზეზით რაიმე ცუდი შეგემთხვეოდათ!

თქვენი შარადის დავალებული მსახური და მეგობარი
— ოტო დინერი.

P.S. ძალიან გთხოვთ, კვირას შინ ნუ გამომივლით. უმჯობესი იქნება, თუ თქვენც ინებებთ, შლოსგარტენში შევხვდეთ ერთმანეთს".

კრისტოფი თვალცრემლიანი კითხულობდა ამ წერილს, შემდეგ აკოცა მას, გაიცინა და ლოგინზე შეხტა. მერე მაგიდას მიუჯდა და კალამი აიღო, რათა ახლავე მიეწერა პასუხი. ერთი წუთის მოცდაც არ შეეძლო. მაგრამ იგი დაჩვეული არ იყო წერილების წერას და არ იცოდა, როგორ გამოეთქვა თავისი ვრძნობები. ის კალმით ქაღალდს ფხაჭნიდა და მელნით თითებს ითხუპნიდა, ბოუთმენლობისაგან ფეხებს აბაკუნებდა. ბოლოს, დიდი წვალებისა და ხუთი თუ ექვსი შავად ნაწერი ბარათის გადათეთრების შემდეგ აჩხაბაჩხა ასოებითა და ორთოგრაფიული შეცდომებით ეს გამოიყვანა:

„სულო! როგორ ბედავ და მადლობას მიხდი იმისათვის, რომ მიყვარხარ? განა არ მოგიყევი. რა მწუხარე და ვანმარტოებული ვიყავი შენს გაცნობამდე? შენი მეგობრობა უდიდესი სიკეთეა ჩემთვის. გუშინ მე ბედნიერი ვიყავი, ბედნიერი! პირველად ჩემს სიცოცხლეში. სიხარულისაგან ავტირდი შენი წერილის კითხვისას. ჰო, ნუ დაეჭვდები, მეგობარო, რომ ბედისწერამ დაგვაახლოვა. ჩვენ მეგობრები უნდა ვყოფილიყავით დიდ საქმეთა აღსასრულებლად.

მეგობრები! რა საამური სიტყვაა! ნუთუ შესაძლოა, მეგობარი მყავდეს? ოჰ! შენ არასოდეს. მიმატოვებ, ხომ? ჩემი ერთგული იქნები? მუდამ!.. მუდამ!.. რა კარგი იქნება ერთად დავაუკაცება, ერთად შრომა. ჩვენ შევაერთებთ ჩემს მუსიკალურ შთაგონებას, ყველა ჩემს უცნაურ აზრს, რაც თავში მომდის ხოლმე. და შენს შთაგონებასა და გასაოცარ ცოდნას! რამდენი რამ იცი! მე არასოდეს მინახავს შენსავით გონიერი კაცი. ზოგჯერ ვშფოთავ. მგონია, რომ შენი მეგობრობის ღირსი არა ვარ. შენ კეთილშობილი და სრულქმნილი ხარ. მადლიერი ვარ იმისთვის, რომ შემიყვარე ასეთი უხეში ადამიანი!.. მაგრამ არა! ხომ გითხარი, საჭირო არაა-მეთქი მადლობის თქმა. მეგობართა შორის არ არიან არც დავალებულნი და არც კეთილისმყოფელნი. მოწყალებას მე არ მივიღებდი. ჩვენ თანაბარნი ვართ, რადგან ერთმანეთი გვიყვარს. რა შორი მეჩვენება შენი ნახვის დღე! თუ არ გინდა, მე არ გამოგიცდი შინ — თუმცა, მართალი რომ ვთქვა, მე არ მესმის ეს სიფრთხილე, — მაგრამ შენ უფრო ჭკვიანი ხარ და უეჭველად გაქვს საამისო მიზეზი...

კიდევ ერთი სიტყვა! ფულზე ნურასოდეს ნუ მეტყვი რამეს. მე მძულს ფული, მისი სახელიცა და თვითონაც. თუმც მდიდარი არა ვარ. მეგობრის დასაპატიჟებელ თანხას ყოველთვის ვიშოვი. როგორ მიხარია, როცა მეგობრისათვის ყველაფერს ვხარჯავ. შენც ასე არ იზამდი, რომ დამჭირვებოდა? — განა მთელ შენს ქონებას არ მომცემდი? მაგრამ ეს არასოდეს მოხდება! მე ღონიერი ხელები და მაგარი თავი მაქვს და ყოველთვის ვიშოვი ლუკმაპურს! კვირას ვნახავთ ერთმანეთს. ღმერთო ჩემო! მთელი კვირა უნდა გავატარო უშენოდ! ორი დღის წინ კი არც გიცნობდი! როგორ ვცოცხლობდი ამდენ ხანს?

ჩვენმა ორფეხა მეტრონომმა ცოტა წაიბუზღუნა. ნუ სწუხხარ, რაში მაინტერესებს სხვები? მე არად ვაგდებ მათ აზრს ჩემ შესახებ. მხოლოდ შენი აზრია ჩემთვის მნიშვნელოვანი. დაე გიყვარდე, სულო, გიყვარდე. როგორც მე მიყვარხარ! მე შენი ვარ, შენი, შენი, თავით ფეხებამდე. მარად შენი

კ რ ი ს ტ ო ფ ი"

მთელი კვირა კრისტოფი მოლოდინისაგან იტანჯებოდა. გზიდან გადაუხვევდა ხოლმე და შორიდან უყურებდა, რათა ოტოს სახლთან გაეარა — იმიტომ კი არა, რომ თვალი მოეკრა მისთვის — ამ სახლის დანახვა კმაროდა, რომ მღელვარებისაგან გაფითრებულიყო და გაწითლებულიყო. ხუთშაბათს თავი ვერ შეიმაგრა და მეორე წერილი გაგზავნა, ბევრად უფრო აღგზნებული ტონით დაწერილი, ვინემ პირველი. ოტომ გრძნობიერი წერილით უპასუხა.

ბოლოს კვირა დღეც დადგა. ოტო დროზე გამოცხადდა პაემანზე. მაგრამ კრისტოფი მთელი საათი უცდიდა ხეივანში და მოუთმენლობით იწვოდა. შიშიც შეეპარა, ვაითუ არ მოვიდესო. წუხდა — იქნებ ოტო ავად გახდაო, რადგან ერთი წუთითაც არ დაეკვეებულა, რომ ოტოს შეეძლო არ შეესრულებინა დაპირება. იგი ჩუმად იმეორებდა „ღმერთო, მოიყვანეო", წკეპლას სცემდა ხეივნის კენჭებს. ჩათქმული ჰქონდა — თუ სამჯერ ავაცილე, არ მოვა, ხოლო თუ მოვარტყი, ოტო მაშინვე გამოჩნდებაო. მიუხედავად გულმოდგინებისა და ამოცანის სიადვილისა, სამგზის ააცილა და სწორედ მაშინ მოჰკრა თვალი ოტოს. იგი წყნარად, დარბაისლური ნაბიჯებით მოდიოდა: უკიდურესი მღელვარების წუთებშიაც ზომიერებას ინარჩუნებდა. კრისტოფი მისკენ გაიქცა და ყველამშრალმა გამარჯვება უთხრა; ოტომაც მიუგო — გაგიმარჯოსო და მეტი ვეღარაფერი თქვეს, გარდა იმისა, რომ ძალიან კარგი ამინდია, თერთმეტის ხუთი თუ ექვსი წუთია, თუმცა შესაძლოა თერთმეტის ათი წუთი იყოს, რადგან ციხის კოშკის საათი ყოველთვის ჩამორჩებაო.

სადგურისაკენ გასწიეს, მატარებელში ჩასხდნენ და უახლოესი სადგურისაკენ გაემართნენ. ეს ჩვეულებრივი გასეირნების საზღვარი იყო ამ ქალაქის მკვიდრთათვის. გზაში ათი სიტყვაც ვერ უთხრეს ერთმანეთს. ცდილობდნენ ეს მრავლისმეტყველი მზერით აენაზღაურებინათ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. უნდოდათ გამოეხატათ, რომ მეგობრები იყვნენ, მაგრამ მათი თვალები არას ამბობდა. ისინი კომედიას თამაშობდნენ. დარცხვენილმა კრისტოფმა შეამჩნია ეს. არ ესმოდა, რატომ ვეღარაფერი თქვა, რატომ არ გრძნობდა იმას, რითაც ერთი წუთის წინ სავსე ჰქონდა გული. ოტო ნაკლებ გულწრფელი გრძნობების მქონე და წინდახედული ყმაწვილი იყო და ამიტომ, შესაძლოა, ასე კარგად ვერ შეეგნო ეს მარცხი. მაგრამ ისიც იმედის გაცრუებას გრძნობდა. ორივე ჭაბუკმა ერთი კვირის განშორებისას ისე დაძაბა გრძნობა, რომ ახლა უჭირდათ იმავე დონეზე დარჩენა ამიტომ შეხვედრამ მხოლოდ იმედგაცრუება მოიტანა. საჭირო იყო მიწაზე ჩამოსულიყვნენ, მაგრამ არც ერთს არ უნდოდა პროზა.

მთელი დღე მინდვრებში ხეტიალობდნენ და ვერ მოახერხეს ჩამოეშორებინათ მძიმე იძულების გრძნობა, რაც ქვასავით აწვათ გულზე. დღესასწაული იყო, დუქნები და ჭალა სავსე იყო მოსეირნეებით. წვრილფეხა ბურჟუები ოჯახებით მოსულიყვნენ. ძალზე ხმაურობდნენ და ყველა კუნჭული დაეკავებინათ — საუბრობდნენ. ამან უფრო ცუდ გუნებაზე დააყენა ყმაწვილები. მომაბეზრებელი ბრბო დაადანაშაულეს, რომ ვეღარ გაიხარეს წინანდებურად. უხალისოდ საუბრობდნენ. ძალიან უჭირდათ საუბრის თემის მოძებნა. ეშინოდათ იმის გამჟღავნება, რომ სალაპარაკო არა ჰქონდათ რა. ოტო სკოლაში მიღებულ ცოდნას აფრქვევდა, კრისტოფი მუსიკალური ნაწარმოებებისა და ვი-

ოლინოს დაკვრის ტექნიკას უხსნიდა. ერთმანეთს გული გაუწყალეს, მობეზრდათ თავისივე ნალაპარაკევის მოსმენა. მაინც ლაპარაკობდნენ და როგორც კი გაჩუმდებოდნენ, შეეშინდებოდათ, სიჩუმის უფსკრულმა არ გაგვყინოსო. ოტოს ეტირებოდა, კრისტოფი მზად იყო მიეტოვებინა ის და გაქცეულიყო. ისე რცხვენოდა და ისე წუხდა.

ცოტა გახალისდნენ, მხოლოდ ერთი საათით ადრე მატარებლის გასვლამდე. შუა ტყეში აყეფდა მონადირე ძაღლი. კრისტოფმა ოტოს შეესთავაზა, გზაზე დავიმალოთ, იქნებ დავინახოთ, მსხვერპლს როგორ მისდევსო. უღრან ტყეში შევიდნენ. ძაღლი ხან შორდებოდა, ხან უახლოვდებოდა მათ. ისინი ყოველმხრივ, — მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან დაბორიალობდნენ. ყეფა გაძლიერდა. სისხლს მოწყურებული ძაღლი გაშმაგებით წკავწკავებდა და ყმაწვილებს უახლოვდებოდა. კრისტოფი და ოტო ბილიკთან თხრილში გაწვნენ ჩამოცვენილ ფოთლებზე და სულშეგუბებულნი ელოდნენ. ყეფა შეწყდა. ძაღლმა კვალი დაკარგა, კიდევ ერთხელ დაიწკავწკავა შორით. შემდეგ სიჩუმე ჩამოდგა ტყეში. არსაიდან ხმა. ისმოდა მხოლოდ იდუმალი ზუზუნი მილიონი არსისა, მწერებისა და ჭიებისა, განუწყვეტლივ რომ ხრავენ და მუსრავენ ჭალაკს; სიკვდილის თანაზომიერი და უჩუმარი სუნთქვა. ბიჭები უსმენდნენ და არ იძროდნენ. სწორედ მაშინ, როდესაც დანაღვლიანებულები წამოდგნენ და უნდა ეთქვათ: გათავდა, შეგვეშვაო, — პატარა კურდღელი გამოხტა ბუჩქნარიდან. იგი პირდაპირ მათკენ მორბოდა. ბიჭებმა ერთად მოჰკრეს თვალი და სიხარულით შეჰყვირეს. კურდღელი ადგილზე შეხტა და შეტრიალდა. მათ დაინახეს, როგორ შევარდა იგი ჩირგვებში. კურდღლის მიერ შეთრთოლებულმა ფოთლებმა ცახცახი შეწყვიტეს, თითქოს წყლის ზედაპირზე ჭავლი გაქრაო. ყმაწვილები ნანობდნენ, რად შევყვირეთო. ამ შემთხვევამ გაამხიარულა ისინი. სიცილით იხრჩობოდნენ შეშინებული კურდღლის ნახტომის მოგონებისას. კრისტოფმა გასცინა კურდღელს, ოტოც აჰყვა. შემდეგ ერთმანეთს დაედევნენ. ოტო კურდღელი იყო, კრისტოფი—ძაღლი. ისინი ტყესა და მინდვრებზე დაეშვნენ, ღობეებზე გადადიოდნენ, თხრილებს ახტებოდნენ. ჭვავის ყანა გადათელეს და გლეხმა უყვირა მათ. ბიჭები არ შემდგარან. კრისტოფი ძაღლის ხრინწიან ყეფას ისე კარგად ბაძავდა, რომ ოტოს სიცილისაგან ცრემლი სდიოდა. ბოლოს გიჟური ყვირილით დაღმართზე დაგორდნენ. როდესაც ისე დაიქანცნენ, რომ ხმის ამოღებაც აღარ შეეძლოთ, დასხდნენ და მოცინარი თვალებით შეხედეს ერთმანეთს. ახლა სავსებით ბედნიერნი და თავიანთი თავით კმაყოფილნი იყვნენ. აღარ ცდილობდნენ ძმადნაფიცების როლი ეთამაშნათ და ისევ ბავშვებად იქცნენ.

ხელიხელგადაჭდობილნი ბრუნდებოდნენ და უაზრო სიმღერებს მღეროდნენ.

შინ დაბრუნებისას მაინც უმჯობესად მიიჩნიეს წინანდებური როლი ეთამაშათ და ტყისპირას ხეზე ამოკრეს თავიანთი გადაწნული ინიციალები. მაგრამ კარგმა გუნებამ სძლია სენტიმენტალობას — დაბრუნებისას, მატარებელში, სიცილით კვდებოდნენ, როცა ერთმანეთს გაუსწორებდნენ ბავალს. განშორებისას სჯეროდათ, რომ „კოლოსალურად მომხიბლავი“ დღე გაატარეს. ეს რწმენა განუმტკიცდათ, როცა მარტონი დარჩნენ.

ისინი შეუდგნენ საქმეს, რაც მეტ მოთმინებას და მოხერხებას მოითხოვდა, კიდრე ფუტკრის შრომა. უშინაარსო მოგონებათა ნაკუწებისაგან თავიანთი მეგობრობის ჯადოსნური წარმოდგენა შეიქმნეს. მთელი კვირა ერთმანეთს აიღელვებდნენ, კვირადღეობით ხვდებოდნენ და, მიუხედავად ბათი ფანტაზიის და სინამდვილის დაშორიშორებისა, თავიანთი სურვილების თვალით უყურებდნენ ყველაფერს.

ამ მეგობრობით ამაყობდნენ. განსხვავებული ხასიათი აახლოებდა მათ. კრისტოფს ვერა წარმოედგინა რა ოტოზე უკეთესი. მისი მოხდენილი ხელები, ბშვენიერი თმა, ნორჩი სახის ფერი, კდემამოსილი საუბარი, თავაზიანი ქცევა და ტანსაცმლის სინატიფეზე ზრუნვა ხიბლავდა. ოტო კრისტოფის დამოუკიდებლობასა და უტეხ ნებისყოფას ეთაყვანებოდა. ოტოს სუკეთეობრივი მემკვიდრეობით მიღებული ჰქონდა ყოველგვარი ავტორიტეტის თაყვანისცემა: ამიტომ მას შიშნარევ სიტკბოებას. აგრძნობინებდა ყოველგვარი დადგენილი წესისადმი ეგზომ დიდი უპატივცემულობა, რომელსაც კრისტოფი იჩენდა. ავხორცული ძრწოლით თრთოდა, როდესაც ესმოდა მისგან ქალაქის ფრიად პატივცემულ პირთა ძაგება და თვით ჰერცოგის თამამი გამოჯავრება. კრისტოფი ამჩნევდა, რომ ამით ხიბლავდა თავის მეგობარს და ცეცხლს უმატებდა. ძველი რევოლუციონერივით ძირს უთხრიდა სახელმწიფოს სოციალურ საძირკველსა და კანონმდებლობას. ოტო აღშფოთებითა და აღტაცებით უსმენდა, კრძალვით ცდილობდა თავადაც ასე ელაპარაკნა, მაგრამ ჯერ მიიხედ-მოიხედავდა, ხომ არავინ გვისმენსო.

სეირნობისას, თუკი კრისტოფს შემთხვევა მიეცემოდა და აკრძალვის წარწერას დაინახავდა, უთუოდ ღობეზე გადახტებოდა ან ხილს მოკრეფდა სხვის ბაღში. ოტო შიშით კვდებოდა, არავინ შეგვისწროსო, მაგრამ ძალიან მოსწონდა ეს და საღამოობით შინ დაბრუნებული გმირად წარმოიდგენდა ხოლმე თავს. კრძალვით აღმერთებდა კრისტოფს. ამ მეგობრობით მისი მორჩილების ინსტინქტი კმაყოფილდებოდა, რაკი სხვის ნებელობას ემორჩილებოდა. კრისტოფი არასოდეს აუხებდა. ყველა გადაწყვეტილების მიღებას თვითონ კისრულობდა. დღის წესრიგს თვითონ ადგენდა, ისევე როგორც მთელი მათი ცხოვრების განრიგს და ოტოს მომავალსაც ისე ეპყრობოდა, როგორც თავისას — უცილო-

ბელ გეგმებს აღგენდა. ოტოს ეს გეგმები მოსწონდა, თუმცა ცოტათი აღშფოთებულიც იყო — კრისტოფი მეტისმეტად თავისუფლად ეპყრობა ჩემს ქონებას — რამ გადააწყვეტინა მომავალში ჩემი ხარჯით და თავისი ჩანაფიქრით თეატრის ჩამოყალიბებაო. მაგრამ ამხანაგის მბრძანებლური კილოთი დაშინებული და მისი რწმენით დაჯერებული არ ეკამათებოდა, არ უმტკიცებდა, რომ ბ-ნი კომერციის მრჩეველის ოსკარ დინერის მიერ მოხვეჭილი ქონება შეიძლებოდა უკეთესი რაიმესთვის გამოეყენებინათ. კრისტოფს არასოდეს მოსვლია აზრად, რომ ოტოს ძალას ატანდა. იგი ინსტინქტურად იყო დესპოტი და ვერ წარმოედგინა, იქნებ ჩემს მეგობარს სხვა რამ სურსო. ოტოს რომ სხვაგვარი სურვილი გამოეთქვა, ის უყოყმანოდ შესწირავდა, რაც კი გააჩნდა. შესწირავდა უფრო მეტსაც. ძალიან უნდოდა — თავი გაეწირა მეგობრისათვის. სურდა შემთხვევა მისცემოდა თავისი მეგობრობის დასამტკიცებლად. ნატრობდა, სეირნობისას რაიმე განსაცდელი შეგვემთხვეს, რათა მკერდით გადავეფარო ოტოსო. სიხარულით თავს დასდებდა ოტოსათვის. ამ განსაცდელის მოლოდინში დიდი მზრუნველობით უვლიდა მას, ცუდ გზაზე ხელს უწვდიდა, როგორც პატარა გოგონას, წუხდა, არ დაიღალოს, არ დაცხეს, არ შეცივდესო: პიჯაკს იხდიდა და მას ახურავდა მხრებზე, როდესაც ხის ძირში დასხდებოდნენ. როცა სეირნობდნენ, მისი წამოსასხამი მიჰქონდა. მზად იყო თვით ოტოც ატატებული ეტარებინა. თვალს არ აშორებდა შეყვარებულივით. სიმართლეს თუ ვიტყვით, შეყვარებული იყო სწორედ.

თუმცა ეს თვითონ არ იცოდა, კრისტოფს ჯერ არ გამოეცადა, რა იყო სიყვარული. მაგრამ ზოგჯერ, როდესაც ერთად იყვნენ, უცნაური მღელვარება იპყრობდა მათ, ისეთი, როგორც დამეგობრების პირველ დღეს განიცადეს ნაძვნარში. სისხლი სახეში აწვებოდათ და ღაწვები უწითლდებოდათ. ეს აცბუნებდა ბიჭებს. ორივე ბავშვი რაღაც ინსტინქტით მორცხვად განერიდებოდნენ, გასცილდებოდნენ ერთმანეთს, ერთი ჩამორჩებოდა მეორე წინ გასწევდა გზაზე, თითქოს მაყვლოვანში მწიფე მაყვლების ძებნით ყოფილიყვნენ გართულნი. მათ არ ესმოდათ, რა აშფოთებდათ.

წერილებში კი მათი გრძნობა ღვარად დიოდა. აქ არ ეშინოდათ სინამდვილესთან დაშორებისა, აქ არაფერი ზღუდავდა მათ ილუზიებს და არც რა ამინებდა. ახლა კვირაში ორ-სამჯერ უგზავნიდნენ ერთმანეთს გრძნობიერი ლირიკული სტილით დაწერილ ბარათებს. სინამდვილის მოვლენები და ჩვეულებრივი ამბები როდი აინტერესებდათ, არამედ უმნიშვნელოვანესი პრობლემების გარშემო მსჯელობდნენ, აპოკალიპსის კილოთი ერთმანეთს „ჩემო იმედო, ჩემო მეორე მევ, ჩემო საყვარელოო“, — სწერდნენ. ათასნაირად ატრიალებდნენ სიტყვას — „სული“. ტრაგიკული ფერებით უხატავდნენ ერთმანეთს თავიანთი

სვებედის სიმწარეს და წუხდნენ, რომ მეგობრის ცხოვრებაში საკუთარი ურვაც შეჰქონდათ.

„გემდური, ჩემო საყვარელო, — სწერდა კრისტოფი, — რადგან შენ იტანჯები ჩემი მიზეზით. მე არ შემიძლია ავიტანო შენი ტანჯვა: ეს არ უნდა იყოს, მე არა მსურს (ისე გაესვა ხაზი ამ სიტყვებისათვის, რომ ქაღალდი გაეფხრიწა). თუ შენ იტანჯე, სად ვიპოვო მე სასიცოცხლო ძალა? შენ გარდა მე სხვა ბედნიერება არ გამაჩნია! ო! იბედნიერე! ყოველგვარ მწუხარებას სიხარულით ავიტან შენთვის! იფიქრე ჩემზე! გიყვარდე! მე ძალიან მესაჭიროება სიყვარული. შენი სიყვარულისაგან მეფინება სითბო და მიბრუნდება სიცოცხლე ჩემი. რომ იცოდე, როგორ ვკანკალებ! ჩემს გულში ზამთარია და სუსხიანი ქარი ქრის. ვკოცნი შენს სულს!“

„ჩემი ფიქრი შენსას ეამბორება“, — პასუხობდა ოტო.

„ხელებს გხვევ თავზე, — სწერდა კრისტოფი, — და ბაგით. რომელსაც არასდროს ჩაუდენია ეს და არც ჩაიდენს, გკოცნი ისე, როგორც მიყვარხარ. გაბზომე ძალი ჩემი სიყვარულისა“.

ოტო თითქოს ეჭვობდა:

„გიყვარვარ განა ისე, როგორც მე მიყვარხარ?“

„ო! ღმერთო! — პასუხობდა კრისტოფი, — ისე კი არა, ათჯერ, ასჯერ, ათასჯერ მეტად! როგორ! ეს შენ არ იცოდი განა? კიდევ რა ექნა იმისათვის, რომ გული აგიჩქროლო?“

„რა მშვენიერია ჩვენი მეგობრობა! — აუწყებდა ოტო, — ნეტა თუ არსებულა ოდესმე ასეთი? იგი სიზმარივით ტკბილი და ნაზია. ნეტა მარად გაგრძელდებოდეს. ვაითუ გულიდან ამომიღო!“

„რა სულელი ხარ, საყვარელო, — ატყობინებდა კრისტოფი, — შემინდე, მაგრამ შენი ნამცეცა შიში მაშფოთებს. როგორ მეკითხები, გულიდან ხომ არ ამომიღებო? ჩემთვის სიცოცხლე შენი სიყვარულია მხოლოდ. სიკვდილი უძლურია ჩემი სიყვარულის მიმართ. შენც რომ მოინდომო მისი შერყევა, ვერ შეძლებ. თუ მიღალატებ და გულში დამჭრი, მაინც შენგან შთაგონებული სიყვარულის მადიდებელი მოვკვდები. დაჩუმდი, ერთხელ და სამუდამოდ დამშვიდდი და ამ მდაბალი აზრებით ნუ დამამწუხრებ!“.

მაგრამ ერთი კვირის შემდეგ თვითონ სწერდა:

„მთელი სამი დღეა, რაც შენგან ერთი სიტყვაც არ გამიგონია. მე ვკანკალებ. ხომ არ დაგვიწყებივარ? სისხლი მეყინება ამის გაფიქრებისას... ჰო: უეჭველად... სხვა დროსაც შემიმჩნევია შენი გულგრილობა. აღარ გიყვარვარ! გინდა მიმატოვო!.. მისმინე! თუ დამივიწყებ, თუ ოდესმე მიღალატებ, მიგბრჩობ, ძაღლივით“.

„შენ შეურაცხმყოფ, სულო, — ოხრავდა ოტო, — ცრემლს მაღვრევინებ. ეს მე არ დამიმსახურებია. მაგრამ ჰყავ, რაც გენებოს. შენ იმოდენი უფლება გაქვს ჩემზე, სულიც რომ დამიმსხვრიო, ერთი ნამსხვრევი მაინც იცოცხლებს, რათა შენ უყვარდე!“.

„ციურო ძალნო! — წამოიძახებდა კრისტოფი, — მეგობარი ავაცრემლე!.. მლანძღე, მცემე! ფეხით გამთელე! არამზადა ვარ! შენი სიყვარულის ღირსი არა ვარ!“

რას არ იგონებდნენ — მისამართს სხვაგვარად აწერდნენ, მარკას უცნაურად აკრავდნენ — ხან შებრუნებით, ირიბად, ხან კონვერტის ქვედა კუთხეზე, მარჯვნივ, რათა გამოერჩიათ ეს წერილები სხვა, უმნიშვნელო წერილისაგან. ეს ბავშვური საიდუმლოება მათ სიყვარულის ნაზი იდუმალებით ხიბლავდა.

ერთ დღეს, გაკვეთილიდან დაბრუნებისას, კრისტოფმა ქუჩაში დაინახა ოტო და მისი ხნის ყმაწვილი. ისინი მეგობრულად საუბრობდნენ და იცინოდნენ. კრისტოფი გაფითრდა და თვალი გააყოლა მათ, სანამ კუთხეს არ მიეფარნენ. მათ კი იგი არ შეუმჩნევიათ. ბიჭი შინ დაბრუნდა. თითქოს ღრუბელს დაეფაროს მზე, ყველაფერი დაუბნელდა.

როდესაც შემდეგ კვირას ერთმანეთს შეხვდნენ, კრისტოფს პირველად არა უთქვამს რა. მაგრამ ნახევარი საათის სეირნობის შემდეგ დახშული ხმით უთხრა:

— ოთხშაბათს დაგინახე კროიცჰასეზე.

— ჰო! — თქვა ოტომ და გაწითლდა.

კრისტოფმა, განაგრძო:

— შენ მარტო არ იყავი.

— ჰო, არა, — თქვა ოტომ, — მახლდა ერთი ბიჭი.

კრისტოფმა ნერწყვი გადაყლაპა და შეეცადა გულგრილ კილოთი ეკითხა:

— ვინ იყო?

— ჩემი ბიძაშვილი ფრანცი.

— ჰო! — თქვა კრისტოფმა. და წუთის შემდეგ დაუმატა: — არასოდეს არაფერი გითქვამს შენს ბიძაშვილზე.

— ის რაინბახში ცხოვრობს.

— ხშირად ხვდები?

— ზოგჯერ ჩამოდის ჩვენთან.

— შენც ჩადიხარ ხოლმე იქ?

— ხანდახან.

— ჰო! — გაიმეორა კრისტოფმა.

ოტოს სასაუბრო თემის შეცვლა უნდოდა და დაანახა ჩიტი, რომელიც ნისკარტს უკაკუნებდა ხეს. სხვა რამეზე განაგრძეს საუბარი. ათიოდე წუთის შემდეგ კრისტოფმა უეცრად უთხრა:

— ის შენი მეგობარია?

— ვინ? — ჰკითხა ოტომ (თუმცა კარგად იცოდა, ვისზე ეკითხებოდნენ).

— შენი ბიძაშვილი.

— კი. მერე რა?

— არაფერი.

ოტოს მაინცდამაინც არ უყვარდა თავისი ბიძაშვილი, მისი უშნო მასხროობა აღიზიანებდა, მაგრამ ცბიერების სურვილმა სძლია და რამდენიმე წამის შემდეგ დაუმატა:

— ძალიან კარგი ბიჭია.

— ვინ? — შეეკითხა კრისტოფი (თუმცა კარგად იცოდა, ვისაც გულისხმობდა ოტო).

— ფრანცი.

ოტო პასუხს ელოდა კრისტოფისაგან. მაგრამ მას თითქოს არც გაეგონოს, ტოტს აკრიდა თხილის ბუჩქს. ოტომ განაგრძო:

— იმასთან კაცი არ მოიწყენს. უამრავი ამბავი იცის.

კრისტოფმა დამცინავად დაუსტვინა.

ოტომ ფრანცის ქებას უმატა:

— ისეთი ჭკვიანია... და ზრდილობიანი.

კრისტოფმა მხრები ისე აიჩეჩა, თითქოს ამბობდა, „რაში მაინტერესებსო".

და რადგანაც მეგობრის უყურადღებობით გაწბილებულ ოტოს უნდოდა კიდევ გაეგრძელებინა, კრისტოფმა უხეშად შეაწყვეტინა ლაპარაკი და უთხრა, აი იქამდე გავიქცეთო

ნაშუადღევს ამ თემას არ შეხებიან, მაგრამ ცივად ეჭირათ თავი და გადაჭარბებულ თავაზიანობას იჩენდნენ. რაც უჩვეულო იყო, განსაკუთრებით კრისტოფის მხრით. მას სიტყვა ყელში ეხირებოდა. ბოლოს თავი ვერ შეიკა-

ვ., შუა გზაზე მიუბრუნდა ოტოს, რომელიც ხუთიოდე ნაბიჯზე მოსდევდა, მაგრად ჩაავლო ხელი და ერთბაშად გადმოანთხია თავისი გულის წუხილი.

— მისმინე, ოტო! არ მინდა, არ მინდა ასე მეგობრულად იყო ფრანცთან, იმიტომ რომ... იმიტომ რომ ჩემი მეგობარი ხარ. არ მინდა ჩემზე მეტად გიყვარდეს ვინმე! არ მინდა! ხომ ხედავ — შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის. შენ ვერ იზამ... ნუ იზამ... შენ თუ არ მეყოლები, სიკვდილის გარდა არა დამრჩენია რა. არ ვიცი, რას ვიზამ. მე თავს მოვიკლავ. შენ მოგკლავ. არა. მაპატიე!..

და თვალთაგან ცრემლი წასკდა.

ამ მუქარით აღსავსე მწუხარების სიწრფელით აღელვებულმა და შეშინებულმა ოტომ დაიფიცა, შენ გარდა არავინ მყვარებია არასოდეს და არც ახლა მიყვარსო, ფრანცს არად ვაგდებ და აღარ შევხვდები, თუ შენ ასე გინდაო. კრისტოფი ხარბად ნთქავდა მის სიტყვებს, გული აუყვავილდა, გაიცინა და ძალუმად ამოიხვნეშა, ოტოს გულითადი მადლობა გადაუხადა, შერცხვა, ეს რა სცენა გავმართეო, მაგრამ მძიმე ტვირთი კი ჩამოეხსნა მხრებიდან. ორივენი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ უძრავად. ერთმანეთს შესცქეროდნენ და ხელები ჩაეჭიდათ. ძალზე ბედნიერნი და შემცბარნი იყვნენ. ჩუმად გაუდგნენ შინისაკენ გზას, შემდეგ კვლავ წინანდებური მხიარულებით ალაპარაკდნენ. არასოდეს უგრძნიათ ისეთი სიახლოვე, როგორსაც ამჟამად გრძნობდნენ.

მაგრამ ეს სცენა უკანასკნელი არ ყოფილა. ახლა ოტო გრძნობდა, კრისტოფზე უფლება მაქვსო და ცდილობდა ბოროტად გამოეყენებინა იგი. მან იცოდა, რა უფრო სწყინდა კრისტოფს და დაუძლეველი სურვილი იპყრობდა — თითით გაეღიზიანებინა ჭრილობა. კრისტოფის გაჯავრება როდი სიამოვნებდა, პირიქით, აკრთობდა, მაგრამ კრისტოფის ტანჯვა არწმუნებდა, ძლიერი ვარო. აეი არ იყო, მას, ქალის სული ჰქონდა მხოლოდ.

დაპირების მიუხედავად, ბევრჯერ დაინახა კრისტოფმა იგი ფრანცთან თუ სხვა ამხანაგებთან ხელგადაჭდობილი, განგებ მხიარული და მოცინარე. როდესაც კრისტოფი უსაყვედურებდა, ის ჩაიქირქილებდა და მაგას რა მნიშვნელობა აქვსო. იტყოდა, ვიდრე არ შეამჩნევდა, რომ კრისტოფს თვალები აევსებოდა და ტუჩები სიბრაზისაგან აუთრთოლდებოდა. მაშინ კილოს შეიცვლიდა შეშინებული და დაჰპირდებოდა — მეტს აღარ გაკიმეორებო. მეორე დღესვე ძველებურად იქცეოდა. კრისტოფი მძვინვარე წერილებსა სწერდა:

„არამზადავ! შენზე ერთი სიტყვის, გაგონებაც არა მსურს! აღარ გიცნობ! ეშმაკმა წაგიღოს შენი ჯილაგის ძაღლებთან ერთად!“

მაგრამ საკმარისი იყო ოტოს ცრემლნარევი სიტყვა ეთქვა ან, როგორც ერთხელ ქნა, სამარადისო ერთგულების სიმბოლოდ ყვავილი გამოეგზავნა, რომ კრისტოფი სინდისის ქენჯნას შეეპყრო და მიეწერა:

„ჩემო ანგელოზო! ნამდვილი გიჟი ვარ. დაივიწყე ჩემი სიბრიყვე. შენ საუკეთესო ხარ კაცთა შორის. შენი ნეკი სულელ კრისტოფზე მეტი ღირს. გონივრული და წმიდა სინაზის საუნჯე ხარ. თვალცრემლიანი ვკოცნი შენს გამოგზავნილ ყვავილს. იგი მკერდზე მაქვს მიდებული. მჯილით ვიკრავ, რათა ჩემს ტანს შეენივთოს. ნეტა სისხლს დამადენდეს, რომ უფრო ძლიერად ვიგრძნო შენი საოცარი სიკეთე და ჩემი სამარცხვინო უგუნურობა!..“

ერთიმეორეს თავი შეაწყინეს. სისულელეა, თითქოს წვრილმანი კინკლაობა ამტკიცებდეს მეგობრობას. კრისტოფი ბრაზობდა ოტოზე, რა უგუნურად ვიქცევი მაგის გამო. ცდილობდა თავი დაეოკებინა და თავს მტარვალობას აბრალებდა. რაკი პირველად გამოსცადა სიყვარული, კრისტოფის პატიოსანი და ცხარე ბუნება, მთლად მიეცა გრძნობას, და გულის ნამცეციც არ დაუტოვებია თავისთვის. დაუშვებლად მიაჩნდა მეგობრობის დანაწილება. იგი მზად იყო ყველაფერი გაეწირა მეგობრისათვის და კანონიერად, აუცილებლადაც კი მიაჩნდა, რომ მეგობარსაც შემოეწირა ყოველივე. მაგრამ გრძნობდა, მსოფლიო მისი უდრეკელი ხასიათის მიხედვით არ იყო მოწყობილი და ამქვეყნად ადამიანებიც მეტს მოითხოვდნენ, ვიდრე თვითონ შეუძლიათ გასცენ. იგი ცდილობდა თავის თავი დაეძლია, თავს ადანაშაულებდა — ეს ეგოიზმია და უფლება არა ჰაქვს მეგობრის თავისუფლება შეეზღუდო, მისი სიყვარული მივითვისოო. თუმცა ძალიან ძვირად უჯდა ეს, გულწრფელად ცდილობდა სრული თავისუფლება მიენიჭებია ოტოსათქის და როცა თავის დამდაბლების გუნებაზე იყო, თავს აიძულებდა, ოტოს ურჩიე, ფრანცს დაუდევრად ნუ მოეპყრობაო. ცდილობდა თავი დაერწმუნებინა, ძალიან მესიამოვნება, თუ ოტო სხვასთანაც იმეგობრებსო. ოტოს მშვენივრად ესმოდა, რაც ხდებოდა კრისტოფის გულში და ვერაგულად ეთანხმებოდა, კრისტოფი უნებლიეთ კოპებს შეიკრავდა და უეცრად ისევ გაცეცხლდებოდა.

ოგი ოტოს აპატიებდა მეტ სიყვარულსაც კი სხვა მეგობრებისადმი, მაგრამ სიცრუეს ვერ იტანდა. ოტო არც მატყუარა იყო და არც პირმოთნე. მხოლოდ ბუნებით ისევე უჭირდა სიმართლის თქმა, როგორც ენაბრგვილს სიტყვის წარმოთქმა. მისი ნათქვამი არასოდეს არ ყოფილა არც მთლად მართალი და არც მთლად ყალბი. გრძნობათა მოკრძალებულობისა თუ მერყეობის გამო იშვიათად

ლაპარაკობდა პირდაპირ, მუდამ ორაზროვნად პასუხობდა, ყველაფერს გულდაბ-შულობისა და იდუმალების ბურუსში ხვევდა. ამას მოთმინებიდან გამოჰყავდა კრისტოფი. როდესაც ტყუილში დაიჭერდა, ოტო აღიარების ნაცვლად გაკერპდებოდა — არაო, და თავის გასამართლებლად სისულელეს ჩმახავდა. ერთ დღეს განრისხებულმა კრისტოფმა სილა სტკიცა. მას ეგონა ეს იყო მათი მეგობრობის დასასრული და ოტო არასოდეს აპატიებდა, მაგრამ რამდენიმე საათის გაბუტვის შემდეგ იგი დაბრუნდა, თითქოს არაფერი მომხდარაო. სრულიადაც არ გაჯავრებულა კრისტოფის განრისხების გამო. შესაძლოა მოსწონდა კიდეც ეს და სწორედ მაშინ არ იყო კრისტოფის მადლიერი, როცა იგი თავს აბრიყვებინებდა და პირდაღებული ყლაპავდა ტყუილებს. ცოტათი სძაგდა კიდეც ამისათვის და თავის უპირატესობას გრძნობდა. კრისტოფიც თავის მხრივ ბრაზობდა ოტოზე, რადგან უდრტვინველად იტანდა მის უხეშობას.

ახლა ერთმანეთს პირველი დღეების თვალით არ უმზერდნენ. ერთმანეთის ხინჯი ნათელი შეიქმნა მათთვის. ოტოს აღარ ხიბლავდა კრისტოფის დამოუკიდებლობა. კრისტოფი ცუდი თანამგზავრი იყო სეირნობისას. მას ცხოვრების ცოდნა სრულიად არ გააჩნდა. თავი თვითნებურად ეჭირა, პიჯაკს იხდიდა, ქილეტს იხსნიდა, საყელოს იღეღავდა. პერანგის სახელოებს იკაპიწებდა, ჯოხზე წამოცმული დაჰქონდა ქუდი და ხუფთა ჰაერით ტკბებოდა. სიარულისას ხელებს აქნევდა, სტვენდა, ყურისწამღებად მღეროდა გაწითლებული, ოფლიანი და დამტვერილი. იგი ბაზრობიდან შინ მობრუნებულ გლეხს ჰგავდა. ოტოს სწორედ შერცხვებოდა. ერთად რომ ენახათ: გზაზე ეტლს რომ შეამჩნევდა, ათიოდე ნაბიჯით ჩამორჩებოდა კრისტოფს და თავს ისე დაიჭერდა, თითქოს მარტო მისეირნობდა.

არა ნაკლებ სამარცხვინო იყო კრისტოფი დუქანში ან დაბრუნების დროს, ვაგონში რომ გაბამდა საუბარს. იგი ხმამაღლა კამათობდა, ამბობდა, რაც თავში მოუვიდოდა და აღმაშფოთებელი ფამილარობით ეპყრობოდა ოტოს. აგდებულად ლაპარაკობდა ყველაზე და ცნობილ პიროვნებათა და მათგან რამდენიმე ნაბიჯზე მსხდომთა გარეგნობის შესახებაც კი. ან დაწვრილებით ყვებოდა თავისი ჯანმრთელობისა და შინაური ცხოვრების ამბებს. ოტო თვალებს ამაოდ უტრიალებდა და შეშფოთებული ამაოდ ანიშნებდა, გაჩერდიო. კრისტოფი ვითომ ვერ ხედავდა ამას და ისე თავისუფლად გრძნობდა თავს, თითქოს მარტოაო. ოტო ამჩნევდა, მეზობლად მსხდომნი იღიმებოდნენ და ერჩია მიწა გასკდომოდა. ხედავდა, კრისტოფი მოუხეშავი იყო და ვერ გაეგო, რა მხიბლავდა უწინო.

ყველაზე ცუდი ის იყო, რომ კრისტოფი კვლავინდებური სითამამით ეპყრობოდა ყოველგვარ ღობეს, ყორეს, კედელს, აკრძალვას, ჯარიმის მუქარას,

ყველაფერს, რაც ზღუდავდა მის თავისუფლებას და იცავდა წმიდათა წმიდა საკუთრებას. ოტო გამუდმებულ შიშსა გრძნობდა, მაგრამ მისი საყვედურები ამაო იყო, კრისტოფი განგებ უარესს შვებოდა.

ერთ დღეს კრისტოფი და ოტო ჭალაკს მიადგნენ. მას ზღუდე ჰქონდა შეკოვლებული. ამის მიუხედავად, და, ვინ იცის, იქნებ სწორედ ბოთლის ნატეხებით მოქონგურებული ზღუდის გამო, კრისტოფი ჭალაკში შეიპარა, ოტოც აიძულა და იქ ისე დასეირნობდა. თითქოს საკუთარ სამფლობელოშიაო. სწორედ ამ დროს შეეფეთენ დარაჯს. დარაჯმა კარგად გამოლანძღა ბავშვები, კარგა ხანს ემუქრებოდა — აქტს შეგიდგენთო და ბოლოს სამარცხვინოდ გამორეკა ჭალიდან. ოტოს მაინცდამაინც ბრწყინვალე ვაჟკაცობა არ გამოუჩენია ამ შემთხვევისას. თავი უკვე ციხეში ეგონა და თვალცრემლიანი სულელურად ლუღლუღებდა — აქ უცაბედად შემოვეხეტეო, კრისტოფს მივყვებოდი, რა ვიცოდი, სად მივდიოდიო. როდესაც თავი დაიძვრინეს, გახარების ნაცვლად ლანძღვა დაუწყო კრისტოფს, შენ შემარცხვინეო. კრისტოფმა ზიზღით შეხედა და ლაჩარი უწოდა. ერთმანეთს ცხარედ წაელაპარაკნენ. ოტო ჩამოსცილდებოდა კრისტოფს, შინისაკენ მიმავალი გზა რომ სცოდნოდა. მაინც თავი ისე ეჭირათ, თითქოს ცალ-ცალკე ყოფილიყვნენ.

ცა საავდროდ მოიღრუბლა. გაბრაზებულები იყვნენ და ვერც შეიტყვეს ამინდის შეცვლა. ალმურმოდებული ყანებიდან მწერთა ზუზუნი მოდიოდა. ეეცრად სიმყუდროვე ჩამოდგა. მათ მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ შეამჩნიეს სიჩუმე: ყურები უბუბუნებდათ. ზეაიხედეს: ზეცა საშინლად მოქუშულიყო, უზარმაზარ, მძიმე და ტყვიისფერ ღრუბლებს აევსო. ყოველის მხრიდან მოჰქროდნენ ისინი, თითქოს კავალერიის რაზმები ყოფილიყვნენ, ერთი უჩინარი წერტილისაკენ მიისწრაფოდნენ და უძირო ზეცა ისრუტავდა მათ. შემკრთალი ოტო ვერ ბედავდა შიში გაემჟღავნებინა კრისტოფისათვის, კრისტოფი ბოროტად ხარობდა და ვითომ ვერაფერს ამჩნევდა. მაინც ხმისგაუცემლად ერთმანეთს მიუახლოვდნენ. ისინი მარტონი იყვნენ ველზე: არსაიდან ხმა. ჰაერი არ იძროდა. მხოლოდ დროდადრო ციებიანივით შეცახცახდებოდნენ პაწია ფოთლები. ეეცრად გრიგალმა დაქროლა, მტვერი ააყენა, ხეები მოდრიკა და გაშმაგებით წეწვა დაუწყო. შემდეგ ისევ წელანდელზე უფრო საშინელი სიჩუმე ჩამოწვა. ოტომ აკანკალებული ხმით წარმოთქვა:

— ქარიშხალი იქნება. შინ დავბრუნდეთ.

კრისტოფმაც გაიმეორა:

— დავბრუნდეთ.

მაგრამ გვიან იყო. დამაბრმავებლად გაიელვა, ცამ დაიგრუხუნა, ღრუბლების თაღი ყრუდ აგუგუნდა. ერთ წამში ატყდა გრიგალი, ცა შემაძრწუნე-

ბელმა ელვამ დასერა, გავარდა მეხი. — ბიჭები თავით ფეხამდე დასველდნენ. ქოტიტვლებულ მინდორზე იდგნენ, უახლოეს თავშესაფარამდე ნახევარი საათის სავალი იყო. კოკისპირულ წვიმაში თავზარდამცემად, წითლად ელავდა. გაქცევა უნდოდათ, მაგრამ სველი ტანსაცმელი სიარულს უშლიდათ, ფეხსაცმელები ჭყაპუნობდა, წყალი სდიოდათ მთელ ტანზე. ძლივსღა სუნთქავდნენ. ოტო კბილებს აკაწკაწებდა და ცოფებს ანთხევდა, შეურაცხმყოფელ სიტყვებს ეუბნიროდა კრისტოფს, არწმუნებდა, უნდა გავჩერდეო, სიარული სახიფათოაო, ეშუქრებოდა, გზაზე დავჯდები, ან ხნულში ჩავწვებიო. კრისტოფი არ პასუხობდა, ქარისა, წვიმისა და ღელვისაგან დაბრმავებული, მეხის ტეხისაგან ვაბრუებული ძიაბიჯებდა. მასაც შეეპარა შიში, მაგრამ ცდილობდა არ გაემჟღავნებინა.

უეცრად ტაროხი შეიცვალა. ჭექა-ქუხილმა გადაიარა. ორივენი შესაბრალის მდგომარეობაში იყვნენ. მართალია, კრისტოფი ჩვეულებრივად დაუდევრად იყო ჩაცმული და ცოტა მეტი აწეწილობა არაფერს ცვლიდა, მაგრამ ნატიფად შემოსილი ოტო საცოდავი სანახავი იყო — გეგონებოდათ, ჩაცმულს უბანავია და ისე გამოსულა გარეთო; როდესაც კრისტოფი მისკენ მიბრუნდა, სიცილი ვერ შეიკავა. ოტო ისე დანაღვლიანებულიყო, რომ გაჯავრების თავიც არ ჰქონდა. კრისტოფს შეებრალა და მხიარულად შეესიტყვა. ოტომ თვალების ბრიალით უპასუხა. კრისტოფმა შეათრია ის ერთ ფერმაში; ფქ ცეცხლის პირას გაშრენ და თბილი ღვინო შესვეს. კრისტოფმა სასაცილოდ მიიჩნია თავსგადამხდარი ამბავი. სცადა ოტოც გაემხიარულებინა. მაგრამ ოტო მთელი დანარჩენი ხნის განმავლობაში დაღვრემილი იყო და დუმდა. გაბუტულნი დაბრუნდნენ და ხელიც არ ჩამოურთმევიათ განშორებისას.

ამის შემდეგ მთელი კვირა აღარ შეხვედრიან ერთმანეთს. მკაცრად განსაჯეს ერთურთის საქციელი. მაგრამ რაკი თავი დაისაჯეს — ერთი კვირადღე გამოტოვეს — ისევ მოიწყინეს, გულღრძოობა გაუქარდათ. კრისტოფმა, როგორც ყოველთვის, პირველად გაუწოდა ხელი. ოტომაც კეთილ ინება შეეწყნარებინა იგი და ყმაწვილები დაზავდნენ.

მიუხედავად უთანხმოებისა, უერთმანეთოდ გაძლება არ შეეძლოთ. ბევრი ხინჯი ჰქონდათ, ორივენი ეგოისტები იყვნენ, მაგრამ მათი ეგოიზმი იყო გულუბრყვილო, შეუგნებელი და მოწიფული ასაკის ინგარიშიანობას მოკლებული, რაც ასე საზიზღარს ხდის ხოლმე ამ გრძნობას. თითქმის შვენოდათ კიდეც ეგოიზმი და მათ მეგობრობას ხელს არ უშლიდა. ისე სწყუროდათ სიყვარული და თავდადება! პატარა ოტო ბალიშზე აფრქვევდა ცრემლს, როცა იგონებდა რომანტიკული ერთგულების ამბებს, რომელთა მთავარი გმირიც თავად იყო. იგი იგონებდა ამაღელვებელ ფათერაკებს, როცა ის ძლიერი, მამაცი, გუ-

ლითადი და მისი წარმოსახვით სათაყვანებელი კრისტოფის მფარველად გამოდიოდა. კრისტოფიც ისე ვერ ნახავდა და ვერ გაიგონებდა რასმე კარგსა და საინტერესოს, რომ არ გაეფიქრა — „ნეტა ოტოც აქ იყოს!“ მეგობრის სახე ყოველგან ახლდა და იგი, მიუხედავად იმისა, რაც ოტოზე იცოდა, მაინც ისე ნაზად ისახებოდა. როცა ოტოსაგან განაგონ ზოგიერთი სიტყვას დიდი ხნის შემდეგ მოიგონებდა შელამაზებულს, მღელვარებისაგან ათრთოლდებოდა. ისინი ერთმანეთს ბაძავდნენ. ოტო ბაძავდა მის მანერებს, ჟესტებს, ხელწერას, კრისტოფს ზოგჯერ აღიზიანებდა ეს ლანდი, ყოველ მის სიტყვას რომ იმეორებდა და მის აზრებს მასთანვე ასაღებად თავისად. მაგრამ ვერ ამჩნევდა, რომ თვითონაც იმეორებდა ოტოს, ბაძავდა მის ჩაცმულობას, სიარულსა და ზოგიერთი სიტყვის წარმოთქმის მანერას. ისინი ერთიმეორეთი იყვნენ გამსჭვალულნი, გული სინაზით შეტბორებოდათ, ისინი ერთმანეთს თვლიდნენ ამის მიზეზად. არ იცოდნენ, რომ სიჭაბუკე იღვიძებდა მათში.

კრისტოფი არავის ერიდებოდა და თავის ქაღალდებს უყურადღებოდ ყრიდა. მაინც ინსტინქტური მორცხვობა აიძულებდა დაემალა ოტოსადმი მიწერილი წერილების შავი პირები და მეგობრის პასუხები. მაგრამ უჯრას გასაღებით არ კეტავდა, უბრალოდ ნოტის რვეულის ფურცლებს შორის აწყობდა წერილებს და დარწმუნებული იყო, იქ ვერავინ იპოვიდა. მაგრამ ძმების ეშმაკობა არ გაუთვალისწინებია.

რა ხანია ამჩნევდა, როგორ ჩურჩულებდნენ და იღრიჭებოდნენ მის დანახვისას ისინი, ერთმანეთს რაღაცას წასჩურჩულებდნენ და სიცილით იხოცებოდნენ. კრისტოფმა ყური ვერ მოჭრა მათ სიტყვებს და თანაც თავისი ტაქტიკის მიხედვით ყურადღებას არ აქცევდა და სრულ გულგრილობას იჩენდა მათი საქციელისა და ლაპარაკისადმი. მაგრამ ზოგმა ყურმოკრულმა სიტყვამ მისი ყურადღება მიიქცია... ნაცნობად ეჩვენა. მალე მიხვდა, ძმებს მისი წერილები წაეკითხათ. ერთმანეთს ხუმრობით „სულოო“, ეუბნებოდნენ. კრისტოფი ძმებს ჩააცივდა, მაგრამ მათგან ვერაფერი გაიგო. ცუღლუტებმა თავი მოიკატუნეს, ვითომ კითხვა ვერ გაიგეს და თქვეს, უფლება გვაქვს რაც გვინდა, ის ვუწოდოთ ერთმანეთსო. კრისტოფმა თავის ადგილას იპოვა ყველა წერილი და მეტად აღარ ჩასციებია ძმებს.

ცოტა ხნის შემდეგ კრისტოფმა ქურდობაზე წაასრო ერნსტს: პატარა ავარა ხელს აფათურებდა კომოდის უჯრაში, სადაც ლუიზას ფული ჰქონდა გადანახული. კრისტოფმა სასტიკად მიბერტყა ძმა და თანაც გადმოულაგა ყველაფერი, რაც გულში ჩაემარხა. უშვერი სიტყვებით გალანძღა და ჩამოუთვა-

ლა უამრავი სიგლახე, რაც ჩაედინა ერნსტს. ერნსტი დატუქსვამ გაბრაზა და უტიფრად შეესიტყვა — რა მაქვს შენი სასაყვედურო და ოტოსთან მეგობრობა შეახსენა. კრისტოფმა ჯერ ვერა გაიგო რა, მაგრამ როცა ბიჭი ძმა ნართაულ სიტყვით ოტოს გადასწვდა, შესძახა, ეს რას ნიშნავსო? პატარამ ჩაიქირქილა. შემდეგ რომ დაინახა, კრისტოფი სიბრაზისაგან გაფითრდაო, შეშინდა და ხმა ჩაიკმიდა. კრისტოფი მიხვდა — ასე ვერაფერს ვათქმევინებო, დაჯდა, მხრები აიჩეჩა და ზიზღით გადახედა ერნსტს. ამით გაწიწმატებულმა ერნსტმა ისევ გაუბა ურცხვად ლაპარაკი. ცდილობდა ეწყენინებინა ძმისთვის და ერთიმეორეზე უფრო სასტიკ და საზიზღარ რამეს ეუბნებოდა. კრისტოფი თავს ძლივს იკავებდა. როდესაც ყველაფერი გაიგო, სისხლი სახეზე მოაწვა, სკამიდან წამოხტა. ერნსტმა დაყვირებაც ვერ მოასწრო. კრისტოფი ეცა, წააცია, თავს იატაკზე ახლევინებდა. მსხვერპლის საზარელ ბღავილზე მელქიორმა, ლუიზამ, მიელმა ოჯახმა მოირბინა. ძლივს გამოგლიჯეს ცოცხალ-მკვდარი. კრისტოფს არ უნდოდა ხელიდან გაეშვა; ძალა იხმარა. ველური მხეცი უწოდეს და მართლაც ჰგავდა: თვალები გადმოკარკლოდა, კბილებს აკრაჭუნებდა და მხოლოდ იმას ცდილობდა, ისევ ძგერებოდა ერნსტს. როცა ჰკითხეს, რა მოხდაო, სიშმაგე გაუორკეცდა და დაიყვირა, — მოვკლავო. ერნსტმაც არაფერი თქვა.

კრისტოფს არც ჭამა შეეძლო, არც ძილი. ცახცახებდა და ტიროდა ლოგინში. მხოლოდ ოტოს გამო როდი იტანჯებოდა. მის არსებაში გარდატეხა მოხდა. ერნსტს არც შეეძლო წარმოედგინა, რაოდენი მწუხარება მიაყენა ძმას. კრისტოფს ახასიათებდა სავსებით პურიტანული შეურიგებლობა ცხოვრების ჭუჭყის მიმართ და როცა კი წააწყდებოდა, შეძრწუნდებოდა ხოლმე. თხუთმეტი წლის ყმაწვილი თავისუფალი ცხოვრებისა და ძლიერი ინსტინქტების მიუხედავად, უცნაურად გულუბრყვილო იყო ისევ. ბუნებრივი სიწმინდე და შეუსვენებელი მუშაობა იფარავდა. ძმის სიტყვებმა უფსკრულში ჩაახედა. ვერასოდეს წარმოიდგენდა ასეთ სიბილწეს. და ახლა, როცა ამ სიბილწის აზრი შეიჭრა მის გონებაში, მთელი სიხარული სიყვარულისა ჩაუქრა. არა მხოლოდ ოტოს მეგობრობა, არამედ საერთოდ მეგობრობა წარიშალა მისთვის.

უარესი ის იყო, რომ სხვებმა რამდენჯერმე დაცინვით გადაუკრეს სიტყვა, რამაც აფიქრებინა — შეიძლება უმართებულოდაც — მეზობლების ბილწი ცნობისმოყვარეობის საგანი ვარო. ეს აზრი განუმტკიცდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მელქიორმა რამდენიმეჯერ უხსენა ოტოსთან სეირნობა. შესაძლოა, მელქიორს ცუდი განზრახვით არ უთქვამს, მაგრამ კრისტოფი ახლა ყოველ სიტყვაში ფარულ აზრს კითხულობდა და თითქმის დამნაშავედაც მიაჩნდა თავი. ოტოც მსგავს კრიზისს განიცდიდა.

ჯერჯერობით ცდილობდნენ მალულად შეხვედროდნენ ერთმანეთს. მაგრამ

შეუძლებელი შეიქნა წარსული საუბრის უშუალობის აღდგენა. მათი ურთიერთობის სიწრფელე წარიყვნა. ამ ორ ბავშვს ისეთი მორცხვი სინაზით უყვარდათ ერთმანეთი, რომ არასოდეს გაუბედავთ ძმურად ეკოცნათ ერთმანეთისთვის. ვერ წარმოედგინათ იმაზე მეტი ბედნიერება, ვიდრე ერთმანეთის ნახვა, მოსმენა და ოცნებათა გაზიარება; ახლა ლაფდასხმულად გრძნობდნენ თავს, რადგან ურცხვ ადამიანებს ბიწიერი ეჭვი შეეპარათ. სრულიად უმანკო ქცევა, შეხედვა, ხელის ჩამორთმევა ცუდ რამედ ეჩვენებოდათ, წითლდებოდნენ და ბნელი ფიქრები მოსდიოდათ. მათი ურთიერთობა აუტანელი გახდა.

შეუთანხმებლად უკლეს ერთად სიარულს. ცდილობდნენ, წერილები ეწერათ, ბაგრამ ყოველ გამოთქმაზე თავს იმტვრევდნენ ფიქრით. წერილების კილო ცივი და უგემური გახდა. მოწყენა დაეუფლა მათ. კრისტოფმა სამუშაო პოიმიზეზა, ოტომ — სამეცადინო და მიწერ-მოწერა შეწყდა, მალე ოტო უნივერსიტეტში გაემგზავრა და რამდენიმე თვის განმავლობაში სიცოცხლის მანათობელი მეგობრობა სავსებით ჩაქრა.

მალე კრისტოფის გულს ეწვია ახალი სიყვარული, რისი წინამორბედიც იყო ეს მეგობრობა და ყველაფერი გაფერმკრთალდა მის სინათლეზე.

ნაწილი მესამე

მინა

ოთხი თუ ხუთი თვის წინ ქალბატონმა იოზეფა ფონ კერიხმა, ახლად გარდაცვლილი სახელმწიფო მრჩევლის სტეფან ფონ კერიხის ქვრივმა, დატოვა ბერლინი, სადაც აქამდე ქმრის სამსახური აკავებდა და სამშობლოში, რაინისპირა პატარა ქალაქში დასასახლებლად გამოემგზავრა თავის ქალიშვილთან ერთად. აქ მას ჰქონდა ძველი მამისეული სახლი. ამ სახლს უზარმაზარი ბაღი, უკეთ რომ ვთქვათ, პარკი ერტყა. ბაღი ფერდობზე იყო გაშენებული და მდინარემდე ჩადიოდა. კრისტოფის სახლი იქვე იდგა. მანსარდიდან კრისტოფი ხედავდა ყორეზე გადმოშვერილ მძიმე ტოტებსა და მაღალი, წითელი სახურავის ხავსმოდებულ კრამიტს. პატარა, მიგდებული, დამრეცი შესახვევი მარჯვნიდან გასდევდა პარკს. აქედან შეიძლებოდა ყორის იქით გადახედვა, თუ სამანის ბოძზე აცოცდებოდით; კრისტოფი ხშირად იქცეოდა ასე. იგი უყურებდა ბალახით დაფარულ ხეივნებს, გაველურებულ საბალახოს დამსგავსებულ პატარა კორდებს, უწესრიგოდ არეულსა და გადახლართულ ხეებს და თეთრ ფასადს შუადამ დახურული დარაბებით. წელიწადში ერთხელ თუ ორჯერ მებაღე შეივლიდა, ფანჯრებს გამოაღებდა ჰაერის გასაწმენდად. შემდეგ ისევ ბუნების ნაკუთრება ხდებოდა ბაღი და ყოვლისმომცველი სიჩუმე ისადგურებდა გარშემო.

ეს სიჩუმე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა კრისტოფზე. იგი ხშირად ადიოდა მალვით თავის სათვალთვალო ბოძზე. ბიჭი იზრდებოდა. თანდათან გადაეჭარბა ყორეს. ჯერ თვალები, შემდეგ ცხვირი, შემდეგ ბაგე მიუახლოვდა ყორის დონეს; ახლა კი, თუ თითის წვერებზე აიწეოდა, ყორეზე მკლავების დაწყობაც შეეძლო. ასე დგომა მეტად უხერხული იყო, მაგრამ ყორეზე ნიკაპ-დაბჯენილი მაინც დიდხანს იდგა ხოლმე და ბაღში იცქირებოდა. ხეების შრიალს უსმენდა, ვიდრე საღამო არ დააფენდა ველზე რბილ, ოქროვან სხივებს და ნაძვების ჩრდილში მოლურჯოდ არ ააციმციმებდა მათ. ჭვრეტაში გართულს ყოველივე ავიწყდებოდა, სანამ ქუჩიდან გამვლელის ნაბიჯები შემოესმებოდა.

ღამღამობით ბაღიდან სურნელი იკმეოდა: გაზაფხულობით იასამნისა, ზაფ-
ხულში — აკაციების, შემოდგომაზე — მიწაზე დაცვენილი ფოთლებისა. რო-
დესაც კრისტოფი დაქანცული ბრუნდებოდა შინ სასახლიდან, კარიბჭესთან შე-
ჩერდებოდა, რათა ბაღის საამური სუნთქვა ეყნოსა: შემდეგ უმძიმდა თავის
დახუთულ ოთახში შესვლა. რამდენჯერმე უთამაშნია კიდეც — როცა თამაშის
ასაკისა იყო — აბალახებულ ქვაფენილზე კერიხების სახლის ჭიშკართან.
ჭიშკრის აქეთ-იქით ორი ვეება წაბლის ხე იდგა; პაპა ხშირად ჩამოჯდებოდა
ხოლმე ხის ძირას და ჩიბუხს აბოლებდა, ხოლო წაბლის ნაყოფს სათამაშოდ
და საჩოლ იარაღად იყენებდნენ ბავშვები.

ერთხელ, დილით, კრისტოფმა შესახვევში გაიარა და ჩვეულებისამებრ
სამანის ბოძზე აცოცდა. იგი სხვა რამეზე ფიქრობდა და უგულისყუროდ იც-
ქირებოდა. ჩამოცოცება დააპირა, მაგრამ იგრძნო, რომ რაღაც შეცვლილი იყო.
თვალი სახლს მიაპყრო. ფანჯრები გაეღოთ: მზე შეჭრილიყო შიგნით. თუმცა
არავინ ჩანდა, ძველი სახლი თითქოს გამოფხიზლებულიყო თხუთმეტი წლის
ძილისაგან და გამხიარულებულიყო. კრისტოფი აღელვებული დაბრუნდა შინ.

სუფრაზე მამამ შეატყობინა ამბავი, მთელი უბნის სალაპარაკოდ გამხდა-
რი: ჩამოსულიყო ქალბატონი ფონ კერიხი ქალიშვილითურთ და უზომოდ
ბევრი ბარგი ჩამოეტანა. მოედანი წაბლის ხეებქვეშ ფორნების გადმოტვირ-
თვის სანახავად მოსულ დოყლაპიებს აევსოთ. კრისტოფი ძალზე დაინტერეს-
და. ეს ახალი ამბავი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მის მოსაწყენ ცხოვრებაში.
გაკვეთილზე მიმავალი ცდილობდა მამის ჩვეულებისამებრ გაზვიადებული ნა-
ამბობის მიხედვით წარმოედგინა მოჯადოებული სახლის მეპატრონენი. შემდეგ
სამუშაომ გაიტაცა და ახალი ამბავი დაავიწყდა, მაგრამ საღამოს, შინ დაბრუნე-
ბისას, ყველაფერი გაახსენდა. ცნობისმოყვარეობამ სძლია, თავის სათვალ-
თვალო ადგილას აცოცდა, უნდოდა გაეგო, რა ხდებაო ყორეს იქით. არაფერი
დაუნახავს გარდა მშვიდი ხეივნებისა, რომელთაც თითქოს მზის უკანასკნელ
სხივებზე ჩასძინებოდათ. რამდენიმე წუთის შემდეგ ცნობისმოყვარეობის სა-
განი სულ მიავიწყდა და, როგორც ყოველთვის, ახლაც დუმილის სიტკბოებას
მიეცა. ამ უცნაური სამანის ბოძის წვერზე მოქანავე კრისტოფს ოცნება უყ-
ვარდა. უშნო, დახუთული, დაჩრდილული შესახვევის შემდეგ ეს მზიანი ბაღი
ადოსნურად იყო გასხივოსნებული. კრისტოფის გონება თავისუფლად ნავარ-
ჯობდა ამ ჰარმონიულ სივრცეში, მუსიკა მღეროდა გულში, კრისტოფი მისი
მორჩილი ხდებოდა, ავიწყდებოდა დრო, გარემო და მხოლოდ თავის სულის
ღეღუნს უსმენდა.

თვალღია, პირგაღებული ოცნებობდა და ვერ გეტყოდათ, რამდენი ხანი
იყო ასე, რადგან ვერას ამჩნევდა. უეცრად შეკრთა. მის პირისპირ ხეივნის მო-

სახვევში ორი ქალი იდგა და მას უმზერდა. ერთი მათგანი ახალგაზრდა ქალი იყო შავებში გამოწყობილი, დახვეწილ, მაგრამ უსწორო ნაკვთიანი, ფერფლისფერთმიანი, მაღალი, ელეგანტური, თავისუფლად ეჭირა თავი და კრისტოფს კეთილი. ოდნავ დამცინავი თვალებით უკვრეტდა. მეორე ასევე თალხით შემოსილი თხუთმეტი წლის გოგონა იყო და ისეთი იერი ედო, თითქოს ესაა გიჟურად უნდა გადაიხარხაროსო. იგი დედამისის უკან იდგა. დედა უკანმოუხედავად ანიშნებდა — თავი წესიერად დაიჭირეო. გოგონას ისე მიეფარებინა ხელები ტუჩებზე, თითქოს ძლივს, დიდი გაჭირვებით იკავებდა სიცილს. ამ პატარა ქალს ნორჩი, თეთრი, ავარდისფერებული და მრგვალი პირისახე ჰქონდა, პატარა ოდნავ განიერი ცხვირი, ოდნავ მოდიდო ბაგე. პატარა ფაფუკი ნიკაპი, წვრილი წარბები და ღია ფერის თვალები. დიდ და ქერა თავზე გვირგვინივით შემოხვეული ნაწნავების ქვეშ მოუჩანდა მრგვალი კეფა და სწორი და თეთრი შუბლი. მთლად კრანახის ნახატსა ჰგავდა.

კრისტოფი შეცბა ქალების გამოჩენაზე და გაქცევის ნაცვლად ადგილზე გაქვავდა პირდაღებული. მხოლოდ როცა დაინახა, ახალგაზრდა ქალმა თავაზიანი, ოდნავ დამცინავი ღიმილით რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა მისკენ, გამოერკვა და ქუჩაში გადახტა, თან ბათქაშიც გადმოანგრია. მოესმა თავაზიანი ძახილი: „ბიჭიკო!“ და ჩიტის ხმასავით წკრიალა და ნარნარა ბავშვური კისკისი. ერთ წუთს გაოგნებული დარჩა დაოთხილი, შემდეგ წამოხტა და კისრისტეხით გაიქცა, თითქოს დადევნებისა ეშინიაო. შერცხვა. და ამ სირცხვილს ხანდახან შინაც, თავის ოთახში მარტო მყოფიც გრძნობდა. იმ შესახვევს აღარ ეკარებოდა, უცნაურად კრთოდა, ჩასაფრებული არ იყვნენ ჩემს დასანახადო. როცა იძულებული იყო იმ სახლთან ჩაევლო, ყორეს ეფარებოდა და თავდახრილი გარბოდა უკან მოუხედავად. ამავე დროს მუდამ თვალწინ ედგა ის ორი სახე. რამდენჯერ გაუხდია ფეხსაცმელი, რათა მისი ნაბიჯები არავის გაეგონა, მანსარდზე ამძვრალა და სამერცხლურიდან კერიხების სახლი და ბაღის კუთხე უთვალიერებია, თუმცა კარგად იცოდა, ხეების კენწეროებისა და საკვამლე მილის გარდა ვერას დაინახავდა.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ სასახლის მუსიკოსთა კავშირის კვირეულ კონცერტზე საკუთარ საფორტეპიანო კონცერტს უკრავდა, ორკესტრთან ერთად. უკანასკნელი ნაწილის შუამდე იყო მისული, როდესაც პირდაპირ, ლოჟაში შემთხვევით ძოჰკრა თვალი ქალბატონ ფონ კერიხსა და მის ქალიშვილს. ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ მთლად დაიბნა და კინაღამ ჩამორჩა ორკესტრს; უყურადღებოდ ჩაათავა ბოლომდე. თუმცა თვალს არიდებდა ლოჟის მხარეს, დაინახა, რომ ქალბატონი კერიხი და მისი ქალიშვილი გადაჭარბებული გულმოდგინებით უკრავდნენ ტაშს, თითქოს სურდათ კრისტოფს შეემჩნია ეს.

კრისტოფმა სასწრაფოდ დატოვა სცენა. თეატრიდან გამოსვლისას კორიდორში ისევ დაინახა ხალხში ქალბატონი კერიხი, თითქოს მის გამოსვლას ელოდა. შეუძლებელი იყო არ შეეხედა მისთვის, მაგრამ მან ვითომ ვერ დაინახა, შებრუნდა და სწრაფად გავიდა თეატრის უკანა კარიდან. მერმე შეწუხდა, რადგან კარგად იცოდა, ქალბატონ კერიხს ცუდი არ ეწადა მისთვის მაგრამ ეს შემთხვევა რომ განმეორებულიყო, ასევე მოიქცეოდა. ეშინოდა, ქუჩაში არ შევეჩეხოო და, როდესაც შორით მის მსგავს ვინმეს მოჰკრავდა თვალს, გზიდან გადაუხვევდა ხოლმე.

პირველი ნაბიჯი ქალბატონმა კერიხმა გადადგა.

ერთხელ, როდესაც კრისტოფი სადილად დაბრუნდა შინ, აღტაცებულმა ლუიზამ უთხრა, ჩასირმული ლაქია მოვიდა და შენთვის წერილი მოიტანაო. თან გადასცა კრისტოფს დიდი, შავარშიიანი კონვერტი, რომლის უკანა მხარეზე კერიხების საგვარეულო ღერბი იყო დატვიფრული. აღელვებულმა კრისტოფმა კონვერტი გახსნა და წაიკითხა:

„ქალბატონი იოზეფა ფონ კერიხი სთხოვს სასახლის მუსიკოს კრისტოფ კრაფტს ეწვიოს მას ჩაიზე დღეს ხუთ საათსა და ოცდაათ წუთზე".

— არ წავალ, — განაცხადა კრისტოფმა.

— როგორ! — შეჰყვირა ლუიზამ, — მე ლაქიას დავაბარე, მოვა-მეთქი.

კრისტოფი წაეჩხუბა დედას, უსაყვედურა — ჩემს საქმეებში რად ეჩრებიო.

— მსახური პასუხს ელოდა. მე ვუთხარი, რომ სწორედ დღეს ხარ თავისუფალი. ექვსის ნახევარზე აბა რა საქმე გაქვს.

რამდენიც უნდა ეჯიჯღინა კრისტოფს, რამდენიც უნდა ეფიცა, არ წავალო, ახლა ვეღარ დაიხევდა უკან. როდესაც წასვლის დრო დადგა, ბუზღუნით გამოეწყო. გულის სიღრმეში არცთუ მაინცდამაინც ჯავრობდა, რომ გარემოებამ სძლია.

ქალბატონმა ფონ კერიხმა, როცა კონცერტზე პიანისტი კრისტოფ კრაფტი ნახა, მაშინვე იცნო, ეს ის პატარა ველურია, ვინაც ჩამოსვლის დღეს ყორეზე დავინახე თმაბურძგნულიო. მეზობლებში გამოიკითხა ყველაფერი, კრისტოფის ოჯახისა და ყმაწვილის მძიმე და ვაჟკაცური ცხოვრების ამბავმა დაინტერესა და სურვილი აღუძრა გაცნობოდა მას.

კრისტოფი სირცხვილით აღარ იყო, იცოდა, რომ სერთუკი უშნოდ ადგა ტანზე და სოფლის მღვდელსა ჰგავდა. სურდა თავი დაერწმუნებინა — კერიხები პირველი შეხვედრისას კარგად ვერ დამინახავდნენო. გრძელ კორიდორში

ხალიჩა ეფინა და ფეხის ხმა არ ისმოდა. მსახური შეუძღვა ერთ ოთახში, აქედან შუშის კარი ბაღში გადიოდა. ცივი წვიმა ცრიდა. ბუხარში ცეცხლი ენთო. ორი ქალი იჯდა ფანჯარასთან, საიდანაც ნისლით შებურვილი ხეების სილუეტი მოჩანდა. ქალბატონ ფონ კერიხს ხელსაქმე ედო მუხლებზე, მის ქალს წიგნი ეპირა და კითხულობდა. კრისტოფის დანახვისას მათ ეშმაკურად გადახედეს ერთმანეთს.

„მიცნეს“, — გაუელვა აზრად მთლად შეცბუნებულ კრისტოფს და ძალზე უხერხულად დაუკრა თავი მასპინძლებს.

ქალბატონმა ფონ კერიხმა მხიარულად გაუღიმა და ხელი ჩამოართვა.

— სალამი, ძვირფასო მეზობელო, — უთხრა მან. — მოხარული ვართ, რომ მობრძანდით. მას შემდეგ, რაც კონცერტზე მოგისმინეთ, სულ მინდოდა მეთქვა თქვენთვის, თუ რაოდენი სიამოვნება მაგრძნობინეთ. ამის ერთადერთი საშუალება კი თქვენი მოწვევა იყო და იმედი მაქვს მაპატიებთ, რომ ეს საშუალება გამოვიყენე.

ეს თავაზიანი და გაცვეთილი სიტყვები ქალმა ფარული ირონიის მიუხედავად, ისეთი გულითადი კილოთი წარმოთქვა, რომ კრისტოფი დამშვიდდა: „არ ეუცნივარ“.

ქალბატონმა ფონ კერიხმა წარუდგინა ქალიშვილი, გოგონამ წიგნი დახურა და ცნობისმოყვარეობით შეხედა კრისტოფს.

— ჩემი ქალი მინა. მასაც ძალიან სურდა თქვენი ნახვა.

— კი მაგრამ, დედიკო, — თქვა მინამ. — ჩვენ ხომ პირველად არ ვხვდებით ერთმანეთს.

და ამ სიტყვებზე გადაიკისკისა.

„მიცნეს“, — გაიფიქრა მიწასთან გასწორებულმა კრისტოფმა.

— მართლაც, — თქვა ქალბატონმა ფონ კერიხმა და თვითონაც გაიცინა, — თქვენ ხომ ჩვენი ჩამოსვლის დღესვე გვეწვიეთ.

ქალიშვილმა სიცილს უმატა, ხოლო კრისტოფმა ისე საწყალობელი სახე მიიღო, რომ მის შემხედვარე მინას მხიარულება გაუორკეცდა. ისე გიჟივით კისკისებდა, რომ ცრემლი სდიოდა. ქალბატონ ფონ კერიხს სურდა შეეკავებინა იგი, მაგრამ თვითონაც ეცინებოდა. შეშფოთების მიუხედავად, კრისტოფსაც გადაედო მხიარულება. შეუძლებელი იყო არ გაეცინა, ანდა წყენა ეგრძნო. მაგრამ კრისტოფი დაიბნა, როდესაც ცოტათი დაწყნარებულმა მინამ ჰკითხა — რას აკეთებდით ჩვენი ბაღის ყორეზეო. ეტყობა, გოგონას ართობდა კრისტოფის შეკრთომა. თავგზააბნეულმა სტუმარმა რაღაცა წაილუღლუღა. ისევ ქალბატონი ფონ კერიხი მიეშველა და საუბრის თემა შეცვალა. ჩაის გაწყობას შეუდგნენ.

ქალი მეგობრულად ეკითხებოდა კრისტოფს მისი ცხოვრების ამბავს. მაგრამ კრისტოფი ვერ დაწყნარებულიყო. არ იცოდა, როგორ დამჯდარიყო, ლამბაქი როგორ დაეპირა ისე, რომ არ გადაბრუნებოდა ხელში, ფიქრობდა, ვალდებული ვარ ყოველთვის, როდესაც წყალს, რძეს, შაქარს ან ნამცხვარს შემთავაზებენ, წამოვხტე და თავის დაკვრით მადლობა გადავიხადოო. თავისი სერთუკით. საყელოთი და ყელსახვევით შეკეწროებული თითქოს ბაკანში იჯდა და ვერ ბედავდა. ვერ ასერხებდა თავი მიებრუნებინა მარჯვნივ ან მარცხნივ. გაბრუებული იყო ქალბატონი ფონ კერიხის უამრავი შეკითხვითა და ცოცხალი ქცევით და მინაა გამყინავი მზერით — იგი დაჟინებით უყურებდა მის სახეს, ხელებს. აკვირდებოდა კრისტოფის ჩაცმულობასა და მიხრა-მოხრას. მასპინძლები ცდილობდნენ უხერხული მდგომარეობიდან გამოეყვანათ კრისტოფი და უფრო აკრთობდნენ მას—ქალბატონი კერიხი ენაწყლიანი საუბრით, ხოლო მინა თვალების კეკლუცი თამაშით.

ბოლოს იმედი დაკარგეს — თავის დაკვრისა და კენტი პასუხის გარდა ვერას გამოვძალავთო. ქალბატონი ფონ კერიხი გაუზიარებელი საუბრით დაიღალა და ითხოვა, დაუკარითო. კრისტოფმა, კონცერტზე რომ არ უგრძვნია, ისეთი შეკრთომით დაუკრა მოცარტის ადაჟიო. სწორედ ეს კრთომა, რასაც გრძნობდა ამ ორი ქალის წინაშე, ეს გულუბრყვილო, სევდით და ბედნიერებით აღსავსე ღელვარება მშვენივრად ეხამებოდა ამ ნაწარმოების ჭაბუკურ სინაზესა და უმანკოებას და გაზაფხულის მომხიბვლელობას ანიჭებდა მას. ქალბატონმა ფონ კერიხმა მაღალი წრის ადამიანების ჩვეულებისამებრ მღელვარება გადაჭარბებული ქებით გამოხატა. მაგრამ ის გულწრფელი იყო და მისგან თქმული ჭარბი ხოტბაც ესიამოვნებოდა კაცს. ანცი მინა დუმდა და გაოცებული უმზერდა ამ ყმაწვილს, ვინაც აგრე სულელურად ლაპარაკობდა და ეგზომ მჭევრმეტყველი თითები ჰქონდა. კრისტოფმა იგრძნო მათი სიმპათია და გული მოეცა. დაკვრა განაგრძო. შემდეგ მინას მიუბრუნდა და თავჩაღუნულმა მორცხვი ღიმილით უთხრა:

— აი, რას ვაკეთებდი თქვენი ბაღის ყორეზე.

და თავისი პატარა თხზულება დაუკრა. მართლაც კარგად გამოეთქვა მუსიკალური აზრები, რაც კი თავის სამზერ ადგილას მოსვლოდა ბაღის ჭვრეტისას, თუმცა არა იმ საღამოს, როდესაც მინამ და ქალბატონმა ფონ კერიხმა შეინწრეს, და თუმცა თვითონ კი ცდილობდა თავი დაერწმუნებინა — სწორედ იმ საღამოს შევთხზეო და მხოლოდ მისმა გულმა იცოდა რატომ. ამ andante con moto-ს წყნარ ხმებში იგრძნობოდა ჩიტების მშვიდი ჭიკჭიკი, არსთა ძარღვური და ჩამავალი მზით განათებული დიდი ხეების მძიმე თვლემა.

მსმენელები მოიხიბლნენ. როდესაც დაამთავრა, ქალბატონი ფონ კერიხი

წამოღგა, მისთვის ჩვეული სიმკვირცხლით ჩამოართვა ხელი და დიდი ამბით გადაუხადა მადლობა. მინამ ტაში შემოჰკრა, წამოიძახა, ეს „საუცხოო“ არისო და რათა კიდევ შექმნათ ასეთი „დიდებული“ თხზულებანი, ყორეზე კიბეს მივადგმევინებ, რომ იქ იმუშაოთო. ქალბატონმა ფონ კერიხმა უთხრა კრისტოფს, ჩემს სულელ მინას ყურს ნუ დაუგდებთო და სთხოვა, თუ ჩვენი ბაღი გიყვართ, როცა გენებოთ, მობრძანდითო. თან დაუმატა, სავალდებულო არაა შემოიაროთ ჩვენს სანახავად, თუ ეს შეგაწუხებთო.

— ჩვენთან შემოვლა სრულიადაც არაა სავალდებულო, — საპიროდ მიიჩნია ამისი გამეორება მინამაც, — მხოლოდ თუ არ შემოივლით, მიფრთხილდით.

და თითით დაემუქრა.

მინას არც ის სურდა ძალიან, რომ კრისტოფი კიდევ მოსულიყო, არც ის, რომ ვაჟი იძულებული გაეხადა თავაზიანობა გამოეჩინა მისადმი, მაგრამ ესიამოვნა, რომ შთაბეჭდილება მოახდინა სტუმარზე და ისიც, როგორც ინსტინქტმა უკარნახა, საუკეთესო შთაბეჭდილება.

კრისტოფი სიამოვნებისაგან გაწითლდა. ქალბატონმა ფონ კერიხმა საბოლოოდ მოინადირა მისი გული, ისეთი ტაქტით ჰკითხა დედისა და პაპის ამბავი, თურმე პაპას ოდესღაც იცნობდა. ამ ქალების გულითადობამ და სიკეთემ გაახარა. გადაჭარბებით შეაფასა ეს ცარიელი სიკეთე, რადგანაც სურდა დაეჯერებინა იგი. გულუბრყვილო ნდობით გამსჭვალულმა თავისი გაჭირვება და გეგმები გადაუშალა მათ. დროს ვეღარ ამჩნევდა და ძალზე გაოცდა, მსახური რომ ჩამოვიდა და სუფრა გაშლილიაო, მოახსენა დიასახლისს. მაგრამ შეშფოთება სიხარულად შეეცვალა, როდესაც ქალბატონმა ფონ კერიხმა სთხოვა — სადილად დარჩით, როგორც მეგობარს შეეფერებაო; თქვენ ხომ ჩვენი მეგობარი იქნებით, არა, უკვე ხართო. დედამ და შვილმა შუაში ჩაისვეს, მაგრამ სუფრასთან კრისტოფმა ბევრად უფრო ნაკლები შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე როიალთან. მისი ზრდილობა ამ მხრივ ფრიად სავალალო იყო, მისი აზრით, სუფრაზე ჭამა და სმა იყო მთავარი, ხოლო როგორ ჭამ და სვამ, ამას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ამიტომ ფაქიზი მინა ხშირად აღშფოთებით გადახედავდა სტუმარს.

ეგონათ, კრისტოფი, ისადილებდნენ თუ არა, წავიდოდა. მაგრამ იგი მათ გაჰყვა პატარა სალონში და დაჯდა, წასვლა ფიქრადაც არ მოსვლია. კრისტოფი ვერაფერს ამჩნევდა, ბედნიერებით იყო მთვრალი და ეგონა, სხვებიც მასავით იყვნენ, რადგანაც მინა თვალებით ისევ ეკეკლუცებოდა და თანაც, რაკი დაჯდა, არ იცოდა, როგორ ამდგარიყო და გამოთხოვებოდა მასპინძლებს. მთელ ღამეს აქ გაატარებდა, ქალბატონ ფონ კერიხს რომ არ დაეთხოვა მომხიბვლელი უბრალოებით.

წავიდა და თან წარიტანა ქალბატონი ფონ კერიხის წაბლისფერი და მინასცისფერი თვალების ალერსიანი ციმციმი, ხელზე გრძნობდა ყვავილივით ნაზი და ფაქიზი თითების ლბილ შეხებას და ამო სურნელი, რომლის მსგავსი აროდეს ეყნოსა, ეხვეოდა და თავბრუს ახვევდა.

დათქმისამებრ ორი დღის შემდეგ მათ ისევ ესტუმრა კრისტოფი, რათა მუსიკის გაკვეთილი ჩაეტარებინა მინასათვის. ამ დღიდან ხშირად დადიოდა მათთან, კვირაში ორჯერ. დილდილობით მოდიოდა და ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა მინას. საღამოობითაც ეწვეოდა ხოლმე სასაუბროდ და დასაკრავად.

ქალბატონი ფონ კერიხი სიხარულით იღებდა მას. ჭკვიანი და კეთილი ქალი იყო. ოცდათხუთმეტი წლისამ დაკარგა მეუღლე და ჯერ კიდევ სულითა და ხორცით ახალგაზრდა ქალი დაუნანებლად ჩამოსცილდა უმაღლესი საზოგადოების წრეს, თუმცა დაქორწინების შემდეგ ამ წრის ცხოვრებაში ცხოველ მონაწილეობას იღებდა. შესაძლოა იმიტომ გაუადვილდა ასე განმარტოება, რომ თავის დროზე ბევრი ემხიარულა. იგი სწორად მსჯელობდა — წარსულითა და აწმყოთი ერთსა და იმავე დროს ცხოვრება არ შეიძლებაო. ბატონი ფონ კერიხის ხსოვნას ღრმად ინახავდა გულში, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ოდესმე მისადმი სიყვარულის მსგავსი რამ განეცადოს. კეთილი მეგობრობითაც კმაყოფილი იყო. მას სიმშვიდე და გონიერება ახასიათებდა.

ქალიშვილის აღზრდას შეუდგა. შვილის სიყვარულში ზომიერება ახასიათებდა და შორს იყო იმ ავადმყოფური აღტაცებისაგან, რაც დედებს ჩვევიათ, როცა ერთადერთი ბავშვის გარდა არავინ გააჩნიათ, რომ სიყვარულის დაუძლეველი მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ. მას ძალიან უყვარდა მინა, მაგრამ სწორად აფასებდა და თავს არ უმალავდა მის ნაკლს, თავისი ნაკლიც კარგად ესმოდა. მახვილგონიერი, ჭკვიანი ქალი ერთი თვალის შევლებით შეუცთომლად ამოიცნობდა ხოლმე ყოველი ადამიანის სასაცილო და სუსტ მხარეს. ამით ძალიან ერთობოდა, ყოველგვარი ბოროტების გარეშე. ის ისევე შემწყალე იყო, როგორც დამცინავი, და თუ დასცინოდა ვინმეს, სამსახურის გაწევაც უყვარდა.

პატარა კრისტოფი მის გულკეთილობასაც ასაზრდოებდა და მის კრიტიკულ გონებასაც. ამ პატარა ქალაქში ცხოვრების პირველ ხანებში, როდესაც მგლოვიარობის გამო ამ ქალს არ შეეძლო საზოგადოებაში გამოსულიყო, კრისტოფს ართობდა, უპირველეს ყოვლისა, თავისი ნიჭიერ. ქალბატონი კერიხი თავად არ იყო მუსიკოსი, მაგრამ მუსიკა უყვარდა. მუსიკა მას ფიზიკურ და მორალურ კმაყოფილებას აგრძნობინებდა და მისი სული მუსიკის ხმაზე ზანტად ეძლეოდა საამო მელანქოლიას. კრისტოფი უკრავდა, ხოლო ის ხელსაქმეზე ბუხარს უჯდა: ბუნდოვანი ღიმილი ეფინა სახეზე, უჩუმრად ტკბებოდა თა-

ვისი თითების მოძრაობითა და ოცნების მერყევი ხლართით, რომელიც წარსულის ნაღვლიან და ტკბილ მოგონებებს დასტრიალებდა თავს.

მაგრამ მუსიკაზე მეტად მუსიკოსი აინტერესებდა. ის საკმაოდ გონიერი იყო და კრისტოფის იშვიათ ნიჭს ამჩნევდა, თუმცა ვერ გაერჩია — რა იყო მისი ჭეშმარიტი ორიგინალობა. სიამოვნებდა ამ იდუმალი ცეცხლის გაღვივებას, რომ უმზერდა ცნობისმოყვარეობით. მალე შეაფასა ყმაწვილის მორალური ღირსებანი — სამართლიანობა, სიმამაცე და ერთგვარი სტოიციზმი, მაგრამ კრისტოფსაც თავისი დამცინავი და ცბიერი, ღრმად მკვრეტელი თვალებით უმზერდა, ართობდა მისი მოუხერხებლობა, ხელმარცხიანობა. სავსებით სერიოზულად არც უყურებდა. კრისტოფის სასაცილო საქციელი, სიფიცხე და დამთხვეულობა აფიქრებინებდა — ჩამოუყალიბებელი ხასიათი აქვსო; მისთვის კრისტოფი იყო ერთი კრაფტთაგანი, ყოჩაღი ჭაბუკი და კარგი მუსიკოსი, მაგრამ ცოტათი შერეკილი.

ეს მსუბუქი ირონია გამოეპარა კრისტოფს. იგი ქალბატონ ფონ კერიხის სიკეთეს გრძნობდა მხოლოდ. მისთვის ხომ ისე უცხო იყო კეთილი მოპყრობა! თუმცა კარის მუსიკოსის მოვალეობის გამო ყოველდღე უმაღლეს საზოგადოებაში ტრიალებდა, საწყალი კრისტოფი ჯერაც გაუნათლებელი, გაუწაფავი, ველური ბიჭი იყო. ჰერცოგის ეგოისტური კარი მისი ნიჭით სარგებლობდა მხოლოდ. არავინ ცდილობდა სამაგიერო მიეზღო მისთვის. მიდიოდა სასახლეში, როიალს მიუჯდებოდა, დაუკრავდა და წამოვიდოდა. მასთან საუბრით კაცს არ შეუწუხებია თავი. მხოლოდ გაცვეთილ კომპლიმენტებს ეუბნებოდნენ. პაპის გარდაცვალების შემდეგ არავის, არც შინა და არც გარეთ, არ მოსვლია აზრად, რომ ერჩია მისთვის, ესწავლებინა, როგორ ეცხოვრა და გამხდარიყო კაცი. იგი ძალიან იტანჯებოდა თავისი უვიცობისა და ხელმარცხიანობის გამო. წელებზე ფეხს იდგამდა, რათა თავად გაეწვრთნა თავისი თავი, მაგრამ არა გამოსდიოდა რა. არც წიგნი, არც რჩევა, არც მაგალითი! თავისი გასაჭირი მეგობრისათვის უნდა გაემეღავნებინა, მაგრამ ვერ ბედავდა. ოტოსაც ვერ გაუბედა, რადგან როგორც კი ამ თემაზე სიტყვა დასცდა, ოტომ უკადრისი და მედიდური კილოთი დაუწყო ლაპარაკი. კრისტოფი, თითქოს გავარვარებულ რკინას შეეხო, ისე გაერიდა მეგობარს.

და აი ქალბატონმა ფონ კერიხმა ყველაფერი მოაგვარა. არაფრის კითხვა არ იყო საჭირო, — ეს შელახავდა კრისტოფის თავმოყვარეობას! ქალი თავად მიუთითებდა, რისგან უნდა შეეკავებინა კრისტოფს თავი, როგორ უნდა მოქცეულიყო, ურჩევდა, როგორ უნდა ჩაეცვა, ეჭამა, ეარა, ელაპარაკა; მისი ყოფაქცევის, გემოვნებისა და მეტყველების არც ერთ შეცდომას არ უშვებდა შეუნიშნავად. თანაც შეუძლებელი იყო კრისტოფს წყენოდა, ისე სათუთად და

გულისყურით ეკიდებოდა მის ბავშვურ, ეკვიან თავმოყვარეობას. შეუმჩნეველად მის ლიტერატურულ განათლებასაც მიჰყო ხელი. არ უკვირდა კრისტოფის საოცარი უვიცობა. მაგრამ ყოველ შემთხვევას იყენებდა, რათა შეცდომა გაესწორებინა უბრალოდ, წყნარად. თითქოს აქ არაფერიაო. პედანტური გაკვეთილებით რომ არ დაეშინებინა, საღამოობით მინას ანდა თვით მას ისტორიულ ამბებსა და გერმანელ და უცხოელ პოეტებს აკითხებდა ხმამაღლა. ქალი. როგორც თავის შვილს, ისე ეპყრობოდა, ოღონდ ოდნავ უფრო მოწყალედ და ფამილარულად, რასაც კრისტოფი ვერ ამჩნევდა. მისი ჩაცმულობისათვისაც ზრუნავდა. ტანსაცმელს უახლებდა და შალის ყელსახვევსაც უქსოვდა. ტუალეტის წვრილმან ნივთებს სთავაზობდა ისე მოხერხებულად, რომ კრისტოფი ამდენი ზრუნვითა და საჩუქრებით შევიწროვებულად არ გრძნობდა თავს. ერთი სიტყვით, თითქმის დედობრივი ყურადღებითა და მზრუნველობით ექცეოდა. როგორც ყოველი კეთილი ქალი მინდობილ ბავშვს მოექცევა, თუმცა შესაძლოა ღრმა გრძნობას არ განიცდიდეს. კრისტოფს ეგონა, მთელი ეს სინაზე პირადად მას ეკუთვნოდა და უსაზღვროდ მადლიერი იყო. ყმაწვილის მოულოდნელი გულახდილობა ქალბატონ კერიხს ცოტათი სასაცილოდაც ეჩვენებოდა, მაგრამ მაინც სიამოვნებდა.

მინასთან სულ სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდა კრისტოფს, როდესაც კრისტოფი, წინა დღის მოგონებებით და ქალიშვილის ალერსიანი მზერით შთვრალი, პირველ გაკვეთილზე გამოცხადდა, ძალზე გაოცდა, ვინაიდან ცოტა ხნის წინათ ნანახისაგან სავსებით განსხვავებული პატარა ქალი იხილა. მინამ ძლივს აღირსა შეხედვა, არც მოუსმინა და როდესაც თვალი გაუსწორა, კრისტოფმა მის სახეზე ისეთი გამყინავი სიცივე წაიკითხა — განცვიფრებას იყო. დიდხანს იმტვრევდა თავს, რა ეწყინა ჩემგანო, არაფერიც არ უწყენინებია. მინა იმასვე გრძნობდა, რასაც გუშინწინ. დღესაც და გუშინწინაც სრულიად გულგრილი იყო. თუ პირველ შეხვედრისას ღიმილს არ იზოგავდა, მისი გულის მოსანადირებლად, ეს ქალიშვილის ინსტინქტური კოკეტობა იყო მხოლოდ. მას სიამოვნებდა, რომ უსაქმურობის დროს თავისი თვალების ძალას ცდიდა პირველსავე შემხვდურზე, თუნდაც ის საფრთხობელა ყოფილიყო; მაგრამ მეორე დღეს ესოდენ იოლი გამარჯვება უკვე აღარ იყო საინტერესო. ქალმა სასტიკი თვალით შეათვალიერა კრისტოფი და უშნო, ღარიბ, უზრდელ ბიჭად ჩათვალა. რა ვუყოთ, რომ კარგად უკრავს, სამაგიეროდ საძაგელი ხელები აქვს, ჩანგალი საზიზღრად უჭირავს, თევზს დანით ჭამსო. სიამოვნებით ისწავლიდა მისგან დაკვრას, კიდეც გაერთობოდა, რადგან მაშინ სხვა ამხანაგები არა ჰყავდა და იმის მიუხედავად, რომ ბავშვად აღარ თვლიდა თავს, ხანდახან გიჟივით მოუნდებოდა ეთამაშა, მოჭარბებული მხიარულება დაეხარჯა. ეს სურვილი

ღედამისისა არ იყოს გლოვის გამო უფრო უმძაფრდებოდა. მაგრამ კრისტოფი შინაურ ცხოველზე მეტად როდი აინტერესებდა. და თუ ამ უაღრესი გულგრილობის დღეებში ზოგჯერ ყუყუნა თვალებს მიაპყრობდა, ეს იმიტომ, რომ მაშინ კრისტოფი ავიწყდებოდა და სხვა რამეზე ფიქრობდა, ან იქნებ იმიტომ, რათა არ გადაჩვეოდა თვალთა თამაშს. კრისტოფს გული აუძგერდებოდა, როდესაც მინა ტკბილად შემოხედავდა. მაგრამ ამ დროს მინა თითქმის ვერც ამჩნევდა მას, ოცნებით თავისთავს ესაუბრებოდა. პატარა ქალი იმ ასაკისა იყო, როდესაც საამური და მომხიბვლელი ოცნებით იტყუებენ თავს. იგი სულ სიყვარულზე ფიქრობდა ღრმა ინტერესითა და ცნობისმოყვარეობით. რაკი არაფერი იცოდა სიყვარულისა, მისი ოცნება უმანკო იყო. რაღა თქმა უნდა, ამ წესიერად აღზრდილ ქალიშვილს სიყვარული მხოლოდ ქორწინების სახით წარმოედგინა. მისი იდეალი ჩამოყალიბებული არ იყო. ხან ოცნებობდა ლეიტენანტის მეუღლე გამხდარიყო, ხან — შილერივით კეთილშობილისა და ფაქიზ პოეტს გაჰყოლოდა. აზრი აზრს ცვლიდა და უკანასკნელ გადაწყვეტილებასაც ისეთივე სერიოზულობითა და რწმენით იღებდა, როგორც მანამდე სხვებს. ესეცაა, ქალიშვილი მზად იყო უფრო მიმზიდველი სინამდვილისათვის მიეცა უპირატესობა. ცნობილია, რა ადვილად ივიწყებენ თავიანთ ოცნებებს რომანტიკული ქალიშვილები, როდესაც ნაკლებ იდეალური, მაგრამ უფრო საიმედო შესაძლებლობა მიეცემათ.

ამას გარდა, სენტიმენტალური მინა ბუნებით მშვიდი და გულცივი იყო. მიუხედავად არისტოკრატული წარმოშობისა და აზნაურული გვარით მინიჭებული სიამაყისა, მას ყრმობის მშვენიერ ასაკში მხოლოდ პატარა გერმანელი დიასახლისის სული ჰქონდა.

რა თქმა უნდა, კრისტოფს არა გაეგებოდა ქალის გულისა, ამ უფრო გარეგნულად, ვიდრე ნამდვილად რთული მექანიზმისა. მშვენიერი მეგობრების საქციელი ხშირად თავგზას აკარგვინებდა. მაგრამ ისე ბედნიერი იყო იმით, რომ ისინი უყვარდა, მათ წინასწარ აპატიებდა ამ მცირე წუხილს. ოღონდ დარწმუნებული ყოფილიყო, იმათაც ასევე ვუყვარვარო. ერთი გულითადი სიტყვა, ერთი შემოხედვა ნეტარებას ჰგვრიდა. ზოგჯერ ისე აღელდებოდა, რომ თვალებზე ცრემლი მოადგებოდა.

წყნარი პატარა სალონი, ლამპის შუქი, კერვაში გართული ქალბატონი ფონ კერიხი... იქვე ახლოს მაგიდას კრისტოფი მიჯდომია. მინა მეორე მხრიდან უზის მაგიდას და კითხულობს. ისინი არ ლაპარაკობენ: ბაღის ოდნავ გაღებული კარიდან მოჩანს მთვარის შუქზე მოციმციმე ხეივანი; ხეთა კენწეროები

ირხევა და მათი ჩუმი შრიალი ისმის!.. კრისტოფი გრძნობდა, როგორ ევსებოდა გული ბედნიერებით და უეცრად, სრულიად უმიზეზოდ წამოხტებოდა სკამიდან. ქალბატონ ფონ კერიხს ფერხთ ჩაუვარდებოდა, ხელს დაუჭერდა, თუნდაც ნემსი სჭეროდა, დაუკოცნიდა, ბაგეებით, ღაწვებით, თვალებით მიეკვროდა და აქვითინდებოდა. მინა თვალს აიღებდა წიგნიდან, მხრებს ოდნავ აიჩეჩავდა და დაიღმიჭებოდა. ქალბატონი კერიხი ღიმილით დასცქეროდა მის ფერხთით გართხმულ ყმაწვილს, თავზე მეორე ხელს მოუთათუნებდა და მშვენიერი, ალერსიანი, ოდნავ დამცინავი ხმით ეტყოდა:

— კარგი, ჩემო სულელო ბიჭო, კარგი. აბა, რა მოხდა?

ოჰ, ამ ხმის სიტკბო, ეს სიმშვიდე, ეს სიწყნარე და ყვირილს, ჯახუნს, სიმკაცრეს ეგზომ დაშორებული წმიდა ატმოსფერო, ეს ოაზისი უსასტიკესი ცხოვრების წიაღში ძალისა, სევდისა და სიყვარულის ნიაღვრად გადმოდის. ღვთაებრივი პოეტების — გოეთეს, შილერისა და შექსპირის სიტყვა და გარემო ჯადოსნური სამყაროს ყოველ საგანსა და არსს ავარაყებს თავისი ანარეკლით!..

წიგნზე თავდახრილი და მღელვარებისაგან შეწითლებული მინა კითხულობდა თავისი ნორჩი, ოდნავ მოჩლექილი ხმით და ცდილობდა ზვიადად წარმოეთქვა რაინდთა და მეფეთა სიტყვები. ზოგჯერ თავად ქალბატონი კერიხი აიღებდა წიგნს, და ტრაგიკულ ადგილებს ნაზი, გონივრული სილამაზე ენიჭებოდა. მაგრამ მეტწილად იგი უსმენდა სავარძელში გადაწოლილი. თავისი ბუდშივი ხელსაქმე მუხლებზე დაედო და თავისსავე აზრებს ეღიმოდა. იგი ყოველ ნაწარმოებში თავის თავს პოულობდა ყოველთვის.

კრისტოფმაც სცადა წაეკითხა, მაგრამ ჩქარა ამაზე ხელის აღება მოუხდა. ბლეკუნებდა, სიტყვებში იხლართებოდა, სასვენ ნიშნებს არად აგდებდა, თითქოს არ ესმოდა წაკითხული და ისე ღელავდა, რომ პათეტიურ ადგილებზე ენდა შეჩერებულიყო ცრემლმორეული. მაშინ გაჯავრებული დააგდებდა წიგნს ბაგიდაზე. მეგობრები გადაიკისკისებდნენ. როგორ უყვარდა ისინი! ყოველგან მათი სახე ახლდა და შექსპირისა და გოეთეს გმირებში ვეღარ არჩევდა. დაკარგა ზღვარი რეალურ არსებათა და პოეტურ გამონაგონთა შორის. სულის ბილრმეადე სწვდებოდა მომაჯადოებელი სიტყვა მგოსნისა და მისთვის განუყოფელი იყო ეს სიკეთე და ძვირფასი ბაგე, რომლისგანაც მოისმინა იგი პირველად. ოცი წლის შემდეგაც ისე ვერ გადაიკითხავდა ან ვერ ნახავდა „ეგმონტს“ თუ „რომეოს“, რომ არ მოჰგონებოდა ეს მშვიდი საღამოები, ბედნიერების ოცნება და საყვარელი სახეები ქალბატონ ფონ კერიხისა და მინასი.

საღამოობით, როდესაც ისინი კითხულობდნენ, კრისტოფი საათობით შეჰყურებდა მათ. ღამით თვალგახელილი იწვა თავის საწოლში, დღისით, ორკესტრში, პიუპიტრთან ანგარიშმიუცემლად უკრავდა ნახევრად თვალდახუჭული

და თავის მეგობრებზე ოცნებობდა. უმანკო სინაზეს გრძნობდა მათდამი. სიყვარულისა არ გაეგებოდა და ეგონა, შეყვარებული ვარო. მაგრამ ისიც კი ვერ გაეგო — დედა უყვარდა თუ შვილი. დიდი ამბით ეკითხებოდა თავის თავს და არ იცოდა, რომელი ემჯობინებინა. ფიქრობდა — აუცილებლად უნდა გადაეჭრა ეს საკითხი. ბოლოს მისი არჩევანი ქალბატონ კერიხზე შეჩერდა. ეს რომ გადაწყვიტა, უკვე დაბეჯითებით ირწმუნა, სწორედ ქალბატონი კერიხი უყვარდა. უყვარდა მისი ჭკვიანი თვალები, ოდნავ გაპობილი ბაგეების ბუნდოვანი ღიმილი, მისი ლამაზი, ქორფა შუბლი და გვერდზე გადაყოფილი ლბილი და სწორი თმა, დაბალი ხმა და სუსტი. ოდნავი ჩახველება, მისი დედურად ნაზი ხელები, მოხდენილი მიხრა-მოხრა და გამოუცნობი სული. კრისტოფი ბედნიერებით ცახცახებდა, როცა ქალი მასთან ახლო იჯდა და მოთმინებით უხსნიდა რაიმე ნაწარმოების გაუგებარ ნაწყვეტს, ხელი კი მის მხარზე ჩამოედო. ჭაბუკი გრძნობდა ქალის თითების სითბოს, ლოყაზე ელამუნებოდა მისი სუნთქვა და ტკბილი სურნელი მისი ტანისა. აღფრთოვანებული უსმენდა, წიგნზე აღარ ფიქრობდა და აღარაფერი ესმოდა. ქალბატონი კერიხი ამჩნევდა ამას და ამბობ, ჩემი ნათქვამი გაიმეორეო — სთხოვდა: კრისტოფს ენა ჩაუვარდებოდა. ქალბატონი კერიხი ჯავრობდა და იცინოდა, ცხვირთან მიუტანდა წიგნს და ეუბნებოდა, მუდამ ჩოჩორი იქნებიო. ამაზე კრისტოფი მიუგებდა, ჩემთვის სულერთია, ოღონდ თქვენი ჩოჩორი ვიყო, ოღონდ თქვენ ნუ მომიშორებთო. ქალბატონი კერიხი თავს მოიკატუნებდა, თითქოს ამაზე დათანხმება მიმძიმსო. შემდეგ ეტყოდა, თუმცა საძაგელი, სავსებით ბრიყვი ჩოჩორი ხარ, არ მოგიშორებ, შესაძლოა შეგიყვარო კიდეც, თუ ყოვლისდა მიუხედავად ისევ კარგი იქნებიო. მერმე ორივე გაიცინებდა. კრისტოფს სიხარულით ევსებოდა გული.

მას შემდეგ, რაც კრისტოფმა აღმოაჩინა, ქალბატონი კერიხი მიყვარსო, მინას დაშორდა. ახლა აბრაზებდა მისი ზიზღნარევი გულგრილობა. ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და კრისტოფი აღარც მალავდა, რომ გოგონას საქციელი არ მოსწონდა. მინას უყვარდა მისი გაკენწვლა, კრისტოფიც თავხედურად პასუხობდა. ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ. ეს მხოლოდ სიცილს ჰგვრიდა ქალბატონ ფონ-კერიხს. კრისტოფი ყოველთვის მარცხდებოდა სიტყვიერ პაექრობაში და ზოგჯერ ისე გაშმაგდებოდა, რომ ეგონა, მძულსო, და თავს არწმუნებდა — ქალბატონი კერიხი რომ არა, ამ სახლში ფეხს არ დავდგამდიო.

მინას კვლავ ასწავლიდა დაკვრას. კვირაში ორჯერ, დილდილობით, ცხრიდან ათ საათამდე ავარჯიშებდა და გამებს აკვრევინებდა. ოთახი, სადაც მე-

ცადინეობდნენ. წარმოადგენდა მინას „სტუდიას“, უჩვეულო სამუშაო კაბინეტს. რომელიც საოცარი სიზუსტით ასახავდა ამ პატარა ქალის ტვინში გამეფებულ უცნაურ ქაოსს.

მაგიდაზე ეწყო პაწაწკინტელა ფიგურები მემუსიკე კატებისა — მთელი ორკესტრი: ერთს ვიოლინო ეკავა, მეორეს — ჩელო; იქვე ეგდო ჯიბის სარკე, ტუალეტის ნივთები და საწერი მოწყობილობა. თაროზე ელაგა შუბლშეკვეცილი ბეთჰოვენისა და ბერეტიანი ვაგნერის მცირე ბიუსტები და ბელვედერელი აპოლონი. ბუხრის თავზე — პირში ლერწმის ჩიბუხგარჭობილი ბაყაყის გვერდით — ქაღალდის მარაო, რომელზედაც ბაიროიტის თეატრი იყო დახატული. ორ თაროზე — რამდენიმე წიგნი: ლიუბკე, მომზენი, შილერი, „უსახლკარო“, ჟიულ ვერნი. მონტენი. კედლებზე — სიქსტის მადონას და ჰერკომერის სურათების ცისფერ და მწვანე არშიებში ჩასმული რეპროდუქციები: აქვე ეკიდა რომელიღაც შვეიცარიული სასტუმროს ხედი მოსევადებული თავცეცხლას ჩარჩოში. და ყველგან, ოთახის ყოველ კუნჭულში — ოფიცრების, ტენორების, დირიჟორებისა და მეგობრების სურათები: ყველას მიძღვნის წარწერა ამშვენებდა, წარწერათა უმრავლესობა ლექსი იყო, ანდა უკიდურეს შემთხვევაში ის, რასაც გერმანიაში ლექსს ეძახიან. შუა ოთახში მარმარილოს კვარცხლბეკზე წვერიანი ბრამსის ბიუსტი განისვენებდა, ხოლო როიალის ზემოთ ძაფებზე ჩამოეკიდათ პლიუშის პაწაწინა მაიმუნები და კოტილიონის ნიშნები.

მინა დაგვიანებით შემოდიოდა, ნამძინარევი თვალები ჰქონდა და გაბუტული ჩანდა. ხელს ძლივს ჩამოართმევდა კრისტოფს, ცივად ეტყოდა — გაგიმარჯოსო და ზვიადი უხმოდ მიუჯდებოდა როიალს. როდესაც მარტო იყო, სიამოვნებდა დაუსრულებელი გამების დაკვრა, რადგანაც ეს ხელს არ უშლიდა მის საამო ძილ-ღვიძილს და ოცნებას. მაგრამ კრისტოფი აიძულებდა ძნელ სავარჯიშოებზე გაემახვილებინა ყურადღება. მინა ზოგჯერ ცდილობდა, რაც შეიძლება ცუდად დაეკრა. მას კარგი სმენა ჰქონდა, მხოლოდ არ უყვარდა მუსიკა,—როგორც მრავალ გერმანელ ქალს, მაგრამ მათსავით ეგონა — მუსიკა უნდა მიყვარდესო და სინდისიერად მეცადინეობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ვერაგული ეშმაკობის წუთებს, როდესაც მასწავლებლის გაცოფება ეწადა. გულგრილი შესრულება აშმაგებდა კრისტოფს. უფრო უარესი იყო, როდესაც მინა საჭიროდ ჩასთვლიდა რომელიმე პასაჟის გრძნობიერად შესრულებას: მაშინ სენტიმენტალობა ეუფლებოდა და არას გრძნობდა.

კრისტოფი გადამეტებული თავაზიანობით როდი ეპყრობოდა. არასოდეს შეუქია, პირიქით, მინა გაჯავრებული იყო მასწავლებელზე და უპასუხოდ არ

ტოვებდა არც ერთ შენიშვნას, ყველაფერზე ეკამათებოდა. შეცდებოდა და ჯიუტად უმტკიცებდა — როგორც წერია, ისე ვუკრავო. კრისტოფი გაბრაზდებოდა, წალაპარაკდებოდნენ. კლავიშებზე თვალებდახრილი მინა შეფარვით უჭვრეტდა კრისტოფს და მისი გაშმაგება ახარებდა. რა ეშმაკობას არ იგონებდა, რათა კრისტოფი გაეღიზიანებინა და გაკვეთილი შეეწყვეტინებინა: თავს მოიკატუნებდა — სული მეხუთებაო, უნდოდა მომხიბვლელი ჩვენებოდა, ხან საშინელ ხველას აიტეხავდა ანდა განაცხადებდა: მოახლეს ფრიად მნიშვნელოვანი რამ უნდა ვუთხრაო. კრისტოფმა კარგად იცოდა, მინა თვალთმაქცობდა. მინამაც იცოდა, კრისტოფმა გამიგოო, მაგრამ უბატონოდ ხმას ვერ გამცემსო.

ერთხელ, როდესაც მინა ასე ერთობოდა და ქანცგამოცლილივით ახველებდა, ცხვირსახრცში ცხვირპირჩარგული, თითქოს ესაა სული უნდა შეუგუბდესო, ნამდვილად კი გაცოფებულ კრისტოფს უმზერდა მალვით, ბრწყინვალე აზრი დაებადა — ცხვირსახოცი დაეგდო და კრისტოფი აეძულებინა აეღო. კრისტოფმა უგერგილოდ მიართვა ცხვირსახოცი. მინამ მაღალი წრის ქალივით უბოძა „გმადლობთ!“ კრისტოფმა ძლივს შეიკავა თავი.

მინას ისე მოეწონა ეს თამაში, რომ განმეორება განიზრახა. მეორე დღეს წინანდებურად დააგდო ცხვირსახოცი. კრისტოფი არ განძრეულა, ბრაზი მოერია. მინამ ერთ წუთს შეიცადა, შემდეგ გაჯავრებით უთხრა:

— ხომ არ ინებებთ მომაწოდოთ?

კრისტოფი გაცეცხლდა:

— მე თქვენი მსახური არა ვარ! — უხეშად შეჰყვირა მან: — თქვენ თვითონ აიღეთ!

მინას სუნთქვა შეეკრა. სწრაფად წამოხტა სკამიდან. სკამი ძირს დაეცა.

— ოჰ! ეს მეტისმეტია! — წამოიძახა მან, გაშმაგებით დაჰკრა ხელი კლავიშებს და აღშფოთებული გავიდა.

კრისტოფი დაელოდა მინას. ის არ დაბრუნებულა. კრისტოფს შერცხვა თავისი საქციელისა. იფიქრა — ხეპრესავით მოვიქეცი. მაგრამ მოთმინების ფიალა აივსო, მინა ხომ ურცხვად დასცინოდა. შიშობდა, ვაითუ დედამისს შესჩივლოს და ქალბატონმა ფონ კერიხმა სამუდამოდ ამითვალწუნოსო. არ იცოდა, რა ექნა; თუმცა სანანებლად გახდომოდა თავისი უხეშობა, ბოდიშის მოხდას არ აპირებდა.

სავინიცობოდ მაინც მოვიდა მეორე დღეს, თუმცა ფიქრობდა, მინა გაკვეთილზე არ გამოცხადდებაო. მაგრამ მინა ამაყი ყოო და ხმა-კრინტი არ

დაუძრავს დედასთან კრისტოფზე და რაკი სინდისის ქენჯნა მისთვის უცხო არ იყო, ამიტომ გაკვეთილზე გამოცხადდა. მხოლოდ ჩვეულებრივზე ხუთი წუთით მეტ ხანს აცდევინა კრისტოფს. თავის მოუბრუნებლად მიუჯდა როიალს, ხმა არ ამოუღია, თითქოს იქ არც იყო. მას არც ესა და არც შემდეგი გაკვეთილები არ გაუცდენია, რადგან კარგად იცოდა, კრისტოფი შესანიშნავი მცოდნე იყო მუსიკისა, ხოლო მინას როიალზე წესიერად დაკვრა უნდა შეესწავლა, თუ უნდოდა კეთილშობილი, უნაკლოდ განათლებული ქალი ყოფილიყო.

მაგრამ როგორ მოიწყინა! როგორ მოიწყინეს ორთავემ!

მარტის ერთ მოღრუბლულ დილას, როდესაც თოვლის წვრილი ფანტელები ბუმბულივით მოფარფატებდნენ ყომრალი ციდან, ისინი სტუდიაში ისხდნენ. ბნელოდა. მინა ჩვეულებისამებრ ეკამათებოდა ყალბი ნოტის გამო და უმტკიცებდა, ასე წერიაო. კრისტოფი დარწმუნებული იყო, მინა ცრუობდა, მაგრამ მაინც გადაიხარა რვეულისაკენ, რათა ახლოდან ენახა საცილობელი ადგილი. მინას პიუპიტრზე ედო ხელი და არც გაუწევია. კრისტოფის ბაგე თითქმის ეხებოდა მას. იგი შეეცადა წაეკრთხა, მაგრამ ვერ შეძლო: თვალი სხვაგან მიურბოდა, მისჩქერებოდა ფაქიზ, ყვავილის ფურცელივით გამჭვირვალე ხელს. ანაზდად — თავადაც ვერ გაეგო, როგორ გაბედა — ტუჩებით დაეკონა მინას ხელს.

ორივენი შეკრთნენ. კრისტოფი სწრაფად განერიდა, მინამ ხელი უკან წაიღო. ერთიცა და მეორეც გაწითლდა. ხმა არ ამოუღიათ, დარცხვენილთ ერთმანეთისათვის არც შეუხედავთ. წუთიერი სიჩუმის შემდეგ მინამ დაკვრა განაგრძო. იგი ძალზე აღელვებული იყო, მკერდზე თითქოს რაღაც აწვებოდა, ცუდად უკრავდა. კრისტოფი ვერაფერს ამჩნევდა, თვითონ უფრო მეტად ღელავდა, საფეთქლები უცემდა, არაფერი ესმოდა, არ გაეგებოდა, რას უკრავდა მინა და სიჩუმის დასარღვევად დაგუბული ხმით უაზრო შენიშვნას აძლევდა. ფიქრობდა, მთლად დავკნინდი მინას თვალშიო. შეძრწუნებული იყო თავისი საქციელით, ეს რა სისულელე ჩავიდინეო. გაკვეთილი გათავდა. კრისტოფი ისე გავიდა, მინასთვის არც შეუხედავს, გამოთხოვებაც დაავიწყდა. მინა არ გაჯავრებულა ამის გამო, ახლა უზრდელად როდი თვლიდა კრისტოფს. იმდენი შეცდომა იმიტომ მოსდიოდა დაკვრისას, რომ მალულად უყვრეტდა გაკვირვებით და ცნობისმოყვარეობით; ახლა ამ გრძნობებს სიმპათიაც დაერთო.

როდესაც მინა მარტო დარჩა, უწინდებურად დედასთან არ წასულა, თა-

ვის ოთახში ჩაიკეტა და ამ არაჩვეულებრივ ამბავს ჩაუფიქრდა. სარკის წინ ხელებს დააყრდნო თავი. თავის ჟუჟუნა და მოციმციმე თვალებს დააკვირდა. ღრმად ჩაფიქრებულმა ბაგეს მსუბუქად დააჭირა კბილი. თავის ლამაზ სახეს სიამით უმზერდა და ახლახან მომხდარს იგონებდა ლოყებაფაკლებული და მოღიმარი. სუფრაზე აღგზნებული და მხიარული იყო. მერმე გასეირნება გადათქვა და ნაშუადღევს რამდენიმე საათი სალონში გაატარა. ხელსაქმე დაიჭირა, მაგრამ ათჯერაც ვერ ამოუხვია ისე, რომ შეცდომა არ მოსვლოდა. მერმე რა! ოთახის კუთხეში დედისაკენ ზურგშექცეული იჯდა და იღიმებოდა, ხან კი უეცრად თავს ვერ შეიმაგრებდა, შუა ოთახში გამოვარდებოდა ყურისწამღები სიმღერით. შემკრთალი ქალბატონი ფონ კერიხი, გიჟი ხარო, ეუბნებოდა. მინა ყელზე ეხვეოდა, იცინოდა და მკლავებს მაგრად უჭერდა.

საღამოს თავის ოთახში დიდხანს ვერ მოისვენა. სულ სარკეში იყურებოდა, ცდილობდა რაღაც მოეგონებინა, მაგრამ მოგონების თავი აღარა ჰქონდა, რადგან მთელი დღე დაძაბულ ფიქრში გაატარა. ტანთ ზანტად გაიხადა, საწოლის წინ ჩამოჯდა და კრისტოფის სახე მოიგონა: გონებამ სულ სხვა კრისტოფი დაუხატა, ის კრისტოფი უშნო აღარ იყო. ბოლოს დაწვა, ლამპა ჩააქრო. ათი წუთის შემდეგ დილანდელი სცენა მოაგონდა. ანაზდად და ხმამაღლა გადიკისკისა. დედა ჩუმად ადგა და კარი შემოაღო, ეგონა, აკრძალვის მიუხედავად ლოგინში კითხულობსო. მინა მშვიდად იწვა, თვალები ფართოდ გაეღო ღამის სანთლის სუსტ სინათლეზე.

— რა იყო? — შეეკითხა დედა, — რა გაცინებს?

— არაფერი, — ზვიადად მიუგო მინამ, — ვფიქრობ.

— სასიხარულოა, რომ მარტო ერთობი, მაგრამ ახლა ძილის დროა.

— კარგი, დედა, — უპასუხა მორჩილად მინამ.

გულში კი იმეორებდა: „წადი, ჩქარა! წადი!“ ქალბატონმა ფონ კერიხმა კარი მიიხურა და მინას ოცნებით დატკბობის საშუალება მიეცა. ჩათვლიმა. ჩაძინების წინ უცბად შეკრთა სიხარულით:

„ვუყვარვარ... რა ბედნიერებაა! რა კარგია, რომ შემიყვარა! ო, როგორ მიყვარს!“

მერე ბალიშს ჩაეხუტა და ძილს მიეცა.

როდესაც ამის შემდეგ ერთმანეთს პირველად შეხვდნენ, კრისტოფი გაოცა მინას ალერსიანმა მოქცევამ. კრისტოფი მიესალმა, მინამ ტკბილად ჰკითხა, როგორა ხარო, მერმე თავაზიანად მიუჯდა როიალს. ანგელოზივით მორჩილი გახდა. მოწაფური ცბიერი ჟინიანობა აღარ გამოუჩენია. კრისტოფის

შენიშვნებს ყურადღებით ისმენდა, სამართლიანადაც თვლიდა: როცა რაიმე შეეშლებოდა, თვითონვე წამოიძახებდა შეშფოთებული და ცდილობდა გამოესწორებინა. კრისტოფი გაკვირვებას იყო. სულ მალე მინას წარმატება დაეტყო. მარტოოდენ კარგად როდი უკრავდა, მუსიკაც შეუყვარდა. კრისტოფს ქათინაურები არ უყვარდა, მაგრამ მინა მაინც შეაქო. გოგონა სიამოვნებისაგან გაწითლდა და სამაგიერო მადლიერი შეხედვით მიუზღო. საგანგებოდ გამოეწყობოდა ხოლმე მისთვის, იშვიათი ფერის ლენტებს იკეთებდა, უღიმოდა და მიბნედილი თვალებით უყურებდა. ეს არ მოსწონდა კრისტოფს, ბრაზობდა, გულის სიღრმეში ღელავდა. ახლა მინა ეძებდა მასთან საუბრის საბაბს. მათი ბაასი უკვე აღარ იყო ბავშვური: მინა სერიოზულად ლაპარაკობდა, პედანტური და ნაჯახირევი ტონით მოჰყავდა ციტატები პოეზიიდან. კრისტოფი არ პასუხობდა, მოუსვენრობას გრძნობდა. ეს ახალი, უცნობი მინა ანცვიფრებდა და აფიქრებდა.

გოგონა მუდამ თვალს ადევნებდა. ელოდა. რას? თავად იცოდა განა, რას?.. ელოდა — კრისტოფი ისევ გაიმეორებს თავის საქციელსო, მაგრამ ყმაწვილი უფრთხოდა, დარწმუნებული იყო, ხეპრესავით მოვიქეციო. ისე ეპყრობოდა გოგონას, თითქოს სავსებით დავიწყებოდეს ის შემთხვევა. მინა ნერვიულობდა და ერთხელ, როდესაც ჭაბუკი წყნარად იჯდა სკამზე, პატარა, საშიშარი თათებისაგან მოშორებით, მოუთმენლობამ შეიპყრო და ფიქრზე უსწრაფესად ხელი ტუჩებზე მიადო. კრისტოფს თავზარი დაეცა, შემდეგ გაბრაზდა და შერცხვა, მაგრამ მაინც მგრძნობიარედ აკოცა. მაგრამ ქალიშვილის ამ გულუბრყვილო ურცხვობამ აღაშფოთა. კინაღამ გაიქცა და სამუდამოდ მიატოვა.

მაგრამ გაქცევა აღარ შეეძლო, ათასგვარმა ფიქრმა გაუელვა. ვერაფერი გაეგო. როგორც ხეობას ასდის ნისლი, ისე ამოდიოდა ფიქრები სულის სიღრმიდან. უგზოუკვლოდ, შემთხვევას მინდობილი დაეხეტებოდა სიყვარულის ბურუსში და როგორც ფარვანა სანთელს, ისე დასტრიალებდა ერთ აკვიატებულ აზრს: იდუმალ, საშინელ და მომაჯადოებელ ნდომას. ეს იყო ბუნების ბრმა ძალების გამოღვიძება.

მოლოდინის ხანა დაუდგათ. ერთურთს თვალყურს ადევნებდნენ, ერთიმეორე სურდათ და ერთმანეთის ეშინოდათ. შეშფოთებულნი იყვნენ. ისევ კინკლაობდნენ და ებუტებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ გულახდილნი არ იყვნენ, ხმას არ იღებდნენ. ამ დუმილით აგებდნენ სიყვარულის შენობას.

უცნაურია სიყვარული. რა წუთსაც შეიცნო კრისტოფმა, მინას ეტრფოდა,

ისიც შეიცნო, ყოველთვის მიყვარდაო. სამი თვის განმავლობაში თითქმის ყოველდღე ხვდებოდა და არც ერთჯერ არ უფიქრია, მიყვარსო. მაგრამ რაკი შეიყვარა, უნდა ირწმუნოს, რომ დასაბამიდან უყვარდა.

ახლა მოისვენა, რადგანაც ბოლოს დაადგინა, ვ ი ნ უყვარდა. რა ხანია უყვარდა, მაგრამ ვინ? არ იცოდა. გულს მოეფონა. ასე იცის ავადმყოფმა, ვისაც საერთო გაურკვეველი და გამაღიზიანებელი სენი ტანჯავს და ერთ მშვენიერ დღეს შეამჩნევს, რომ თურმე ერთი განსაზღვრული ადგილი სტკივებია. არაფერია უსაგნო სიყვარულზე მეტად მტკივნეული: იგი ღრღნის და ადნობს კაცს, როგორც ციებ-ცხელება. შეგნებული ვნება ააფორიაქებს ადამიანის სულს, ქანცს აცლის, მაგრამ მიზეზი ცნობილია. ვნება ღლის, მაგრამ არ აუძლურებს ადამიანს. არცოდნას ყველაფერი სჯობს.

თუმცა მინამ საკმაო საბაბი მისცა კრისტოფს საიმისოდ, რომ ყმაწვილს ეფიქრა — ჩემდამი გულგრილი არ არისო, მაინც იტანჯებოდა — ვაითუ ვძულვარო. ,ისინი ურთიერთს კარგად არ იცნობდნენ, მაგრამ არასოდეს ისეთი ბუნდოვანი და ყალბი წარმოდგენა არ ჰქონიათ ერთმანეთზე, როგორც ამჟამად. ეს იყო უცნაურ წარმოსახვათა დიდი ასხმულა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდნენ, არარსებულ ნაკლოვანებებსა და ღირსებებს აწერდნენ ერთმანეთს, ღირსებებს — როცა ერთურთს მოშორდებოდნენ, ნაკლოვანებებს — როდესაც ერთად იყვნენ. ორივე შემთხვევაში ცდებოდნენ.

თვითონაც არ იცოდნენ, რა უნდოდათ. კრისტოფისათვის სიყვარული იყო ძალუმი, გარდუვალი წყურვილი სინაზისა, რასაც მისი გატანჯული სული ბავშვობიდანვე მოითხოვდა სხვებისაგან, სურდა მიეღო ნებით თუ უნებლიეთ. ზოგჯერ ამ დესპოტურ სურვილს ერთვოდა საკუთარი თავის თუ სხვის მსხვერპლად მოტანის სურვილი (უფრო ხშირად მსხვერპლი სხვა იყო), — ერთვოდა ბნელი და მძაფრი თავბრუდამხვევი და გაუგებარი წადილი. ცნობისმოყვარე მინა აღტაცებული იყო ამ რომანით და ცდილობდა, რაც შეიძლება, მეტი სიამოვნება მიეღო, რაც შეიძლება მეტად დაეკმაყოფილებინა თავმოყვარეობა და გულჩვილობა. თავს იტყუებდა. მათი სიყვარულის დიდი წილი მწიგნობრული იყო. იგონებდნენ წაკითხულ რომანებს და ისეთ გრძნობებს აწერდნენ თავიანთ თავს, რაც არ გააჩნდათ.

მაგრამ ახლოვდებოდა წუთი, როდესაც ეს წვრილმანი სიცრუე, წვრილმანი ეგოიზმი უნდა გამქრალიყო სიყვარულის ღვთაებრივი ბრწყინვალების წინაშე. ერთი დღე, ერთი საათი, მარადისობის შემცველი რამდენიმე წუთი... რა მოულოდნელი იყოს ეს!...

ერთ საღამოს განმარტოებით ისხდნენ და საუბრობდნენ. სალონში ბინდბუნდი იდგა. მათი ბაასი სერიოზული იყო. უსასრულობისა და სიკვდილ-სი-

ცოცხლის შესახებ ლაპარაკობდნენ. ეს მათი ბალღური ვნების გრანდიოზულ ჩარჩოს წარმოადგენდა. მინა უჩიოდა თავის მარტოობას. ამან, ცხადია, კრისტოფს ათქმევინა, არც ისე ეული ხართ, როგორც ამბობთო.

— არა, — შეეპასუხა მინა და კოხტა თავი გადააქნია, — ეგ ცარიელი სიტყვებია. ყველა თავისთვის ცხოვრობს, არავინ ფიქრობს ჩემზე, არვის ვუყვარვარ.

დუმილი.

— არც მე? — თქვა უეცრად მღელვარებისაგან გაფითრებულმა კრისტოფმა.

გრძნობიერი გოგონა წამოხტა და ხელი დაუჭირა.

კარი გაიღო. ისინი სწრაფად განერიდნენ ერთმანეთს. შემოვიდა ქალბატონი ფონ კერიხი. კრისტოფმა უკუღმა შებრუნებულ წიგნში ჩარგო ცხვირი. მინა თავის ხელსაქმეზე დაიხარა და ნემსი შეისო თითში.

ამ საღამოს ვეღარ დაიმარტოხელეს თავი და კიდეც ეშინოდათ ამისა. ქალბატონი ფონ კერიხი წამოდგა ერთხელ, რათა მეორე ოთახში რაღაც მოენახა. მაგრამ ჩვეულებრივ ზარმაცი მინა სწრაფად წამოვარდა და თავად გაიქცა იმ ნივთის მოსატანად. კრისტოფმა შემთხვევით ისარგებლა და ისე წავიდა, მინას არ გამოთხოვებია.

მეორე დღეს ისევ შეიყარნენ, შეწყვეტილი საუბრის გაგრძელება უნდოდათ. არ მოუხერხდათ, თუმცა გარემოება ხელს უწყობდა მათ. ქალბატონ ფონ კერიხთან ერთად სასეირნოდ გაემართნენ და მრავალი შემთხვევა ჰქონდათ გულითადი საუბრისა, მაგრამ კრისტოფი ხმას ვერ იღებდა და ამის გამო ისე უბედურად გრძნობდა თავს, რომ გზაში მინასაგან, რაც შეიძლება, შორს ეჭირა თავი. მინა თითქოსდა ვერ ამჩნევდა მის ხეპრობას, მაგრამ თავმოყვარეობაშელახული კი ჩანდა. როცა ბოლოს და ბოლოს, კრისტოფმა თავს ძალა დაატანა და რამდენიმე სიტყვა წაილუღლუღა, მინამ ისეთი გულგრილი სახე მიიღო, რომ ყმაწვილმა ძლივს დაასრულა წინადადება. გასეირნება, დასასრულს მიუახლოვდა. დრო უქმად გავიდა. კრისტოფს ნაღველი შემოაწვა, რადგან ხელსაყრელი შემთხვევა ვერ გამოიყენა.

გავიდა ერთი კვირა. დაასკვნეს, ერთმანეთი მოვატყუეთო. ხომ არ დაგვსიზმრებია იმ საღამომდელი სცენა? მინა გაჯავრებული იყო კრისტოფზე. კრისტოფს ეშინოდა მასთან განმარტოებისა. არასოდეს მოპყრობიან ასე გულცივად ერთმანეთს.

ერთ დღეს დილიდან ნაშუადღევამდე წვიმა ცრიდა. შინ იყვნენ ჩაკეტილნი, ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ, კითხულობდნენ, ამთქნარებდნენ და ფანჯრებში იყურებოდნენ დაღონებული და დაღვრემილნი. ოთხი საათი იყო,

ცა რომ მოიწმინდა. ისინი ბაღში გავიდნენ მოაჯირზე იდაყვებდაყრდნობილნი გასცქეროდნენ მდინარის პირისაკენ ჩაყოლებულ ყვავილებს. მიწას ოხშივარი ასდიოდა ბალახში წვიმის წვეთები ციმციმებდა. სველი მიწისა და ყვავილების სურნელი იდგა. ირგვლივ ფუტკრები დაზუზუნებდნენ კრისტოფი და მინა მხარდამხარ იდგნენ, თვალს არიდებდნენ ერთმანეთს. ვერ ბედავდნენ სიჩუმის დარღვევას. ერთი ფუტკარი წვიმით დამძიმებულ გლიცინიის მტევანს შეეხო, შეაქანა და წვეთები დაეცა თავზე. ორივემ ერთად გაიცინა და მაშინვე იგრძნეს, რომ აღარ უწყრებოდნენ ერთმანეთს. რომ კარგი მეგობრები იყვნენ. თუმცა თვალი მაინც ვერ გაუსწორეს ერთმანეთს.

უცბად, თავის მოუბრუნებლად, მინამ ხელი ჩასჭიდა და უთხრა:

— წავიდეთ!

და სირბილით გაიტაცა შუა ბაღში მდებარე პატარა მწვანე ლაბირინთისაკენ — ბზის ბუჩქებს შორის დახლართული ბილიკებისაკენ. ისინი ფერდობზე ავიდნენ. სველ მიწაზე ფეხი უსრიალებდათ, სველი ტოტები ეტლაშუნებოდნენ თავზე. თითქმის გორაკის თხემზე იყვნენ ასულნი, როდესაც მინა შედგა სულის მოსაბრუნებლად.

— დაიცა... დაიცა... — მთლად ჩურჩულით უთხრა კრისტოფს.

კრისტოფმა თვალი შეავლო გოგონას. მინა სხვა მხარეს იყურებოდა. იღიმებოდა აქოშინებული. კრისტოფს მაგრად ეჭირა მისი ხელი. გრძნობდნენ, როგორ უფეთქავდათ ხელისგულის ძარღვები, როგორ უთრთოდათ თითები. ირგვლივ სიჩუმე იდგა. ოქროსფერი ნორჩი ყლორტები ცახცახებდნენ მზეზე: ფოთლებს წვეთები სცვივოდა ვერცხლის ეჟვნებივით; ცაში მერცხლები ჭიკჭიკებდნენ.

მინამ მისკენ მიაბრუნა თავი. ეს თითქო ელვა იყო. იგი ყმაწვილს მოეხვია ყელზე, კრისტოფმა ხელები შემოაჭდო.

— მინა! მინა! ჩემო საყვარელო!

— მიყვარხარ, კრისტოფ! მიყვარხარ!

სველ ხის სკამზე ჩამოსხდნენ. ტკბილი, ღრმა უაზრო სიყვარულით ავსებოდათ გული. ყოველივე დანარჩენი გამქრალიყო, ეგოიზმიც, მედიდურობაც, ცუდი აზრებიც. სიყვარულმა დაქროლა და გაფანტა სულის ჩრდილები. სიყვარული, სიყვარული, ამბობდნენ მათი მოცინარე და ცრემლით დანამული თვალები. ეს გულცივი და კეკლუცი გოგონა, ეს ამაყი ბიჭი ერთმანეთისათვის ტანჯვისა და სიკვდილის, ერთმანეთისათვის თავგანწირვის, თავდადების ნდომით იყვნენ შეპყრობილნი. თავს ვერა ცნობდნენ, სრულიად შეიცვალნენ. შეეცვალათ გული, ნაკვთები, თვალები. სიწმინდის, თავგანწირვის, თავდადების წუთები ვაი, რომ არასოდეს განმეორდება!

მორცხვი ბუტბუტის, სამარადისო ერთგულების ვნებიანი აღთქმის, კოცნისა და მომხიბვლელი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვების შემდეგ შეამჩნიეს, რომ გვიან იყო და სირბილით მობრუნდნენ შინ ხელჩაკიდებულნი. ვიწრო ბილიკებზე ფეხი უსხლტებოდათ, ხეებს ეხეთქებოდნენ, მაგრამ ვერაფერს გრძნობდნენ სიხარულით დამთვრალნი და დაბრმავებულნი.

როცა კრისტოფი მინას განშორდა, შინ არ წასულა. დაძინება არ შეეძლო. ქალაქიდან გავიდა და მინდვრებისაკენ გაემართა. უგზოუკვლოდ მიაბიჯებდა ღამეში. ჰაერი წმინდა იყო, მინდორი ბნელი და უკაცური. შემცივნებული ბუს ხმა ისმოდა. კრისტოფი მთვარეულივით მიაბიჯებდა. ვენახები გაიარა და გორაკზე ავიდა. შორით, ვაკეზე ქალაქის მცირე სანათურები ციმციმებდნენ, ხოლო ბნელ ცაზე ვარსკვლავები კრთოდნენ. იგი კედელზე ჩამოჯდა გზის პირას და უეცრად აქვითინდა. არ იცოდა, რად ტიროდა. ძალზე ბედნიერი იყო. ბედნიერების სიჭარბე ახარებდა და აღონებდა კიდეც. ბედნიერებით გამოწვეულ მადლიერებას ერთვოდა უბედურთა სიბრალული, ტკბილი და მელანქოლიური გრძნობა ყოველივე არსებულის, სიმყიფისა და სიცოცხლით ფრობა. შვებით ტიროდა და თვალცრემლიანს ჩაეძინა. როდესაც გამოიღვიძა, ოდნავ კრთოდა გარიჟრაჟი. თეთრი ნისლი მიცურავდა მდინარის გასწვრივ და ეფინებოდა ქალაქს, სადაც დაქანცულ მინას ეძინა და გულს ბედნიერების ღიმილი ეფინა.

მეორე დილით ბაღში შეხვდნენ ერთმანეთს და თავიანთ სიყვარულზე ილაპარაკეს. მაგრამ წინადღინდელი ღვთაებრივი უშუალობა გამქრალიყო. მინა შეყვარებულის როლს თამაშობდა. კრისტოფი უფრო გულწრფელი იყო, მაგრამ ისიც როლს თამაშობდა. ისინი მომავალზე საუბრობდნენ. კრისტოფი წუხდა, ღარიბი და დაბალი წოდებისა ვარო. მინამ გადაწყვიტა დიდსულოვანი ყოფილიყო და ეს მოსწონდა. ფულს არად აგდებდა და როდი ტყუოდა, მან არ უწყოდა ფულის ყადრი, რადგან არასდროს შემოკლებია. კრისტოფმა აღუთქვა — დიდი ხელოვანი გავხდებიო; ეს კი რომანივით მიმზიდველი და კარგი ეჩვენებოდა მინას. გოგონა ფიქრობდა, ნამდვილი შეყვარებულივით უნდა მოვიქცეო. მას ბევრი ლექსი ჰქონდა წაკითხული და ამის გამო სენტიმენტალური გამხდარიყო. კრისტოფსაც გადაედო ეს სენი. ხანდახან გულმოდგინედ გამოეწყობოდა ხოლმე და სასაცილო იყო. თვალყურს ადევნებდა თავის ლაპარაკს და მაღალფარდოვანი გახდა. ქალბატონი ფონ კერიხი ღიმილით უცქერდა მას და თავს ეკითხებოდა, ასე რამ გამოასულელაო.

ქალ-ვაჟი ენით გამოუთქმელ პოეტურ წუთებსაც გრძნობდა. ჩვეულებ-

რივ ისინი მკრთალ დღეებში გამოანათებდნენ ხოლმე. როგორც მზის სხივები ღრუბლიან ცაზე. ერთი გამოხედვა იყო საკმაო, ყესტი თუ არაფრისმთქმელი სიტყვა, რომ ბედნიერებით ავსებოდათ გული. საღამოს, ჩაბნელებულ კიბეზე ეტყოდნენ ერთმანეთს „ნახვამდის!“, სიბნელეში თვალებით მოძებნიდნენ ერთმანეთს და იპოვიდნენ, შემთხვევით მიკარებული ხელები აუცახცახდებოდათ, ხმა აუთრთოლდებოდათ, — ამ წვრილმანებს იგონებდნენ ღამღამობით, როდესაც ისე ფხიზლად ეძინათ, რომ საათის-ყოველ ჩამოკვრაზე ეღვიძებოდათ და გული უმღეროდათ მოწანწკარე ნაკადულის დარად: „ვუყვარვარ“.

ყველაფერი მომხიბლავი გახდა მათთვის. გაზაფხული უღიმოდათ საოცარი სიტკბოებით. ცა ეგზომ ნათელი იყო, ჰაერი ეგზომ ნაზი, და ამდენსანს ვერ ამჩნევდნენ ამას. მთელი ქალაქი წითელი სახურავებით, ძველი კედლებითა და ოღროჩოღრო ქვაფენილებით ისეთი მომხიბვლელობით შეიმოსა, რომ კრისტოფს გული აუჩუყდა. ღამით, როცა ყველას ეძინა, მინა საწოლიდან დგებოდა. სარკმელთან იდგა დიდხანს გაოგნებული და მოცახცახე. ნაშუადღევს, როცა კრისტოფი არ იყო მასთან, საქანელაში ჯდებოდა მუხლზე წიგნგადაშლილი, თითქმის თვალებდახუჭული და ბედნიერებით მოქანცული, სულითა და ხორცით გაზაფხულის ჰაერში ჩანთქმული. ახლა საათობით უჯდა როიალს და სხვების გულის გასაწყალებლად დაუსრულებლივ იმეორებდა აკორდებს და პასაჟებს, რომლებიც ისე აღელვებდა, რომ ფერი მისდიოდა და ხელ-ფეხი ეყინებოდა. ტიროდა, როცა შუმანის მუსიკას უკრავდა. გრძნობდა, ყველასადმი სიბრალულითა და სიყვარულით იყო გამსჭვალული. კრისტოფიც ამასვე გრძნობდა. ისინი ფარულად განიკითხავდნენ გზად შემოყრილ გლახაკს და თანაგრძნობით გადახედავდნენ ერთმანეთს: ბედნიერნი იყვნენ თავიანთი გულკეთილობით.

მართალი რომ ითქვას, გულკეთილობა ზოგჯერ თუ დაეუფლებოდათ. მინა უეცრად აღმოაჩენდა, რაოდენი მწუხარებით აღსავსე იყო დედამისის ბავშვობიდან მოახლედ ნამსახურევი, თავმდაბალი, ერთგული ფრიდას ცხოვრება და უცებ ყელზე მოეხვეოდა. ასეთი საქციელი სამზარეულოში თეთრეულის ამოკემსვით გართულ კეთილი დედაბრის ფრიდას გაოცებას იწვევდა. მაგრამ ეს როდი უშლიდა მინას ორიოდე საათის შემდეგ გამოელანძღა საბრალო, ზარის დარეკვისთანავე რად არ გამოცხადდიო. მთელი კაცობრიობის სიყვარულით ავსილი კრისტოფიც, რომელიც ჭიანჭველას არ დაადგამდა ფეხს, თავისი ოჯახის წევრებს გულგრილად ეკიდებოდა. საოცარი იყო, მაგრამ რაც უფრო მეტ სიყვარულს გრძნობდა სხვათადმი, შინაურები თითქმის არ აგონდებოდა. უკმეხად ელაპარაკებოდა და დაღრეჯილი უმზერდა მაფ. კრისტოფისა და მინას

გულკეთილობა სინაზის სიშარბით იყო გამოწვეული. დროდადრო ნაპირს გადადიოდა და პირველსავე შემხვდურს დაატყდებოდა თავს. როცა კრიზისი გაივლიდა, უფრო მეტად ეგოისტები ხდებოდნენ, ვიდრე ჩვეულებრივ, რადგან მათი გონება ერთადერთი საფიქრალით იყო სავსე. და ყველაფერი ამას ემორჩილებოდა.

რა დიდი ადგილი დაიპირა კრისტოფის ცხოვრებაში ამ პატარა გოგონას სახემ! როგორ ღელავდა, როდესაც ბაღში დაეძებდა და შორით თვალს მოჰკრავდა მის თეთრ კაბას, ანდა როცა თეატრში კერიხების ჯერ კიდევ ცარიელი სკამების ახლოს იჯდა და შემოესმებოდა ბენუარის კარის ჭრიალი და ეგზომ ნაცნობი მხიარული ხმა. ან როდესაც სადმე საუბარში შემთხვევით ფონ კერიხის გვარს ახსენებდნენ. ის ფითრდებოდა, წითლდებოდა, რამდენსამე წუთს ვერას ხედავდა, არა ესმოდა. მერმე უცებ სისხლი აუჩქროლდებოდა მთელ სხეულში და ძალის მოზღვავებას იგრძნობდა.

ამ პატარა, გულუბრყვილო და სენტიმენტალურ ქალს უცნაური თამაში უყვარდა. თავის ბეჭედს ფქვილზე დადებდა: კრისტოფსა და მას კბილებით ისე უნდა აეღოთ, ცხვირი არ ამოგანგლოდათ. ანდა ნამცხვარში ძაფს გაუყრიდა, ძაფის ბოლოებს პირში იდებდნენ და კბილებით უნდა აეკრიფათ, ნამცხვრამდე მიეღწიათ რაც შეიძლება სწრაფად. მათი სახეები ერთმანეთს უახლოვდებოდნენ, ერთმანეთის სუნთქვას გრძნობდნენ. ტუჩი ტუჩს ეხებოდა. ძალდატანებით გაიცინებდნენ და ხელები გაეყინებოდათ. კრისტოფს კბენის, ტკივილის მიყენების სურვილი უჩნდებოდა. სწრაფად განერიდებოდა მინას. გოგონა ისევ ნაძალადევად იცინოდა. ერთიმეორეს ზურგს შეაქცევდნენ, თავს გულგრილად დაიჭერდნენ და შეფარვით უკვრეტდნენ ერთმანეთს.

ეს ამაღელვებელი თამაში მიმზიდველი და შემაშფოთებელი იყო. ისინი ეძიებდნენ და გაურბოდნენ მას. კრისტოფს ეშინოდა და ამჯობინებდა მათთან ქალბატონი ფონ კერიხი ან სხვა შემავიწროებელი პიროვნება ყოფილიყო. მაგრამ არავის შეეძლო ხელი შეეშალა მათი შეყვარებული გულების ბაასისათვის. დაბრკოლება უფრო ცხოველსა და ტკბილს ხდიდა მას. მაშინ ყველაფერს განუზომელი ღირებულება ენიჭებოდა. ერთი სიტყვა, ბაგის მოკუმვა, ერთი შეხედვა საკმაო იყო, რომ ყოველდღიურობის ბანალურ გარემოში გამოჩენილიყო მათი შინაგანი ცხოვრების ნორჩი და ძვირფასი საუნჯე. მხოლოდ მათ შეეძლოთ შეემჩნიათ ეს, ყოველ შემთხვევაში ასე ეგონათ და თავიანთი მცირე საიდუმლოთი გაბედნიერებულნი მხიარულად უღიმოდნენ ერთთურთს. მათი საუბრისათვის რომ დაგეგდოთ ყური, ვერაფერს შეამჩნევდით, გარდა უმნიშვნელო თემებზე სალონური მსჯელობისა, მაგრამ მათთვის ეს სიყვარულის მუდმივი სიმღერა იყო. გამომეტყველებისა და ხმის უმცი-

რესი ცვალებადობა გადაშლილი წიგნი იყო მათთვის: თვალდახუჭულნიც კარგად კითხულობდნენ მას, რადგანაც საკმაო იყო თავიანთი გულის ცემას ჩაკვირვებოდნენ, რომ სატრფოს გულის გამოძახილი გაეგონათ. სიცოცხლის, ბედნიერებისა და თავიანთი თავის განუზომლად სჯეროდათ, მათი იმედი უსაზღვრო იყო. მათ უყვარდათ ერთმანეთი, ბედნიერნი იყვნენ და არ იცოდნენ, რა არის მომავლის შიში და ეჭვი. ოჰ, რა მცხუნვარე დღეებია ამ გაზაფხულზე! ცაზე ერთი ღრუბელიც არ ჩანს. რწმენა ეგზომ ცოცხალია, რომ თითქოს ვერასოდეს დააკნობს რამე: სიხარული ეგზომ უხვია, რომ ვერაფერი გამოლევს. ცხოვრობენ თუ ოცნებობენ ისინი? რაღა თქმა უნდა, ოცნებობენ. არაფერია საერთო მათ ოცნებასა და ცხოვრებას შორის. არაფერი, გარდა იმისა, რომ ამ ჯადოსნურ ხანაში თავად წარმოადგენენ ოცნებას: მათი არსება სიყვარულის სუნთქვას შეერთო.

ქალბატონ ფონ კერიხს დიდი დრო არ დასჭირვებია იმისათვის, რომ შეემჩნია ეს ბავშვური ხრიკები, რომლებიც მათ ძალზე ეშმაკური ეგონათ, ნამდვილად კი გულუბრყვილო იყო. მინამ ეჭვი აიღო მას შემდეგ, რაც ერთხელ დედამ მოულოდნელად შემოაღო კარი, ხოლო ის კრისტოფს ელაპარაკებოდა და უფრო ახლოს უჯდა, ვიდრე შეეფერებოდა. კარის ხმაურზე ისინი სწრაფად განერიდნენ ერთიმეორეს შეშფოთებულნი. ქალბატონმა ფონ კერიხმა ისე დაიჭირა თავი, თითქოს არაფერი შეუმჩნევიაო. ამან მინა თითქმის დააღონა კიდეც. უნდოდა დედას შებრძოლებოდა: ეს უფრო რომანტიკული იქნებოდა.

დედა შეპაექრების საბაბს არ აძლევდა. ჭკვიანი იყო და არ ღელავდა, საყვედურიც არ უთქვამს ქალიშვილისათვის. მაგრამ მინას თანდასწრებით ირონიულად ლაპარაკობდა კრისტოფზე და უმოწყალოდ დასცინოდა ყმაწვილს. ამას სჩადიოდა არა რაიმე ანგარიშის კარნახით, არამედ ინსტინქტურად, საკუთრების მცველი დედის ბუნებრივი მუხანათობით. მინა ამაოდ ეწინააღმდეგებოდა, ებუტებოდა, თავხედურად ეკამათებოდა, ამაოდ უარყოფდა მის ნათქვამს: დედის სიტყვები სიმართლეს შეიცავდა. ქალბატონ ფონ კერიხს ემარჯვებოდა მტკივნეული ადგილების დაკოდვა. კრისტოფის განიერი ფეხსაცმელი, უშნო სამოსი, გაუწმენდელი ქუდი, პროვინციული გამოთმა, სასაცილო თავის დაკვრა თუ ვულგარული ლაპარაკი — ქალს არაფერი დავიწყებია, რაც კი მინას თავმოყვარეობას შებღალავდა. უბრალოდ შენიშნავდა ხოლმე, შემთხვევით გადაუკრავდა სიტყვას. არასოდეს ბრალდების იერს არ აძლევდა ნათქვამს. და თუ გაბრაზებული მინა თავის გამოდებას დააპირებდა, ქალბატონი ფონ კერიხი სულ სხვა თემაზე დაიწყებდა ლაპარაკს. ნათქვამი მიზანს ხვდებოდა და კვალს აჩენდა.

მინამ ნაკლებ მოწყალე თვალით დაუწყო ყურება კრისტოფს. ყმაწვილმა გუმანით იგრძნო ეს და შეშფოთებულმა ჰკითხა:

— ასე რატომ მიყურებთ?

მინამ უპასუხა:

— ისე.

მაგრამ წუთის შემდეგ, როდესაც კრისტოფი გამხიარულდებოდა, მინა მკაცრად უსაყვედურებდა, რა ხმამაღლა ხარხარებთო. კრისტოფი განცვიფრებული იყო, ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, რომ თავისუფლად ვერ გაიცინებდა მინასთან. სიხარული ჩაეშხამებოდა, როდესაც თავდავიწყებით ლაპარაკობდა რამეზე, მინა შეაწყვეტინებდა და საწყენ შენიშვნას მისცემდა ტანისამოსის თაობაზე ან გადამეტებული პედანტობით აღნიშნავდა მის მდაბიურ გამოთქმებს. კრისტოფს ლაპარაკის ხალისი ეკარგებოდა და ზოგჯერ ბრაზობდა კიდეც. შემდეგ თავის თავს ეუბნებოდა — ეს აღმაშფოთებელი საქციელი სიყვარულის ნიშანი არისო. მინაც ასევე ფიქრობდა. ყმაწვილი ცდილობდა ისე მოქცეულიყო, რომ მინას გული მოეგო. გოგონა მაინც არ იყო მისი მადლიერი, რადგან კრისტოფს არა გამოსდიოდა რა.

მათ დრო არ ეყოთ შეემჩნიათ ცვლილება. აღდგომა მოახლოვდა, მინა ვაიმარის ახლო მცხოვრებ ნათესავებს უნდა წვეოდა.

განშორების წინა კვირაში კვლავ პირველი დღეების სიახლოვე განიცადეს. თითო-ოროლა უკმეხი სიტყვა, თორემ მინა არასოდეს ყოფილა ასეთი ალერსიანი. გამგზავრების წინადღით დიდხანს ისეირნეს პარკში. მინამ საიდუმლოდ ხეივნის სიღრმეში გაინაპირა კრისტოფი და კისერზე ჩამოჰკიდა სუნამოდაპკურებული ყელსაბამი. ამ სამკაულში თავისი თმის ერთი კულული ჩაედო. ხელმეორედ შეჰფიცეს ერთმანეთს სამარადისო სიყვარული, დათქვეს, ყოველდღე ვწეროთ ერთმანეთს წერილებიო. ცაზეც ერთი ვარსკვლავი ამოირჩიეს, რათა ყოველ საღამოს ერთსა და იმავე დროს ეცქირათ მისთვის.

საბედისწერო დღე დადგა. ღამით მრავალგზის დაეკითხა თავს კრისტოფი: „ხვალ სად იქნება მინა?“ დილით ფიქრობდა: „დღეს წავა. ჯერ ისევ აქაა, მაგრამ საღამოს აღარ იქნება“. დილის რვა საათიც არ იყო, რომ კერიხებისკენ გაემართა. მინას ჯერ კიდევ ეძინა. ვაჟმა ბაღში გასეირნება სცადა; ვერ შეძლო და ისევ შინ შებრუნდა. დერეფანი ბოხჩებითა და სკივრებით იყო გაჭედილი. კრისტოფი ერთი ოთახის კუთხეში მიიყუჟა და ყური დაუგდო კარის ჭრიალს, იატაკის ჭრაჭუნს; ზედა სართულიდანაც ჩამოესმოდა ფეხის ხმა. მოღიმარე ქალბატონმა ფონ კერიხმა გაიარა და ოდნავ დამცინავად მიესალმა. ბოლოს მინაც გამოჩნდა; გაფითრებული იყო, თვალები დასიებოდა. მასაც

კრისტოფივით ცუდად სძინებოდა ამ ღამით. იგი საქმიანი გამომეტყველებით ბრძანებებს აძლევდა მსახურთ. კრისტოფს ხელი ისე გაუწოდა, რომ ბებერ ფრიდასთან ლაპარაკი არ გაუწყვეტია. უკვე მზად იყო გასამგზავრებლად. ქალბატონი ფონ კერიხი შემოვიდა ისე. მათ ქუდების კოლოფზე გააბეს ლაპარაკი. მინა თითქოს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მივიწყებულ, უბედურ, როიალთან მიყუჟულ კრისტოფს. დედასთან ერთად გავიდა, ისევ შემობრუნდა. ზღურბლიდან რაღაც დაუყვირა ქალბატონ კერიხს. შემდეგ კარი მოიხურა. მარტონი დარჩნენ. მინა მივარდა მას, ხელი ჩაავლო და მეზობელ, დარაბებდახურულ სალონში გაიტაცა. იქ სწრაფად მიუახლოვა სახე კრისტოფს, მოეხვია რაც ძალი და ღონე ჰქონდა და ტირილით ჰკითხა:

— ხომ მუდამ გეყვარები?

ორივენი ჩუმად ქვითინებდნენ. თავს ძალით იკავებდნენ, რომ არავის გაეგონა. მოახლოებული ნაბიჯის ხმაზე ერთმანეთს განერიდნენ. მინამ ცრემლი მოიწმინდა და მსახურს წინანდებური მედიდურობით დაელაპარაკა, მაგრამ ხმა კი უთრთოდა.

კრისტოფმა მოიპარა დასვრილი, დაჭმუჭნილი, ცრემლით დასველებული ცხვირსახოცი, მინას რომ დაუვარდა.

იგი ეტლში ჩაუჯდა მეგობარს და სადგურამდე მიაცილა. ერთმანეთის პირისპირ მსხდარი ბავშვები ძლივს უსწორებდნენ ერთმანეთს თვალს. ეშინოდათ, ცრემლი არ წაგვსკდესო. მალულად უჭერდნენ ერთმანეთს ხელს, ქალბატონი ფონ კერიხი დამცინავი გულკეთილობით შეჰყურებდა მათ და თითქოს ვერას ამჩნევდა.

ბოლოს დაჰკრა განშორების ჟამმა. ვაგონის კართან მდგარი კრისტოფს დაძრულ მატარებელს გამოეკიდა, წინ აღარ იყურებოდა, ხალხს ეჯახებოდა, მინას არ აშორებდა თვალს. ვიდრე მატარებელმა არ გაასწრო. ის მაინც მირბოდა, სანამ მატარებელი მთლად არ მიეფარა თვალთაგან. მაშინღა შედგა სულშეხუთული. მობრუნდა, სადგურის ბაქანზე თავმოყრილ გულგრილ ხალხში გამოიარა და შინ წავიდა. საბედნიეროდ იქ არავინ დახვდა. მთელი დილა ტიროდა.

კრისტოფმა პირველად შეიცნო განშორების შავი ნაღველი. ესაა აუტანელი სატანჯველი შეყვარებულთათვის. ცარიელია ქვეყანა, ცარიელია სიცოცხლე, ყველაფერი ცარიელია. გული იკუმშება, სუნთქვა დახშულია. მომაკვდინებელია სევდა, ცხოვრება ჭირს. განსაკუთრებით თუ ირგვლივ ყველაფერი მუდამ სატრფოს გახსენებს, თუ გულს გიღონებს გარდასული ბედნიერების

მოგონება ნაცნობ ადგილას. თითქოს უფსკრული იყოს შენს-ფერხთით, იხ-რები მისკენ. თავბრუ გესხმის, აჰა, ვარდები და ქვევით მიექანები. თითქოს პირისპირ ხედავ სიკვდილს. მართლაც, განშორება ერთ-ერთი სახეა სიკვდილისა. კაცი ცოცხლივ ესწრება თავისი გულის უსათნოესი ნაწილის გაქრობას: სიცოცხლე-იფერფლება, რჩება მხოლოდ შავი ორმო, არარაობა.

რათა თავისი ტანჯვა უფრო ეგრძნო, კრისტოფმა შემოიარა ყველა საყვარელი ადგილი. ქალბატონმა ფონ კერიხმა ბაღის კლიტე დაუტოვა, რომ იქ ესეინრა მათი არყოფნის ჟამს. იმავე დღეს წავიდა ბაღში და მწუხარებამ სული შეუხუთა. ფიქრობდა, მინას მოვიგონებო, მაგრამ ნამეტანი მოუვიდა. მინას სახე დაფრიალებდა ბაღში. ხეივნის ყოველ მოსახვევში ელოდა მის გამოჩენას. კარგად იცოდა — ეს შეუძლებელი იყო, მაგრამ გამწარებული თავს არწმუნებდა — შესაძლოაო: დაეძებდა უტკბილეს მოგონებათა კვალს, ლაბირინთის ბილიკს, გლიციინიებით შემოსილ ტერასს, ბუჩქნარში მიმალულ ხის სკამს, და ჯალათის ჟინიანობით გულს იღარავდა ფიქრით, ვიდრე ცუდად არ გახდა, ვიდრე სიკვდილის მოახლოება არ იგრძნო. მწუხარებას ისიც ერთვოდა, რომ თავის თავზე ბრაზობდა, რამდენი დრო დავკარგეო უქმად. რამდენ წუთს, რამდენ საათს იყო უსაზღვროდ ბედნიერი, ხედავდა მინას, მისი სუნთქვა ესმოდა! და არ აფასებდა ამ დროს! არ ტკბებოდა ყოველი წამით! ახლა!.. ახლა გვიანღაა თითზე კბენანი... ამას აღარაფერი ეშველება, აღარაფერი!

შინ დაბრუნდა. შინაურები შესძულდა. დასანახავად ვეღარ იტანდა მათ. აბრაზებდა მათი საქციელი, უაზრო ლაყბობა იმაზე, რის შესახებაც ლაპარაკობდნენ გუშინ, გუშინწინ, იმის წინათაც, როდესაც მინა აქ იყო. ისინი ძველებურად ცხოვრობდნენ, თითქოს ეგზომი უბედურება არ მომხდარიყოს. ქალაქიც ძველებურად ცხოვრობდა. ხალხი უწინდებურად დადიოდა, იცინოდა, ხმაურობდა, საქმიანობდა: ჭრიჭინები ჭრიჭინებნენ, ცა დაჰნათოდა დედამიწას. კრისტოფს ყველაფერი სძაგდა, ეგონა. საყოველთაო ეგოიზმი მანადგურებსო. მაგრამ თვითონ იყო ყველაზე დიდი ეგოისტი. ყველაფერმა ფასი დაკარგა მისთვის, სიკეთე დაკარგა. აღარავინ უყვარდა.

დადგა ჟამი უღიმღამობისა. თავის მოვალეობას ანგარიშმიუცემლად ასრულებდა. სიცოცხლის ხალისი დაეკარგა.

ერთ საღამოს. როდესაც შინაურებთან ერთად უხმოდ ვახშმობდა გულდამძიმებული, ფოსტალიონმა დააკაკუნა კარზე და წერილი გადასცა. მისამართის დანახვამდე იგრძნო, ვისგანაც იქნებოდა. ოთხი წყვილი თვალი დაურიდებელი ცნობისმოყვარეობით მიაშტერდა მას. ელოდნენ, როდის გახსნიდა წერილს. იმედოვნებდნენ, გავერთობით და ჩვეულებრივი მოწყენილობა გაგ-

ჯიქარდებაო. კრისტოფმა თავისი თეფშის გვერდით დადო ბარათი, გახსნისაგან თავი შეიკავა და მოჩვენებითი გულგრილობით განაცხადა: ვიცი ვისგანაც არისო. იმედგაცრუებულმა ძმებმა არ დაუჯერეს და თვალთვალი განაგრძეს, ვახშმობის დასრულებამდე გატანჯეს კრისტოფი, მაშინღა შეიძლო თავისუფლად ჩაკეტილიყო ოთახში. გული ისე ძლიერ უცემდა, რომ კონვერტის გახსნისას კინაღამ გახია წერილი. ეშინოდა წაკითხვისა. მაგრამ პირველსავე სიტყვებს გადააცლო თუ არა თვალი, სიხარულმა აიტაცა.

წერილი რამდენიმე ალერსიან სტრიქონს შეიცავდა. მინა მალულად სწერდა, უწოდებდა „ძვირფას კრისტლაინს", უამბობდა, რომ ბევრს ტიროდა, რომ ყოველ საღამოს უჭვრეტდა ვარსკვლავს, რომ იმყოფებოდა ფრანკფურტში; ეს არის უზარმაზარი ქალაქი, სადაც საუცხოო მაღაზიებია, მაგრამ არაფერს ყურადღებას არ ვაქცევ, მხოლოდ შენზე ვფიქრობო. მოაგონებდა ერთგულების ფიცს. ნურავის დაუმეგობრდები ჩემს ჩამოსვლამდეო. მხოლოდ ჩემზე იფიქრეო. სთხოვდა განუწყვეტლივ ემუშავა, რათა სახელოვანი გამხდარიყო და ისიც ესახელებინა. შემდეგ სწერდა, თუ გაგონდება პატარა სალონი, სადაც ერთმანეთს გამოვეთხოვეთო, და სთხოვდა, ერთ დილას იქ შეიარე. ირწმუნებოდა, მეც იქ ჯიქნები ფიქრით და მაშინდებურად გამოგეთხოვები ისევო. ბოლოს ხელს აწერდა: „სამარადისოდ, სამარადისოდ შენი!.." მინაწერიც დაერთო, ურჩევდა: შენი ძველი ფეტრის ქუდის ნაცვლად ჭილის ქუდი შეიძინე, აქ ყველა წესიერი კაცი მაგას ატარებსო. უთუოდ იყიდე მსხვილი ჭილის ქუდი, ფართო ცისფერი ბაფთით.

კრისტოფმა ოთხგზის გადაიკითხა წერილი, ვიდრე სავსებით გაიგებდა. დარეტიანდა. ძალა აღარ ეყო სიხარულისათვის. ისე დაღლილად იგრძნო თავი, რომ წამოწვა; წამდაუწუმ კითხულობდა და კოცნიდა წერილს. ბალიშქვეშ ამოიდო და ყოველ წუთს ამოწმებდა ხელი — ხომ აქ არისო. ენით გამოუთქმელი კმაყოფილება დაეუფლა. დილამდე მკვდარივით ეძინა.

ცხოვრება უფრო გასაძლისი შეიქნა. მინაზე ფიქრი არ შორდებოდა. საპასუხო წერილი დაწერა, მაგრამ ყველაფერს დაუფარავად ვერ მისწერდა, თავისი გრძნობები უნდა დაემალა. ეს ძნელი იყო. ეცადა ცერემონიალური თავაზიანობით დაეფარა როგორმე სიყვარული. თავაზიანობა კი ყოველთვის სასაცილოდ გამოსდიოდა.

ბარათი გაგზავნა და მინას პასუხს დაუწყო ლოდინი. ამ მოლოდინითღა ცოცხლობდა. მოთმინება არა ყოფნიდა, ცდილობდა ესეირნა, ეკითხა, მაგრამ სულ მინა აგონდებოდა და მანიაკის ახირებულობით იმეორებდა მის სახელს, კერპთაყვანისმცემელივით აღმერთებდა, ჯიბით დაატარებდა ლესინგის ტომს, რადგან იქ ხვდებოდა მინას სახელი. ყოველდღე შორი გზით მო-

ივლიდა თეატრიდან შინმიმავალი, რათა ერთი გალანტერიის დუქნის წინ გაეარა, რადგანაც მის აბრაზე ეწერა ეს ოთხი გასაღმერთებელი ასო.

უქმადყოფნას უსაყვედურებდა თავს, მინა ხომ დაკინებით მთხოვდა ვიზუშაო, რათა დიდება მოვიპოვოო. ამ თხოვნის გულუბრყვილო ზვიადობა ყულს უჩუყებდა, ნდობის ნიშნად მიაჩნდა. გადაწყვიტა მისი თხოვნისამებრ დაეწერა ნაწარმოები, რომელიც მხოლოდ სიტყვიერად კი არ იქნებოდა მისადმი მიძღვნილი, არამედ შინაარსითაც. ამჟამად სხვაგვარ თხზულებას ვერც შექმნიდა. განიზრახა თუ არა ეს, მუსიკალურმა აზრებმა, როგორც წყალმა, რომელიც თვეობით გროვდება წყალსაცავში დ უცებ კაშხალს გადმოხეთქავს, ისე წალეკა მისი გონება. ოთახიდან არ გამოსულა მთელი ერთი კვირა. ლუიზა კართან უწყობდა საჭმელს. კრისტოფი დედასაც არ უშვებდა ოთახში.

ასე შეთხზა კვინტეტი კლარნეტისა და სიმებიანი საკრავებისათვის. პირველი ნაწილი ჭაბუკური სურვილებისა და იმედების პოემას წარმოადგენდა: უკანასკნელი — სიყვარულის სიმღერას, და მას კრისტოფის, ცოტა არ იყოს, ველური ხასიათის კვალი ემჩნეოდა. მაგრამ მთელი თხზულება მეორე ნაწილისათვის, ლარგეტოსთვის იყო დაწერილი. ამ ნაწილში კრისტოფმა გამოსახა სატრფოს ფიცხი და გონიერი სული. ამ ბგერებში ვერავინ იცნობდა მინას, მინაც ვერ შეიცნობდა თავის თავს, მაგრამ, რაც მთავარია, კრისტოფს სჯეროდა, სატრფოს გამოსახვა შეეძელიო და სიხარულისაგან თრთოდა, არასოდეს უმუშავნია ეგოდენი სიხარულითა და გატაცებით. ამით იოხებდა მოჭარბებული სიყვარულითა და განშორებით დაწყლულებულ გულს. ამავე დროს ნაწარმოებზე ზრუნვა და დაძაბულობა, რაც ვნების კონცენტრირებისა და ლამაზ ნათელ ფორმაში მოქცევისათვისაა საჭირო, ზნეობრივ ძალასა და სულიერ წონასწორობას უნარჩუნებდა. ეს კი ფიზიკურ სიამოვნებას ანიჭებდა. უმწვერვალესი ნეტარება შემოქმედისათვის ისაა, როცა შემოქმედების ჟამს სურვილისა და სევდის მონობისაგან თავს დაიხსნის, თავად ეუფლება მათ. ყველაფერი, რაც აქამდე ახარებდა და ტანჯავდა, ახლა მისი ნებისყოფის სათამაშო საგანი ხდება. ეს მხოლოდ წუთით. შემდეგ უფრო უმძიმდება სინამდვილის ბორკილები.

სანამ კრისტოფი ამ სამუშაოთი იყო გართული, განშორებაზე ფიქრისათვის არ ეცალა: იგი მინასთან იყო, მინაც მის არსებაში იყო. მაგრამ როდესაც ნაწარმოები დაასრულა, ისევ იგრძნო მარტოობა, უწინდელზე მომეტებული მარტოობა და ძალითა და დაძაბვით გამოწვეული დაღლილობა. გაახსენდა, რომ ორი კვირის წინათ მიეწერა მინასათვის და პასუხი არ მოსვლოდა ჯერაც.

ისევ მისწერა წერილი. ამჯერად ვერ შეძლო ბოლომდე შეეკავებინა თავი. მინას ხუმრობის კილოთი უსაყვედურა, დამივიწყეო, თუმცა თვითონ არ სჯე-

როდა. ალერსიანად დასცინოდა, ზარმაცი ხარო. დიდი იდუმალებით მისწერა, ახალი ნაწარმოები დავწერეო, სურდა მინას ცხოვრებისმოყვარეობა გაეღვივებინა, მოულოდნელი საჩუქარი დაეხვედრებინა დაბრუნებისას. დაწერილებით აღუწერა ნაყიდი ქუდი, დაუმატა, ჩემი პატარა მტარვალის ნებას სიტყვასიტყვით ვასრულებ და მისი ბრძანებისამებრ შინიდან არ გამოვდივარ, ავადმყოფობას ვიმიზეზებ და მიპატიჟებაზე უარს ვამბობო. ის ღარ შეატყობინა მინას, ჰერცოგმა ჩემზე გული აიყარა, რადგან ჩემი გადამეტებული გულმოდგინება იქამდე მივიდა, რომ ერთ საღამოს თვითნებურად უარი ვთქვი სასახლეში წასვლაზეო. წერილი ძალდაუტანებელი მხიარულებითა და შეყვარებულთათვის ძვირფასი მცირე იდუმალებით იყო გამსჭვალული; კრისტოფს ეგონა, მხოლოდ მინა ამოხსნიდა მას, ფიქრობდა — ძალზე მარჯვედ მოვიქეცი, რომ სიტყვა „სიყვარულს" ყველგან „მეგობრობა" შევუნაცვლეო.

ამ წერილის დაწერის შემდგომ წუთიერად დამშვიდდა, რადგან მინასთან გასაუბრების ილუზია შეიქმნა. თანაც განსაკუთრებით იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო, მინა ბარათის მიღებისთანავე პასუხს მომწერსო. სამი დღე, რაც ფოსტას დასჭირდებოდა წერილის დანიშნულებისამებრ მისატანად და პასუხის ჩამოსატანად, მშვიდად იყო. მაგრამ მეოთხე დღეც გავიდა; კრისტოფი მოუთმენლობამ შეიპყრო. არაფრის თავი არა ჰქონდა, არაფერი აინტერესებდა, მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდებოდა, როცა ფოსტა უნდა მოსულიყო. მაშინაც მოუთმენლობისაგან ცახცახებდა. ცრუმორწმუნე გახდა და სხვადასხვა რამ— ბუხარში შეშის გატკაცუნება თუ შემთხვევით თქმული სიტყვა — წერილის მოსვლის ნიშნად მიაჩნდა. ფოსტის ჩამორიგების დრო გავიდოდა და ისევ აპათია ეუფლებოდა. არ მუშაობდა, არ სეირნობდა, მისი არსებობის მიზანი უახლოესი ფოსტის ცდა შეიქნა და რაც შეეძლო, ითმენდა, რომ წერილის მოსვლამდე გაეძლო, როგორმე. საღამო რომ დადგებოდა და იმედი მიიწურებოდა, სასოწარკვეთა ეუფლებოდა, ეგონა, ხვალამდე ვეღარ მივაღწევო და მთელი საათობით უაზროდ უჯდა მაგიდას, ხმას არ იღებდა, ლოგინში ჩაწოლის თავიც არ ჰქონდა; ბოლოს ჯერ კიდევ შერჩენილი მცირე ნებისყოფის წყალობით თავს აიძულებდა დაწოლილიყო. მძიმე ძილით ეძინა, უცნაური სიზმრები აწუხებდა, ეგონა, აღარასოდეს გათავდებოდა.

ეს გამუდმებული ლოდინი ნელ-ნელა ფიზიკურ ტკივილად, ნამდვილ ავადმყოფობად ექცა. კრისტოფმა ეჭვიანობა დაიწყო, — მამა, ძმები ან ფოსტალიონი ხომ არ მიმალავენ წერილსო. მოუსვენრობა ღრღნიდა, მინას ერთგულებაში ერთი წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი. წერილებს რომ არა სწერს — ალბათ ავადაა, ვინ იცის, იქნებ სიკვდილის პირზეა ან მოკვდა კიდეც. კრისტოფი კალამს

მივარდა და მესამე წერილი მისწერა. იგი რამდენიმე გულისმომწველი სტრიქონებისაგან შედგებოდა. ამჯერად არც უცდია თავის გრძნობათა დაფარვა, ორთოგრაფია არც მოჰგონებია. ფოსტის გაგზავნის დრო მოახლოვდა. კრისტოფი ჩხაპნიდა, შლიდა, ფურცელი გასვარა გადაბრუნებისას, კონვერტი დაალაქიანა. მერმე რა! შემდგომ ფოსტამდე ხომ არ დაიცდიდა. წერილის ჩასაგდებად გაიქცა და მომაკვდინებელი მწუხარებით შეპყრობილმა დაიწყო ლოდინი. მერე ღამით მინა დაესიზმრა, თითქოს სნეული მოუხმობდა მას. კრისტოფი ადგა, მზად იყო ფეხით წასულიყო მინასთან. მაგრამ სად წასულიყო? სად ეპოვა იგი?

მეოთხე დღეს მოვიდა მინას ცივი და სუსხიანი წერილი — ნახევარი ფურცელიც არ იყო ავსებული. მინა სწერდა — არ მესმის, რამ შთაგაგონათო ეგ საოცარი შიში, მე ძალიან კარგად ვარ, წერილებისათვის არ მცალიაო. სთხოვდა — მომავალში ნუ შეწუხდებით აგრე და წერილებსაც ნუღარ მომწერთო.

ამ წერილმა მიწასთან გაასწორა კრისტოფი. მინას გულწრფელობა საეჭვოდ არ გაუხდია და თავისავე თავი დაადანაშაულა. იფიქრა — მინას მართლაც გააჯავრებდა ჩემი გაუფრთხილებელი და სულელური წერილიო. ბრიყვი უწოდა თავს და მუშტები წაიშინა. მაგრამ რაც უნდა ექნა, ერთი ცხადი იყო — მინას აღარ უყვარდა იგი ისე, როგორც კრისტოფს უყვარდა.

ამას უღიმღამო დღეთა რიგი მოჰყვა. ეს იყო ნამდვილ არარაობა, რომლის აღწერა არავის ძალუძს. მინას წერილები ცხოვრებასთან აკავშირებდა კრისტოფს და ახლა, როცა ეს მაკავშირებელი ძაფი გაუწყდა, უაზროდ ცხოვრობდა, მხოლოდ საღამოობით გამოცოცხლდებოდა, როდესაც დაწოლის წინ მოსწავლესავით წაშლიდა კალენდარში კიდევ ერთ დაუსრულებელ დღეს, რაც მინას დაბრუნებას აშორებდა.

მათი ჩამოსვლის ვადა რა ხანია გავიდა. ერთი კვირის წინ უნდა ჩამოსულიყვნენ. კრისტოფის აპათია მხურვალე მღელვარებამ შეცვალა. მინამ გამგზავრებისას აღუთქვა, ჩამოსვლის დღესა და საათს გაცნობებო. იგი წუთიწუთ ელოდა ცნობას. რომ დახვედროდა და აღარ იცოდა, რითი აეხსნა მათი დაგვიანება.

ერთ საღამოს კარის მეზობელი, პაპას მეგობარი მეშპალერე ფიშერი მოსულიყო ჩიბუხის მოსაწევად და მელქიორთან სალაყბოდ; იგი ხშირად დადიოდა ნასადილევს. ფოსტალიონის ამაო ლოდინით შეწუხებული კრისტოფი თავის ოთახში ასვლას აპირებდა, როდესაც ერთმა ყურმოკრულმა სიტყვამ შეაკრთო.

ფიშერმა თქვა, ხვალ უთენია უნდა წავიდე კერიხებთან და ფარდები ჩამოვუკიდოო. განცვიფრებული კრისტოფი შეეკითხა:

—განა უკვე ჩამოვიდნენ?

— აი, შე მატყუარა! ჩემზე უკეთ არ იცი, განა? — უთხრა ღიმილით მოხუცმა ფიშერმა, — რა ხანია. გუშინწინ ჩამოვიდნენ.

კრისტოფი უმალვე ოთახიდან გავიდა და წასასვლელად მოემზადა. დედა, რომელიც კარგა ხანია თვალყურს ადევნებდა ფარულად, კორიდორში გაჰყვა და მორიდებით ჰკითხა სად შიდიხარო? გაწამებული კრისტოფი პასუხის გაუცემლად გაეცალა.

კერიხებთან გაიქცა. საღამოს ცხრა საათი იყო. ქალები სალონში იყვნენ და მისი მოსვლა არ გაკვირვებიათ. წყნარად უთხრეს, საღამო მშვიდობისაო. მინა წერით იყო გართული და არც ამდგარა, ისე გადმოუწოდა ხელი, შემდეგ ისევ განაგრძო ბარათის წერა, თან უგულისყუროდ ჰკითხა ახალი ამბები. მართალია, ბოდიში მოიხადა უთავაზობისათვის და თავი ისე დაიჭირა, თითქოს ღსმენდა, მაგრამ ლაპარაკი შეაწყვეტინა და დედას რაღაც ჰკითხა. კრისტოფს გულისმომწველი სიტყვები უტრიალებდა ენის წვერზე — რა გადაიტანა განშორებისას, მაგრამ ძლივს წაილუღლუღა რაღაც. არავინ გამოხმაურებია და სიმამაცე არ ეყო გაეგრძელებინა საუბარი, ყოველივეს სიყალბის იერი ედო.

მინამ წერა რომ დაასრულა, ხელსაქმე აიღო, მის ახლოს ჩამოჯდა და თავისი მოგზაურობის ამბავი მოუთხრო. უამბო, რა შესანიშნავად გაატარა დრო, როგორ დააკენებდა ცხენს, ელაპარაკა სასახლის ცხოვრების, მაღალი საზოგადოების შესახებაც. თანდათან ეშხში შევიდა და მოიხსენია კრისტოფისათვის უცნობი ამბები და პიროვნებანი. ამ მოგონებებზე დედა-შვილი იცინოდა. კრისტოფი უცხოდ გრძნობდა თავს. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და დარცხვენილი იღიმებოდა. მინას თვალს არ აცილებდა, თვალებით ემუდარებოდა — ერთხელ მაინც შემომხედეო. მინა მეტწილად დედას მიმართავდა და ათასში ერთხელ თუ გაუსწორებდა თვალს, მაშინაც მისი შემოხედვაცა და ხმა თავაზიანი და გულგრილი იყო. იქნებ თავს იკავებდა, დედას რომ არაფერი შეეტყო? კრისტოფს განმარტოებით ლაპარაკი სურდა, მაგრამ ქალბატონი ფონ კერიხი, ერთი წუთითაც არ ტოვებდა მათ. ყმაწვილი შეეცადა მახლობელ თემაზე გადმოეტანა საუბარი, თავის თხზულებებსა და ჩანაფიქრზე წამოიწყო ლაპარაკი. ბუნდოვნად გრძნობდა, მინა ხელიდან ეცლებოდა და ინსტინქტურად ცდილობდა დაეინტერესებინა. მართლაც, გოგონა, თითქოს დიდი ყურადღებით უსმენდა, და თავისი ინტერესი იმითაც დაადასტურა, რომ ლაპარაკში რამდენიმე შორისდებულიც ჩაურთო, თუმცა ყოველთვის შესაფერისი არა. მაგრამ როდესაც

მისი მომხიბლავი ღიმილით გაბრუებულ კრისტოფს იმედი აღეძრა, დაინახა, რომ მინამ ხელი მიიფარა ტუჩებზე და დაამთქნარა. კრისტოფს სიტყვა პირზე შეაშრა. მინამ შეამჩნია ეს და თავაზიანად მოუბოდიშა, დაღლილობა მოიმიზეზა. კრისტოფი ადგა, ეგონა, ეტყოდნენ, რა გეჩქარებათო, მაგრამ არავის უთქვამს, დაიცადეთო. გამოთხოვება გააჭიანურა, ამაოდ ელოდა, იქნება სახვალიოდ მაინც მიმიწვიონო.

საშინლად დაღვრემილი დაბრუნდა შინ. იმ მინასაგან, ვისაც ორი თვის წინათ იცნობდა, მისი ძვირფასი მინასაგან, არა დარჩენილიყო რა. რა მოხდა? რა მოუვიდა? საწყალ ყმაწვილს არასოდეს გამოეცადა განუწყვეტელი ცვალებადობა, სრული გაქრობა და განახლება ცოცხალი სულებისა, რომელთა უმეტესობა სული კი არა, უფრო ერთიმეორის მომდევნო, ცვალებად და ქრობად სულთა კრებულია. ჭეშმარიტება ძალზე მწარე იყო და კრისტოფს ეძნელებოდა მისი დაჯერება. შიშით იწორებდა ამ აზრს და ცდილობდა თავი დაერწმუნებინა—მოვტყუვდი, მინა ისეთივეა, როგორიც წინათ იყო. გადაწყვიტა ხვალ დილითვე მისულიყო მასთან და რადაც უნდა დასჯდომოდა, მოლაპარაკებოდა.

ვერ დაიძინა. მთელ ღამეს კოშკის საათის რეკას ითვლიდა. ირიჟრაჟა თუ არა, ადგა და კერიხების სახლის ირგვლივ დაიწყო ხეტიალი. როგორც კი ჭიშკარი გაიღეს, შევიდა. მინას ნაცვლად ქალბატონი ფონ კერიხი დახვდა. ცოცხალ, ადრე ადგომას მოყვარულ ქალბატონ კერიხს სურა ეპირა ხელთ და ყვავილებს რწყავდა აივანზე. კრისტოფი რომ შეამჩნია, ოდნავი დაცინვით წამოიძახა:

— აჰ! ეს თქვენ ხართ!.. რა კარგია, რომ მოხვედით, თქვენთან სალაპარაკო მაქვს. დამიცადეთ.

ერთი წუთით შევიდა სურის დასადგმელად და ხელების გასამშრალებლად: შემდეგ გამოვიდა, ღიმილით შეხედა კრისტოფის შემკრთალ სახეს. ყმაწვილი გრძნობდა — უბედურება მომიახლოვდაო.

— ბაღში გავიდეთ, — თქვა ქალბატონმა ფონ კერიხმა, — იქ არავინ შეგვიშლის ხელს.

ბაღი, სადაც ახლა ქ-ნ კერიხს მიჰყვებოდა, კრისტოფის სიყვარულის მოწმე იყო. ქალი ლაპარაკის დაწყებას არა ჩქარობდა, ჭაბუკის მღელვარებით ერთობოდა.

— დავსხდეთ აქ, — თქვა მან ბოლოს.

ისინი ჩამოსხდნენ იმ სკამზე, სადაც მინამ მას ტუჩები მიუშვირა საკოცნელად გამგზავრების წინა დღეს.

— ვფიქრობ თქვენ ხვდებით, რის შესახებაც უნდა მოგელაპარაკოთ, — უთხრა ქალბატონმა ფონ კერიხმა და ზვიადი გამომეტყველება მიიღო, რათა

საბოლოოდ შეეცბუნებინა კრისტოფი, — ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი. კრისტოფ! სერიოზულ ყმაწვილად გთელიდით. საესებით გუნდობოდით. ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ თქვენ მომატყუებდით და ჩემი გოგონას გაბრიყვებას შეეცდებოდით. თქვენ მოგანდეთ მინა. პატივი უნდა გეცათ მისთვის, ჩემთვის, თქვენი თავისთვისაც.

ქალის ხმა ოდნავ ირონიულად ჟღერდა; ქალბატონი ფონ კერიხი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ამ ბავშვურ სიყვარულს, მაგრამ კრისტოფმა ირონია ვერ შეამჩნია. ეს საყვედური გულის სიღრმემდე ჩასწვდა ისევე ტრაგიკულად, როგორც ყველაფერი სხვა.

— კი მაგრამ, ქალბატონო... ქალბატონო... — წამოილუღლუღა თვალცრემლიანმა კრისტოფმა, — თქვენი ნდობა არასოდეს ბოროტად არ გამომიყენებია... ...მაგას ნუ იფიქრებთ, გევედრებით... მე უპატიოსნო კაცი არა ვარ, გეფიცებიი!.. მინა მიყვარს, სულითა და გულით მიყვარს და მსურს შევირთო.

ქალბატონმა ფონ კერიხმა გაიღიმა.

— არა, ჩემო ბიჭიკო, — თქვა მან შემწყნარებელი კილოთი, რაც არსებითად აბუჩად აგდება იყო და ეს შეამჩნია კიდეც კრისტოფმა, — არა, ეს შეუძლებელია, ბავშვობაა.

— რატომ? რატომ? — შეეკითხა კრისტოფი.

ქალს ხელი დაუჭირა, არ ეგონა, თუ სერიოზულად ეუბნებოდა, თითქმის დაამშვიდა მისმა ალერსიანმა კილომ. ქალბატონმა ფონ კერიხმა ისევ გაიღიმა და უთხრა:

— იმიტომ.

კრისტოფი ჩააცივდა. ქალბატონი კერიხი საერთოდ სერიოზულად არ უყურებდა ამ რომანს და ახლა ირონიული მორიდებით უთხრა კრისტოფს: იმიტომ, რომ ქონება არ გაქვს. მინა სულ სხვაგვარი მიდრეკილების ადამიანიაო. კრისტოფი შეესიტყვა — ეგ არაფერი, გავმდიდრდები, სახელს მოვიხვეჭ. პატივსა და სიმდიდრეს მოვიპოვებ, ყოველივე მექნება, რასაც კი მინა ინდომებსო. ქალბატონმა ფონ კერიხმა ეჭვი გამოთქვა; ართობდა კრისტოფის თავდაჯერება და თავს აქნევდა. — ვერაო. კრისტოფი თავისას გაიძახოდა მაინც.

— არა, კრისტოფ, — უთხრა გადაჭრით ქალბატონმა კერიხმა, — არა, ამაზე ნურაფერს მეტყვით. ეგ შეუძლებელია. მარტო ფული როდია მიზეზი. სხვაც ბევრია მიზეზი!.. თქვენი მდგომარეობა...

ლაპარაკი აღარ იყო საჭირო. შიგ გულში დაიჭრა. თვალები აეხილა. დაინახა ქალბატონი კერიხის მეგობრული ღიმილის ირონიულობა, კეთილმოსურნე გამოხედვის სიცივე, მყისვე შეიცნო, რა უფსკრული იყო მასა და ამ ქალს შო-

რის, რომელიც დედასავით უყვარდა და ისიც თითქოს დედობრივად ეპყრობოდა კრისტოფს. შეიცნო, რაოდენ მედიდური და დამცინავი იყო მისი თანაერძნობა. გაფითრებული ადგა. ქალბატონი ფონ კერიხი ალერსიანი ხმით ვანაგრძობდა ლაპარაკს. მაგრამ უკვე ყველაფერი დამთავრდა. კრისტოფი აღარ უსმენდა მის ალერსიან საუბარს, ყოველ სიტყვაში მისი სალუქი სულის სიცივეს ხედავდა. პასუხის მიგება აღარ შეეძლო. წავიდა. თითქოს ყველაფერი ტრიალებდა მის ირგვლივ.

თავის ოთახში შევიდა, ლოგინზე დაეცა და სიბრაზისა და აღშფოთებული თავმოყვარეობისაგან კრუნჩხვა დაეძართა, როგორც პატარაობისას მოსდიოდა. ბალიშს კბენდა, ცხვირსახოცს პირში იტენიდა, რომ ყვირილი არ გაეგონათ. შეეჯავრა ქალბატონი კერიხი. შეეჯავრა მინა, გაშმაგებული სიძულვილი იგრძნო, თითქოს სილა გააწნეს; სირცხვილისა და სიბრაზისაგან ცახცახებდა. პასუხი უნდა მიეგო, რაღაც უნდა ექნა ახლავე. მოკვდება, თუ ჯავრი არ ამოიყარა.

იგი იდგა და უგუნური მძვინვარებით აღსავსე წერილი დაწერა.

„ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ო!

თქვენ მიბრძანეთ, მომატყუეო. რა მოგახსენოთ! მაგრამ კი ვიცი, რომ მე თვითონ სასტიკად შევცდი. მეგონა, ჩემი მეგობრები იყავით. ასე მარწმუნებდით, და სიცოცხლეზე მეტად მიყვარდით. მაგრამ ახლა ვხედავ, ეს სიცრუე იყო. თქვენ მაბრიყვებდით, მიმსახურებდით, მასხრად მიგდებდით. მე თქვენ გართობდით მუსიკით. თქვენი მოსამსახურე ვიყავი. მე არ გახლავართ მსახური, და არც როდის მოვემსახურები ვინმეს!

თქვენ უხეშად მაგრძნობინეთ, რომ უფლება არა მქონდა თქვენი ქალიშვილის შეყვარებისა. მე ვერავინ დამიშლის მიყვარდეს, ვინც მიყვარს. თუმც წოდება არ გამაჩნია, თქვენზე ნაკლებ კეთილშობილი როდი ვარ. კაცს გული აკეთილშობილებს. გრაფი არ ვარ, მაგრამ შეიძლება მრავალ გრაფზე მეტი ღირსება გამაჩნდეს. ლაქია იქნება თუ გრაფი, ვინც უნდა შეურაცხმყოს—შევიზიზღებ. როგორც ტალახს, ისე შევიზიზღებ ყველას, ვისაც თავი კეთილშობილად მიაჩნია, მაგრამ სულიერ კეთილშობილებას მოკლებულია.

მშვიდობით! თქვენ სხვა ადამიანად მიმიღეთ, მომატყუეთ, მძულხართ.

გწერთ ის, ვისაც თქვენ ჯიბრზე კუბოს კარამდე ეყვარება მინა, რ ა დ გ ა ნ ა ც ი გ ი მ ა ს ე კ უ თ ვ ნ ი ს და ვერავინ წაართმევს“.

ჩააგდო თუ არა ეს ბარათი ყუთში, მაშინვე შეაძრწუნა თავისმა ნამოქმედარმა. შეეცადა, არ ეფიქრა ამაზე. მაგრამ ზოგიერთი ფრაზა აგონდებოდა და

ცივ ოფლს ასხამდა. როდესაც წარმოიდგენდა, რომ ქალბატონ ფონ კერიხს უნდა წაეკითხა ეს აღმაშფოთებელი სიტყვები. თავდაპირველად სასოწარკვეთილება მველოდა, მაგრამ მეორე დღესვე მიხვდა, იმ წერილს არ შეიძლებოდა სხვა შედეგი მოჰყოლოდა, თუ არ მინას საბოლოოდ ჩამოშორება. ეს კი ყველაზე დიდი უბედურება იქნებოდა. ჯერ კიდევ იმედოვნებდა, იქნებ ქალბატონი ფონ კერიხი, რაკი ჩემი სიფიცხის ამბავი იცის, სერიოზულად არ მიიღებს ჩემს წერილს, მკაცრი გაფრთხილებით დაკმაყოფილდებოდა და ვინ იცის? — იქნებ ჩემი ვნების სიწრფელითაც მოიხიბლოსო. ერთი სიტყვა კმაროდა, რომ ამ ქალის ფერხთა ქვეშე გართხმულიყო. ხუთი დღე ელოდა. ბოლოს მოვიდა შემდეგის მაუწყებელი ბარათი:

„ბატონო ჩემო!

რადგანაც თქვენი აზრით ჩვენს შორის გაუგებრობა წარმოიშვა, რაღა თქმა უნდა, გონივრული იქნება ახლავე ბოლო მოვუღოთ მას. თქვენთვის მქეჯნავი გამხდარა ჩვენი ნაცნობობა და როგორ შემიძლია თავს მოგახვიოთ იგი? უნდა განვშორდეთ ერთმანეთს. ვიმედოვნებ, შემდგომში გეყოლებათ სხვა მეგობრები და ისინი ისე დაგაფასებენ თქვენ, როგორც გსურთ. მე სრულიადაც არ მეპარება ეჭვი თქვენს ბრწყინვალე ძმამავალში და შორიდან თანაგრძნობით ვადევნებ თვალს თქვენს წარმატებას მუსიკალურ ასპარეზზე. მიიღეთ ჩემი სალამი.

იოზეფინა ფონ კერიხი"

უმწარესი საყვედური ნაკლებ სასტიკი იქნებოდა. კრისტოფმა თავი დაღუპულად იგრძნო. უსამართლო მსაჯულს გასცემს პასუხს, მაგრამ ამ ცარიელი და თავაზიანი გულგრილობის წინააღმდეგ რას გააწყობს? კრისტოფი თითქოს გაგიჟდა. მიხვდა, ვერასოდეს იხილავდა მინას. ეს აუტანელი იყო მისთვის. იგრძნო, რა მცირედი საღირალი იყო მთელი სამყაროს ამპარტავნება ცოტაოდენი სიყვარულის წინაშე. დაივიწყა ყოველგვარი ღირსება, სულით დაეცა, წერდა წერილებს, ევედრებოდა, შემინდეთო. ეს ბარათები წინანდელზე მეტი უგუნურებით იყო აღსავსე. პასუხი არ მოსვლია. ამით ყველაფერი ითქვა.

კინაღამ მოკვდა. თავის მოკვლა უნდოდა. მკვლელობა სურდა ჩაედინა. ყოველ შემთხვევაში, ეგონა მსურსო. ცეცხლის წაკიდების, ბოროტმოქმედების ხასიათზე იყო. კაცი ვერ წარმოიდგენს სიყვარულისა და სიძულვილის პაროქსიზმებს, რაც ზოგიერთ ბავშვს გულში უტრიალებს, ეს იყო უსაშინელესი კრიზი-

სი კრისტოფის ბავშვობისა. ამით დასრულდა მისი ბალღობა. გამოეწრთო ნებისყოფა. მაგრამ განსაცდელმა. კინაღამ საბოლოოდ არ გატეხა.

სიცოცხლე აღარ შეეძლო. ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი საათობით გაჰყურებდა მოკირწყლულ ეზოს და როგორც პატარაობისას, ახლაც ფიქრობდა, რომ ბრსებობდა სიცოცხლის სატანჯველისაგან თავის დახსნის საშუალება. აქვე, თვალწინ იყო წამალი უტყუარი და სწრაფი... სწრაფი? ვინ იცის? შესაძლია საზარელი წამების საათები, საუკუნეები გავიდეს, ვიდრე მოკვდებოდეს!.. მაგრამ ისე ღრმა იყო მისი ბავშვური სასოწარკვეთილება, რომ თავბრუდახვევამდე ეძლეოდა ამ აზრს.

ლუიზა ხედავდა, კრისტოფი იტანჯებოდა. რა ემართებოდა, კარგად ვერ გაეგო, მაგრამ გუმანით გრძნობდა საშიშროებას. ცდილობდა დაახლოებოდა ვაჟიშვილს, გაეზიარებინა მისი ტანჯვა, ენუგეშებინა, მაგრამ საწყალი კრისტოფთან გულითად ლაპარაკს გადაჩვეოდა. რამდენიმე წელია, არავის უხსნიდა კრისტოფი გულს, ხოლო ლუიზა ოჯახზე ზრუნვაში იყო შთანთქმული და დრო არა ყოფნიდა კრისტოფის დარდისა თუ სიხარულის გასაზიარებლად. ახლა ძალიანაც სურდა ეშველა, მაგრამ არ იცოდა, რა ექნა, თავს დასტრიალებდა მგლოვიარე სულივით. გულით ეწადა მიფერებოდა, მაგრამ ვერ ბედავდა შვილის გაჯავრების შიშით. მიუხედავად ასეთი სიფრთხილისა, კრისტოფს დედის მოქცევა, მისი ახლოს ყოფნაც კი აბრაზებდა. დედა უგერგილო იყო, ხოლო შვილი—უწყალო. კრისტოფს ძალიან უყვარდა დედა. მათ უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ მცირედიც საკმაოა მოყვარულ არსებათა დასაშორებლად. ხმამაღალი ლაპარაკი, უხერხული ქცევა, თვალის დახამხამება თუ ცხვირის უნებლიე მოძრაობა, უშნო ჭაშა, სიარული თუ სიცილი, რაღაცნაირი, ძნელად გასააზრებელი შებორკილობა... ამბობენ — ეს არაფერიაო, მაგრამ ესაა ყველაფერი. ძალიან ხშირად ეს სრულიად საკმარისია, რომ დედა და შვილი, და-ძმა და მეგობარნი სავსებით უცხონი შეიქმნენ ერთურთისათვის.

დედის თანაგრძნობა ვერ შველოდა კრისტოფს. მართლაც რაა სხვათა სიყვარული ეგოისტური ვნებისათვის, რაკი მხოლოდ საკუთარი თავი გაინტერესებს?

ერთხელ, ღამით, როდესაც შინაურებს ეძინათ, კრისტოფი მაგიდას უჯდა ეაზროდ, გაუნძრევლად. თავის მძიმე ფიქრებში ჩაფლულიყო; პატარა, მშვიდი ქუჩიდან ნაბიჯის ხმა გაიგონა და კარის ბრახუნმა გამოარკვია. ბუნდოვანი ბუბუნი შემოესმა. გაახსენდა, რომ მამა შინ არ იყო და ბრაზით გაიფიქრა — ალბათ გალეშილი მოიყვანესო. ამას წინათაც შუა ქუჩაზე მიგდებული არ ნახეს განა? მელქიორს მთლად აეღო ხელი გონებაზე და ბიწიერებისთვის მიეცა

თავი. მხოლოდ ათლეტური ტანი შველოდა. თორემ სხვას ამდენი სმა და დავიდარაბა სიცოცხლეს გამოასალმებდა. ოთხი კაცის სამყოფს ჭამდა, სვამდა, ვიდრე გალეშილი ძირს არ დაეგდებოდა, კოკისპირული წვიმის ქვეშ ატარებდა ღამეებს, ჩხუბობდა და მეორე დილით ისევ მხიარული ბრუნდებოდა შინ. სხვებსაც აიძულებდა, ჩემთან ერთად იმხიარულეთო.

ლუიზა კარის გასაღებად გაეშურა. კრისტოფი არ დაძრულა, ყურები თითებით დაიხშო, რათა არ გაეგონა მელქიორის ხმა და მეზობლების გამქირდავი სიტყვები...

ანაზდად გამოუთქმელმა ძრწოლამ შეიპყრო, ცახცახი აუვარდა, სახეზე ხელები მიიფარა და მაშინვე შემზარავმა კივილმა ააღებინა თავი. კარისაკენ გაექანა...

ხმადაბლა მოლაპარაკე მეზობლების ფერხთით, ერთადერთი სანათურის მოფარფატე სინათლით გაშუქებულ ბნელ კორიდორში საკაცეზე, როგორც ოდესღაც პაპა ჟან-მიშელი, იწვა უძრავი სხეული და წყალი სდიოდა. მელქიორი წისქვილის რუში ენახათ დამხრჩვალი.

კრისტოფმა შეჰყვირა: ყველაფერი გაქრა, სხვა ყოველივე განქარდა. იგი მამის სხეულს დაემხო ლუიზას გვერდით და ორივენი დიდხანს, დიდხანს ტიროდნენ.

კრისტოფი საწოლს უჯდა და ღამეს უთევდა საუკუნოდ მიძინებულ მელქიორს. მამას ახლა მკაცრი და საზეიმო გამომეტყველება ეფინა სახეზე. ჭაბუკი გრძნობდა, როგორ ეუფლებოდა მას სიკვდილის პირქუში სიმშვიდე. ციებ-ცხელების შეტევასავით გაუარა ბავშვურმა ვნებამ, სამარის გამყინავმა სუნთქვამ გაუქარვა. მინა, მისი სიამაყე, სიყვარული, თვითონ... ეჰა! რა იყო ეს ამ სინამდვილის, ამ ერთადერთი სინამდვილის — სიკვდილის წინაშე! ეგზომ ტანჯვა, უსაზღვრო სურვილი, მღელვარება და ბოლოს აჰა, სიკვდილი!...

იგი უცქერდა მიძინებულ მამას და განუზომელი სიბრალულით ეუფლებოდა. იგონებდა მის სულ უმცირეს გულკეთილობას და სინაზეს. უამრავი მანკი ებადა, მაგრამ ბოროტი არ ყოფილა. ბევრი კარგიც ჰქონდა. ოჯახი უყვარდა, პატიოსანი იყო. მასაც ახასიათებდა კრაფტების ურყევი პატიოსნება, მორალისა და ღირსების საკითხებში უდრეკელობა, ისიც ვერ იტანდა წვრილმან მორალურ სიბინძურეს, რასაც მრავალი ადამიანი ნაკლად არც კი თვლის. მელქიორი გულადი იყო და ყოველგვარ საშიშროებას რალაცნაირი სიხარულით ეგებებოდა. თუ თავისთვის უყვარდა ფულის ფლანგვა, სხვებისთვისაც ხელგაშლილი იყო. ვერ იტანდა სხვის მწუხარებას და გულუხვად აძლევდა, რაც ჰქონდა და

რაც არა ჰქონდა. ყოველ შემხვედურ მათხოვარსა და მაწანწალას. ყველა მისი ღირსება მოაგონდა ახლა კრისტოფს, ზოგს თავად იგონებდა და აზვიადებდა. „ფიქრა, მამას ვერ ვაფასებდი. თავს უსაყვედურებდა — საკმარისად არ მიყვარდაო, ცხოვრების მსხვერპლად მიიჩნდა მელქიორი. თითქოს ესმოდა ამ ცხოვრების მდინარებით გატაცებული, ბრძოლისათვის მეტად სუსტი უბედური სულის ჩივილი უსარგებლოდ დაღუპული სიცოცხლის გამო. გაახსენდა მამის საცოდავი მუდარა, ოდესღაც გული რომ დაუმდუღრა:

— კრისტოფ, ნუ შემიძულებ!

სინდისის ქენჯნამ შესძრა. სარეცელზე დაემხო და აქვითინებულმა მკვდარს სახე დაუკოცნა. მაშინდელივით ახლაც იმეორებდა:

— მამიკო, ძვირფასო, არ მეზიზღები, არა! მიყვარხარ! მაპატიე!

მაგრამ ჩივილი ისევ ჩაესმოდა ყურში: ისევ ის სევდიანი სიტყვები:

— ნუ შემიძულებ, ნუ შემიძულებ!..

ანაზდად თავი წარმოიდგინა სასიკვდილო სარეცელზე: თითქოს ეს საშინელი სიტყვები მისი პირიდან ამოდიოდა, თითქოს გული უწუხდა თავისი ამაოდ დაღუპული ცხოვრების გამო და ძრწოლით გაიფიქრა: „ყოველგვარი ტანჯვა, ყოველგვარი გაჭირვება სჯობს ამას!..“ და რა ახლოს იყო ამისგან! კინაღამ დაჰყვა ცდუნებას და თავი მოიკლა, კინაღამ მხდალივით გაექცა მწუხარებას! თითქოს მთელი მისი ტანჯვა ღალატი, ბალღური მწუხარება არ ყოფილიყოს უდიდესი ტანჯვისა და დანაშაულის წინაშე. რასაც ჩაგადენინებს თავის ღალატი, საკუთარი რწმენისაგან განდგომა. სიკვდილის ჟამს თავის შეზიზღება.

მან დაინახა, რომ ცხოვრება განუწყვეტელ, დაუნდობელ ბრძოლას წარმოადგენს: ვისაც სურს ადამიანის სახელის ღირსი იყოს, გამუდმებით უნდა ებრძოლოს უჩინარი მტრების არმიებს, ბუნების მომაკვდინებელ ძალებს, ბოროტ სურვილსა და შავბნელ აზრებს, რაც კი მოღალატურად ამცირებს და ანადგურებს კაცს. მან დაინახა, რომ კინაღამ ხაფანგში მოჰყვა, დაინახა, რომ ბედნიერება და სიყვარული წუთიერი მოტყუებაა, იგი განაიარაღებს ადამიანის სულს და ქედს ახრევინებს: და თხუთმეტი წლის პურიტანს ჩამოესმა საკუთარი ღმერთის ხმა:

„იარე, შეუსვენებლივ იარე!“–

„საით, უფალო? რაც უნდა ვქნა, საითაც უნდა გავწიო, ბოლო ხომ მაინც ერთია?“

სიკვდილისკენ იარეთ, სასიკვდილოდ შობილნო! ტანჯვას ესწრაფეთ, სატანჯველად შობილნო! ბედნიერებისათვის არ გებოძათ სიცოცხლე! სიცოცხლე მოგენიჭათ, რათა აღასრულოთ კანონი ჩემი...“ იტანჯე, მოკვდი, მაგრამ იყავი, რაც უნდა იყო: იყავი ადამიანი!“

ГЕРЕОЛ

ГЕРЕОЛ

ПЭРЭЛ

ნაწილი პირველი

ოილერის სახლი

სახლში სიჩუმე ჩამოწვა. მამის სიკვდილის შემდეგ ყოველივე ჩაკვდა. თითქოს ახლა, როდესაც მელქიორის ხმა მიწყდა, დილიდან საღამომდე მდიბარის გულისგამაწყალებელი ჩქრიალის გარდა არა ისმოდა რა.

კრისტოფი ისევე გაშმაგებულ შრომას შეუდგა. საკუთარ თავს სჯიდა უმოწყალოდ, ბედნიერებას როგორ წავეპოტინეო. სამძიმარსა და გულისხმიერ მიმართვას ახლოს არ იკარებდა, სიამაყით გაკერპებული. ყოველდღიურ სამუშაოს გულმოდგინედ ასრულებდა და გაკვეთილებზე ყინულივით ცივი იყო. მოწაფეებს, ვინც კი იცოდა მისი უბედურების ამბავი, ანცვიფრებდა კოისტოფის უგრძნობელობა. მაგრამ უფრო ხანში შესულთ, რომელთაც მწუხარება გამოეცადათ, ესმოდათ, თუ რამოდენა წუხილი აფარებდა თავს ამ მოჩვენებით უგრძნობელობას და ებრალებოდათ ყმაწვილი. კრისტოფი ამ თანაგრძნობას მადლიერებით არ ხვდებოდა. მუსიკაც კი ვერ ანუგეშებდა. უსიამოდ უკრავდა, თითქოს მოვალეობას ასრულებდა მხოლოდ. გეგონებოდათ, ულმობელ სიხარულს ანიჭებსო ის, რომ აღარაფერი ახარებს. ცხოვრების ყოველგვარი ხალისის გარეშე ცხოვრობდა მაინც.

დამგლოვიარებული სახლის სიჩუმით შეშინებულმა ძმებმა გაქცევით უშველეს თავს. რუდოლფი ბიძია თეოდორის სავაჭრო დაწესებულებაში მოეწყო და მასთან გადავიდა ბინად. რაც შეეხება ერნსტს, მან ორი თუ სამი ხელობა სცადა და ბოლოს მოეწყო ერთ ხომალდზე, მაინცსა და კელნს შორის რომ დადიოდა რაინზე. იგი მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდა ხოლმე, როცა ფული დასჭირდებოდა. მხოლოდ კრისტოფი დარჩა შინ დედასთან. ახლა მათთვის მეტად დიდი იყო ძველი ბინა. სახსრების უქონლობისა და მამის გარდაცვალების შემდგომ ვალების გამო იძულებული გახდნენ გულის ტკივილით შედგომოდნენ სხვა, იაფი და პატარა ბინის ძიებას.

მოძებნეს, ბაზრის ქუჩაზე მდებარე სახლის მეორე სართულზე სამი ოთახი დაიქირავეს. ეს ხმაურიანი უბანი იყო შუა ქალაქში, მდინარეს, ხეებს და

ნაცნობ სანახებს დაშორებული. მაგრამ გულს კი არა. გონებას უნდა დამორჩილებოდნენ. კრისტოფს აქ შეეძლო თავის, მომაკვდინებელ სევდას მისცემოდა. სახლის პატრონი, სასამართლოს ბებერი მდივანი ოილერი პაპა ჟანმიშელის მეგობარი იყო და მათ ოჯახს კარგად იცნობდა. ამან გადააწყვეტინა აქ გადმოსვლა, დაცარიელებულ სახლში მარტო დარჩენილ ლუიზას. საბრალო ქალი იმ ადამიანებს ეტმასნებოდა, რომელთაც მისთვის საყვარელი არსებანი ახსოვდათ.

ახალ ბინაში გადასვლის სამზადისი დაიჭირეს. დათალხულ და საყვარელ კერასთან გატარებული უკანასკნელი დღეების მწარე სევდას მიეცნენ, სამუდამოდ უნდა მიეტოვებინათ აქაურობა. ძლივსლა უზიარებდნენ ერთმანეთს ნაღველს — რცხვენოდათ თუ ეკრძალებოდათ: ფიქრობდნენ, ერთიმეორის წინაშე სისუსტე არ გამოეჩინათ. სანახევროდ დარაბებმიხურულ ბნელ ოთახში სუფრასთან მსხდარნი ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ, აჩქარებით ჭამდნენ და ერთმანეთს თვალს არიდებდნენ იმის შიშით, ვაითუ მწუხარება ვერ დავფაროთო. ჭამას მორჩებოდნენ თუ არა. მაშინვე განშორდებოდნენ ერთმანეთს. კრისტოფი საქმეზე მიეშურებოდა. მაგრამ თავისუფალ დროს იშოვიდა თუ არა. შინ დაბრუნდებოდა. მალვით შეიპარებოდა და ფეხაკრეფით ავიდოდა. თავის ოთახში ან სხვენზე: კარს მიხურავდა. კუთხეში მიიყუჟებოდა, ძველ ზანდუკზე ან ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდებოდა გაოგნებული და უსმენდა გაურკვეველ ბუბუნს დაძველებული სახლისას, რომელიც ყოველ ფეხის გადადგმაზე თრთოდა. მისი გულიც ასევე თრთოდა. მოუსვენრად უგდებდა ყურს გარე და შიდა შრიალს. იატაკის ჭრაჭუნს, უმნიშვნელო, საყოველდღეო ხმაურს: იგი ცნობდა ხმებს, გონთ უბნელდებოდა და წარსულის სახეები ეუფლებოდნენ. მხოლოდ წმიდა მარტინის ეკლესიის ზარის ჟღერა აფხიზლებდა, აგონებდა, რომ წასვლის დრო იყო.

ქვედა სართულიდან. ლუიზას მსუბუქი ნაბიჯის ხმა მოისმოდა. ზოგჯერ საათობით ვერ გაიგონებდა მის ხმას. დედა უჩუმრად იყო. კრისტოფი ყურთასმენას დაძაბავდა. ძირს ჩამოვიდოდა ცოტათი შეშფოთებული. შეშფოთება დიდხანს გაჰყვება ხოლმე დიდ მწუხარებაგადატანილებს. კარს შეაღებდა: ლუიზა მისკენ ზურგშექცევით იჯდა კარადის წინ. ერთმანეთში არეული ნაგლეჯების, ძველმანებისა და სხვა ნივთების გროვაში, თითქოს მაინ დალაგება უნდა, მაგრამ ძალ-ღონე ღალატობსო. ყოველი მათგანი რაღაცას აგონებდა. იგი ხელში ატრიალებდა ნივთებს და ფიქრობდა. ნივთიც ხელიდან უვარდებოდა და ხელებჩამოშვებული, საზურგეზე მისვენებული მწუხარებით გაშტერებული იჯდა საათობით.

საბრალო ლუიზა დღის უმეტეს წილს წარსულის მოგონებაში ატარებდა.

წარსულიდან ასულდგმულებდა — სევდიანი, უსიხარულო წარსული. მაგრამ იგი ისე იყო დაჩვეული ტანჯვას, რომ სულ უმცირეს სიკეთესაც მადლიერებით იგონებდა და ეგ შორით გამომკრთალი ციაგი უნათებდა განვლილ ცხოვრებას. რამდენი ტანჯვა მიაყენა მელქიორმა, მაგრამ ლუიზამ ყველაფერი დაივიწყა, ქმრის მხოლოდ სიკეთე ახსოვდა. ქორწინება იყო მისი სიცოცხლის უდიდესი რომანი. მელქიორი წუთიერმა წადილმა აცთუნა და მაშინვე ინანა, ლუიზა კი სულითა და გულით მიენდო მას; ეგონა, ქმარსაც ისე ეუყვარდი, როგორც მე მიყვარდაო და ახლა გულისამაჩუყებელ მადლიერებას გრძნობდა მისდამი. შემდეგ რა დაემართა მელქიორს, ლუიზას არც სურდა გაეგო. მას არ ძალუძდა დაენახა შეულამაზებელი სინამდვილე, ისეთი ქალი გახლდათ. ვისაც ცხოვრების გაგება არ სჭირდება, რომ იცხოვროს და ამიტომ თავმოდრეკილად იტანდა სიმძიმილს. ყველა აუხსნელი საკითხი ღვთისათვის მიენდო. თავისებური ღვთისმოსაობით ღმერთს აკისრებდა პასუხისმგებლობას მელქიორისა და სხვათა უსაშართლობისათვის, ხოლო სიკეთეს კი, რაც მათგან მიეღო, მათვე აწერდა. ამიტომ ღატაკური ცხოვრებისაგან მწარე მოგონებანი არ დარჩენია. მაგრამ სუსტი არსება უქონლობისა და თავაუღებელი შრომისაგან დაქანცულიყო და ახლა, როცა მელქიორი აღარ ჰყავდა, ახლა, როდესაც ორი შვილი კერას მოსცილებოდა, ხოლო მესამეს, როგორც ჩანდა, უმისოდაც შეეძლო იოლად წასულიყო, სავსებით დაეკარგა მხნეობა, დაღლილიყო, მოთენთილიყო, ნებისყოფა მთლად წართმეოდა. ნევრასთენიამ დარია ხელი. ასე ხშირად ემართებათ მძიმე ცხოვრებით დამაშვრალთ, როცა მოულოდნელი უბედურების შემდეგ შრომა და გარჯა ამაოდ ეჩვენებათ. ახლა ლუიზას ძალა არა ყოფნიდა წინდა ბოლომდე მოექსოვა, ანგრეული უჯრა დაელაგებინა, ძალა არ ყოფნიდა წამომდგარიყო და ფანჯარა მიეხურა: იჯდა უაზროდ, ძალმილეული, მხოლოდ მოგონებისათვის ყოფნიდა ძალა. გრძნობდა დაუძლურებას, ერცხვინებოდა და ცდილობდა ვაჟიშვილისაგან დაემალა ეს. საკუთარ მწუხარებაში ეგოისტურად ჩაფლული კრისტოფიც ვერას ამჩნევდა. უეჭველია, ზოგჯერ აბრაზებდა კიდეც დედის ზოზინი და აბრაზებდა მისი ნელი ლაპარაკი და ნელი საქმე, მაგრამ იმაზე აღარ იწუხებდა თავს, დაენახა, რა განსხვავება იყო შარშანდელ გამრჯე ლუიზასა და ამ ხელბუკ ქალს შორის.

პირველად მაშინ შეშფოთდა, როდესაც იატაკზე მიმოფანტულ ძველმანებში ჩამჯდარს შეასწრო. ლუიზას ფერხთით დაეყარა ძველმანები, კალთაც აევსო. კისერი დაგრძელებოდა, თავი წინ გადაეხარა, სახე გაშეშებოდა. კრისტოფის ფეხის ხმა გაიგონა და შეთრთოლდა, შეუწითლდა გაფითრებული ლაწვები, ინსტინქტურად შეინძრა, შეეცადა დაემალა, რაც ხელში ეკავა და შემკრთალი ღიმილით წამოიღლუღლუღა:

— ხედავ. ვალაგებ...

კრისტოფმა მწვავედ იგრძნო წარსულის მოგონებით აღსავსე სულის ტკივილი და თანაგრძნობამ შეიპყრო. მაინც ოდნავ უხეშად და ბუზღუნით მიმართა დედას, რათა გაოგნებიდან გამოეყვანა:

— კარგი, დედა, კარგი. აბა, რად ზიხარ ამ მტკრიან, დახუთულ ოთახში! გავნებს. გაინძერი. მორჩი მაგის დალაგებას.

— ჰო, — თქვა მორჩილად დედამ.

შეეცადა წამომდგარიყო, რათა ისევ ჩაელაგებინა უჯრაში ეს ძველმანი, მაგრამ მაშინვე დაჯდა და უნიათოდ გაუვარდა ხელიდან აღებული ნივთი.

— არ შემიძლია, არა, — ამოიოხრა მან, — ვერასოდეს დავამთავრებ ამას!

კრისტოფს შეეშინდა. დაიხარა და დედას მიეალერსა, ხელი გადაუსვა შუბლზე.

— რა მოგვიდა, დედიკო? — უთხრა მან, — გინდა. მოგეხმარო? ავად ხომ არა ხარ?

დედამ პასუხი არ გასცა, რალაცნაირმა შინაგანმა ქვითინმა შეარყია. კრისტოფმა ხელები დაუჭირა, მუხლი მოიყარა მის წინ, რომ ამ სანახევროდ ბნელ ოთახში უკეთესად დაენახა დედის სახე.

— დედა! — დაუძახა მან შეშფოთებით.

ლუიზამ შუბლი დააყრდნო მხარზე და ღვარად დაედინა ცრემლი.

ჩემო ბიჭიკო, — იმეორებდა ლუიზა და შვილს ეკვროდა, — ჩემო ბიჭიკო! ხომ არ მიმატოვებ? შემომფიცე, რომ არ მიმატოვებ.

კრისტოფს სიბრალულმა დაუკაწრა გული:

— რას ამბობ, დედა! ყოველთვის შენთან ვიქნები. ეს რამ გაფიქრებინა?

— მე ისე უბედური ვარ! ყველამ მიმატოვა, ყველამ... — ქალმა ოთახზე ითუთითა და ძნელი გასაგები იყო რას გულისხმობდა — ამ ძველმანებს, ვაჟიშვილებსა თუ გარდაცვლილებს.

— შენ ჩემთან დარჩები? არ მიმატოვებ?.. რა მომივა, შენც რომ მიმატოვო...

ის ისევ ატირდა, თავი ვერ შეიკავა. კრისტოფმა თავისი ცხვირსახოცით შეუმშრალა თვალები.

— რა მოგდის, დედიკო? რა გტანჯავს?

— არ ვიცი, არა, რა. მემართება.

ქალი შეეცადა დამშვიდებულიყო და გაეღიმა:

— არ ვიცი, სრულიად უმიზეზოდ ტირილი ამიტყდება ხოლმე... აი ახლაც ხედავ... მაპატიე, გამოვსულელდი, დავბერდი, ძალა გამომელია, აღარაფერი მინდა, აღარად ვარგივარ, ნეტავი იმათ გვერდით დამმარხა...

კრისტოფმა ბავშვივით ჩაიკრა მკერდში.

— თავს ნუ იწამებ, მოისვენე, ნულარ იფიქრებ.

ლუიზა ნელ-ნელა დამშვიდდა.

— რა სისულელეა, მრცხვენია... რა მემართება, რა მომდის?

შრომაში დაბერებული ვერ მიმხვდარიყო, რად დაშრეტოდა ასე ერთბაშად ძალა, გულში ერცხვინებოდა თავისი სისუსტე. კრისტოფმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერას ამჩნევდა და შეეცადა გულგრილად ელაპარაკა.

— ცოტათი დაღლილი ხარ, დედიკო, — უთხრა ლუიზას, — ეგ არაფერია, აი, ნახავ...

მაგრამ გულში შეშფოთებული იყო. ბავშვობიდანვე შეაჩვია თვალი გულად, ბედის მორჩილ, სიმძიმილის ჩუმად ამტან დედას. ამ მჭმუნვარებამ შიში მოჰგვარა.

იატაკზე გაბნეული ნივთების ალაგება უშველა დედას. ხანდახან რომელიმე ნივთი ჩააფიქრებდა ლუიზას, მაშინ კრისტოფი ნაზად გამოართმევდა მას. დედა არ ეწინააღმდეგებოდა.

ამ დღიდან კრისტოფი მეტ დროს უთმობდა დედას. სამუშაოს რომ გაათავებდა, წინანდებურად თავის ოთახში აღარ იკეტებოდა, დედასთან მირბოდა. იცოდა — დედასთან არავინ იყო, ქალს მარტოობა სტანჯავდა და ამიტომ მარტო არ დაიტოვებოდა.

საღამოობით მასთან ერთად უჯდა გზისკენ მიქცეულ ღია ფანჯარას, ველ-მინდორს ბინდი ეფინებოდა ნელინელ. ხალხი შინ ბრუნდებოდა. შორს, სახლებში ციცინათელებივით აკიაფდებოდა სინათლე. ეს ათასჯერ ენახათ, მაგრამ მალე ვეღარ იხილავდნენ. თითო-ოროლა სიტყვასღა იტყოდნენ, ერთმანეთს სულ უმციოეს, ნაცნობ, წინასწარ გათვალისწინებულ სურათებს უჩვენებდნენ დაუმცხრალი ინტერესით. ზოგჯერ დიდი ხნით დადუმდებოდნენ. შემდეგ ლუიზა რაიმე ხელშესახები მიზეზის გარეშე მოიგონებდა წარსულის რომელიმე უთავბოლო ამბავს, რაც კი თავში მოუვიდოდა. ახლა, როდესაც გვერდით მოყვარული შვილი ეგულებოდა, ენა გაეხსნა, ცდილობდა ელაპარაკა. უმძიმდა ეს, რადგან შინაურთაგან განაპირებას იყო დაჩვეული. თავის შვილებსა და ქმარს ერთობ ჭკვიანებად თვლიდა და ვერ ბედავდა, მათთან ელაპარაკა ან მათ ბაასში ჩარეულიყო. კრისტოფის მოწიწებული მზრუნველობა ახალი ხილი იყო იმისთვის, უზომოდ ტკბილი, მაგრამ აკრთობდა კიდეც. სიტყვებს ეძებდა, ძლივს ამბობდა სათქმელს. წინადადება ბუნდოვანი, დაუმთავრებელი გამოსდიოდა. ზოგჯერ შერცხვებოდა ნათქვამისა და ვაჟიშვილს გადახედავდა, შუა ლაპარაკში დადუმ-

ღებოდა. მაგრამ კრისტოფი ხელს დაუჭერდა და ლუიზაც დამშვიდდებოდა. ვაჟი სულმარტივი დედის სიყვარულითა და სიბრალულით იყო გამსჭვალული. დედა ბავშვობისას მისი მფარველი იყო და ახლა თავად ელოდა დახმარებას კრისტოფისაგან. სევდანარევ სიამოვნებას აგრძნობინებდა ვაჟს ეს მხოლოდ მისთვის საინტერესო ლაყბობა — ეს უმნიშვნელო მოგონებანი უფერული და უსიხარულო ცხოვრებისა, რომელთაც მხოლოდ ლუიზას ოვალში ჰქონდათ ფასი. ზოგჯერ შეაწყვეტინებდა ხოლმე საუბარს, ეშინოდა — მოგონებებმა არ დაამწუხროსო ისევ და — დაწექიო, სთხოვდა. დედა მის განზრახვას ხვდებოდა, მადლიერი თვალებით შეხედავდა და ეუბნებოდა:

— არა, ღმერთმანი, ასე ჯობს ჩემთვის. ცოტა ხანს დავრჩეთ კიდევ.

ასე ისხდნენ. ვიდრე ღამე არ იძალებდა და უბახს არ ჩაეძინებოდა. მაშინ ღამე ნებისაო, ეტყოდნენ ერთმანეთს: დედა — დარდის გაზიარებით ოდნავ ულსმოფონილი, ვაჟი — ახალი ტვირთით გულდამძიმებული.

ახალ ბინაზე გადასვლის დღე ახლოვდებოდა. წინადღით ჩვეულებრივზე მეტ ხანს ისხდნენ ჩაბნელებულ ოთახში. ხმას არ იღებდნენ. დროდადრო ლუიზა ამოიოხრებდა: „ეჰ, ღმერთო ჩემო!“ კრისტოფი ცდილობდა მისი ყურადღება სხვა სახლში გადასვლის წვრილმანებზე მიექცია. ლუიზამ დაწოლა არ ინდომა. კრისტოფმა ალერსით დაიყოლია. მაგრამ თვითონ დიდხანს არ დაწოლილა, თავის ოთახში სარკმელზე გადამდგარი ცდილობდა დაეძლია სიბნელე. რაცა უკანასკნელად ეხილა მდინარის მოძრავი ჩრდილი. იქვე, სახლთან რომ მიდიოდა. ესმოდა, ქარი როგორ აშრიალებდა უზარმაზარ ხეებს მინას ბაღში. ცა შავი იყო. ქუჩაში არავინ დადიოდა. ცივი წვიმა წამოვიდა. ჭრიალებდა ფლუგერი. მეზობლის სახლში ბალღი ღნაოდა. ღამე მძიმე სევდასავით აწვა დედამიწას. სამრეკლოს საათის მონოტონური, გაბზარული ხმა აღნიშნავდა ყოველ ნახევარსა და მეოთხედ საათს და სევდიან სიჩუმეს ერთვოდა, რასაც კიდევ უფრო საცნაურს ხდიდა სახურავზე წვიმის ‘ბაპუნი.

ბოლოს, როდესაც გადაწყვიტა დაწოლილიყო, ქვედა სართულიდანაც შეამოესმა: ფანჯარა დახურეს. ლოგინში ჩაწოლილი კრისტოფი ფიქრობდა. რა მწარეა ღარიბებისათვის წარსულის სიყვარული. მათ წარსულის უფლება არა აქვთ. მათ არა აქვთ კუთხე, სადაც მოიგონებენ წარსულს. ქარს გაუფანტავს მათი სიხარული და ტანჯვა.

მეორე დღეს კოკისპირული წვიმა მოდიოდა. გადაიტანეს თავიანთი ღარიბული მოწყობილობა ახალ ბინაზე. მოხუცმა მეშპალერე ფიშერმა ათხოვა მათ ცხენი და საზიდარი, თავადაც მოვიდა დასახმარებლად. მაგრამ ყველაფრის გადა-

ტანა შეუძლებელი შეიქნა. ახალი ბინა ძველზე ბევრად უფრო ვიწრო იყო. კრისტოფს დედა შეევედრა, დაეტოვებინათ ძველი და უსარგებლო ნივთები. ძლივსძლივობით დაიყოლია; ყველაფერი ძვირფასი იყო შისთვის — დაკოჭლებული მაგიდაც, გატეხილი სკამიც, არც ერთის დატოვება არ უნდოდა. ფიშერმაც, ლუიზას თვალში რომ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა პაპა ჟან-მიშელთან ძველი მეგობრობის გამო, თავისი ბუზღუნა ხმა შეაწია. კრისტოფს მან ლუიზას აღუთქვა, — კეთილ მოხუცს ესმოდა მისი გულისტკივილი, — ზოგს ამ დამსხვრეულ ნივთთაგან მე შეგინახავ, ვიდრე გადატანას შეიძლებდეო. მაშინღა დაეთანხმა ლუიზა.

ძმებს ადრევე შეატყობინეს — გადავდივართო. ერნსტმა წინა დღით მოირბინა და ხვალ მოსვლას ვერ შევძლებო, თქვა. რუდოლფი ერთი წუთით გამოჩნდა შუადღისას, ნახა, დგამს როგორ ტვირთავდნენ, რამდენიმე რჩევა გაიმეტა და საქმიანი იერით წავიდა.

კორტეჟი ატალახებულ ქუჩებს გაუდგა. კრისტოფს აღვირი ეჭირა, ცხენს ბლანტ ქვაფენილზე ფლოქვი უცურდებოდა. ლუიზა ვაჟს მიჰყვებოდა გვერდით და ცდილობდა წვიმისაგან დაეფარა. ამას მოჰყვა სევდიანი დაბინავება ნესტიან სახლში. სახლი კიდევ უფრო ბნელი ჩანდა ღრუბლიანი დღის მკრთალ სინათლეზე. სულისმხუთველ სასოწარკვეთილებას ვერ გადაიტანდნენ, უურადღებით რომ არ მოქცეოდნენ სახლის მეპატრონენი. ურემი წასულიყო და ავეჯი უწესრიგოდ ეყარა ოთახში. დაბინდდა. კრისტოფი და ლუიზა დაქანცულნი მიყრილიყვნენ: ერთი — სკამზე, მეორე — ბოხჩაზე, როდესაც კიბიდან მშრალი ჩახველება შემოესმათ: კარზე დააკაკუნეს. შემოვიდა მოხუცი ოილერი. მან დიდი თავაზით მოიხადა ბოდიში ძვირფასი მდგმურების შეწუხებისათვის და დასძინა — ვიმედოვნებ, ინებებთ ჩვენთან შინაურულად ვახშმობას ბედნიერი გადმოსვლის აღსანიშნავად. მწუხარებით გათანგულ ლუიზას უარის თქმა უნდოდა. არც კრისტოფს იზიდავდა მაინცდამაინც ეს ოჯახური შეკრებილობა. მაგრამ მოხუცებული ჩააცივდა. კრისტოფმა იფიქრა დედისათვის უკეთესი იქნება. თუ პირველ საღამოს მეზობლებში არ გაატარებსო და თითქმის ძალისძალად ჩაიყვანა დაბლა.

ქვედა სართულში ჩავიდნენ. მთელი ოჯახი შეკრებილი დახვდათ: მოხუცი. მისი ქალიშვილი, სიძე ფოგელი და შვილიშვილები — კრისტოფზე ოდნავ უმცროსი ბიჭი და გოგო. ყველანი ფუსფუსით შემოეხვივნენ გარს. ულოცავდნენ მშვიდობით გადმოსვლას, ეკითხებოდნენ, ხომ არ დაღლილხართო, კმაყოფილნი ხართო თუ არა თქვენი ბინით. იმდენი შეკითხვა დააყარეს ერთბაშად, რომ კრისტოფს თავგზა აებნა. ამასობაში სუფრაც გააწყვეს და მაგიდას მიუსხდნენ. ხმაური მაინც არა წყდებოდა. ამალიამ, ოილერის ქალმა, მაშინვე დაუ-

წყო ლუიზას ადგილობრივი თავისებურებების, უბნის ასავალ-დასავლის და აქაურების ჩვეულებათა და სახლის უპირატესობათა ახსნა: აცნობა, რომელ საათზე მოდიოდა მერძევე, თვითონ როდის დგებოდა, რომელ მედუქნესთან და რა ფასად ყიდულობდა სანოვაგეს. სანამ ყველაფერი არ განუმარტა, არ გაჩერებულა. გაოგნებული ლუიზა თავს ძალას ატანდა, ვითომ ძალიან აინტერესებდა ეს. მაგრამ როგორც კი თითო-ოროლა სიტყვის თქმას გაბედავდა, უმალვე გამოაშკარავდებოდა, რომ ვერაფერი გაეგო. დაუცხრომელი ამალია მცირე აღშფოთების შემდეგ გაორკეცებული ენერგიით განაგრძობდა ახსნას. სასამართლოს მოხუცი მდივანი ოილერი მუსიკალური კარიერის სიძნელის შესახებ ებაასებოდა კრისტოფს. მეორე მხრიდან ამალიას ქალიშვილი როზა უჯდა ყმაწვილს და ვახშმობის დაწყებიდანვე შეუსვენებლივ ლაქლაქებდა, ამოსუნთქვასაც ვერ ასწრებდა. წინადადების შეწყვეტა უხდებოდა სულის მოსათქმელად, მაგრამ მაშინვე არატრატდებოდა ისევ. ფოგელი მოღუშული იყო და საჭმელს წუნობდა. ეს ცხარე კამათს იწვევდა. ამალია, ოილერი, როზა — ყველანი თავს ანებებდნენ საუბარს და კამათში ერეოდნენ; ღრმააზროვანი, გაუთავებელი ბჭობა იყო იმის თაობაზე — აკლდა თუ მეტი ჰქონდა მარილი რაგუს: ერთიმეორეს იმოწმებდნენ. არც ერთის აზრი არ ემთხვეოდა მეორისას; არად აგდებდნენ თანამეინახეთა გემოვნებას, თავისი აზრი ეგონათ მხოლოდ უცილობელი. ასე განკითხვის დღემდე შეიძლებოდა ეკამათნათ.

მაგრამ ბოლოს ყველანი ჟამთა სიავის გამო აწუწუნდნენ. ლუიზასა და კრისტოფის ვარამმა გული აუჩუყათ, ხოლო ყმაწვილის ვაჟკაცური ქცევა ისეთი სიტყვებით შეაქეს, რომ კრისტოფი აღელდა, გული მოიოხეს იმით, რომ მოიგონეს არა მარტო ახალი უბედურება, არამედ ისიც, რაც თვითონ მათ, მათ მეგობრებსა და ნაცნობებს დამართოდათ. და ბოლოს შეთანხმდნენ — კეთილნი ყოველთვის უბედურნი არიან და მხოლოდ ეგოისტები და უსინდისო ადამიანები იხვეჭენო ბედნიერებას: დაასკვნეს—ცხოვრება ტანჯვაა, ჩალის ფასი ადევს, სიკვდილი ბევრად აჯობებდა, მაგრამ ადამიანებს ღმერთმა გადაგვიწყვიტა ტანჯვით ცხოვრებაო. რადგანაც ეს აზრები კრისტოფის მწუხარებას ეთანხმებოდა, მან მეტი პატივისცემა იგრძნო სახლის პატრონებისადმი და მათ წვრილმან ნაკლს აარიდა თვალი.

როდესაც დაულაგებელ ოთახში დაბრუნდნენ, ისევ მწუხარენი და დაღლილნი იყვნენ, მაგრამ ნაკლებ ობლად იგრძნეს თავი. ღამით კრისტოფი თვალებდაჭყეტილი იწვა ლოგინში. დაღლილობისა და ქუჩის ხმაურის გამო ვერ დაიძინა. უსმენდა მძიმე ფორნების რახრახს, კედლებს რომ აზანზარებდა, ქვედა სართულზე მძინარე ოჯახის ხვრინვას, და ცდილობდა თავი დაერწმუნებინა: ბედნიერი თუ არა, ნაკლებ უბედური მაინც ვარო აქ, ამ კეთილ ადამიანთა შო-

რის, რომელნიც, კაცმა რომ თქვას, ცოტათი მოსაწყენნი არიან, მაგრამ იგივე სატანჯველი აწუხებთ, რაც მე. თითქოს გამიგეს კიდეც და ვგონებ, მეც გაეუგეო.

ბოლოს ჩაეძინა. გარიჟრაჟზე მეზობლების პაექრობის ხმამ და წყალსაქაჩის ჭრიალმა გამოაღვიძა; ვიღაცა გაშმაგებით ქაჩავდა წყალს, რათა შემდეგ ეზო და კიბე მოერეცხა.

იუსტუს ოილერი პატარა, მოკუნტული მოხუცი იყო; მას ჰქონდა მოძრავი და მკაცრი თვალები, წითური, დანაოჭებული, ხორკლიანი სახე, უკბილო პირი და მოუვლელი წვერი, განუწყვეტლივ რომ აწვალებდა ხელით. ძალზე პატიოსანი. ოდნავ თავის თავითაც აღტაცებული, კეთილი კაცი კარგად ეგუებოდა პაპა ჟან-მიშელს. ამტკიცებდნენ, ერთმანეთს ჰგვანანო. მართლაც, ოილერი იმავე თაობას ეკუთვნოდა და იმავე პრინციპებზე იყო აღზრდილი, მაგრამ მას ჟან-მიშელის ფიზიკური სიძლიერე აკლდა. ბევრ რამეზე ჟან-მიშელის აზრებს იზიარებდა, არსებითად კი სულიად არ ჰგაედა მას, რადგან ტემპერამენტი ქმნის პიროვნებას და არა იდეები; და როგორადაც უნდა ჰყოფდეს გონება, ჭეშმარიტად თუ ხელოვნურად, კაცობრიობას, იგი მაინც ორ ნაწილად განიყოფება: ერთს ჯანსაღნი შეადგენდნენ, მეორეს—სნეულნი. მოხუცი ოილერი პირველ ნაწილს არ ეკუთვნოდა. ზნეობის შესახებ ჟან-მიშელივით მსჯელობდა, მაგრამ მისი ზნეობა განსხვავებული იყო. მას არ გააჩნდა ჟან-მიშელის სტომაქი, მისი ფილტვები, მისი მხიარული სახე. მას და მისიანებს ყველაფერი უფრო ძუნწად. შეკვეცილად ჰქონდათ მიმადლებული. ორმოცი წლის ნამსახურ, ამქამად გადამდგარ ოილერს ტანჯავდა უსაქმურობის სევდა, ეგზომ სამძიმო იმ მოხუცთათვის, ვისაც უკანასკნელი წლებისათვის შინაგანი ცხოვრების სახსარი არ მოუმარაგებია. თანდაყოლილმა თუ შეძენილმა ჩვეულებამ, თუ პროფესიონალურმა ჩვევამ წერილმანობის იერი დაადო მის ხასიათს. ეს თვისება მის შინაურებსაც გადაედოთ.

მოხუცის სიძე ფოგელი, რომელიც სასახლის კანცელარიაში მსახურობდა, ორმოცდაათი წლისა იყო. მაღალი, ძლიერი, სავსებით გამელოტებული, საფეთქლებზე ოქროს სათვალემიკრული. საკმაოდ ლაზათიანი ფოგელი სნეულად თვლიდა თავს და უეჭველად იყო კიდეც, თუმცა, ცხადია, ყველა ის სენი როდი სჭირდა, რასაც თავს აწერდა. სულელურ სამუშაოს გაებორკოტებინა მისი სული და ჯდომელა ცხოვრებას დაეზიანებია სხეული. ძალზე შრომისმოყვარე, ღირსეული, ოდნავ კულტურულიც კი უაზრო ცხოვრების მსხვერპლი გამხდარიყო და მრავალი, თავის ბიუროზე მიჯაჭვული მოხელის მსგავსად ჰიპოქონდ-

რიის დემონს დანებებოდა. იგი იყო ერთი იმ უბედურთაგანი, ვისაც გოეთე უწოდებდა—„ein trauriger ungriechischer Hypochondrist" — „დაღვრემილ, მაგრამ არა ანტიკურ ჰიპოქონდრიკს". ასეთები ებრალებოდა, მაგრამ სათოფეზე არ ეკარებოდა.

ამალია კი არც იბრალებდა და არც გაურბოდა. ღონიერ, მოყაყანე და გამრჯე ქალს გულს არ უჩუყებდა ქმრის წუწუნი. უხეშად შეაწყვეტინებდა ლაპარაკს. მაგრამ კარგა ხანი ერთად ეცხოვრათ, და რა ექნა, როცა ოჯახში ორთაგან ერთი ნევრასთენიითაა შეპყრობილი, ადვილი შესაძლებელია. რამდენიმე წლის შემდეგ ეს სენი მეორესაც გადაედოს. რამდენიც უნდა ელანძღა ფოგელი ამალიას, წუთის შემდეგ თვითონვე მასზე უარესად აწუწუნდებოდა: უკმეხი ყვირილიდან მოთქმაზე გადადიოდა პირდაპირ და ვერას შველოდა ფოგელს, პირიქით, ყოველ წვრილმანზე საშინელი აურზაურის ატეხვით აათკეცებდა მის სნეულებას. საქმე იმით მთავრდებოდა, რომ არათუ მხოლოდ საკუთარი წუწუნის ამ ვეება, თავზარდამცემი ექოთი შეშინებულ საბრალო ფოგელს უწყალობდა გულს. არამედ თვითონაც სევდით აიტსებოდა. ქალიც მიიჩვია უმიზეზო წუწუნს თავისი. მამის, ქალიშვილის, ვაჟიშვილის და სხვათა ჯანმრთელობის გამო. ეკვიატა წუწუნი. ათასგზის ნათქვამი ბოლოს სარწმუნოდ ეჩვენებოდა. მცირე სურდოც კი ტრაგედია იყო მისთვის. ყველაფრის გამო შფოთავდა. თუ ყველა კარგად იყო, მოსალოდნელ ავადმყოფობაზე ფიქრით იწამებდა თავს. მთელი სიცოცხლე ასე ძრწოდა. თუმცა ამის გამო არავის ჯანმრთელობა არ გაუარესებულა. თითქოს ეს გამუდმებული წუწუნი უწყობდა ხელს საყოველთაო ჯანმრთელობას. ყველა ჩვეულებრივ ჭამდა, მუშაობდა, ეძინა. ოჯახის ცხოვრება რიგზე მიდიოდა. გამრჯე ამალია არ კმაყოფილდებოდა იმით, რომ დილიდან საღამომდი დასტრიალებდა თავს მთელ სახლს: ყველა უნდა ჩაბმულიყო გარჯის ფერხულში. და იყო ავეჯის დალაგება, ფილაქნის რეცხვა, პარკეტის ხეხვა, ყაყანი. სიარული და მოძრაობა განუწყვეტელი.

ამ საყოველთაო ხმაურითა და მოძრაობით შეწუხებული ორი ბავშვი, როგორც ჩანდა, ბუნებრივად თვლიდა დამორჩილებოდა ბედს. ´ ყმაწვილ ლეონჰარდს ლამაზი, არაფრის გამომხატველი სახე ჰქონდა, გამოზომილი მოძრაობანი. ქერათმიანი როზა, საკმაოდ მშვენიერი, ცისფერი და კეთილი ნაზი თვალების პატრონი. მომხიბლავი იქნებოდა თავისი სათუთი კანის სიქორფითა და გულითადი გამომეტყველებით, მოდიდო და უშნოდ მიდგმული ცხვირი რომ არა, რომელიც სახეს უმძიმებდა, და ბრიყვულ იერს აძლევდა. როზა მოგაგონებდათ ბაზელის მუზეუმში გამოფენილ ჰოლბაინის სურათზე გამოხატულ ბურგომისტრ მაიერის ქალიშვილს, — თვალებდახრილი, მუხლებზე ხელებდაწყობილი რომ ზის მხრებზე ქერა თმაგადაყრილი და თავისი ცხვირის სიტლანქის გამო

შემკრთალი. მაგრამ როზას ცხვირი არ ადარდებდა, არ უშლიდა დაუღალავად ეკაკანა. განუწყვეტლივ ისმოდა მისი ხმა, მუდამ რაღაცას ყვებოდა ქოშინით, თითქოს ყველაფრის თქმას ვერ ასწრებსო მარად აღგზნებული და აღფრთოვანებული. მამა, დედა და პაპა სულ ტუქსავდნენ, ამათ იმდენად მისი განუწყვეტელი ტიკტიკი არ არისხებდათ, რამდენადაც ის, რომ როზა ლაპარაკს უშლიდა. ამ გულკეთილ, წრფელ, თავდადებულ, პატიოსან ხალხს ჰქონდა ყველა სიკეთე, გარდა ერთისა, რაიც ცხოვრებას სილამაზეს ანიჭებს: მათ დუმილის სიკეთე აკლდათ.

კრისტოფი მოთმინებით აღიჭურვა. მწუხარებამ დაადინჯა, შეურბილა შეუწყნარებელი და ფიცხი ხასიათი. ნატიფ სულთა ულმობელი გულგრილობის გამოცდილებამ ასწავლა დაფასება უგერგილო და საშინლად მოსაწყენი, მაგრამ კეთილი და ცხოვრების თაობაზე მკაცრი შეხედულებების მქონე ადამიანებისა. ამათი ცხოვრება უსიხარულო იყო და ამიტომ კრისტოფს უნაკლო ეგონა. რაკი გადაწყვიტა, ესენი ჩინებული ადამიანები არიან და უნდა მომწონდნენო, გერმანული დაჟინებით ირწმუნებდა თავს — მართლაც მომწონსო, მაგრამ არა გამოსდიოდა რა: მას აკლდა თავაზიანი გერმანული იდეალიზმი, რომელიც უსიამო სანახაობას შეხედვის ღირსად არ ცნობს და ვერც ხედავს იმის შიშით, ვაითუ გონის სიმშვიდე და წყნარი ცხოვრება ამემღვრესო. პირიქით, საყვარელი ადამიანების ნაკლს უფრო არაფრად გრძნობდა კრისტოფი, რადგან უნდოდა ბოლომდე ჰყვარებოდნენ ისინი, ყოველგვარი დათმობის გარეშე. ეს იყო რაღაც შეუგნებელი სიწრფელე გულისა, ჭეშმარიტების უძლეველი მოთხოვნილება. რაც უფრო უყვარდა ადამიანი, მით უფრო დაკვირვებული და მომთხოვნი ხდებოდა ამ ადამიანის მიმართ. ამიტომ იყო, რომ მალე ყრუ მძვინვარებით აღივსო სახლის პატრონის მანკიერების გამო. ისინი სრულიადაც არ ფარავდნენ თავიანთ ნაკლს, საჯაროდ ააშკარავებდნენ აუტანელ თვისებებს, ხოლო მათი არსების საუკეთესო ნაწილი დაფარული რჩებოდა. ამას მუდამ ეუბნებოდა თავის თავს კრისტოფი, უსამართლობას იბრალებდა, ცდილობდა დაევიწყა პირველი შთაბეჭდილება და აღმოეჩინა კარგი თვისებები, რასაც ეგზომი გულმოდგინებით მალავდნენ სახლის პატრონები.

კრისტოფი შეეცადა მოხუც იუსტუს ოილერს დაახლოებოდა; ბერიკაცსაც შორს არ დაუკერია თავი. იდუმალ სიმპათიას გრძნობდა მოხუცისადმი ყმაწვილი, ახსოვდა, რომ პაპას უყვარდა და აქებდა. მაგრამ კეთილ ჟან-მიშელს კრისტოფზე მეტი ჰქონდა საბედნიეროდ ნიჭი ძეგობართა ღირსებების გაზვიადებულად წარმოდგენისა. კრისტოფმა შეამჩნია ეს. ამაოდ ცდილობდა ჩას-

ეცოდმოდა ოილერის მოგონებებს პაპამისის შესახებ. ჟან-მიშელის უფერული, თითქმის კარიკატურული სახელა დახსომებოდა მას და სრულებით უინტერესო ნაკუწები საუბრებისა. ოილერი ყოველთვის ამ სიტყვებით იწყებდა მოყოლას:

— როგორც შენი საწყალი პაპისთვის მითქვამს...

მხოლოდ ის ახსოვდა, რაც თვითონ უთხრა პაპას, მეტი არაფერი...

იქნებ ჟან-მიშელიც ასევე უსმენდა. მეტწილად მეგობრობა სწორედ ამ საფუძველს ეყრდნობა. მეგობარი ისაა, ვინც შენს თავზე ლაპარაკის საშუალებას მოგცემს. მართალია, ჟან-მიშელი საოცარი მოყვარული იყო გრძელ-გრძელი ლაპარაკისა, ისიცაა, რომ სიყვარულის დაუშრეტელი მარაგი ებადა და აქეთ-იქით აფრქვევდა უხვად. ყველაფერი აინტერესებდა, წუხდა, რომ თხუთმეტი წლისა არ იყო და მომავალ თაობათა საკვირველ გამოგონებებს ვერ იხილავდა, მათ იდეებს ვერ გაიზიარებდა. ჰქონდა უძვირფასესი თვისება — უძღები ცნობისმოყვარეობა. თვალხმიერი შესცქერდა ცხოვრებას. დრომ ვერ გაუქარწყლა ეს ინტერესი. პირიქით, გაუცხოველა. მას საკმაო ნიჭი არ ჰქონდა, რომ ამ მადლით ესარგებლა; მაგრამ რამდენ ნიჭიერ კაცს უნდა შეშურებოდა ჟან-მიშელისა! კაცობრიობის მეტი წილი ოცი-ოცდაათი წლისა კვდება. ამ ზღვარს იქით აჩრდილნიღა არიან საკუთარი თავისა. დანარჩენი დრო საკუთარ თავს ჰბაძავენ ადამიანები ერთფეროვნად, დღითი დღე უფრო უაზროდ და პრანჭვა-გრეხით იმეორებენ იმას, რაც უთქვამთ, გაუკეთებიათ, უფიქრიათ, რაც ჰყვარებიათ მაშინ. რ ო დ ე ს ა ც ა რ ს ე ბ ო ბ დ ნ ე ნ.

დიდი ხანი გასულიყო მოხუცი ოილერის ა რ ს ე ბ ო ბ ი ს დროიდან, თან მაშინაც ისე კნინი ყოფილიყო მისი არსებობა, რომ საცოდაობაღა დარჩენილიყო ახლა. ძველი სამსახურისა და ოჯახური ფუსფუსის გარდა არაფერი იცოდა და არც სურდა სცოდნოდა. ყველაფერზე ჰქონდა მზამზარეული აზრი, სიყრმიდან გამოყოლილი. ხელოვნებათა მცოდნედ მიაჩნდა თავი, მაგრამ მხოლოდ ზოგი, საყოველთაოდ ცნობილი სახელი იცოდა და - მათ შესახებ მაღალფარდოვანი ლაპარაკი უყვარდა. დანარჩენი არარაობა იყო და არ არსებობდა მისთვის. როცა თანამედროვე ხელოვანთა შესახებ ელაპარაკებოდნენ. ყურს არ უგდებდა და სხვა რამეზე გაბამდა საუბარს. მუსიკით გატაცებულად თელიდა თავს და კრისტოფს სთხოვდა — დაუკარიო. კრისტოფი ერთი-ორჯერ წამოეგო ანკესზე. მაგრამ როგორც კი დაიწყო დაკვრა, მოხუცმა ხმამაღალი ბაასი გააბა თავის ქალიშვილთან. თითქოს მუსიკა ყველაფრის ინტერესს უნერგავდა. გარდა თვითონ მუსიკისა.. გაშმაგებული კრისტოფი შუა გზაზე წყვეტდა დაკვრას, ამას ვერავინ ამჩნევდა. მხოლოდ სამი თუ ოთხი ძველი ნაწარმოები იყო (ზოგი მართლა კარგი იყო, ზოგიც ძალზე ცუდი), რასაც ჩუმად უსმენდნენ და სრული

მოწონებით ხვდებოდნენ. მოხუცს პირველსავე ნოტებზე აღტაცება დაეუფლებოდა, თვალთ ცრემლი მოადგებოდა — უფრო წარსული სიამოვნებისაგან, ვიდრე ამჟამინდელი გრძნობისგან. კრისტოფს ბოლოს და ბოლოს შეეზიზღა ეს თხზულებანი, თუმცა ზოგი მათგანი, მაგალითად ბეთჰოვენის „ადელაიდა“ მანამდე ძალზე უყვარდა. მოხუცი დაიღიღინებდა პირველ ტაქტებს და განაცხადებდა: „აი ეს მუსიკაა“ და ზიზღით შეადარებდა საძაგელ, მელოდიურობას მოკლებულ თანადროულ მუსიკას, — თუმცა ამ მუსიკას, მართალი რომ ითქვას, სრულებით არ იცნობდა.

მისი სიძე უფრო განსწავლული კაცი იყო და თანადროულ ხელოვნებისა გაეგებოდა. მაგრამ ეს კიდევ უფრო უარესი იყო, რადგანაც მუდამ ლანძღავდა მას. არც გემოვნება და არც ჭკუა არ აკლდა ფოგელს, მაგრამ არ შეეძლო სიახლით აღტაცებულიყო. ბოცარტსა და ბეთჰოვენსაც ასევე გაჰკილავდა, მისი თანამედროვენი რომ ყოფილიყვნენ და ვაგნერისა თუ რიხარდ შტრაუსის ღირსებას დაინახავდა, ერთი საუკუნის წინათ რომ გარდაცვლილიყვნენ. მის სევდიან სულს არ შეეძლო ეფიქრა, ამჟამადაც. ჩემს სიცოცხლეშიაც შეიძლება არსებობდნენ დიდი ადამიანებიო. ეს აზრი უსიამო იყო მისთვის. ისე გაებოროტებინა ფუჭად გატარებულ ცხოვრებას, ცდილობდა თავი დაეჯერებინა, — ცხოვრება არვის გამოსვლია, სხვანაირად არ შეიძლება და ვინც საწინააღმდეგოს ფიქრობს და ამტკიცებს, ან ყეყეჩია, ან ლაზღანდარაო.

ახალი დროის სახელგანთქმულ ადამიანთა შესახებ მხოლოდ მწარე ირონიით ლაპარაკობდა. რადგანაც უჭკუო სრულებითაც არ იყო, ერთი შეხედვით შეამჩნევდა ხოლმე მათ სუსტსა და სასაცილო მხარეებს. ყოველი ახალი სახელი უნდობლობას აღუძრავდა, სრულებითაც რომ არა სცოდნოდა რა იმისა, მზად იყო გაეკრიტიკებინა, თუნდაც იმიტომ, რომ არ იცნობდა. თუ სიმპათიასა გრძნობდა კრისტოფის მიმართ, მხოლოდ იმიტომ, რომ სჯეროდა—ეს კაცთმოძულე ბავშვი ცხოვრებას ჩემსავით უყურებს და არც დიდი ნიჭი აქვსო მიმადლებული. პატარა, სნეულ და ცხოვრების უკმაყოფილო სულთ არაფერი აახლოვებს ისე, როგორც საერთო უბედურების შეგნება. და არაფერი ისე არ უწყობს ხელს სიჯანსაღის წადილის აღორძინებას საღ სულში, როგორც შეჯახება იმ საშუალო და დაავადებულ ადამიანთა სულელურ პესიმიზმთან, რომლებიც, რაკი თავად უბედურნი არიან, სხვათა ბედნიერებასაც უარყოფენ. კრისტოფმა გამოსცადა ეს. ნაღვლიან ფიქრებს თავადაც იყო ჩვეული. მაგრამ ყოველისა უკვირდა, მისი გოდება ეუცხოვებოდა და შეურაცხყოფდა.

ამალიას საქციელი კიდევ უფრო მეტად აღშფოთებდა, თუმცა ეს ქალი პრაქტიკულად ახორციელებდა კრისტოფისეულ თეორიას მოვალეობის თაობა-

ზე. მუდამ „მოვალეობა“ ეკერა პირზე. შეუსვენებლივ შრომობდა და უნდოდა ყველა მასავით მოქცეულიყო. სხვათა ან თავისი ბედნიერებისათვის როდი იღვწოდა. პირიქით! თითქმის იმის თქმაც კი შეიძლებოდა, რომ ქალის მიზანი იყო ყველა შეეწუხებინა, ცხოვრება, რაც შეიძლება, გაემწარებინა და მერე დასჯერებოდა მას. არაფერს შეეძლო თუნდ ერთი წუთითაც, შეეწყვეტინებინა წმინდა სამსახური ოჯახისა, მრავალი სხვა ქალის მსგავსად. ამ „უუწმიდესმა“ საგანმა ამალიას ცხოვრებაშიც მორალურ, და სოციალური მოვალეობათა ადგილი დაიჭირა. იგი უზნეო ქალად ჩათვლიდა თავს, რომ განსაზღვრულ საათებში არ გაეხეხა პარკეტი, არ მოერეცხა ფილაქანი, არ გაეპრიალებინა კარის სახელურები, არ დაებერტყა ნოხები, არ გადაედგა სკამები, მაგიდები და კარადები. ამას დიდი მონდომებით აკეთებდა. შეიძლებოდა კაცს ეთქვა— ეს ამალიასათვის ღირსების საქმეაო. და განა ასე არ ესმის თავისი ღირსება მრავალ ქალს? მათთვის იგი თითქოს არის მუდამ გაკრიალებული ავეჯი, კარგად გაცვილული, ცივი და პრიალა პარკეტი.

თავის მოვალეობათა აღსრულება თავაზიანობას არ ჰმატებდა ქალბატონ ფოგელს. ეს ღვთის მიერ დაკისრებულ ტვირთად მიაჩნდა. მას სძულდა ქალები, რომელნიც მასავით არ იქცეოდნენ, ისვენებდნენ, შრომასთან ერთად სიცოცხლითაც ტკბებოდნენ. თავის ოთახშიც არ ასვენებდა ლუიზას, თუკი საბრალო ჩამოჯდებოდა და ოცნებას მისცემდა თავს. ლუიზა ოხრავდა, მაგრამ დარცხვენილი ღიმილით ემორჩილებოდა. საბედნიეროდ კრისტოფმა არ იცოდა ეს, ამალია მის წასვლას უცდიდა, შემდეგღა შეუვარდებოდა ხოლმე ლუიზას; ამიტომ აქამდე პირისპირ არ შეჯახებოდა; კრისტოფი ვერ მოუთმენდა. პირისპირ შეყრისას ქალისადმი იდუმალ მტრობასა გრძნობდა. ისიც ვერ ეპატიებია, რომ ყველაზე მეტად ხმაურობდა, ფართიფურთობდა და გულს უწვრილებდა. ჩაიკეტებოდა თავის პატარა, დაბალჭერიან ოთახში, ეზოს რომ გადაჰყურებდა და ჰაერის ნაკლებობის მიუხედავად ფანჯარას მჭიდროდ მოიხურავდა, რათა სახლში ამტყდარი ალიაქოთის ხმა არ გაეგონა, მაგრამ ამაოდ. უნებლიეთ დაძაბულად უგდებდა ყურს ქვედა სართულიდან ამომავალ ხმაურს და როცა წუთიერი მყუდროების შემდეგ ისევ გაისმებოდა საზარელი, გაუჩუმარი ხმა, სიშმაგე იპყრობდა ყმაწვილს, აყვირდებოდა, ფეხებს აბრახუნებდა, კედლების მიღმა მყოფ ამალიას ლანძღავდა. საზოგადო ჩოჩქოლში ამას ვერც კი ამჩნევდნენ, ეგონათ — თხზავსო. კრისტოფი ეშმაკის კერძად სახავდა ამალიას. პატივისცემა დაკარგა მისი, აღარ აფასებდა უწინდებურად. ამ წუთებში კრისტოფს ეგონა, რომ უნამუსო, მაგრამ წყნარი ქალი სჯობდა პატიოსანსა და ყოველგვარი სათნოებით შემკულ, მაგრამ ალიაქოთის მოყვარულ დედაკაცს.

ხმაურის სიძულვილმა ლეონჰარდთან დააახლოვა. საყოველთაო ჩოჩქოლში მხოლოდ ეს ყმაწვილი იყო მუდამ მშვიდი და არასოდეს ხმას არ აუმაღლებდა. თავაზიანად და თავდაჭერილად ლაპარაკობდა, სიტყვებს არჩევდა, არა ჩქარობდა. ბობოქარ ამალიას მოთმინება არ ყოფნიდა ბოლომდე მოსასმენად; ყველას აღშფოთებასა გვრიდა მისი ზოზინი. ეს სრულიადაც არ აღელვებდა ბიჭს. ვერაფერი უმღვრევდა სიმშვიდესა და მოკრძალებულ თავაზიანობას. კრისტოფმა შეიტყო, რომ ლეონჰარდს საეკლესიო კარიერა აერჩია. ამან კიდევ უფრო დააინტერესა.

ამ დროს კრისტოფის დამოკიდებულება რელიგიისადმი ფრიად უცნაური იყო: თვითონაც არაფერი გაეგებოდა ამისა. არასოდეს დრო არ ჰქონდა სერიოზულად ჩაფიქრებოდა ამ საკითხს. აკლდა განსწავლა და ყოველდღიურ ვარამსაც ისე შთაენთქა, რომ საშუალება არა ჰქონდა ანალიზისა და საკუთარ აზრთა დალაგებისა. ენებიანი ბუნება ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადაისროდა ხოლმე — ხან ძალზე მორწმუნე იყო, ხანაც რწმენის უარმყოფელი. იმაზე არ წუხდა, როგორ შეეთანხმებინა ეს განწყობილებანი. როდესაც ბედნიერი იყო — ღმერთზე არა ფიქრობდა, თუმცა სწამდა. ხოლო როდესაც უბედურება დაატყდებოდა, აგონდებოდა ღმერთი, მაგრამ არა სწამდა. შეუძლებლად მიაჩნდა ღმერთს მოეთმინა წამება და უსამართლობა. ამ საფიქრალით თავს მაინცდამაინც არ იწუხებდა. გულის სიღრმეში საკმარისი რწმენა ჰქონდა და ბევრს აღარ ფიქრობდა ღმერთზე. ის ღვთის წილი იყო და მისი რწმენაც არ სჭირდებოდა მხოლოდ უძლურთ, მხოლოდ სისხლნაკლულთ ესაჭიროებათ რწმენა! ისინი ღვთისკენ ისწრაფიან. როგორც მცენარეები მზისკენ. წყალწაღებული ხავსს ეკიდება. მაგრამ ვისაც სულში აქვს მზე და სიცოცხლე, რაღა აქვს საძებარი?

კრისტოფს რომ მარტო ეცხოვრა, შესაძლოა არც ჩაფიქრებოდა ამ საკითხებს. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვალეობანი აიძულებდნენ ჩაკვირებოდა ამ ბალღურ და ამაო პრობლემებს. რაკი მათ ესოდენ დიდი ადგილი უჭირავთ ამქვეყნად, ყოველ ნაბიჯზე გვხვდებიან და გადაწყვეტას მოითხოვენ. ვითომც საღ, უხვ და ძალითა და სიყვარულით აღსავსე სულს სხვა ათასი, უფრო საშური საქმე არ გააჩნდეს, ვიდრე იმის ჩხრეკა, არსებობს თუ არა ღმერთი!.. თანაც მარტო ღვთის რწმენა როდი მოგვეთხოვება! უნდა ვიწამოთ სწორედ ეს. ამ მოცულობის, გარეგნობის, ფერისა და რასის ღვთაება! ასეთ ღმერთს ვერც წარმოიდგენდა კრისტოფი. ქრისტეზე თითქმის არც ფიქრობდა. განა არ უყვარდა. უყვარდა, თუკი გაახსენდებოდა, მაგრამ იშვიათად თუ მოაგონდებოდა. ზოგჯერ თავს უსაყვედურებდა ამას, წუხდა, არ ესმოდა — უფრო მეტად რად არ აინტერესებდა ქრისტე. რიტუალს ასრულებდა. ყველა მისი

ნათესავი ლოცულობდა. პაპა ბიბლიას კითხულობდა, თვითონ კრისტოფიც დადიოდა წირვაზე, კიდეც მონაწილეობდა მღვდელთმსახურებაში — ორღანოზე უკრავდა. კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. მაგრამ ეკლესიიდან გამოსვლისას გაუჭირდებოდა ეთქვა, რაზე ფიქრობდა წირვის დროს. საღვთო წიგნების კითხვას შეუდგა, რათა თავის აზრებში გარკვეულიყო და ამან გაართო, სიამოვნებაც კი აგრძნობინა, მაგრამ ისინი კარგ და საინტერესო წიგნებად ჩათვალა და იმათგან ვერ განასხვავა, რომლებიც არსებითად არ განსხვავდებიან იმ წიგნებისაგან, რომელთა საღვთო წიგნებად მიჩნევა არავის მოუვა აზრად. მართალი რომ ითქვას — იესოს სიყვარული იგრძნო, მაგრამ, უფრო მეტად ბეთჰოვენი უყვარდა. წმიდა ფლორიანეს ეკლესიის ორღანოს როცა უკრავდა კვირაობით, უფრო დაკვრას ადევნებდა გულისყურს, ვიდრე წირვას; და უფრო მორწმუნედ იმ დღეს გრძნობდა თავს, როდესაც ბახს ასრულებდნენ, ვიდრე მაშინ, როცა მენდელსონი იყო პროგრამაში. ღვთისმსახურების ზოგიერთი წესი აღტაცებასა ჰგვრიდა, მაგრამ ღმერთი უყვარდა მაშინ თუ მხოლოდ მუსიკა? — როგორც ერთმა როყიო მღვდელმა ჰკითხა ხუმრობით, ისე რომ ეჭვადაც არ მოსვლია, თუ რა ძრწოლას მოჰგვრიდა ყმაწვილს მისი მოსწრებული სიტყვა. სხვა ყურადღებას არ მიაქცევდა და კვლავინდებურად განაგრძობდა ცხოვრებას (რამდენი კაცი ცხოვრობს არხეინად და არ იცნობს თავის აზრებს), მაგრამ კრისტოფს სიწრფელის გარდუვალი წყურვილი კლავდა და ყველაფერში სინდისიერებას შთააგონებდა. რაკი დაეჭვდა, გონებიდან ვეღარ მოიშორა ეს კითხვა. ეგონა, ორპირი ვარო, მწამსო თუ არ მწამსო?.. მას არ გააჩნდა არც შინაგანი და არც გარეგანი საშუალებანი (ცოდნა და მოცალეობა), რომ ეს საკითხი გადაეჭრა სხვების დაუხმარებლად. მაგრამ გადაჭრით კი უეჭველად უნდა გადაეჭრა. თუ არადა, მაშინ ის გულგრილი ყოფილა ან ფარისეველი. ორივე უცხო იყო მისთვის — გულგრილობაც და ფარისევლობაც.

შეეცადა გარშემო მყოფთათვის მიემართა. ყველას დარწმუნებულის იერი ჰქონდა. კრისტოფს უნდოდა შეეტყო, რას ეყრდნობოდა მათი რწმენა ამაოდ, ვერას გახდა. თითქმის ყოველთვის არაზუსტ პასუხს აძლევდნენ. გვერდს უვლიდნენ მთავარს. ერთნი ამპარტავნებას სწამებდნენ და ეუბნებოდნენ, ამ საკითხზე არ მსჯელობდნენ, საუკეთესო, ჭკვიან ადამიანებს განუსჯელად სწამდათ და მათ უნდა მიბაძოო. ზოგი ბრაზობდა, თითქოს კრისტოფმა ამ კითხვის დასმით შეურაცხყოფა მიაყენაო. შესაძლოა, სწორედ მათ აკლდათ რწმენის სიმტკიცე. სხვანი მხრებს იჩეჩდნენ და ღიმილით ამბობდნენ: „რწმენა ვის რას უშავებს...“ მათი ღიმილი კი ამცნობდა კრისტოფს: „და ეგზომ ხელსაყრელია“. ასეთები სულითა და გულით სძაგდა.

შეეცადა მღვდლისათვის მიემართა. სრული მარცხი განიცადა. მღვდელმა სერიოზულად არც კი მოუსმინა. თითქოს თავაზიანად მოეპყრო. მაგრამ უმალვე აგრძნობინა ყმაწვილს, ჩვენს შორის ნამდვილი თანასწორობა შეუძლებელიაო. მღვდელი უცილობლად მაღლა დგას კრისტოფზე, ამიტომ საუბარი ისე წარიმართება, როგორც მას ნებავს, ხოლო განსაზღვრული ფარგლების გადალახვა კრისტოფს უტაქტობად ჩაეთვლება. ეს იყო ამაო, სავსებით უწყინარი სიტყვების თამაში.

მაშინ კრისტოფი შეტევაზე გადავიდა და პირდაპირ დაუსვა რამდენიძე არასასურველი შეკითხვა. ღირსმა მამამ მფარველური ღიმილით და რამდენიმე ლათინური ციტატით მოიშორა თავიდან და დამოძღვრა: ილოცე, ილოცე, რათა ღმერთმა სული გაგინათლოსო. კრისტოფი ისევ წამოვიდა. რომ შეურაცხყოფილად და დამცირებულად გრძნობდა თავს. არავითარ შემთხვევაში, არაფრისათვის არ მიმართავდა ისევ მღვდელს. იგი თანახმა იყო, ამ ადამიანებს ეკუა და სამღვდელო წოდება უპირატესობას ანიჭებს ჩემთან შედარებითო. მაგრამ მსჯელობისას ხომ არ არსებობს არც უპირატესი, არც მდაბალი, არც ტიტული, ასაკი და სახელი; არაფერია ანგარიშგასაწევი, გარდა ჭეშმარიტებისა, ხოლო ჭეშმარიტების წინაშე ყველა თანასწორია.

ამიტომ გაეხარდა, თავისი ასაკის მორწმუნე ყმაწვილს რომ შეხვდა. სურდა თვითონაც ერწმუნა. იმედოვნებდა — ლეონჰარდი დამისაბუთებსო რწმენას. დაუახლოვდა. ლეონჰარდი მისთვის ჩვეული სათნოებით, მაგრამ გულგრილად შეეწყო. მას არაფერი იტაცებდა საერთოდ. რადგანაც სახლში ხანგრძლივი საუბარი შეუძლებელი იყო — ამალიას და მოხუცს ყოველ წამს შეეძლოთ შეეწყვეტინებინათ — ამიტომ კრისტოფმა შესთავაზა ერთ საღამოს: სადილობის შემდეგ გავისეირნოთო. ლეონჰარდი ძალზე თავაზიანი იყო და დაეთანხმა. თუმცა სიამოვნებით იტყოდა უარს. ბუნებით დონდლოს ეშინოდა სიარულისა, საუბრისა და ყველაფრის, რასაც კი ძალა სჭირდებოდა.

კრისტოფს გაუჭირდა საუბრის დაწყება. სხვა თემაზე თქმული ორი თუ სამი უხერხული წინადადების შემდეგ, ოდნავ უტიფრული აჩქარებით გადახტა იმ საკითხზე, რაც გულით აინტერესებდა. ლეონჰარდს ჰკითხა: მართალია, რომ სამღვდელოდ ემზადებით თქვენივე სურვილითო? თავგზააბნეულმა ლეონჰარდმა შეშფოთებით გადახედა, მაგრამ რაკი დაინახა, რომ კრისტოფს არავითარი მტრული განზრახვა არ ჰქონდა, დამშვიდდა და მიუგო:

— დიახ, მაშ სხვანაირად როგორ იქნება?

— აჰ! — თქვა კრისტოფმა, — რა ბედნიერი ხართ!

ლეონჰარდმა შური შეატყო კრისტოფს და ესიამოვნა. მაშინვე საქციელი შეეცვალა, გულახდილი გახდა, სახე გაუნათდა.

— ჰო, ბედნიერი ვარ, — თქვა მან.

— როგორ შეძელით ეს? — ჰკითხა კრისტოფმა.

ლეონჰარდმა უმალვე არ უპასუხა. ჯერ შესთავაზა დამსხდარიყვნენ ერთ განმარტოებულ სკამზე წმიდა მარტინის ეკლესიის ტალანში. აქედან მოჩანდა აკაციებით შემორაგული პატარა მინდვრის კუთხე და უფრო შორს საღამოს ბინდში გახვეული ველი. გორაკის ძირას რაინი მიედინებოდა. აველ. მივიწყებულ სასაფლაოს ,ეძინა იქვე, ჩაკეტილი ღობურის იქით. საფლავები ბალახს დაეფარა.

ლეონჰარდმა დაიწყო: კმაყოფილებით გაბრწყინებოდა თვალები. ლაპარაკობდა, რა ტკბილი იყო ცხოვრებიდან გაქცევა, სამარადისო უშიშარი თავშესაფარის პოვნა. ამასწინანდელი სევდით გულდასერილ კრისტოფს ენატრებოდა ეს სიმშვიდე და დავიწყება, მაგრამ რაღაც ენანებოდა. ოხვრით შეეკითხა:

— ნუთუ ცხოვრება არ გენანებათ?

— ოჰ! — მშვიდად უთხრა ლეონჰარდმა, — რაა დასანანი? განა მახინჯი და საშწუხარო არ არის ცხოვრება?

— ცხოვრებაში ბევრი რამ კარგია, — თქვა მშვენიერი შეღამების შემყურე კრისტოფმა.

— მართალია, მაგრამ კარგი იშვიათად გვხვდება.

— ესეც საკმარისია ჩემთვის.

— ო! კარგი, მოდით, საღად ავწონ-დავწონოთ. ერთი მხრივაა ცოტა სიკეთე და მრავალი უბედურება, მეორე მხრივ კი არც ერთი და არც მეორე ამქვეყნად, სამაგიეროდ უსაზღვრო ბედნიერებაა იმ გრძელ სოფელში. რაა საყოყმანო?

კრისტოფს მაინცდამაინც არ მოეწონა ეს არითმეტიკა. ასე მოშჭირნედ, ძუნწად ცხოვრება სიგლახაკედ მიაჩნდა. მაინც ცდილობდა თავი დაერწმუნებინა, ეს გონივრულიაო.

— ასე რომ, — ჰკითხა ოდნავი ირონიით, — თქვენ არ გელით საშიშროება დაჰყვეთ წუთიერი სიამოვნების ცდუნებას?

— სისულელეა! ხომ ვიცი, რომ ეს წამიერია, ხოლო შემდეგ მარადისობა მელის!

— მაშ, გჯერათ ეგ მარადისობა?

— რა თქმა უნდა.

კრისტოფმა ახალი კითხვები დააყარა. სურვილისა და იმედისაგან თრთოდა. რა იქნება, რომ ბოლოს და ბოლოს ლეონჰარდმა აუხსნას უძლეველი საფუძვლები რწმენისა! რა სიხარულით გასწირავდა ყოველივეს. რათა ღმერთის გზას შესდგომოდა.

ლეონჰარდმა საამაყოდ მიიჩნია მოციქულის როლი, დარწმუნებული იყო, კრისტოფის დაეჭვება მხოლოდ გარეგნულია და პირველსავე არგუმენტებზე ფარ-ხმალს დაყრისო. უპირველეს ყოვლისა, საღვთო წიგნები, სახარების ავტორიტეტი, სასწაულები და ტრადიცია მოიშველია. მაგრამ მოიღუშა, როდესაც რამდენიმე წუთის შემდეგ კრისტოფმა შეაჩერა და უთხრა — ეს კითხვაზე კითხვის მიგება არისო. იმას კი არ გთხოვ, გადმომცე, რაც მაეჭვებს, გემუდარები — ეჭვის დაძლევა მიშველეო. ლეონჰარდი იძულებული გახდა ეღიარებინა, კრისტოფი ბევრად უფრო დაავადებული ყოფილა, ვიდრე მეგონა და მისი დამარცხება მხოლოდ გონივრული არგუმენტებით შეიძლებაო. მაინც ჯერ ისევ ფიქრობდა, კრისტოფი თავისუფლად მოაზროვნის როლს თამაშობსო (ვერ წარმოედგინა, თუ მართლა შეიძლებოდა თავისუფლად აზროვნება), ამიტომ მხნეობა არ დაკარგა და თავისი ახალშეძენილი ცოდნით გაყოყოჩებულმა სკოლაში შეძენილ ცოდნასაც მიმართა. არეულ-დარეულად, უფრო მეტი ავტორიტეტულობით, ვიდრე თანმიმდევრულად, ამოალაგა ღვთის არსებობისა და სულის უკვდავების მეტაფიზიკური არგუმენტები. აზრის დაძაბულობისაგან შუბლშეჭმუხვნილი კრისტოფი დუმდა, გონებას ძალას ატანდა, წინადადებებს ამეორებინებდა ლეონჰარდს, გულმოდგინედ ცდილობდა მათ აზრს ჩაწვდომოდა, შეეთვისებინა და დასაბუთებისათვის მიედევნებინა გონების თვალი. შემდეგ აღშფოთდა და განუცხადა, მასხრად მიგდებო. ეს გონების ფუჭი თამაშია, მონაჩმახი მოლაყბეთა, რომელნიც თავად იგონებენ რაღაცეებს და შემდეგ იმით ერთობიან, რომ გამონაგონის ჭეშმარიტებას იჯერებენო. განაწყენებული ლეონჰარდი დასახელებულ ავტორთა კეთილსინდისიერებას თავდებად დაუდგა. კრისტოფმა მხრები აიჩეჩა და გამეტებით თქვა: ეგ ლიტერატორები თუ ლაზღანდარები არა, მატყუარები მაინც არიანო, და სხვა არგუმენტები მოითხოვა.

როდესაც განცვიფრებული ლეონჰარდი დარწმუნდა, კრისტოფი უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი, კამათის ინტერესი გაუქრა. გაახსენდა, რომ ურჩიეს: უღმერთოებთან კამათში დროს ნუ დაკარგავთო, ყოველ შემთხვევაში მაშინ, როცა ისინი გაკერპდებიან და რწმენას გაურბიანო, თავადაც ცდუნებას გადაეყრები, მათ კი ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანო, უმჯობესია უბედური ღვთის წყალობას ანდო, თუ უფლის ნება იქნა — გაუნათლებს სულს, თუ არადა, ვინ გაბედავს წინ აღუდგეს ღვთის ნებასო? ლეონჰარდს აღარ დაუჭინებია — სჯა განვაგრძოთო. იმით დაკმაყოფილდა, რომ რბილად შენიშნა: ამჟამად არაფერი შემიძლია, არავითარ არგუმენტაციას არ ძალუძს კაცს უჩვენოს გზა, რომლის დანახვაც არ სურსო. საჭიროა ლოცვა, ვედრება — უფალო შემიწყალეო. ამის გარეშე ვერას გახდები. სურვილი და ნდომაა საჭირო, რათა ირწმუნო.

— ნდომა? — მწუხარებით გაიფიქრა კრისტოფმა. — მაშ, ღმერთი იარსებებს მხოლოდ იმიტომ, რომ მე მოვინდომებ ამას? მაშ, სიკვდილი არ იარსებებს, თუკი მე მის უარყოფას ვინებებ? რა ადვილია ცხოვრება იმისათვის, ვისაც არ სჭირდება ჭეშმარიტება. ვისაც შეუძლია წარმოიდგინოს, რომ სინამდვილე ისეთია, როგორც მას უნდა, ვისაც შეუძლია საამური სიზმრები შეთხზას და ნებიერად იძინოს! კრისტოფი დარწმუნებულია, რომ ასეთ საწოლზე არასოდეს დაიძინებს.

ლეონჰარდი ისევ ლაპარაკობდა თავის საყვარელ თემაზე — მშვრეტელობითი ცხოვრების მშვენიერებაზე გადაიტანა საუბარი. ამ უხიფათო თემაზე დაუსრულებლად შეეძლო ებაასა. სიამოვნებისაგან ათრთოლებული მონოტონური ხმით ლაპარაკობდა ღვთის წიაღში ცხოვრებასა და ხმაურს დაშორებული სიცოცხლის შესახებ. ხმაურის ხსენებისას მოულოდნელად მძულვარება დაეტყო კილოზე (ალიაქოთი მას თითქმის ისევე ეჯავრებოდა, როგორც კრისტოფს): ძალადობისა, დაცინვისა, ყოველდღიური მცირე და მტანჯველი უსიამოვნებებისაგან განმდგარს რწმენის საიმედო და თბილი საბუდარიდან ძალუძს მშვიდად უცქიროსო უცხო და შორეული მსოფლიოს ტანჯვას. კრისტოფი ყურს უგდებდა და ფიქრობდა, ეს რა ეგოიზმით გამსჭვალული რწმენაა. ლეონჰარდმა რაღაც იეჭვა და ნათქვამის განმარტებას შეუდგა. მშვრეტელობითი ცხოვრება უსაქმურობას როდი ნიშნავსო: პირიქით, ლოცვა უფრო ქმედითია, ვიდრე თვით ქმედება. რა მოუვიდოდა ქვეყანას, ლოცვა რომ არ ყოფილიყო? მლოცველნი ინანიებენ სხვათა ცოდვებს, კისრულობენ მათ შეცდომებს. სთავაზობენ თავიანთ ღვაწლს. შუამავლობენ მსოფლიოსა და ღმერთს შორის.

კრისტოფი ჩუმად უსმენდა და თანდათან უღვივდებოდა მტრული გრძნობა. ჩაწვდა, რომ ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფა ლეონჰარდის მიერ ფარისევლობა იყო. სამართლიანობა ეყო, რომ ეს ყველა მორწმუნისათვის არ დაებრალებინა. კარგად იცოდა, რომ ადამიანთა მცირე რიცხვი სიცოცხლის შეუძლებლობისა, მწარე სასოწარკვეთილებისა და სიკვდილის ნდომის გამო უარყოფს ცხოვრებას, — რომ კიდევ უფრო მცირე რიცხვისათვის ეს ცხოველი ექსტაზია... თუმცა ვინ იცის, რამდენად ხანგრძლივი. მაგრამ უმეტეს წილად განა ეს ცივი ანგარიში არ არის იმათთვის, ვისაც საკუთარი სულის სიმშვიდე ურჩევნია სხვათა ბედნიერებასა და ჭეშმარიტებას? და როდესაც წრფელი გულის მქონენი შეიცნობენ ამას, რაოდენი ტანჯვა უნდა იგრძნონ თავიანთი იდეალის წაბილწვის გამო!..

გალაღებული ლეონჰარდი კი თავისი ღვთაებრივი ქანდარიდან დანახული მსოფლიოს სილამაზისა და ჰარმონიის შესახებ ლაპარაკობდა: ძირს ყველაფერი ბნელია, უსამართლო და მაწამებელი. მაღლა ყოველივე ნათლდება, სხივოს-

ნდება, იქ წესრიგი მყარდება, მსოფლიო კარგად აწყობილ საათს ემსგავსება...

კრისტოფი უგულისყუროდ უსმენდა და ფიქრობდა: „ნამდვილად სწამს, თუ თავს იჯერებს — მწამსო?“ საკუთარი რწმენა, ცხოველი სურვილი რწმენისა არ შერყევია. ლეონჰარდისთანა ბრიყვის საცოდავ არგუმენტებს არ შეეძლო შეებღალა იგი...

ღამე მოეფინა ქალაქს. მათი სკამი სიბნელემ მოიცვა. ვარსკვლავები აკიაფდნენ. მდინარეს თეთრი ნისლი აუვიდა. სასაფლაოს ხეებში კრუალებდნენ მწერები. ზარსა ჰკრეს: ჯერ ერთმა მკვეთრმა ზარმა შესჩივლა საბრალო ჩიტივით ზეცას, შემდეგ მეორე აღუღუნდა ტერციით დაბლა, მერმე, თითქოს პასუხობსო, კვინტა აჟღერდა. სამივე ბგერა ერთმანეთს შეერთო. კოშკების ძირას აზუზუნდა უზარმაზარი გეჯი. ჰაერი და გული ათრთოლდა. სუნთქვაშეკრული კრისტოფი ფიქრობდა, რაოდენ საწყალობელი იყო მუსიკოსთა შენათხზი მუსიკის ამ ოკეანის წინაშე, რომელშიაც არსთა მირიადების გრიალი გაისმოდა. ეს ველური ფაუნაა, ბგერათა თავისუფალი სამყარო, ის კი — შინაური, აღნუსხული და კაცის გულგრილი გონების მიერ დადაღული. კრისტოფი ჩაიკარგა ამ ბგერათა უკიდეგანო და უნაპირო უსაზღვრობაში...

და როდესაც ძალოვანი ჟღერა მიყუჩდა, როდესაც უკანასკნელი თრთოლა მიწყდა ჰაერში, კრისტოფი გამოერკვა. თავგზადაკარგულმა მიმოიხედა... ვერაფერი იცნო. ყველაფერი შეცვლილყო მის ირგვლივ, მის არსებაში ღმერთი აღარსად იყო...

ხშირად ადამიანს უეცრივ ეწვევა რწმენა, ასევე უეცრივ რაღაც ნათელს დაინახავს და რწმენა გაუქრება. და ესეც უცნაურ გაელვებას ჰგავს. გონება არაფერ შუაშია. საკმარისია მცირედიც: ერთი სიტყვა, დუმილი თუ ზარის ჩამოკვრა. კაცი სეირნობს, ოცნებობს, რას მოელის. მეყსეულად ყველაფერი ირღვევა, ირგვლივ ნანგრევებსღა ხედავს, სიმარტოვეს გრძნობს, აღარ აქვს რწმენა...

შეძრწუნებულ კრისტოფს ვერ გაეგო, რატომ და როგორ დაემართა ის, რაც გაყინული მდინარის საგაზაფხულო დაძვრასა ჰგავდა...

ლეონჰარდის ხმა, ჭრიჭინას ჭრიჭინზე უფრო მონოტონური, კვლავ გაისმოდა. კრისტოფი არ უსმენდა. მთლად დაღამდა. ლეონჰარდი დადუმდა. კრისტოფის უძრაობით გაოცებულმა და ბნელით შეშფოთებულმა თქვა, შინ დავბრუნდეთო. კრისტოფმა პასუხი არ გასცა. ლეონჰარდმა ხელი გამოსდო. კრისტოფი შეკრთა და შიშით შეხედა.

— კრისტოფ, წასვლის დროა, — უთხრა ლეონჰარდმა.

— ჯანდაბას იქითაც წასულხარ! — შესძახა გაშმაგებით კრისტოფმა.

— ღმერთო ჩემო! კრისტოფ, რა დაგიშავეთ? — კრთომით ჰკითხა გაშტერებულმა ლეონჰარდმა.

კრისტოფი გონს მოვიდა.

— ჰო,მართალი ხარ, ჩემო კეთილო, — უთხრა უფრო მშვიდი ხმით.— თვითონაც არ ვიცი, რას ვამბობ. სამოთხისაკენაც გქონია გზა. სამოთხისაკენ!

ის ძარტო დარჩა. მწუხარებით აევსო გული.

— აჰ! ღმერთო, ღმერთო, —წამოიძახა მან ხელების მტვრევით და პირსახე შავი ცისკენ აღაპყრო. — რატომ აღარ მწამს?! რატომ არ ძალმიძს ვირწმუნო?! რა მომივიდა?.

დიდი სხვაობა იყო მისი რწმენის დამსხვრევასა და ლეონჰარდთან საუბარს შორის. ცხადია, ეს საუბარი არ იყო მიზეზი, ისევე როგორც ამალიას ბუზღუნი და ოილერთა სასაცილო თვისებანი არ წარმოადგენდნენ მიზეზს მისი ზნეობრივი შეხედულებების გარდატეხისა. ეს საბაბი იყო მხოლოდ. მღელვარება გარედან არ დაუფლებია, მის არსებაშივე იყო. გრძნობდა, როგორ იბრძოდნენ მის მკერდში უცნობი ურჩხულები და ვერ ბედავდა თავის აზრებს ჩაჰკვირვებოდა და პირისპირ შეეხედა სნეულებისათვის... სნეულებისათვის? სნეულება იყო კია ეს? განა სნეულებაა მოთენთილობა, თრთოლა, ვნებათა ღელვა. თავს აღარ ეკუთვნოდა. ამაოდ ცდილობდა გაკერპებულიყო თავისი წინანდელი სტოიკურობით. ერთბაშად დაიმსხვრა ყველაფერი. უცებ შეიგრძნო ვრცელი, ცეცხლოვანი, ველური, განუზომელი სამყარო... ღვთის წამლეკავი სამყარო...

ეს წუთი იყო. მაგრამ წინანდელი ცხოვრების წონასწორობა სავსებით დაერღვა ამიერიდან.

მთელი ოჯახიდან მხოლოდ ერთ წევრს — პატარა როზას არ აქცევდა კრისტოფი ყურადღებას. გოგონა სილამაზით არ გამოირჩეოდა, ხოლო თვითონ სანდომიანობასმოკლებული კრისტოფი ფრიად მომთხოვნელი იყო სხვათადმი. მასაც სჭირდა მშვიდი ულმობელობა ჭაბუკობისა, რომლისთვისაც ქალი არ არსებობს, თუ მახინჯია, ყოველ შემთხვევაში, ვიდრე სიყვარულის ასაკს გადაცდებოდეს და ღრმა, მშვიდი, ლამის რელიგიური გრძნობის უფლებას მოიპოვებდეს ხანდაზმული. როზა უჭკუო არ იყო, თუმცა რაიმე განსაკუთრებული ნიჭი არ ემჩნეოდა. ლაქლაქი უყვარდა და კრისტოფი გაურბოდა. ყმაწვილმა იფიქრა — მასში საინტერესო არაფერიაო და თავი არ შეუწუხებია გოგონას ახლო გაცნობით. ხეირიანად არც შეუხედავს.

მაგრამ ის მრავალ ქალიშვილს სჯობდა, ყოველ შემთხვევაში, სჯობდა მინას, რომელიც ეგზომ უყვარდა კრისტოფს. იგი კეთილი გოგო იყო, არ კოპწიობდა

და არ მედიდურობდა და კრისტოფის მოსვლამდე შემჩნეულიც არ ჰქონდა თავისი ულამაზობა და არ წუხდა ამაზე, რადგან არც სხვები წუხდნენ მაინცდამაინც. თუ პაპა ან დედა გაუჯავრდებოდა და ეტყოდა — უშნო ხარო, როზას გაეცინებოდა, მათ სიტყვას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. რამდენი როზასნაირი და მასზე მახინჯი ქალიშვილი შეჰყვარებიათ და გათხოვილან! გერმანელებს ახასიათებთ ერთი საბედნიერო თვისება — ფიზიკურ ნაკლს შემწყალედ უყურებენ, შეუძლიათ არც დაინახონ ან მშვენიერებად მიიჩნიონ კიდეც. მათი თავაზიანი წარმოსახვა მოულოდნელ მსგავსებას პოულობს ყოველ სახესა და ადამიანური მშვენიერების გამოჩენილ ნიმუშებს შორის. დიდი ძალდატანება არ დაჭირდებოდათ, რომ გეთქმევინებინათ მოხუცი ოილერისათვის — ჩემს შვილიშვილს იუნონას ცხვირი აქვსო. საბედნიეროდ, იგი ბუზღუნა იყო და ქათინაურებს არ ამბობდა, ხოლო თავისი ცხვირის ფორმისადმი გულგრილი როზა პატივმოყვარეობას მხოლოდ ოჯახურ საქმიანობათა ასრულებაში იჩენდა. ყველაფერს, რასაც ჩააგონებდნენ, სახარებასავით იღებდა. შინიდან არ გადიოდა, არავის იცნობდა, შინაურებს სხვებს არ ადარებდა და გულუბრყვილოდ აღმერთებდა მათ, სჯეროდა, რასაც კი ეტყოდნენ. გულახდილი, მიმნდობი, მცირედითაც კმაყოფილი როზა ცდილობდა აჰყოლოდა ოჯახში გამეფებულ სევდიან ტონს და მორჩილად იმეორებდა შინაურთა პესიმისტურ მსჯელობებს. სხვებისათვის თავდადებული იყო, ყოველთვის სხვებზე ფიქრობდა, ცდილობდა, რითიმე ესიამოვნებინა, იზიარებდა სხვათა წუხილსა თუ სურვილს და უანგაროდ უყვარდა ყველა. შინაურები ბოროტად იყენებდნენ ამას, თუმცა უყვარდათ და კეთილნი იყვნენ: დანდობილთა სიყვარულს ყოველთვის ავად იყენებენ. სჯეროდათ, როზამ ჩვენზე უნდა იზრუნოსო. მადლიერნიც არ იყვნენ მისი, რაც უნდა ექნა, კიდევ უფრო მეტს მოელოდნენ მისგან. გოგო უგერგილო იყო, მარცხიანი, სწრაფი, ბიჭური სიარული იცოდა და დიდი ამბით გამოხატავდა ხოლმე სინაზეს. ამას ხშირად უბედურება მოჰყვებოდა; გატეხილი ჭიქა იყო თუ წაქცეული სურა, თუ გაჯახუნებული კარი — ყველაფერი ოჯახის აღშფოთებას იწვევდა. გაკიცხული გოგონა სადმე კუნჭულში დაღვრიდა ცრემლს. ცრემლი მალე უშრებოდა. კვლავ გაიღიმებდა და ალაქლაქდებოდა. წყენის ნატამალიც არ ეტყობოდა.

კრისტოფის გადმოსვლა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო მის ცხოვრებაში. გოგონას ბევრი რამ გაეგო მის შესახებ. კრისტოფზე ჭორები დადიოდა ქალაქში, იგი სახელგანთქმული იყო, მისი სახელი ხშირად გაისმოდა ოილერის ოჯახში, განსაკუთრებით მოხუცი ჟან-მიშელის სიცოცხლეში. პაპა თავისი შვილიშვილით ამაყობდა და ყველა ნაცნობთან ხოტბა-დიდებით ამკობდა. ერთხელ თუ ორჯერ კონცერტზედაც ენახა როზას ყმაწვილი მუსიკოსი. როდესაც გაი-

გო, ჩვენსა უნდა იცხოვროსო, სიხარულით ტაში შემოჰკრა. ამ ცუდი საქციელისათვის მკაცრად დატუქსეს. ზეგრცხვა. თვითონ აქ ცუდი ვერაფერი დაინახა. მის ერთფეროვან ცხოვრებაში ახალი მდგმური მოულოდნელი გასართობი იყო. უკანასკნელი დღეები კრისტოფის გადმოსვლის წინ მოუთმენელ მოლოდინში გაატარა. ეშინოდა, ვაითუ სახლი არ მოეწონოსო და ცდილობდა, რაც შეიძლება, მიმზიდველად დაელაგებინა ბინა. გადმოსვლის დილას ყვავილების კონაც კი დადო ბუხრის თავზე, აქაოდა. კეთილი იყვეს თქვენი მობრძანებაო. თავის გარეგნობაზე კი არც ზრუნავდა და პირველივე შეხვედრა საკმარისი იყო, რომ კრისტოფს დაესკვნა — ულამაზოა და უშნოდ აცვიაო. გოგონას ასეთივე აზრი არ გასჩენია ყმაწვილის მიმართ, თუმცა საფუძველი საკმაოდ ჰქონდა: დაღლილი, შეწუხებული და აწეწილი კრისტოფი ჩვეულებრივზე უფრო ულაზათო იყო. როზას არ შეეძლო ვინმეზე ცუდი რამ ეფიქრა, იგი პაპას, დედასა და მამას სრულყოფილი მშვენიერების განსახიერებად მიიჩნევდა და კრისტოფიც ისეთი ეჩვენა. როგორც წარმოედგინა, და ძალზე მოეწონა. სუფრაზე რომ მის მეზობლად აღმოჩნდა, დაირცხვინა. საუბედურო კ ბ ემა ლაქლაქით გამოხატა, რითაც ერთბაშად დაიმსახურა კრისტოფის ანტიპათია. გოგონამ ვერ შეამჩნია ეს და პირველი საღამო მუდამ ტკბილად მოსაგონარი იყო მისთვის. შემდეგ ახალი მდგმურები წავიდნენ. თავის ოთახში მარტო დარჩენილი როზა უსმენდა მათი ნაბიჯების ხმას. ზედა სართულიდან, რომ ჩამოდიოდა. ეს ხმაური სიხარულით უვსებდა გულს. თითქოს გამოცოცხლებულიყო სახლი.

მეორე დღეს პირველად ჩაიხედა სარკეში მღელვარებითა და ყურადღებით. ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო, რაზომ უბედური იყო, მაგრამ რაღაც უსიამოვნო იგრძნო. შეეცადა ცალ-ცალკე განეხილა თავისი ნაკვთები, მაგრამ ვერ შეძლო. მწუხარებამ შეიპყრო, ღრმად ამოიხვნეშა და სხვანაირად მორთვა განიზრახა. ამან უფრო დააუშნოვა. ბოლოს რაღაც ავბედითი აზრი მოუვიდა და თავაზიანობით გული გაუწყალა კრისტოფს. გულუბრყვილოდ უნდოდა მუდამ თვალწინ ჰყოლოდა ახალი მეგობრები, სამსახური გაეწია მათთვის და ყოველ წუთს დარბოდა კიბეზე. ხან რაღაც უსარგებლო ნივთს მოუთრევდა, ხან მიეძალებოდა — მოგეხმარებითო და სულ მუდამ იცინოდა, ლაქლაქებდა, მხოლოდ მოთმინებიდან გამოსული დედის დაძახება თუ შეაწყვეტინებდა ლაქლაქს. კრისტოფი ბრაზობდა. გადაწყვეტილი რომ არ ჰქონოდა, კეთილად მოვიქცევიო, ოცჯერ მაინც გაეცეცხლებოდა აქამდე. ორი დღე ითმინა, მესამე დღეს კი გასაღებით ჩაკეტა კარი. როზამ დააკაკუნა, დაუძახა, მიხვდა, რაც მოხდა, შერცხვენილი გაბრუნდა და მას შემდეგ აღარ მისულა. შეხვედრისას კრისტოფმა აუხსნა, სასწრაფო და გადაუდებელი სამუშაო მქონდაო. როზამ ბოდიში მოიხადა. თავს ვერ მოიტყუილებდა — მის გულუბრყვილო გამოხდომას წარმატება არ

მოჰყოლია, პირიქით, დააშორა კრისტოფს. ყმაწვილი აღარ მალავდა უგუნებობას. ყურს არ უგდებდა ძის ლაპარაკს და მოუთმენლობას იჩენდა. გოგონა გრძნობდა, მისი ლაქლაქი აბრაზებდა კრისტოფს და კარგა ხნით გაჩუმდებოდა ხოლმე, მაგრამ ლაპარაკის სურვილი მოუვლიდა და კვლავ ძველებურ ჰანგზე ამღერდებოდა. კრისტოფი შუა ლაპარაკში მიატოვებდა. როზა არ უჯავრდებოდა მას, თავს უსაყვედურებდა, ბრიყვი, მომაბეზრებელი და სასაცილო ვარო. თავის ნაკლს უზომოდ აზვიადებდა და უნდოდა ამოეფხვრა, მაგრამ პირველი ცდის მარცხმა იმედი წარუკვეთა და აფიქრებინა, ამას ვერასოდეს შეეძლებ, ძალა არ მეყოფაო. მაინც ცდილობდა.

მაგრამ როზას ხომ სხვა მანკიც ჰქონდა. ეს დაუძლეველი მანკი იყო. რა უნდა ექნა თავისი ულამაზო სახისათვის? ყველაფერი ნათელი იყო. ერთ დღეს, როდესაც სარკეში იცქირებოდა, უბედურება ერთბაშად ცხადი გახდა მისთვის; თითქოს მეხი დაეცა. თქმა არ უნდა, აზვიადებდა, ცხვირი ათჯერ უფრო გრძელი ეჩვენებოდა. ვიდრე ნამდვილად ჰქონდა, ეგონა, მთელი სახე ცხვირს უკავია და გარეთ თავის გამოყოფას ვერ ბედავდა. სიკვდილს ნატრობდა. მაგრამ სიჭაბუკე იმედითაა ძლიერი და როზა სასოწარკვეთილებას დიდხანს არ მისცემია; შემდგომ იფიქრა, მოვტყუვდიო და ცდილობდა თავი დაერწმუნებინა და ზოგჯერ სავსებით ჩვეულებრივად, თითქმის საკმაოდ ლაზათიანადაც მიიჩნევდა თავის ცხვირს. ინსტინქტურად უხეირო, ბავშვურ ეშმაკობას მიმართა და თმას ისე ივარცხნიდა, რომ ნაკლებ გამოსჩენოდა შუბლი და ამით სახის დისპროპორციულობა მიეჩქმალა. ამას კოპწიობით როდი აკეთებდა, სამიჯნურო აზრები არ მოსდიოდა და თუ მოსდიოდა, შეუგნებლად. მას მეგობრობაც ეყოფოდა. მაგრამ კრისტოფი ამ ერთი ბეწო მოწყალებასაც არ იმეტებდა. როზას ეგონა, სავსებით ბედნიერი ვიქნები, თუ შეხვედრისას გამარჯვებას მეტყვის და გაყრისას მეგობრულად, გულთბილად მისურვებს მშვიდობის ღამესო. კრისტოფს კი ისე მკაცრი და ცივი იერი ედო! გოგონას გული ეყინებოდა. ყმაწვილი არაფერს ეუბნებოდა უსიამოვნოს, მაგრამ მის სასტიკ მდუმარებას საყვედური ერჩია.

საღამოობით კრისტოფი როიალს უჯდა და უკრავდა. სხვენის ვიწრო ოთახში მოწყობილიყო, რომ ხმაურს ნაკლებად შეეწუხებინა. როზა მღელვარებით უსმენდა, მას უყვარდა მუსიკა. თუმცა ცუდი და დაუხვეწავი გემოვნება ჰქონდა. სანამ დედამისი აქვე იყო. ის კუთხეში იჯდა, ხელსაქმეზე დახრილიყო და სამუშაოთი გართულს ჰგავდა, მაგრამ სული მისი მაღლით მომდინარე ბგერებს მიჯაჭვოდა. მაშინვე, როგორც კი მისდა საბედნიეროდ, ამალია მეზობლებში გავიდოდა, როზა წამოხტებოდა, ხელსაქმეს დააგდებდა და გულის კანკალით სხვენის ზღურბლამდე მიიპარებოდა, სუნთქვას შეიკრავდა და ყურს კარზე მია-

დებდა. ასე იდგა, ვიდრე ამალია დაბრუნდებოდა, მაშინ თითის წვერებზე ჩამოდიოდა, რათა ხმაური არ აეტეხა; მაგრამ უგერგილო იყო, თან ჩქარობდა და ხშირად კინაღამ ჩაგორებულა კიბეზე. ერთხელ, როდესაც ასე უსმენდა წინდახრილი და საკლიტურზე ლოყამიდებული, წონასწორობა დაკარგა და კარს შუბლი დაჰკრა. გოგონა ისე შეძრწუნდა, რომ სუნთქვა შეეკრა. მუსიკა ერთბაშად შეწყდა. როზას არ შეეძლო გაქცევით ეშველა თავისთვის. სანამ ადგებოდა, კარი გაიღო. კრისტოფმა დაინახა, გაშმაგებული მზერა ესროლა, შემდეგ უსიტყვოდ, უხეშად ჰკრა ხელი გაბრაზებულმა, კიბე ჩაათავა და გარეთ გავიდა. სადილობისას დაბრუნდა. არავითარი ყურადღება არ მიუქცევია როზას სევდიანი. მავედრებელი თვალებისათვის, თითქოს გოგონა არც არსებობსო. რამდენიმე კვირა აღარ დაუკრავს. როზა იდუმალად ღვრიდა ცრემლს. არვინ ამჩნევდა მას, არვინ აქცევდა ყურადღებას. გულმხურვალედ ლოცულობდა... რისთვის? თვითონაც არ უწყოდა კარგად. უნდოდა მწუხარება გაენდო ვინმესათვის. დარწმუნებული იყო, რომ კრისტოფს ეზიზღებოდა.

და ყოვლის მიუხედავად, იმედი მაინც ჰქონდა. საკმარისი იყო კრისტოფს როზასადმი მცირე ინტერესი გამოეჩინა, თავი ისე ეჩვენებინა, თითქოს უსმენდა, ხელი ჩვეულებისამებრ უფრო მეგობრულად გაეწოდებინა...

ოჯახის წევრთა რამდენიმე დაუფიქრებელმა სიტყვამ საბოლოოდ მოლიპულ გზაზე დააყენა გოგონას წარმოსახვა.

მთელი ოჯახი სიმპათიით ეპყრობოდა კრისტოფს. ეს თექვსმეტი წლის დინჯი და განაპირებული ყმაწვილი, ვისაც ეგზომ მაღალი წარმოდგენა ჰქონდა მოვალეობაზე, პატივისცემას უნერგავდა ყველას. მისი უგუნებობა, ჯიუტი დუმილი, მოქუშული სახე და უხერხული ქცევა ვერავის გააოცებდა ამ სახლში. მართალია, ქალბატონი ფოგელი ყოველ ხელოვანს ცუღლუტად თვლიდა, მაგრამ ისიც ვერ ბედავდა კრისტოფისათვის მკაცრად დაეყვედრებინა: საღამოობით დროს უქმად რად ატარებს, რად დგას მანსარდის ფანჯარასთან უძრავად და დაღამებამდე ეზოში რად იყურებაო. ამალიამ იცოდა, ღღის დანარჩენ ნაწილს კრისტოფი გაკვეთილებს ანდომებდა, იქანცებოდა. და იგიც სხვების მსგავსად უფრთხილდებოდა — გარკვეული მოსაზრებით, რაზედაც არავინ ლაპარაკობდა, მაგრამ ყველამ იცოდა.

კრისტოფთან საუბრისას როზამ რამდენჯერმე შეამჩნია, რომ შინაურები, მშობლები ერთმანეთს თვალით რაღაცას ანიშნებენ და საიდუმლოდ ჩურჩულებენ. პირველად ყურადღება არ მიუქცევია, შემდეგ ცნობისმოყვარეობა

აღეძრა, აღელდა. ძალიან უნდოდა გაეგო, რას ლაპარაკობდნენ. მაგრამ კითხვაც ვერ გაბედა.

ერთ საღამოს როზას ორ ხეს შუა გაბმული სარეცხის ბაწრის ჩამოხსნა უნდოდა და ბაღის სკამზე შედგა, გადმოხტომისას კრისტოფს დაეყრდნო მხარზე სწორედ იმ წუთს შეამჩნია, რომ პაპა და მამა მათკენ იცქირებოდნენ. ისინი ისხდნენ, ჩიბუხს ეწეოდნენ სახლის კედელზე მიყრდნობილნი. ერთმანეთს გადახედეს, იუსტუს ოილერმა უთხრა ფოგელს: — მშვენიერი წყვილი იქნება.

მამამ შეამჩნია, რომ გოგონა ყურს უგდებდა მათ და მუჯლუგუნი ჰკრა სიმამრს. მოხუცმა სიტყვა მარჯვედ შეწყვიტა: „ჰუმ, ჰუმ! — ჩაახველა ისე, რომ ოც ნაბიჯზე მყოფთა ყურადღება შეეძლო მიეპყრო. კრისტოფი მათკენ ზურგშექცევით იდგა და არაფერი შეუნიშნავს, მაგრამ როზა ისე აირია, უხერხულად გადმოხტა და ფეხი აუსხლტა. დაეცემოდა, კრისტოფი რომ არ შეშველებოდა ყმაწვილი გულში ლანძღავდა მაკვარანცხ გოგოს. როზას ძალიან ეტკინა ფეხი, მაგრამ არ შეუმჩნევია, თითქმის არც ფიქრობდა ამაზე, ახლახან გაგონილი უტრიალებდა თავში. ოთახისაკენ წახანხალდა. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ტკივილისაგან სული ხდებოდა, მაგრამ თავს იკავებდა, რომ არ შეემჩნიათ ეს. ამაო მღელვარებით აევსო გული. თავის ლოგინთან პატარა სკამზე დაეცა და თავი საბანში ჩარგო. სახე ეწვოდა. თვალებზე ცრემლი მოადგა. იცინოდა, რცხვენოდა, უნდოდა მიწა გასკდომოდა და ჩაეტანა. თავის აზრებში ვერ გარკვეულიყო, საფეთქლები უცემდა, კოჭი მწარედ სტკიოდა, ტანში ზარავდა, გაშტერებულიყო. ბუნდოვნად შემოესმა გარედან ხმაური, ქუჩაში მოთამაშე ბავშვთა ძახილი. პაპამისის სიტყვები ყურში ედგა, ხმადაბლა იცინოდა, ლოცულობდა, უფალს მადლობას სწირავდა, იმედოვნებდა. შიშობდა — ეს სიყვარული იყო.

დედამ დაუძახა. როზამ ადგომა სცადა, მაგრამ პირველსავე ნაბიჯზე აუტანელი ტკივილი იგრძნო, კინაღამ გული შეუღონდა. თავბრუ დაესხა, ვკვდებიო. სიხარულით მოკვდებოდა და ამავე დროს მთელი არსებით სურდა სიცოცხლე. სიცოცხლე აღთქმული ბედნიერებისათვის. ბოლოს დედამისი შემოვიდა და მაშინვე მთელი სახლი აწრიალდა. როზა ჩვეულებისამებრ გაჯორეს, ფეხი შეუხვიეს. დააწვინეს. მილუშებული გოგონას ფიზიკური ტკივილი და შინაგანი სიხარული ხმიანობდა მის არსებაში. ტკბილი ღამე... უმცირესი მოგონებანი ამ უძილოდ გათეული ღამისა წმიდა იყო მისთვის მუდამ. იგი კრისტოფზე არ ფიქრობდა, თვითონაც არ იცოდა, რას ოცნებობდა. ბედნიერი იყო.

მეორე დღეს კრისტოფი, რაკი თავს, ცოტა არ იყოს, დამნაშავედ თვლიდა, შემოვიდა ავადმყოფის ამბის გასაგებად და პირველად გამოიჩინა მცირე გულ-

თბილობა. როზა მადლიერების გრძნობით განიმსჭვალა, ღმერთს მადლობდა, რომ ფეხი იტკინა. მთელი თავისი სიცოცხლე ეწამებოდა, ოღონდ მუდამ ეგეთივე სიხარული ხვდომოდა წილად. მას რამდენსამე დღეს გაუნძრევლად წოლა მოუხდა და ეს ხანი პაპას სიტყვების მრავალგზის მოგონებასა და განსჯაში გაატარა. ეკვი დაეუფლა. — მართლა ასე თქვა პაპამ:

— კარგი წყვილი იქნებაო...

თუ:

— იქნებოდაო!..

იქნებ სულაც არაფერი უთქვამს? არა, ნამდვილად თქვა, ეს კი იცის... როგორ! განა ვერ ხედავენ ისინი, რომ როზა უშნოა და კრისტოფი დასანახად ვერ იტანს მას?.. მაგრამ იმედი ეგზომ ტკბილია! გოგონა ზოგჯერ ფიქრობდა — შესაძლოა შევცდი, შესაძლოა არც ისე მახინჯი ვარ, როგორც მე მგონია: წამოიწევდა, რათა მოპირდაპირე კედელზე დაკიდებულ სარკეში ჩაეხედა. აღარ იცოდა, რა ეფიქრა. ჯერ ერთი, პაპა და მამა საუკეთესო მსაჯულები იყვნენ, თავად ვერ განსჯიდა მათსავით... ღმერთო! შესაძლებელი რომ იყოს!.. რაა შემოხვევით მაინც... აზრადაც რომ არ მოსვლოდეს ისე... ლამაზი იყოს!.. ისიც შესაძლოა, რომ აზვიადებდა კრისტოფის გულცივობას. მართალია, გულგრილმა ყმაწვილმა მეორე დღესღა გამოიჩინა მცირეოდენი ინტერესი და შემდგომ თავი არ შეუწუხებია როზასთვის, როგორაა. ისიც არ უკითხავს. მაგრამ როზამ ეპატია: გადატვირთულია, ჩემზე ფიქრისათვის სად სცალიაო, ხელოვანი ისე როდი უნდა განვსაჯოთ, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი.

იმის მიუხედავად, რომ ბედს დამორჩილდა, უნებლიე სულის კაწკაწით ელოდა ვულთბილ სიტყვას კრისტოფისაგან. როდესაც ვაჟი გვერდით ჩაუვლიდა მხოლოდ ერთი სიტყვა, ერთი შეხედვა... დანარჩენს წარმოსახვა შეავსებდა... ახლად გაღვივებულ სიყვარულს რა ცოტა საზრდო სჭირდება: შეხედვა და უეცარი მიკარებაც საკმარისია. ასეთ წუთებში სული ისეთი სიძლიერით აცხადებს ოცნებას, რომ ეგეც კმარა შესაყვარებლად. აღაფრთოვანებს წვრილმანიც, რასაც მოგვიანებით ვეღარც შეამჩნევს, როდესაც სასურველს მიაღწევს და დაკმაყოფილებული უფრო მომთხოვნი გახდება. როზამ თვით შეთხზა თავით ბოლომდე სასიყვარულო ამბავი: თითქოს კრისტოფს იდუმალ უყვარდა, მაგრამ ვერ ბედავდა გრძნობა გამოეაშკარავებინა მორცხვობისა თუ რაიმე უაზრო, წარმოსახვითი და რომანტიული მიზეზისა გამო. ამაზე უსასრულო, სავსებით ბრიყვულ ამბებს აგებდა. ეს რომ სისულელე იყო, თვითონაც კარგად იცოდა, მაგრამ არ სურდა სცოდნოდა, ხელსაქმეზე დახრილი კარგა ხანი თავს იტყუებდა. ლაპარაკსაც გადაეჩვია: სიტყვების ნიაღვარი ახლა თითქოს

შიგ სულში ეღვრებოდა. როგორც მიწაში უეცრად გაპარული მდინარე. იქ გაჰ-ქონდა თავისი. სიტყვებისა და უჩუმარი საუბრის რა ღრეობა იყო! ზოგჯერ ამ-ჩნევდნენ, ტუჩებს ამოძრავებდა შცირე მცოდნესავით, რომელმაც დამარ-ცვლითა და ჩურჩულით თუ არ წაიკითხა, ვერ გაიგებს წაკითხულს.

ოცნებიდან გამორკვეული როზა ბედნიერი იყო და დამწუხრებულიც. მან იცოდა, რომ სინამდვილე განსხვავდებოდა მისი ნაოცნებარისგან, მაგრამ ოცნებას ბედნიერების ანარეკლი მოჰქონდა მისთვის და იგიც მეტი ნდობით უყურებდა მომავალს. კრისტოფის გულის მოგების იმედს არ კარგავდა.

საკუთარი თავისთვისაც არ გაუმხელია, ისე შეუდგა ყმაწვილის გულის მო-ნადირებას. უტყუარმა ინსტინქტმა, რაც კი დიად გრძნობას ახასიათებს ხოლ-მე, უგერგილო გოგონა ერთბაშად დააყენა სატრფოს გულისკენ მიმავალ გზა-ზე. პირდაპირ კრისტოფისათვის არ მიუმართავს. მაგრამ მას შემდეგ, რაც გა-მოჯანმრთელდა და კვლავ შეძლო სახლში სიარული, ლუიზას დაუახლოვდა. უმცირესი საბაბითაც სარგებლობდა. ათასგვარ წვრილმან სამსახურს სთავა-ზობდა. შინიდან თუ გავიდოდა, არასოდეს დაავიწყდებოდა ლუიზასათვის ეკითხა: ხომ არაფერს დამბარებთო. ბაზარში სიარულისა და გამყიდველებთან ყინკლაობისაგან გაანთავისუფლა, ჭიდან წყალი მოჰქონდა მისთვის, ოთახების დალაგებას შველოდა, ფანჯრებს ურეცხავდა, პარკეტს უპრიალებდა. მიუხე-დავად ლუიზას წინააღმდეგობისა. ლუიზას ერცხვინებოდა, რომ მარტო ვერ ერეოდა საქმეს, მაგრამ ისე დაღლილიყო, რომ უარს ვეღარ ეუბნებოდა მო-სახმარებლად მოსულ როზას. კრისტოფი მთელი დღე შინ არ იყო, ლუიზა მარტოობას გრძნობდა და მგრძნობიარე, ხალისიან გოგონასთან ყოფნა სიამოვ-ნებდა. როზამ მათ ბინაში მოიკიდა ფეხი. ხელსაქმე მოჰქონდა და ბაასობდნენ. როზა ეშმაკურად ცდილობდა საუბარი კრისტოფზე გადაეტანა. მასზე ლაპა-რაკი, მისი სახელის მოსმენაც კი ბედნიერებას ანიჭებდა. ხელები უთრთოდა, თვალების აწევას ერიდებოდა. რაკი თავის ძვირფას კრისტოფზე ლაპარაკის შესაძლებლობა მიეცა, გახარებული ლუიზა უამბობდა გოგონას შვილის ბავ-შვობის უმნიშვნელო და ცოტათი სასაცილო ამბებს: როზას ენით უთქმელ სიხარულსა და მღელვარებას ჰგვრიდა კრისტოფის ეშმაკ და მომხიბვლელ პა-ტარა ბიჭუნად წარმოდგენა; დედობრივი სინაზე, რაც ყოველი ქალის მკერდ-შია ჩამარხული, საამურად ერწყმოდა სხვაგვარ გრძნობას: გოგონა გულიანად იცინოდა და თვალები ენამეზოდა. ლუიზა ხედავდა, რა ყურადღებას იჩენდა როზა და გული აუჩუყდებოდა. მიხვედრილიყო, თუ რა ცეცხლი ტრიალებდა მის გულში, მაგრამ არ ამეღვენებდა ამას, ჩუმად ხარობდა, რადგან მთელ სახლ-ში მხოლოდ კრისტოფის დედამ იცოდა როზას გულის ფასი. ზოგჯერ სიტყვას

შეწყვეტდა. რათა მისთვის შეეხედა, მისი დუმილით განცვიფრებული როზა თავს აიღებდა ხელსაქმიდან. ლუიზა გაუღიმებდა. გრძნობიერი გოგონა წამოხტებოდა, მკლავებში ჩაუვარდებოდა და თავს მის მკერდში ჩამალავდა. შემდეგ წინანდებურად განაგრძობდნენ ხელსაქმესა და საუბარს.

საღამოობით როდესაც კრისტოფი ბრუნდებოდა, როზას მადლიერი ლუიზა დაუღალავად აქებდა და აქებდა მეზობლის გოგონას. კრისტოფს ეამა როზას სიკეთე. კარგად ხედავდა, რა ზემოქმედებას ახდენდა ის დედაზე. როგორ დაუმშვიდდა დედას სახე და უაღრესად მადლობელი იყო როზასი. გოგონა რაღაცას წაიბუტბუტებდა და შეკრთომის დასაფარავად გაქცევით შველოდა თავს. ასე ათასჯერ უფრო გონიერი და მიმზიდველი ეჩვენებოდა კრისტოფს, ვიდრე მაშინ, რომ დაელაპარაკებოდა უფრო მოწყალე თვალით დაუწყო ყურება. და არ დაუმალავს გაოცება იმის გამო, რომ როზას ერთობ მოულოდნელი თვისებები აღმოაჩნდა. გოგონა ამჩნევდა ამას, ატყობდა, კრისტოფის სიმპათია მატულობდა და ფიქრობდა, შემიყვარებსო. ოცნებას მიეცა სავსებით. სიყრმეს თავდაჯერება უყვარს, როზასაც სჯეროდა, თუკი რაიმეს მოიწადინებ, უთუოდ აგისრულდებაო. აუხდებოდა—რა იყო უსაფუძვლო მის ნატვრაში? განა ყველაზე მეტად კრისტოფს არ უნდა ეგრძნო მისი სიკეთე და გულითადი წადილი თავდადებისა?

მაგრამ კრისტოფი ძასზე არ ფიქრობდა. პატივსა სცემდა როზას, მაგრამ სხვა მხრივ არავითარი ადგილი არ ეჭირა გოგონას მის გულში. საკმაოდ ჰქონდა სხვა საზრუნავიც! კრისტოფი აღარ იყო ძველი კრისტოფი. თავს ვერა ცნობდა. საშინელი ცვლილება ხდებოდა მის არსებაში და ამ ცვლილებას სულით ხორცამდე უნდა აეფორიაქებინა იგი.

კრისტოფი უკიდურეს დაღლილობასა და მოუსვენრობას გრძნობდა. უმიზეზოდ ტეხდა ტანში, თავი დამძიმებოდა, თვალები, ყურები, გრძნობის ყველა ორგანო უბეუოდა, გონი ვერაფერზე შეეჩერებინა. აღგზნებისაგან ქანცგამოცლილი აზრი ერთი საგნიდან მეორეზე უხტოდა. სახეთა ორომტრიალი თავბრუს ახვევდა. ეს ჯერ გადაღლილობასა და გაზაფხულის დღეების გავლენას მიაწერა. გაზაფხულიც გავიდა, მაგრამ მისმა აფორიაქებამ არ იკლო.

ეს იყო ის, რასაც პოეტები, რომელნიც ყოველივეს სათუთი ხელებით ეხებიან. სიჭაბუკის მოუსვენრობას, ქერობინის მღელვარებას, ნორჩ სხეულსა და გულში ტრფობის წადილის გაღვიძებას უწოდებენ. თითქოს სიტყვით შესაძლოა გამოხატო ის საზარელი კრიზისი, რაიც ახალგაზრდას ნაწილებად შლის, სპობს და ისევ წარმოქმნის, თითქოს შესაძლოა ესოდენ გულუბრყვი-

ლოდ ვანისაზღვროს კატაკლიზმი, როცა ყველაფერი: რწმენა, აზროვნება, მოქმედება და მთელი სიცოცხლე, განადგურების პირას მისული, ხელმეორედ იპყრობა ტკივილისა და სიხარულის კონვულსიებში.

მთელი ტანი და სული უდუღდა. წინააღმდეგობის ძალი არ შესწევდა და თვალყურსღა ადევნებდა ცნობისმოყვარეობითა და ზიზღით. არ ესმოდა, რა მოსდიოდა. თითქოს ნაწილებად იშლებოდა. გაოგნებული ატარებდა დღეებს შრომა ტანჯვად ექცა. ღამღამობით მძიმე, მოუსვენარი ძილით ეძინა, სახარელ სიზმრებს ნახულობდა, წადიერება იპყრობდა, მხეცის სული ქოთქოთებდა მის არსებაში. ანთებული და ოფლში გაღვრილი ძრწოლით უმზერდა თავის თავს, ცდილობდა თავიდან ამოებერტყა ბიწიერი და გიჟური აზრები და ფიქრობდა, ხომ არ გავგიჟდიო.

გათენებას საშველი არ მოჰქონდა და ამ ცხოველური აზრებისაგან არ იფარავდა. ეგონა, ჩემივე სულის სიღრმეში ჩავიხრჩობიო — არაფერი ჩანდა ისეთი, რომ ჩასჭიდებოდა და თავი შეემაგრებინა, ვერაფრით ზღუდავდა თავს ქაოსისაგან. მთელი მისი ციხე-სიმაგრენი, აგრე ზვიადად რომ შემორტყმოდნენ სანგრად — ღმერთი, ხელოვნება, სიამაყე და ზნეობრივი რწმენა — ირღვეოდა, ნაწილ-ნაწილ ნადგურდებოდა. იგი თავს ხედავდა შიშველს, შებოჭილს და დამხობილს, ხედავდა, თითქოს საძრაობადაკარგული და მატლებმისეული ცხედარი იყო, ზოგჯერ აღშფოთდებოდა — ჩემს ნებისყოფას რა მოუვიდაო? ამაოდ მოუხმობდა. ისევე როგორც ამაოა მცდელობა მძინარე კაცისა, რომელიც გრძნობს, სიზმარშია და სურს გაიღვიძოს და მხოლოდ ერთი სიზმრიდან მეორეზე გადადის ტყვიასავით დამძიმებული. დაბოლოს კრისტოფი მიხვდა, რომ ნაკლებ დაიტანჯებოდა; თუ ბრძოლას შეწყვეტდა და გულცივი ფანატიზმით მინებდებოდა ბედს.

მისი ცხოვრების მდინარება შეწყდა თითქოს, ხან მიწისქვეშა ნაპრალებში მიექანებოდა, ხან თავაწყვეტილი მრისხანებით ამოხეთქავდა ისევ. დღეთა კრიალოსანი შეწყდა. დროის სწორ ველზე უფსკრულებმა დააღეს პირი და კრისტოფის არსება შთანთქა. კრისტოფი უცხოსავით ესწრებოდა ამ სანახაობას. ყველაფერი და ყოველი — საკუთარი თავიც კი უცხო გახდა მისთვის. იგი კვლავინდებურად საქმიანობდა, ავტომატურად ასრულებდა სამუშაოს, ეგონა, ცხოვრების მექანიზმი საცაა უნდა შეჩერდეს, კბილანები გაცვეთიაო. სუფრაზე — დედასა და მეზობლებთან, ორკესტრში — მუსიკოსებსა და მაყურებელთა შორის ანაზდად ტვინში სიცარიელეს იგრძნობდა. გაშტერებული მიაჩერდებოდა ირგვლივ მყოფთა სახეებს და არაფერი ესმოდა, თავს ეკითხებოდა:

— რა კავშირია ამ არსებათა და...

ვერ ბედავდა დაესრულებინა:

— ჩემს შორის!

არ იცოდა, კიდევ არსებობდა თუ არა. თუ ლაპარაკობდა, ხმა სხვისი პირიდან ამომავალი ეჩვენებოდა. იძვროდა და შორიდან, მაღლიდან რაღაც კოშკის თავიდან უკვრეტდა თავს. შუბლზე ხელს გადაისვამდა გაოგნებული. მზად იყო უცნაური რამ ჩაედინა.

განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამოსაჩენ ადგილას იყო. როდესაც საგანგებოდ უნდა დაეჭირა თავი. განსაკუთრებით, როცა სასახლეში უკრავდა, უეცრად გულით მოუნდებოდა — დამანჭულიყო. რაღაც სისულელე ეთქვა. ჰერცოგისთვის ცხვირი აეწია ან რომელიმე ქალბატონისათვის ამოეკრა პანღური. ერთხელ ორკესტრს დირიჟორობდა და მთელი საღამო ებრძოდა გიჟურ წადილს — ტანთ გაეხადა ხალხის წინაშე. მაშინვე, როგორც კი ამ აზრის თავიდან მოცილება გადაწყვიტა, მთლად დაეუფლა. რაც ძალა ჰქონდა, მოეხმო, რომ ცდუნებას არ დანებებოდა.

ასეთი გაშმაგებული ბრძოლის შემდეგ ოფლად იღვრებოდა ხოლმე და თავი უცარიელდებოდა. ნამდვილ გიჟს ემსგავსებოდა. საკმარისი იყო ეფიქრა, რაიმე არ ჩაედინა — და ამის ჩადენის წადილი გაუჯდებოდა გიჟის აკვიატებული აზრის სიკერპით.

ასე გადიოდა მისი ცხოვრება სიგიჟის მოძალებასა და გონებამიხდილობაში. ეს იყო უდაბნოს მძვინვარე ქარიშხალი... საიდან ქროდა ის? რას წარმოადგენდა ეს გახელება? რომელი უფსკრულიდან მომდინარეობდა ეს წადილი, იოგებსა და ტვინს რომ უღრღნიდა? იგი ჰგავდა მშვილდს, რომელსაც ვიღაც შლეგი ისე ჭიმავს მიუწვდომელ მიზანში სასროლად, რომ გატეხს და შემდეგ უბრალო. ხმელი ტოტივით გადააგდებს. ვისი მსხვერპლი იყო? ვერ ბედავდა გამოწვლილვას. დამარცხებულად, დამცირებულად გრძნობდა თავს და თვალს ვერ უსწორებდა თავის მარცხს. დაღლილი და დაშინებული იყო. ახლა ესმოდა მისთვის ოდესღაც საძაგელი ადამიანებისა. რომელნიც სამწუხარო ჭეშმარიტებას თვალს არიდებენ. ამ არყოფნის საათებში, როდესაც მოაგონდებოდა დროის მდინარება, მიტოვებული სამუშაო, დაღუპული მომავალი — შიში ზარავდა, მაგრამ ვერაფერს აკეთებდა. მტკიცედ სჯეროდა არყოფნისა და სულმოკლეობა მრავალ გამართლებას კარნახობდა. იგი მწარე სიამოვნებით ეძლეოდა ამას, როგორც ნაფოტი წყალს. რად უნდა ებრძოლა? არ იყო არაფერი, არც მშვენიერება. არც სიკეთე, არც ღმერთი, არც სიცოცხლე, არც არავითარი ყოფიერება. როდესაც ქუჩაში მიდიოდა. მიწა ფეხთაგან ეცლებოდა ანაზდად: არც ნიადაგი იყო, არც ჰაერი; არც სინათლე და აღარც თვითონ. აღარაფერი იყო. თა-

ვის სიმძიმე ძლევდა, ძლივსღა იმაგრებდა სხეულს, რომ არ წაქცეულიყო. ეგონა, საცაა დავეცემი, სიკვდილი მომხვევს ხელსო, ეგონა, უკვე მკვდარი ვარო...

კრისტოფი კანს იცვლიდა, კრისტოფი სულს იცვლიდა და რაკი ხედავდა თავისი ბავშვობის გაცვეთილი და დამჭკნარი სულის დაცემას, აღარ ეგონა, თუ შესაძლებელი იყო მის არსებაში ახალი, უფრო ნორჩი და ძალოვანი სულის აღორძინება.

სხეულთან ერთად ადამიანის სულიც იცვლება. და ეს გარდაქმნა ყოველთვის ნელა, თანდათანობით. როდი ხდება: დგება ჟამი გარდატეხისა, როდესაც ყოველივე ერთბაშად ახლდება. ახალი სული ჩაესახება ადამიანს. ამ სევდიან ჟამს კაცს ჰგონია, ყველაფერს ბოლო მოეღოო. მაგრამ ყველაფერი ახლა იწყება. ერთი ცხოვრება მოკვდა.. და უკვე გაჩნდა მეორე.

ერთ ღამეს ის მარტო იჯდა თავის ოთახში მაგიდაზე დაყრდნობილი: ერთი სანთელი აშუქებდა ოთახს. ზურგი ფანჯრისაკენ ჰქონდა შექცეული. არ მუშაობდა:ეს რამდენიმე კვირაა, მუშაობა არ შეეძლო. ყველაფერი ირეოდა მის გონებაში, ყველაფერს ხელახლა აფასებდა რელიგიას. ზნეობას. ხელოვნებას, მთელ თავის სიცოცხლეს. ამ აწეწილი გონებისათვის უცხო იყო წესრიგი, სისტემა. პაპამისისა და ფოგელის მიერ შემთხვევით შეძენილი წიგნების გროვას დააცხრა: აქ იყო თეოლოგიური, მეცნიერული, ფილოსოფიური თხზულებანი, და მათი არა გაეგებოდა რა, რადგან ყველაფერის შესწავლა ახლა უხდებოდა: ვერც ერთი წიგნის კითხვა ვერ დაასრულა. მთლად ჩაიკარგა ბუნდოვან მსჯელობებსა და დაუსრულებელ წიაღსვლებში, მხოლოდ დაიღალა და მომაკვდინებელი სევდა იგრძნო.

ამ საღამოს მომქანცველმა გაოგნებამ შეიპყრო. სახლში ყველას ეძინა. ფანჯარა ღია იყო. ჰაერი არ იძროდა. მძიმე ღრუბლები ფარავდა ზეცას. კრისტოფი გამოტვინებულივით უმზერდა შანდლის პირამდე მიმწვარ სანთელს. დაწოლა არ შეეძლო. არაფერზე ფიქრობდა. გრძნობდა, როგორ ფართოვდებოდა არარაობა. ცდილობდა თვალი აერიდებია უფსკრულისათვის, რომელიც იზიდავდა, მაგრამ უნებლიეთ მისი ნაპირისაკენ იხრებოდა. სიცარიელეში ქაოსი იძვროდა, წყვდიადი ფოფინებდა. სევდა ეუფლებოდა, ზოგჯერ ჭიანჭველები უვლიდნენ თითქოს. კრისტოფი მაგიდას მოეჭიდა, რათა არ დაცემულიყო. რაღაცას ენით უთქმელს, სასწაულს, ღვთაებას ელოდა...

ანაზდად, თითქოს რაბი გაიხსნაო, ეზოში, მის ზურგს უკან, მძიმე, შხაპუნა

წვიმა მოვიდა. უძრავ ჰაერს ნიავმა დაჰკრა. გამხმარი და მყარი დედამიწა ზარივით ახმიანდა დ ცხოველივით თბილი და მწვანე მიწის მძაფრი სუნი, ყვავილების, ნაყოფისა და სიყვარულით აღტყინებული ხორცის სურნელი ავარდა ჰაერში სიშმაგითა და ტკბობით შეზავებული,

მოჩვენებებით თვალაბმულ, მთელი არსებით დაძაბულ კრისტოფს გულმუცელი აუკანკალდა... ფარდა გაირღვა. სინათლემ დააბრმავა. ელვის კაშკაშზე წყვდიადის წიაღი იხილა და თავად გახდა ღმერთი. ღმერთს მის არსებაში დაევანებინა. ვერ ეტეოდა და ამსხვრევდა ოთახის ჭერს, კედლებს, არსების ფარგლებს აცამტვერებდა, ავსებდა ზეცას, სამყაროს, არარაობას. მსოფლიო ჩახჩქერად გადმოვიდა მის არსებიდან. ღმერთი — უფსკრულია, არსობის კოცონი, ცხოვრების ქარიშხალი, უსასრულო, აღვირახსნილი, უაზრო ნდომა სიცოცხლისა შმაგ სურვილთა ახდენისათვის.

როდესაც კრიზისი დაცხრა, ღრმა ძილს მიეცა, ასე კარგა ხანია არ უძინია. მეორე დღეს გაღვიძებისას თავი უბრუოდა, ტანში ზარავდა ნამთვრალევივით. მაგრამ გულის სიღრმეში ისევ უკრთოდა ანარეკლი იმ მუქი და ძალოვანი სინათლისა, რომელმაც გუშინ მიწაზე დაანარცხა. შეეცადა კვლავ გაეღვივებინა. ამაოდ. რაც უფრო ცდილობდა, მით უფრო შორდებოდა მიზანს. ამის შემდეგ წუთიერი ხილვის გაცოცხლებისაკენ იყო მიმართული მუდამ მისი ენერგია. უსარგებლო იყო მცდელობა. აღფრთოვანება ნებისყოფის ბრძანებას არ ემორჩილებოდა.

ამ მისტიკური ბოდვის შემოტევას სხვაც მოჰყვა, თუმცა პირველის სიცხოველე აღარ გამეორებულა. ყოველთვის მაშინ ემართებოდა, როცა ყველაზე ნაკლებ მოელოდა კრისტოფი; წამით ანაზდად, თვალის შემართვას ან ხელის გაშვერასღა მოასწრებდა კაცი და, ხილვა გაქრებოდა, ვიდრე მოიფიქრებდა, რომ ეს ეს იყო. კრისტოფი თავს ეკითხებოდა—ხომ არ დამესიზმრაო. იმ ცეცხლოვანი მეტეორის შემდეგ, რომელმაც ღამე აანთო, ეს ნათელი მტვერი, წამიერი, ძლივსღა შესამჩნევი ნაპერწკალი ჩანდა. ისინი უფრო და უფრო ხშირად ენთებოდნენ და ბოლოს შემოერტყნენ კრისტოფს მთლიანი და ბურუსოვანი გონებით მიუწვდომელი შარავანდედის სახით. ყველაფერი, რაც ამ ძილ-ღვიძილიდან გამოიყვანდა, აღიზიანებდა.

მუშაობა არ შეეძლო. ამაზე არც ფიქრობდა. შეძულდა ხალხში ყოფნა, განსაკუთრებით ვერ იტანდა მახლობლებსა და დედას, რადგანაც ესენი მეტ უფლებას იჩემებდნენ მის სულზე.

სახლი მიატოვა, დაეჩვია გარე-გარე ხეტიალს, ღამღამობითღა მიდიოდა შინ მინდვრად განმარტოებას ეძიებდა, რათა მანიკავით თავის აკვიტებულ იდეას მისცემოდა სავსებით. მაგრამ სუფთა ჰაერზე, მიწის სიახლოვეს, მშვიდ-დებოდა და მისი აზრები ბოდვას აღარ ჰგავდნენ. აღტყინება როდი უცხრებოდა, უორკეცდებოდა, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო საშიში ნაბოდვარი, არამედ მთელი მისი არსების საღი სიმთვრალე, ახალი ძალით გალაღებული სული და სხეული.

მან ხელმეორედ აღმოაჩინა მსოფლიო, რომელიც თითქოს არასოდეს ენახა. ბალღობა განიცადა ხელმეორედ. თითქოს ჯადოქრულ ხმას, წარმოეთქვა: „სეზამ, გაიღე!“ ბუნება ლხენით გიზგიზებდა. მზე ვარვარებდა. დედამიწა ენე-ბიანად კრუტუნებდა და ოხშივარი ასდიოდა. მცენარენი, ხეები, მწერები, ური-ცხვი არსებანი სივრცეში აბრიალებული სიცოცხლის ვეება ხანძრის ელვარე ალს წარმოადგენდნენ. სიტკბოებით გაჰყიოდა ყოველი.

და ეს სიხარული კრისტოფისაც იყო. ეს ძალა მისი ძალაც იყო. ის არ არ-ჩევდა თავის თავს დანარჩენისაგან. აქამდე, ბავშვობის უბედნიერეს ჟამსაც კი როდესაც ბუნება ცხოველსა და აღტაცებულ ცნობისმოყვარეობას ჰგვრიდა, არსებანი თავის თავში ჩაკეტილ, საშიშარ ან სასაცილო რამეებად ეჩვენებოდ-ნენ. მათ არავითარი კავშირი არა ჰქონიათ კრისტოფთან და გაუგებარნი იყვნენ. არა სჯეროდა, რომ მათ შეგრძნება და სიცოცხლე აქვთ. უცნაურ მე-ქანიზმებად ესახებოდნენ და კრისტოფს შეეძლო ბავშვური. შეუგნებელი სი-სასტიკით დაეკუწა საცოდავი მწერები. აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ტანჯვას აყენებდა და ტკბებოდა მათი სასაცილო კრუნჩხვით. ერთხელ ჩვეულებრივ წყნარმა გოტფრიდმა აღშფოთებით გამოგლიჯა ხელიდან გაწამებული ბუზი. ბავშვმა ჯერ გაღიმება სცადა, შემდეგ ტირილი მორთო ბიძის მღელვარებით შეშფოთებულმა. შეიგნო, რომ მისი მსხვერპლი ისევე ნამდვილად არსებობდა, ცოცხალი იყო, როგორც თვითონ და რომ მწერის წამებით ბოროტება ჩაიდინა. მაგრამ თუმცა ამის შემდეგ ცხოველთა წამებას შეეშვა, მაინც მათ მიმართ არა-ვითარ სიყვარულს არა გრძნობდა. გვერდს უვლიდა ცხოველებს, მათი შინაგანი აგებულების შეცნობას არ ცდილობდა. ეშინოდა კიდეც ამაზე ეფიქრა: ცუდ სიზმარსა ჰგავდა ასეთი აზრი. ახლა კი ყველაფერს ნათელი მოეფინა. ეს მშვიდი და უჩინარი არსებანიც მისთვის სინათლის წყაროდ იქცნენ.

ბალახში ჩამხობილი კრისტოფი მწერების ფუთფუთს გრძნობდა, ხეების ჩრდილში მჯდომარეს კოღოების ბზუილი ჩაესმოდა, უცქერდა ჭიანჭველების ფაცაფუცს, გრძელფეხება ობობებს, რომლებიც ისე დადიოდნენ, თითქოს ცეკ-ვავენო, გვერდულად მხტომარ კალიებს, მძიმე, ფუსფუსა ხოჭოებს, სრიალა, ვარდისფერ მატლებს, მოქნილი და თეთრი ლაქებით მოხატული კანი რომ ჰქონ-

დათ: ანდა თავქვეშ ხელებამოდებული, თვალებდახუჭული უსმენდა უჩინარ ორკესტრს, სურნელოვანი ნაძვების ირგვლივ მზის სხივებში გაშმაგებით მორიალე მწერების ფერხულს, კოღოების სყვირს, კრაზანების ორღანოს ბგერას, მინდვრის ფუტკრების გუნდის ზარივით ჟრიალს ტყის კენწეროებზე და ღვთაებრივ შრიალს მოქანავე ხეებისა, ტოტების ჩუმ თრთოლას სიოს წამობერვაზე, ბალახის ნაზ რხევას, ნიავდაკრულ ანკარა ტბის ბიბინს რომ ჰგავს ნიავის ქროლვაზე, ანდა შეყვარებულთა ნაბიჯების ხმას. აი ეს ხმა ახლო მოდის, გვერდში ჩაგივლის და ჰაერში განიბნევა.

ყველა ეს ხმა, ეს ძახილი თავისივე არსებიდან მოესმოდა კრისტოფს. უმცირესსა და უდიდეს არსებებში სიცოცხლის ერთი მდინარე დიოდა და კრისტოფსაც ჰბანდა. ისინი იყვნენ სისხლნი სისხლთაგანნი მისნი, მასში ისმოდა იმათი სიხარულის ძმური გამოძახილი. მათი ძალა ერთვოდა კრისტოფის ძალას, როგორც ათასი ნაკადული ადიდებულ მდინარეს. მკერდი გახეთქვაზე ჰქონდა ჰაერის მოწოლისაგან. ქარიშხალი ლეწავდა ფანჯრებს და მის გაგუდულ გულში მძვინვარებდა. ცვლილება ძალზე უეცარი იყო. წინათ, როდესაც მხოლოდ თავისი არსებობით იყო დაინტერესებული და წვიმის წვეთებივით გაბნეული ეგონა იგი, ყველგან არარაობას პოულობდა. ახლა კი სამყაროში თავდავიწყებას ესწრაფოდა და ყველგან ხვდებოდა უსასრულო და უზომო ყოფიერება. ეგონა, მკვდრეთით აღმდგარი, საფლავიდან ამოვდივარო. სიცოცხლე უხვად დიოდა და ისიც ნებიერად დაცურავდა და ამ მდინარებით გატაცებული ლაღად გრძნობდა თავს. რა იცოდა, რომ არასოდეს ყოფილა ამაზე მეტად შებოჭილი, რომ სამყაროს მმართველი კანონიც კი არაა თავისუფალი და შესაძლოა მხოლოდ სიკვდილს მოჰქონდეს განთავისუფლება.

მაგრამ პარკიდან გამოსული ჭუპრი შვებით იზმორება ახალ გარსში: მას ჯერ არ უგრძვნია ახალი ციხის ზღუდენი.

ახალი დღეების წყება დაიწყო; ეს იყო ვარაყითა და აღგზნებით, იდუმალებითა და მომხიბვლელობით აღსავსე დღეები, იმ დროის მსგავსი, ბავშვი რომ იყო და პირველად ეცნობოდა ქვეყნიერებას. გარიჟრაჟიდან მიმწუხრამდე განუწყვეტლივ უქვრეტდა მირაჟს. საქმეს თავი მიანება. სინდისიერი ყმაწვილი, ვისაც რამდენიმე წელი ავადმყოფობის დროსაც კი არ გაუცდენია გაკვეთილი და ორკესტრის რეპეტიცია, ყოველგვარ საბაბს იყენებდა და თავს არიდებდა შრომას. სიცრუესაც არ არიდებდა თავს. სინდისი არ ქენჯნიდა. სტოიკური ცხოვრების პრინციპები, რასაც აქამომდე თავის ნებას, ზნეობას, მოვალეობას

უმორჩილებდა, ახლა ჭეშმარიტებას მოკლებულად ეჩვენებოდა. ამ პრინციპის ეჭვიანი დესპოტიზმი იმსხვრეოდა ბუნებასთან შეჯახებისას. ჯანსაღი, ძლიერი, თავისუფალი ბუნება კაცისა — აი ერთადერთი სათნოება. დანარჩენი ეშმაკსაც წაუღია! სიცილი და სიბრალული მაშინ გვმართებს, როდესაც ვხედავთ კეთილგონივრული პოლიტიკის წვრილმან წესებს, ქვეყანა რომ ზნეობის სახელით ნათლავს და მასში ცხოვრების ჩაკეტვას ლამობს. რა სასაცილო ნაჩიჩქნია მუდოსი! ცხოვრება მიდის და ყველაფერს ხვეტავს...

ძალით აღვსილ კრისტოფს დროდადრო შემუსვრის, წვის, მსხვრევის სიშმაგე ეწვეოდა, უნდოდა ბრმა და მძვინვარე მოქმედებით დაეყუჩებინა ყელთამდე მომდგარი ძალა. ჩვეულებრივ ამის ბოლო ანაზდეული სისუსტე იყო: ქვითინი აუვარდებოდა, მიწას დაემხობოდა, კოცნიდა, სურდა კბილები ჩაესო, ხელები ჩაეთხარა, გამძღარიყო მიწით. აღტყინებითა და წადილით ცახცახებდა.

ერთ საღამოს ტყის პირას სეირნობდა. თვალებით ნთქავდა სინათლეს, თავი უბრუოდა. აღგზნებული იყო და ყველაფერი სხვაგვარად ეჩვენებოდა. საღამოს ხავერდოვანი ნათელიც აჯადოებდა. მეწამული და მოვარაყებული სხივები ლივლივებდნენ წაბლის ფოთლებში. მინდვრებზე თითქოს ფოსფორული სინათლეაო. ზეცა ქალის თვალებივით ვნებიანი და ტკბილი იყო. იქვე მინდორში ქალიშვილი შლიდა თივის ბულულებს. მხოლოდ პერანგი და მოკლე ქვედა კაბა ეცვა, კისერი და მკლავები გაეშიშვლებინა. ბულულებს აგროვებდა ბაჭუა ცხვირი, მსუქანი ლოყები, წამოზნექილი შუბლი ჰქონდა, თავზე ხილაბანდი ეხურა. ჩამავალ მზეზე წითლად უღუოდა კრამიტისფრად დამწვარი კანი, თითქოს უკანასკნელ სხივებს ისრუტავდა.

კრისტოფი მოიხიბლა. ბზას მიყრდნობილი უმზერდა, როგორ უახლოვდებოდა ქალიშვილი ტყის პირს. იგი ყურადღებას არ აქცევდა კრისტოფს. მხოლოდ წუთით შემოხედა გულგრილად. კრისტოფმა დაინახა მისი ცისფერი, მკაცრი თვალები და მზემოკიდებული სახე. ქალიშვილმა ისე ახლოს გაუარა ყმაწვილს, რომ როდესაც დაიხარა თივის ასაკრეფად, ოდნავ აწეული პერანგის ქვეშ კრისტოფმა ზურგის ქერა ბუსუსებს მოჰკრა თვალი. ვაჟს გაურკვეველი წადილი ერთბაშად აღეგზნო. უკნიდან ეცა ქალიშვილს, კისერსა და წელზე შემოაჭდო ხელები, თავი გადმოუწია და მის ოდნავ ღია ბაგეს დააცხრა, მშრალ და დამსკდარ ტუჩებში აკოცა. ქალიშვილმა ბრაზით უკბინა. კრისტოფი მკვრივ მკლავებზე და ოფლიან პერანგზე უსვამდა ხელებს. ქალი იბრძოდა, ყმაწვილმა უფრო მჭიდროდ მიიკრა, უნდოდა მოეშთო. ქალიშვილი ხელიდან დაუსხლტა, უყვირა, გადააფურთხა, ხელით მოიწმინდა ტუჩები და გამოლანძღა. კრისტოფი მინდორზე გაიქცა. ქალმა ქვები დაუშინა და საშინელი გინება დაუწყო.

კრისტოფს შერცხვა იმის გამო კი არა, ქალიშვილი რომ ლანძღავდა და ცუდს ფიქრობდა მასზე, არამედ საკუთარი ფიქრის გამო. ანაზდეულმა და შეუგნებელმა საქციელმა ძრწოლით აავსო. რა ჩაიდინა? რა უნდოდა ექნა? კარგად არ ესმოდა, რა უნდოდა, ზიზღს კი მაინც გრძნობდა. მაგრამ ამ ზიზღში იყო რაღაც ცდუნება. თავს ებრძოდა და არ იცოდა, სად იყო ნამდვილი კრისტოფი. ბრმა ძალა უტევდა და ამაოდ გაურბოდა თავს. რას უზამს ეს ძალა? როგორ მოექცევა ხვალ... ერთი საათის შემდეგ... იმ ხნის გასვლის შემდეგ, რაც გადახნული მინდვრის გადარბენასა და გზაზე გასვლას მოუნდება?.. ხომ არ გააჩერებს, რათა უკან მობრუნდეს და იმ ქალიშვილს გამოეკიდოს? მაშინ? მოაგონდა ის გიჟური წამი, ქალიშვილს რომ აშთობდა. ყველაფერი შესაძლო იყო. ბოროტმოქმედებაც!.. დიახ, ბოროტმოქმედებაც კი!.. კრისტოფს გული ამოუვარდა ქოშინით. გზას რომ მიაღწია, შედგა სულის ამოსათქმელად. შორს ქალიშვილი ელაპარაკებოდა თავის ამხანაგს, რომელიც მის ყვირილზე მოვარდნილიყო: ისინი დოინჯშემოყრილნი უყურებდნენ ყმაწვილს და სიცილით იგუდებოდნენ.

კრისტოფი შინ დაბრუნდა და რამდენიმე დღით თავის ოთახში ჩაიკეტა. ქუჩაში არ გამოდიოდა, თუ აუცილებელი არ იყო. შეშინებული ერიდებოდა ქალაქგარეთ, მინდვრად გასვლას, ეშინოდა — ისევ არ მომიაროსო სიგიჟემ, ახლა რომ ისე მიყუჩებულა, როგორც ქარმა იცის გრიგალის წინ. მას ეგონა, ქალაქის კედლები დაიფარავდნენ. არ ეგონა, თუ დახურულ დარაბებს შორის დარჩენილი, თვალით შეუმჩნეველი ჭუჭრუტანაც საკმარისი იყო, რომ მტერი შემოპარულიყო.

ნაწილი მეოთხე

საბინა

სახლის ფერდში, ეზოს მეორე ძახარეს, პირველ სართულზე თავის პატარა გოგონასთან ერთად ცხოვრობდა რამდენიმე თვის წინათ დაქვრივებული ოცი-წლის ქალი. ქალბატონი საბინა ფროელიხიც მოხუცი ოილერის მდგმური იყო. მას ეკავა ქუჩაზე გამავალი დუქანი და აგრეთვე ეზოსაკენ მიქცეული ორი ოთახი. ოილერის ბაღისაგან ფათალოთი შემოსილი მავთულის უბრალო ღობით გაშოყოფილი ნაკვეთიც მას ეკუთვნოდა. საბინა ფროელიხი იქ იშვიათად თუ გამოჩნდებოდა მხოლოდ ბავშვი თამაშობდა მარტოდმარტო, დილიდან საღამომდე მიწას ჩიჩქნიდა. ბაღი უპატრონოდ იყო მიტოვებული, რაც ძალზე სწყინდა მოხუც ოილერს, წესიერად დაგვილი ხეივნებისა და მოვლილი ყვავილნარების მოყვარულ კაცს. ამის გამო რამდენჯერმე საყვედურიც უთხრა მდგმურს და ალბათ ამიტომ აღარ გამოდიოდა საბინა ბაღში, ბაღი კი ისევ მოუვლელი იყო.

ქალბატონი ფროელიხი საგალანტერიო საქონლით ვაჭრობდა და მისი დუქანი, სავაჭრო ქუჩაზე მდებარეობის წყალობით, საკმაოდ მიიზიდავდა მუშტრებს, საბინას რომ მისთვის უფრო მეტი ყურადღება მიექცია, ვიდრე თავის ბაღს აქცევდა. იმის ნაცვლად, რომ თვითონ სათანადოდ მოევლო ოჯახისათვის, როგორც ქალბატონი ფოგელის აზრით, ყოველ ღირსეულ მანდილოსანს შეეფერება, — განსაკუთრებით თუ მას სიმდიდრე არ გააჩნია (სიმდიდრე ხომ არ ამართლებს, მაგრამ გასაგებს ხდის მცონარობას), საბინამ დაიქირავა ხელზე მოსამსახურე, თხუთმეტი წლის გოგონა. ეს გოგონა დილდილობით რამდენიმე საათით მოდიოდა, ოთახებს ალაგებდა და დუქანში ვაჭრობდა, სანამ ზარმაცი ახალგაზრდა ქალბატონი ლოგინში ნებივრობდა ან სარკის წინ იპრანჭებოდა.

კრისტოფი ხანდახან ფანჯრის მინებს მიღმა ხედავდა: საბინა ფეხშიშველი, ღამის პერანგისამარა დაბორიალობდა ან საათობით უჯდა სარკეს. ქალი ისე უზრუნველი იყო, რომ ფარდების ჩამოშვება ავიწყდებოდა და ისე ზარ-

მ�ი, რომ როდესაც შეამჩნევდა ამას, თავს არ იწუხებდა. უფრო მორცხვი კრისტოფი სარკმელს შორდებოდა. რათა უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეყენებია მეზობელი. მაგრამ ცდუნება ძლიერი იყო. ღაწვებშეწითლებული უპვრეტდა შეფარვით მის შიშველ, ოდნავ გამხდარ მკლავებს. მოთენთილად რომ დასრიალებდა ჩამოშლილ თმაზე. უპვრეტდა კეფაზე გადაჭდობილ თითებს, ქალი მანამდე არ ჩამოუშვებდა თითებს, სანამ არ დაუბუჟდებოდა. კრისტოფი თავს ირწმუნებდა, უცაბედად ვნახულობ ამ საამო საცქერალს და სრულიადაც არ მიმღვრევსო მუსიკაზე ფიქრს. მაგრამ თანდათან გემო გაუგო და ბოლოს იმდენსაც ხანს უპვრეტდა ქალბატონ საბინას, რამდენსაც ქალი ტუალეტს ანდომებდა. საბინა კეკლუცი კი არა, უფრო დაუდევარი იყო და ჩვეულებრივ ბევრად უფრო ნაკლებ ზრუნავდა ჩაცმულობაზე, ვიდრე ამალია ან როზა. სარკესთან დიდხანს მხოლოდ და მხოლოდ სიზარმაცის გამო ატარებდა. თმას რომ დაიმაგრებდა სამაგრით, შეისვენებდა და შესაბრალისი გამომეტყველებით იყურებოდა სარკეში. ზოგჯერ ბინდამდეც ვერ ახერხებდა ჩაცმის დასრულებას.

შოახლე საბინას მორთვამდე მიდიოდა ხშირად, მაღაზიას მუშტარი მოადგებოდა და რამდენჯერმე უნდა დაერეკა და დაეძახა, სანამ საბინა სკამიდან წამოდგომას გადაწყვეტდა. აუჩქარებლად, ღიმილით ჩავიდოდა, აუჩქარებლად ეკითხებდა მოთხოვნილ საგანს და მალე თუ ვერ იპოვნიდა, ან (ასეც ხდებოდა) ინელად მისაწვდომ ადგილას თუ იდო, მაგალითად, ოთახის მეორე კუთხიდან კიბის მოტანა თუ იყო საჭირო მის ჩამოსაღებად, მშვიდად იტყოდა, არა მაქვსო. და რადგანაც თავს არ იწუხებდა დუქნის დალაგებითა და საქონლის მარაგის განახლებით, უკმაყოფილო მუშტრები სხვა მოვაჭრეებს მიმართავდნენ, თუმცა არ ბრაზობდნენ. შეუძლებელი იყო გაბრაზებოდით ამ ტკბილად მოლაპარაკე, აუღელვებელ და თავაზიან ქალს. რაც არ უნდა გეთქვათ, არ დაგიდევდათ. ეს ისე აშკარა იყო, რომ თუ ვინმე ბუზღუნს დაიწყებდა, დიდხანს არ გაგრძელებდა, ქალის მომხიბვლელ ღიმილზე ღიმილითვე უპასუხებდა და გავიდოდა, რათა არასოდეს შემოსულიყო. ქალი არ წუხდა ამის გამო, სულ იღიმებოდა.

ნორჩ ფლორენციელ გოგონასა ჰგავდა — ლამაზად მოყვანილი წარბები ჰქონდა. ფოფინა, წამწამებით სანახევროდ დაჩრდილული ცისფერი თვალები, ოდნავ შეშუპებული, ოდნავ დანაოჭებული ქვედა ქუთუთო. პატარა, კოხტა ცხვირი ცოტა აღმა წასვლოდა. მოთენთილი ღიმილი უმკობდა გაპობილ ბაგეს. ქვედა ბაგე ცოტათი მსხვილი ჰქონდა. მომრგვალებულ ნიკაპს ფილიპონო ლიპის ნახატი ღვთისმშობლების ბავშვური სერიოზულობა ეტყობოდა. სახის ფე-

რი მუქი ჰქონდა, ღია წაბლისფერი თმა — უწესრიგოდ დახვეული, შინიონი — უშნოდ მოქცეული. 'თხელი ტანი, წვრილი ძვლები, ზანტი ნოძრაობა. უზრუნველად ჩაცმული — ნახევრად ჩახსნილი ჟაკეტი, აწყვეტილი ღილები, საძაგელი, გაცვეთილი ფეხსაცმელები, და მაინც ახალგაზრდული მოხდენილობით, სინარნარით, ინსტინქტური, შემპარავი ალერსიანობით ხიბლავდა ხალხს. როდესაც მაღაზიის წინ სუფთა ჰაერზე გამოვიდოდა, ახალგაზრდა გამვლელ-გამომვლელნი სიამოვნებით უკვრეტდნენ. საბინა არად აგდებდა ამას, მაგრამ მხედველობიდან არ ეპარებოდა; და მაშინ მისი გამოხედვა მადლიერებასა და მხიარულებას გამოხატავდა, როგორც ყველა ქალის თვალები, როდესაც სიმპათიით უმზერენ; თითქოს ამბობდა:

— გმადლობთ!.. კიდევ! კიდევ შემომხედეთ!..

მართალია, სიამოვნებდა, რომ მოსწონდათ, მაგრამ დაუდევრობის გამო არასოდეს თითსაც არ გაანძრევდა, რათა მოსწონებოდათ.

ოილერებსა და ფოგელებს აღშფოთებდათ საბინა. ყველაფერი ბრაზსა ჰვვრიდა მათ: მისი ურცხვობაც, არეულ-დარეული სახლი, დაუდევრობა, თავაზიანი გულგრილობა მათი შენიშვნებისადმი, მუდმივი ღიმილიც, უტიფრული სიმშვიდე. რასაც ყოველთვის იბნდა — იქნებოდა ეს ქმრის გარდაცვალება, ბავშვის ავადმყოფობა და უკუღმა წასული საქმე, ყოველდღიური ცხოვრების დიდ და მცირე უსიამოვნება. ბრაზობდნენ, რომ საბინას ვერაფერი უცვლიდა ჩვეულებას, რომ ვერაფერმა გადააჩვია მუდმივ უსაქმურობას, ყველაზე მეტად კი ის, რომ, ამისდა მიუხედავად, მაინც მოსწონდა ხალხს. ქალბატონ ფოგელს ვერასგზით ვერ ეპატიებია ეს მდგმური ქალისათვის. საბინა თითქოს განზრახ იქცეოდა ასე, რათა დაერღვია, მასხრად აეგდო ძველი ტრადიციები, უაზრო მოვალეობის, უსიამო შრომის, მოქმედების, ქოთქოთის, პაექრობის, გოდების, საღი პესიმიზმის პრინციპები, რაც კი ოილერის ოჯახის წევრების, ისევე როგორც ყოველი პატიოსანი ადამიანის არსებობის საფუძველს შეადგენდა და ნაადრევ სალხინებლად აქცევდა მათ ცხოვრებას. ქალი არაფერს აკეთებდა, მთელ დღეს უსაქმოდ ეგდო და კადნიერდებოდა და ამასხარავებდა ყველას თავისი ურცხვი სიმშვიდით. მაშინ როდესაც ისინი კატორღელებსავით წელებზე ფეხს იდგამდნენ. მიუხედავად ამისა, ხალხი ამართლებდა მას! ეს ნამეტანი იყო. პატიოსნად ყოფნის სურვილს უკარგავდა კაცს!.. საბედნიეროდ (დიდება უფალს!), კიდევ არსებობენ დედამიწაზე გონიერი ადამიანები. ქალბატონი ფოგელი მათთან ინუგეშებდა თავს. ისინი დარაბების ჭუჭრუტანებიდან ზვერავდნენ ახალგაზრდა ქვრივს და ერთმანეთს უზიარებდნენ, დღის განმავლობაში რაც შეემჩნიათ. ეს მითქმა-მოთქმა ახალისებდა ოჯახს საღამო-

ობით, როდესაც ყველანი სუფრას უსხდნენ. კრისტოფი ცალი ყურით უსმენდა. ისე შეჩვეული იყო ფოგელებისაგან მეზობლების საქციელის კიცხვას, რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მათ ლაქლაქს. ამასთანავე ქალბატონი საბინას კეფასა და შიშველ მკლავებს იცნობდა მხოლოდ და ეს საამო შთაბეჭდილება სრულიადაც არ იყო საკმარისი ქალის შესახებ გარკვეული აზრის შესაქმნელად. მაინც არათუ არ კიცხავდა საბინას. სახლის პატრონთა ჯიბრზე მადლობელიც კი იყო მისი, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ქალბატონ ფოგელს არ მოსდიოდა თვალში.

ნასადილევს, როდესაც ძალიან ცხელოდა, შეუძლებელი იყო გაჩერება დახუთულ, შუადღის მზით გავარვარებულ ეზოში. ერთადერთი ადგილი, სადაც ცოტათი სულის მოთქმა შეიძლებოდა, სახლის გვერდით იყო, ქუჩაში. ოილერი და მისი სიძე ჩამოსხდებოდნენ ხოლმე ზოგჯერ კიბის საფეხურებზე ლუიზასთან ერთად. ქალბატონი ფოგელი და როზა წუთით გამოჩნდებოდნენ: საოჯახო საქმეებში იყვნენ გართულნი; ქალბატონი ფოგელი თავმოყვარეობის საკითხად თვლიდა იმის ჩვენებას, რომ უსაქმურად ჯდომის დრო ერა ჰქონდა და ყველას გასაგონად ხმამაღლა ამბობდა — ესენი კარებთან რომ დამსხდარან, ამთქნარებენ და თითსაც არ ანძრევენ, ნერვებს მიშლიანო. რაკი, სამწუხაროდ, არ შეეძლო ძალა დაეტანებინა მათთვის და სამუშაო მიეჩინა, ამჯობინებდა სულ არ დაენახა, შინიდან არ გამოდიოდა და გაშმაგებული შრომობდა. როზა თავს მოვალედ თვლიდა მისთვის მიებაძა. ოილერსა და ფოგელს ყველგან გამჭოლი ქარი ელანდებოდათ, გაცივებისა ეშინოდათ და ოთახებში გარბოდნენ ძალიან ადრე წვებოდნენ დასაძინებლად; არაფერს შეეძლო შეეცვალა მათი სულ უმცირესი ჩვეულებაც კი. ცხრა საათის შემდეგ მხოლოდ ლუიზა და კრისტოფი რჩებოდნენ გარეთ. ლუიზა მთელ დღეს ოთახში ატარებდა და ამიტომ. როცა შეეძლო, კრისტოფი მასთან რჩებოდა და ძალით გამოჰყავდა სუფთა ჰაერზე. ლუიზა მარტო არასგზით არ გამოვიდოდა: ქუჩის ხმაური აშინებდა. ბავშვები ყურისწამღები ყიჟინით დასდევდნენ ერთმანეთს, მთელი უბნის ძაღლები ყეფით ეხმიანებოდნენ. ისმოდა პიანინოს ჟღერა, უფრო შორს ვიღაცა კლარნეტს უკრავდა, მეზობელი ქუჩიდან კორნეტ-ა-პისტონის ხმა მოდიოდა; მცხოვრებლები ერთმანეთს გასძახოდნენ. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დასეირნობდა სახლების წინ. ლუიზა ამ აურზაურში ჩაიკარგებოდა. მარტო რომ მიეტოვებინათ, მაგრამ თავის ვაჟთან მჯდომარეს თითქმის სიამოვნებასაც კი ჰგვრიდა ეს, ხმაური თანდათან წყდებოდა. პირველად ბავშვები და ძაღლები იძინებდნენ, ჰგუფად მოსეირ-

ნენი დაიშლებოდნენ, ჰაერი გაიწმინდებოდა, სიჩუმე დადგებოდა, ლუიზა თავისი წვრილი ხმით უამბობდა ამალიასა და როზასაგან გაგონილ წვრილმან ამბებს. ეს თავადაც არ აინტერესებდა მაინცდამაინც, მაგრამ არ იცოდა, რაზე ელაპარაკა ვაჟიშვილთან, მასთან სიახლოვე და საუბარი კი უნდოდა. კრისტოფი გრძნობდა ამას და თავს ისე აჩვენებდა, თითქოს აინტერესებდა დედის ნაამბობი მაგრამ გულისყურით არ უსმენდა რაღაცნაირად მოთენთილი იყო და გასული დღის ამბებს იგონებდა.

ერთ საღამოს, როდესაც ასე ისხდნენ და დედა ლაპარაკობდა, კრისტოფმა დაინახა, რომ მეზობლის საგალანტერიო სავაჭროს კარი გაიღო, ქალის აჩრდილი გამოვიდა უჩუმრად და ქუჩაში სკამზე ჩამოჯდა. რამდენიმე ნაბიჯით იყო მოშორებული მისი სკამი ლუიზასაგან. ქალი ყველაზე ჩაბნელებულ ადგილას მოეწყო. კრისტოფი მის სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ იცნო. მოთენთილობამ გაუარა. ჰაერი უფრო რბილი ეჩვენა. ლუიზამ ვერ შეამჩნია საბინას მოსვლა და ხმადაბლა ისევ წყნარად ლაპარაკობდა კრისტოფმა ყური მიუგდო და თავისი აზრის გამოთქმა, ლაპარაკი მოუნდა, შესაძლოა იმიტომ, ქლს გაეგონა. მსუბუქი ლანდი არ განძრეულა. ქალი ოჯდა ოდნავ მოხრილი, ფეხი ფეხზე გადაედო და ხელები მუხლებზე დაეწყო. იგი წინ იყურებოდა და თითქოს არა ესმოდა რა. ლუიზას ძილი მოერია და შინ შევიდა. კრისტოფმა უთხრა — ცოტა ხანს კიდევ დავრჩებიო.

თითქმის ათი საათი იყო. ქუჩა დაცარიელდა. შეგვიანებული მოსეირნენი გაიკრიფენ სახლებში. მაღაზიების დარაბებს ხურავდნენ, განათებული ვიტრინები თვალებს აფახულებდნენ და ქრებოდნენ. ერთსა თუ ორს შეაგვიანდა ცოტა. ბოლოს ისინიც ჩაქრნენ. სიჩუმე... მარტო იყვნენ. სუნთქვაგანაბულნი ერთმანეთს არ უყურებდნენ, თითქოს არც ის იცოდნენ, რომ ერთიმეორის გვერდით ისხდნენ. შორეული მინდვრიდან მოთიბული ბალახის სურნელი მოდიოდა, ხოლო მახლობელი აივნიდან — ქოთანში ჩარგული მათიოლას მათრობელი სუნი. ჰაერი არ იძვროდა. ირმის ნახტომი ციმციმებდა ცაზე. ერთ საკვამურზე, დავითის ეტლის ღერძი გადმოხრილიყო: მკრთალ, მომწვანო ცაზე ზიზილებივით აყვავებულიყო მისი ვარსკვლავები. სამრეველო ეკლესიაში თერთმეტი საათისა დარეკეს. ახლომახლო ეკლესიების მეღერი, დანჯღრეული ზარები, სახლებიდან კედლის საათების ყრუ რეკვა და ხრინწიანი გუგუნი გამოეხმაურა მას.

ოცნებიდან გამოერკვნენ და ერთსა და იმავე დროს წამოდგნენ. როდესაც შინ შედიოდნენ, უსიტყვოდ დაუქნიეს თავი ერთმანეთს გამოსალმების ნიშნად.

კრისტოფი თავის ოთახში ავიდა, სანთელი აანთო, მაგიდას მიუჯდა და თავი ხელებზე დააყრდნო; დიდხანს იჯდა ასე უაზროდ. შემდეგ ამოიოხრა და დაწვა.

მეორე დილით ადგა თუ არა, უნებლიეთ მიუახლოვდა ფანჯარას და საბინას ოთახისაკენ გაიხედა. ფარდები ჩამოეშვათ და მთელი დილა ფარდებისათვის ხელი არ უხლიათ. ამის შემდეგ არასოდეს აუწევიათ.

მეორე საღამოს კრისტოფმა ისევ შესთავაზა დედას — სახლის წინ დავსხდეთო. თანდათან ჩვეულებად ექცა ეს. ლუიზა ხარობდა. ძალიან სწუხდა, როდესაც კრისტოფი სადილობის გათავებისთანავე ჩაიკეტებოდა ხოლმე დარაბებდახურულ ოთახში. პატარა, მდუმარე აჩრდილიც ყოველთვის გამოდიოდა და ჯდებოდა შეჩვეულ ადგილას. ქალ-ვაჟი სწრაფად ესალმებოდა ერთმანეთს. ლუიზა ვერ ამჩნევდა ამას. კრისტოფი დედას ესაუბრებოდა. საბინა უღიმოდა თავის გოგონას. რომელიც ქუჩაში თამაშობდა. ცხრა საათისათვის დასაძინებლად წაიყვანდა, შემდეგ კვლავ დაბრუნდებოდა უჩუმრად. როდესაც ცოტათი შეაგვიანდებოდა, კრისტოფს ეშინოდა — ვაითუ არ მოვიდესო. ყურს უგდებდა სახლიდან მოჰავალ ხმაურს. გოგონას სიცილს. ბავშვს დაძინება არ უნდოდა. საბინას კაბის შრიალს მის დუქნის ზღურბლზე გამოჩენამდე მოჰკრავდა ყურს, თვალს აჩიდებდა ქალს და გაცხოველებით ელაპარაკებოდა დედას. ზოგჯერ იგრძნობდა, რომ საბინა უყურებდა და ფარულად თვითონაც გადახედავდა, მაგრამ ერთმანეთისათვის თვალი არასოდეს გაუსწორებიათ.

გოგონამ დააკავშირა ისინი. იგი სხვა პატარებთან ერთად დარბოდა ქუჩაში, ბავშვები კეთილი ბებერი ძაღლის წვალებით ერთობოდნენ. თათებში დრუნჩჩარგული ძაღლი თვლემდა. ბოლოს გაწითლებული თვალი გაახილა და ბრაზით დაიღრინა. ბავშვები დაიფანტნენ: შიშისა და ბედნიერებისაგან ჭყლოპინებდნენ. გოგონა გამყინავი ხმით ჭყიოდა და უკან იხედებოდა, თითქოსდა ძაღლი მოსდევდა. მან კეთილად მომღიმარ ლუიზასთან მიირბინა და კალთაში ჩაუდო თავი. ლუიზამ ხელი მოხვია და გამოელაპარაკა. მალე საბინასთანაც გაიბა საუბარი. კრისტოფი ბაასში არ ჩარეულა, საბინასათვის არა უთქვამს რა, არც საბინა დალაპარაკებია მას. თითქოს ჩუმად შეთანხმებულიყვნენ, თავი უცნობებივით ეჭირათ. მაგრამ კრისტოფს სიტყვა არ გამოპარვია მათი საუბრიდან. ლუიზას ეჩვენა, კრისტოფის დუმილი ცოტა უხერხულიაო. საბინა სხვაგვარად ფიქრობდა, კრთოდა და ენა ერეოდა. ამიტომ რაღაც მოიმიზეზა და შინ შევიდა.

ლუიზას სურდო შეეყარა და მთელი კვირა ოთახიდან არ გამოსულა.

კრისტოფი და საბინა ერთმანეთს შერჩნენ. პირველად შეცბენ. მღელვარებ-ს დასაფარავად საბინამ თავისი გოგონა დაისვა მუხლებზე და კოცნა დაუწყო. შეშფოთებულმა კრისტოფმა არ იცოდა რა ექნა, — უწინდებურად ისე დაეჭირა თავი, თითქოს ვერას ამჩნევდა? უხერხული იყო; მართალია, ერთი სიტყვაც არ უთქვამთ, მაგრამ ლუიზას წყალობით უკვე იცნობდნენ ერთმანეს კრისტოფმა სცადა ეთქვა რაიმე, სიტყვა ყელში გაეხირა. გოგონამ კიდევ ერთხელ იხსნა ისინი გასაჭირისაგან, დამალობანას თამაშისას კრისტოფის სკამს უტრიალებდა. ვაჟმა დაიჭირა და აკოცა. ბავშვები მაინცდამაინც არ უყვარდა, მაგრამ უცნაური სიტკბოება იგრძნო, ამ გოგონას რომ კოცნიდა. თამაშით გართული გოგონა ხელიდან დასხლტომას ლამობდა. კრისტოფი აღიზიანებდა, პატარამ ხელზე უკბინა. ვაჟმა მიწაზე ჩამოსვა ბავშვი. საბინა იცინოდა. რამდენიმე უმნიშვნელო სიტყვა უთხრეს ერთმანეთს. შემდეგ კრისტოფმა სცადა (თავი მოვალედ ჩათვალა და იმიტომ) საუბარი გაება მაგრამ მას ლაპარაკი არ ეხერხებოდა, არც საბინა დახმარებია, კრისტოფის ნათქვამს იმეორებდა მხოლოდ.

— კარგი საღამოა.

— დიახ, ჩინებული საღამოა.

— ეზოში სულს ვერ მოითქვამს კაცი.

— ჰო, ძალიან დახუთულია.

ბაასი გაძნელდა. საბინამ ისარგებლა იმით, რომ ბავშვის დაძინების დრო დადგა და შინ შევიდა. აღარც გამოსულა.

კრისტოფი შეშფოთდა: ეაითუ ამის შემდეგ არ გამოვიდეს და თავი ამარიდოს, სანამ ლუიზაც არ შეგვიერთდებაო. მაგრამ პირიქით მოხდა, მეორე დღეს თავად საბინამ სცადა საუბარი წამოეწყო. ეტყობოდა, საუბარი არ სიამოვნებდა, ძალიან უჭირდა საუბრისათვის თემის გამოძებნა, თავისივე კითხვები გვრიდა მოწყენას. კითხვა-პასუხი კანტიკუნტად გაისმოდა გულისგამაწყალებელ სიჩუმეში. კრისტოფს ოტოსთან პირველი შეხვედრა მოაგონდა. საბინასთან სალაპარაკო თემათა რიცხვი კიდევ უფრო განსაზღვრული იყო. თანაც ქალს არ გააჩნდა ოტოს მოთმინება. რომ დაინახა, მისი ცდა წარმატებით არ გვირგვინდებოდა. ლაპარაკს თავი დაანება, ძნელი იყო და თავის შეწუხებას არ გახლდათ ჩვეული. ქალი დადუმდა, ვაჟმაც მას მიბაძა.

მაშინვე ყველაფერი ამაო გახდა ისევ, ღამე ისევ მშვიდი, გული ისევ ფიქრით დაყურსული. საბინა ოცნებობდა და ნელა ირხეოდა სკამზე, კრისტოფიც ოცნებობდა. არას ამბობდნენ. ნახევარი საათის შემდეგ კრისტოფმა ენა ამოიდგა, თავის თავს ელაპარაკებოდა ხმადაბლა აღტაცებული თბილი ნიავის ქროლვით, რომელსაც ხენდროს სურნელი მოჰქონდა. საბინამაც ჩაურთო ორი-სამი

სიტყვა. ისევ დადუმდნენ. ატკბობდათ ამ გაურკვეველი სიმყუდროვისა და უმნიშვნელო სიტყვების მომხიბვლელობა. ორივენი ერთ ოცნებას შეეპყრო. ერთი აზრით იყვნენ გამსჭვალულნი. არ იცოდნენ, რა აზრი იყო ეს, თავს არ უტყდებოდნენ. როდესაც თერთმეტმა საათმა დაჰკრა, ღიმილით განშორდნენ ერთმანეთს.

მეორე დღეს არც უცდიათ საუბრის განახლება: ისევ სანუკვარ დუმილს მიეცნენ. დროდადრო კენტ სიტყვებს წარმოთქვამდნენ და ეს ამცნობდა, რომ ერთ საგანზე ფიქრობდნენ.

საბინამ გაიცინა.

— რა კარგია, — თქვა მან, — როცა თავს ძალას არ ატან, ილაპარაკო! საუბარი სავალდებულოდ ითვლება, მაგრამ რა მოსაწყენია!

— ო! — მღელვარებით მიუგო კრისტოფმა, — ნეტა ყველა თქვენი აზრისა იყოს.

ორივეს გაეცინა. ქალბატონი ფოგელი მოაგონდათ.

— საწყალი ქალი! — თქვა საბინამ.

— მეტისმეტად დაუცხრომელია, — უპასუხა კრისტოფმა ბრაზით.

საბინა გაამხიარულა მისმა გამომეტყველებამ და სიტყვებმა.

— თქვენ ეს სასაცილო გგონიათ? — განაგრძო ყმაწვილმა, — რა გენაღელებათ, საფრთხე არიდებული გაქვთ.

— რაღა თქმა უნდა, — თქვა საბინამ, — კარს კლიტით ვკეტავ.

ქალმა ტკბილი, თითქმის უჩუმარი სიცილი იცოდა. კრისტოფი აღტაცებით უსმენდა, როგორ წკრიალებდა მისი ხმა ღამის სიმყუდროვეში. შვებით შეისუნთქა გრილი ჰაერი.

— აჰ, რა კარგია გაყუჩება! — თქვა კრისტოფმა.

— და რა ამაოა ლაპარაკი! — დაურთო საბინამ.

— დიახ, უსიტყვოდ უკეთ მესმის!

ისევ დაჩუმდნენ. სიბნელე ფარავდათ. ორივენი იღიმებოდნენ.

თუმცა საერთო განცდა ჰქონდათ, — ასე ეგონათ, — ურთიერთის შესახებ არა იცოდნენ რა. საბინას ეს სრულიადაც არ აწუხებდა. კრისტოფი უფრო ცნობისმოყვარე იყო. ერთ საღამოს ჰკითხა ქალს:

— მუსიკა გიყვართ?

— არა, — მიუგო საბინამ, — მოწყენილობას მგვრის. სრულიად არ მესმის.

ქალის გულწრფელობამ მოხიბლა კრისტოფი. გული ჰქონდა გაწვრილებული იმ ადამიანების სიცრუისაგან, რომელნიც ირწმუნებოდნენ — მუსიკა გა-

გიჟებით გვიყვარსო და მუსიკის მოსმენისას მთქნარებას ვერ იკავებდნენ. ამიტომ საბინას სათნოებად ჩაუთვალა, რაკი აშკარად თქვა: — მუსიკა არ მიყვარსო. ჰკითხა, ალბათ კითხულობთო.

არა. წიგნებიც კი არა ჰქონია.

თავისი წიგნები შესთავაზა.

— სერიოზული წიგნებია? — ჰკითხა შეშფოთებულმა საბინამ.

— თუ არ გნებავთ, სხვა იყოს. თუნდაც ლექსები.

— სწორედ ეგაა სერიოზული.

— მაშინ რომანები.

საბინა დაიმანჭა.

— არ გაინტერესებთ?

როგორ არა. საინტერესოა, მაგრამ ძალიან ღიდი წიგნებია და მოთმინება არა ჰყოფნის, რომ ბოლომდე ჩაიკითხოს. დასაწყისი ავიწყდება, თავებს ტოვებს და ბოლოს არაფერი ესმის. მაშინ მიაგდებს ხოლმე.

— ეს იმას ადასტურებს, რომ წიგნი უინტერესოა.

არა, მოგონილი ამბავი უფრო საინტერესო როგორ იქნება. სულ სხვა რამე აინტერესებს.

იქნებ თეატრი?

ო, სრულიადაც არა.

წარმოდგენებზე არ დადის?

არა. იქ ძალიან ცხელა, ძალიან ბევრი ხალხია. შინ ყოფნა სჯობს. იქ სინათლე თვალსა ჭრის. მსახიობებიც ეგზომ მახინჯები არიან!

ამაზე კრისტოფიც თანახმაა, მაგრამ თეატრში სხვა რამეც არის — პიესები.

— ჰო, — გულგრილად მიუგო ქალმა, — მაგრამ დრო არა მყოფნის.

— რას აკეთებთ დილიდან საღამომდე?

საბინამ გაიცინა.

— საქმე უამრავია.

— მართლაც, — თქვა კრისტოფმა, — თქვენ ხომ მაღაზია გაქვთ.

— ო! — მშვიდად წარმოთქვა ქალმა, — დუქანს ბევრი ზრუნვა არ სჭირდება.

— მთელ დროს ბავშვს ანდომებთ?

— ო, არა. ჩემი გოგონა ჭკვიანია! თავისთვის ერთობა.

— მაშ რას აკეთებთ?

კრისტოფმა მოურიდებლობისთვის ბოდიში მოიხადა. მაგრამ ქალს საუბრის ასეთი მიმართულება ართობდა.

— საქმე იმდენია, რომ..

მაინც რა?

ვერ ეტყვის, ათასნაირი უნდა ადგეს, მოიკაზმოს, სადილზე იფიქროს, გააკეთოს, შეჭამოს, შემდეგ ვახშამზე იზრუნოს, ცოტათი ოთახიც მიალაგოს... ამასობაში დღეც გადის... ცოტა დროც ხომ უნდა გაატაროს უსაქმურად?!

— არ გწყინდებათ?

- არასოდეს.

— როცა უსაქმოდ ხართ, არც მაშინ?

— განსაკუთრებით მაშინ არ მწყინდება, უფრო საქმიანობისას მოვიწყენ ხოლმე.

სიცილით შეხედეს ერთმანეთს.

— რა ბედნიერი ხართ! — უთხრა კრისტოფმა. — მე არ შემიძლია უსაქმურობა.

— მე მგონი, მშვენივრად შეგიძლიათ.

— ამ ბოლო დროს ვსწავლობ.

— შეისწავლით.

საბინასთან საუბრის შემდეგ ვაჟი დამშვიდდა. ისიც აკმაყოფილებდა რომ ქალს უცქერდა. ისვენებდა მღელვარების, გაღიზიანებისა და ნერვიული წუხილისაგან. ყოველგვარი მღელვარების გარეშე ესაუბრებოდა ქალს, ყოველგვარი მღელვარების გარეშე ფიქრობდა მასზე. ვერ ბედავდა გუნებაში გაემხილა, მაგრამ როდესაც საბინასთან იყო. ამ სინაზე ეუფლებოდა, იბნიდებოდა თითქმის, ღამღამობით ისე იძინა, როგორც არასოდეს.

სამუშაოდან დაბრუნებისას კრისტოფი მაღაზიაში შეიხედავდა ხოლმე და იშვიათად თუ მოხდებოდა, რომ იქ საბინა არ დახვედროდა. ღიმილით ესალმებოდნენ ერთმანეთს ზოგჯერ ქალი ზღურბლთან შეეგებებოდა: რამდენიმე სიტყვას იტყოდნენ. ხანდახან ვაჟი შეაღებდა კარს, ბავშვს დაუძახებდა და კანფეტების კოლოფს ჩაუდებდა ხელში.

ერთხელ გადაწყვიტა შესულიყო. ღილები მჭირდებაო, უთხრა. საბინამ ძებნა დაუწყო, მაგრამ ვერ იპოვა. ღილები არეოდა და შეუძლებელი იყო გამორჩევა. ქალს ცოტათი სწყინდა, რომ კრისტოფი ხედავდა ამ უწესრიგობას. ვაჟი ერთობოდა, ცნობისმოყვარეობით დახრილიყო, რათა უკეთ დაენახა.

— ნუ! — თქვა ქალმა და ხელები დააფარა უჯრას, — ნუ უყურებთ! აქ ისეთი არეულობაა...

ისევ დაუწყო ძებნა. კრისტოფთან უხერხულად გრძნობდა თავს. გაჯავრდა და მიხურა უჯრა.

— ვერ ვნახე. ლიზასთან შეიარეთ, მეზობელ ქუჩაზე. ნამდვილად ექნება. მას ყველაფერი აქვს.

კრისტოფს გაეცინა, კლიენტების მოზიდვის ამ ორიგინალური ხერხის შემყურეს.

— ყველა მუშტარს ასე ისტუმრებთ?

— ეს პირველი შემთხვევა არაა, — მხიარულად მიუგო ქალმა.

მაინც ცოტათი დარცხვენილი იყო.

— დალაგება ძალზე ჭოსაწყენი საქმეა, — ისევ წამოიწყო მან, — მუდამ მეორე დღისათვის ვდებ ხოლმე., მაგრამ ხვალ კი ნამდვილად დავალაგებ.

— თუ გნებავთ, მოგეხმარებით! — შესთავაზა კრისტოფმა.

ქალმა უარი უთხრა. ძალიან უნდოდა დათანხმებოდა, მაგრამ მითქმა-მოთქმის შიშით ვერ გაბედა. ამასთანავე თავმოყვარეობამაც არ მისცა ნება.

საუბარი განაგრძეს.

— თქვენი ღილები? — უთხრა წუთიერი დუმილის შემდეგ კრისტოფს. — ლიზასთან არ შეიტანეთ?

— არასოდეს, — უპასუხა კრისტოფმა, — დავიცდი, ვიდრე დაალაგებდეთ.

— ო, — თქვა საბინამ,რომელსაც უკვე დავიწყებოდა ახლახან თქმული, — მაშ, დიდხანს მოგიხდებათ ცდა!

ამ გულახდილობამ ორივე გაამხიარულა.

კრისტოფი მიუახლოვდა მიხურულ უჯრას.

— ნება მომეცით, მე მოვძებნო.

ქალი მივარდა, რათა ხელი შეეშალა.

— არა, არა, გევედრებით. დარწმუნებული ვარ, ისეთი ღილები არცა მაქვს...

— გარწმუნებთ, აუცილებლად გექნებათ.

და მაშინვე ამოიღო ზეიმით ერთი ისეთი ღილი, როგორიც უნდოდა. კიდევ რამდენიმე იყო საჭირო. კრისტოფმა უჯრას ჩხრეკა დაუწყო, მაგრამ საბინამ ხელიდან გამოჰგლიჯა და ღირსებაშელახული თავად შეუდგა ძებნას.

დღე იწურებოდა. ქალი ფანჯარასთან მივიდა. კრისტოფი რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ჩამოჯდა. პატარა გოგონა მუხლებზე აუცოცდა. კრისტოფს. თავი ისე ეჭირა, თითქოს ჭის ტიტინს უსმენდა და დაბნეულად პასუხობდა საბინას უჭვრეტდა. ქალი გრძნობდა ამას. უჯრაზე დახრილიყო. ვაჟი ხედავდა მის კეფასა და ლოყის ნაწილს. უცებ შეამჩნია, რომ ქალი გაწითლდა და თვითონაც მოედო სიწითლე.

ბავშვი ისევ ტიტინებდა. პასუხს არავინ აძლევდა. საბინა არ იძვროდა. კრისტოფი ვერ ხედავდა. რას აკეთებდა ქალი. მაგრამ დარწმუნებული იყო ხელს არ ანძრევდა. კეღარც ხედავდა უჯრას, ხელში რომ ეჭირა. დუმილი გახანგრძლივდა შეშფოთებულ გოგონა ჩამოცურდა კრისტოფის მუხლებიდან:

— რატომ არაფერს ამბობთ?

საბინა უცბად მობრუნდა და მკერდში ჩაიკრა ბავშვი. უჯრა იატაკზე დავარდა. პატარამ სიხარულის ყიჟინა დასცა და ფორთხვით გამოედევნა ავეჯის ქვეშ დაბზრიალებულ ღილებს. საბინა ფანჯარასთან მივიდა ისევ და სახე მინას მიაყრდნო. თითქოს ქუჩის სანახაობით იყო გართული.

— ნახვამდის. — თქვა შეცბუნებულმა კრისტოფმა.

საბინა არ განძრეულა. ჩურჩულით მიუგო:

— ნახვამდის.

კვირაობით, ნაშუადღევს შინ აღარავინ იყო. მთელი ოჯახი ეკლესიაში ბიდიოდა მწუხრის ლოცვაზე. საბინა შინ რჩებოდა. ერთხელ როდესაც ჟღრიალა ზარები გუგუნით მოუხმობდნენ მლოცველთ. კრისტოფმა პატარა ბაღში კარის წინ ჩამომჯდარი საბინა შეამჩნია და ხუმრობით უსაყვედურა, მწუხრზე რად არ მიხვალთო. ქალმა იმავე კილოთი მიუგო: მხოლოდ წირვაა სავალდებულო, მწუხრი კი — არა. ამაოა, ცოტათი კადნიერებადაც ჩამოგერთმევა მეტისმეტი გულმოდგინეობის გამოჩენა, სჯობს ვიფიქრო, ღმერთი კი არ მიწყრება, მადლობელია ჩემიო.

— თქვენ სახისა თქვენისებრ წარმოგიდგენიათ ღმერთი, — უთხრა კრისტოფმა.

— სულაც არა, ღმერთის ადგილას ჩემისთანა ადამიანს არ შევქმნიდი, — თქვა დარწმუნებული კილოთი საბინამ.

— მის ადგილას რომ თქვენ ყოფილიყავით, ძალიან არ შეიწუხებდით თავს ქვეყნისათვის!

— ჩემი ერთადერთი თხოვნა ქვეყნისადმი ისაა — ჩემთვის ნუ შეიწუხებენ თავს.

— ამას ცუდი არაფერი მოჰყვება, ალბათ, — თქვა კრისტოფმა.

— სუ! — წამოიძახა საბინამ, — ეს მკრეხელური ლაპარაკია!

— აბა რა მკრეხელობაა იმის თქმა, რომ ღმერთი თქვენ გგავთ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მის ყურს ესიამოვნება.

— გაჩუმდით! — უთხრა საბინამ სიცილით და ოდნავი წყრომით. შიში შე-

ეპარა — ვაითუ უფალი მართლა გაწყრესო. საჩქაროდ სხვა რამეზე გადაიტანა სიტყვა.

— ეს ერთადერთი დროა მთელი კვირის განმავლობაში, როდესაც შეიძლება ბაღის სიმშვიდით დატკბე.

— ჰო, — კვერი დაუკრა კრისტოფმა, — ისინი შინ არ არიან.

ერთმანეთს გადახედეს.

— რა სიწყნარეა, — თქვა საბინამ, — არაჩვეულებრივი... სად ხარ, აღარ იცი თითქო...

— ოჰ! — უეცრად ბრაზით წამოიძახა კრისტოფმა, — ზოგჯერ მინდა ვივახრჩო ყველა.

იმის განმარტება აღარ იყო საჭირო, ვისზე იყო ლაპარაკი.

— ნუთუ ყველანი? — მხიარულად შეეკითხა საბინა.

—ჰო, მართლა, — მიუგო მშმუნვარებით კრისტოფმა, — როზას არ მოვახრჩობდი.

— საწყალი! — თქვა საბინამ.

დადუმდნენ.

— ყოველთვის ასე რომ იყოს, როგორც ახლაა!.. — ამოიოხრა კრისტოფმა.

ქალმა მოცინარე თვალებით ახედა, შემდეგ ისევ დახარა თავი. ყმაწვილმა შეამჩნია, საბინა რაღაცას აკეთებდა.

— რას აკეთებთ? — ჰკითხა.

(ბაღის ბოლოზე გასული ფათალოს რიდე ჰყოფდა მას საბინასაგან).

— ხომ ხედავთ, — თქვა ქალმა და ასწია საწვნე, რომელიც მუხლებზე ედგა. — მწვანე მუხუდოს კარჩევ.

მან ღრმად ამოიოხრა.

— განა ასე უსიამოვნოა ეგ საქმე, — უთხრა სიცილით ვაჟმა.

— ოჰ! — მიუგო ქალმა, — მომკლავს ყოველდღე საშმელზე ზრუნვა!

— სანაძლეოს დავდებ, — თქვა კრისტოფმა, — შესაძლებელი რომ იყოს, უსადილოდაც იოლად გადაივლიდით, ოღონდ სადილის მომზადება არ დაგეკისროთ.

— რაღა თქმა უნდა.

— მოდით, მოგეხმარებით!

ღობეს გადაალაჯა და ქალთან გაჩნდა.

საბინა ზღურბლის წინ იჯდა სკამზე. კრისტოფი მის ფერხთით, კიბისსაფეხურზე ჩამოჯდა. ქალის კაბის ნაოჭებიდან მუჭა-მუჭად იღებდა მწვანე

პარკებს, ხოლო პატარა, მრგვალ ფარცვლებს ქალის მუხლებს შუა ჩადგმულ ხაწვნეში ჰყრიდა. თვალები მიწისკენ დაეხარა. ხედავდა საბინას შავ წინდებს, კოშებსა და ტერფებზე რომ შემოტმასნოდა და თვალის გამართვას. თავის აწევას ვერა ბედავდა.

ჰაერი დაიხუთა, ძალზე თეთრი, დაბალი და მკვდრისფერი იყო. არცერთი ფოთოლი არ იძვროდა. ბაღს მაღალი გალავანი ერტყა. სამყაროც აქ თავდებოდა.

ბავშვი ვეზობლისას წასულიყო. ისინი მარტო იყვნენ. ხმას არ იღებდნენ. არ შეეძლოთ ეთქვათ რაიმე. თვალისჩინდაკარგული კრისტოფი იღებდა საბინას კალთიდან მუხუოს პარკებს. თითები უთრთოდა. ქალს რომ ეხებოდა. გლუვსა და ნედლ პარკებში საბინას მთრთოლვარე ხელს წააწყდა. ამის შემდეგ აღარ შეეძლო მუშაობის გაგრძელება. გაუნძრევლად ისხდნენ და ერთმანეთს თვალს არიდებდნენ. ქალი სკამზე გადასვენებულიყო ბაგეგახსნილი და ხელებჩამოყრილი. ვის ფერხთით მჯდომარე ვაჟი მიყრდნობოდა მას. მხარსა და მკლავზე ხაბინას თეძოს სითბოსა გრძნობდა. ქშენა აუვარდა. კრისტოფმა ქვას დაადო ხელები გასაგრილებლად. ერთი ხელი ჩამოუცურდა და საბინას ქოშგახდილ ფეხს შეეხო და შეჩერდა ზედ. ვეღარ მოსწყვიტა. აკანკალდნენ. თავბრუ ეხვეოდათ. კრისტოფმა საბინას ფეხის წვრილ თითებს მოუჭირა ხელი. ციოფლდასხმული საბინა დაიხარა კრისტოფისაკენ...

ნაცნობმა ხმებმა გამოარკვიეს ამ თრობისაგან. შეკრთნენ. კრისტოფი ერთი ნახტომით გადაეკვლო ღობეს. საბინამ ნაფცქვინი კალთაში ჩაიყარა და შინ შებრუნდა. კრისტოფმა უკან მოიხედა. ქალი ზღურბლზე იდგა. ერთმანეთს შეხედეს. წვიმის წვეთებმა ტკაპატკუპი დაიწყეს ფოთლებზე... საბინამ კარი მიიხურა. ქალბატონი ფოგელი და როზა შემოვიდნენ ეზოში... კრისტოფი თავის ოთახში ავიდა...

როდესაც ჩაქრა მკრთალი, წვიმიანი დღე, რაღაც გაურკვეველი ბიძგით აღძრული კრისტოფი მაგიდიდან ადგა. დაგმანულ ფანჯარასთან მიირბინა და ხელები გაიშვირა საბინას სარკმლისაკენ. იმავ წუთს იმ დახურული სარკმლის შინების მიღმა, ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში დაინახა თუ ეგონა დავინახეო — საბინა. ქალიც მას უწვდიდა ხელებს.

საჩქაროდ გავარდა გარეთ. კიბეზე ჩაირბინა. ბაღის ღობეს მიაწყდა. გადახვლა დააპირა. მერე რაა, რომ დაინახავენ. მაგრამ თვალი შეავლო თუ არა იმ სარკმელს, შეამჩნია, რომ დარაბები დახურული იყო. სახლს თითქოს ეძინა. კრისტოფი შეყოყმანდა. სარდაფში მიმავალმა მოხუცმა ოილერმა შეამჩნია ყმაწვილი და დაუძახა. კრისტოფი შინ დაბრუნდა. ეგონა, ყველაფერი ეს სიზმრად ნახა.

როზას დიდი დრო არ დასჭირვებია, რომ შეემჩნია რაც ხდებოდა. მაგრამ უნდობლობა ჯერ არ იცოდა რა იყო და არც ექვისა გაეგებოდა რამ. მზად იყო ყველაფერი გაეცა და არაფერს თხოულობდა სამაგიეროდ. მაგრამ თუმცა გულისტკივილით ირწმუნა, კრისტოფს არ ვუყვარვარო, იმას ვეღარ წარმოიდგენდა, თუ შესაძლებელი იყო ყმაწვილს სხვა შეჰყვარებოდა.

ერთ საღამოს, ნასადილევს, ერთი გულისგამაწყალებელი საქარგავი დაასრულა, რასაც რამდენიმე თვე მოანდომა. ბედნიერად გრძნობდა თავს, თან სურდა ცოტაოდენი თავისუფლებით დამტკბარიყო, ერთხელ მაინც ესაუბრა კრისტოფთან: ისარგებლა იმით, რომ დედამისი მისკენ ზურგშექცევით იდგა და ოთახიდან გაიპარა, დამნაშავე მოწაფესავით გავარდა გარეთ. ხარობდა, გავაოცებო კრისტოფს, ტყუილად მიგდებდა აბუჩად და მიმტკიცებდა — ვერასოდეს დაამთავრებო. საწყალმა გოგონამ კარგად იცოდა, რა გრძნობით უყურებდა მას კრისტოფი, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა რაკი მე მიხარია კრისტოფთან შეხვედრა, არც იმას უნდა სწყინდესო.

გარეთ გავიდა. კრისტოფი და საბინა სახლის წინ ისხდნენ. როზას გული შეეკუშმა. მაგრამ ყური არ უთხოვებია ამ უსაფუძვლო შთაბეჭდილებისათვის და მხიარულად დაუძახა კრისტოფს. გოგონას გამყინავი ხმა საღამოს სიმყუდროვეში ყალბი ნოტივით შეესმა ყმაწვილს. იგი შეკრთა და ბრაზით დაიღმიჭა. როზამ ზარ-ზეიმით მიუტანა ცხვირთან თავისი ხელსაქმე. კრისტოფმა მოუთმენლად მოიშორა.

— დავამთავრე! დავამთავრე! — გაუმეორა როზამ.

— ძალიან კარგი, წაბრძანდით და ახალი წამოიწყეთ! — ცივად უთხრა კრისტოფმა.

როზა გაქვავდა, სიხარული სავსებით გაუქრა.

კრისტოფმა გულღრძოდ განაგრძო:

— და როდესაც ოცდაათ მაგგვარ ნაქარგს დაასრულებთ და ღრმად მოხუცდებით, ის მაინც შეგეძლებათ თქვათ, რომ ამაოდ არ გიცხოვრიათ ამქვეყნად.

როზას ცრემლი მოერია.

— ღმერთო, რა ავი ხართ, კრისტოფ! — თქვა ჩუმად.

კრისტოფს შერცხვა და რამდენიმე მეგობრული სიტყვა უთხრა. გოგონა მცირედითაც კმაყოფილდებოდა და მაშინვე კარგ გუნებაზე დადგა და გადამეტებული, ხმამაღალი ლაქლაქი გაბა. არ შეეძლო ხმადაბლა ელაპარაკა, ყურისწამღებად გაჰყვიროდა, როგორც იცოდნენ მისი ოჯახის სხვა წევრებმა. კრისტოფი ძალიან ეცადა, ბრაზი შეეკავებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. ჯერ თითოოროლა სიტყვა მიუგო გაბრაზებულმა, შემდეგ სრულებით დაიდუმა ენა და

ზურგი შეაქცია. სკამზე აწრიალდა, კბილები გააკრაჭუნა როზას ჭარტალით გაბეზრებულმა. როზა ხედავდა, მოთმინებიდან გამოპყავდა ყმაწვილი, იცოდა, უნდა დაჩუმებულიყო, მაგრამ უფრო უმატებდა ლაქლაქს. საბინა სიბნელეში, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით იჯდა უჩუმრად და დამცინავი გულგრილობით უცქეროდა მათ, შემდეგ დაიღალა, მიხვდა, საღამო გაფუჭდაო, ადგა და შინ შეავიდა. კრისტოფმა მხოლოდ მაშინ შეამჩნია ეს, როდესაც ქალი უკვე სახლში იყო. იგი მაშინვე წაშოდგა და ბოდიშის მოუხდელად წავიდა, როზას ცალყბად მიუგდო „ძილი ნებისაო!"

როზა მარტო დარჩა, შეურაცხყოფილი უყურებდა კარს, რომელსაც კრისტოფი მიეფარა. ცრემლი ახრჩობდა. საჩქაროდ შევარდა შინ, უხმაუროდ ავიდა თავის ოთახში — დედა არ დაშელაპარაკოსო. სწრაფად გაიძრო ტანსაცმელი, ლოგინში ჩაწვა, საბანი წაიფარა თავზე და აქვითინდა. არ ცდილობდა გაეგო, რა მოხდა, არც იმის გამოკვლევა დაუწყია — უყვარდა თუ არა კრისტოფს საბინა, ეჯავრებოდა თუ არა მას კრისტოფი და საბინა, იცოდა, ყველაფერი გათავდა, მის სიცოცხლეს აზრი არა ჰქონდა, სიკვდილის გარდა არაფერი დარჩენოდა.

მეორე დილით აზროვნების უნარი დაუბრუნდა მაცდურ იმედთან ერთად. წინა საღამოს მომხდარი მოიგონა და თავი დაირწმუნა — ამისათვის ეგოდენ მნიშვნელობა არ უნდა მიმენიჭებიაო. უეჭველი იყო, კრისტოფს არ უყვარდა იგი. როზა შეურიგდა ამას, გულის სიღრმეში ჩაიმარხა იმედი, რომ თავს შეაყვარებდა თავისი სიყვარულის ძალით. მაგრამ საიდან მოიგონა, თითქოს კრისტოფსა და საბინას შორის რაიმეაო? როგორ შეუძლია ეგზომ ჭკვიან კრისტოფს შეიყვაროს ეს მდაბალი პიროვნება? საბინას სიბრიყვე და უმაქნისობა ხომ ყველას თვალში ეცემა? როზა დამშვიდდა, მაგრამ კრისტოფს მაინც ოვალთვალი დაუწყო. დღისით ვერაფერი შეამჩნია, არც არაფერი იყო შესამჩნევი, მაგრამ სამაგიეროდ კრისტოფმა შეამჩნია, გოგონა მთელი დღე გარშემო ეტრიალებდა და ამან ძალიან გააბრაზა, ხოლო საღამოს, როდესაც როზა ქუჩაში გავიდა და მაო გვერდით ჩამოჯდა პიჯგამეხებული, კრისტოფის სიბრაზემ ეკიდურეს საზღვარს მიაღწია. წუხანდელი ამბავი განმეორდა: მარტო როზა ლაპარაკობდა. მაგრამ საბინას გუშინდებურად დიდხანს არ უგდია ყური და ადრე შევიდა შინ. კრისტოფმაც მას მიბაძა. ყველაფერი ნათელი იყო—როზას იქ ყოფნას ველარ იტანდნენ; მაგრამ უბედური გოგონა ცდილობდა თავი მოეტყუებინა, სხვა ვერაფერი მოიგონა და საღამოობით ისევ გამოდიოდა ქუჩაში.

მეორე დღეს როზას გვერდით მჯდომარე კრისტოფი ამაოდ ელოდა საბინას გამოჩენას.

მესამე დღეს როზა მარტო აღმოჩნდა. იმ ორმა ფარ-ხმალი დაყარა. მაგრამ

გოგონას ამით არა მოუგია რა, კრისტოფის გულღრძოობის გარდა. კრისტოფი რაკი ამ ძვირფას საღამოებს, თავის ერთადერთ ბედნიერებას მოაკლდა, გაშმაგდა და როზა შეიძულა. მით უფრო ვერ მიუტევა ეს გოგონას, რომ თავის გრძნობაში ჩაფლულს არასოდეს მოსვლია აზრად გამოეცნო როზას გულისთქმა.

საბინამ კი კარგა ხანია იცოდა, როზა ეჭვიანობდა. მანამდეც იცოდა ეს. ვიდრე გაიგებდა, შეიძლება კრისტოფი მეც შემიყვარდესო. მაგრამ არას ამბობდა. ყოველი ლამაზი, თავდაჯერებული ქალი ასეთ დროს ულმობელია და უხმოდ ადევნებს თვალს თავისი უგერგილო ვეტოქის ამაო წრიალს.

ბრძოლის ველი როზას დარჩა. იგი გულისტკივილით შეჰყურებდა თავისი ტაქტიკის შედეგს. ყველაფერს აჯობებდა, არ გაკერპებულიყო და თავი დაენებებინა კრისტოფისათვის, ცოტა ხნით მაინც; ასე არ მოქცეულა. და რადგანაც ყველაზე უარესი, რაც შეეძლო როზას ჩაედინა, კრისტოფთან საბინაზე ლაპარაკი იყო, სწორედ მასზე გაუბა საუბარი.

ვაჟის აზრების შესატყობად გულის ცახცახით, მორიდებით შენიშნა ერთხელ — საბინა ლამაზიაო. კრისტოფმა ცივად მიუგო — ძალიან ლამაზიაო. და თუმცა როზამ წინასწარ იცოდა, ვაჟი რას უპასუხებდა, გული მაინც ეტკინა. გოგონამ კარგად იცოდა, საბინა მართლა მშვენიერი იყო, მაგრამ არასოდეს მიუქცევია ყურადღება ამისათვის. ახლა პირველად შეხედა მას კრისტოფის თვალებით და ნატიფი ნაკვთები, პატარა ცხვირი, თხელი ბაგე, ტურფა სხეული... და მოხდენილი ქცევა დაინახა... ჰოი, რა საამწუხაროა!.. რას არ გაიმეტებდა. ასეთი სხეული რომ ჰქონოდა! ცხადი იყო, რად ამჯობინებდნენ საბინას ტანსმოსილს!.. რა დააშავა, რომ ასეთი სხეული აქვს? ო, როგორ აწუხებდა იგი! ო, რა მახინჯი ეჩვენებოდა, მხოლოდ სიკვდილი გაანთავისუფლებს ამ სხეულისაგან!.. ძალზე ამაყი და ძალზე თავმდაბალი იყო ერთსა და იმავე დროს საამისოდ, დაეჩივლა, კრისტოფს არ ვუყვარვარო. არავითარი უფლება არ ჰქონდა ტრფიალებისა და ცდილობდა კიდევ უფრო დაემდაბლებინა თავი, მაგრამ ინსტინქტი აუჯანყდა... ეს რა სამართალია... რად არის ეს სხეული მისი, მისი და არა საბინასი? რად უყვართ საბინა? რით დაიმსახურა ეს... როზა უწყალო თვალებით სინჯავდა ქალს და ხედავდა, რომ საბინა ზარმაცი, დაუდევარი, ეგოისტი, ყველას მიმართ გულგრილი იყო, არც სახლზე ზრუნავდა, არც თავის შვილზე, არც არავისზე; მხოლოდ თავი უყვარდა, მხოლოდ ძილისა, ყიალისა და უსაქმობისათვის ცხოვრობდა... აი რა ჰოსწონდათ...' რა მოსწონს კრისტოფს... ეგოღენ მკაცრ კრისტოფს, კრისტოფს, რომელსაც პატივს სცემს და აღმერთებს

ყველაზე მეტად! აჰ! რა უსამართლობაა! მეტისმეტი სიბრიყვეც არის! როგორ ვერ სედავს ამას კრისტოფი? როზას არ შეეძლო თავი დაეოკებინა და დროდადრო ყურში არ ჩაეწვეთებინა კრისტოფისათვის ძწარე შენიშვნა საბინას საქციელზე. არ უნდოდა ასე ჭოკცეულიყო, მაგრამ თავს ვერ იკავებდა. ყოველთვის წუხდა ამის გამო, რადგან კეთილი იყო და ავსიტყვაობა არ უყვარდა. მაგრამ კიდევ უფრო ის აწუხებდა, რომ კრისტოფის უწყალო პასუხი უდასტურებდა, როგორ უყვარდა ვაჟს საბინა. ნაწყენი კრისტოფი ცდილობდა თავადაც ეწყენინებინა და ადვილად ახერხებდა ამას. როზა ხმას არ იღებდა და მიდიოდა თავდახრილი, ტუჩებმოკუმული, რათა ტირილი არ ავარდნოდა. ფიქრობდა, თვითონ ვარ დამნაშავე, ახია ჩემზე, რატომ ვაწუხებ კრისტოფს საყვარელი ქალის ძაგებითო.

დედამისს ნაკლები მოთმინება ჰქონდა. ქალბატონი ფოგელი ყველაფერს აშნევდა და ისევე, როგორც შოხუც ოილერს, დიდი ხანი არ დასჭირვებია კრისტოფისა და მეზობლის ახალგაზრდა ქალის, დაახლოვების შესამჩნევად. ძნელი არ იყო იმის გამოცნობა, რომ ჭათ ერთმანეთი უყვარდათ. ეს რომანი ჭირს უთხრიდა ჭოხუცისა და მისი ქალის იდუმალ განზრახვას — როდესმე შეეუღლებინათ როზა და კრისტოფი და ამიტომ კრისტოფის საქციელი პირად შეურაცხყოფად მიიჩნიეს, თუმცა ყმაწვილი სრულიადაც არ ყოფილა ვალდებული სცოდნოდა, მისდა დაუკითხავად რას უპირებდნენ. მაგრამ დესპოტ ამალიას არ შეეძლო ეფიქრა, სხვებს საკუთარი აზრი აქვთო და აღმაშფოთებლად ‘ მიაჩნდა კრისტოფის საქციელი, რატომ მასაც ჩემსავით არ ეზიზღებაო საბინა.

ამალია კრისტოფს არ ერიდებოდა. ყოველთვის, როცა ყმაწვილი ახლოს იყო, პოულობდა საბაბს მეზობლის ქალზე სალაპარაკოდ. ყველაზე შეურაცხმყოფელ სიტყვებს იგონებდა, ამბობდა იმას, რაც ყველაზე უფრო ხვდებოდა გულზე კრისტოფს. როყიოსა და ენაჭარტალას არ უჭირდა ასეთი რამეების მოგონება. ქალის სასტიკი ინსტინქტით, რომელიც ეგზომ აღემატება კაცისას როგორც ცუდის, ისე კარგის შექმნის ხელოვნებაში, საბინას სიზარმაცესა და ზნეობრივ ნაკლოვანებებს კი არ უსვამდა ხაზს, არამედ მის დაუდევრობას. ფანჯრების მიღმა, სახლის სიღრმეში იძიებდა დაურიდებელი და მახვილი თვალით საბინას ტუალეტის საიდუმლოებას და უხეშად სააშკარაოზე გამოჰქონდა. თუ ზრდილობის გამო პირდაპირ ვერ იტყოდა რაიმეს, მიკიბ-მოკიბვით მაინც გაპოაცხადებდა.

კრისტოფს ფერი მისდიოდა სირცხვილისა და სიბრაზისაგან. მიტკალივით გაფითრდებოდა, ტუჩები აუთრთოლდებოდა. როზა გრძნობდა, რა მოჰყვებოდა ამას და დედამისს ევედრებოდა — გეყოფაო, ცდილობდა კიდეც საბინას დასაცავად ამოეღო ხმა. მაგრამ ეს უფრო აქეზებდა ამალიას.

ერთხელ კრისტოფმა ვეღარ მოითმინა, სკამიდან წამოხტა, მაგიდას ხელი დაარტყა და შეჰყვირა — ქალზე ამგვარად ლაბარაკი, ზეერვა და ძაგება სიბილწეაო. რაოდენ ბოროტი უნდა იყოს ადამიანი, რომ დევნა დაუწყოს კეთილ, მშვენიერ და მშვიდ არსებას. ის ხომ თავისთვის ცხოვრობს, ცუდს არას უკეთებს ვინმეს, ცუდს რასმე არავიზე ამბობს! ძალიან ცდებიან, თუ ჰგონიათ, ამით რაიმეს ვავნებთო. პირიქით, უფრო შესამჩნევი ხდება მისი სიკეთეო.

ამალია ამიხედა, რომ გადააჭარბა, მაგრამ კრისტოფის დარიგებამ შეურაცხჰყო. სხვა თემაზე გადაიტანა სიტყვა და განაცხადა — სიკეთეზე ლაპარაკი ადვილია, ამ სიტყვით ყველაფერი შეიძლება გაამართლო. ცხადია, კეთილი იქნები, როცა არავისზე, არარაზე ზრუნავ და შენს მოვალეობას არ ასრულებო.

ამაზე კრისტოფმა მიუგო, ადამიანის უპირველესი მოვალეობაა საამური გაჩადო ცხოვრება სხვებისაო, ვაგრამ არიან ისეთნიც, რომელთა აზრით მოვალეობას მხოლოდ ის წარმოადგენს, ის აკეთო, რაც სხვათათვის მახინჯი და ცუდია, მოსაწყენი და შემავიწროვებელია, გასაბრაზებელი და შეურაცხმყოფელიაო. მოვალეობად მიიჩნევენ შეურაცხჰყონ მეზობელი, მსახური, ოჯახი და საკუთარი თავიც. ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი ხალხისა და ასეთი მოვალეობისაგანაო.

კამათი გამწვავდა. ამალია გაწიწმატდა. კრისტოფი არ უთმობდა და ყველაზე ცხადი შედეგი ამ პაექრობისა ის იყო, რომ ამიერიდან კრისტოფი ცდილობდა, ხშირად ენახათ საბინასთან. კარზე უკაკუნებდა მას; მხიარულად ელაპარაკებოდა, ერთად იცინოდნენ. ამისათვის ისეთ დროს ირჩევდა, როდესაც ამალიასა და როზას შეეძლოთ დაენახათ. ამალია ღვარძლიანი ლანძღვით იყრიდა ჯავრს, ხოლო უმანკო როზას გული ეწყოდა ამ დახვეწილი სისასტიკით. გრძნობდა, კრისტოფს სძულდა ისინი, სამაგიეროს უხდიდა ვათ და ცხარე ცრემლით ტიროდა.

ასე მიეჩვია კრისტოფი — არაერთგზის ტანჯული კაცი ადამიანთა უსამართლობით — სხვათა უსამართლო ტანჯვას.

რამდენიმე ხნის შემდეგ საბინას ძმამ, რომელსაც ქალაქიდან რამდენიმე მილით დაცილებულ პატარა დაბაში, ლანდეგში, წისქვილი ჰქონდა, თავისი პაწია ვაჟის ნათლობა გადაიხადა. საბინა ნათლიდედად მიიწვიეს, ქალმა კრისტოფიც დააპატიჟებინა. კრისტოფს არ უყვარდა ამგვარი წვეულებანი, მაგრამ თავაზიანად დათანხმდა — საბინასთან ერთად იქნებოდა და ფოგელებსაც გულზე გახეთქავდა.

საბინამ ეშმაკურად ამალია და როზაც დაპატიჟა, თუმცა დარწმუნებული

იყო, ისინი უარს ეტყოდნენ. როზას ძალიან უნდოდა დათანხმებულიყო. როდი ეჯავრებოდა საბინა, ხანდახან მისდამი სინაზითაც კი უკრთოდა გული, რაკი კრისტოფს უყვარდა. წყუროდა ეს გულწრფელად ეთქვა საბინასათვის, ყელზე მოხვეოდა. მაგრამ დედამისი იყო აქ და როგორ გაბედავდა. მანაც სიამაყით გაიკერპა გული და უარი განაცხადა. მერმე კი, როცა კრისტოფი და საბინა გაეშგზავნენ, წარმოიდგინა, რომ ისინი ერთად იყვნენ ახლა და ერთად ყოფნით ხარობდნენ, მინდორ-მინდორ მისეირნობდნენ ივლისის ამ მშვენიერ დღეს, თვითონ კი თავის ოთახში უნდა მჯდარიყო გამოკეტილი, დახვავებული თეთრეული ამოეკემსა ან მობუზღუნე დედისათვის ეცქირა, — და სული შეეხუთა; დასწყევლა თავისი ამპარტავნობა. აბ! გვიან რომ არ იყოს!.. მაგრამ გვიანაც რომ არ ყოფილიყო, ვაგლახ, ასევე მოიქცეოდა.

მეწისქვილემ შარაბანი გამოაგზავნა კრისტოფისა და საბინას წასაყვანად. მათ რამდენიმე მიპატიჟებულს გაუარეს ქალაქსა და გზისპირა ფერმებში. გრილი და მშრალი დარი იდგა. ჰნავისა და ალუბლის წითელი მარცვლები კიაფობდა გაკაშკაშებულ გზასა და მინდვრებში. საბინა იღიმებოდა. ფერგამკრთალი სახე შეფაკლოდა ხუფთა ჰაერზე. მისი პატარა გოგონა კრისტოფს უჯდა მუხლებზე. ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ, თანამგზავრებს ესაუბრებოდნენ. სულ ერთი არ იყო, ვის ან რას ელაპარაკებოდნენ? ერთმანეთის ხმის გაგონება უტკბობდათ გულს, ერთი ეტლით რომ მგზავრობდნენ, ისიც ახარებდათ. ბავშვური სიხარულით გამთბარი თვალებით შეჰხაროდნენ ერთიმეორეს და სახლებს, ხეებსა და გამვლელ-გამომვლელებს უყურებდნენ. საბინას უყვარდა სოფელი, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა იქ. უკურნებელი სრნტის გამო არსად გაუსეირნია და თითქმის მთელი წელიწადი გასულიყო, რაც ქალაქიდან ფეხი არ ვაედგა; ამიტომ ყოველი წვრილმანი ლხენასა ჰგვრიდა. კრისტოფისათვის ახალი არ იყო ველ-მინდვრების სანახაობა, მაგრამ მას საბინა უყვარდა და როგორაც მიჯნურთ წესია, სატრფოს თვალებით შეჰყურებდა ყველაფერს, გრძნობდა საყვარელი ქალის ყოველ ერეოლას სიამისაგან და მისი სიხარულით შესხმოდა ფრთები — რადგან სატრფოს გულისთქმას იზიარებდა.

ბოლოს წისქვილსაც მიაღწიეს. შინაურები და სტუმრები ეზოში შემოხვდნენ და ყურისწამღები ყვირილით შეეგებნენ. ქათმები, იხვები და ძაღლებიც აჰყვნენ ამ ხმაურს. ელალწვერა, თავროკა და მხარბეჭგანიერმა მეწისქვილე ბერთოლდმა ალიტაცა თავისი დაიკო და ისე ფრთხილად ჩამოსვა მიწაზე, თითქოს ეშინია—ხელში არ შემომემსხვრესო. რამდენადაც საბინა იყო ნაზი, იმდენად უხეში და უზარმაზარი იყო მისი უფროსი ძმა. კრისტოფმა მალე შეამჩნია, რომ როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, უმცროს დას თავის ნებაზე დაჰყავდა ეს გოლიათი და თუმცა ძმა მასხრადაც იგდებდა დის ჟინიანობას, სიზარმაცესა

და სხვა უთვალავ ნაკლს, მაინც თავს ევლებოდა. საბინა შეჩვეული იყო ამას და ბუნებრივად მიაჩნდა. ყველაფერი ბუნებრივად მიაჩნდა და არა ანცვიფრებდა რა. არაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ თავი შეეყვარებინა, ეგონა, რომ ეს ასედაც უნდა ყოფილიყო და თუ არ უყვარდათ, არც ამის გამო იწუხებდა თავს. ამიტომ იყო, რომ ყველა ელოლიავებოდა.

კრისტოფმა სხვა რამეც აღმოაჩინა და არ ეამა. ნათლობაში ჩვეულებისამებრ ნათლიდედას გარდა ნათლიმამაც არის საჭირო და მას ნათლიდედაზე გარკვეული უფლებებიც აქვს, რაზედაც უარს არავინ იტყვის, თუკი ნათლიდედა ახალგაზრდა და ლამაზია. ეს ჩვეულება მაშინ მოაგონდა კრისტოფს, როცა დაინახა, რომ ერთი ქერა და ხუჭუჭთმიანი, საყურეებიანი ფერმერი მიეახლა საბინას, და ორივე ლოყა დაუკოცნა. იმის ნაცვლად, რომ ეფიქრა — მე სულელს ეს როგორ არ მახსოვდა, ეგ რად უნდა მეწყინოსო, ბრიყვი ხომ არა ვარო, — კრისტოფი საბინას გაებუტა, — განგებ მახე დამიგოო. კიდევ უფრო ცუდ გუნებაზე დადგა, როცა ცერემონიალმა დააშორა ქალს. საზოგადოება მინდორში გაიწელა, საბინა დროდადრო უკან იხედებოდა ხოლმე და მეგობრულად უცინოდა. კრისტოფს თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ ამჩნევდა. ქალი გრძნობდა, ვაჟი გაჯავრებული იყო, იმასაც ატყობდა — რის გამო, მაგრამ ეს კი არ აწუხებდა, ართობდა კიდეც. ნამდვილადაც რომ წაჰკიდებოდა სატრფოს, გულწრფელი მწუხარების მიუხედავად თითსაც კი არ გაანძრევდა გაუგებრობის გასაფანტავად. საზრუნავს ვერ იტანდა, ყველაფერი კეთილად დაბოლოვდება თავისთავადაცო.

სუფრაზე კრისტოფი დასვეს მეწისქვილის ცოლსა და ერთ ლოყაწითელ, გათქვირულ გოგოს შუა. წირვაზეც ამ გოგოს ახლდა, ვაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. ახლა გადახედა და რაკი დაასკვნა — არა უშავსო, ჯავრის ამოსაყრელად ხმამაღლა დაუწყო არშიყობა, რათა საბინას ყურადღება მიექცია. მიზანს მიაღწია, მაგრამ საბინა ისეთი ქალების რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთათვის ეჭვი უცხო ხილია. ოღონდ ვინმეს ჰყვარებოდა და მისთვის სულ ერთი იყო, სხვასაც ყვარობდა თუ არა იგი. წყენის ნაცვლად გაეხარდა, რომ კრისტოფი მხიარულობდა და სუფრის მეორე ბოლოდან ტკბილად გაუღიმა... კრისტოფი დაიბნა, ახლა მართლა ირწმუნა, — საბინას არ ვუყვარვარო და ისევ მოიქუშა, დამუნჯდა და ვერც მოწადინებულმა მეინახეებმა და ვერც სავსე ჭიქებმა ვერ ამოადგეინეს ენა. ბოლოს რულიც მოერია, ბრაზით ფიქრობდა — ამ გაუთავებელი თქვლეფის ზეიმზე რამ წამომიყვანაო და არც გაუგონია მეწისქვილის წინადადება — ნავებით გავისეირნოთ, ახლომახლო მცხოვრები სტუმრები შინამდე მივაცილოთო. ვეღარც საბინას ნიშანი შეამჩნია, ჩემთან მოდი, ერთ ნავში ჩავსხდეთო. როცა გონს მოეგო, მისთვის უკვე აღარ იყო ადგილი და სხვა ნავზე მოუხდა

ასვლა. ამ ახალმა მარცხმა კიდევ უფრო გაუფუჭა გუნება, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ გზადაგზა თითქმის ყველა ჩამოვიდოდა და შუბლი გაეხსნა, სახე გაუნათდა. მშვენიერი მიმწუხრი მდინარეზე, ნიჩბის მოსმის სიამოვნება, ამ კეთილი ხალხის მხიარულება ერთიმეორეს დაერთო და უგუნებობა გაუფანტა. საბინაც არ იყო ახლოს, ვეღარც ხედავდა და არაფერი უშლიდა ხელს, სხვების მხიარულებას აჰყოლოდა.

სამ ნავში განაწილდნენ და სისწრაფეში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ქილიკობდნენ. ძგიდეებით რომ წაეხახუნებოდნენ ნავები, კრისტოფი საბინას მომღიმარ თვალებს ხედავდა და უნებლიეთ უღიმოდა თვითონაც. იგრძნეს, რომ შერიგდნენ და ჰაბუკი სულმოუთქმელად ელოდა უკან დაბრუნებას — მაშინ ერთად იქნებოდნენ.

ოთხხმიანი სიმღერა წამოიწყეს. თვითეული ჯგუფი რიგრიგად მღეროდა ტაეპს, მისამღერს ერთად ამბობდნენ. ბგერები ჩიტებივით მისრიალებდნენ წყალზე. ხანდახან ნავი ნაპირს მიადგებოდა და თითო-თითოდ ჩამოდიოდნენ ფერმერები. ისინი ნაპირზე რჩებოდნენ და ხელს უქნევდნენ მიმავალთ. საზოგადოება შეთხელდა. სათითაოდ აკლდებოდა ხმები გუნდს. ბოლოს მარტო მეწისქვილე, საბინა და კრისტოფი დარჩნენ.

ერთ ნავში მოთავსდნენ და მდინარებას გამოჰყვნენ უკანვე. კრისტოფსა და ბერთოლდს ნიჩბებზე ეკიდათ ხელი, მაგრამ არ უსვამდნენ. საბინა კიჩოზე იჯდა, კრისტოფის პირისპირ, ძმას ესაუბრებოდა და კრისტოფს შეჰყურებდა. ამ საუბრის წყალობით უშფოთველად უკვრეტდნენ ერთიმეორეს. მატყუარა სიტყვები რომ არა, ვერ გაბედავდნენ ასე ემზირათ ერთმანეთისათვის. სიტყვები თითქოს ამბობდნენ — „მე თქვენ როდი გიმზერთ“, მაგრამ თვალები ურთიერთს ასე ეუბნებოდნენ: „ვინა ხარ? ვინ? მე ხომ მიყვარხარ!.. მე ხომ მიყვარხარ, ვინც გინდა იყო!..“

ცა მოიღრუბლა, ნისლი ჩამოწვა ველებზე და მდინარის ზედაპირზეც აიბოლქვა, მზე ჩაინთქა ბურუსში. საბინას გააკრეჭილა და პატარა შავი შალით მოიბურა თავი და მხრები. ნავი გადმოწოლილი ტირიფების ტოტებქვეშ მილივლივებდა. საბინამ თვალები დახუჭა. თხელი სახე მთლად გაუფერმკრთალდა და ბაგე მოეკუმა. აღარ იძვროდა, ისე იჯდა, თითქოს რაღაც სტკიოდა, და ამ ტკივილმა მოკლა კიდეც. კრისტოფს გული შეეკუმშა, ქალისკენ დაიხარა. საბინამ თვალი გაახილა, დაინახა შეშფოთებული კრისტოფი, თვალით რომ ეკითხებოდა — რა მოგივიდაო და გაუცინა. კრისტოფს გული გაუნათდა. ხმადაბლა უთხრა:

— ცუდად ხომ არ გრძნობთ თავს?

ქალმა თავი გააქნია — არაო, და დასძინა:

— ცოტა მცივა.

მამაკაცებმა წამოსასხამები მოახურეს, ფეხებზე, წვივებსა და მუხლებზე შეშოახვიეს, ლოგინში ჩასაწვენი ბალღივით შეფუთნეს. საბინა ჩუმად იჯდა და თვალებით ამბობდა მადლობას. ცივი წვიმა წამოვიდა. ბერთოლდმა და კრისტოფმა ნიჩბებს მოუსვეს და ნავი ააჩქარეს. შავმა ღრუბლებმა დაბნელა ზეცა. მდინარე მელნისფერ ტალღებს მიაგორებდა. გაღმა-გამოღმა სახლებში სინათლე აანთეს და ველ-მინდორზე აქა-იქ აციაფდა განათებული ფანჯრები. წისქვილს რომ მიაღწიეს, კოკისპირული წვიმა ასხამდა. საბინა მთლად გაითოშა

საბზარეულოში დიდი ცეცხლი გააჩაღეს და თავსხმის გადაღებას დაელოდნენ. მაგრამ წვიმამ უფრო იმატა და ქარიც ამოვარდა. ქალაქამდე სამი ლიე იყო. მეწისქვილემ განაცხადა — ასეთ ამინდში საბინას ვერსად გაეუშვებო დ ორივეს შესთავაზა, ღამე აქ გაათენეთო. კრისტოფი შეყოყმანდა, თვალებით ჰკითხა რჩევა საბინას, მაგრამ ქალი კერაზე მოგიზგიზე ალს მიჩერებოდა, თითქოს ეშინოდა კრისტოფის გადაწყვეტილებაზე გავლენა არ მოვახდინოო. მაგრამ როცა კრისტოფი დაეთანხმა, ქალმა გაწითლებული სახე მიაბრუნა ჭის (იქნებ ეს მხოლოდ ცეცხლის ათინათი იყო?) — და ჭაბუკი მიხვდა, საბინა კმაყოფილიაო.

დაუვიწყარი საღამო... გარეთ ავდარი ბობოქრობდა. ცეცხლი ციცინათელებივით ნაპერწკლებს აყრიდა შავი ბუხრის მილს. ისინი ბუხრის პირას ისხდნენ: უცნაური ლანდები ფარფატებდა კედელზე. მეწისქვილე ხელებით ლანდების თამაშს ასწავლიდა საბინას გოგონას. ბავშვი ხარხარებდა, თან შიშითაც კრთოდა. ბუხრისკენ წახრილი საბინა მძიმე ასტამით აღვივებდა ცეცხლს. ოდნავ დაღლილი და მოღიმარი ოცნებობდა და არც უსმენდა, ისე უქნევდა თავს რაღაცს, შინაურების ამბავს რომ უყვებოდა დიდი მონდომებით. კრისტოფი ბნელში იჯდა, მეწისქვილის გვერდით, ეფერებოდა ბავშვის სალუქ თმას და საბინას ღიმილს უმზერდა. საბინამ იცოდა, კრისტოფი უყურებდა და ყმაწვილსაც კარგად ესმოდა, ქალი მას უღიმოდა. მთელ საღამოს ერთხელაც არ მისცემიათ შემთხვევა გამოლაპარაკებოდნენ ერთმანეთს, ანდა პირისპირ, თვალებში შეეხედათ, არც უცდიათ.

ადრე დაიშალნენ. კრისტოფისა და საბინას ოთახები გვერდი-გვერდ იყო, შუაში კარი ჰქონდა. კრისტოფმა უნებლიეთ შეამოწმა—კლიტე საბინას მხრიდან ედო. დაწვა და დაძინება სცადა. ფანჯარაზე წვიმა შხაპუნობდა. ბუხრის მილში ქარი ზმუოდა. ქვედა სართულზე კარი რახრახებდა და ქარტეხილისაგან აფორიაქებული ალვა ჭრიალებდა სარკმელთან. კრისტოფმა თვალი ვერ მილულა,

იმაზე ფიქრობდა, რომ ერთ ჭერქვეშ ეძინათ, ერთიმეორის გვერდით. ერთი კედელი ჰყოფდათ. საბინას ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მაგრამ კრისტოფს თვალწინ ედგა ქალი. ლოგინზე წამოიწია და ჩუმად, სულ ჩუმად დაუძახა, ნაზად და ვნებით ეჩურჩულებოდა კედელს მიღმა მყოფს. ხელები გაიწვდინა და გრძნობდა, რომ ქალსაც გამოეწვდინა მისკენ მკლავები. ყურში საყვარელი ხმის ჟღერა ედგა, ჰას რომ აძლევდა პასუხს, მის სიტყვებს იმეორებდა და ჩუმად, სულ ჩუმად უხმობდა; და უკვე ვეღარც არჩევდა — ეს მე ვპასუხობ ჩემს თავს, თუ მართლა საბინა მეხმიანებაო. უფრო ხმამაღალი დაძახება რომ მოეყურა, ვეღარ გაუძლო და ლოგინიდან წამოხტა. სიბნელეში ხელისფათურით მიეხალა კარს. გაღება როდი უნდოდა, დაკეტილი კარი მღელვარებას დაუცხრობდა. მაგრამ ხელმეორედ რომ შეეხო სახელურს, იგრძნო, კარი გაიღო.

გაქვავდა, კარი ნელა მოხურა, მერმე გააღო და ისევ დაკეტა. ახლახანს დაკეტილი არ იყო? ეს ნამდვილად სჯეროდა. მაშინ ვინ გააღო? საცაა, გული გაუსკდებოდა. საწოლს ჩამოეყრდნო და ჩამოჯდა სულის ამოსათქმელად. ვნებისაგან გარეტიანებული იყო. თვალთ დაუბნელდა, ყური დაეხშო, საძრაობა წაერთვა. მთელი ტანი უცახცახებდა. შეაშინა ამ უცნაურმა და უცხო ბედნიერებამ, მთელი თვეები რომ ნატრობდა, ახლა კი კარს ჰისდგომოდა და არაფერი აშორებდა მისგან. ამ ვნებიანმა და სიყვარულით გათანგულმა ყმაწვილმა უეცრად იგრძნო, რომ საწადელის ასრულება შიშისა და ზიზღის გარდა არაფერს ჰგვრიდა. რცხვენოდა თავისი წადილისა, რცხვენოდა იმისა, რაც საცაა, უნდა მომხდარიყო. მეტისმეტად უყვარდა და არ შეეძლო დამტკბარიყო თავისი სიყვარულის საგნით. უფრო შიშსა გრძნობდა, ვიდრე სხვა რამეს: რას არ იზამდა, ოღონდ ეს ბედნიერება აეცდინა. ნუთუ მხოლოდ საყვარელი არსების შებილწვის ფასად არის შესაძლებელი სიყვარული?

ისევ მიადგა კარს და შიშითა და სიყვარულით ათრთოლებული დაეყრდნო საკეტს, ვერ გადაეწყვიტა გაღება.

ხოლო კარის მეორე მხარეს სიცივისაგან აკანკალებული საბინა იდგა ქვის ფილებზე შიშველი ფეხებით.

ასე იდგნენ: რამდენი ხანი? წუთი? საათი?.. არ იცოდნენ, ორივენი რომ კარს უკან იდგნენ და მაინც იცოდნენ. ხელებგაშვერილნი იდგნენ... — ერთი — ოღონდ ეს სიყვარულით დამძიმებული, რომ კარის შეღებას ვერა ბედავდა, მეორე — მწყურვალი, მომლოდინე და მაინც შეშინებული, ვაითუ შემოვიდესო. და როცა კრისტოფმა გადაწყვიტა შესულიყო, საბინამ გადაწყვიტა ჩაეკეტა საგდული.

მაშინ ყმაწვილი მთლად გახელდა და მთელი ძალით ჰიაწვა კარს, საკლიტულს მიადო ტუჩები და შეეკვედრა:

— გამიღე!

სულ ჩუმად, ჩუმად ეძახოდა საბინას. ქალს ესმოდა მისი ქოშინი. უძრავად იდგა კართან გაყინული. კბილები უკაწკაწებდა, ქანცი გამოლეოდა — აღარც კარის გაღება ძალუძდა, აღარც დაწოლა.

ქარი ისევ არხევდა ხეებს და აჯაჯგურებდა კარს ქვედა სართულზე... ისინი თავთავიანთ საწოლებს დაუბრუნდნენ ტანდალეწილნი და გულდაწყლულებულნი. ხრინწიანი ხმით ყიოდნენ მამლები. ფანჯრის შეორთქლილ მინებს მიღმა გარიჟრაჟის მღვრიე სინათლე აცრიატდა. მიმკვდარებული, მქრქალი, ყინიანი წვიმით განბანილი ალიონი დადგა.

კრისტოფი სისხამ დილით ადგა, სამზარეულოში ჩავიდა და მასპინძლებს გამოელაპარაკა. ჩქარობდა გამგზავრებას, საბინასთან პირისპირ დარჩენისა ეშინოდა. ცოტათი მოეფონა კიდეც გულს, როცა ფერმერის ცოლმა თქვა: საბინა ცუდად გრძნობს თავს, გუშინდელი სეირნობისას გაცივებულა და ამ უთენია არ შეუძლია წამოსვლაო.

კუშტი იყო ქალაქისაკენ მიმავალი გზა. კრისტოფმა ეტლზე უარი თქვა და ფეხით გაუყვა ატალახებულ მინდვრებს. გარშემო მოყვითალო ნისლი იყო და სუდარასავით ეხვეოდა მიწას, ხეებსა და სახლებს. დღის სინათლის მსგავსად, სიცოცხლეც მიმკვდარებული ჩანდა. ყველაფერი ლანდს დამგვანებოდა და თვითონ კრისტოფიც ლანდივით მიფარფატებდა.

შინ გაწიწმატებულნი დახვდნენ. ყველა აღშფოთებული იყო იმით, რომ ბან, ღმერთმა უწყის, სად გაათია ღამე საბინასთან ერთად. კრისტოფი თავის ოთახში ჩაიკეტა და მუშაობას მიჰყო ხელი. საბინა მეორე დღეს დაბრუნდა და ისიც შინ ჩაიკეტა. ცდილობდნენ, არ შეხვედროდნენ ურთიერთს. წვიმიანი და გრილი დარებიც იდგა, არც ერთი და არც მეორე ოთახიდან არ გამოდიოდა. ერთმანეთს მხოლოდ დახურული ფანჯრების მინებს მიღმა ხედავდნენ. საბინა ცეცხლს უჯდა თავშალმოსხმული და ფიქრებს მისცემოდა, კრისტოფს ქაღალდებში ჩაერგო ცხვირი, ფანჯრიდან ცივად ესალმებოდნენ ერთმანეთს და შემდეგ თითქოს კვლავინდებურად საკუთარ საზრუნავს უბრუნდებოდნენ. თავიანთი გრძნობები რიგიანად ვერ გაეგოთ, საყვედურობდნენ ერთმანეთს, თავიანთ თავს, გარემოებას. ცდილობდნენ არ მოეგონებინათ ფერმაში გატარებული ღამე, რცხვენოდათ და ისიც არ იცოდნენ, რისი გვრცხვენია — ჩვენი წადილისა თუ იმის, რომ გულისთქმას არ დავყევითო. ერთმანეთის დანახვა ემძიმებოდათ, რადგან ეს ისეთ მოგონებებს ჰგვრიდათ, რასაც გაურბოდნენ და შეთანხმებულივით ოთახის სიღრმეში იბუზებოდნენ, რათა საკუთარ ურთი-

ერთი. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო და იტანჯებოდნენ იმ იდუმალი მტრობის გამო, ერთმანეთის მიმართ რომ გრძნობდნენ. კრისტოფს მაჯლაჯუნასავით აწვა გულზე უტყვი საყვედური, რაც ერთხელ საბინას გაყინულ სახეზე ამოიკითხა, საბინასაც არა ნაკლებ ეწოდა გული. ბევრი ებრძოლა თავის თავს — სისულელეაო, მაგრამ ვეღარ მოიშორა აკვიატებული ფიქრები. ამასთანავე იმისაც რცხვენოდა, რომ კრისტოფი ატყობდა, რა ამბავი იყო მის თავს: რცხვენოდა. რომ თავი შესთავაზა... შესთავაზა და არ დანებდა.

კრისტოფი სასწრაფოდ დათანხმდა, როცა კელნსა, და დიუსელდორფში რამდენიმე კონცერტის გამართვა სთხოვეს. უხაროდა, რომ ორ-სამ კვირას სხვაგან გაატარებდა. გაიტაცა ამ კონცერტებისათვის მზადებამ, ახალი ნაწარმოების შეთხზვამ და ბოლოს მთლად ჭიივიწყა აუტანელი მოგონებანი. საბინაც თავისი ჩვეულებრივი ცხოვრების მდორე დინებას მიენდო და ნელ-ნელა იმანაც გადაიგდო გულიდან ეს ამბავი. საქმე იქამდე მივიდა, რომ გულგრილად იხსენებდნენ ერთმანეთს. ნამდვილად უყვარდათ კია ერთმანეთი? ეჭვი ეპარებოდათ. კრისტოფი კინაღამ ისე გაემგზავრა კელნში, რომ საბინას არც გამომშვიდობებია.

გამგზავრების წინა დღით შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. კვირაძალის ნაშუადღევი იყო. და ყველა ეკლესიაში წასულიყო. კრისტოფიც გავიდა, საგზაო სასყიდლებზე. საბინა თავის პაწაწა ბაღჩაში იჯდა და ჩამავალ მზის სხივებზე თბებოდა. კრისტოფი დაბრუნდა ქალაქიდან. ჩქარობდა და ქალი რომ დაინახა, უნდოდა მისალმებოდა და ჩაევლო, მაგრამ რაღაცამ შეაჩერა: საბინას გაფითრებულმა სახემ თუ ენით გამოუთქმელმა გრძნობამ სინანულისა, შიშისა თუ სინაზისა?.. იგი შედგა, საბინასაკენ მიბრუნდა, ბაღჩის ღობეს დაეყრდნო და, საღამო მშვიდობისაო, უთხრა. საბინამ უსიტყვოდ გაუწოდა ხელი. სიკეთით აღსავსე ღიმილით შეხედა, ისეთი ღიმილით, რომლის მსგავსი არასოდეს ენახა კრისტოფს ქალის სახეზე. ხელის გაწოდება თითქოს ამას ნიშნავდა: შევრიგდეთო... კრისტოფმა ჩამოართვა ხელი, მოაჯირზე გადაიხარა და აკოცა ზედ. ქალს არ უცდია ხელის წართმევა. კრისტოფს უნდოდა მუხლი მოეყარა მის წინაშე და ეთქვა: „მიყვარხარ“... ჩუმად შეჰყურებდნენ ერთმანეთს. არა უთქვამთ რა. წუთის შემდეგ საბინამ ხელი გამოართვა და თავი მიაბრუნა. კრისტოფიც შებრუნდა, რათა მღელვარება დაეფარა. მერმე ისევ შეხედეს ერთმანეთს გაბრწყინებული თვალებით. მზე ჩადიოდა. ცივსა და ნათელ ზეცას ნატიფი ელფერი ეკრა იისა, ნარინჯისა და სოსანისფერი. საბინამ სიცივე იგრძნო, ჩვეულებისამებრ მოიფუთნა მხრებზე შალი. ჭაბუკი შეეკითხა:

— როგორა ხართ?

საბინა დაიმანჭა, თითქოს მაგაზე პასუხის გაცემა არა ღირსო. ისევ შესცქე-

როდნენ ერთმანეთს ბედნიერნი. ასე ეგონათ. ერთმანეთი დავკარგეთ და ისევ ვიპოვეთო.

ბოლოს კრისტოფმა დაარღვია სიჩუმე და თქვა:

— ხვალ მივემგზავრები.

საბინას შეშფოთება გამოეხატა სახეზე:

— მიემგზავრებით? — გაიმეორა მან.

კრისტოფმა სასწრაფოდ დასძინა:

— ჰო! მხოლოდ ორი-სამი კვირით.

— ორი-სამი კვირით! — თქვა სახედამწუხრებულმა ქალმა.

კრისტოფმა აუხსნა, რომ კონცერტების ჩასატარებლად იყო მიწვეული, მაგრამ დავბრუნდები და მთელ ზამთარს არსად გავდგამ ფეხსო.

— ზამთარი შორსაა, — თქვა საბინამ.

— ო, არა, საცაა კარს მოგვადგება.

ქალმა თავი გააქნია, ისე რომ ვაჟისათვის არ შეუხედავს.

— როდის ვნახავთ ერთმანეთს? — დაეკითხა წუთის შემდეგ.

კრისტოფი კარგად ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა, აკი უკვე თქვა.

— როგორც კი დავბრუნდები, თხუთმეტ, დიდი-დიდი, ოც დღეში.

საბინა ისევ ისე იჯდა სახედამწუხრებული. კრისტოფი გაეხუმრა:

— დრო არ გაგიგრძელდებათ, ძილში გაატარებთ და სიზმარივით გაივლის.

— ჰო, — თქვა საბინამ.

იგი მიწას დაშტერებოდა, ცდილობდა გაეღიმა, მაგრამ ტუჩები უთრთოდა.

— კრისტოფ!.. — თქვა უცებ და მისკენ გადაიხარა.

სასოწარკვეთილება ჟღერდა მის ხმაში, თითქოს უნდოდა ეთქვა: „დარჩით!.. ნუ წახვალთ!..“

კრისტოფმა ხელი დაუჭირა და დაკვირვებით დააცქერდა, არ ესმოდა, რატომ ანიჭებდა საბინა ამოდენა მნიშვნელობას მისი ორი კვირით გამგზავრებას, მაგრამ ერთი სიტყვაც რომ ეთქვა ქალს, მიუგებდა — ვრჩებიო.

ის-ის იყო რაღაც უნდა თქვა საბინას, რომ ჭიშკარი გაიღო და როზა გამოჩნდა. საბინამ ხელი გამოსტაცა კრისტოფს და სასწრაფოდ გაეშურა შინისაკენ. ზღურბლიდან კიდევ ერთხელ გამოხედა ყმაწვილს და თვალს მიეფარა.

კრისტოფს უნდოდა საღამოს კიდევ ენახა ქალი, მაგრამ ფოგელები თვალს არ აცილებდნენ, დედა ყველგან დაჰყვებოდა და სამგზავროდაც წესისამებრ ყველაფერი დროზე ვერ ჩაალაგეს, ასე რომ, ერთი წუთითაც ვერ ჩოიცალა და შინიდან ვერ გავიდა.

მეორე დღეს უთენია გაემგზავრა. საბინას კართან ჩავლისას მოუნდა შესულიყო ან ფანჯარაზე დაეკაკუნებინა: ეძნელებოდა მის უნახავად და გამოუმშვიდობებლად წასვლა — წინა დღით, ვიდრე დრო ჰქონდათ, როზამ შეუშალა ხელი, მაგრამ გაიფიქრა, სძინავს და ვაითუ ცუდ გუნებაზე დავაყენო, რომ გამოვაღვიძო. თანაც რა უნდა ეთქვა? გამგზავრებაზე უარის თქმა გვიანი იყო. კიდევაც რომ ეთხოვა ქალს... გუნებაში სიამოვნებდა კიდეც თავისი ძალის გამოცდა, თუნდაც ქალის შეწუხების ფასად. ღიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა საბინას წუხილს მისი გამგზავრების გამო. ფიქრობდა, მოკლე ხნით განშორება გაუცხოველებს სიყვარულს, თუკი საერთოდ ვუყვარვარო.

სადგურისაკენ გაეშურა. სინდისი ქენჯნიდა. მაგრამ მატარებელი დაიძრა თუ არა, ყველაფერი დაავიწყდა. გული სიშაბუკით აუთამაშდა, ხალისიანად დაუქნია ხელი ძველ ქალაქს, რომლის სასურავები და კოშკის თავები მზეს შეეწითლებინა, უზრუნველად გამოემშვიდობა დარჩენილთ და მაშინვე დაივიწყა ყველანი.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც დიუსელდორფსა და კელნში გაატარა, საბინა ერთხელაც არ გახსენებია. დილიდან საღამომდე რეპეტიციებითა და კონცერტებით, დარბაზობითა და საუბრით გართულს, ათასი ახალი შთაბეჭდილებითა და წარმატებით კმაყოფილსა და ვაამაყებულს სად ჰქონდა დრო, მოეგონებინა ქალი. მხოლოდ ერთხელ, გამგზავრებიდან მეხუთე ღამეს, ანაზღეულად გამოეღვიძა კოშმარული სიზმრით შეშფოთებულს და მიხვდა, ძილში ფიქრობდა ქალზე და მისმა ჯავრმა გამოაღვიძა. მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა სიზმარი. წუხდა და შფოთავდა. გასაკვირიც არ იყო. საღამოს კონცერტზე დაუკრა და კონცერტის შემდეგ ვახშმად წაიყვანეს, სადაც რამდენიმე ჭიქა შამპანური შესვა. აღარ დაეძინა და ადგა. რაღაც ჰანგი აეკვიატა. გადაწყვიტა, ძილში ეს მაწუხებდაო და ჩაიწერა. როცა გადაიკითხა, განცვიფრდა, ისე ნაღვლიანი იყო მელოდია. არავითარი სევდა არ უღრღნიდა გულს მუსიკის წერისას, ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა, მაგრამ გაიხსენა, სხვა დროს სევდით შეპყრობილს მხოლოდ ხალისიანი მუსიკის წერა რომ შეძლებია, ისეთი მხიარული მუსიკისა, რომ გულიც კი ტკენია ამის გამო, და თავი აღარ შეუწუხებია ჭეტი ფიქრით. შეჩვეული იყო თავისი შინაგანი სამყაროს გაუგებარ მოულოდნელობას და მალე ჩაიძინა. დილით უკვე აღარაფერი ახსოვდა.

მოგზაურობა სამი-ოთხი დღით გაუგრძელდა. ახალისებდა მოგზაურობის გახანგრძლივება, რაკი იცოდა, ჩემს ნება-სურვილზეა დამოკიდებული, შინ როდის დავბრუნდებიო, და ამიტომ არა ჩქარობდა. მხოლოდ დაბრუნებისას, ვაგონში მოაგონდა საბინა. ერთი წერილიც არ გაუგზავნია მისთვის. ისე დაუდევარი გახდა, რომ ერთხელაც არ შეუწუხებია თავი და ფოსტისათვის არ მიუკითხავს — ჩემს სახელზე წერილი ხომ არ არისო. რაღაც იდუმალ სიხარულს გრძნობდა ამ

დუმილის გამო. იცოდა, შინ ელოდნენ და უყვარდათ... უყვარდათ? ჯერ არასოდეს არ უთქვამს ეს მისთვის საბინას, არც მას უთქვამს ქალისთვის. უთქმელადაც იცოდნენ. მაგრამ რა ძვირ- ფასი სიჩუმე! ამდენ ხანს რაღას უცდიდნენ? ხანდახან ენაზე ადგათ სათქმელი, მაგრამ ყოველთვის რაღაც წვრილმანი შემთხვევა, უხერხულობის გრძნობა უშლიდათ ხელს. რატომ? რატომ? აუ, რამდენი ხანი დაკარგეს!... კრისტოფი მოუთმენლობამ შეიპყრო, როდის გაიგონებ საბინას ნათქვამ სასიყვარულო აღიარებასო. რაც უფრო უახლოვდებოდა ქალაქს, მოუთმენლობა უათკეცდებოდა და რატომღაც გული უკვნესოდა... ჩქარა, ჩქარა, ჩქარა! ო, მარტო იმის ფიქრი რადა ღირს, რომ ერთი საათის შემდეგ ისევ იხილავს საბინას!..

შვიდის ნახევარი იყო, შინ რომ მივიდა, ჯერ არავინ ამდგარიყო. საბინას ფანჯრები დაგმანული ჰქონდა. ეზოში ფეხაკრეფით გაიარა, რათა არ გაეღვიძებინა. უხაროდა, რომ გააოცებდა თავისი ჩამოსვლით. თავის ოთახში ავიდა. დედას ეძინა. უხმოდ დაიბანა ხელ-პირი. შიოდა, მაგრამ კარადაში ფათურით ლუიზას გაღვიძებას დაერიდა. ეზოდან ნაბიჯების ხმა შემოესმა, ფრთხილად გამოაღო ფანჯარა და როზა დაინახა. გოგონა ყველაზე ადრე ამდგარიყო ჩვეულებისამებრ და დაგვას შედგომოდა. ხმადაბლა გამოეხმაურა. როზას ჯერ თითქოს გაეხარდა მისი დანახვა, მაგრამ მალე შეიკრა შუბლი. კრისტოფმა გაიფიქრა, ისევ მიჯავრდებაო, მაგრამ საუცხოო გუნებაზე იყო და დაბლა ჩავიდა.

— როზა, როზა, — მხიარულად დაუძახა გოგოს, — მაჭამე რაჰე, თორემ შენ შეგჭამ! შიმშილით ვკვდები.

როზას გაეღიმა და ქვედა სართულზე, სამზარეულოში შეიყვანა. რძეს რომ უსხამდა, თავი ვეღარ შეიკავა და მოგზაურობისა და კონცერტების ამბავი ჰკითხა. და თუმცა კრისტოფი სიამოვნებით პასუხობდა (შინ დაბრუნებული ისეთი გახარებული ჩანდა, რომ ბედნიერადაც კი გრძნობდა თავს) და როზას ლაქლაქიც ვერ გააჯავრებდა, გოგონა უეცრივ გაჩუმდა, სიტყვა გაუწყდა, სახე დაუგრძელდა, თვალი აარიდა კრისტოფს, შეწუხებული ჩანდა. შემდეგ ისევ ატყიპინდა, მაგრამ ისე, თითქოს თავის თავს საყვედურობსო. მერე ისევ გაუწყდა სიტყვა. ბოლოს კრისტოფმაც შეამჩნია გოგონას შეცვლილი ნირი და ჰკითხა:

— რა მოგივიდა, როზა? ხომ არ მიჯავრდები?

როზამ უარის ნიშნად თავი გააქნია. კრისტოფს მიუბრუნდა, ჩვეული სიტლანქით ორივე ხელი წაავლო მკლავზე და წამოიძახა:

— ოჰ, კრისტოფ!..

კრისტოფი განცვიფრდა და პურის ნაჭერი გაუვარდა ხელიდან.

— რა იყო? რა მოხდა? — ჩაეკითხა გოგონას.

— ოჰ! კრისტოფ!.. ისეთი უბედურება დაგვატყდა თავს!..

ყმაწვილმა მაგიდას დაჰკრა ხელი და ძლივს ამოილუღლუღა:

— სადა?

როზამ ეზოსკენ მიუთითა.

კრისტოფმა შეჰყვირა:

— საბინა!

როზა აქვითინდა.

— გარდაიცვალა.

კრისტოფს თვალთ დაუბნელდა. ადგა, წაბარბაცდა, მაგიდას ჩაებღაუჭა და ძირს დაამხო, რაც ზედ ელაგა. ყვირილი უნდოდა. აუტანელი მწუხარებით შეეხუთა სული. პირსაქმება აუტყდა.

შეშინებული როზა ზლუქუნით მივარდა, თავი დაუჭირა.

ლაპარაკი რომ შეძლო, კრისტოფმა თქვა:

— ტყუილია.

იცოდა, ეს მართალი იყო, მაგრამ უნდოდა უარეყო, უნდოდა, რაც მოხდა, არ მომხდარიყო. როზას თვალცრემლიანი სახე რომ დაინახა, ყოველგვარი იმედის ნასახი წარეხოცა და ქვითინი აუვარდა.

როზამ თავი ასწია და შეეხმიანა:

— კრისტოფ!

მაგიდაზე დამხობილ კრისტოფს ხელებში ჩაერგო თავი. გოგონა მისკენ დაიხარა:

— კრისტოფ!.. დედა მოდის!..

კრისტოფი წელში გასწორდა.

— არა, არა, — თქვა მან, — არ მინდა დამინახოს.

როზამ ხელი ჩაჰკიდა და ცრემლებით დაბრმავებული კრისტოფი ბარბაცით შეიყვანა შეშის დაბალ საწყობში, თან კარი მიიხურა. სრულ სიბნელეში ღამორნა დნენ. კრისტოფი ალალბედზე შეშის დასაპობ კუნძზე ჩამოჯდა, როზა — ფიჩხის კონაზე. გარედან შორეული და მისუსტებული ხმაური შემოდიოდა. აქ შეეძლოთ ექვითინათ. ვეღარავინ გაიგონებდა, ყმაწვილი მთლიანად მწუხარებას მიეცა. როზას არასოდეს უნახავს კრისტოფს ცრემლი მოსდგომოდეს თვალებზე და ვერც კი წარმოედგინა, თუ ტირილი შეეძლო: მან მხოლოდ პატარა გოგონას ცრემლი იცოდა რა იყო და მამაკაცურმა სასოწარკვეთილებამ ძრწოლითა და სიცრცილულით აავსო. კრისტოფი სულითა და გულით უყვარდა. ეგოისტური როდი იყო ეს სიყვარული: უსაზომო თავგანწირვის წადილი იყო. დედობრივი

უარყოფა თავის თავისა, კრისტოფის მაგიერ ტანჯვის წყურვილი. როზამ დედასავით მოჰხვია ხელები:

— ნუ ტირი, ჩემო კარგო კრისტოფ!

კრისტოფმა ზურგი შეაქცია:

- - სიცოცხლე აღარ მინდა!

როზამ ვედრებით უთხრა:

— ნუ ამბობ მაგას, კრისტოფ!

— აღარ მინდა, სიცოცხლე. არ შემიძლია... აღარ ძალმიძს... რიღასთვის უნდა ვიცოცხლო?

— კრისტოფ. ჩემო საყვარელო კრისტოფ! მარტო ხომ არა ხარ ამ ქვეყანაზე? უყვარხართ...

— მერმე მე რა? აღარავინ მიყვარს. დანარჩენებს გინდ უცოცხლიათ და გინდ დახოცილან. მის გარდა არავინ მიყვარს და არც არავინ მეყვარება, არავინ!

თავი ხელებში ჩამალა და უფრო ატირდა. რა უნდა ეთქვა? როზას კრისტოფის ეგოისტური გრძნობა ხანჯალივით ჩაესო გულში. ახლა იფიქრა, ასე ახლოს არასოდეს ვყოფილვარ მასთან და თურმე ყველაზე უფრო უცხო და საძულველი ყოფილა. დაახლოვების მაგივრად ჩატეხილი ხიდივით ჩამდგარიყო მათ შორის მწუხარება. გოგონა მწარედ ატირდა.

ცოტა ხნის შემდეგ კრისტოფი ოდნავ დაშოშმინდა და ჰკითხა:

— როგორ მოხდა?..

როზა მიუხვდა.

— ინფლუენცია შეეყარა შენი გამგზავრების დღეს. ავადმყოფობამ ერთბაშად დარია ხელი...

კრისტოფმა დაიკვნესა:

— ღმერთო!.. რატომ არ შეეატყობინეს?

როზამ მიუგო:

— მე მოგწერე, ეგ იყო, შენი მისამართი არ ვიცოდი, არ გითქვამს, თეატრში ვიკითხე და არც იქ იცოდნენ.

კრისტოფმა იცოდა როზას მორცხვობის ამბავი და ეიხვდა, რა ძნელი იქნებოდა მისთვის ამ ნაბიჯის გადადგმა, მერმე ჰკითხა:

— იმას... იმას ხომ არ უთხოვია შენთვის?

როზამ თავი გააქნია:

— არა, მე ვიფიქრე...

კრისტოფმა მადლიერი თვალით შეხედა. როზას გული აუჩქროლდა.

— ჩემო საწყალო... საწყალო კრისტოფ!—თქვა მან.

ტირილით ყელზე მოეხვია ყმაწვილს კრისტოფმა იგრძნო უბიწო ალერსის ფასი. თანაც ისე წყუროდა ნუგეში, რომ ნაზად აკოცა.

— შენ კეთილი გოგო ხარ, — უთხრა, — მაშ, შენც გიყვარდა იგი?

როზა განერიდა, აღგზნებული თვალი მიაპყრო და კვლავ ატირდა. პასუხი არ გაუცია, მაგრამ ამ შეხედვამ თითქოს უთხრა: — „მე იგი არ მიყვარდა..."

ბოლოს და ბოლოს მიხვდა კრისტოფი იმას, რასაც ამდენი ხანი ვერ ხვდებოდა — არ უნდოდა მიმხვდარიყო; მიხვდა, როზას ვუყვარვარო.

— ჩუ! — თქვა როზამ, — მეძახიან.

ამალიას ხმა შეეოესმათ.

როზამ ჰკითხა:

— შენ ხომ არ გინდა ახვიდე?

კრისტოფმა მიუგო:

— არა, ჯერ არ შემიძლია, არ შემიძლია დედასთან ლაპარაკი... ცოტა გვიან ავალ...

როზამ უთხრა:

— იჯექი აქ, ამ წუთას დავბრუნდები.

კრისტოფი ბნელ საკუჭნაოში დარჩა. იქაურობა ბაბაჭუას ქსელით გაბლანდულ ვიწრო სამერცხლურიდან შემომავალი დღის ბუნდი შუქით იყო ოდნავ გაჭოებული. ქუჩიდან მეწვრილმანის ძახილი მოისმოდა. კედელს გადაღმა მეზობელ საჯინიბოში ცხენი ფრუტუნებდა და ფეხს ინაცვლებდა. თავისი ახალი ალმოჩენა არ ეამა კრისტოფს, მაგრამ წუთით გადააყოლა გული. ახლა მიხვდა ბევრ რაიმეს. რაც წინათ გაუგებარი ეჩვენებოდა. უამრავი წვრილმანი გაიხსენა, რისთვისაც წინათ ყურადღება არ მიუქცევია და ახლაღა ჩაუკვირდა. თავის ფიქრთა მდინარება აკვირვებდა და აღშფოთებდა, რომ შეეძლო თუნდაც წუთით გადაეყოლებინა გული და მწუხარება დაევიწყებინა. მაგრამ იმდენად მძაფრი იყო ეს მწუხარება, რომ თავდაცვის ალღო, უფრო ძლიერი, ვიდრე მისი ნება, სიმტკიცე და სიყვარული, აიძულებდა თვალი მოერიდებინა მწუხარებისათვის და ჩასჭიდებოდა ამ ახალ საფიქრალს. როგორც წყალში გადავარდნილიდა ხსნის იმედგადაწურული უნებლიეთ ეჭიდება პირველსავე ხავსს, თუმცა ის ხავსი დახრჩობას ვერ გადააჩენს, მაგრამ წუთით მაინც შეიმაგრებს წყლის ზედაპირზე. თანაც საკუთარი ტანჯვა აგრძნობინებდა სხვის გულისტკივილს, გაიგო, რომ როზას გულისტკივილის მიზეზი თვითონ იყო. გასაგები გახდა მისთვის დაღვრილი ცრემლი, შეებრალა როზა, გაიხსენა, რა მკაცრად ეპყრობოდა, მომავალშიც მკაცრად მოეპყრობა, რადგან არ უყვარს. რად უყვარს ამ საცოდავს!.. რამდენიც არ უნდა ემტკიცებინა თავისთვის, როზა კეთილი გო-

გოაო (განა ახლახანს არ დაუმტკიცა საბრალომ?), რა ბედენა იყო კრისტოფისათვის მისი სიკეთე? რად უნდოდა როზას სიცოცხლე?. გაიფიქრა:

„რატომ როზა არ მოკვდა და ის მეორე არაა ცოცხალი?"

„ეს ცოცხალია, ვუყვარვარ, შეუძლია ეს მითხრას დღეს, ხვალ, როცა უნდა, მთელი ჩემი სიცოცხლე, მეორე კი, ერთადერთი. ვინც ეე მიყვარდა, ისე მოკვდა, რომ არ უთქვამს, მიყვარხარო, არც მე მითქვამს— მიყვარხარ-მეთქი, და ვერასოდეს მეტყვის, მეც ვერასოდეს გავაგებინებ..."

ანაზდეულად უკანასკნელი საღამო მოაგონდა. გაიხსენა, რომ კინაღამ უთხრეს ეს ერთმანეთს და როზამ შეუშალა ხელი. შესძაგდა როზა...

საკუჭნაოს კარი გაიღო. როზამ ხმადაბლა დაუძახა კრისტოფს და ხელის ცეცებით მოძებნა, ხელი დაუჭირა. კრისტოფს შეეზიზღა. ამაოდ უსაყვედურა თავს — ამ გრძნობის დაძლევა არ შეეძლო.

როზა დუმდა. გულითადმა თანაგრძნობამ დუმილი ასწავლა კრისტოფი. მადლიერი იყო, რომ ამაო ნუგეშით არ უმღვრევდა მწუხარებას. მაგრამ მაინც ენდოდა შეეტყო... მხოლოდ როზას შეეძლო ეთქვა მისი ამბავი და ხმადაბლა ჰკითხა:

— როდის?.. (ვერ გაბედა ეთქვა — გარდაიცვალაო).

როზამ მიუგო:

— შაბათს ერთი კვირა შესრულდა.

კრისტოფს რაღაც აზრმა გაუელვა და დაბეჯითებით თქვა:

— ღამე.

განცვიფრებულმა როზამ შეხედა და უთხრა:

— ჰო, ღამე, ორსა და სამ საათს შუა.

სამგლოვიარო მელოდია შემოესმა ისევ კრისტოფს.

აკანკალებულმა ჰკითხა:

— ბევრი იწვალა?

— არა, არა, ჩემო კრისტოფ. ღვთის წყალობით თითქმის არც უტანჯია. ისე მისუსტებული იყო! არც გაბრძოლებია ავადმყოფობას. მაშინვე მივხვდი, საამქვეყნო აღარ იყო.

— ისიც მიხვდა?

— არ ვიცი, მგონი...

— ხომ არაფერი უთქვამს?

— არა, არაფერი. პატარა ბავშვივით კვნესოდა.

— იქ იყავი?

— ჰო, პირველ ორ დღეს მარტო მე ვადექი თავს, სანამ მისი ძმა ჩამოვიდოდა.

მადლიერებით გულშეტბორებულმა კრისტოფმა ხელი მოუჭირა.

— მადლობელი ვარ.

გოგონამ იგრძნო, სისხლი მოაწვა სახეზე.

მცირე დუმილის შემდეგ კრისტოფმა ძლივს ამოილუღლუღა ის, რაც ასე აწუხებდა:

— ხომ არაფერი დაუბარებია... ჩემთვის?

როზამ ნაღვლიანად გააქნია თავი. არაფერს დაიშურებდა, რომ შეძლებოდა ისეთი პასუხი მიეცა, როგორსაც კრისტოფი ელოდა და გული ტკიოდა, რად არ შემიძლია ტყუილის თქმაო. მერმე შეეცადა ენუგეშებინა.

— უგონოდ იყო.

— აო ლაპარაკობდა?

— რაღაცას ჩურჩულებდა გაუგებრად, თითქმის არც ისმოდა, ისე ჩუმად ამბობდა.

— ბავშვი სადაა?

— ბიძამისმა წაიყვანა სოფელში.

— ის?

— ისიც. გასულ ორშაბათს წაასვენეს.

ორივენი ატირდნენ.

ქალბატონმა ფოგელმა ისევ დაუძახა როზას. კვლავ მარტო დარჩენილი კრისტოფი ფიქრობდა იმ დღეებზე, რაც ქალის სიკვდილის შემდეგ გავიდა. მთელი კვირა, უკვე მთელი კვირაა გასული... ო, ღმერთო, სადაა ახლა იგი? ბოელი ეს კვირა წვიმდა. ამ დროს კი იგი იცინოდა, მხიარულობდა...

აბრეშუმის ქაღალდში გახვეული პაკეტი მოსინჯა ჯიბეში, ვერცხლის აბზინდები ჩამოუტანა ფეხსაცმელებისათვის. ის საღამო გაახსენდა, ხელი რომ ედო მის პატარა და შიშველ ფეხზე. სადაა ახლა ის პატარა ფეხები? როგორ სცივათ საწყლებს!... მხოლოდ ამ შეხების სითბო დარჩენოდა ერთადერთ მოსაგონრად საყვარელი ქალის სხეულისაგან. ვერ გაუბედა ხელი შეევლო, მოხვეოდა და ისე წავიდა, შეუცნობელი დარჩა მარადის, არც მის სულს იცნობდა, არც სხეულს. ერთი სახსოვარიც არ დარჩენია მისი სიცოცხლისა და სიყვარულის მოსაგონებლად; სიყვარულისო?.. უყვარდა კია ქალს? ერთი წერილიც არ დარჩენია, არაფერი,—სულ არაფერი, სადღა იპოვის, სად ეძიოს, თავის სულში თუ სადმე სხვაგან?... ჰოი, არყოფნა! აღარაფერი შერჩენოდა მისადმი სიყვარულის გარდა... და მაინც ყოვლის მიუხედავად, შნაგი სურვილი ქალის არყოფნისაგან გადარჩენისა და სიკვდილის უარყოფისა აიძულებდა. გიჟური რწმენით ჩასჭიდებოდა ამ უკანასკნელ ნაფოტს.

Ne son gia morto; e ben c'alhergo cangi,
Resto in te vivo, c'or mi vedi e piangi.
Se d'un nell'altro amante si trasforma...

...არა ვარ მკვდარი, შემიცვლია სამყოფლო ოდენ,
მე შენში ვცოცხლობ, ვინც მხედავ მე და ჩემთვის პკოდებ.
მიჯნურის სულად გარდაცვლილა საყვარლის სული....

კრისტოფს არასოდეს წაეკითხა ეს უმშვენიერესი სტრიქონები, მაგრამ მის სულში ეღერდნენ ისინი. ყოველ ადამიანს უწერია საკუთარი ფეხით განლიოს საუკუნეთა გოლგოთა. ყოველ ჩვენთაგანს ღრღნის ოდინდელი ტანჯვა, სასოწარკვეთილი იმედი და სიშმაგე საუკუნეთა. ყოველი ჩვენგანი წინამაელ თაობათა ნატერფალზე აბიჯებს და იმათ კვალს მისდევს, ვისაც ოდესღაც უცხოვრია, ჩვენამდე შებრძოლებია სიკვდილს, უარუყვია იგი და მისი მსახერალი ხელით დანთქმულა.

კრისტოფი თავის ოთახში ჩაიკეტა, დარაბები მუდამდღე დახურული ჰქონდა, რათა პირისპირ მდგარი სახლის ფანჯრები არ დაენახა. ფოგელებს გაურბოდა: ეზიზღებოდა ისინი. ვერაფერს უსაყვედურებდა—მეტად წესიერნი და ღვთისმოშიშნი იყვნენ და სიკვდილის წინაშე დაიოკეს თავიანთი გრძნობები. იცოდნენ, როგორ იტანჯებოდა კრისტოფი და პატივს სცემდნენ მის მწუხარებას. რაც უნდა ეფიქრათ გუნებაში, მასთან საბინას სახელის წარმოთქმას ერიდებოდნენ. მაგრამ სანამ ცოცხალი იყო, ხომ მტრობდნენ საბინას. ეს საკმაო მიზეზი გახლდათ, რომ ახლა, როცა ქალი აღარ იყო ცოცხალთა შორის, თავად გადამტერებოდა მათ.

ამასთანავე ძველებური ხორხოცი და გნიასი იდგა მათ სახლში. გულწრფელი, მაგრამ წარმავალი სიბრალულის მიუხედავად. აშკარა იყო, რომ ამ უბედურებას გულგრილად ეკიდებოდნენ (ეს სავსებით ბუნებრივი იყო) და შესაძლოა, იდუმალ შვებასაც გრძნობდნენ. ყოველ შემთხვევაში ასე ეჩვენებოდა კრისტოფს. ახლა, როდესაც ყოველთა ზრახვები ცხადი შეიქნა მისთვის, რას არ აწერდა მათ. სინამდვილეში ფოგელები მაინცდამაინც დიდ იმედებს არ ამყარებდნენ კრისტოფზე. კრისტოფი თავის მნიშვნელობას აზვიადებდა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ფოგელებს საბინა უმთავრეს დაბრკოლებად მიაჩნდათ და ეგონათ, მისი გარდაცვალების შემდეგ ბურთი და მოედანი როზას დარჩებაო. ამიტომ შეიძულა საბრალო გოგონა. მათ (ფოგელებს, ლუიზას, თვითონ როზასაც) ჩუმად და უკითხავად გადაეწყვიტათ კრისტოფის ბედი და მარტო ესეც

საკმაო იყო, რომ ყოველგვარი გრძნობის ნასახი გაქრობოდა მისთვის შეგულებული გოგონასადმი. შფოთავდა ხოლმე, როცა ეგონა, ჩემს თავისუფლებას ნელყოფენო. მაგრამ ამჯერად მხოლოდ კრისტოფს როდი შეეხებოდა ეს მარტო მის უფლებებს კი არ ბღალავდნენ და იჩემებდნენ, არამედ გარდაცვლილ სატრფოს უფლებასაც წაეპოტინენ. გაშმაგებით იცავდა თავის უფლებას, თუმცა მოდავე არა ჰყავდა. მისი ტანჯვის შემხედვარე როზა თვითონაც იტანჯებოდა და ხშირად მოდიოდა მასთან, რათა ენუგეშებინა და საბინაზე ელაპარაკა. კრისტოფს მისი სიკეთეც საეჭვოდ გაეხადა. ხელს არა ჰკრავდა. გული სთხოვდა საბინას ნაცნობთაგან ვინმესთან ესაუბრა გარდაცვლილ სატრფოზე, ანდა დაწვრილებით გამოეკითხა, რაც მომხდარიყო მისი ავადმყოფობის დროს. მაგრამ როზას მადლიერი მაინც არ დარჩა. ფიქრობდა, ანგარება ამოქმედებსო. განა ვერ ხედავდა, რომ მთელი ოჯახი და თვით ამალიაც ნებას აძლევდა გოგონას კრისტოფთან მისულიყო და კარგა ხანი დარჩენილიყო. ანგარიში რომ არა, ამის ნებას როგორ დართავდნენ. განა როზა იზიარებდა თავისიანების განზრახვას? არასგზით არ სჯეროდა, გოგონას თანაგრძნობა სავსებით გულწრფელია და ეგოიზმთან არაფერი აქვს საერთოო.

ასე კი იყო. როზას სულითა და გულით ებრალებოდა კრისტოფი. ცდილობდა, კრისტოფის თვალებით შეეხედა საბინასათვის და ვაჟის გამო შეეყვარებინა; მკაცრად უსაყვედურებდა თავს — გულბოროტად რად ვეპყრობოდიო და საღამო ჟამს რომ ლოცულობდა, მის სულს შენდობას ევედრებოდა. მაგრამ როგორღა ამოეგდო გონებიდან, რომ თავად, თვითონ ცოცხალი იყო, ყოველ წუთს ხედავდა კრისტოფს, რომ უყვარდა და ვეღარავინ შეეცილებოდა, მოცილეს დავიწყების ფერფლი ედებოდა და მისი ხსოვნაც ნელ-ნელა ქრებოდა. ასპარეზი მას რჩებოდა და ეგების ერთ მშვენიერ დღეს, ვინ იცის?.. თავისი მწუხარების, თავისი სატრფოს მწუხარების მიღმა, რომელიც საკუთარ ტანჯვაზე მეტად უკლავდა გულს, როგორ დაეოკებინა ზოგჯერ სიხარულის ანაზდეული კვეთება და უგუნური იმედი? მერმე ინანიებდა ამ წამიერ გრძნობას, მაგრამ ისიც საკმაო იყო, რათა კრისტოფს შეეშინია. გულისგამყინველი თვალით გადახედავდა ვაჟი, მძულვარებას კითხულობდა მის თვალებში როზა. კრისტოფი აუვირდა — ცოცხალი რად ხარ, როცა საბინა მკვდარიაო.

მეწისქვილე ჩამოვიდა ფორნით საბინას ღარიბული ავეჯეულობის წასაღებად. კრისტოფი გაკვეთილებიდან ბრუნდებოდა, როცა თვალი მოჰკრა ჭიშკართან, ქუჩაზე გამოტანილ საწოლს, კარადას, ლეიბებს, თეთრეულს, ყველაფერს, რაც კი საბინას დარჩენოდა. საშინელი სანახაობა იყო. აჩქარებით ჩაუარა გვერდით. კარიბჭესთან ბერთოლდს შეეჩეხა და იმან შეაჩერა.

— აჰ, ჩემო კეთილო ბატონო, — უთხრა მეწისქვილემ და გულმხურვალედ

ხელი ჩამოართვა. — ხედავთ? მაშინ ვინ იფიქრებდა ამას? რა ვიმხიარულეთ? იმ დღის შემდეგ იყო, იმ დაწყევლილი გასეირნების შემდეგ რომ ავადმყოფობამ დარია ხელი. ეჰ, რას იზამ, ბოლოჟამს სინანული რის მაქნისია. გარდაიცვალა, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ასეთია ცხოვრება... თქვენ როგორ ბრძანდებით? მე არა მიშავს რა, ღვთის წყალობით ჯერ კარგადა ვარ!

ღვინის სუნი ასდიოდა სახეგაღაჟღაჟებულსა და ოფლიანს. კრისტოფს გული ეტკინა — ეს უნდა იყოს მისი ძმა, მას უნდა ჰქონდეს უფლება დაიტიროს საბინა და მოიგონოს? თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. მეწისქვილე კი, პირიქით, ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ მეგობარს შეხვდა და თავის დაიკოზე შეეძლო ელაპარაკა. ვერ მიმხვდარიყო, რატომ იყო კრისტოფი გულცივად. ვერც კი წარმოედგინა, თუ მისი დანახვა, ფერმაში გატარებული დღისა და იმ ბედნიერი საათების მოულოდნელი გახსენება, ეს აქეთ-იქით მიყრილი ნივთები საბინასი სისხლს უმღვრევდა, გულს სტკენდა კრისტოფს. ისიც კი აშფოთებდა, რომ მეწისქვილე საბინას სახელს წარმოთქვამდა. რაიმე საბაბს ეძებდა, რათა როგორმე გაეჩუმებინა ბერთოლდი. კიბისკენ გაემართა, მაგრამ მოსაუბრე არ მოეშვა. ყოველ საფეხურზე აჩერებდა და ყბედობდა დაუსრულებლივ. საბინას ავადმყოფობაზე ჩამოაგდო სიტყვა და იმ უცნაური სიამით, რასაც განიცდის ხოლმე ზოგი, განსაკუთრებით დაბალი წრიდან გამოსული ადამიანი ავადმყოფობაზე საუბრისას, წვრილად მოუთხრო მძიმე ამბები. ბოლოს კრისტოფმა თავი ვეღარ შეიკავა (მთლად მოიკუნტა, რომ სიმწრისაგან არ დაეყვირა) და უკმეხად შეაწყვეტინა:

— მაპატიეთ, — უთხრა ყინულივით ცივი კილოთი, — მაგრამ უნდა დავტოვოთ.

და გამოუთხოვებლად მიატოვა. ამ უგრძნობელობამ აღაშფოთა მეწისქვილე. მიმხვდარი იყო თავისი დისა და კრისტოფის იდუმალ გრძნობას, შეეზიზღა ჭაბუკის გულცივობა და დაასკვნა —უგულო ყოფილაო

კრისტოფი თავის ოთახში გაიქცა: სული ეხუთებოდა ' ვიდრე საბინას ქონება მთლიანად არ დაალაგეს, გარეთ არ გამოსულა, დაიფიცა, ფანჯრიდანაც არ გავიხედავო, მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა და უნებლიეთ გაიხედა. კუთხეში მიყუჟულმა და ფარდებს ამოფარებულმა გულის ტკივილით დაინახა, როგორ გაჰქონდათ სანუკვარი ბარგი-ბარხანა. იცოდა, სამუდამოდ მიჰქონდათ ეს ნივთები და მზად იყო ქუჩაში გავარდნილიყო, ეყვირა: „ნუ! ნუ! მე დამიტოვეთ, ნუ წამართმევთ!" უნდოდა შევედრებოდა მეწისქვილეს — ყველაფერს ნუ წაიღებთ, ერთი ნივთი მაინც დამიტოვეთო, მაგრამ ამის თხოვნას როგორ გაუბედავდა ბერთოლდს? რას წარმოადგენდა მისთვის კრისტოფი? საბინასათვისაც არ გაუმხელია სიყვარული, სხვას როგორღა გაუმხელდა? ხმის ამოღებაც რომ

გადაეწყვიტა, ქვითინი აუვარდებოდა... არა, არა, უნდა გაჩუმდეს და ამ სრულ გაქრობას ისე დაესწროს, რომ ვერ შეიძლოს, ვეღარც გაბედოს რამე იღონოს დალუპვისაგან თუნდ ერთი მცირე სახსოვარის გადასარჩენად...

როდესაც ყველაფერი გათავდა, სახლი დაცარიელდა, ჭიშკარიც დაიხურა, მეწისქვილის ფორანიც ჯაყჯაყით გაუდგა გზას. თვლების რახრახი და ფანჯრის მინების ზრიალი ნელ-ნელა მიწყდა, მიცვალებულივით გათოშილი კრისტოფი იატაკზე დაემხო, არც ცრემლი შერჩენოდა და აღარც ფიქრი შეეძლო, აღარც მწუხარება.

კარზე დააკაკუნეს. კრისტოფი არ განძრეულა, კაკუნი განმეორდა. კრისტოფს კარის ჩაკეტვა დავიწყებოდა. როზა შემოვიდა. იატაკზე დამხობილი ყმაწვილი რომ დაინახა, შეჰკივლა და შეძრწუნებული შედგა. კრისტოფმა თავი წამოსწია ბრაზით:

— რა გინდა? თავი დამანებე!

მაგრამ როზა არ გასულა, კარის წირთხლზე ზურგით მიყრდნობილი ბუტბუტებდა:

— კრისტოფ!..

კრისტოფი ჩუმად წამოდგა: რცხვენოდა, რომ ამ დღეში ჩავარდნილი დაინახეს. ხელით ჩამოიწმინდა ტანსაცმელი და ხელმეორედ შეეკითხა მკაცრად:

— რა გინდა-მეთქი?

შემკრთალმა როზამ უპასუხა:

— ბოდიში... კრისტოფ... შემოვედი... მოგიტანე...

კრისტოფმა დაინახა, რომ გოგონას რაღაც ეჭირა ხელში.

— აი ეს, — რაღაც ნივთი გაუწოდა,—ბერთოლდს ვთხოვე, რაიმე დაეტოვებინა ჩემთვის სახსოვრად. ვიფიქრე, გესიამოვნებოდა...

პატარა მოსევადებულნარჩოიანი სარკე იყო. ამ სარკეში საათობით იჭყიტებოდა საბინა უფრო უსაქმურობით, ვიდრე სიკეკლუცის გამო. კრისტოფი როზას ხელს მოეჭიდა:

— ო, როზა!..

როზას სიკეთემ და საკუთარი უსამართლობის გრძნობამ შესძრა. დაიჩოქა გოგონას წინაშე და ხელი დაუკოცნა:

— მაპატიე, მაპატიე...

როზა პირველად ვერ მიუხვდა, შემდეგ კი ყველაფერი ცხადი გახდა მისთვის. გაწითლდა, ცახცახი აუვარდა და აქვითინდა. მისვდა, კრისტოფს ამის თქმა უნდოდა:

„მაპატიე, რომ უსამართლო ვიყავი... მაპატიე, რომ არ მიყვარხარ, მაპატიე, რომ არ შემიძლია... არ შემიძლია შეგიყვარო არც ახლა და არც არასოდეს!..“

ხელი არ გაუწევია. მიხვდა, არ ეფერებოდა ვაჟი. ლოყით როზას ხელს დაყრდნობილი კრისტოფი ცხარე ცრემლით ტიროდა და იცოდა, როზა ყველაფერს მიმიხვდაო. მწარე ნაღველი აწუხებდა, რომ არ შეეძლო შეეყვარებინა როზა და მხოლოდ ტანჯვა უნდა მიეყენებინა მისთვის.

ასე იდგნენ დიდხანს მომტირალნი ჩაბნელებულ ოთახში.

ბოლოს როზამ ხელი გამოართვა. კრისტოფმა ჩურჩულით გაუმეორა:

— მაპატიე! მაპატიე!

გოგონამ ნელა დაადო ხელი თავზე. კრისტოფი ადგა. ჩუმად აკოცეს ერთმანეთს და ტუჩებზე ცრემლის მლაშე გემო შერჩათ.

— ჩვენ მუდამ მეგობრები ვიქნებით, — ძლივს გასაგონად უთხრა კრისტოფმა.

როზამ თავი გადააქნია და გავიდა. მეტისმეტად დასევდიანებული იყო და ხმის აშოღება აღარ შეეძლო.

ქვეყანა ცუდადაა მოწყობილიო — ფიქრობდნენ. ვისაც უყვარს, არ უყვართ. ვინც უყვართ, იმას არ უყვარს. ხოლო ვისაც უყვარს და უყვართ კიდეც, ადრე თუ გვიან, უნდა განშორდეს გულით საყვარელს... ყველა იტანჯება, ტანჯავს სხვას და ყველაზე უბედური ყოველთვის ის როდი არის, ვინც იტანჯება.

კრისტოფი ისევ გაურბოდა შინ ყოფნას. სიცოცხლის ძალა აღარ შესწევდა. აღარ შეეძლო ეყურებინა ფარდებგაძარცვილი ფანჯრებისათვის, დაცარიელებული ბინისთვის ეზოს გადაღმა.

უფრო მწარე ტანჯვაც იწვნია. მოხუცმა ოილერმა სასწრაფოდ გააქირავა დაცლილი საროული. ერთ დღეს კრისტოფმა საბინას ოთახში უცხო სახეებს მოჰკრა თვალი, ახალმა ცხოვრებამ ვამქრალი ცხოვრების უკანასკნელი ნაკვალევი წაშალა.

შინ ვერ ძღებდა. დილიდან საღამომდე გარეთ იყო. გვიან ღამით ბრუნდებოდა, როცა სიბნელეში ეერაფერს დაინახავდა. გაიხსენა მინდვრად ხეტიალი. თავისდა შეუმჩნევლად ბერთოლდის ფერმას უტრიალებდა გარს. მაგრამ მიახლოვებასა და მისელას ვერ ბედავდა, ირგვლივ უელიდა. ერთი ადგილი ამოირჩია გორაკის თხემზე, საიდანაც მდინარეც ჩანდა, ფერმაცა და ახლომახლო საყანეებიც. ამას იქით ფეხს არ ადგამდა. აქედან აყოლებდა მზერას მდინარეს და გაჰყურებდა ძეწნების ჭალას, სადაც სიკვდილის ჩრდილს მოჰკრა თვალი საბინას სახეზე. აქედან ხედავდა იმ ოთახების წყვილ ფანჯარას, სადაც ერთიმეორის გვერდით, ისე ახლოს და ისე შორს, ერთმანეთისაგან მხოლოდ კარით, მა-

რადისობის კარით დაშორებულებმა გაათიეს ღამე. აქედან ჩანდა სასაფლაო. ვერ გადაეწყვიტა იქ მისვლა. ბავშვობიდანვე თავზარს სცემდა ეს გამხრწნელი მიწა და არ შეეძლო საყვარელ არსებათა სახეები დაეკავშირებინა მასთან. მაგრამ შორიდან და მაღლიდან მკვდრების ამ პატარა სამყოფელს აღარ ედო ავბედითი იერი: სიმშვიდე ეფინა სრული და ეძინა მზვარეში... ეძინა!.. საბინასაც უყვარდა ძილი! აწ არაფერი გამოაღვიძებს. მძლები უსმობდნენ ერთმანეთს. ქვევიდან წისქვილის ხრიალი, ქათმების კრიახი და მოთამაშე ბავშვების ხორხოცი მოისმოდა. ხედავდა საბინას პატარა გოგონას, ხედავდა, როგორ დარბოდა და დაკისკისებდა. ერთხელ დაუდარაჯდა ფერმის ჭიშკართან, ოლოროჩოლრო გზის მოსახვევში, კედელს რომ უვლიდა გარშემო, დაიჭირა და კოცნა დაუწყო. პატარას შეეშინდა და ატირდა. თითქმის სრულიად დავიწყებოდა კრისტოფი. ჭაბუკმა ჰკითხა:

— აქ კარგად გრძნობ თავს?

— ჰო, ვერთობი.

— დაბრუნება არ გინდა?

— არა.

კრისტოფმა გაუშვა გოგონა, ბავშვის გულცივობამ დაასევდიანა. საწყალი საბინა!.. მაინც მისი ნაწილი იყო, ღვიძლი ნაწილი... რაოდენ მცირე! ბავშვი სრულებით არ ჰგავდა დედას. მაინც რაღაც გამოჰყოლოდა დედისა, იქნებ ხმის კილო, ოდნავ აპრეხილი ტუჩები და თავდახრის ნაცნობი მანერა: დანარჩენი სულ სხვა არსებისა იყო და საბინასა და უცხო კაცის ეს უცნაური ნაზავი ზიზღსა ჰგვრიდა კრისტოფს, თუმცა ამის გამხელა თავის თავისთვისაც არ უნდოდა.

კრისტოფი მხოლოდ საკუთარ სულში პოულობდა საბინას ხატებას. ყველგან დასდევდა სატრფოს სახე, გარშემო დაფარფატებდა, მაგრამ მხოლოდ მარტოობისას გრძნობდა ქალის სიახლოვეს და არსად ისე ახლოს არ იყო საბინასთან, როგორც თავის თავშესაფარში, ამ მოგონებებით გაჟღენთილი ველ-მინდვრების შუაგულში აღმართული გორაკის ფიქალზე ხეთა თვალთაგან მოშორებული. რამდენიმე მილი უნდა გაევლო აქ მოსასვლელად და სირბილით: გულის კანკალით, ირბოდა მწვერვალზე. თითქოს პაემანზე ეჩქარებოდა. და მართლაც ეს პაემანი იყო. ავიდოდა თუ არა. მიწაზე გაწვებოდა,—იმავე მიწაზე, რომელშიც ქალის სხეული იყო დამარხული: თვალებს დახუჭავდა და საბინა ეწვეოდა. ბერე რა, რომ ვერარ ხედავდა მის ნაკვთებს და მისი ხმა აღარ ესმოდა. ქალი მის სულს იპყრობდა, იმორჩილებდა და ჭაბუკიც ეუფლებოდა სატრფოს სავსებით. ამ ვნებიანი ზმანებისას აღარც ფიქრის ძალა შესწევდა, არც ის იცოდა, რა მოსდიოდა, ისღა გაეგო მხოლოდ, რომ საბინა მასთან იყო.

ეს გრძნობა დიდხანს არ გაჰყოლია. მართალი რომ ითქვას, მხოლოდ ერთ-

ხელ იყო იგი სავსებით წრფელი. მომდევნო დღეს ნებისყოფის დაძაბვა გახდა საჭირო და ამის შემდეგ აღარ ცდილობდა კრისტოფი გაემეორებინა ის გრძნობა. მხოლოდ შეეცადა მეხსიერებით აღედგინა საბინას სახე და მკაფიო ხატი. აქამდე ეს აზრადაც არ მოსვლია. და ზოგჯერ ელვაზე უფრო ნათელ წუთებში. მართლაც ხედავდა საბინას, მაგრამ ამის საფასური იყო მოლოდინისა და სიბნელის დღეები.

„საწყალო საბინა!—ფიქრობდა იგი. —ყველამ დაგივიწყა, მხოლოდ მე მიყვარხარ და სამუდამოდ მემახსოვრები, ჩემო საუნჯევ! ჩემი ხარ, ჩემთან ხარ და არ გაგიშვებ, არ დაგივიწყებ!..“

ასე ამბობდა, რადგან უკვე ავიწყდებოდა. როგორც წყალი თითებს შუა, ისე ეპარებოდა გონებიდან საბინას ხსოვნა. ერთგული იყო, კვლავინდებურად დადიოდა პაემანზე. თვალდახუჭული ცდილობდა ისევ საბინაზე ეფიქრა. მაგრამ ნახევარი საათის თუ საათის, ზოგჯერ ორი საათის შემდეგ ანაზდეულად ამჩნევდა, რომ არაფერზე არა ფიქრობდა. ხეობის ხმაურს, რაბების თუხთუხს, გორის კალთებზე მობალახე ორი თხის ეჟვანთა წკრიალს და ნიავის შრიალს დაბალ, დაგვალულ ხეებში ღრუბელივით იწოვდა მისი ფუყე და დუნე გონება. ბრაზობდა, თავს უჯავრდებოდა. ცდილობდა გონების ძალით სამუდამოდ შეენარჩუნებინა საბინას ხატება, მაგრამ დაღლილი და ქანცგამოცლილი აზრი ფარ-ხმალს ჰყრიდა, კრისტოფი შეებინა ამოიოხრებდა და კვლავ ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებათა მდორე დინებას მიეცემოდა.

შეეცადა ამ გარინდებისაგან თავი დაეხსნა. საბინას ძებნაში დაიარა არემარე. ჯიბის სარკეში ეძია სატრფო. მდინარის ნაპირზეც ეძია, სადაც ოდესღაც ხელი დაესველებინა წყალში სასურველს. მაგრამ სარკესა და წყლის ზედაპირზე საკუთარ ანარეკლსღა პოულობდა. სუფთა ჰაერზე სიარულით გახურებულს და ძალუმად სისხლაჩქროლებულს ახალი ჰანგები აგონდებოდა; თავი უნდოდა მოეტყუებინა და „ო, საბინაო!..“ ოხრავდა.

სიმღერები უძღვნა მის ხსოვნას, მოინდომა მუსიკაში გაეცოცხლებინა თავისი სიყვარული და დარდი... სიყვარული და დარდი გაცოცხლდა, მაგრამ საწყალ საბინას ამით არაფერი ეშველა. სიყვარული და დარდი მომავლისაკენ მიილტვოდნენ და არა წარსულისაკენ. როგორ გასძალიანებოდა კრისტოფი სიყრმეს. სიჭაბუკის ძალით ივსებოდა ისევ. ნაღველი, ჭმუნვა, უბიწო და მწველი სიყვარული, დათრგუნვილი სურვილები კიდევ უფრო მეტად აგზნებდა. მგლოვიარობის მიუხედავად, ხალისიანად უცემდა გული. ლაღი, ფიცხელი სიმღერები ირხეოდნენ მთვრალი რითმებით. ყველაფერი სიცოცხლეს ადიადებდა, თვით მწუხარებაც საზეიმო იერს იღებდა. კრისტოფი მეტად გულწრფელი იყო, არ შეეძლო ილუზიებს ჩასჭიდებოდა და თავი ეზიზღებოდა. მაგრამ ცხოვრებას

თავისი გაჰქონდა და დამწუხრებული, სულში სიკვდილდაბუდებული და სიცოცხლით სხეულაფორიაქებული დაჰყვა საკუთარ ძლიერებას, სიცოცხლის შმაგსა და უაზრო სიხარულს. დარდი, სინანული, სასოწარკვეთა, გამოუსწორებელი დანაკარგის მწვავე იარა, სულთმობრძავის მძიმე წვალება უფრო ამძაფრებს და აცხოველებს ძლიერთა სულს, თითქოს დეზებს ურტყამს და აჩქარებს.

და მაინც კრისტოფმა იცოდა, რომ მისი სულის იდუმალ კუნჭულში იყო ერთი შეუვალი და ხელშეუხებელი თავშესაფარი, სადაც საბინას აჩრდილს დაებინადრებინა. ცხოვრების ნიაღვარი ვერ წალეკავდა მას. ყოველ ჩვენგანს გულის სიღრმეში საყვარელ არსებათა სასაფლაო აქვს მოწყობილი. აქ სძინავთ იმათ და დრო და ჟამი ისე გადის, არაფერი აშფოთებთ. მაგრამ ყველამ კარგად იცის: დადგება დღე და აკლდამა გადაიხსნება, მიცვალებულნი აღდგებიან საფლავიდან და ბაგეგაცრეცილნი გაუღიმებენ სატრფოს, მეგობარს, ვის გულშიაც დამკვიდრებულა მათი ხსოვნა, ვითარცა ბავშვი დედის წიაღში.

ნაწილი მესამე

ადა

წვიმიანი ზაფხულის შემდეგ მზით გამთბარი შემოდგომა დადგა. ბაღებში ხეხილი ნაყოფით დაიხუნძლა. ლოყაწითელი ვაშლები სპილოს ძვლის ბურთებივით ბზინავდა. ზოგი ხე უკვე შეიმოსა შემოდგომის ჭრელი სამოსით: ცეცხლისა და შემოსული ხილის, მწიფე ნესვის, ფორთოხლის, ლიმონის, გემრიელი საწებლისა და შებრაწული ხორცის ფერებით. წითელ-ყვითელი ბრიალებდა ტყეში და მინდვრებზე შაფრანის ალი თინათინებდა.

კრისტოფი გორაკიდან ჩამოდიოდა. კვირაძალის ნაშუადღევი იდგა. მოალაჯებდა, ფერდობზე, სირბილს აღარა უკლდა რა. დილიდანვე აკვიატებულ რიითმს ღიღინებდა. სახეალეწილი, თმაგაწეწილი მიაბიჯებდა, ხელებს მიაქნევდა და გიჟივით აბრიალებდა თვალებს, უეცრად გზის მოსახვევში ერთ ქერა და ტანსრულ ქალიშვილს მოჰკრა თვალი, ღობეზე გადამჯდარიყო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ექაჩებოდა კარგა მოზრდილ ტოტს და დაბინდული მწიფე ქლიავით იტკბარუნებდა პირს. ორივე შეცბა, ქლიავით პირგამოტენილი გოგონა ჯერ შეშფოთებით შეჰყურებდა, მერმე ხარხარი აუტყდა. კრისტოფმაც გაუცინა, სიამოვნებით შესცქეროდა გოგონას მრგვალ სახეს, ოქროსფერი ხვეული კულულები შარავანდედით რომ შემორკალვოდა, სავსე და ვარდისფრად ატკეცილ ლოყებს, ფართო ცისფერ თვალებს და ოდნავ მოდიდო, უტიფრად აბზეკილ ცხვირს, პატარა და ძოწისფერ ტუჩებს, რომელთა ნაპობიდან თეთრი კბილები მოუჩანდა — წინწამოწეული და მაგარი კბილები. შესცქეროდა ენებიან ნიკაპს და მთელ მის ბარაქიან, სავსე და ჩამკვრივებულ, ლაზათიანად ჩამოსხმულ სხეულს. კრისტოფი არ შეჩერებულა, ისე შეუძახა:

— გაამოთ!

უნდოდა გზა გაეგრძელებინა, მაგრამ გოგონამ დაუძახა:

— ხომ არ ინებებთ და ჩამოსვლას არ მიშველით. მარტო ვერ ჩამოვსულ-ვარ.

კრისტოფი მობრუნდა და ჰკითხა, როგორ აძვერითო?

— ფრჩხილებით... ასვლა უფრო ადვილია..

— განსაკუთრებით მაშინ, თუ გემრიელი ხილი გელოდებათ ზემოთ.

— ჰო... მაგრამ როცა გამოძღები, გაბედულება ქარს მიაქვს და აღარ იცი, რა ჰქნა.

კრისტოფმა გახედა ღობეზე ჩამოსკუპულ გოგონას და თქვა:

— ზემოთ ძალიან კარგად გრძნობთ თავს. იყავით მანდ წყნარად. ხვალ გამოგივლით. მშვიდობით.

მაგრამ ფეხი არ მოუცვლია, თითქოს მიწას მიეკროო.

გოგომ ვითომ შემეშინდაო, ვედრება დაუწყო, აქ ნუ მიმატოვებთო, თან ეკლუცად მინაბა თვალები. ღიმილით შეჰყურებდნენ ერთმანეთს. გოგონამ ტოტი დაანახა, რომელზედაც ცალი ხელით იყო ჩამოკიდებული.

— ხომ არ გინდათ?

ოტოსთან სეირნობის დღიდან კრისტოფს არ მომატებია სხვათა საკუთრებისადმი პატივისცემა და უყოყმანოდ დაუქნია თავი. გოგონამ სიცილ-კისკისით გადმოუყარა ქლიავი. მერე როცა საკმაოდ გაასველებინა პირი, დაუძახა:

— ახლა მომეხმარე!..

კრისტოფს სიამოვნებდა გოგონას გამომწვევი საქციელი. ქალიშვილი მოუთმენლად ცმუკაობდა კედელზე. ბოლოს ვაუმა უთხრა:

— აბა!

და ხელები გაუშვირა.

მაგრამ გოგონამ გადაიფიქრა:

— დაიცადეთ! ჯერ ქლიავი მოვიმარაგოთ.

საუკეთესო ნაყოფი სულ დაკრიფა, სადამდეც ხელი მიუწვდა და სავსე მკერდზე შემოჭდობილ კორსაჟში ჩაიყარა:

— ფრთხილად! არ დაჭყლიტოთ!

კრისტოფს თვითონ გაუელვა დაჭყლეტის სურვილმა.

ქალიშვილი ღობეზე გადმოეკიდა და ხელებში ჩაუვარდა. კრისტოფი ღონიერი იყო, მაგრამ გოგონას სიმძიმემ დააბარბაცა, კინაღამ წაიქცა და ისიც თან არ ჩაითრია. ერთი სიმაღლისანი იყვნენ. სახით ეხებოდნენ ერთმანეთს. კრისტოფმა ქლიავის წვენით სველ და დამტკბარ ტუჩებში აკოცა: გოგომ გაუპრანჭაცად დაუბრუნა კოცნა.

— საით მიდიხართ? — ჰკითხა ვაუმა.

— აბა, რა ვიცი.

— მარტო სეირნობთ?

— არა, მეგობრები მახლავან, მაგრამ სადღაც დავკარგე... აუუ! — ხმამაღლა დაიყვირა გოგომ.

არავინ გამოპასუხებია.

მაინცადამაინც არ შეწუხებულა. ალალბედზე დაადგნენ გზას.

— თქვენ თვითონ სად მიდიხართ? — ახლა გოგო შეეკითხა.

— არც მე არ ვიცი.

— კეთილი და პატიოსანი. ერთად ვიაროთ.

სანახევროდ ჩახსნილი კორსაჟიდან ქლიავი ამოიღო და ჩაკბიჩა:

— ძოგკლავთ მაგდენი ჭამა.

— არაფერიც! მთელი დღე ჭამის მეტს რას ვაკეთებ.

საკინძეჩახსნილს ლიფი მოუჩანდა.

— გამთბარა ქლიავი, — თქვა ქალმა.

— აბა გამასინჯეთ!

სიცილით გაუწოდა ერთი ცალი. კრისტოფმა შეჭამა. გოგო ცერად გაჰყურებდა და ბავშვივით წუწნიდა ქლიავს. კრისტოფს ვერ წარმოედგინა, რით დამთავრდებოდა ეს შეხვედრა. შეიძლება ქალიშვილი გუმანით ხვდებოდა, რაც იყო მოსალოდნელი და იცდიდა.

— აუუ! — მოისმა ტყიდან.

— აუუ! — გაეხმიანა ქალიშვილი და კრისტოფს მიუბრუნდა.—აი ისინიც. კიდევ კარგი, სულ არ დაიკარგნენ.

გულში საწინააღმდეგოს ფიქრობდა — ნეტავი დაყარგულიყვნენო. მაგრამ ღვთის მადლით, ენა იმისთვის კი არა აქვს ქალს, რომ ისა თქვას, რასაც ფიქრობს... ეგრე რომ იყოს, ზნეობა გაქრებოდა დედამიწაზე...

ხმები მოახლოვდა. საცაა უნდა გამოსულიყვნენ გზაზე, რომ ქალიშვილი გზისპირა თხრილს გადაახტა, მიწაყრილზე ჩაცურდა და ხეებს მოეფარა. კრისტოფი გაოცებით მიაჩერდა. გოგონამ მბრძანებლურად ანიშნა—შენც აქ მოდიო, ვაი დაემორჩილა. შუა ტყეს მიაშურეს.

— აუუ! — დაიძახა კრისტოფის ახალმა ნაცნობმა, როდესაც საკმაოდ გასცდნენ იმ ადგილს, — არა უშავთ რა, ახლა მე მძებნონ!

გოგოს თანამგზავრები გზაზე გაჩერებულიყვნენ და აყურადებდნენ, ხმა საიდან მოდისო. ძახილზე ძახილითვე უპასუხეს და ტყეში შემოვიდნენ. მაგრამ ქალიშვილმა როდი დაუცადა, აქეთ-იქით გაუხვია და კვალი აუბნია მძებნელებს. იმათ ყვირილით კისრის ძარღვები დაიწყვიტეს. ქალიშვილი ჯერ დაიცდიდა, მერე გაიქცეოდა და სხვა მხრიდან გამოეპასუხებოდა, ბოლოს თანამგზავრები დაიღალნენ, გადაწყვიტეს, უკეთესია ძებნას თავი დავანებოთ, თვითონ მოგვძებნისო. და დაიძახეს:

— გზა მშვიდობისა! — და სიმღერით გაუდგნენ თავიანთ გზას.

ქალიშვილი გაბრაზდა,—ასე როგორ დამტოვესო. თვითონ ცდილობდა თავი აერიდებია თანამგზავრებისათვის, მაგრამ არ ეგონა, თუ ასე ადვილად მიატოვებდნენ. კრისტოფმა მხრები აიჩეჩა. მაინცადამაინც არ ეხალისებოდა უცნობ გოგონასთან ერთად დამალობანას თამაში. აზრადაც არ მოსვლია ტყეში განმარტოებით ესარგებლა. არც გოგონას მოსდიოდა ახლა ეს აზრად. გაჯავრებულს კრისტოფი გადაავიწყდა.

— ოჰ, ეს მეტისმეტია!—თქვა და ხელი ხელს შემოჰკრა,—არა, ასე როგორ მიმატოვეს?

— თქვენ ხომ თვითონ გინდოდათ ეგ? — მიუგო კრისტოფმა.

— ვინ მოგახსენათ!

— აკი გაურბოდით.

— გავურბოდი თუ არა, ეგ ჩემი საქმეა. ისინი ვალდებულნი იყვნენ მოვეძებნე. კარგი და, გზა დამებნეს?

ცრემლი მოადგა იმის წარმოდგენისას, რა იქნებოდა, რომ... რომ მომხდარიყო იმის საწინააღმდეგო, რაც მოხდა...

— მე იმათ ვანახებ თვალის სეირს!—თქვა და ჩქარი ნაბიჯით გამობრუნდა უკან.

გზაზე გაახსენდა კრისტოფი და ისევ გადახედა, მაგრამ ეს უკვე ნაგვიანევი იყო. სიცილი აუტყდა. პატარა ქინკა, წუთის წინ რომ იჯდა მის გულში, სადღაც გამქრალიყო, და ახლა გულგრილად უმზერდა ვაჟს. ამას გარდა მოშიებოდა კიდეც, კუჭი ახსენებდა—ვახშმობის დროაო და სასადილოსაკენ გაეშურა თავის მეგობრებთან შესახვედრად. კრისტოფს ხელი გაუყარა და მთელი სიმძიმით ჩამოეკიდა—დაქანცული ვარო. მაგრამ დაღლილობას ხელი არ შეუშლია, რომ წივილ-კივილითა და სიცილ-კისკისით გიჟივით ჩაერბინა ფერდობი კრისტოფთან ერთად.

ერთმანეთს გამოეცნაურნენ. ქალიშვილს კრისტოფის სახელი არც გაეგონა და მუსიკოსის ტიტულმა, როგორც ჩანდა, მაინცადამაინც ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. კრისტოფმა შეიტყო, ქალიშვილი გამყიდველად მსახურობდა ქუდების მაღაზიაში კაიმერ-შტრასეზე (ქალაქის ულამაზეს და უმთავრეს ქუჩაზე) და ადელჰაიდა ერქვა, მეგობრები ადას ეძახდნენ. მის თანამგზავრთაგან ერთი გოგონა მასთან ერთად მუშაობდა იმავე მაღაზიაში, ხოლო ორივე ვაჟი ფრიად პატიოსანი პიროვნებანი იყვნენ, ერთი ვაილერის ბანკში მსახურობდა, ხოლო მეორე დიდი მოდური მაღაზიის ნოქარი იყო. კვირადღით ესარგებლათ და გადაეწყვიტათ რესტორან „ქარიყლაპიაში“ ესადილათ, საი-

დანაკ რაინის ესოდენ მშვენიერი ხედი ჩანს და შემდეგ გემით. დაბრუნებულიყვნენ.

ადას ამხანაგები უკვე შემოსხდომოდნენ სუფრას. როდესაც მათ ოსტორანს მიაღწიეს, ადამ ჩხუბი დაუწყო მეგობრებს, ეგრე როგორ შეიძლება, როგორ მიმატოვეთო, და კრისტოფი წარადგინა, როგორც თავისი მხსნელი. მისი ჩივილისათვის კაცაშვილს ყური არ დაუგდია. კრისტოფს იცნობდნენ—ბანკის მოხელეს მისი სახელი სმენოდა, ნოქარს კრისტოფის რამდენიმე ნაწარმოებიც კი მოესმინა და საჭიროდ მიიჩნია ერთი ნაწყვეტი იქვე დაეღიღინებინა. პატივისცემამ, რაც კრისტოფის მიმართ გამოიჩინეს. შთაბეჭდილება მოახდინა ადაზე. უფრო მეტად კი მეორე ქალიშვილზე, რომელსაც მირას ეძახდნენ (სინამდვილეში მას ჰანსი ანუ იოჰანა ერქვა). შავგვრემანმა, თვალებხამხამა, ხმელშუბლიანმა, თმაგადატკეცილმა გოგონამ, ჩინელს რომ ჰგავდა, პრანჭია, მაგრამ ჭკვიანური და მარილიანი სახე, თხის ტუჩი რომ ჰქონდა და პრიალა, ხორბლისფერი კანი, — თვალების ნაბვა დაუწყო ბატონ Hof Musicus-ს. კრისტოფს თხოვეს, თუ ინებებთ, პატივი გვეცით და დაგვეწვიეთო.

კრისტოფი ასეთ საზოგადოებაში არასოდეს ყოფილა. ყმაწვილები დიდი თავაზით ექცეოდნენ. ქალიშვილები, როგორც საუკეთესო მეგობრებს შეჰფერით, ცდილობდნენ ერთმანეთისათვის არ დაეთმოთ იგი, ორივენი ეკეკლუცებოდნენ: გადაპრანჭული მირა იქედნურ თვალს არ აშორებდა. თან მაგიდის ქვეშ ფეხით ეკვროდა. ადა ჯიქურ უბრიალებდა მომხიბვლელ თვალებს. მათი აშკარა არმიყობა აღელვებდა კრისტოფს. როგორ არ ჰგავდა ეს ორი თავხედი გოგონა გაბღენძილ ხალხს, შინ რომ ერტყა გარს. მირა უფრო მოეწონა, უფრო ჭკვიანი ეჩვენა, ვინემ ადა, მაგრამ მისი პირმოთნე საქციელი და ორაზროვანი ღიმილი ერთსა და იმავე დროს იზიდავდა კიდეც და არც მოსდიოდა თვალში. ვით შეედრებოდა სიცოცხლითა და სიხარულით აღსავსე ადას! ადამ თავადაც კარგად იცოდა ეს. როგორც კი დაინახა მირამ, რომ ბრძოლა წააგო, არ გაჯიქებულა, მოეშვა. კვლავინდებურად იღიმებოდა, ჩემი დროც დადგებაო, ფიქრობდა მშვიდად. ადამ გამარჯვებულად იგრძნო თავი და ბრძოლა შეწყვიტა. აქამდე რასაც ჩალიჩობდა, სულ იმიტომ, რომ მეგობრისათვის გული მოეკლა. მიზანს მიაღწია და კმაყოფილი იყო. მაგრამ თამაშმა გაიტაცა. კრისტოფის თვალებში მის მიერ დანთებულ ვნებას კითხულობდა და თვითონაც გადმოედო ვნების ჩანძარი. იგი დადუმდა და ლაზღანდარობა შეწყვიტა. ჩუმად, უსიტყვოდ მისჩერებოდნენ ერთმანეთს. ტუჩებზე წეღანდელი კოცნის გემოს გრძნობდნენ. ჩანდახან ერეოდნენ თანამეინახეთა საუბარში და თვითონაც ხუმრობდნენ, ლაყბობდნენ, შემდეგ ისევ გაჩუმდებოდნენ და მალულად უცქერდნენ ერთმანეთს.

ბოლოს ერთიმეორეს თვალი აარიდეს, თითქოს გრძნობის გამჟღავნებისა ეშინიათო წადილის დამალვა განიზრახეს.

ტრაპეზობის შემდეგ დაბრუნება დაასკვნეს. ნავმისადგომამდე ორი კილომეტრი უნდა ეარათ ტყე-ტყე. პირველად ადა წამოდგა, კრისტოფი მაშინვე გაჰყვა. ზღურბლთან დაუცადეს დანარჩენთ. უსიტყვოდ, მხარიმხარ იდგნენ სქელ ნისლში, ძლივს კრთოდა სასტუმროს კარებთან ანთებული ფარანი. მირა სარკის წინ ტრიალებდა და აგვიანებდა...

ადამ ხელი დასტაცა კრისტოფს და კედლის გაყოლებით ბაღისკენ წაიყვანა, სიბნელეში. უსურვაზით შეფოთლილი აივნის ქვეშ დაიმალნენ, ირგვლივ განუჭვრეტელი წყვდიადი იდგა. ერთმანეთს ვერ ხედავდნენ. ქარი არხევდა ნაძვების კენწეროებს, კრისტოფი გრძნობდა ადას გადაჭდობილი თითების სითბოს და გოგონას მკერდზე დაბნეული ჰელიოტროპის ყვავილის სუნი სცემდა.

ადამ უეცრად მიიზიდა ვაჟი. კრისტოფს ნისლით დანესტიანებული თმა მოხვდა ტუჩებზე, დაუკოცნა თვალები, წამწამები, ნესტოები და ლბილი ლოყები, ბაგეთა წიბო, ბოლოს ტუჩებსაც დაეწაფა.

თანამგზავრები გამოსულიყვნენ და გაჰყვიროდნენ.

— ადა!..

კრისტოფი და ადა არ განძრეულან, სუნთქვაშეკრულნი მიჰკროდნენ ერთმანეთს ტუჩებითა და მთელი სხეულით.

გაიგონეს მირას ხმა:

— წინ წასულან.

თანამგზავრთა ფეხის ხმა ნელ-ნელა მიწყდა სიბნელეში. აივნის ქვეშ შეფარებულნი კიდევ უფრო მიეტმასნენ ერთიმეორეს და ჩუმი კოცნით ჩაახშეს ტუჩებზე მომდგარი ვნებიანი ჩურჩული.

შორს საათმა დარეკა სოფლის სამრეკლოზე. ერთმანეთს მოწყდნენ. დროს დაკარგვა არ შეიძლებოდა, სიტყვის უთქმელად დაადგნენ გზას ხელგადაჭდობილნი და ნაბიჯი ააწყვეს. გზა უკაცრიელი იყო. არც მინდორზე ჭაჭანებდა ძე-ხორციელი. ათ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. გულმშვიდად და გულდაჯერებით მიალაჯებდნენ წყვდიადში. ქვაზეც არ წაბორძიკებიათ ფეხი აგვიანდებოდათ და მოკლე ბილიკი აირჩიეს. ბილიკი ერთხანს ვენახს მისდევდა. შემდეგ აღმართი დაიწყო და გზა გორაკის ფერდობზე დაიკლაკნა. ნისლში მოესმათ მდინარის შხუილი, მოახლოებული გემის ბორბლების ხმა. ბილიკი დაადგეს და პირდაპირ გაიქცნენ. ბოლოს რაინის პირსაც მიაღწიეს. მაგრამ სადგურიდან მაინც შორს იყვნენ, გუნება მაინც არ ამღვრევიათ. ადას წეღანდელი დაღლილობა გადაავიწყდა. ეჩვენებოდათ, რომ შეეძლოთ მთელ ღამეს ეარათ უჩუმარ ბალახზე და მოფუთფუთე ნისლში, უფრო მკვრივი და ნოტიო რომ იყო მთვარით შე-

ვერცხლილი მდინარის გასწვრივ. გემის საყვირი აბუბუნდა, მძიმედ დაიძრა უჩინარი ურჩხული. სიცილით წამოიძახეს.

—შემდეგს გავყვეთ.

ქვიშნარ ნაპირზე ზედ მათ ფეხებთან აშხაპუნდა გემის მიერ ატალღებული ზვირთი.

ნავმისადგომის ბაქანზე უთხრეს:

— უკანასკნელი გემი ეს-ესაა გავიდა.

კრისტოფს გული აუძგერდა, ადამ უფრო მაგრად მოუჭირა ხელი მკლავზე.

— ეგრე იყოს, განა ხვალ ვეღარ წავალთ?

რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, მდინარის პირას, მიწაყრილის ბოძზე დაკიდებული ფარანი ციმციმებდა. ცოტა იქით სასტუმროს პატარა ფანჯრები მოჩანდა.

პაწაწკინტელა ბაღში სილა ხრაშუნობდა. ხელის ცეცებით მიაგნეს კიბეს. სასტუმროში უკვე სანთლებს აქრობდნენ, როცა შევიდნენ. ადამ ღამის გასათევი მოითხოვა. მსახური შეუძღვა ბაღში გადამყურე ოთახში. კრისტოფმა ფანჯრიდან გაიხედა და მოციმციმე მდინარე და ფარნის თვალი დაინახა. გრძელფრთიანი კოღოები ეხეთქებოდნენ სანთურის მინას. კარი მიიხურა. ადა ლოგინთან იდგა და იღიმებოდა. კრისტოფს ადასათვის თვალის გასწორება ვერ გაებედა. არც ადა უყურებდა, მაგრამ დახრილი წამწამებიდან ზვერავდა მის ყოველ შერხევას. იატაკი ჭრაჭუნობდა ფეხქვეშ. მცირეოდენი ჩქამიც მკაფიოდ გაისმოდა. ისინი საწოლზე ჩამოსხდნენ და ხმის ამოუღებლად მოეხვივნენ ერთმანეთს.

ბაღში მოციმციმე შუქი ჩაქრა, ყველაფერი ჩაქრა...

ღამე... ქვესკნელი... არც სინათლე, არც აზრი... არსებობა მხოლოდ. ყოფიერების ძალა — ბნელი და გაუძღომელი. და ყოვლისშემძლე სიხარული: სულდამბუგველი სიხარული, რომელიც ისე იწოვს არსებას, ვითარცა ქვას სიცარიელე. ნდომის გრიგალი, გონების წამღები. უგუნური და შლეგი კანონი ძრუმე ღამეში მორიალე მქრქალ და მთვრალ სამყაროთა...

ღამე... სუნთქვა არეული და მოვარაყებული სითბო შედუღებული სხეულებისა: ერთად ლტოლვა გარინდების უფსკრულთა წიაღ. ღამე—ღამეთა ფარდი, და საათები—საუკუნეთა ფარდი და წამები—სიკვდილის ფარდი... ზიარი სიზმრები და თვალმინაბულთა ჩურჩული, დუმილი და ნაზი შეხება შიშველ ფეხთა, ძილ-ღვიძილში რომ დაეძებენ ერთიმეორეს; ცრემლი და სიცილი, ბედნიერება სამყაროსგან თავდახსნილი სიყვარულისა და ზიარი ძილის არყოფნა;

თავში აფუტკვნილი მოჩოჩქოლე ხატებანი და მოშრიალე ღამის სიზმრები... ზედ სახლის ძირას, პატარა ყურეში ჩქრიალებს რაინი და ქარაფებზე ისე შხაპუნებს მისი ზვირთები, როგორც ქვიშნარზე მცირედი თქორი. მოტივტივე საყუდარი ოხრავს, ჭრიალებს. ჯაჭვი ეშვება და იქაჩება, გაცვეთილი რკინა ჩხარუნებს. მდინარის ბორგვა ძლიერდება და ოთახს ავსებს. სარეცელი ნავს ემსგავსება: თავბრუდამხვევი მდინარება მიაქანებთ გვერდიგვერდ მწოლარეთა—სიცარიელეში გამოკიდულან ირაოზე გაჩხიბული ფრინველის დარად. ღამე ღამდება, ცარიელდება სიცარიელე. კიდევ უფრო ეტმასნებიან ერთიმეორეს. ადა ტირის, კრისტოფს გონება მისდის და ღამის ტალღებში იძირება ორივე.

ღამე... სიკვდილი... რაღად უნდათ დაუბრუნდნენ სიცოცხლეს.

გარიჟრაჟის ცრიატი ნათელი კრთის დაორთქლილი მინების მიღმა. ქანცგამოლეულ სხეულებში კვლავ ინთება სიცოცხლის შუქი. კრისტოფს ეღვიძება. ადა შესცქერის. თავი ერთად უდევთ. მკლავები გადაჭდობილი აქვთ, ბაგე—ბაგეს შეწებებული. რამდენსაც წამში გადის მთელი ცხოვრება, მზიანი დღეები, დიადი და მშვიდი დღეები...

„სად ვარ? ორნი ვართ თუ უკვე გავერთდით. ნუთუ ვარსებობთ ისევ? თავი დავკარგე. უსასრულობა შემომხვევია, და ჩამიდგა სული ფართო, წყნარი, ღვთაებრივი სიმშვიდით აღსავსე ქანდაკებისა“.

ისევ საუკუნოვანი ძილი. განთიადის ნაცნობი ხმები—შორეული ზარები და ნავი, წყალზე რომ მისრიალებს და ნიჩბებიდან წვეთები ცვივა, გზად მიმავალთა ფეხის ჩქამი კი არ აშფოთებს, ელამუნება მათ მთვლემარე ბედნიერებას, სიცოცხლეს აგონებს და სიცოცხლით ატკბობს...

სარკმელთან გემის საყვირის ხმა გაისმა და გარინდებიდან გამოარკვია კრისტოფი. დათქმული ჰქონდათ, შვიდ საათზე გასულიყვნენ, რათა სამსახურში არ დაგვიანებოდათ. ადას წასჩურჩულა:

— გესმის?

ადას თვალი არ გაუხელია, გაიღიმა, ტუჩები მიაგება, ძლივს აკოცა ქანცგილეულმა და მერმე ისევ ჩამოუვარდა თავი კრისტოფის მხარზე... კრისტოფმა ხეცის თეთრ ფონზე მოსრიალე საკვამური, ცარიელი საბიჯელა და კვამლის ბოლქვები დაინახა სარკმელში, შემდეგ კვლავ მიერულა..

შეუმჩნევლად გაიქროლა ერთმა საათმა, ზარის რეკვა რომ შემოესმა, კრისტოფი მოულოდნელობისაგან შეხტა.

— ადა! — ყურში ჩასჩურჩულა საყვარელს, — ჰედი! — გაუმეორა სა- ალერსო სახელი, — რვა საათია.

თვალებდახუჭული ადა უკმაყოფილების ნიშნად შეიქმუხნა.

— ოჰ, ნუ მაღვიძებ.

მკლავებიდან გამოუსხლტა, დაღლილობისაგან ამოიხვნეშა, ზურგი შეაქცია და ჩაიძინა.

მის გვერდით გაშოტილი კრისტოფი არ განძრეულა ერთნაირი სითბო ჩაღვრილიყო ორივეს ტანში. კრისტოფი ფიქრს მიეცა. ლაღად და წყნარად უჩქროლავდა ძარღვებში სისხლი. დაწმენდილი გონება გასაოცარი სიცხადით ირეკლავდა სულ უმცირეს შთაბეჭდილებას. თავისი ძალითა და სიყრმით ტკბებოდა. უნებლიეთ ამაყობდა, რომ მამაკაცი იყო. თავის ბედნიერებას უღიმოდა. ახლაც მარტო გრძნობდა თავს, როგორც ყოველთვის, იქნებ უფრო მარტოც, ვიდრე ოდესმე, მაგრამ ნაღველის ჩრდილიც კი არ აშფოთებდა ღვთაებრივად განმარტოებულს. უკვალოდ გამქრალიყო ხურვება და მოჩვენებანი. გულაღმა გაშოტილი, ფანჯრისაკენ პირმიქცეული და თვალისმომჭრელად მოციმციმე ბურუსს მზერამიპყრობილი იღიმებოდა:

— რა კარგია სიცოცხლე!..

სიცოცხლე!.. ნავმა ჩაიარა... ანაზდად ისინი გაახსენდა, ვინც უკვე აღარ იყო ცოცხალი, ნავი გაახსენდა, ერთად რომ ისხდნენ თვითონ და ის... — ის?.. ეს კი არა, მის გვერდით რომ სძინავს, ის, ერთადერთი, საყვარელი, საცოდავი მიცვალებული. მაშ ეს ვინ არის? აქ რა უნდა? როგორ მოხვდნენ ერთად ამ ოთახში, ამ საწოლში? შესცქეროდა და ვეღარა ცნობდა. უცხო იყო. გუშინ ამ დროს არც კი არსებობდა მისთვის. რა იცის ადას შესახებ? ისღა იცის, რომ ჭკუა მაინცდამაინც არ აწუხებს, არც კეთილია. ისიც იცის, რომ ამ წუთას ლამაზიც არაა, ძილისგან სახე შეშუპებია და ფერი წასვლია. დაბალი შუბლი აქვს, პირდაბჩენილი სუნთქავს, დასიებული ტუჩები გადმობურცვია და ჭანარს დამგვანებია. იცის, რომ სრულებითაც არ უყვარს ეს ქალი. და მწვავე ტკივილით დაესერა გული, როცა გაიფიქრა, რომ შეხვედრისთანავე აკოცა ამ უცხო ტუჩებს, რომ პირველსავე ღამეს დაეუფლა ამ მოხდენილ, მაგრამ ცივ სხეულს. ხოლო მის თვალწინ ცხოვრობდა და გარდაიცვალა, ვისაც სულითა და გულით ეტრფოდა და ერთხელაც ვერ გაუბედა ოდნავ მაინც შეხებოდა მის თმას, სამარადჟამოდ შეუცნობელი დაურჩა მისი არსების სურნელება. აღარაფერი დაშთენოდა მისგან. ყოველივე განქარდა. მიწამ შთანთქა ყველაფერი და მან ვერ დაიცვა იგი.

უდარდელად ჩაძინებულს დაჰყურებდა და მის ნაკვთებს აკვირდებოდა ავი თვალით. ადამ იგრძნო მზერა. დაყინებული მიშტერებით შეწუხებულმა ძლივს გაახილა დამძიმებული ქუთუთოები, გაუღიმა და ახალგაღვიძებული ბავშვივით ენამოჩლექით უთხრა:

— ნუ მიყურებ, უშნო ვარ...

შემდეგ თავი წადო ბალიშზე, კვლავ გაუღიმა და წაიბუტბუტა:

— ო, როგორ მეძინება!..

და ისევ ძილს მისცა თავი.

კრისტოფს სიცილი წასკდა: ტუჩები და ბავშვივით გაბუშტული ცხვირი დაუკოცნა. ერთ ხანს უმზერდა ამ დიდ ბალღს, მერმე გადაალაჯა და უჩუმრად ადგა.

ქალმა შვებით ამოისუნთქა და ცარიელ სარეცელზე გაიშოტა. კრისტოფი ცდილობდა მისთვის ძილი არ გაეკრთო, თუმცა ადას გაღვიძება ადვილი როდი იყო. ჩაცმა რომ მოათავა, სკამზე ჩამოჯდა სარკმლის სიახლოვეს და ბურუსით შებოლილ მდინარეს გახედა. ნისლი იგრაგნებოდა, თითქოს ყინულის ხორგებს დაატრიალებდა მორევი.

კრისტოფი ოცნებამ წაიღო და მის სულში სევდიანი, პასტორალური ჰანგი ახმიანდა.

დროდადრო ქალი თვალს გაახელდა, გაოგნებული შეაჩერდებოდა კრისტოფს, მერე იცნობდა, გაიღიმებდა და ისევ წაიძინებდა.

ერთხელ დრო იკითხა.

— ცხრას თხუთმეტი უკლია,—შეეპასუხა კრისტოფი.

ადამ რულმორეულმა ჩაიბუტბუტა:

— ნეტა რამდენი უნდა იყოს ეს „ცხრას თხუთმეტი უკლია“.

ათის ნახევარზე გაიზმორა, ამოიხვნეშა და ვდგებიო, თქვა. მაგრამ მხოლოდ მაშინ შეიშმუშნა, საათმა რომ ათი დაჰკრა, და აბუზღუნდა:

— ისევ რეკავს საათი, წამდაუწუმ რეკავს!..

კრისტოფმა გაიცინა და საწოლზე ჩამოჯდა. ადამ მკლავები შემოაჭდო ყელზე და სიზმრები უამბო. უგულისყუროდ უსმენდა კრისტოფი, საალერსო სიტყვით აწყვეტინებდა საუბარს, მაგრამ ადა ჩააჩუმებდა და საოცარი სერიოზულობით განაგრძობდა, თითქოს მნიშვნელოვანსა და საჭირბოროტო საქმეს აგვარებდა.

მოუთხრობდა, როგორ მიიწვიეს დარბაზობაზე უფლისწულთან ერთად. მირა ნიუფაუნდლენდური ქოფაკი იყო... არა, ნერბი იყო საწმისჩაგრეხილი და ტაბლას ემსახურებოდა. ადა კი როგორღაც ჰაერში დარონინებდა, როკავდა, ანდა ცისაკენ აიზიდებოდა. დახე, რა ადვილია! ჯერ ასე, მერე ასე... და ესაა სულ..

კრისტოფმა ჩაიცინა. ადასაც სიცილი წასკდა. მაგრამ კრისტოფმა რომ დასცინა, მაინც გული ეტკინა. მერე მხრები აიჩეჩა და უსაყვედურა:

— არაფერი არ გესმის, არაფერი!..

საუზმე საწოლში მიირთვეს. ერთი ჯამიდან ჭამდნენ ზიარი კოვზით.

ბოლოს ადამ ადგომა დააპირა; საბანი გადაიძრო, ლამაზი კანჭები და ჩათქვირული ბარძაყები გამოუჩნდა. ჩამოცოცდა საწოლიდან. მერე სულის მოსათქმელად წამოჯდა, ფეხებზე დაიხედა, ხელი ხელს შემოჰკრა და გარეთ გადიო, უბრძანა კრისტოფს. ვაჟი არ ჩქარობდა, შაშინ მხრებში ჩაავლო ხელი, გარეთ ჭააგდო და კარი ჩარაზა.

მარტო რომ დარჩა, გემრიელად დაამთქნარა და გაიზმორა, თავისი ხელფეხი შეათვალიერა; პირის ბანისას თოთხმეტ ტაეპიანი გულისამაჩუყებელი lied წაიმღერა. თან წყალი შეასხა კრისტოფს, რომელიც ფანჯარაზე მომდგარიყო და უბრახუნებდა.

მერე ბაღში ვარდი არ დატოვეს გადუკრეფავი და ბოლოს გემში ჩასხდნენ.

ნისლი ჯერ არ აკრეფილიყო, მაგრამ მზე მაინც ატანდა მის ბოლქვებში. რძისფერ სივრცეში მიიკვლევდა გზას ხომალდი. ადა კრისტოფის გვერდით კიჩოზე ჩამოჯდა. ნამძინარევი და გამწყრალი იყო. ბუზღუნებდა—სინათლე თვალებში მცემს და დამსიცხავსო. კრისტოფმა რომ მაინცდამაინც ყური არ ათხოვა მის წუწუნს, ადა გაიბუტა და გაიტრუნა. თვალები მოჭუტა და ერთობ სერიოზული იერი მიიღო. ასეთი მზერა აქვთ ხოლმე ბალღებს ძილ-ღვიძილში. შემდგომ გაჩერებაზე ვიღაც კოხტა ქალი ამოვიდა და მათ შორიახლოს დაჯდა. მაშინ კი ამოიდგა ენა ადამ, გამოცოცხლდა, მაღალფარდოვანი საუბარი გაუბა კრისტოფს, თანაც თქვენობით მიმართავდა.

წუხდა კრისტოფი. რას ეტყვის პატრონს, რით გაამართლებს დაგვიანებასო. ადას ეს აინუნშიც არ მოსდიოდა.

— დიდი ამბავი! პირველად ხომ არ...

— რა?..

— პირველად ხომ არ ვიგვიანებ, — შეკითხვა გააწყვეტინა ადამ.

კრისტოფმა ვეღარ გაბედა ეკითხა: წინათ რატომ იგვიანებდიო?

— მაინც რას ეტყვი?

— ვეტყვი, დედა ავად იყო, რომ მომიკვდა... აბა რა ვიცი, რას ვეტყვი!

კრისტოფს არ ეამა მისი ცუღლუტური ჭარტალი.

— არ მინდა, ტყუილი თქვა.

— ჯერ ერთი, მე არასოდეს არ ვამბობ ტყვილს, — გაცხარდა ადა, — და მეორეც, ხომ ვერ ვეტყვი, რომ...

— რატომ ვერ ეტყვი?

ადამ გაიცინა, მხრები შეათამაშა და კრისტოფს უთხრა, უხეში და გაუზრდელი ხარო, ამიერიდან შენობით ნუ დამელაპარაკებიო.

— განა არა მაქვს ამისი უფლება?

— არა.

— მას მერეც კი, რაც მოხდა?

— არაფერიც არ მომხდარა

ადა იცინოდა და გამომწვევად უმზერდა კრისტოფს. ხუმრობდა ადა, მაგრამ კრისტოფმა იგრძნო, ქალს შეეძლო სერიოზულად ელაპარაკა და თავიც დაეწმუნებინა, მართლაც არაფერი არ მომხდარაო.

უეცრად ადას რაღაც სასაცილო ამბავი მოაგონდა და სიცილით ჩაბჟირდა. მერე კრისტოფს შეხედა და მიეხუტა, არ მორიდებია თანამგზავრებს, არც იმათ გაკვირვებიათ რაიმე.

ამიერიდან ყოველ უქმე დღეს ნოქრებსა და დახლიდარებში ატარებდა ქალაქგარეთ. არ მოსწონდა მათი გაუთლელობა, ცდილობდა გზაში ჩამორჩენოდა მათ, მაგრამ წინააღმდეგობის სურვილით აღძრული ადა გაჯიქდებოდა ხოლმე და არ ისურვებდა ჭალაკში გადახვევას. როცა გაწვიმდებოდა, ან რაიმე სხვა მიზეზის გამო ქალაქგარეთ ვერ გავიდოდნენ, თეატრში, მუზეუმსა და Tiergarten-ში დაჰყავდა ადა. ქალს კრისტოფთან ერთად ხალხში გამოჩენა ესახელებოდა. ეკლესიაში წირვაზე წაყოლაც კი შეუკვეთა, მაგრამ გულუბრყვილო კრისტოფს საყდარში ფეხის შედგმა არ სურდა მას შემდეგ, რაც რწმენა დაკარგა (რაღაც მოიმიზეზა და ორღანისტის ადგილზეც კი თქვა უარი); მაგრამ თავის უნებლიეთ იმდენი ღვთისმოსაობა მაინც შერჩა, რომ ადას ნათქვამი მკრეხელობად მიიჩნია.

საღამოობით ადასთან დაიარებოდა, აქ მას მირა ხვდებოდა, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა. მირა გულღრძო არ იყო, კრისტოფს გაუწვდიდა თავის ლბილსა და ფაფუკ ხელს, უმნიშვნელო წვრილმანებზე ალაპარაკდებოდა და მერმე მორცხვად გაეცლებოდა. ეს ორი ქალიშვილი არასოდეს არ ყოფილა ასე დამეგობრებული, თუმცა ახლა სიახლოვისთვის ნაკლები იყო მიზეზი. კუდი კუდს ჰქონდათ გადაფსკვნილი. ადა არაფერს უფარავდა მირას. მირა უსმენდა. და ორივე უდიდეს სიამეს გრძნობდა.

კრისტოფი მათთან თავს უხერხულად გრძნობდა. მათი მეგობრობა, სულელური ტყიპინი, წრესგადასული მანჭვა-გრეხა სულს უხუთავდა. მირას უცნაური აზრები და საუბარი (ამასთან მირა მეტწილად თავს იკავებდა, მაგრამ ადა აწვდიდა მის ნალაპარაკევს), მათი უტიფარი ცნობისმოყვარეობა, ბრიყვული და უწმაწური ამბებით რომ იფარგლებოდა,—მთელი ეს ორაზროვანი და ოდნავ ცხოველური ატმოსფერო საშინლად ბოჭავდა კრისტოფს, მაგრამ ამასთანავე ართობდა. მსგავსი არაფერი ენახა. ვერაფერი გაუგო ამ ორ ველურს. რაზე არ

ბაასობდნენ: ტანსაცმელზე, ათასგვარ სისულელეზე, გიჟურად ხარხარებდნენ, თვალები სიხარულით აენთებოდათ, რაიმე საჩოთირო ამბავს რომ მიაკვლევდნენ: შირას წასვლა შვებას ანიჭებდა კრისტოფს. აუტანელი იყო ერთად მათი გაძლება, უცხო მხარეში უგზოუკვლოდ გადახვეწილს ჰგავდა კრისტოფი. ენა არ იცოდა ამ ქვეყნისა. ვერაფერს შეაგნებინებდა მათ. არც უსმენდნენ და თან დასცინოდნენ უცხო ქვეყნის შვილს.

როცა ადას დაიმარტოხელებდა, კვლავ ორ სხვადასხვა ენაზე განაგრძობდნენ საუბარს. თავს ძალას ატანდნენ, ცდილობდნენ ჩაწვდომოდნენ ერთმანეთს. სიმართლე რომ ითქვას, რაც უფრო უკეთ გაუგო ადას, მით უფრო ნაკლები ესმოდა მისი. ადა პირველი ქალი იყო კრისტოფის ცხოვრებაში. საცოდავი საბინასი არაფერი იცოდა. ის სულის სიღრმეში დასადგურებულ მარადიულ ზმანებად შემორჩა კრისტოფს. კრისტოფი შეეცადა ამოეცნო იდუმალება დედათა სქესისა, იდუმალება, რაიც ალბათ მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა ეძიებ.

უჭკუო იყო ადა, უჭკუობა მისი უმცირეს ცოდვათაგანი იყო. კრისტოფი მიუტევებდა, თავად ადა რომ შერიგებოდა ამ ამბავს. თავი სისულელეებით ჰქონდა გამოტენილი და მაინც გონიერებას იჩემებდა. თავდაჯერებული მსჯელობდა ყველაფერზე, ალაპარაკდებოდა მუსიკაზე, კრისტოფს უხსნიდა ვაჟისთვის უკეთ ცნობილ ფაქტებს, სასტიკი განაჩენი გამოჰქონდა. ამაო იყო მისი გადარწმუნება. ყოვლისმცოდნედ მოჰქონდა თავი, იგრიხებოდა, ჭირვეული და პატივმოყვარე იყო, არც სურდა და არც შეეძლო რაიმეს შესმენა. იმას მაინც მიმხვდარიყო, რომ არაფერი ესმოდა! თავსმოხვეული და სხვათა შემბორკველი სიყალბე რომ დაეთმო, ყოფილიყო უბრალო, რამდენად უფრო ეყვარებოდა კრისტოფს!

ქალი ფიქრით თავს არ იწუხებდა. ზრუნავდა სმა-ჭამაზე, მღერა-თამაშზე, სიცილ-ხარხარსა და ძილზე. ბედნიერება სწყუროდა. ბუნებას საამისოდ დაეჯილდოებინა: ღორმუცელა, უქნარა, გრძნობააშლილი და ბალღურად თავკერძა იყო; ეს აღაშფოთებდა და თან ხიბლავდა კრისტოფს. ადას თითქმის ყველა ნაკლი ებადა, სიცოცხლეს რომ საამურს ხდის ბიწიერთათვის, თუ მათ მოყვასთათვის არა. თუმცა ბედნიერებით გაბრწყინებული ლამაზი სახე განა გულს არ უნათებს ყველა მახლობელს? ბუნებას უხვად დაესაჩუქრებინა; ბედნიერი და თავისი ყოფით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ადა სიბრიყვის გამო ვერ ახერხებდა ამას. ეს ლამაზი და ტანსრული ცქრიალა გოგონა, დაუოკებელი სიხარულით რომ იყო აღტყინებული და მგელივით მადა რომ ჰქონდა, მუდამ წუხდა თავისი ჯანმრთელობის გამო. სისუსტეს უჩიოდა და თან ოთხი კაცის არჩიევს თქვლეფდა. ყველაფერზე წუწუნებდა: ძლივს დაეჩანჩალებ. სუნთქვა მიჭირს, თავბრუ მესხმის, ფეხები, თვალები, კუჭი—ყველაფერი მტკივაო; სულიც

მეხუთეგაო. შიშით კანკალებდა. საოცრად ცრუმორწმუნე იყო, ყველგან ავის მომასწავებელ ნიშანს ხედავდა. გადაჯვარედინებულ კოვზებსა და ჩანგლებს მეინახეთა რიცხვსა თუ გადმოპირქვავებულ სამარილეს —ყველაფერს იდუმალი აზრი ჰქონდა მისთვის. უბედურების ასაცილებლად რაღაც წესების დაცვა იყო საჭირო. თვლიდა ყორნებს, ზეცას რომ სერავდნენ. არ გამოეპარებოდა, ცის ორმელი კიდიდან მოფრინავდნენ ისინი. შეძრწუნებული ათვალიერებდა ფეხებქვეშ მიწას და საწყალობლად ღნაოდა, დილით გზაზე მოღოღიალე ბაბაკუას თუ მოჰკრავდა თვალს. შინ დაბრუნება სურდა; სხვა საშველი არ იყო, გზა რომ განეგრძოთ, ადა უნდა დაერწმუნებინა, რომ უკვე ნაშუადღევია, რომ ავბედობის ნიშანს ძალა ეკარგება და სიკეთის მომასწავებელი ხდება. აშინებდა საკუთარი სიზმრები, რომელთაც წვრილად უამბობდა კრისტოფს; საათობით იხსენებდა ხოლმე დავიწყებულ წვრილმანს. კრისტოფს უნდა მოესმინა დაუსრულებელი აბდაუბდა საოცარი ჯვარისწერისა, სიკვდილისა, თერძებისა და უფლისწულების შესახებ, —სასაცილო და ყიბმყრალი ამბები. უნდა მოესმინა და თავისი სიტყვა ეთქვა. ადას ზოგჯერ მთელი დღეების მანძილზე ელანდებოდა სიზმრებიდან გამოყოლილი საშინელი მოჩვენებანი. სიცოცხლე უმძიმდა, ემდუროდა ცხოვრების ამაოებას და კაცთა გაუტანლობას. კრისტოფს სულს ხდიდა მისი წუწუნი. რა აზრი ჰქონდა გარემომცველ მტმუნვარე წვრილფეხობის ჩამოცილებას, მათ ნაცვლად თუ მარადიულ მტერს შეიძენდა. „Der trauriger ungriechischer Hypochondrist"-იაო, ფიქრობდა იგი.

ანაზდად გამწყარალ ადას დაუშოშმინებელი და შლეგური მხიარულება შემოუტევდა. სულ ამაო იყო ცდა, ადას დაოკება ისევე შეუძლებელი იყო, როგორც ცოტა ხნის წინ მისი უგუნებობის გაქარვება. საღერღელი აეშლებოდა, იწყებოდა უმიზეზო და უთავბოლო ხარხარი, სირბილი, გახელება და ბალღურად თავის შექცევა. სიამეს ჰგვრიდა მიწის ჩიჩქნა, წვირეში ხელის ფათური. ბაბაკუებსა და ჭიაღუებს დაეძებდა, ჭიანჭველების ფაცაფუცს აკვირდებოდა. ეხაროდა მათი გაღიზიანება, ტკივილის მიყენება; ერთმანეთს უსისიანებდა: ჩიტებს კატას აძლევდა გასაბღვნელად, ჭიაყელებს ქათმებს აკენკინებდა, ბაბაკუას ჭიანჭველებს მიუგდებდა. გულღრძოობის გარეშე იქცეოდა ასე. რაღაც ქვეშეცნეული ალღრთი, ცნობისწადილისა და უსაქმურობის გამო. სიცოცხლეთა ჩმახვის სურვილი წამოუვლიდა, როშავდა ათას უაზრობას, ერთი და იგივეს იმეორებდა, მოსაუბრეთა გამოჯავრება, დაქანცვა და მოთმინებიდან გამოყვანა სურდა. მგზავრი თუ შემოეყრებოდა, ადა კეკლუცობას იწყებდა, ალტყინებული საუბრობდა, ხორხოცობდა, ხმაურითა და მანჭვა-გრეხით ცდილობდა ყურადღების მიპყრობას. მიხრა-მოხრაც ეცვლებოდა, უშნოდ აცუნდრუკდებოდა. შეშინებული კრისტოფი გრძნობდა, ადა საცაა სერიოზულ თემაზე

ჩამომიგდებს საუბარსო. ასეც იყო, უსაზღვროდ გრძნობამოჭარბებული აქა-ქანდებოდა. იტანჯებოდა კრისტოფი, ადას მიტყეპა უნდოდა, სიყალბის მიტეკება არ შეეძლო. იმჟამად კრისტოფმა ჯერ კიდეე არ იცოდა, რომ გულწრფელობა ისეთივე ზეგარდმობოძებული იშვიათი ნიჭია, როგორც ჭკუა და სილამაზე, რომ უსამართლობაა ყველასაგან განურჩევლად სიწრფელის მოთხოვნა. ტყუილებს ვერ იტანდა, ადა კი ტყუილების გუდა იყო, აშკარად და გულაუმღვრევლად ცრუობდა ყოველ ნაბიჯზე. ᲘᲝᲚᲐᲓ ᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲓᲐ უსიამო ამბებს, რაც მოსწონდა, ისიც ადვილად ამოუფრინდებოდა თავიდან იმ ქალების დარად, რომელთა სიცოცხლე წუთით განისაზღვრება.

მაინც ეტრფოდნენ ერთმანეთს. ეტრფოდნენ სულითა და გულით. სიყვარულში ადა კრისტოფივით წრფელი იყო. ეს იყო ნამდვილი, თუმცა სულთა ნათესაობას არ ემყარებოდა იგი. ამ ჭაბუკურ ტრფობაში ბილწი სურვილები არ ერია, მასში ყოველივე სიყრმით ფეთქავდა და მოზღვავებული ვნებანი მას ვერ წარყვნიდა. უბრალოებითა და სიხარულის ᲩᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ განწმენდილი გულუბრყვილო და თითქმის უბიწო ტრფობა იყო. სიყვარულში გამოუცდელი ღვთაებრივი უპირატესობა გააჩნდათ—ყრმანი იყვნენ სულით ხორცამდე. სიყრმის გრძნობები ფაქიზია, ჩხრიალა ნაკადულივით გამჭვირვალე და დაუდგრომელი. განცდათა სიახლე სიწმინდის ილუზიას ქმნის. ყოველდღიურ ცხოვრებაში ყალბი და ეგოისტი ადა სიყვარულში კეთილი და გულწრფელი გახდა. მან შეიცნო სიხარული, თავდავიწყება რომ იძლევა: კრისტოფი აღტაცებით შეჰყურებდა ადას და მზად იყო მისთვის თავი ენაცვლებინა. ვინ მოთვლის მიჯნურის სული რამდენ სასაცილო და გულისამაჩუყებელ ზმანებას ურთავს თავის სიყვარულს! შემოქმედთათვის თანდაყოლილი ფანტაზიის წყალობით კრისტოფს ილუზიები უმრავლდებოდა. ადას ღიმილს მისთვის ღრმა აზრი ჰქონდა, საალერსო სიტყვა სატრფოს სულის სიმშვენიერეს უდასტურებდა, მიჯნურში ეტრფოდა მთელი სამყაროს სიკეთესა და მშვენიერებას. ეუბნებოდა—ჩემი „მე“, ჩემი სული, ჩემი სიცოცხლე ხარო. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲔᲠᲗᲐᲓ ღვრიდნენ ტრფობის ცრემლს.

მხოლოდ სასიყვარულო სიამე როდი აერთებდა მიჯნურთ. ისინი ოცნებათა და მოგონებათა იდუმალმა პოეზიამ შეაკავშირა. კაცმა არ იცის, მათი იყო-ეს ოცნება? იქნებ ეს იყო ოცნება გარდასულ დროთა მიჯნურობისა... უთქმელად და შეუცნობლად დაატარებდნენ ტყეში პირველი შეხვედრის თავბრუდამხვევ მოგონებებს, ერთად გათენებულ პირველ ღამეებს, ერთიმეორის მკლავზე რომ ეძინათ და ტრფობისა და უჩუმარი სიხარულის მორევს მისცემოდნენ გონწასულნი და გარინდულნი; როცა სული სულს ეზავებოდა, წარმოსახვანი აიშლებოდნენ, ფარული აზრი გაუელვებდათ, იცრიცებოდნენ და სიამით განილეოდ-

ნენ. მოგონებანი სკის ბუბუნით ეხვეოდნენ გარს. მწველი და ლბილი ნათელი ცრიატებს... გული ვერ იტევს ამდენ სინაზეს, ძალუმად ძგერს და ყუჩდება. მდუმარება... მოთენთილობა ხურვებისა და იდუმალი ღიმილი... მოქანცულ მიწას ჟრუანტელს გვრის გაზაფხულის პირველი სხივი... ახალგაზრდათა უბიწო ტრფობა აპრილის დილას წაგავს და აპრილივით მალე ნელდება. ჭაბუკური გული ადრე იფერფლება.

ყველაფერზე მეტად ბრბოს მითქმა-მოთქმა ადუღაბებდა კრისტოფისა და ადას სიყვარულს.

მეორე დღესვე მთელმა უბანმა შეიტყო მათი ამბავი. ადა თავისი ნადავლით ამაყობდა და არც ცდილობდა დაემალა რაიმე. კრისტოფს სიფრთხილე ერჩია, მაგრამ არ ეპუებოდა ცნობისწადილით აღძრულ ბრბოს და ადასთან ერთად მოურიდებლად ყველგან დასეირნობდა. პატარა ქალაქი ალაპარაკდა. ორკესტრის წევრები გამქირდავად ულოცავდნენ. კრისტოფი ვერ იტანდა თავის საქმეებში სხვათა ჩარევას და მათ დაცინვას პასუხს არ აძლევდა. სასახლეშიც გაკიცხეს მისი ქცევა; ქალაქელი მოლაყბენი სასტიკად კილავდნენ: რამდენიმე ოჯახში გაკვეთილებიც კი დაკარგა, სხვაგან კი დედებმა საჭიროდ მიიჩნიეს ამიერიდან ქალიშვილების მეცადინეობას დასწრებოდნენ. ისხდნენ და უნდოდ უმზერდნენ კრისტოფს, თითქოს იგი ამ უმანკო ასულთა მიმტაცებელი ყოფილიყოს. იგულისხმებოდა, რომ გოგონები ვერაფერს ამჩნევდნენ. სინამდვილეში მათ ყველაფერი იცოდნენ, იწუნებდნენ კრისტოფის არჩევანს და წვრილმანების შეტყობის სურვილით იწვოდნენ. მხოლოდ წვრილ მოვაჭრეთა და ნოქართა წრეში იყო კრისტოფი აღიარებული, მაგრამ დიდხანს არც ამან გასტანა. კრისტოფს ისევე აღიზიანებდა ამათი მოწონება და შეგულიანება, როგორც სხვათა გმობა და განქიქება. ვერას გახდებოდა, ამიტომ ამჯობინა არად ჩაეგდო ბითქმა-მოთქმა. ძნელი არ იყო ეს: კრისტოფი აღაშფოთა საყოველთაო უტიფარმა ცნობისმოყვარეობამ.

სხვებზე მეტად მოხუცი ოილერი და ფოგელები აუმხედრდნენ; კრისტოფის ქცევა პირად შეურაცხყოფად მიიჩნიეს. არავითარი სერიოზული განზრახვა არ ჰქონიათ. ისინი, განსაკუთრებით კი ქალბატონი ფოგელი, უნდოდ ეკიდებოდნენ ხელოვანთა დაუდგრომელ ხასიათს და ყოველ შემოქმედს ცუღლუტად თვლიდნენ, მაგრამ რაკი ბუნებით ცხოვრების მომდურავნი იყვნენ, ახლა თავს ირწმუნებდნენ, როზასა და კრისტოფის შეუღლების იმედი გვქონდაო. ასე ეჩვენებოდათ მას შემდეგ, რაც მიხვდნენ, რომ ჯვარისწერა არასოდეს არ მოხდებოდა. ამის მიზეზადაც ავბედი ჩათვალეს. რაკი ბედუკუღმართობა იყო მათი

დამაქცევარი, ლოგიკის თანახმად კრისტოფი უდანაშაულო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფოგელების ლოგიკა ყველგან დაეძებდა მათი გაწბილების მიზეზს. ეგონათ, კრისტოფი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს დასამდაბლებლად გადაიყარაო ადას და აღშფოთდნენ. ღვთისმოსავნი, ზნეკეთილნი და ოჯახის სიქველის დარაჯნი ხორციელ შეცოდებას სასირცხო, მიუტევებელ და თითქმის ერთადერთ ცოდვად თვლიდნენ (აბა, კრისტოფის მსგავსნი ქურდბაცაცობას და ქაცის ყვლას ხომ ვერ შესძლებენ?). ბიწიერად მიიჩნიეს კრისტოფი და შემოსწყრნენ. თვალს არიდებდნენ ან ცივად ხვდებოდნენ. კრისტოფს არ ანაღვლებდა მათი აზრი. მხრებს აიჩეჩავდა მხოლოდ. ამრეზილთ რომ გვერდს ჩაუვლიდა: არც ამალიას თავხედობას იმჩნევდა. ქალი ზიზღს არ ფარავდა და ცდილობდა კრისტოფის გამოწვევას, რათა გულში დაგროვილი ბოღმა გადმოენთხია.

კრისტოფი მხოლოდ როზას უგულობამ გაანაწყენა. გოგონა თავისიანებზე უფრო სასტიკად ძრახავდა ვაჟს. კრისტოფის ახალ გატაცებას უკანასკნელი იმედი არ დაუმსხვრევია მისთვის. ადრეც იცოდა, კრისტოფი მისი შემყვარებელი არ იყო (თუმცა, ვინ იცის, ეგებ მის გულშიც კრთოდა იმედი). კერპად ჰყავდა დასახული და ეს კერპი ხელში ჩაელია. ამან აუტანელი სატკივარი გაუჩინა... მიეევწყებინათ, მისი სიყვარული გაექელათ. მიამიტ და უმანკო გოგონას რა გატანჯავდა ამაზე მეტად. პურიტანულ ადათებზე აღზრდილი და შეზღუდული ზნეობით დაბორკილი გოგო დაადარდიანა და ზიზღით აღავსო კრისტოფის ქცევამ. როგორ ევნო და ეწამა, როცა მისი მიჯნური საბინას ეტრფოდა! ჯერ კიდევ მაშინ დაეცა ვაჟი მის თვალში. უკვირდა და ერცხვინებოდა, რომ მისი კერპი ერთ ჩვეულებრივ ქალს ეთაყვანებოდა. წმიდა მაინც იყო მაშინდელი ტრფობა და არც საბინა ყოფილა მთლად უღირსი, მერე სიკვდილმა წარხოცა ყოველივე და წმიდა იერით შებურა. კრისტოფმა კი ასე მალე სხვა შეიყვარა, და მერე ვინ! ეს ხომ სიმდაბლეა, სიბილწეა! მზად იყო მიცვალებული დაეცვა სატრფოყოფილისაგან. ვერ მიუტევებს მის დავიწყებას!.. არ ეგონა, კრისტოფს თუ კვლავ ახსოვდა საბინა. არც ის იცოდა, რომ ვნებათა ღელვით გათანგულ გულში ხშირად მკვიდრობს ორი არსება. ეგონა. შეუძლებელია წარსულს უერთგულო აწმყოს შეუწირავადო. გამოუცდელი და გულცივი გოგონა არ იცნობდა ცხოვრებას. კრისტოფს ხომ მით უმეტეს ეჩვენებოდა, რომ ყველა უმწიკვლო, შეზღუდული და მასავით მოვალეობის ერთგული უნდა ყოფილიყო. უმანკოების გარდა სხვა საამაყო არა ჰქონდა. რა და სხვათაგანაც სიწმინდეს მოითხოვდა. ამიტომ ვერასოდეს ვერ აპატიებს კრისტოფს ასე დამდაბლებასა და დაკნინებას.

კრისტოფი ფიქრობდა, ყველაფერს თუ ვერ განვუმარტავ როზას, გამო-

ველაპარაკები მაინცო. მაგრამ რა უნდა ეთქვა? რა შეიძლება უთხრა ასეთ უმანკო და მიამიტ გოგოს? სურდა დაერწმუნებინა მეგობრად მიმაჩნიხარ და დიდი რიდი მაქვსო შენი. არ უნდოდა ასე სულელურად დაეკარგა როზა, მაგრამ გოგონა გაურბოდა და კუშტად დუმდა. კრისტოფი მიხვდა, როზას ეზიზღებოდა.

კრისტოფი გაწყრა და დადარდიანდა. გრძნობდა სიძულვილი არ დაუმახურებია. აღშფოთდა. საბინას გახსენებაზეც მწარედ საყვედურობდა თავს. იტანჯებოდა.

„ღმერთო ჩემო! რას ჰგავს ეს? ვინ ვარ, რა კაცი ვარ!"

მაგრამ ვერ უმკლავდებოდა მოვარდნილ ნიაღვარს. ბუნებას სდებდა ბრალს და თვალდახუჭული ეშვებოდა ცხოვრების მორევში. სიცოცხლე სწყუროდა. ბედნიერება და სიხარული, რწმენა სჭიროდა!.. განა რა იყო შესაზარი მის სიყვარულში! იცოდა, უგუნურებაა ადას სიყვარულიო, არც დიდად ბედნიერებაა მისი ტრფიალიო, მაგრამ სიმდაბლე რა შუაშია, ვერ გაეგო. ეგებ უზნეოცაა ადა (მეტად მძიმე იყო ეს ვარაუდი), მაგრამ რად უნდა წაებილწა ამას კრისტოფის სიყვარული? ტრფობა მოყვარულშია დასადგურებული. როგორიც მიჯნურია, ისეთია სიყვარულიც. ყველაფერი წმიდაა უმანკოთათვის, წმიდაა ძალოვანთა და ჯანსაღთა ტრფობა. სიყვარულია, ფრინველებს რომ ნაირფერი ბუმბულით მოსავს, წრფელ ადამიანებში კი უკეთილშობილეს გრძნობებს წარმოაჩენს. ცდილობ გაისარჯო და იფიქრო სატრფოს სასურველად. ღირსი საქმე აარიდო მიჯნურის მზერას და შენი ქცევა სიყვარულის მიერ გამოძერწილ სასურველ ხატებას შეუწონო. ყრმობის ვნებანი სულს გამოსჭედს, ძალასა და სიხარულს ასხივებს, სულის მარგებელია და გულს სიდიადეს ანიჭებს.

მეგობართა განდგომამ შეაწუხა კრისტოფი, უფრო მეტად კი დედის წუხილი უმძიმდა.

კეთილი ლუიზა არ იზიარებდა ფოგელთა შემბორკავ ზნეობრივ წესებს. იმდენი ნაღველი ეწვნია, რომ ახალი საფიქრალის შესაკოწიწებლად აღარ ეცალა. ბეჩავსა და ცხოვრებისგან წელში გატეხილს მცირე სიამე ეგემა ამქვეყნად. თუმც ამდენიც არ უნატრია. იგი უდრტვინველად ეგებებოდა ცხოვრების ავ-კარგს; არ ცდილობდა მოვლენებში ჩაწვდომას, არვის ამტყუნებდა. ეგონა, სხვათა განსჯის ნება არა მაქვს და გონებაჩლუნგს სხვების შეცოდებათა აღნუსხვა არ ძალმიძსო. სასაციოლოდ მიაჩნდა ხალხისათვის, საკუთარი რწმენისა და ზნეობის მოხვევა. მით უმეტეს, რომ მისი რწმენა გონისმიერი არ იყო და რაღაც ქვეშეცნეული ალღოთი იყო ნაკარნახევი. ეს ღვთისმოშიში და სათნო ქალი ყველა უბრალო ადამიანივით სხვათა წვრილმან ნაკლს

თვალს არიდებდა, იოლად მიუტევებდა ხალხს შეცოდებასა და სისუსტეს. აკი გულს აკლდა მოხუც ჟან-მიშელს, რომ მისი რძალი ყოვლის შემწყალებელი იყო და ზღვარს არ დებდა უპატიოთა და საჩინო პირთ შორის. მთელ უბანში საქვეყნოდ ცნობილ სახელწამხდარ ქალებს გაუჩერდებოდა შუა ქუჩაში ან ბაზარში და მეგობრულად ეგბასებოდა, თუმცა ლუიზასდარ ოჯახის ქალს მათთან შეხვედრისათვის თავის მორიდება მართებდა. ღვთისთვის დაენებებინა სიკეთისა და უკეთურების გარჩევა, დასჯა და მიტევება. ჯაცთაგან მხოლოდ გულისხმიერ თანაგრძნობას ითხოვდა, რითაც მოყვასნი ცხოვრების ტვირთს უმსუბუქებენ ერთიმეორეს, თავიდათავი ისაა, ყველა სიკეთეს თესდესო, ფიქრობდა იგი.

ლუიზა შეიცვალა ფოგელებთან დასახლების შემდეგ. მწუხარებით სასოჭიხდილი ქალი ვეღარ გაუძალიანდა ფოგელების გავლენას და ამალიამ იოლად მოდრიკა იგი. უთქმელი და დაბეჩავებული დილიდან საღამომდე უსმენდა აქაქანებულ ამალიას, როცა საოჯახო საქმეებით იყვნენ გართულნი და უნებურად შეეჩვია სხვათა გაკიცხვას. ქალბატონი ფოგელი არ მორიდებია კრისტოფზე რატრატს. ლუიზას უშფოთველობა აცოფებდა, ბრაზობდა, რომ დედა გულგრილი იყო ვაჟიშვილის უკეთური ქცევის მიმართ, რამაც მთელი მათი ოჯახი აღაშფოთა. მხოლოდ მაშინ დაშოშმინდა, როცა ქალი ააფორიაქა. კრისტოფმა ყველაფერი შეამჩნია. დედა ეკრძალოდა და აშკარად ვერ საყვედურობდა, მაგრამ ყოველდღე ესმოდა შეფარვით ნათქვამი ნაუბედავი და მომაბეზრებელი შენიშვნები. მოთმინებიდან გამოსული უხეშად შეეპასუხა ლუიზა დადუმდა. მაგრამ მის თვალებში კრისტოფმა ფარული სევდა ამოიკითხა. კარგად იცნობდა დედამისს, იცოდა, შეშფოთება თავს მოახვიეს და ისიც მშვენივრად იცოდა, ვინ იყო ამ საქმის ავანჩავანი.

გადაწყვიტა ბოლო მოეღო ამ ამბისათვის. ერთ საღამოს ლუიზამ თავი ვეღარ შეიკავა და ცრემლად დაიღვარა. კრისტოფს მიზეზი არც უკითხავს, სუფრიდან წამოხტა, ვახშამი მიატოვა, კიბეს გადაეელო და ფოგელებს მიუბრახუნა კარზე. რისხვით ბღღვინავდა. მხოლოდ დედამისის სიმშვიდის ამღვრევა რიდი აშმაგებდა, სურდა ჯავრი ამოეყარა როზას ამხედრებისათვის, საბინას სიცოცხლის გამწარებისათვის, ყველაფრისათვის, რაც ითმინა თვეთა მანძილზე. რა ხანია, გულზე ლოდად აწვა დაგროვილი გულღრძოობა და ჯავრის ამონთხევას ლამობდა.

შეიჭრა ქალბატონ ფოგელთან. ცდილობდა მშვიდად ელაპარაკა, მაგრამ ხმა გაებზარა ბოღმისაგან. იკითხა, ისეთი რა მოუჩმახეთ დედაჩემს, რომ ქალი გადარიეთო.

გაწიწმატებული ამალია შეტევაზე გადმოვიდა — რაც მომესურვება,

იმას ვიტყვი. მოვალე არ ვარ ანგარიში ვაბარო ვისმეს და კრისტოფს ხომ ბით უმეტესი.

შემთხვევით ისარგებლა და თავი მოხსნა გუდას, გადმოალაგა კარგა ხნის მომზადებული სათქმელი. დაურთო, ლუიზას უბედურების მიზეზი სხვაგან რა საძებარია, როცა ვაჟიშვილის სასირცხო და ყველას აღმაშფოთებელი ქცევა ბოლოს უღებსო ქალს.

კრისტოფი გამოწვევას ელოდა, რომ საპასუხოდ შეეტია. გაცხარებულმა შეჰყვირა, ჩემი საქციელი არავის არ ეკითხება, არც მადარდებს, მოგწონთ თუ არა თქვენო. თუ მაინცდამაინც წუწუნი გსურდათ, ჩემთვის გეთქვათ, რაც გნებავდათ, ყურსაც არ შევიბერტყავდი თქვენს ნათქვამზე, მაგრამ საერთოდ გიკრძალავთ! ხომ გესმით?! გიკრძალავთ დედაჩემის გამწარებას, სულმდაბლობაა, საცოდავი სნეული მოხუცის დაჯაბნება.

ქალბატონი ფოგელი გაკაპასდა. ჯერ არვის უკადრებია მისთვის ამგვარი ლაპარაკი. სწორედ ვერ მოვითმენ ვიღაც ვიგინდარამ ჭკუა მასწავლოსო საკუთარ სახლში, და მოსდგა კრისტოფს

ხმაურზე მთელი სახლი ფეხზე დადგა. ფოგელი არ ჩანდა მხოლოდ, აყალმაყალი მის ჯანმრთელობას ვნებდა და გაურბოდა ყოველგვარ დავას. ამალიას მიერ მოწმედ ხმობილმა მოხუცმა ოილერმა კრისტოფს მკაცრად განუცხადა, ამიერიდან აგვარიდეთ თქვენი სტუმრობა, უთქვენოდათ ვიცით, როგორ უნდა მოვიქცეთ, ჩვენი საქმეა მოვალეობის მოხდა და მარად ერთგულნი დავრჩებით ჩვენი ვალისაო.

კრისტოფი შეეპასუხა — ვადავბარგდები, ფეხს ამოვიკვეთ თქვენი სახლიდან, მაგრამ სულს ვერ მოვითქვამ, თუ არ მოგახსენეთ, რას ვფიქრობ თქვენს ყბადაღებულ მოვალეობაზე, ჩემს მოსისხლე მტრად რომ მიმაჩნიხო. თქვენი მოვალეობა კაცს ცოდვას შეაყვარებს. თქვენისთანა ხალხის უსიამოლაქლაქით კაცს მოვალეობა მოყირჭდება და ბოროტების გზას დაადგება. თქვენისთანების ბრალია, რომ ადამიანი ცდუნებას აჰყვება და სასურველ და მხიარულ, თუმც უპატიურ ხალხს მიეკედლება. სიამაყით გაკერპებულნი ათას სისულელესა და ფუჭ საქმიანობას რომ განურჩევლად მოვალეობად ნათლავთ, ამით სხვებს სიცოცხლეს უმწარებთ, თავად მოვალეობას კი ბღალავთ და ბილწავთ. მოვალეობა სულ სხვა რამაა, ჭეშმარიტი თავგანწირვისათვის უნდა მოიტოვოთ იგი და ამ სიტყვით ნუ ჩქმალავთ თქვენს ავ ზნესა და სხვათა შევიწროვების წადილს. თუ უგუნურნი ან მწუხარებისათვის განწირულნი ყოველთვის მჭმუნვარენი არიან, რატომ უნდა ჭმუნავდეს ყველა. რა სამართალია, ხალხს თავს მოახვიო დავრდომილ-დაჩაჩანაკებულთა ზნე-ჩვეები, თავიდათავი სათნოება სიხარულია. მადლი ბედნიერი იერით უნდა აღასრულო. მო-

ვალეობის მოხდით თვითონაც კმაყოფილი უნდა იყო. თქვენი გაუთავებელი წოჩვენებითი მოვალეობა. სკოლის ზედამხედველთა დარი სისასტიკე, ყვირილი, უაზრო დავა, უხეში და ბალღური კინკლაობა, შფოთი, უფერული, უსიხარულო, სიმშვიდედარღვეული და იმედგადაწურული ცხოვრება კიდევ უფრო ასაწყლებს ისედაც ძალღურ ყოფას. თქვენი ქედმაღლური უვიცობა სხვათა ვარამის გაზიარების ნაცვლად ადამიანს კაცთმოძულედ ხდის. თქვენმა შემაფერხებელმა ზნეობამ არ იცის სიდიადე და ბედნიერება, იგი ბილწია, მავნე და ცოდვას მადლზე მიმზიდველს ხდისო.

ასე ფიქრობდა კრისტოფი. სურდა დაეგესლა თავისი შეურაცხმყოფელნი და ვერ ამჩნევდა, რომ თავადაც მათსავით უსამართლო იყო.

კრისტოფმა სწორად დახატა ამ საწყალობელი ხალხის ყოფა. მაგრამ რა მათი ბრალი იყო, რომ მონური სული გააჩნდათ. უკეღმართმა ცხოვრებამ მისცა მათ ასეთი სახე. მიხვრა-მოხვრა, გონებაც შეუზღუდა. გაჭირვებამ გატეხა ისინი. მაგრამ იმ გაჭირვებამ კი არა — ანაზდად რომ დაატყდება კაცს და ჩაკლავს ან გამოაწრთობს და გააკაჟებს. სხვა წუხილმა მოინელა ეს ხალხი. ეს იყო უბედურებათა მარადიული წყება, ყოველდღიური ცხოვრების მცირე უსიამოვნებანი, წვეთ-წვეთად რომ იყრის თავს გაჩენის დღიდან სამარის კარამდე... უსასრულოა სევდა! სიკეთისა და ძლიერების რამდენი დვრიტა გააჩნია ამ ხალხს! სიწრფელისა და გაუგონარი გმირობის რა დაულეველი განძია დაფლული ამ უსახური ჩარჩოს მიღმა!.. აქაა მიმალული მთელი ძალი ხალხისა, სამომავლო წყარო.

კრისტოფი არ შემცდარა, რომ ფიქრობდა, მოვალეობა სულ სხვა რამაა. სიყვარულიც ხომ რაღაცაა განსაკუთრებული. ყველაფერი განსაკუთრებულია ამქვეყნად. და სიკეთის უბოროტესი მტერი უკეთურება როდია (ცოდვასაც ხომ თავისი ფასი აქვს), არამედ ძვალ-რბილში გამჯდარი ჩვეული. გრძნობის წაღმა-უკუღმა ფლანგვაა სულის მომაკვდინებელი მტერი.

ადას მოყირჭდა მათი დამოკიდებულება. უჭკუობის გამო ვერ ახერხებდა თავისი მრავალმხრივი მიჯნურისთვის სიყვარულის საზრდოს მიწოდებას. მისმა ფაფხურა და პატივმოყვარე ბუნებამ ყველა სიამე იგემა ამ ტრფობისა. ერთი სიამე — ტრფობის ჩაფუშვის სიამე დარჩა განუცდელი. იდუმალი ალღო ამოქმედდა. ეს ალღო ამოძრავებს ყველა ქალს, მათ შორის კეთილებსაც და უამრავ გონიერ მამაკაცს, რომელნიც არაფერს ქმნიან, არ იღვწიან, ბავშვებს არ ამრავლებენ, მაგრამ სიცოცხლე უხვად დის მათში და ნებას არ აძლევს უდრტვინველად შეეგუონ საკუთარ არარაობას. სურთ სხვანიც მათ-

სავით ამაოდ ცხოვრობდნენ და ცდილობენ მოყვასთა გადაგვარებას. ზოგჯერ მათდა უნებურად ხდება ეს და როცა თავს შეატყობენ ამ მაცდუნებელ სურვილს, გულისწყრომით ითრგუნავენ წადილს, ხშირად საამოა მათთვის ეს ქცევა, და იღვწიან ძალის მიხედვით: ზოგნი კრძალვითა და რიდით მეგობართა ვიწრო წრის გადაბირებას ეშურებიან, სხვანი ფართო ასპარეზს ირჩევენ და საჯაროდ ქელავენ ყველაფერს, რაც სიცოცხლეს ეტრფის და ღირსია სიცოცხლისა. გააფორებული კრიტიკოსი ლამობს დააჩიაოს დიდი ადამიანები, მათი ნაამბრევი დაამდაბლოს და თავის დონემდე დაიყვანოს; დიაცს ართობს თავისი მიჯნურის დამცირება. ერთნიცა და მეორენიც ერთი ყაიდის მავნე მხეცსა ჰგვანან. ოღონდ უკანასკნელნი უფრო ასატანნი არიან.

ადას კრისტოფის წახდენა და დაჯაბნება სურდა, მართალი თუ გინდათ, საამისო ძალა არ შესწევდა. ჭკუა იყო საჭირო კაცის შესარყვნელად. გრძნობდა, მისი სიყვარული ვერაფერს ავნებდა კრისტოფს და წყენა ჩაიხვია გულში. თავსაც არ უმხელდა ამ სურვილებს. რომ შეძლებოდა, ეგებ არაფერი დაეშავებინა კრისტოფისათვის, მაგრამ ბრაზობდა, სატრფოს რად ვერ ვიმორჩილებო? მიჯნურზე თუ მავნე გავლენა აღარ აქვთ, დიაცთ ეს ტრფობის განელებად მიაჩნიათ და ეჭვით წაქეზებულნი ჯიუტად მოითხოვენ სიყვარულის დადასტურებას.

კრისტოფმა დროზე ვერ მოიზღუდა თავი და ერთხელ ადამ შემპარავად ჰკითხა:

— მუსიკას თუ მიატოვებდი ჩემი გულისთვის? — თუმცა არავითარი სურვილი არ ჰქონია ამისა.

— ო, ჩემო კარგო, მუსიკას თავს ვერ დავანებებ ვერც შენთვის, ვერც ვერაკაცისათვის, — გულახდილად უპასუხა კრისტოფმა.

— და კიდევ მიმტკიცებ, მიყვარხარო?! — შეჰყვირა გამწყრალმა ადამ.

სძულდა მუსიკა, მით უმეტეს, რომ არაფერი გაეგებოდა მისი და არც იცოდა, როგორ შებმოდა ამ უხილავ მტერს, გული როგორ მოეკლა მიჯნურისათვის. კრისტოფი ხარხარებდა, ადა რომ ზიზღით ალაპარაკდებოდა მუსიკაზე ან აბუჩად აიგდებდა მის თხზულებებს. ადას ბოღმა მოაწვებოდა, მაგრამ გრძნობდა, დასაცინი ხდებოდა და დუმილს არჩევდა.

აქ რომ ვერაფერი ავნო, ახლა დასაგესლად სხვა ადგილი გამოუძებნა კრისტოფს, მის ზნეობრივ რწმენას ჩაებღაუჭა. ფოგელებთან წაკიდებისა და სიჭაბუკით თრობის მიუხედავად, კრისტოფს შემორჩა რაღაც თანდაყოლილი მოკრძალება, სიწმინდის მოთხოვნილება. თავად არც კი იცოდა ეს, მაგრამ ადას მსგავს ქალს თვალში უნდა სცემოდა მისი სისპეტაკე, უნდა მიეზიდა და მოეხიბლა. ერთხანს მართლაც დააინტერესა ადა სატრფოს სიწმინდემ, მერ-

მე მოთმინებიდან გამოიყვანა. გაღიზიანა და გააჯავრა. ადამ ეშმაკურად დაუწყო ლაქუცი.

— გიყვარვარ?

— რაღა თქმა უნდა.

— მაინც როგორ გიყვარვარ?

— რა ვიცი, როგორც კი შეიძლება გიყვარდეს ვინმე.

— ეს არც ისე ბევრია... მაინც რას ჩაიდენდი ჩემი სიყვარულისათვის?

— ყველაფერს, რასაც ისურვებდი.

— სიავეს, უნამუსობას თუ ჩაიდენდი?

— ეს უცნაური დასტური იქნებოდა ტრფობისა!

— ეგ ნუ განაღვლებს, თქვი, ჩაიდენდი?

— კი მაგრამ... რა საჭიროა?

— მე რომ მომესურვებინა?

— ტყუილად ისურვებდი.

— შესაძლოა... მაგრამ ჩაიდენდი?

მკერდში ჩაკვრა მოუნდა მისი, მაგრამ-ადა განერიდა.

— თქვი — ჰო თუ არა.

— არა, ჩემო კარგო.

გაწყრა ადა და ზურგი შეაქცია.

— აღარ გიყვარვარ, შენ რა იცი, რაა სიყვარული.

— ადვილი შესაძლებელია, — მშვიდად მიუგო ვაჟმა.

კრისტოფმა იცოდა, მეც, როგორც ყველას, შემიძლია გახელების ჟამს სისულელე და უსინდისობა ჩავიდინოო, ვინ იცის, ეგებ მეტიც ექნა, მაგრამ ერცხვინებოდა გულგრილად ტრაბახი, თან შიშობდა ადასთვის გამხელას. შინაგანი ალღო უკარნახებდა, მტერი ჩასაფრებოდა, თვალყურს ადევნებდა და შემდეგ მის ნათქვამს სამოქმედოდ გამოიყენებდა და არ სურდა ქალისათვის გამოსადავებელი საბაბი მიეცა.

ერთხელ ადამ კვლავ წამოიწყო:

— რად გიყვარვარ, იმიტომ ხომ არა, რომ მე მიყვარხარ?

— მიყვარხარ იმიტომ, რომ მიყვარხარ.

— მე თუ გადაგიყვარებ, შენ მაინც გეყვარები?

— ჰო.

— სხვას თუ შევიყვარებ, მაინც?

— ეს კი აღარ ვიცი... მგონია, აღარ მეყვარები... ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ბოლოს შენ გეტყვი ამას.

— განა რა შეიცვლება, მე რომ სხვა შევიყვარო?

— რა თქმა უნდა, შენ შეიცვლები, იქნებ — მეც.

— მერე რა, რომ შევიცვლები?

— მერე რადა, ესაა მთავარი, მიყვარხაო, როგორიც ხარ, თუ გადასხვაფერდები, ვერ შეგპირდები, კვლავ მეყვარები-თქო.

— არ გიყვარვარ, არა! მარჩიელობ. ნამდვილად თუ გიყვარვარ, მარად უნდა გიყვარდე, როგორიც ვარ და როგორიც ვიქნები, — აქოთქოთდა ადა.

— ეს ხომ ცხოველური, შეუგნებელი სიყვარული იქნებოდა.

— სწორედ ასე მინდა, რომ გიყვარდე.

— მაშ, შემცდარხარ. მე არ გამოგადგები, — გაეხუმრა კრისტოფი, — რომც მოვინდომო, ვერ შევძლებდი ასეთ სიყვარულს და თანაც არც მსურს.

— იცი რა გითხრა, ძალიან გაყოყოჩებული ხარ მაგ შენი ჭკუით, კუდი ყავარზე გაქვს გადებული! ჩემს თავს შენი ჭკუა გირჩევნია.

— განა არ მიყვარხარ, უმადურო! თვითონ არ გიყვარს შენი თავი, მე რომ მიყვარხარ ისე. რაც უფრო ლამაზი და კარგი ხარ, უფრო მიყვარხარ.

— სკოლის მასწავლებელივით ნუ ქადაგებ! — უკმაყოფილოდ შეესიტყვა ადა.

— ვერ გამიგია რა გინდა, რაც კარგია — მიყვარს, ცუდი — მეზარება.

— ჩემი ცუდიც გეზარება?

— შენი — მით უმეტეს.

გაოფთრებულმა ადამ ფეხები დაბაკუნა.

— არა მსურს ვინმე მძრახავდეს! გესმის?!

— არიქა, იწუწუნე, რომ გკიცხავ, რომ არ მიყვარხარ, — დაუყვავა, ეგებ დაშოშმინდესო, თან მიიზიდა. ადა არ გაბრძოლებია და გაუღიმა კიდეც. ცოტა ხნის შემდგომ, კრისტოფს რომ ეგონა ყველაფერი მიივიწყაო, ადამ შეშფოთებით იკითხა:

— ნაკლს რას ხედავ ჩემში?

კრისტოფმა სიმართლე ვერ გაუმხილა და უგემურად ჩაილაპარაკა:

— არაფერს.

ადა შეფიქრიანდა, შემდეგ გაიღიმა და დაიწყო:

— ყური დამიგდე, კრისტი, შენ სიცრუე გეზარება, არა?

— მეზიზღება.

— მართალი ხარ, მეც ვერ ვიტან სიცრუეს და საწუხარიც არაფერი მაქვს, მე ხომ არასოდეს არ ვცრუობ.

კრისტოფმა გაბედა. გულწრფელად ამბობდა. ასეთმა გულუბრყვილობამ შესძრა და ფარ-ხმალი დააყრევინა.

ადამ მკლავები შემოაჭდო ყელზე და განაგრძო:

— კი მაგრამ, რად უნდა გამიწყრე, სხვას თუ შეეიყვარებ და ბ»შინვე გეტყვი.

— ნუ მაწვალებ, გესმის?!

— სულაც არ გაწვალებ, ხომ არ მითქვამს სხვა მიყვარს-მეთქი. არავინ მიყვარს შენს გარდა... მაგრამ მერე რომ შემიყვარდეს?..

მოდი, ამაზე ნუღარ ვიფიქრებთ.

— მე-კი მინდა ვიფიქრო... გამიჯავრდები? შენ ხომ არ შეგიძლია გამიწყრე?

— გაგიჯავრდები? არა. მიგატოვებ.

— მიმატოვებ? რატომ? თუ ისევ მეყვარები?..

— თან სხვაც გეყვარება?

— ჰო, ზოგჯერ ასეც ხდება.

— ჩვენ ეგ არ დაგვემართება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ იმ დღიდან, როცა სხვას შეიყვარებ, მეც გადაგიყვარებ, ჩემო კარგო. სულ აღარ მეყვარები, სულ.

— ახლახან ამბობდი, ალბათ არ გადაგიყვარებო, ხომ ხედავ, აღარ გიყვარვარ.

— ჰოდა, მით უკეთესი შენთვის.

— რატომ?

— იმიტომ, შენ რომ სხვას ეტრფოდე, მე კი კვლავ შენ მიყვარდე, ეს ცუდად დამთავრდება შენთვისაც, ჩემთვისაც და იმ ეაკბატონისათვისაც.

— ხომ არ შეიშალე, მაშ, მისჯილი მქონია მთელი სიცოცხლე შენთან ყოფნა?

— დამშვიდდი. თავისუფალი ხარ. მიმატოვებ, როცა მოისურვებ. ოღონდ იცოდე, სამუდამოდ დავემშვიდობებით ერთმანეთს.

— თუ მაინც მეყვარები?

— როცა უყვართ, მსხვერპლად ეწირებიან.

— მერე რად არ შეეწირები მსხვერპლად ჩვენს სიყვარულს?

კრისტოფმა სიცილი ვეღარ შეიკავა გოგონას თაეკერძობის შემყურემ, ადამაც გაიცინა.

— თუკი მსხვერპლს ერთი იკისრებს, მაშ, სიყვარულითაც მხოლოდ მას უყვარს.

— არაფერიც. ორივეს უყვარს. ჩემი გულისთვის რომ მსხვერპლს გაიღებდე, ერთიორად მეყვარებოდი. აბა, დაფიქრდი, კრისტი, მსხვერპლი კიდევ უფრო შეგაყვარებდა ჩემს თავს და ბედნიერი იქნებოდი.

ორივემ გადაიხარხარა, კმაყოფილი იყვნენ, რომ გული მოიოხეს და სული მოითქვეს სერიოზული უთანხმოების შემდეგ.

მოლიმარი უმზერდა ადას, გოგონას მართლა არ სურდა მისი მიტოვება, ოღონდ აღიზიანებდა კრისტოფი. მაგრამ იცრდა მისი თავგანწირული სიყვარულის ფასი. სხვაც არავინ მოსწონდა, თავის გასართობად ლაყბობდა მხოლოდ. იცოდა, კრისტოფს გულს ატკენდა, თანაც სიამეს ჰგვრიდა ავი ფიქრებით თავის შექცევა. წუმპეში მოთამაშე ბავშვივით ერთობოდა.

კრისტოფმა ყველაფერი იცოდა და მისი განუწყვეტელი ტიკტიკი არ აჯავრებდა. მაგრამ საშინლად მოღალა გაუთავებელმა დავამ და ამ ანჩხლ გოგოსთან გაჩაღებულმა ყრუ ბრძოლამ. უყვარდა ადა, ალბათ ადასაც უყვარდა კრისტოფი. მაგრამ დაქანცა ამდენმა დაძაბულობამ, თავის მოსატყუებლად რომ სჭიროდა. ზოგჯერ ტირილს აღარაფერი უკლდა, გაიფიქრებდა: „რატომაა ადა ასეთი? რატომ არსებობს ქვეყნად ასეთი ხალხი? რადაა ცხოვრება ასე გაჯაჭირებული?“ თან იღიმებოდა, რომ უმზერდა მისკენ გადმოხრილ ლამაზ სახეს, ზღვისფერ თვალებს, ატმისყვავილისფერ ღაწვებს, მუდამ მოცინარ და მოტიტინე სულელურად დაბჩენილ პირს, ეღიმებოდა ენის წვერისა და კრიალა ბილების შემჯურეს.

მათი ბაგეები თითქმის ეხებოდნენ ერთმანეთს. კრისტოფი თითქოს შორით უმზერდა სატრფოს, შორით, სხვა სამყაროდან. ხედავდა, რომ თანდათან შორდებოდა, ბოლოს ადას ხატს მღვრიე ნისლი წალეკავდა. ვეღარ ხედავდა, აღარც ესმოდა მისი. საამურმა გონმიხდილობამ მოიცვა. ფიქრობდა თავის მუსიკაზე, ოცნებაზე, ათასგვარი ზმანებანი წამოეშალა, მათ ადასთან არაფერი აქვთ საერთო. ჰანგი შეესმა. თხზავდა მშვიდად და უდრტვინველად... რა საოცარი მელოდიაა... ტკბილნაღვლიანი... სევდიანი, უსაზღვროდ მწუხარე!.. და თან სიკეთით სავსე, სასიყვარულო... ო, რა საამურია!.. ნამდვილი ესაა მხოლოდ... სხვა დანარჩენი ფუჭი ზმანებაა...

ვიღაც მკლავზე სწვდა და შეანჯღრია, ვიღაცის ხმა ჩასძახის:

— რა დაგემართა? ხომ არ შეიშალე? რად მიყურებ ასე? ხმა გამე!

ვიღაცის თვალები უმზერენ. ვინაა ნეტა?..

— ჰო... — და ამოიხვნეშა.

ადა გულცივად მიჩერებოდა, ცდილობდა გაეგო, რაზე ფიქრობდა კრისტოფი. ვერ გაეგო, ამაოდ ლამობდა მიხვედრას, გრძნობდა, მთლად ვერ დაუფლებოდა სატრფოს, მუდამ რჩებოდა რაღაც ნაპრალი, საიდანაც კრისტოფს თავის დაძვრენა შეეძლო. ადა გულს ასკდებოდა.

— რა გატირებს? — ჩაეკითხა ერთხელ, როცა კრისტოფი სხვა სამყაროში საოცარი ხეტიალიდან მობრუნდა.

ვაქმა თვალები ამოიფშვნიტა, იცრემლებოდა თურმე.

— არ ვიცი, — უპასუხა

— სამჯერ გკითხე ერთი და იგივე. რად არ მიპასუხე?

— რა გინდა? — ტკბილად ჩაეკითხა კრისტოფი, ადამ კი ჩვეული დავა წამოიწყო.

თავმობეზრებული კრისტოფი უკმაყოფილოდ დაიმანჭა.

— კარგი, გაჩუმდები. ერთი სიტყვა მათქმევინე მხოლოდ, — და ისევ წამოიწყო.

კრისტოფი ბრაზით აცახცახდა.

— თავი დამანებე, ნუ ბილწსიტყვაობ.

— გეხუმრები.

— სხვა, უფრო რიგიანი თემა მონახე სახუმაროდ!

— მითხარი მაინც, რა გაბრაზებს.

— მეტი საქმე არა მაქვს! არც რაა სათქმელი, რა საკითხავია, ნეხვი რატომ ყარს, ყარს და ცხვირზე ხელს ვიკიდებთ.

და კრისტოფი ტოვებდა ადას. გაშმაგებული მოაბოტებდა ქუჩაში და სუსხიან ჰაერს ხარბად ისუნთქავდა.

ადას ლაპარაკის სურვილი არ ჩაუქრა, გული ვერ გაიძღო ქაქანით, სულ ამაზოზენ ამბებზე ელაპარაკებოდა კრისტოფს.

კრისტოფი ხედავდა, ადას სიამოვნებას ჰგვრიდა სხვათა გაღიზიანება და ამას ნევრასტენიას აწერდა. მხრებს აიჩეჩავდა და თავს ისე დაიჭერდა, თითქოს არც არაფერი ესმისო. გული გაუწყრილა დაუსრულებელმა ღირღიტმა. ზოგჯერ მოუნდებოდა ფანჯრიდან ადას გადაგდება.

მაგრამ მცირე ხნით რომ ძოშორდებოდა საყვარელს, ყოველგვარ წყენას ივიწყებდა, ახალი ილუზიებითა და იმედით აღფრთოვანებული-უბრუნდებოდა ადას. უყვარდა. სიყვარული ხომ დაუშრეტელი რწმენაა. არსებობს თუ არა ღმერთი, ამას არა აქვს მნიშვნელობა, სწამთ იმიტომ, რომ სწამთ. ეყვართ იმიტომ, რომ უყვართ. სიყვარულმა არ იცის მიზეზის ძებნა.

ფოგელებთან წაკიდების შემდეგ მათ სახლში დარჩენა შეუძლებელი შეიქნა. ლუიზამ სხვა ბინა გამონახა და ვაჟიშვილთან ერთად გადაბარგდა.

უეცრად ერთ მშვენიერ დღეს კრისტოფის უმცროსი ძმა — ერნსტი წამოადგათ თავს. მისი ამბავი კარგა ხანია არ იცოდნენ. უმუშევრად დარჩენილიყო, მრავალი ხელობა ესინჯა და ყველგან დაეთხოვათ. ჯიბეგამოფხეკილმა და ჯანმრთელობაშერყეულმა მშობლიურ კერას მოაკითხა.

ერნსტი ძმებთან კარგად იყო. იცოდა, ისინი დიდ ანგარიშს არ უწევ-დნენ, მაგრამ არ სწყინდა. წყლის ნაყვა იყო მისთვის დარიგებების მიცემა. ერთ ყურში რომ შეუშვებდა, მეორედან გამოუშვებდა, მაგრამ ძმებიც არ უწყრებოდნენ. ლამაზი თვალები მზაკვრულად უღიმოდა, ცდილობდა მწუხარე იერი მიეღო. ამ დროს მისი გონება სხვაგან ქროდა, ძმებს კი ყველაფერზე თავს უკანტურებდა, მადლობას უხდიდა და ხან ერთსა და ხან მეორეს ტყუებდ ფულს. კრისტოფს უყვარდა ეს თავაზიანი ცუღლუტი, რომელიც მასზე მეტად წააგავდა მელქიორს. კრისტოფივით ტანსრულსა და ღონიერს ლამაზი ნათელი სახე, ჭროღა თვალები, სწორი ცხვირი, მოღიმარი ტუჩები, მიჯრით მიწყობილი კბილები და მოხდენილი მიხრა-მოხრა ჰქონდა. მისი შემხედვარე კრისტოფს გული ულხვებოდა და ენაზე მომდგარი საყვედურები აღარ დასცდებოდა. გულის სიღრმეში დედობრივად შემწყნარებელი იყო ამ კოხტა ბიჭისადმი, მისი სისხლი რომ უდუღდა ძარღვებში. სხვით თუ არაფრით, ძმის გარეგნობით მაინც ამაყობდა.

ერნსტი გაუთლელი იყო, აკლდა განათლება, მაგრამ უნიჭო არ ყოფილა და ხელოვნებისაც ზოგი რამ გაეგებოდა. მუსიკის მოსმენა სიამეს ჰგვრიდა. ძმის ნამოღვაწარში არაფერი ესმოდა, მაგრამ მაინც უსმენდა გულისყურით. კრისტოფი თავისიანების თანაგრძნობით არ ყოფილა წათამამებული და გული სიხარულით ევსებოდა, თავის კონცერტებზე ერნსტს რომ მოჰკრავდა თვალს.

ერნსტმა შესანიშნავად იცოდა ძმების ხასიათი და მარჯვედ ათამაშებდა მათ. კრისტოფი მშვენივრად ხედავდა ძმის თავკერძობასა და გულცივობას, კარგად იცოდა, ერნსტს მხოლოდ მაშინ გაახსენდებოდა თავისიანები, როცა გაუჭირდებოდა და უმათობა აღარ შეეძლო. მაინც ატყვევებდა მისი შემპარავი ქცევა და იშვიათად თუ ეტყოდა უარს რაიმეზე. კრისტოფს ერნსტი ბევრად ერჩია მეორე ძმას,— დინჯსა და ზოზინა რუდოლფს, — მუყაითს, შეუბღალავი ზნეობის ჭაბუკს. რუდოლფი არვისგან არაფერს ითხოვდა და არც არაფერს გასცემდა. იგი ყოველ უქმე დღეს დაიარებოდა დედის სანახავად — შემოიძურწებოდა, ერთ საათს იჯდა, მხოლოდ და მხოლოდ თავის თავზე საუბრობდა, ტრაბახობდა, აქებდა თავის ფერმას და ყველაფერს, რაც მხს ეხებოდა. სხვათა ამბავს არ კითხულობდა, არც აინტერესებდა. ყოველთვის ერთსა და იმავე დროს ბრუნდებოდა კმაყოფილი და დედის წინაშე ვალმოხდილი. კრისტოფი ვერ იტანდა მას, დროს შეურჩევდა და შინ არ ხვდებოდა. რუდოლფს შურდა მისი, სძაგდა ყოველი ხელოვანი, კრისტოფის სახელმოხვეჭილობა ამწარებდა, მაგრამ ამასთანავე ლამობდა მოვაჭრეთა წრეში ხელი მოეთბო ძმის პატარა სახელით. არასდროს სიტყვა არ

დასცდენია არც დედასთან და არც ძმასთან. თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერც ამჩნევდა კრისტოფის წარმატებას. სამაგიეროდ არ გამოეპარებოდა. რაიმე სიავე თუ შეემთხვეოდა მის უფროს ძმას. კრისტოფს ეზიზღებოდა ეს სიფლიდე. მაგრამ არაფერს იმჩნევდა. ვერასდროს ვერ წარმოიდგენდა, რომ ერნსტი ავყიობდა მასზე და რუდოლფთან ენა დაჰქონდა. ეს რომ შეეტყო, ძალიან გამწარდებოდა. პატარა თაღლითი კარგად ამჩნევდა ძმებს შორის სხვაობას და, უეჭველია, გრძნობდა კრისტოფის უპირატესობას. თანაუგრძნობდა ძმას და თან სასაცილოდ არ ყოფნიდა მისი ალალმართლობა. მუდამ მზად იყო ესარგებლა ძმის გულუბრყვილობით; რუდოლფის გულღრძოობა ეზარებოდა და ორივე ძმას ფცქვინდა. რუდოლფს შურსა და პატივმოყვარეობას უღვიძებდა. — ყვერს უკრავდა მის ნათქვამს, ჩაუკაკლავდა პატარა ქალაქში დარხეულ ჰორებს. ერნსტმა განსაკუთრებით კარგად იცოდა კრისტოფის შესახებ მოარული ბინძური მითქმა-მოთქმა. ყველაფერს წერილ ღ აცნობებდა რუდოლფს და მიზანსაც აღწევდა — ძუნწსა და ხელმოჭერილს ისევე ცინცლავდა ფულს, როგორც კრისტოფს.

ასე თანაბრად ყვლეფდა და დასცინოდა ორივეს და ორივე ძმას უყვარდა ივი.

სიმარჯვისა და გაქნილობის მიუხედავად ამჯერად ერნსტი სავალალო დღეში დაუბრუნდა დედას. მიუხხენიდან ჩამოსულიყო. ჩვეულებისამებრ გული აყროდა და დაეთხოვათ სამუშაოდან. გზის მეტი წილი ფეხით გამოეელო თავსხმასა და თქეშში. ღმერთმა უწყის, სად ათია ღამეები. მტვერში ამოგანგლულს ძონძები ემოსა, მათხოვარს ჰგავდა და საწყალობლად ახვილებდა. გზად მაგარი ბრონქიტი შეყროდა. ლუიზა ააფორიაქა მისმა დანახვამ, კრისტოფსაც გული აუჩუყდა და კარებში შეეგება. ერნსტს ცრემლის ღვრა არაფრად უჩნდა და ამჯერადაც არ დარიდებია დედა-შვილისათვის გულის აჩუყებას. მიზანს მიაღწია და სამთავემ ერთად ღვარეს ცრემლი.

კრისტოფმა თავისი ოთახი დაუთმო. წინასწარ გამთბარ ქვეშაგებში ჩაეწვინეს სნეული, რომელიც ისე გასაწყლებულიყო, გეგონებოდათ, ეს-ესაა სული ამოხდებაო. დედა და შვილი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და მის სასთუმალთან ტეხდნენ ღამეებს. ბუხარში ცეცხლი გააჩაღეს, ექიმს უხმეს, გაჩნდა წამლები, საგანგებო ნუგბარ-ნუგბარი საკმელები.

საჭირო იყო მისი დამოსვა თხემით ტერფამდე. თეთრეული. ფეხსამოსი, ტანსაცმელი — ყველაფერი უნდა შეეძინათ. ერნსტმა პატივი შეიფერა. ლუიზა და კრისტოფი წელებზე ფეხს იდგამდნენ. ცუდ დღეში იყვნენ: უხერხულ და

ნაკლებ შეღავათიან ბინაში გადასვლა მეტ სახსარს ითხოვდა, კრისტოფის გაკვეთილებმა იკლო, კიდევ ათასმა ხარჯმა იჩინა თავი. თავს ძლივს ირჩენდნენ. გამოსავალი უნდა ეძიათ. კრისტოფს შეეძლო რუდოლფისთვის მიემართა, მაგრამ არ ისურვა. თავის საპატიო მოვალეობად მიაჩნდა მარტო გაძღოლოდა საქმეს და უმცროს ძმას დახმარებოდა. ფიქრობდა, უფროსი ძმის ვალი ამას მაკისრებსო და ამას გარდა თავად კრისტოფსაც ასე შეშვენოდა. სირცხვილით სახეშეფაკლულს უნდა მიეღო წინადადება, ორი კვირის წინ რომ ზიზღით უარყო; უნდა შეთანხმებოდა შუაკაცს, რომელიც ვიღაც მდიდარმა მუსიკის მოყვარულმა მოუგზავნა, თქვენი თხზულება მომყიდეთ, მერე ჩემად უნდა გავასაღოო. ლუიზამ სხვისი თეთრეულის კემსვას მიჰყო ხელი. ერთმანეთს უმალავდნენ გაღებულ მსხვერპლს, არ ამხელდნენ როგორ შემოჰქონდათ ოჯახში ფული. ასე ეხიდებოდნენ ერთმანეთს.

მოკეთებული და ცეცხლისპირს ფეხმორთხმული ერნსტი ერთ მშვენიერ დღეს ხველება-ხველებაში გამოტყდა, რომ ვალი ჰქონდა. გაისტუმრეს, არ დაუჩივლიათ. აბა, რა სულგრძელობაა უსაყვედურო ავადმყოფ, თუმცა ბედოვლათ ბიჭს! აკი ცოდვათა მოსანანიებლად მობრუნდა შინ. ერნსტი შეცვლილი ჩანდა, ცხოვრების ჭირ-ვარამმა და სნეულებამ გარდასახაო თითქოს. ცრემლნარევი ხმით იხსენებდა თავის ძველ შეცოდებებს. ლუიზა გულში ჩაიკრავდა და ემუდარებოდა, დაივიწყეო ყველაფერი. ალერსიანი იყო, დედას მუდამ თავს უქონავდა გადაკარბებული სინაზითა და დაყვავებით. ოდესღაც ეპვიანობდა კიდეც კრისტოფი, მაგრამ ახლა ფიქრობდა, უმცროსი და ყველაზე სუსტი ბიჭი ყველაზე საყვარელიც უნდა იყოსო. ასაკში განსხვავება მცირე იყო, მაგრამ კრისტოფი მაინც მამასავით მფარველობდა ძმას. ერნსტი მას პატივისცემით ეპყრობოდა, ზოგჯერ სიტყვას გადაუკრავდა მძიმე ტვირთზე, კრისტოფს რომ დააწვა, ფულად მსხვერპლზე... მაგრამ კრისტოფი შეაწყვეტინებდა, ერნსტიც ხმას ჩაიკმენდდა და კრძალვითა და სინაზით აღსავსე ბზერას ესროდა ძმას, კრისტოფის რჩევა-დარიგებებს ანგარიშს უწევდა. თავისი ცხოვრების შეცვლას აპირებდა თითქოსდა გამომჯობინების შემდგომ მუყაითი შრომის დაწყებას ფიქრობდა.

ერნსტმა პირი იბრუნა, მაგრამ მოკეთება გაჭიანურდა. ექიმმა განაცხადა, ავადმყოფის ჯანმრთელობა შერყეულია და დიდი მოფრთხილებაა საჭიროო. კვლავ ცხოვრობდა დედის ჭერქვეშ, კრისტოფის საწოლში ეძინა, მადიანად შეექცეოდა ძმის მოპოვებულ პურს და ნუგბარ საჭმელებს, დედა საგანგებოდ რომ უმზადებდა. წასვლაზე კრინტს არ ძრავდა. ლუიზა და კრისტოფიც დუმდნენ, ბედნიერნი იყვნენ, რომ კერას დაუბრუნეს საყვარელი შვილი და ძმა.

ერთად ატარებდნენ გრძელ საღამოებს, ნელინელ კრისტოფმა გულითადი საუბარი იწყო ერნსტთან. უნდა მინდობოდა ვისმეს, ერნსტი გონებამახვილი იყო და უთქმელად ხვდებოდა ყველაფერს, ყოველ შემთხვევაში, თავი ასე ეჭირა. მასთან საუბარი სიამეს ჰგვრიდა კრისტოფს. მაინც ვერ გაბედა თავისი მიჯნურობის გამხელა, რაღაც რიდი აკავებდა. ერნსტმა ყველაფერი იცოდა და არას იმჩნევდა.

ერთხელ ნაშუადღევს სავსებით გამოჯანსაღებული ერნსტი მზიანი დარით მოიხიბლა და რაინის ნაპირს აუყვა სახეტიალოდ. ქალაქის განაპირას მხიარულ დუქანს მიადგა. უქმე დღეს აქ ხალხი იყრიდა თავს საცეკვაოდ და გადასაკრავად. უეცრად ადასა და მირასთან ერთად კრისტოფს მოჰკრა თვალი. სუფრას შემოსხდომოდნენ და ილხენდნენ. კრისტოფმაც თვალი ჰკიდა მას და აილეწა, მაგრამ ერნსტს მოერიდაო თითქოს და არ გამოცნაურებია.

შეხვედრამ შეაცბო კრისტოფი, ცხადად აგრძნობინა, რა გარემოში ტრიალებდა. არ ეამა, ძმამ რომ ნახა ამ ხალხში. ამიერიდან ერნსტის ქცევის განსჯასა და დაგმობას ვეღარ შეძლებდა, მაგრამ ამას არ შეუწუხებია. უფროსი ძმის მოვალეობებზე განყენებული, გულუბრყვილო, ოდნავ მოძველებული წარმოდგენა ჰქონდა, რაც უცხო კაცს სასაცილოდ მოეჩვენებოდა. იფიქრა; თავს ვერ ვართმევო ჩემს მოვალეობას და საკუთარ თვალში დაეცა.

მიმწუხრის ჟამს ერთად რომ შეიყარნენ ოთახში, ელოდა, ძმა სიტყვას გადამიკრავსო შეხვედრაზე, მაგრამ ერნსტი გაყუჩებულიყო და იცინოდა. მერმე, როცა ტანთ იხდიდნენ, გადაწყვიტა ალაპარაკებულიყო თავის სიყვარულზე. ისე ღელავდა, რომ თვალი ვერ გაუსწორა ძმას. დარცხვენა რომ დაეფარა, უხეშად დაიწყო. ერნსტი არ შეეშველა, დუმდა ისევ. კრისტოფისთვის არ შეუხედავს, მაგრამ შეფარვით ზვერავდა. არ გამოპარვია მისი უგერგილობა, უხერხულად და სასაცილოდ თქმული სიტყვები. კრისტოფს ადა არც უხსენებია და მისი ნათქვამი დაემთხვეოდა ყოველი საყვარელი ასულის ხატებას. თავის სიყვარულზე ლაპარაკობდა, თანდათან მოერია ტრფობისა და სიფნაზის ნაკადი, ფქვა, სიყვარული დიდი მადლიაო. ამბობდა, რომ საწყალობელი იყო, ვიდრე მრუმე ღამეში მოკიაფე ნათელს იხილავდა, რომ სიცოცხლე არ ღირს უსიყვარულოდ. ერნსტი მშვიდად უსმენდა. არ ჩაჰკითხვია, თავაზიანად შეეპასუხებოდა ზოგჯერ, მხოლოდ ხელის მღელვარე ჩამორთმევა ამხელდა მის თანაგრძნობას. ერთმანეთს გაუზიარეს ფიქრები სიყვარულსა და სიცოცხლეზე. კრისტოფი ბედნიერი იყო, რომ ასე მშვენიერად გაუგეს. ძილის წინ ძმურად ჩაეხვევნენ ერთმანეთს.

კრისტოფი შეეთვისა ძმას, წაათამამა მისმა დუმილმა და დიდი კრძალვითა და მორიდებით დაუწყო თავისი გრძნობების გამხელა ადას თაობაზე

ეშვებშიც გაუტყდა. სატრფოს არაფერში სდებდა ბრალს და თავს ამტყუნებდა მხოლოდ. ცრემლმორეული ამბობდა, უმისოდ ერთ წამს ვერ ვიცოცხლებო

ადასაც ესაუბრებოდა ერნსტზე, გონიერებასა და სილამაზეს უქებდა ძმას.

ერნსტს არ უთხოვია ადას გაცნობა. იჯდა დასევდიანებული, შინიდან ფეხის გადგმა არ სურდა. არავის ვიცნობო, ამბობდა. კრისტოფი თავს საყვედურობდა, უქმე დღეს რომ ქალაქგარეთ გადიოდა გულიწსწორთან ერთად, როცა მისი ძმა შინ იყო გამოკეტილი. არც წაუსვლელობა შეეძლო. რა თავკერძა ვარო, ფიქრობდა. ერთხელ შეგვიამხანაგდიო, — სთხოვა ერნსტს.

კრისტოფმა ძმა სატრფოს წარუდგინა ადას კარის წინ, კიბის ბაქანზე. დიდი თავაზით მიესალმნენ ერთურთს, ადას კუდივით განუყრელი მირა აეკიდა. ერნსტის დანახვა ძალიან გაუკვირდა და წამოიყვირა. ერნსტმა გაულიმა, მისკენ გაეშურა და გადაეხვია. მირამ ეს არ გაიკვირვა.

— როგორ! განა თქვენ იცნობთ ერთმანეთს? — იკითხა სახტად დარჩენილმა კრისტოფმა.

— რა თქმა უნდა! — სიცილით შეესიტყვა მირა.

— როდიდან?

— ო, დიდი ხანია!

— შენც იცნობ? — ახლა ადას ჩაეკითხა. — რად არ მითხარი აქამდე?

— შენ თუ გგონია, მირას ყველა საყვარელს ვიცნობ!.. — თქვა ადამ და მხრები შეათამაშა.

მირას ყურში ჩაეწვეთა მისი ნათქვამი და თავი მოიკატუნა, ვითომ გაბრაზდა. მეტი ვერაფერი შეიტყო კრისტოფმა. დადარდიანდა. ვერ იტყოდა, ესენი ტყუიანო, მაგრამ ალღოთი გრძნობდა, გულახდილნი არ იყვნენ, ფიქრობდა, მირას არაფერი აქვს ადასაგან დაფარული, რაღა ეს გატაცება დაუმალაო. უჭირდა იმის დაჯერება, რომ ადა და ერნსტი აქამდე არ იცნობდნენ ერთურთს. აკვირდებოდა, თვალყურს ადევნებდა, მაგრამ ისინი თითო-ოროლა გაცვეთილ სიტყვას თუ გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს. ერნსტს მირას გარდა არავინ ახსოვდა, ადა მხოლოდ კრისტოფით იყო გართული და ჩვეულებრივზე უფრო გულისხმიერად ექცეოდა.

ამიერიდან ერნსტი აღარ მოსცილებიათ მათ. ყოველ კვირა დღეს მათთან ერთად დაეხეტებოდა. კრისტოფს უმისობა ერჩია, მაგრამ თქმა ვერ შებედა. ერცხვინებოდა ძმისა და მისგან სიშორე სურდა, თორემ სხვა არავითარი მიზეზი არ ჰქონია თავის ასარიდებლად. გუმანით ვერაფერს ხვდებოდა. არც ერნსტი აძლევდა საბაბს. ის მირათი ჩანდა გატაცებული, ადას მიმართ თავშეკავებული და თავაზიანი იყო, ზედმეტი პატივისცემით ეპყრობოდა,

თითქოს ძმის გულისტოლზე გადაეტანა ის რიდი და კრძალვა, რომელსაც კრისტოფისადმი გრძნობდა ადას ეს არ უკვირდა.

ერთად დაიარებოდნენ. ძმები წინ მიალაჯებდნენ. გოგონები ჩამორჩებოდნენ და შორიახლოს მიჰყვებოდნენ ჩურჩულითა და ხითხითით. ხანდახან შეჩერდებოდნენ სალაქლაქოდ, დაესობოდნენ შუა გზაზე და ქაქანებდნენ. ძმებიც შეიცდიდნენ, მაგრამ კრისტოფს მოთმინების ფიალა ევსებოდა და გზას დაადგებოდა. ჩაესმოდა ორ ყბედთან მოქაქანე ერნსტის ხორხოცი და ხაფი ხმა, სურდა შეეტყო, რას ამბობდნენ, მაგრამ მიუახლოვდებოდა თუ არა, ჩაჩუმდებოდნენ.

— რაო, პირი ხომ არ შეგიკრავთ? — იკითხავდა ხოლმე.

ისინი კი გაეხუმრებოდნენ და სიტყვას ბანზე აუგდებდნენ, ერთმანეთს შესანიშნავად შეუხმატკბილდნენ.

ერთხელ ადა და კრისტოფი წაიჩხუბენ. მთელ დილას ემდუროდნენ ერთმანეთს. ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში ადა გაწყრებოდა, აიმრიზებოდა და ჯავრის ამოსაყრელად თავს აბეზრებდა კრისტოფს. მაგრამ ამჯერად არ გამწყრალა. კრისტოფს თითქოს ვერც ამჩნევდა და მეტისმეტად დაუტკბა თავის ორ თანამგზავრს. იტყოდით, გულის სიღრმეში უხარია კიდეც სატრფოსთან წაკიდებაო.

კრისტოფს საშინლად უნდოდა შერიგება. დღეს რაღაც განსაკუთრებულად უყვარდა ადა. გული სინაზით შეტბორებოდა, მადლიერი იყო ყველა იმ სიკეთისათვის, რაც სიყვარულმა მიანიჭა, თან წუხდა, სულელური კინკლაობითა და ავი ზრახვით რომ იშხამავდნენ უბედნიერეს წუთებს. რაღაც უმიზეზო ძრწოლა იპყრობდა და იდუმალი აზრი აგონებდა, რომ მათი ტრფობა დასასრულს უახლოვდებოდა. დადარდიანებული შეჰყურებდა მიჯნურის ლამაზ სახეს. ადა სხვებს შესცინოდა, მას კი ვითომ ვერც ამჩნევდა. ეს სახე ძვირფას მოგონებებს აუშლიდა, უძირო სიყვარულსა და წრფელ სიახლოვეს ახსენებდა. ამ საყვარელ სახეზე დროდადრო სიკეთე გადიღვრებოდა, როგორც ახლა, ნათელი ღიმილით გაბრწყინდებოდა და კრისტოფი თავს ეკითხებოდა: რად უმწარებენ ერთმანეთს სიხარულსა და ბედნიერებას, რად ლამობს მისი სატრფო ნათელი ჟამის მივიწყებას, რად რყვნის და ითრგუნავს ყოველივე კარგს, რაც გააჩნია, რად სიამოვნებს სიყვარულის ტალახში ამოვლება და წაბილწვა თუნდაც ავი ფიქრით? რწმენა სჭიროდა სიყვარულისა. კიდევ ერთხელ სცადა ყალბი ილუზიებით თავის მოტყუება, უსამართლობას

იბრალებდა და სინდისის ქენჯნით ფიქრობდა: ბოროტ აზრებს ვაწერ ადას და მიმტევებელი არ ვარო.

ადასთან გამოლაპარაკება სცადა ძახ მშვიდად მიუგო, სრულიადაც არ მსურსო შენთან შერიგება. კრისტოფმა თავისი დაიკინა, ეჩურჩულებოდა, ერთ წამს ხეირიანად მომისმინეო განმარტოებით. ადა უკმაყოფილო ხლაზვნით გაჰყვა. თანამგზავრებს გასცდნენ, ერნსტი და მირა ვეღარ დაინახავდნენ მათ. ანაზდად ხელი ჩასჭიდა ადას და მაპატიეო, თხოვა. შუა ჭალაკში დაცვენილ ფოთლებში ჩაიმუხლა სატრფოს წინ. შენთან დამდურებულს ცხოვრება აღარ ძალმიძს, არც სეირნობა და მზიანი დღე მხიბლავს, ამქვეყნად არაფერი არ მახარებსო. გული მელევა, სუნთქვა მეხშვის, რადგან შენ გეზარებიო. მენი სიყვარული მჭირია, ხშირად უსამართლო ვარ, უხეში და აუტანელი. ეველრებოდა მომიტევე, ეს ყველაფერი ჩემი გიჟური სიყვარულის ბრალია, ვერ ვიტან შენს ნაკლს, მძაგს, რაც შენი ღირსი არაა და განვლილ დღეთა საამურ მოგონებებს ბღალავსო. მოაგონა მათი პირველი შეხვედრა, ერთად გატარებული პირველი დღეები; მუდამ მიყვარდი და მარად მეყვარებიო, ნუ მომეშორები, ჩემდა სასიკეთოდ ხარ გაჩენილიო...

ადა უსმენდა მოღიმარი, შეწუხებული და თითქოს გულაჩუყებული. მოალერსე მზერა მიაპყრო, მისი თვალები ამბობდნენ, მიყვარხარ და აღარ გიჭერებიო. ჩაეხვევნენ ერთურთს და ერთმანეთს მიტმასნილები გაძრცვილ ტყეს შეეფარნენ. ადა მადლიერი იყო ნაზი და სასიყვარულო სიტყვებისათვის, მაგრამ ხელი არ აუღია ბოროტ განზრახვაზე, თავში რომ გაუელვა. მცირე ხანს შეყოყმანდა, არ ხიბლავდა თავისი ახირება, მაგრამ მაინც გადაწყვიტა ჟინის ასრულება. რატომ? კაცმა არ იცის... ეგებ იმიტომ, რომ თავს შეპირდა, ავისრულებო. ვინ უწყის? იქნებ ერჩია სწორედ დღეს გაეცურებინა თავისი მიჯნური, რათა მისთვისაც და თავისი თავისთვისაც დაედასტურებინა, თავისუფალი და შეუზღუდავი ვარო. კრისტოფთან განშორება ფიქრადაც არ გაუვლია, არც სურდა სატრფოს დაკარგვა. დღეს უფრო მეტად სჯეროდა მისი სიყვარული, ვიდრე ოდესმე.

ტყეში გაკაფულ მცირე კორდს მიადგნენ, აქედან ორი ბილიკი მიიკლაკნებოდა. კრისტოფი ერთს დაადგა, ერნსტმა აიჩემა, მეორე უფრო მალე გაგვიყვანს გორაკის თხემზე, საითაც ვეშურებითო. ადაც მას მიემხრო. კრისტოფს ბევრი უვლია ამ გზებზე, დაიკინა — ცდებითო, მაგრამ არ დაუჯერეს. ბოლოს დაასკვნეს, ორ წყვილად გავიყოთ და ვნახოთ რომელი მივასწრებთო. ადა ერნსტს გაჰყვა, მირა — კრისტოფს. ქალმა თავი მოიკატუნა, თითქოს სჯეროდა თავისი მეგზურის სიმართლე, ისიც კი დაურთო: „როგორც ყოველთვის,

კრისტოფია მართალი". კრისტოფი სულითა და გულით ჩაება თამაშში. დამარცხება არ უყვარდა და ფეხს აუჩქარა.

მირას არ ეჩქარებოდა.

— ნუ ჩქარობ, ჩემო კარგო, ჩვენ მაინც ადრე მივალთ, — დამშვინავად და მშვიდად შენიშნა მირამ.

კრისტოფი შეწუხდა:

— მართალი ხარ, ეჩქარობ. ეს რა პატიოსნებაა.

და ნაბიჯი შეანელა, მერე თქვა:

— მათი ამბავი რომ ვიცი, დარწმუნებული ვარ თავქუდმოგლეჯილნი გარბიან, რომ როგორმე მიგვასწრონ.

მირამ გულიანად გადაიკისკისა:

— არა, არა, ეს ნუ განაღვლებს!

ხელი გამოსდო კრისტოფს და მიეტმასნა. მასზე ოდნავ დაბალი იყო, ჭკვიანური თვალები მიაპყრო ვაჟს და ალერსით შეხედა. მირა ლამაზი და მომხიბლავი გახდა. კრისტოფი ვეღარ სცნობდა, ასეთი ცვლილება ჯერ არ უხილავს. მირას ფერგამკრთალი და შეშუპებული სახე ჰქონდა, მაგრამ მცირე აღგზნებამ, სასიხარულო ფიქრმა და მოწონების სურვილმა გამოაცოცხლა, ბებრული იერი ჩამოაცილა. ღაწვები შეეფაკლა, უპეებში გადიშალა ღარები და თვალები აუკიაფდა. გონიერი და ჭკვიანური სახე ჰქონდა. სწორედ ეს აკლდა ადას, კრისტოფი გააკვირვა ამ საოცარმა გარდასახვამ, შეაცბო ქალთან მარტო დარჩენამ და ვერ გაუბედა თვალის გამართვა. მირა ხელს უშლიდა თავისი საფიქრალი ეფიქრა. ყურს არ უგდებდა, არც გასაუბრებია, ხანდახან ცალყბად შეეპასუხებოდა. სურდა მხოლოდ და მხოლოდ ადაზე ეოცნება. ფიქრობდა მის ლამაზ თვალებზე, ახლახან რომ შესცქეროდნენ მომნუსხველი მზერით, მის ღიმილსა და კოცნაზე. გული სიყვარულით ევსებოდა. მირა მოითხოვდა, რომ მისი თანამგზავრი აღტაცებულიყო აშოლტილი ხეებით, რომელთა შიშველი რტოები ინაკვთებოდა ნათელ ცაზე... ყველაფერი შვენოდა ირგვლივ. ცამ ღრუბელი გადაიყარა. ადა მას დაუბრუნდა. კრისტოფმა შეძლო მათ შორის დახერგილი ყინულის გალხობა. გული ულხენდა. ახლებურად უყვართ ერთურთი. ერთად არიან თუ შორიშორს, სულ ერთია, მაინც ერთნი არიან. შვებით ამოისუნთქა. ჰაერი ამჩატდა! ადა დაუბრუნდა.. ყველაფერი სატრფოს ახსენებს... მოსაღამოვდა, აგრილდა... შესცივდებოდა საყვარელს. ტანადი ხეები თრთვილმა შეჯირხლა. რა საწყენია, ერთად რომ არ ტკბებიან ამ სილამაზით!.. დადებული სანაძლეო გაახსენდა და ფეხს აუჩქარა. მთავარია, გზა არ დაებნეს. თხემს რომ მიაღწიეს, აღტყინებული გაჰყვიროდა:

— პირველები ვართ, პირველები!

თან მხიარულად აქნევდა ქუდს. მირა შესცინოდა. ჭალაკით გარშემორტყმულ ციცაბო ქარაფზე იდგნენ. გორაკის ბრტყელ თხემს თხილნარი და ჯიჯგვი მუხები შემოჯარვოდა. აქედან ხელისგულივით იშლებოდა შემოგარენი: თავდაღმართზე შეფენილი ტყე, ხშირი ნისლით დაბინდულ ნაძვთა თვალშეუდგამი წვეროები და მოლურჯო ველზე გავაკებული რაინის მოსარკული ზოლი. ჩიტების ყივყივი მიმწყდარიყო. არსაიდან ხმა. ჰაერიც არ იძვრის. ზამთრის გარინდული და მცივანა დღე ეფიცხება/მისუსტებული მზის მკრთალ სხივებს. ხანდახან მატარებლის ხანმოკლე შეკივლება გაარღვევს. სიჩუმეს, კრისტოფი ქარაფის კიდეზე დგას და თვალს ავლებს არემარეს. მირა კრისტოფს შესცქერის.

ვაჟი შესანიშნავ გუნებაზე იყო, მირას მიუბრუნდა:

— ზარმაცები! აკი ვუთხარი, მოგასწრებთ-მეთქი!.. სხვა გზა არაა, უნდა დაველოდოთ...

დამსჯდარ მიწაზე გაიშოტა მზვარეში.

— კარგი, დავიცადოთ, — გულარხეინად თქვა მირამ და ქუდი მოიხადა. დაცინვა იგრძნო მის ხმაში კრისტოფმა, წამოიწია და შეაჩერდა.

— რა მოგივიდა? — მშვიდად იკითხა მირამ.

— რა თქვი?

— დავიცადოთ-მეთქი. რა საჭირო იყო, სულმოუთქმელად რომ მომარბენინებდი.

— მართალი ხარ.

გაწოლილიყვნენ დახეთქილ მიწაზე და იცდიდნენ. მირამ სიმღერა წამოიწყო, კრისტოფი აჰყვა ღიღინით. მალიმალ შეჩერდებოდა და დააყურებდა.

— მგონი მათი ხმა მესმის.

მირას სიმღერა არ შეუწყვეტია.

— გეყოფა, გაჩუმდი ერთ წამს!

მირა დადუმდა.

— არავინაა, მომეყურა.

მირა კვლავ ამღერდა.

კრისტოფი ვერ ისვენებდა.

— იქნებ გზას ასცდნენ.

— რას ამბობ?! შეუძლებელია. ერნსტმა ყველა გზა იცის.

უცნაურმა აზრმა გაუელვა კრისტოფს:

— ეგებ მოგვასწრეს და აღარ დაგვიცადეს.

გულღმა გაწოლილი მირა ზეცას შეჰყურებდა და მღეროდა. კრისტოფის

სიტყვებზე სიცილი აუტყდა, კინაღამ გაიგუდა. კრისტოფი ჩააცივდა, სადგურზე ჩავიდეთ, ალბათ იქ გველიანო. ბოლოს მირამ სული მოითქვა.

— მაშინ კი ნამდვილად აგვცდებიან. სადგური არც გვიხსენებია. აქ უნდა მოგვეყარა თავი, ასე არ დავთქვით?

კრისტოფი გვერდით მოუჯდა. მირა ერთობოდა კრისტოფის გულუბრყვილობის შემყურე. კრისტოფმა იგრძნო მისი იქედნური მზერა, აფორიაქდა, შეწუხდა, მაგრამ ავი არაფერი უეჭვია. ისევ წამოხტა. აიჩემა, ჭალაკში დავბრუნდეთ, მოვიძიოთ, გავეხმიანოთო. მირამ ჩაიქირქილა, ჯიბიდან ამოალაგა ნემსი, ძაფი, მაკრატელი, გადააადგილა ქუდზე ფრთები და ისე მოიკალათა, თითქოს აქ აპირებდა მთელი დღის გატარებას.

— რა სულელი ხარ, მოსვლა რომ სდომოდათ, როგორ გგონია, ვერ მოგვაკვლევდნენ?

კრისტოფს გულმა რეჩხი უყო. მირას შემოუბრუნდა. ქალს თავი ჩაექინდრა და ხელსაქმით იყო გართული. მიუახლოვდა.

— მირა!

—ჰა? — მირას თავი არ აუღია.

კრისტოფი ჩაცუცქდა, რომ თვალებში ჩაეხედა მისთვის.

— მირა! — გაუმეორა.

— რა გინდა? — ხელსაქნარს მოაცილა მზერა და მოღიმარემ შეხედა კრისტოფს. — რა იყო? მოხდა რამე?

და დამცინავად შეათვალიერა ვაჟის შეძრწუნებული სახე.

— მირა! მითხარი, შენ როგორ გგონია... — ძლივს ამოღერღა, ხმა ჩაუწყდა.

მირამ მხრები აიჩეჩა, გაუღიმა და საქმეს მიჰყო ხელი.

კრისტოფმა ქუდი გამოსტაცა.

— თავი დაანებე, გესმის, თავი დაანებე და მითხარი!

მირა შეაჩერდა, კვლავ დუმდა. ტუჩები უთრთოდა კრისტოფს, ძლივს გასაგონად წაილუღლუღა:

— შენ გგონია, რომ ერნსტი და ადა!...

—აბა რა! — შესცინა მირამ.

სიმწრით აცახცახდა.

— არა, არა, შეუძლებელია! შენ სულაც არ ფიქრობ ამას!.. არა! არა!

მირამ ხელი ჩამოადო მხარზე და ისევ სიცილი აიტეხა.

— ჩემო კარგო, რა სულელი ხარ, რა სულელი!

კრისტოფი სწვდა მას და შეანჯღრია.

— ნუ იცინი! რა გაცინებს. მართალი რომ იყო, არ გაიცინებდი. შენ გიყვარს ერნსტი...

მირამ გადაიკისკისა, კრისტოფი ძიიხიდა და ჩაეხვია. კაუმა უნებურად დაუბრუნა კოცნა, მაგრამ ძმის ალერსით გამთბარ ტუჩებს რომ შეეხო, თავ'ხარდაცემულმა უკან დაიხია, განერიდა ქალს და ჩაეკითხა:

— მაშ შენ იცოდი? პირი შეჰკარით?

ქალმა საცილით უთხრა: „ჰო".

კრისტოფს არ უყვირია, რისხვა არ შეუმჩნევია. პირი დააღო მხოლოდ, სუნთქვა გაუჭირდა, თვალი მოხუჭა და ხელები მკერდზე დაიკრიფა, გული აძოხტომას ლამობდა. შემდეგ მიწას განერთხა, თავი ჩარგო ხელებში, და ზიზღით აცახცახდა სასოწარკვეთილი, ბავშვობაში რომ ჩვეოდა ისე.

მირა მაინცადამაინც სათუთი არ ყოფილა, მაგრამ მაინც შეებრალა იგი, უნებლიეთ დედობრივი თანაგრძნობით განიმსჭვალა, მისკენ გადიხარა, ნაზად ეჩურჩულებოდა, სურნელოვანი მარილი გაუწოდა. კრისტოფმა ბრაზით მოიცილა და ისეთი სისწრაფით წამოხტა, რომ მირა შეცბა. სამაგიეროს გადახდის არც სურვილი ჰქონდა და არც ძალა შესწევდა. სახე უსასო სევდამ გადუსერა, მირას შეხედა:

— სულმდაბალი, მრუშო! — უთხრა განადგურებულმა, — არც კი იცი, რა ბოროტად მომექეცი...

მირამ ვერ დააკავა და კრისტოფი ქალაქში შევარდა. გარბოდა, უნდოდა ამოენთხია ზიზღი, რომელსაც სიწმინდის გაქელვა-შეგინება ჰგვრიდა, სურდა გასცლოდა ამ ბილწ ადამიანებს, სისხლის აღრევის თამაშში რომ ითრევდნენ მას. გულამოსკვნილი ტიროდა, ცახცახებდა, ეზარებოდა ადა, სძაგდა სამივე, თავიც ეზიზღებოდა, თავისი სხეულიც, გულიც — ყველაფერი სძულდა. ზიზღის გრიგალმა აიწყვიტა და აბობოქრდა მის არსებაში. კარგა ხანია მზადდებოდა ეს ქარტეხილი, ადრე თუ გვიან თავს აიშვებდა, აუმხედრდებოდა ამ წარყვნილ აზრებს. დამამცირებელ დათმობებს, ამ დუნე და დამყაყებულ გარემოს, სადაც აგერ რამდენიმე თვეა ტრიალებს. სიყვარულის წყურვილმა, თავის მოტყუების წადილმა შეაგვიანა გარდუვალი გარდატეხა. ახლა კი ანაზდად თავს დაატყდა. ასე ჯობს. ჰაერის მოვარდნილმა ტალღამ, პირქუშმა სიწმინდემ, სუსხიანმა ზენაქარმა ახვეტა და წაიტანა ყოველი სნება. ზიზღმა ბეყსეულად ჩაუკლა გულში ადას სიყვარული.

ადა სატრფოზე თავისი გავლენის განმტკიცებას აპირებდა ამ ქცევით, მაგრამ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ გაუთლელსა და ხეპრე გოგოს არაფერი გაეგებოდა თავისი მიჯნურისა. ეჭვიანობა სიყვარულს უცხოველებს გულბოროტთ, კრისტოფის მსგავს წმიდა და ამაყ ჯაბუკს აღაშფოთებს' მხოლოდ ვე-

რასოდეს აპატიებს ადას ამ სიმუხთლეს. ვნებით აღძრულს რომ ეღალატა, ან სულელი ახირება აკვიატებოდა, ისეთი დაუოკებელი, რომ დიაცთ არ ძალუძთ გაძალიანება — მაშინ სხვა იყო. მზაკვრობა შეუტყო, მიხვდა, ადას მისი დამცირების ფარული სურვილი ამოძრავებდა, უნდოდა თავისი მიჯნური დაესაჯა ზნეობრივი სიმტკიცისათვის, მტრული რწმენისათვის, საერთო დონემდე ეწადა მისი დამდაბლება, სურდა ფერხთით ჰყოლოდა განრთხმული, რათა საკუთარი თავისთვის ეჩვენებინა თავისი ავისმოქმედი ძალა. შეშფოთებული კრისტოფი ფიქრობდა: კაცთაგან მრავალს რად სდევს ყველაფრის წაბილწვის წადილი, რად სურთ შებღალონ საკუთარი და სხვათა სიწმინდე? ღორული სული აქვთ, წუმპეში გორაობენ და ნეტარებენ, რომ კანზე მცირე ადგილიც არ შერჩათ გაუთხვრელი!

ორ დღეს შეიცადა ადამ, იფიქრა, დამიბრუნდებაო სატრფო. მერმე აფორიაქდა და სასიყვარულო უსტარი გაუგზავნა, შეფარვითაც კი არ უხსენებია მომხდარი ამბავი. კრისტოფმა წერილი უპასუხოდ დატოვა. ისე სძულდა, რომ სიტყვები არ ყოფნიდა გამოსახატავად. გული არ მობრუნებია, ამოშალა იგი თავისი ცხოვრებიდან. ამიერიდან ადა აღარ არსებობდა მისთვის.

კრისტოფმა თავი დააღწია ადას, მაგრამ საკუთარ თავს ვერსად გაექცა. ამაოდ ლამობდა თავის მოტყუებას, გარდასულ დროთა სიმშვიდისა და ძლიერების დაბრუნებას. არავის ძალუძს წარსულის მობრუნება. გზა უნდა განაგრძო შეუსვენებლივ და უკან მოხედვას მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ განვლილი ადგილები გაიხსენო, თვალი შეავლო შენი ქოხიდან აბოლქვილ კვამლს, რომელიც მქრქალდება და სადღაც შორს, დასალიერში მოგონებათა ბურუსს ეზავება. ვნებათაღელვით მოღლილი რამდენიმე თვე საოცრად გვაშორებს ჩვენს ადრინდელ სულს. გზა უეცრად უხვევს, სანახები იცვლება და თითქოს უკანასკნელად ეთხოვები ყველაფერს, რასაც უკან მოიტოვებ.

კრისტოფი კვლავ წარსულს ეპოტინებოდა, ვერ ეგუებოდა მის დაკარგვას, ცდილობდა აღედგინა თავისი ადრინდელი ეული და მორჩილი სული. მაგრამ ეს სული აღარ არსებობდა, იგი სამუდამოდ გამქრალიყო. ნგრევა, რომელიც ვნებათაღელვას მოჰყვება, თავად ვნებაზე საშიშია. ახლა არავინ უყვარდა, ეზიზღებოდა სიყვარული, მაგრამ ტრფობის მსახვრალმა ხელმა დაღი დააჩნია მას, მთელი მისი არსება გადაქელა. გულში სიცარიელემ დაიასადგურა და მისი ამოვსება იყო საჭირო სინაზისა და ტკბობის წადილი ანელებს მას, ვინც ერთხელ გემოს იწვნევს. ახალი მკვეთრი შეგრძნებანი — ზიზღი, ქედუხრელი სიწმინდე, რწმენა ან სიქველე უნდა დაპირისპირებოდა ძველ

გრძნობებს, უნდა დაეცხრო და ამოეძირკვა ძველი ვნებანი, მაგრამ არც ახალი ვნებანი კმაროდა, წყურვილს ვერ მოუკლავდა, სულიერ სიმშვიდეს ვერ გაუყუჩებდა, მისი სიცოცხლე შმაგ გახელებად იქცა, ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა. ზოგჯერ ცდილობდა განდეგილივით ეცხოვრა. ყრუ მძვინვარებით ისჯიდა თავს: ჭამას თავი ანება, წყალს სვამდა მხოლოდ. ძზად იყო ქვეყნის კიდემდე ეარა, ყიალით იქანცავდა თავს, დაოსებული ძლივს დაათრევდა ფეხებს, ღამე ძილფხიზლობდა და ყოველგვარ სიამოვნებას გაურბოდა. ზოგჯერ თავს ირწმუნებდა, ჩემი ყაიდის ხალხისთვის ნამდვილი ზნეობა ძლიერებააო და განცხრომას ეძიებდა. ორივე შემთხვევაში უბედური იყო. მარტოობა აღარ ძალუძდა, არც ის შეეძლო, რომ მარტო არ ყოფილიყო.

მეგობარი უშველიდა მხოლოდ. ვინ იცის, ეგებ როზას მეგობრობაც გამოსდგომოდა. მაგრამ მათი ოჯახები სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჭიდებოდნენ ერთმანეთს. ვეღარ ხედავდნენ ერთურთს. მხოლოდ ერთხელ შეეფეთა წირვიდან მომავალ როზას. კრისტოფი შეყოყმანდა, მისვლა სურდა, როზაც შეცბა და მისაგებებლად წამოიწია. კრისტოფი შეეცადა კიბეზე ჩამომავალ მლოცველთა ბრბოს გარღვევას, მაგრამ ამასობაში როზამ თავი მიიბრუნა, მოახლოვებულ ვაჟს ცივად მიესალმა და ჩაუარა. იგრძნო, გოგონას გულში ხიზღს დაესადგურებინა. ვერ მიხვდა, რომ მას კვლავ უყვარდა კრისტოფი, კვლავ სურდა მისთვის სიყვარულის განდობა, თუმცა შეცოდებად და უგუნურებად მიაჩნდა თავისი ტრფობა. კრისტოფს წამხდარ და წაბილწულ ადამიანად თვლიდა და კიდევ უფრო დაშორდა მას. ასე სამარადჟამოდ დაკარგეს ერთმანეთი. ვინ იცის, ეგებ ასე ჯობდა ერთისა და მეორისთვისაც. სიკეთის მიუხედავად, როზა ისე უგერგილო იყო, რომ ვერ გაუგებდა. კრისტოფს საოცრად სწყუროდა გულისხმიერება და პატივისცემა, მაგრამ კარჩაკეტილად, ეესიხარულოდ, უშფოთველად ვერ იცხოვრებდა, დაიხუთებოდა, ორივე გაწამდებოდა. მათი გამთიშველი საბედისწერო შემთხვევა ამასთანავე საკეთილდღეო აღმოჩნდა. ასე ხდება ხოლმე ხშირად, ასე ემართებათ ძლიერ და ამტან ადამიანებს.

მაგრამ ახლა ორივესთვის აუტანელი უბედურება იყო ეს განშორება. ორივე დადარდიანდა. განსაკუთრებით კრისტოფს უმძიმდა. შეკვეცილ გრძნობებს, მადლის, სიქველის დევნას უგუნურებამდე მიჰყავს გონიერნი, უკეთურებამდე — კეთილნი; ეს შეზღუდულობა კრისტოფს აღიზიანებდა, შეურაცხყოფდა და წინააღმდეგობის სურვილით აღძრული აღვირაწყვეტილ ცხოვრებას მიეცა.

ადასთან ერთად ქალაქის განაპირა დუქნებში ყიალისას რამდენიმე თავქარიან ყმაწვილთან გაიბა ნაცნობობა. მათი უდარდელობა და ხეპრული ქცევ-

ვა მოსწონდა კიდეც. ერთი მათგანი, ოცდაათ წელს მიწევნილი ფრიდემანი, მასავით მუსიკოსი, ორღანისტი, გონიერებით გამოირჩეოდა. თავისი ხელობა ხელრიანად ესმოდა, მაგრამ ისეთი ზარმაცი და უქნარა იყო, რომ მშიერ-მწყურვალი ჩაკვდებოდა და არ შეეცდებოდა თავისი უფერული ცხოვრების შეცვლას. თავს ინუგეშებდა სხვებზე ავსიტყვობით. მის მწარე დაცინვაზე ზოგჯერ გულიანად იცინოდნენ მახლობელნი. არ ერიდებოდა აღზევებულ პირთა შეფარვით კილვას. საქვეყნოდ გავრცელებულ აზრს არ აჰყვებოდა ხოლმე და ნამალევად, გვერდულად უტევდა და სახელს უტეხდა საჩინო პირთ. არად უჩნდა ძვირის თქმა. არც ქალებს ინდობდა და ხუმრობა-ხუმრობაში ხშირად იმეორებდა ერთი დედათმოძულე ბერის ძველისძველ თქმას: „Femina mors animae"[1]. ამჟამად კრისტოფის სულს ეთანხმებოდა ეს სიტყვები.

აფორიაქებული კრისტოფი ფრიდემანს მიეკედლა. გულს აყოლებდა მასთან საუბარს. მალე შეიცნო თანამოსაუბრე. განუწყვეტელმა დაცინვებმა, ყველაფრის განქიქებამ და უარყოფამ გააღიზიანა და ფრიდემანის სულმდაბლობა და შეზღუდულობა დაანახა. მაგრამ მასთან ყოფნამ მაინც სული მოათქმეკინა ფილისტერთა თვითკმაყოფილი სიბრიყვით შეწუხებულ კრისტოფს. გულის სიღრმეში ეზიზღებოდა თავისი ძმაკაცი. მაგრამ არც უმისობა შეეძლო. ბუდამ ერთად იყვნენ, ხან სუფრას შემომსხდარნი ზნეობრივად დაცემულ და საეჭვო თანამეინახეებთან ილხენდნენ, ფრიდემანის ქარაფშუტა ამფსონებში, მასზე უფასურ ადამიანებში; ისხდნენ და ლაღობდნენ, ყაყანებდნენ, გაბმით სვამდნენ მთელი საღამოების მანძილზე. ანაზდად კრისტოფი გამოერკვეოდა, გულს ურევდა ძეხვეულისა და თუთუნის დამყაყებული სუნი, გარემომცველთ თვალს მიმოავლებდა, ველარ ცნობდა მათ. გულისტკივილით ფიქრობდა:

— სად ვარ? ვინაა ეს ხალხი? რა მინდა მათთან?

მოყირჭდა მათი ლაქლაქი და უთავბოლო ხორხოცი, მაგრამ ძალა არ შესწევდა მათ მისატოვებლად, ეშინოდა შინ დაბრუნება. გამუდმებული შიში აჰკვიატებოდა, ჩაგრავდა, ილაჯს უწყვეტდა, აძრწუნებდა ისევ სიმარტოვე საკუთარ გვემულ სულთან, ქენჯნილ სინდისთან და აუხდენელ სურვილებთან პირისპირ დარჩენა. თავს იღუპავდა. იცოდა, იღუპებოდა. წუხდა მომავალი ცხოვრების გამო და ფრიდემანის სწორფერი ვიქნებიო, ფიქრობდა. ბედის ამ მუქარამ გამოფხიზლების ნაცვლად წელში მოდრიკა.

ასე დაიღუპებოდა, რომ შეძლებოდა დაღუპვა. საბედნიეროდ, მისი ჯურის ხალხს ამტანობა და ჭირთა თმენის უნარი აქვს. ყველას როდი მომადლე-

---

[1] დედაკაცი სულის სიკვდილია (ლათ.).

ბია ეს ძალა. სიცოცხლის წყურვილი და სიკვდილის უარყოფა კრისტოფის ნებაზე ძლიერი იყო, მის გონზე უფრო გონიერი. უნებურად განესხვისებოდა თავს, ცხოველი ცნობისწადილი სძლევდა, ხელოვანთა ცნობისწადილი, რაიც ყოველთვის თან ახლავს შემოქმედთა ნიჭით ცხებულ ყოველ სულიერს. უყვარდა. ეწამა, მთელი არსებით მიეცა ვნებათაღელვას, ახლა იკვლევს თავის გრძნობებს. ეს ვნებანი მის არსებაშია დასადგურებული, მაგრამ მისი „მე" არაა. უამრავი პატარა სული დაბორიალობს მასში. ისინი რაღაც შეუცნობელ, მაგრამ განსაზღვრულ ადგილს აწყდებიან და რიალებენ ზესკნელის იდუმალ და უკიდეგანო სივრცეში მსრბოლ ვარსკვლავთა დარად. უეცრად გონს ბინდი გადეკვრება, ყოველდღიური ცხოვრება მიყუჩდება, ძილისა და უძილო ღამის უფსკრულებს სფინქსი მიმოავლებს უშფოთველ მზერას და ყოფიერების მრავალსახეობა გადაიშლება. ასეთ ჟამს უფრო იჩენს თავს შეუცნობელი და უსასრულო გაორება, აგერ ერთი წელია ზმანებანი დაჩემდა კრისტოფს. ცხადად გრძნობს ერთდროულად რამდენიმე განსხვავებულ, ერთმანეთისაგან ქვეყნებით, სამყაროებით და საუკუნეებით დაშორიშორებულ რამდენიმე არსებად რომაა ქცეული. როცა ფხიზლობდა, კვლავ სტანჯავდა რაღაც წუხილი, რომლის მიზეზი დავიწყებას მისცემოდა. გაურკვეველი, ბუნდოვანი სევდა იპყრობდა. დარდი განქარვებულიყო, მაგრამ გულში წარუხოცელი კვალი დაეტოვებინა. ვიდრე ჟამის წრებრუნვაში, დღეთა ფართო ტალღაში ჩათრეული მისი სული ფრთამოკვეცილი ფართხალებდა მის არსებაში დაბუდებული, მეორე სული უდრტვინველად და გულისყურით აკვირდებოდა პირველის თავგანწირულ ბრძოლას. კრისტოფი ვერ ამჩნევდა თავის მეორე სულს, რომელიც იდუმალი ნათელის არილს სტყორცნიდა მთელ მის არსებას. ამ სულს ყველაფრის განცდა სწყუროდა, — სურდა გვემულიყო, შეეცნო ის კაცები, დიაცნი, მიწა, სიცოცხლე, სურვილები, ვნებანი და ბილწი ზრახვანი. შორიშორ გამომკრთალი ცრიატი ნათელიც კმაროდა არყოფნისაგან კრისტოფის გადასარჩენად. ეს უხილავი სული როგორღაც აუწყებდა, რომ იგი ობლად არ იყო. ყოვლისმცოდნე და ყოვლისმომცველი მეორე სული გადაეღობა დამთრგუნველ ვნებებს.

წყლის ზედაპირზე შეაკავა ამ სულმა, ჩაძირვას გადაარჩინა, მორევიდან საკუთარი ძალით, სხვის დაუხმარებლად უნდა ამოსულიყო. თავი ვერ შეიცნო, ხეირიანად ვერ მოთოკა თავისი თავი. გული აუცრუვდა, ყოველგკარი შრომა გაუჭირდა. სულიერმა გარდატეხამ უწია, მის ცხოვრებაში უნაყოფიერესმა გარდატეხამ, ჩაისახა მისი მომავალი. კრისტოფის შინაგანი სიმდიდრე ჯერ მხოლოდ გიჟურ და დამთხვეულ ქცევაში ვლინდებოდა. მის სულიერ სიუხვეს ნაყოფი არ გამოეღო და ჯერჯერობით კრისტოფი არაფრით განსხვავ-

დებოდა სულიერი სიბერწისათვის განწირულ ადამიანთაგან. ცხოვრების ტალღამ ხელი დარია და გადალეკა, მთელი მისი ძალა შეირყა და უეცრად აღორძინდა. ნებისყოფის ზრდა შენელდა და ჩამორჩა სხვა ძალებს. კრისტოფი შეშფოთდა მოჯარულ საშინელებათა გავლენით, დაიძაბა შინაგანი დაძაბულობით, თითქოს მიწა იძრა, ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, წარღვნა ემუქრებოდა. გარეშენი კი ვერაფერს ამჩნევდნენ. თავად კრისტოფიც მხოლოდ უძლურებას ხედავდა თავისას, წადილი დაეწურა, თხზვა არ ძალუძდა, არსებობა უმძიმდა. სურვილები, ინსტინქტები, ზრახვანი ერთიმეორეს მოსდევდნენ და ვულკანის ნაპრალიდან ამოხეთქილი კვამლის ბოლქვივით თავს ევლებოდნენ.

თავის თავს ჰკითხავდა:

— ნეტა კიდევ რა გამოტყვრება? რა შემემთხვევა? ასე გაგრძელდება მარადის, თუ ბოლო მოეღება ყველაფერს? ნუთუ სამარადჟამოდ არარაობად დავრჩები?..

თავი წამოყო მამაპაპისეულმა ინსტინქტებმა, წამოტივტივდა იმათი მანკი, ვინც ყმაწვილზე ადრე გალია ცხოვრების გზა, — კრისტოფმა ლოთობა იწყო.

შინ ბრუნდებოდა მოთენთილი, იცინოდა და ღვინის სუნით ყარდა.

საბრალო ლუიზა შეაჩერდებოდა, უთქმელად ამოიოხრებდა და ღმერთს ავედოებდა ვაჟიშვილს.

ერთხელ მიმწუხრზე სამიკიტნოდან მომავალმა ქალაქის კარიბჭესთან ლანდი შეამჩნია, რომელიც მის წინ მიფათურობდა. ძია გოტფრიდი შეიცნო, ფუთა მოეგდო ზურგზე და ძიეხეტებოდა, რამდენიმე თვეა, ჩია კაცი არ გამოჩენილა მშობლიურ მხარეში. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მეტი ხნით გადაიკარგებოდა ხოლმე. კრისტოფი მხიარულად შეეხმიანა. ტვირთქვეშ მოკაკვული მოხუცი შემობრუნდა, დაინახა კრისტოფი, უცნაურად რომ იღრიჭებოდა, და გზად დაგდებულ მორზე ჩამოჯდა. სახეგაღაქღაქებული კრისტოფი მიბანდალდა მასთან, ხელი ჩამოართვა ძიას და შეანჯღრია. გოტფრიდი ერთხანს უმზერდა, მერმე თქვა:

— გამარჯობა, მელქიორ!

კრისტოფმა იფიქრა, საცოდავი როგორ მოტეხილა, მახსოვრობა ღალატობს, მამაჩემში აკერიეო და ახორხოცდა.

მართლა მობერებულიყო მეწვრილმანე, მოკუნტულიყო, დაჩიავებულიყო და სულს ძლივს ითქვამდა. კრისტოფი არატრატდა. გოტფრიდმა ფუთა მხარიღლივ წამოიგდო და გზა განაგრძო. გვერდიგვერდ მიდიოდნენ, — კრისტოფი ხელებს იქნევდა და შეუსვენებლივ ქაქანებდა, გოტფრიდი დრო-

დადრო ახველებდა და დუმდა. კრისტოფმა რაღაც ჰკითხა, ძია გაეპასუხა და ისევ მელქიორი უწოდა. ახლა კი ჩაეკითხა კრისტოფი.

— რად მეძახი მელქიორს? მშვენივრად იცი, რომ კრისტოფი მქვია. რაო, ხომ არ დაგავიწყდა ჩემი სახელი?

გოტფრიდი არ შეჩერებულა, ცერად გახედა დისწულს, თავი გაიქნია და ცივად უთხრა.

— არა, უმალვე გიცანი, შენ მელქიორი ხარ.

კრისტოფს ღიმილი შეაცივდა სახეზე, გაშრა და ფეხი ვერ მოიცვალა. გოტფრიდმა გზა განაგრძო და კრისტოფი უსიტყვოდ გაჰყვა ფეხდაფეხ. უეცრად გამოფხიზლდა, რომელიღაც დუქანს გაუსწორდნენ, კრისტოფი მიაწყდა სარკმლის მქრქალ მინას, გაზის სანთურის ბუნდ შუქსა და უკაცრიელ ქუჩას რომ ირეკლავდა. ჩაიხედა, თვითონაც მელქიორი შეიცნო და ელდანაკრავი გამობრუნდა.

ღამე გაათია, შიშნარევი სევდით იყო მოცული ღამე. თავის სულში და ფათურობდა, მოზღვავებულ კითხვებზე პასუხს ეძიებდა. ახლა კი მიხვდა, შეიცნო მის არსებაში წარმოჩინებული ცოდვანი და მანკიერებანი. შეიცნო და ძრწოლამ აიტანა. მოაგონდა მამის ცხედართან გატეხილი ღამე, გაიხსენა დანაპირები და თავის ცხოვრებას გადაავლო თვალი. აღთქმას უღალატა. რა გაეკეთა მთელი წლის მანძილზე? რით არგო თავის ღმერთს, თავის შემოქმედებას, თავის სულს? რა შექმნა მარადისობისთვის? ერთი დღეც კი არ შერჩა სამარადჟამოდ დაუკარგავი და წაუბილწავი. არც რა შეუთხზავს, არც უაზრია, არც ცდილა... მხოლოდ ქაოსი უთავბოლო სურვილებისა, ერთიმეორეს რომ აფერხებენ... ქარი, მტვერი, არყოფნა... რაში წაადგა სურვილები? ვერც ერთი წადილი ვერ შეისრულა, სურვილის წინააღმდეგ ირჯებოდა და რომ არ უნდოდა, ისეთი გახდა. აი, მისი ყოფის შედეგი.

არ დაწოლილა, უთენია, დილის ექვს საათზე ჩქამი მოესმა, — გოტფრიდმა დარჩენა არ ინდომა და აფუსფუსდა, წასასვლელად ემზადებოდა. ქალაქში ჩამოსულმა ჩვეულებისამებრ მოინახულა თავისიანები, გულში ჩაიკრა და და დისწული, თან დაურთო, ხვალ სისხამ დილით გზას უნდა გავუდგეო.

კრისტოფი ძირს ჩავიდა, ძიამ მის გაცრეცილ სახესა და ამოღამებულ თვალებში წამებით განატარები ღამის ნაკვალევი ამოიკითხა, ალერსიანად გაუღიმა და ცოტას ხომ არ გამაცილებო, უთხრა. ერთად გავიდნენ ალიონზე. კრიწტი არ დაუძრავთ, უთქმელად უგებდნენ ერთურთს. სასაფლაოს რომ მიაღწიეს, გოტფრიდმა უთხრა: თუ გინდა, შევიაროთო. ყოველთვის, როცა მშობლიურ მხარეს ესტუმრებოდა, ჟან-მიშელის და მელქიორის სამარეს მოინახუ-

ლებდა. კრისტოფი ერთი წელია არ ყოფილა აქ და შეჰყვა. გოტფრიდმა მუხლი მოიყარა მელქიორის საფლავთან და თქვა:

— მოდი, ვილოცოთ, რომ მშვიდად იძინონ და ჩვენ არ შეგვაშფოთონ.

გოტფრიდის ნათქვამში საოცარი ცრუმორწმუნეობა და საღი აზრი იყო მუდამ არეული. წინათ მისი ნალაპარაკევი აოცებდა კრისტოფს, მაგრამ ამჯერად მშვენივრად გაიგო და გაილურსა. უჩუმრად გასცდნენ სასაფლაოს.

ხრჭიალა ცხაური გამოიხურეს და საცალფეხო ბილიკს დაადგნენ. ბილიკი გალავნის გასწვრივ ჩარიგებულ კვიპაროსებში მიიკლაკნებოდა. რტოდარხეული ხეებიდან გალხობილი თოვლი მოწვეთავდა, კრისტოფი ატირდა.

— ო, ბიძაჩემო, რომ იცოდე როგორ ვიტანჯები!

ვერ გაბედა სიყვარულის მწარე გაკვეთილზე ხმის ამოღება, ერიდებოდა გოტფრიდის შეცბუნებას. სამაგიეროდ ლაპარაკობდა თავის შერცხვენაზე, უსუსურობაზე, ლაჩრობასა და შეუსრულებელ დაპირებებზე.

— როგორ უნდა მოვიქცე? სურვილები მწვავდა, ვიბრძოდი, მთელმა წელიწადმა გაირბინა და ერთი ნაბიჯითაც არ წავწეულვარ წინ. პირიქით, უკან დავიხიე. არაფერში არ გამოვდგები! ასე დავღუპე ჩემი სიცოცხლე, ფიცისგამტეხი ვარ!

ამასობაში გორაკის აღმართს შეუყვნენ და მთელი ქალაქი ხელისგულივით გადაიშალა. გოტფრიდმა დაყვავებით უთხრა:

— ასეა, ჩემო კარგო. ყოველთვის იმას როდი ვაკეთებთ, რაც გვსურს. სურვილები ერთია და ცხოვრება — მეორე. უნდა დამშვიდდე. მთავარია გსურდეს და სიცოცხლე გწყუროდეს. დანარჩენი ჩვენზე არაა დამოკიდებული.

იმედდაწურულმა კრისტოფმა გაიმეორა:

— აღთქმა მივივიწყე, უზენარო ვარ, საშველს არ მაძლევს ამაზე ფიქრი.

— აბა დააყურე! გესმის?

სოფლად მამლები ყივილით ეხმიანებოდნენ ერთმანეთს.

— ფიცისგამტეხთათვის ყივიან მამლები, ყოველი ჩვენგანისთვის გაჰყივიან ალიონზე.

— ეჰ, ერთ მშვენიერ დღეს ჩემთვის აღარ იყივლებენ მამლები... გათენდება უხვალო დღე... აბა, რით წარვუდგები მომავლის ნათელ დღეს?

— ხვალინდელი დღე მარად იქნება, — ჩაერია გოტფრიდი.

— რა უნდა ვქნა, თუ წადილით ვერას გავხდები?

— გამხნევდი და მხურვალედ ილოცე.

— ვილოცო?.. რწმენა დავკარგე.

გოტფრიდმა გაუღიმა:

— რომ არ გწამდეს, ვერც იცოცხლებდი. რწმენა ყველას აქვს. ილოცე.

— ვის შეევეედრო?!

გოტფრიდმა ჩახჩახა მზეზე მიუთითა, ცის დასავალზე რომ ამოწვერილიყო.

— ადიდე დღე, რომელიც თენდება. ნუ ინაღვლი, რა მოხდება მომავალ წელს, ათ წელიწადში. დღევანდელ დღეზე იფიქრე და თავი დაანებე მაგ შენს სულელურ თეორიებს. ხომ ხედავ, ყველაზე სასიკეთო თეორიაც ბრიყვულია და ფუჭი. დღევანდელი დღით იცოცხლე. ადიდე ყოველი დღე, გიყვარდეს და პატივი უზღვე; უდროოდ ნუ დააჭკნობ შენს დღეებს, ნუ შეაფერხებ მათ აღორძინებას. გიყვარდეს ყოველი დღე. თუ დღევანდელივით პირქუში და სევდიანია, გიყვარდეს მაინც. ნუ შეძრწუნდები, ხომ ხედავ, ზამთარია, ბუნება მიძინებულია. გადაიდარებს, მადლიანი მიწა კვლავ გაიღვიძებს. მასავით ძლიერი და მომთმენი უნდა იყო. ირწმუნე, და ითმინე. თუ კეთილი ხარ, შენი საქმეც კეთილად წავა. თუ უძლური ხარ, ბუნებამ თუ ხელი არ მოგიმართა, მაინც უნდა იბედნიერო. როგორც ჩანს, მეტი არ შეგძლებია. რად უნდა ინატრო შეუძლებელი? რად უნდა დადარდიანდე, რომ მეტის მიღწევა არ შეგიძლია? იღვაწე ჯერისაებრ. იმას უნდა იქმოდე, რასაც გასწვდები... Als ich kann[1].

— ეს ძალიან ცოტაა, — შუბლი შეიკრა კრისტოფმა.

გოტფრიდმა გულიანად გადაიხარხარა.

— რას ამბობ, ეს ადამიანის ძალას აღემატება. ამაყი ყოფილხარ, გმირობა გსურს, სწორედ ამიტომაა, რომ მხოლოდ სისულელეებს ჩადიხარ. გმირი!.. ხეირიანად არც კი მესმის, რას ნიშნავს ეს. მე მგონია, გმირია ის, ვინც იმას აკეთებს, რაც ძალუძს. სხვანი ასე არ იქცევიან.

კრისტოფმა ამოიოხრა:

— მაშ, რიღასთვის ვცოცხლობ, რა აზრი აქვს ამ გაჯახირებულ ცხოვრებას? აკი ამბობს ხალხი: ეძიებდე და ჰპოებდეო. მათთვის სურვილი და ასრულება ერთია.

გოტფრიდმა ისევ ჩაიხითხითა.

— ჰო, ესენი, გეთაყვა, ცრუპენტელები არიან, ანდა დიდს არაფერს ეძიებენ.

გორაკის თხემს მიაღწიეს. მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს და ჩია ზეწვრილმანე გზას გაუყვა. კრისტოფი ჩაფიქრდა. უძრავად იდგა და გაჰყურებდა მიმავალს. ძიას შეგონებას იმეორებდა:

„Als ich kann“.

---

[1] როგორც შემიძლია (გერმ.).

გაიღიმა:

— ჰო. სხვა გზა არაა... ეს უნდა ვიკმარო.

ქალაქისკენ იბრუნა პირი. შეყინული თოვლი ხრაშუნით იბეკნებოდა ფეხქვეშ. ზამთრის სუსხიანმა ქარბუქმა დაარწია ფერდობს შეფენილი ტანსრული მუხები და ხეებმა გაძარცვილი შტოები უმწეოდ გაასავსავეს. ქარი ლოყებს უბრაწავდა, კანს უწვავდა, სისხლს უჩქროლებდა. ბდღვრიალა მზის სხივები წითლად აკრიალებდა კრამიტის სახურავებს. ჰაერი სუფთა იყო და ჯანსაღი. ყინვით დამზრალი მიწა კუშტად ილხენდა და ჭაბუკის სულს ეთანხმებოდა. კრისტოფს გული უთქვამდა:

— მეც გავიღვიძებ!

ხელის ზურგით ამოიმშრალა თვალებში ჩამდგარი კურცხალი და დანისლულ მზეს შესცინა. თოვლით დატენილი ქუში ღრუბლები წამოგრაგნოღნენ ქალაქს. ენა გამოეყოთ. სუსხიანი ქარაშოტი მძვინვარებდა.

— დაბერე, ქარო! დაბერე და თან წამიტანე!.. მე გზას გავიკვლევ, რადგან ვიცი, საით ვიარო!

სარჩევი

თავისუფალი ადამიანი. გახტონ ბუაჩიძე 5

წიგნი პირველი. რიეტრაფი

ნაწილი პირველი 21
ნაწილი მეორე 42
ნაწილი მესამე 78

წიგნი მეორე. დილა

ნაწილი პირველი, ჟან-მიშელის სიკვდილი 113
ნაწილი მეორე. ოტო 143
ნაწილი მესამე. მინა 165

წიგნი მესამე. ხიეტრეი

ნაწილი პირველი. ოილერის სახლი 207
ნაწილი მეორე. საბინა 245
ნაწილი მესამე. ადა 287

Ромен Роллан

Жан-Кристоф

Том I

Книга первая,
вторая и третья

(На грузинском языке)

Детгиз Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1970

რედაქტორი თ. კოპლატაძე
გამომცემლობის რედაქტორი ე. ახვლედიანი
მხატვარი კ. ყაველაშვილი
მხატვრ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექრედაქტორი ბ. ასათიანი
კონტროლიორ-კორექტორი დ. ქალანდარიშვილი
კორექტორი მ. ლაღაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/XI-70 წ.
ქაღალდის ზომა 70×90¹/₁₆.
ნაბეჭდი თაბახი 21.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 20.
ტირაჟი 40 000
ფასი 1 მან 20 კაპ. შეკვ. №6421

გამომცემლობა „ნაკადული". მარჯანიშვილის ქ., №5
Изд. «Накадули» ул. Марджанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 5,
ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11
Типография № 5 Главполиграфпрома
Государственного комитета Совета
Министров Грузинской ССР по печати
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.